

ვოლტერი

ფილოსოფიური  
მოთხრობები

ზადიგი  
კანდიდი  
ბაბილონის პრინცესა



თარგმანი ფრანგულიდან  
რ. დოდაშვილის და  
ნ. ქადეიშვილის მიერ





ხადივი  
ანუ  
ბედისწერა







## აგზავნი ზადიგისნ, შიძღვნილი სულთანის მეუღლე შერაასადში<sup>1</sup>, საღისგან

მე-18 დღე შევალის თვისა, ჰიჯრით <sup>2</sup> 837 წელი.

თვალთა წარმტაცო, გულთა მტანჯველო, გონების სინათ-  
ლევ! მე არ ვეამბოროები თქვენს ფერხთა მტვერს, რადგან  
აროდეს დადინხართ და თუ გაივლით, ისიც ირანულ  
ხალიჩებზე ან ვარდებზე. მე თქვენ მოგართმევთ უძველესი  
ბრძენის თარგმანს წიგნისა, რომლის დამწერსაც ბედნიერება  
ჰქონდა უსაქმოდ ყოფილიყო და შეეძლო ზადიგის თავგადა-  
სავლის წერით თავი გაერთო. ესაა ნაწარმოები, რომელიც  
უფრო მეტს ამბობს, ვიდრე პირველად გეგონებათ. გთხოვთ  
წაიკითხოთ იგი და განსაჯოთ.

თუმცა თქვენ ცხოვრების გაზაფხულში ხართ, თუმცა ყოველ-  
გვარი სიამე დაგეძებთ, თუმც მშვენიერი ხართ და თქვენი  
ნიჭი თქვენს სილამაზეს აძლიერებს, თუმც მწუხრიდან  
გარიჟრაჟამდე ხოტბას გასხამენ და ამის გამო შეიძლებოდა  
ბინდი გადაჰკროდა თქვენს ზზროვნებას—მაინც გაგაჩნიათ  
ბრძნული გონება და ფაქიზი გემოვნება. მე მომისმენია, რომ

თქვენ უფრო ჭკვიანურად მსჯელობდით, ვიდრე გრძელწვერა, წოწოლა ქუდებიანი დევრიშები. თქვენ თავდაპირილი ხართ, მაგრამ არა ექვიანი; თქვენ ნაზი ხართ, მაგრამ არა სუსტი, თქვენ ქველმოქმედი ბრძანდებით გამპრიახობასთან ერთად. მეგობრები გიყვართ და მტრებს არ გაიჩენთ. თქვენი ენა-მახვილობა აროდეს სესხულობს ს.მკაულეშს აყვიაობისგან. თქვენ ცუდს არას ამბობთ და არც იქმთ, თუმცა სულ ადვილად შეგეძლოთ ეს, და, ბოლოს—თქვენი სული ყოველთვის მეჩვენებოდა ისევე ნატიფი, როგორც თქვენი სიმშვენიერე. ცოტაოდენი მარაგიცა გაქვთ ფილოსოფიისა, რამაც მაფიქრებინა, რომ ბრძენის ეს ნაწარმოები თქვენ უფრო გაგიტაცებდათ, ვიდრე სხვა რომელიმე მანდილოსანს.

იგი ჯერ დაწერილი იყო ძველ ქალღურ ენაზე, რომელიც არც თქვენ და არც მე არ გვესმის, შემდეგ არაბულად თარგმნეს სახელოვანი სულთანი ულუგ-ბეგის გასართობად. ეს ის დრო იყო, როდესაც არაბებმა და სპარსელებმა დაიწყეს წერა „ათას ერთი ლამისა“, „ათას ერთი დღისა“ და სხვა. ულუგს უფრო „ზადიგის“ კითხვა უყვარდა, სულთანის ცოლებს კი „ათას ერთი ლამე“ მოსწონდათ.

„როგორ შეიძლება უაზრო და უმნიშვნელო არაკებს უპირატესობა მიანიჭოთ?“—ეკითხებოდა ბრძენი ულუგი.

„სწორედ ამიტომ გვიყვარს ისინი“—მიუკებდნენ სულთანის ცოლები. თავს ვინუგეშებ, რომ თქვენ არ დაემსგავსებით მათ და ნამდვილი ულუგი იქნებით. ვიმედოვნებ კიდევ, როდესაც დაიღლებით ჩვეულებრივი საუბრებით, რომლებიც „ათას ერთს“ ჰგვანან, მაგრამ ნაკლებად შესაქცევნი არიან, მე შეეძლებ ვიპოვო წუთი თქვენთან დარბაისლური საუბრისთვის.

თქვენ რომ ფილიპეს ვაჟის ისკანდერის დროინდელი თალესტრისი<sup>3</sup> ყოფილიყავით, ანდა საბეეს დედოფალი—სულეიმანის დროისა<sup>4</sup>, ეს მეფენი თვით მოვიდოდნენ თქვენდა პატივისაცემად.

ზეციურ მოწყალესა ვთხოვ, თქვენს სიამოვნებას მწუხარება არ გაერიოს, თქვენი სილამაზე ხანგრძლივი იყოს და ბედნიერება უსაზღვრო.

## თავი I

### ც ა ლ თ მ ა ლ ა

მეფე მოაბდარის დროს ბაბილონში ცხოვრობდა ქაბუკი, სახელად ზადიგი, რომლის თანდაყოლილი ნიჭი აღზრდით იყო განმტკიცებული. თუმცა იგი მდიდარი და ახალგაზრდა გახლდათ, მაინც შეეძლო თავისი გრძნობების დამორჩილება. იყო გულახდილი; სრულიად არ სურდა მუდამ მართალი ყოფილიყო და ადამიანური სისუსტის პატივისცემა იცოდა. ყველას უკვირდა, რომ ასეთი კეთის პატრონი, აროდეს არ დასცინოდა იმ გაურკვეველ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მყვირალა მსჯელობებს, იმ უტიფარ ცილისწამებებს, უვც გადაწყვეტილებებს, უხეშ, ქუჩურ ხუმრობებს და სიტყვების რახარუხს, რომელსაც ბაბილონში საუბარს უწოდებენ. მან ზოროასტრის\* პირველ წიგნიდან გაიგო: თავმოყვარეობა ქარით გაბერილი ბუშტია, საიდანაც, თუ უჩხვლეტ, ქარიზხალი გამოიჭრებაო. ზადიგი აროდეს არ იწონებდა თავს ქალებისადმი სიძულვილით და მათი დამორჩილებით. სულგრძელი იყო და არ ეშინოდა უმადურთათვის სამსახური გაეწია, ხელმძღვანელობდა რა იმავე ზოროასტრის შეგონებით: „როდესაც შენ ქვამ, მიეც საქმელი ძაღლებსაც, თუნდაც ისინი შენ გაკენდნენ“. თყო ბრძენი, როგორც შეეძლო, და მუდამ ცდილობდა ბრძენთა წრეში მოხვედრას. განსწავლული ძველ ქალღველთა მეცნიერებაში, არ იფიწყებდა ბუნების ფიზიკურ კანონებს, რამდენადაც ისინი ესმოდათ მაშინ და მეტაფიზიკაში ერკვეოდა, ამდენად, რამდენადაც ერკვეოდნენ ყოველთვის, ე. ი. ძლიერ საუსტად. იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული, მასი დროის ახალი ფილოსოფიის საწინააღმდეგოდ, რომ წელიწადში 365 დღე და ერთი მეოთხედია, რომ მზე სამყაროს ცენტრს წარმოადგენს; როდესაც მას მთავარი მოგვები შეურაცხყოფელი

ქედმაღლობით აბრალებდნენ უკეთურ ზრახვებს და სახელმწიფოს მტრობად უთვლიდნენ იმ აზრს, რომ მზე თავისი ღერძის გარშემო ტრიალებს და წელიწადში თორმეტი თვეაო, — ზადიგი სდუმდა, მას არ ემჩნეოდა არც სიბრაზე და არც სიძულელი.

ზადიგს ეგონა ბედნიერი იქნებოდა, რადგან დიდი სიმდიდრე ჰქონდა და ამის გამო ბევრი მეგობარიც ჰყავდა, ჯანმრთელი იყო, პირმშვენიერი, ზუსტი და ნათელი გონების, გულწრფელი და კეთილშობილი ხასიათის. მას ცოლად უწდა შეერთო სემირი, რომელიც თავისი სიმშვენიერით, შთამომავლობით და სიმდიდრით პირველ საცოლოდ ითვლებოდა მთელს ბაბილონში. ზადიგი მისდამი სათნო და ძლიერ გრძნობას განიცდიდა და სემირსაც გატაცებით უყვარდა იგი. ახლოვდებოდა ბედნიერი წუთი მათი შეუღლებისა, როდესაც ბაბილონის კარისკენ, მდინარე ეფრატის დამამშვენიებელი პალმების ხეივანში გასეირნებისას მათ შეამჩნიეს მათკენ მომავალი ადამიანები, შეარაღებულნი ხმლეპითა და შვილდისრებით. ისინი ერთი ვეზირის ძმისწულის, ახალგაზრდა ორკანის ქეშიკები იყვნენ; ორკანს ბიძის პირმოთნეებმა შთააგონეს, შენტვის ყოველივე ნებადართულიაო. მას არც სათნოება გააჩნდა ზადიგსა, არც ღერსება, მაგრამ თავისთავზე დიდი წარმოდგენისა იყო და ზადიგის უპირატესობა აცოფებდა. ამ იჰვიანობამ, რომელიც ქედმაღლობით აიხსნებოდა, მას აფიქრებინა, სემირი თავდავიწყებით მიყვარსო. მისი მოტაცება გადასწყვიტა. მოძალადეებმა შეიპყრეს სემირი და ამ შეტაკებისას დასჭრეს იგი; დაღვარეს სისხლი ნორჩი ასულისა, რომლის ერთი შემოხედვა იმაუსის<sup>6</sup> მთის ვეფხვებსაც კი დააცხრობდა. სემირის გოდება ცასა სწვდებოდა. იგი მოსთქვამდა:

„ჩემო ძვირფასო მეუღლე! მაშორებენ იმას, ვისაც ვალმერაბებ!“

ქალს თავისი საფრთხე არ აწუხებდა, საყვარელ ზადიგზე ფიქრობდა მხოლოდ. ვაჟი კი ამ დროს, სიყვარულით და სიამამაციით შთაგონებული, სატროფოს იცავდა მთელი ძალღონით. ორი მონის დახმარებით მან თავდამსხმელები უკუაქცია და გონს მოიყვანა გულწასული, გასისხლიანებული

სემირი, რომელმაც თვალების გახელის უმალ დაინახა თავისი მხსნელი და შესძახა:

„ო, ზადიგ! მე თქვენ მიყვარდით, როგორც მომავალი მეუღლე, ახლა მიყვარხართ, როგორც ჩემი პატიოსნებისა და სიცოცხლის მფარველი!“

აროდეს არც ერთი გული ისე გამსქვალული არ ყოფილა სიყვარულით, როგორც სემირის გული იყო. აროდეს არც ერთ ულამაზეს ბაგეთ არ გამოუთქვამთ უფრო მეტად მგრძნობიარე. მგზნებარე სიტყვები, შთაგონებულნი მადლიერებითა და სამართლიანი, მხურვალე სიყვარულით. ქალი მსუბუქად იყო დაქრილი და მალე განიკურნა. ზადიგი უფრო სახიფათოდ იყო დაქრილი, ისარი თვალთან ახლოს მოხვედროდა და ღრმა ქრილობა დაეტოვა. სემირი სხვა არაფერს შესთხოვდა ღმერთს, გარდა სატრფოს განკურნებისა. მისი თვალები დღე და ღამ ცრემლებს აფრქვევდნენ; იგი მოელოდა იმ დროს, როდესაც ზადიგის თვალები შესძლებდნენ მისი შემოხედვით დამტკბარიყვნენ, მაგრამ დაქრილ თვალთან გაჩენილმა ჩირქიანმა წყლულმა ყველა შეაშინა. ცნობილი ექიმის, ჰერმესის<sup>7</sup> მოსაყვანად მსახურნი მემფისში გაგზავნეს. მრავალრიცხოვანი ამალით ჩამოსულმა ჰერმესმა ავადმყოფი ინახულა და განაცხადა, რომ იგი თვალს დაჰკარავსო. მან ამ უბედური შემთხვევის დღე და საათიც კი განსაზღვრა.

— ეს რომ მარჯვენა თვალი ყოფილიყო,—სთქვა მან,—მე. მას მოვარჩენდი, მაგრამ მარცხენა თვალის ქრილობა განუკურნავია.

მთელი ბაბილონი შეწუხებული იყო ზადიგის ბედით, მაგრამ ამავე დროს გაკვირვებული იყო ჰერმესის ღრმა ცოდნით. ორი დღის შემდეგ ჩირქი თავისით გამოიწყო და ზადიგი სრულიად ჯანიკურნა. ჰერმესმა დასწერა წიგნი, სადაც ამტკიცებდა, რომ ზადიგი არ უნდა მოჩენილიყო. ზადიგს არც წაუკითხავს ეს წიგნი. სახლიდან პირველად გამოსვლისთანავე გაეშურა მის სანახავად, ვინც იმედი იყო მისი ცხოვრების ბედნიერებისა და ვისთვისაც სურდა ორთავე თვალი ჰქონოდა. სემირი სამი დღის წინ სოფლად წასულიყო. ზადიგმა გზაზე

გაიგო, რომ ამ მშვენიერ ქალს საჯაროდ განეცხადებინა—  
საშინლად მეზიზღება ცალთვალა ადამიანებია, და იმავე ღამეს  
ორკანზე ჯვარს იწერდა. ამ ამბავის გაგებისას ზადიგმა  
გრძნობა დაჰკარგა. აღშფოთებამ იგი საფლავის კარამდე  
მიიყვანა, დიდხანს ავადმყოფობდა, მაგრამ ბოლოს გონებამ  
სძლია ნალველს და თვით განცდილი მწუხარება დაეხმარა  
მას დამშვიდებულყო.

რაკი სასახლის კარზე გაზრდილი ასულისაგან ასეთი სასტი-  
კი თავნებობა განვიცადე, სთქვა მან, მოქალაქის ქალი უნდა  
შევიროთო.

აზორა აირჩია, ქალაქში ყველაზე უფრო ჭკვიანი და კარ-  
გი წარმოშობის ქალი, შეიროთო იგი და ერთი თვე უნაზესი  
კავშირის სიტკბოებაში ვაატარა. მაგრამ ზადიგმა შეამჩნია,  
რომ მისი ცოლი ოდნავ ქარაფშუტა იყო და ყველაზე ღამაზ  
ჭაბუკთ ყველაზე ჭკვიან და სათნო ადამიანებად სთვლიდა.

## თავი II

### ც ხ ვ ი რ ი

ერთ დღეს აზორა მეტად განრისხებული დაბრუნდა სეირ-  
ნობიდან, ის თავის გულისწყრომას ხმამალა გამოსთქვამდა.

— რა დაგემართათ ჩემო ძვირფასო მეუღლე?—ჰკითხა  
ზადიგმა,—ეინ გამოგიყვანათ მოთშინებიდან?

— ეჰ, თქვენც ჩემსავით გაბრაზდებოდით, რომ დაგენახათ  
ის სურათი, როჰლის მოწმე ეს-ეს არის გახლდით. ახალ-  
გაზრდა ქერივის კოსრუს დასამშვიდებლად ვიყავი: მან ორი  
დღეა, რაც ახალგაზრდა ჩმრის საფლავეზე ძეგლი აღმართა,  
წყაროსთან, რომელიც მინდორს ჩამოუდის. მწუხარებაში  
მყოფმა ღმერთებს აღუთქვა, რომ საფლავთან იქამდის  
ვიცხოვრებ, სანამ იქ ნაკადული იდენსო.

— ძალიან კარგი, —სთქვა ზადიგმა,—აი პატივსაცემი ქალი,  
რომელსაც ქმარი გულწრფელად ჰყვარებია.

ოჰ, —უპასუხა აზორამ,—რომ იცოდეთ რას აკეთებდა  
როდესაც მე იგი ვინახულე!



— რას, მშენიერო აზორა?

— იგი ნაკადულს კალაპოტს უცვლიდა.

აზორა ისე კიცხავდა და უსაყვედურებდა ახალგაზრდა ქვრივს, რომ ზადიგს არ მოეწონა მისი ამგვარი კეკლუცობა სათნოებით.

ზადიგს ერთი მეგობარი ჰყავდა, მას სახელად კადორი ერქვა. ის ერთ-ერთი იმ ქაბუკთაგანი იყო, რომელშიაც ზადიგის ცოლი უფრო მეტ ღირსებას და პატიოსნებას ხედავდა, ვიდრე სხვებში. ზადიგმა მას თავისი განზრახვა გაანდო, დააჯილდოვა რა მისი ერთგულება შესანიშნავი საჩუქრებით. აზორა, რომელმაც ერთ-ერთ თავის მეგობარ ქალთან ორი დღე გაატარა სოფლად, მესამე დღეს სახლში დაბრუნდა. მსახურებმა ტირილით შეატყობინეს, წუხელ თქვენი მეუღლე უეცრად გარდაიცვალაო; ვერ გავბედეთ ეს საშინელი ამბავი შეგვეტყობინებინა და ბალის ბოლოში დავასაფლავეთ წინაპართა აკლდამაშიო. აზორამ იტირა, თმები დაიგლიჯა და ფიცი დასდო—მოგვედებო. სალამოს კადორმა ნება მიიღო მასთან საუბრისა, და ორივენი ერთად ტიროდნენ. მეორე დღეს ნაკლებ იტირეს და ეჩთად ისადილეს. კადორმა აცნობა, რომ ჩეგობარმა მას თავისი სიმდიდრის დიდი ნაწილი დაუტოვა. მან აგრძნობინა ქალს, რომ მხოლოდ მაშინ ვიქნები ბედნიერი, როდესაც სიმდიდრეს შენთან ერთად გავიყოფო. ქალმა იტირა, გაჯავრდა და დამშვიდდა. ვახშამი სადილზე ხანგრძლივი იყო. ლაპარაკობდნენ უფრო გულწრფელად. აზორა განსვენებულს აქებდა, მაგრამ აღიარებდა, რომ მას ჰქონდა ნაკლი, რომლისგანაც კადორი დაზღვეული იყო.

შუა ვახშამობისას კადორმა შესჩივლა, რომ ელენთა ძლიერ ასტკივდა. ქალმა მოატანინა ყველა სანელებელი, რომლებსაც თვითონ ხმარობდა, რათა ესინჯა ხომ არ უშველიდა ერთ-ერთი მათგანი ელენთის ტკივილებს. სწუხდა, რომ დიდი ჰერმესი ბაბილონში აღარ იყო. აზორამ იკადრა თვითონ შეხებოდა იმ ადგილს, სადაც კადორი საშინელ ტკივილებს გრძნობდა.

— ნუთუ თქვენ ამ საშინელი ავადმყოფობით ხართ შეპყრობილი?—სიბრაალულით ჰკითხა ქალმა.

— იგი საფრთხეში აყენებს ხანდახან ჩემს სიცოცხლეს,— მიუგო კადორმა, — მხოლოდ ერთ წამალს შეუძლია ტკივილები შემიმსუბუქოს; გუშინდელი გარდაცვალებულის ცხვირი ფერღზე უნდა დამადოთ.

— რა უცნაური წამალია, — სთქვა აზორამ.

— ბატონ არნუს დამბლის საწინააღმდეგო პარკებზე უფრო უცნაური ხომ არ არის! \*

ამ საბუთმა კაბუჯის დიდ ღირსებასთან ერთად ქალს საბოლოოდ გადააწყვეტინა შემდეგი: — როდესაც ჩემი ქმარი, — სთქვა მან, — სააქაოდან საიქიოში ჩინავარის ხილით გადაივლის, ანგელოსი აზრაელი ხომ არ შეაჩერებს იმ მიზეზით, რომ ცხვირი მას მეორე ქვეყანაში ოდნავ მოკლე ექნება, ვიდრე პირველში ჰქონდა?

აზორამ აიღო სამართებელი, გაემართა მეუღლის აკლდამისკენ, მორწყო იგი ცრემლებით და ცხვირის მოსაჭრელად მიუახლოვდა ზადიგს, რომელიც გაშოტილიყო საფლავში. ზადიგი წამოდგა, ცალი ხელით ცხვირი დაიფარა და მეორეთი სამართებელი მოიშორა:

— ქალბატონო, უთხრა მან, — ნუ გაჰკივით ასე ახალგაზრდა კოსრუს წინააღმდეგ; ცხვირის მოჭრის განზრახვა ბევრით აჭარბებს ნაკადულის კალაპოტის შეცვლის განზრახვას.

### თავი III

#### ძალღი და ცხენი

ზადიგმა გამოსცადა, რომ ქორწინების პირველი თვე, როგორც ნათქვამია ზენდის წიგნში<sup>8</sup>, — თაფლის თვეა, ხოლო მეორე თვე — აბზინდისაა. იგი იძულებული იყო რამდენიმე ხნის შემდეგ გაჰყოფა აზორას, რომელთანაც ცხოვრება მისთვის მეტად ძნელი შეიქნა, და ბედნიერებას ბუნების შესწავლაში დაუწყო ძებნა.

\* ამ დროს ბაბილონში ცხოვრობდა ვინმე არნუ, რომელიც დამბლას ყელზე ჩამოკიდებული პარკებით მკურნალობდა.

— არავინ არის უფრო ბედნიერი, ვიდრე ფილოსოფოსი,— ამბობდა იგი, — რომელიც კითხულობს ღმერთის მიერ ჩვენს თვალწინ გადმოშლილ ამ ვეებერთელა წიგნს. მის მიერ ახსნილი ქეშპარიტება მასვე ეკუთვნის; იგი ჰკვებავს და ზრდის თავის სულს, იგი მშვიდად ცხოვრობს, არაფრის ეშინია და ნაზი მეულლეც არ გამოეცხადება ცხვირის მოსაქრელად.

ამ აზრებით გამსჭვალული ზადიგი გადასახლდა ევფრატის ნაპირზე მდებარე ერთ სოფელში. აქ იგი არ იყო გართული იმის გამოანგარიშებით, თუ რამდენი გოჯა წყალი მიედინება ერთი წამის განმავლობაში ხიდის თაღებს ქვეშ, ან მოდის თუ არა თავგის თვეში ერთი კუბიკური ხაზით მეტი წვიმა, ვიდრე ცხვირის თვეში. მას აროდეს არ უფიქრია აბლაბუდისგან აბრეშუმი გაეკეთებინა, ან დამტვრეული ბოთლებისგან ფაიფური, მაგრამ გულმოდგინედ სწავლობდა ცხოველთა და მცენარეთა თვისებებს და დახელოვდა ათასი განსხვავების პოვნაში იქ, სადაც სხვები მხოლოდ ერთფეროვნებას ხედავენ.

ერთხელ, პატარა ტყის მახლობლად სეირნობისას, ზადიგმა დაინახა მისკენ გამოქცეული დედოფლის საჭურისი რამდენიმე კარისკაციოთურთ. მათ დიდი აღელვება ეტყობოდათ, წინ და უკან დარბოდნენ, თითქო დაბნეულები უძვირფასეს ნივთს ეძებდნენ.

— ქაბუკო, მიმართა მას პირველმა საჭურისმა, თქვენ დედოფლის ხვადო ფინია ხომ არ დაგინახავთ?

ზადიგმა მოკრძალებით უპასუხა:

— ის ძუ გახლავთ და არა ხვადი.

— თქვენ მართალი ხართ,—სთქვა საჭურისმა.

— ის სულ პატარა ესპანური ფინიაა,—დასძინა ზადიგმა,— დიდი ხანი არ არის, რაც ლეკვები დაჰყარა, მარცხენა წინა ფეხით კოჭლობს და ძალზე გოძელი ყურები აქვს.

— მაშ თქვენ გინახავთ იგი!—უთხრა აქლოშინებულმა საჭურისმა.

— არა,—უპასუხა ზადიგმა,—მე იგი აროდეს არ მინახავს და არც ვიცოდი თუ დედოფალს ძუქნა ჰყავდა.

სწორედ ამ დროს, უცნაური შემთხვევის წყალობით, მეფის საჯინიბედან ყველაზე ლამაზი ცხენი ხელიდან გაუსხლტა

მეჯინიბეს და ბაბილონის ველებზე გაიქცა. მონადირეთუხუცესი და სხვა კარისკაცები ცხენს ისევე შეწუხებული მისდევდნენ, როგორც პირველი საჭურისი ძაღლს. მონადირეთუხუცესი შეეკითხა ზადიგს, ხომ არ დაგინახავს მეფის ცხენიო.

— ეს ცხენი საუცხოო იორლაა, — მიუგო ზადიგმა, — სიმაღლით ხუთი წყრთაა, ძლიერ პატარა ჩლიქები აქვს და ძუა — სამწყრთანახვევრიანი. ლაგამის ბალთები ოცდასამ ქარატიან ოქროსია, ხოლო ნალები თერთმეტ დინარიან ვერცხლისა.

— საით გაიქცა? სად იქნება? — შეეკითხა მონადირეთუხუცესი.

— მე იგი არც მინახავს — მიუგო ზადიგმა — და არც აროდეს მსმენია რამ მასზე.

მონადირეთუხუცესი და პირველი საჭურისი დარწმუნდნენ, რომ ზადიგმა მოიპარა მეფის ცხენი და დედოფლის ძაღლი; მათ იგი წარუდგინეს დიდი დესთერჰამის საკრებულოს, რომელმაც მას გამათრახება და ციპბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯა. განაჩენის გამოცხადების უმალ ცხენიც და ძაღლიც იპოვეს. მოსამართლენი მათდა სამწუხაროდ აძულებულნი გახდნენ სასჯელი შეეცვალათ. თუმც ზადიგს მაინც მიუსაჯეს ოთხასი უნკის გადახდა ოქროთი, რადგან იგი ამტკიცებდა, თითქოს არ ენახა ის, რაც ნამდვილად ნახა. ზადიგს ჯერ ჯარიმა უნდა გადაეხადა, ხოლო შემდეგ ნება დართეს დიდი დესთერჰამის სამსჯავროს წინაშე თავი გაემართლებია. მან ასე ილაპარაკა:

— მართლმსაჯულების ვარსკვლავნო, ცოდნის უფსკრულნო, ჭეშმარიტების სარკენო, თქვენ, რომელთაც ტყვიის სიმძიბე გაქვთ, რკინის გამძლეობა, ალმასის ბრწყინვალება — და მრავალი თვისება ოქროსი; რაკი მე ნებადართული მაქვს ვილაპარაკო ამ ღირსეული საკრებულოს წინაშე. ვფიცავ ორმუზდს, რომ მე აროდეს მინახავს არც დედოფლის პატივცემული ძაღლი და არც მეფეთა მეფის ღვთაებრივი ცხენი. აი, რა შემემთხვა: დავსეირნობდი პატარა ტყის მახლობლად, სადაც პატივცემულ საჭურისს და სახელგანთქმულ მონადირეთუხუცესს შევხვდი. ჭვიშაზე შევამჩნიე ცხოველის კვალი და ადვილად მივხვდი, რომ ეს პატარა ძაღლის

კვალი იყო. მსუბუქმა და გრძელმა ხაზებმა, აღბეჭდილმა ქვიშის პატარა ბორცვებზე, თაფლის ნაკვალევს შუა, მიმახვედრეს, რომ ეს იყო ძუ, რომლის ძუძუები მიწამდე იყვნენ ჩამოკიდულნი. აქედან კი გავიგე, რომ რამდენიმე დღის წინ მას ლეკვები დაუყრია. სხვაგვარმა კვალმა, რომელიც წინა თათების ორთავე მხარეს ქვიშას მიჰყვებოდა, მიმახვედრეს, რომ მას ძალიან გრძელი ყურები ჰქონდა და, რადგანაც დავინახე, რომ ერთი თათის ქვეშ ქვიშა ყველგან ნაკლებად იყო ჩალრმავებული, ვიდრე სხვა თათებს ქვეშ, მივხვდი, რომ ჩვენი უდიდებულესი დედოფლის ძალი ოდნავ კოჭლობდა, თუ გავბედავ ასე გამოვთქვა.

რაც შეეხება მეფეთა მეფის ცხენს, მოგახსენებთ, რომ ამ ტყის გზაზე სეირნობისას მე შევამჩნიე ცხენის ნალების ნაკვალევი, რომლებიც ერთმანეთისაგან თანასწორად იყვნენ დაშორებულნი. აი—ვთქვი მე ჩემთვის—მშვენიერი იორლა. ვიწრო გზაზე, რომლის სიგანე მხოლოდ შვიდი წყრთაა, მტვერი სამნახევარი წყრით შუა გზიდან მარჯვნივ და მარცხნივ ოდნავ გაფანტულიყო. ამ ცხენს, გავიფიქრე, სამნახევარი წყრთის სიგრძე ძუა აქვს, რომლის გაქნევით მარჯვნივ და მარცხნივ მან ეს მტვერი გაჰფანტა. ხუთი წყრთის სიმაღლის ხეივნის ქვეშ ახლად დაცვნილი ფოთლები დავინახე, მივხვდი, ცხენი შეხებოდა მათ; აქედან კი გავიგე, რომ მისი სიმაღლე ხუთ წყრთას უდრიდა. რაც შეეხება მის ლაგამს, ის უნდა იყოს ოცდასამ ქარატიანი ოქროსი, რადგანაც ბალთებით გახახუნებია კიდონტს, რომლითაც ცდა ეაწარმოვე. ბოლოს, კაჟზე დატოვებულ ნალების კვალით მე გადავწყვიტე, რომ იგი დაქედილი იყო სუფთა თერთმეტ დინარიანი ვერცხლით.

მოსამართლენი აღტაცებული დარჩნენ ზადიგის ღრმა და სხარტი, მოხერხებული მსჯელობით. მისი ამბავი მეფისა და დედოფლის ყურამდეც მივიდა. ტალანებში, პალატებში და დაობაზში მხოლოდ ზადიგზე ლაპარაკობდნენ და თუმც მრავალი მოგვი მოითხოვდა მის დაწვას, როგორც კუდიანისა, მეფემ მაინც ბრძანა დაებრუნებინათ მისთვის ჯარიმა ოთხასი უნკა ოქრო, რომელიც მას მისჯილი ჰქონდა.

მდივანი, სასამართლოს ბოქაულები, ბრალმდებელნი მას-

თან დიდი ზემოთ მივიდნენ ოთხასი უნკის დასაბრუნებლად; მათგან მხოლოდ სამასოთხმოცდათვრამეტი დაუჭირეს სასამართლოს ხარჯებისათვის, ამის გარდა, მათმა მსახურებმა თავისი წილიც მოითხოვეს. ზადიგმა დაინახა, თუ რამდენად სახიფათოა ზოგჯერ მეტისმეტი განსწავლულობა და თავისთავს სიტყვა მისცა—პირველ შემთხვევისთანავე არ ეთქვა ის, რასაც ნახავდა.

ეს შემთხვევაც მალე გამოჩნდა. ერთი პოლიტიკური დამნაშავე გაიქცა. მან ზადიგის ფანჯრების ქვეშ გაირბინა. დაჭკითხეს ზადიგს; მან არაფერი უპასუხა, მაგრამ დაუმტკიცეს, რომ გაქცეული მან ფანჯრიდან დაინახა. ამ დანაშაულისათვის იგი ხუთასი უნკა ოქროთი დააჯარიმეს. ბაბილონის ჩვეულების მიხედვით ზადიგმა მოსამართლეებს შეწყალებისათვის მადლობა გადაუხადა.

— ღმერთო დიდებულო, — ჩაილაპარაკა მან თავისთვის, — რამდენს ინანებს ადამიანი თუ ისეირნებს ტყეში, სადაც დედოფლის ძაღლმა და მეფის ცხენმა გაირბინეს! რა სახიფათოა ფანჯარასთან დგომა! და რა ძნელია ამ ქვეყნად ბედნიერი იყო!

## თავი IV

### მ ო უ შ რ ნ ე

ზადიგმა მოინდომა ფილოსოფიით და მეგობრობით გაეჭარებინა ბედის სიმუხთლე. ბაბილონის გარეუბანში მას ჰქონდა დიდი გემოვნებით მოწყობილი სახლი, სადაც თავს უყრიდა ყველა ხელოვნებათა ნიმუშებს და პატიოსანი ადამიანის ღირსეულ გასართობებს. დილით მისი წიგნთსაცავი ღია იყო ყველა მეცნიერთათვის; საღამოთი მისი მაგიდა გაშლილი იყო რჩეული საზოგადოებისათვის.

მაგრამ ზადიგი მალე მიხვდა, თუ რამდენად სახიფათო იყვნენ მეცნიერნი. ერთხელ დიდი კამათი გაიმართა ზოროასტრის ერთ-ერთ კანონზე, რომელიც ფასკუნჯის<sup>1</sup> ქამას კრძალავდა.

— როგორ შეიძლება ფასკუნჯის ქამა აკრძალო, — აცხადებდნენ ერთნი, — როდესაც ასეთი ცხოველი არ არსებობს!

— ალბათ არსებობს, — ამბობდნენ მეორენი, — რაკი ზორო-  
ასტრიმ აკრძალა მათი შექმა.

ზადიგი მათ შერიგებას შეეცადა და სთქვა, — თუ არსებო-  
ბენ ფასკუნჯები, ნუ შეიქმამთ მათ; თუ არ არსებობენ, — მით  
უშეტეს, და ამგვარად ჩვენ დავემორჩილებით ზოროასტრს.

ერთი მეცნიერი, რომელსაც ფასკუნჯის თვისებათა შესახებ  
ცამეტი ტომი დაეწერა და ამასთანავე დიდ თეურგად ითვ-  
ლებოდა, ზადიგის დასაბეზღებლად გაეშურა მოგვთა უფროს  
იებორთან,<sup>10</sup> ქალდეველთა შორის ყველაზე დიდ სულელთან  
და, მაშასადამე, ყველაზე დიდ ფანატიკოსთან. ეს კაცი, მზის  
უფრო მეტად განსადიდებლად, სიამოვნებით სარზე ჩამოაგე-  
ბდა ზადიგს და კმაყოფილი სახით შეუდგებოდა მასზე ზორო-  
ასტრის ლოცვანის კითხვას. ზადიგის მეგობარი კადორი (ერ-  
თი მეგობარი ათას ქურუმს სჯობს) წავიდა მოხუც იებორთან  
და მიმართა.

— დიდება მზესა და ფასკუნჯებს! გაუფრთხილდით ზადი-  
გის დასჯას; ის წმინდანია, მისი საქათმე საესეა ფასკუნჯე-  
ბით, მაგრამ იგი მათ არ სქამს; მისი ბრალმდებელი კი მწვა-  
ლებელია. ის ბედავს და აცხადებს, შინაურ კურდღლებს გა-  
პობილი თათები აქვთ და უწმინდურნი არ არიანო.

— კარგი, — მელოტი თავის კანტურით სთქვა იებორმა, — ზა-  
დიგი უნდა სარზე ჩამოეცვათ ფასკუნჯებზე უდიერი ფიქ-  
რისთვის, ხოლო მეორე კი — შინაურ კურდღლებზე უდიერი  
ლაპარაკისთვის.

კადორმა სეფე-ქალის მეშვეობით საქმე მიაფუჩეჩა; ქალს  
კადორისაგან შვილი ჰყავდა. ის მოგვთა საკრებულოში დიდი  
გავლენით სარგებლობდა. სარზე არაეინ ჩამოუცვამთ, სამა-  
გიეროდ ბევრი მეცნიერი ამის გამო უკმაყოფილოდ დრტვი-  
ნავდა და ამიტომ ბაბილონის დაცემა იწინასწარმეტყველეს.  
ზადიგმა წამოიძახა: „რაზედ არის დამოკიდებული ბედნიერება!  
ყველა მე მდევნის, არარსებულს კი!“ მან დასწყევლა მეცნი-  
ერნი და მხოლოდ მხიარულ საზოგადოებაში არჩია ცხოვრება.  
მასთან იკრიბებოდნენ ბაბილონის ყველაზე უფრო პატიო-  
სანი მამაკაცები და ყველაზე უფრო თავაზიანი მანდილოსნე-  
ბი. იგი აწყობდა საუცხოო ნადიმებს, რომელსაც ხშირად

წინ უსწრებდნენ სახიობანი. ნადიმი ცხოველდებოდა შესანიშნავი საუბრებით, რომლისგანაც ზადიგმა განდევნა ცდა ქუჟამახვილობით თავის გამოჩენის, რადგანაც არსებითად ეს უქკუობის ნიშანია და უბრწყინვალეს საზოგადოებას ჩრდილს აყენებს. არც მეგობრების და არც საქმელების არჩევანი მედიდურობით არ იყო გამოწვეული, რადგან ზადიგი ყველაფერში ამჯობინებდა ყოფილიყო ნამდვილი და არა მოჩვენებითი, და სწორედ ამით მოიპოვა მან ქეშპარიტი პატივისცემა, რომელსაც მაინცდამაინც არც ეძებდა.

ზადიგის სახლის პირდაპირ ცხოვრობდა არიმაზი, რომლის ბოროტი სული აღბეჭდილი იყო მის უხეშ სახეზე. იგი ღვარძლით იყო დაღრღნილი და სიამაყით გაბერილი, ამასთან ერთად თავისი თავი ჭკვიანად მიაჩნდა. საზოგადოებაში ვერ იქნა და ვერ ეღირსა წარმატებას, ამიტომაც ზადიგზე ავეყაობით შურს იძიებდა. მიუხედავად დიდი სიმდიდრისა, ვერ შემოიკრიბა პირმოთნეები. სალამოობით ზადიგის ეზოში შემავალი ეტლების ხმა თავს აბეზრებდა და ზადიგის ქება-დიდების ხმა ხომ უფრო მეტად აღიზიანებდა. ხანდახან მიდიოდა ხოლმე ზადიგთან, მიუპატიებლად მიუჯდებოდა სუფრას, სადაც ის საზოგადოების მხიარულ დროს-ტარებას უხამავდა მსგავსად ჰარპიებისა, რომლებიც, ნათქვამია, თავიანთი შეხებით ხორცს სწამლავენო. ერთხელ მან, ერთი მანდილოსნის პატივსაცემად, ღონიღომა წვეულების გამართვა, მაგრამ ქალი ნაცვლად ამ წვეულებისა ზადიგს ვახშამზედ ესტუმრა. მეორეჯერ, როდესაც ზადიგი და არიმაზი სასახლეში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, მათ ერთი ვეზირი შეხვდათ, მან ზადიგი თავისთან მიიპატიჟა ვახშმად და არიმაზი კი არა. ხშირად ყველაზე შეურთებელ სიძულვილს მეტად უმნიშვნელო ნივთად იქცვს. ამ კაცმა, რომელსაც ბაბილონში მოშურნეს ეძახდნენ, მოინდომა ზადიგის დაღუპვა, რადგანაც მას ბედნიერს უწოდებდნენ. ბოროტი საქმის გასაკეთებლად დღეში ასჯერ გამოჩნდება შემთხვევა, კარგი საქმისათვის კი—მხოლოდ ერთჯერ წელიწადში, როგორც ზოროასტრი ამბობს.

მოშურნე მივიდა ზადიგთან, რომელიც თავის ბაღში დასე-



ირნობდა ორ მეგობართან და ერთ მანდილოსანთან ერთად; ზადიგი ქალს ქათინაურებს სთავაზობდა უფრო ხშირად იმ მიზნით, რომ წარმოეთქვა ისინი. საუბრობდნენ ომზე, რომელიც მეფემ ეხლახან ბედნიერად დაამთავრა თავის ვასალის, ჰირკანელი პრინცის დამარცხებით. ზადიგი, რომელმაც ამ ხანმოკლე ომში მამაცობა გამოიჩინა, მეტად აქებდა მეფეს და უფრო მეტად კი მანდილოსანს. მან ფირფიტაზე სახელდახელოდ ოთხსტრიქონიანი ლექსი დასწერა და წასაკითხად ამ მშვენიერ ქმნილებას მიაართვა. მეგობრებმა სთხოვეს—მათთვისაც წაეკითხათ ლექსი, მაგრამ ზადიგმა მორცხეობის ან უფრო თავმოყვარეობის გამო უარი უთხრა. მან იცოდა, რომ ლექსი-ექსპრომტი კარგია მხოლოდ იმისათვის, ვის პატივსაცემადაც ის დაუწერიათ. მან შუაზე გადასტეხა ფირფიტა და ორივე ნატეხი ვარდის ბუჩქებში გადაისროლა. აქ მათ ამაოდ ეძებდნენ. უეცრად წამოწვიმა და საზოგადოებამ სახლს მიაშურა. მოშურნე ბაღში დარჩა, იქამდის ეძებდა, სანამ ფირფიტის ერთი ნახევარი იპოვა. ფირფიტა ისე იყო გადამტვრეული, რომ ლექსის ყოველ ნაწილს, რომელიც თითოეულ სტრიქონს ავსებდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და თვითონვე ადგენდა მცირე ზომის ლექსს; მაგრამ უცნაურ შემთხვევით ეს მოკლე ლექსები შეიცავდნენ აზრს, რომელიც მეფის ყველაზე საშინელ შეურაცხყოფას გამოხატავდა.

ის ასე იკითხებოდა:

ვერაგობით და ღალატით  
ტახტზე განმტკიცდა  
საზოგადოებრივი მშვიდობის  
ერთადერთი მტერი.

მოშურნემ სიცოცხლეში პირველად იგრძნო თავი ბედნიერად. მის ხელში იყო საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა სათნო და თავაზიანი ადამიანის დალუპკა. ამ ბოროტი სიხარულით აღსავსემ, მეფეს წარუდგინა ზადიგის დაწერილი სატირა: ზადიგი თავისი მეგობრებითა და მანდილოსნითურთ დაატუსაღეს. ისე გაასამართლეს, რომ არც კი ინებეს მოესმინათ მისთვის. როდესაც ზადიგი განაჩენის

მოსასმენად გამოდიოდა, მას მოშურნე გადაუდგა გზაზე და ხმამაღლა მიაძახა, შენი ლექსები არაფრად არ ვარგანანო. ზადიგი არც თვლიდა თავს კარგ პოეტად, მაგრამ აღშფოთებული იყო, რომ ისჯებოდა როგორც მათი უდიდებულესობის შეურაცხმყოფელი და რომ უდანაშაულოდ დატუსაღებული იყვნენ მისი ორი მეგობარი და მშვენიერი მანდილოსანი. მას ნება არ დართეს ელაპარაკნა, რადგანაც ფირფიტა ლაპარაკობდა. ასეთი კანონი იყო ბაბილონში. დასასჯელად წაყვანილი ზადიგი გაატარეს ცნობისმოყვარეთა შორის, რამელთაგან ერთმაც კი ვერ გაბედა მისი შებრალება და რომლებიც ისწრაფოდნენ მის სახეს დაჰკვირვებოდნენ და ენახათ ლამაზად მოკვდებოდა თუ არა იგი. მხოლოდ მისი ნათესაეები იყვნენ დასევდიანებული, რადგან მემკვიდრეობას ვერ მიიღებდნენ, მისი ქონების სამი მეოთხედი მეფის სასარგებლოდ ჩამოართვეს, ხოლო ერთი მეოთხედი მოშურნეს სასარგებლოდ.

იმ დროს, როდესაც ზადიგი სიკვდილისთვის ემზადებოდა, მეფის თუთიყუში თავის აივნიდან გაფრინდა და ზადიგის ბაღში ვარდის ბუჩქზე დაეშვა. ამ ბუჩქზე მეზობელ ხიდან ქარს გადმოეგდო ატამი, რომელიც ფირფიტის ნატეხზე დაცემულიყო და მიჰკეროდა. ფრინველმა ატამი აიტაცა ფირფიტასთან ერთად და ხელმწიფის მუხლებზე დააგდო. მეფემ ცნობისმოყვარეობით წაიკითხა ფირფიტაზე დაწერილი უაზრო სიტყვები, რომლებიც ლექსის ბოლოს ჰგავდა. მას პოეზია უყვარდა, იმ მეფეებისგან კი, რომელთაც ლექსები უყვართ, ყოველთვის შეიძლება დახმარებას მოელოდე: თუთიყუშის ამ შემთხვევამ იგი დააფიქრა. დედოფალმა, რომელსაც ახსოვდა რა ეწერა ზადიგის ფირფიტის ნატეხზე, ბრძანა მოეტანათ იგი. შეაერთეს ნამტკრებები, ისინი საესებით უდგებოდნენ ერთმანეთს; მაშინ წაიკითხეს ლექსი ისე, როგორც ზადიგმა დასწერა:

ვერაგობით და ღალატით დედამიწა შეშფოთებული იყო.

ტახტზე განმტკიცდა მეფე, რომელმაც ყოველივე

ბოროტი დათრგუნა.

საზოგადოებრივი მშვიდობის დრო დაგვიდგა,

ერთადერთი მტერია ახლა საშიში—კუპიდონი.

მეფემ მაშინვე ბრძანა ზადიგი მოეყვანათ და სატუსალოდან მისი ორი მეგობარი და მშვენიერი მანდილოსანი გაეთავისუფლებინათ. ზადიგი მეფეს და დედოფალს თერხთ ჩაუვარდა და ასეთი ცუდი ლექსების დაწერისათვის მათ მორჩილად პატიება სთხოვა. იგი ისე კარგად ლაპარაკობდა, გონიერულად და სასიამოვნოდ, რომ მეფე-დედოფალმა მისი ხელმეორედ ნახვა მოინდომეს. იგი კვლავ მოვიდა და კიდევ უფრო მეტად მოეწონათ. ზადიგს მისცეს მთელი ქონება მოშურნისა, რომელმაც ასე ტყუილუბრალოდ ცილი დასწამა მას. ზადიგმა უკან დაუბრუნა ყოველივე, და მოშურნე მხოლოდ იმით იყო აღტაცებული, რომ თავისი ქონება არ დაჰკარგა. მეფის პატივისცემა ზადიგისადმი დღითი დღე იზრდებოდა. იგი მას უზიარებდა თავის ყოველ სიამოვნებას და ყოველ საქმეში რჩევას ეკითხებოდა. ამის შემდეგ დედოფალი მას ისეთი წყალობით უყურებდა, რომ ეს შეიძლებოდა საშიში განხდარიყო დედოფლისათვის, მისი უდიდებულესი მეუღლე—მეფისთვის, ზადიგისათვის და სამეფოსათვისაც. ზადიგი რწმუნდებოდა, რომ ძნელი არ არის კაცი ბედნიერი იყო.

## თავი V

### დიდსულოვანი

დადგა დრო დიდი დღესასწაულისა, რომელსაც ხუთ წელიწადში ერთხელ იხდიდნენ ხოლმე. ასეთი ჩვეულება ჰქონდათ ბაბილონში, ყოველ ხუთი წლის ბოლოს საზეიმოდ დაესახელებინათ ის მოქალაქენი, რომელთაც ყველაზე მეტი სულგრძელობა გამოეჩინათ. დიდებულები და მოგვები მსაჯულად იხსდნენ. პირველი სატრაპი, რომელსაც ქალაქის მართვა-განგებლობა ევალებოდა, მისი მმართველობის დროს მომხდარ საუკეთესო მოქმედებებს აცხადებდა. აგროვებდნენ ხმებს; მეფე წარმოსთქვამდა გადაწყვეტილებას. დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ამ ზეიმზე. გამარჯვებული პატიოსან თვლებით მოოქვილ ოქროს თასს ღებულობდა ხელმწიფის ხელიდან და მეფე მას ასე მიმართავდა: „მიიღეთ ეს ჯილდო დიდსულოვნებისთვის, დეე, ღმერთებმა თქვენი მსგავსი მრავალი ქვეშევრდომი მომცენ“.

ღირსსახსოვარი დღე დადგა. თავის ტახტზე გაბოჩნდა მეფე, გარწემორტყმული დიდებულებით, მოგვებით და ყველა ერის ღესპანებით, რომლებიც ჩამოსულიყვნენ სანახავად ასპარეზობისა, სადაც სახელს იხვეჭდნენ არა ცხენთა სისწრაფით, არც სხეულის სიძლიერით, არამედ სათნოებით. პირველმა სატრაპმა ხმამალა ჩამოთვალა მოქმედებანი, რომლებიც აღამიანებს ამ დაუფასებელ ჯილდოს მიანიჭებდნენ. მან არც კი მოიხსენა ის დიდსულოვნება, როგორითაც ზადიგმა მოშურნეს დაუბრუნა მთელი მისი ქონება; ეს მოქმედება არ იყო ჯილდოს ღირსი.

სატრაპმა პირველად მიუთითა მოსამართლეზე, რომელმაც ერთ მოქალაქეს შეცდომით წააგებინა მნიშვნელოვანი საჩივარი და მიუხედავად იმისა, რომ ამ შეცდომისთვის პასუხს არ აგებდა, მაინც დაუთმო მთელი თავისი ავლა-დიდება, რომელიც სწორედ მოქალაქის დანაკარგის ოდენა იყო.

ამის შემდეგ წარადგინა ერთი კაბუკი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა თავისი საცოლე, მაგრამ იგი დაუთმო მეგობარს, რადგან მეგობარი სიცოცხლეს ესალმებოდა ამ ასულის ტრფიალით; ქალიც დაუთმო და მზითვეიც გაატანა.

შემდეგ მიუთითა ერთ ჯარისკაცზე, რომელმაც აგრეთვე უდიდესი სულგრძელობა გამოიჩინა პირკანის ომში. ის მტრის ჯარისკაცებისაგან იცავდა თავის საყვარელს, რომელსაც ისინი იტაცებდნენ; ამ დროს მას ატყობინებენ, რომ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით სხვა პირკანელები იტაცებენ მის დედას; მან ტირილით დასტოვა საყვარელი და დედის გასათავისუფლებლად გაიქცა. შემდეგ დაბრუნდა მასთან, ვინც უყვარდა, და ის მომაკვდავი დაუხვდა; თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ დედამ მოაგონა, რომ იგი მისი ერთადერთი ნუგეში იყო, და ჯარისკაცმა იმდენი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ გადაწყვიტა მთელი სიცოცხლე ტანჯვაში გაეტარებინა.

მსაჯულები ამ ჯარისკაცის მხარეზე იხრებოდნენ; მეფემ აიღო სიტყვა და წარმოსთქვა: „მისი და დანარჩენების მოქმედება შესანიშნავია, მაგრამ მე სრულიად არ მანცვიფრებენ. გუშინ ზადიგმა მოიმოქმედა ისეთი რამ, რამაც ნე მეტად გამაკვირვა: რამდენიმე დღის წინათ ჩენი საყვარელი მინისტრი

კორები შევრისხე. მე გაცხარებული ვუჩიოდი მას, და ჩემი კარისკაცები მარწმუნებდნენ, ძალზე ლმობიერი ბრძანლებითო. ყველა ცდილობდა კორებზე ცუდი ელაპარაკნა. ზადიგსაც ვკითხე მისი აზრი და მან კარგის თქმა გაბედა. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენს მატრიანეებში მინახავს მაგალითები, როდესაც საკუთარი ქონებით შეცდომას გამოისყიდდნენ ხოლმე, თმობდნენ საცოლეს, დედას უპირატესობას აძლევენ საყვარლის წინაშე, მაგრამ არსად წამიკითხავს, რომ კარისკაცს ექოს შერისხული მინისტრი, რომლის წინააღმდეგ თვით მეფე ამხედრებულა. მე ვაჩუქებ ოც ათას ოქროს თითოეულ მათგანს, ვისი სულგრძელი მოქმედებაც აქ აღნიშნეს, მაგრამ თასს ზადიგს ვაკუთვნებ“.

— ბატონო ჩემო, — მიმართა მას ზადიგმა, — ეგ თასი მხოლოდ თქვენ გეკუთვნით, რადგან გაუგონარი დიდსულოვნება გამოიჩინეთ, როცა არ დასაჯეთ მონა, რომელმაც თქვენი სურვილის წინააღმდეგ წასვლა გაბედა.

ყველა აღტაცებული იყო მეფითა და ზადიგით. მოსამართლემ, რომელმაც თავისი ქონება დასთმო, შეყვარებულმა, რომელმაც საცოლე თავის მეგობარს შერთო, ჯარისკაცმა, რომელმაც დედა ამჯობინა საყვარელს, მიიღეს მეფის საჩუქარი, და მათი სახელები ჩაწერილ იქნა დიდსულოვანთა წიგნში. ზადიგმა მიიღო თასი. მეფემ კი შეიძინა კეთილი ხელმწიფის სახელი, რომელიც დიდხანს არ შეუნარჩუნებია. ეს დღესასწაული იზეიმეს უფრო ხანგრძლივად, ვიდრე კანონით იყო დაწესებული. აზიაში ჯერ კიდევ ახსოვთ ეს დღე.

ზადიგი ამბობდა: „როგორც იქნა ბედნიერი ვარ!“ მაგრამ სცდებოდა.

## თავი VI

### მ ი ნ ი ს ტ რ ი

მეფემ დაჰკარგა პირველი მინისტრი; მის ადგილას ზადიგი აირჩია. ბაბილონის ყველა ლამაზმანებს ეს არჩევანი მოსწონდათ, რადგან სახელმწიფოს დამკვიდრებიდან ჯერ ასეთი ახალგაზრდა მინისტრი არა ჰყოლიათ. კარისკაცები აღშფოთებულნი იყვნენ; მოშურნე სისხლს ანთხევდა და ცხვირი საშინ-

ლად გაუსივდა. ზადიგმა მეფეს და დედოფალს მადლობა გადაუხადა და აგრეთვე მადლობის სათქმელად თუთიყუშთან წავიდა: „მშვენიერო ფრინველო, — უთხრა მას, — თქვენ გადამარჩინეთ და პირველ მინისტრადაც გამხადეთ. მათი უდიდებულესების ძალმა და ცხენმა დიდი ვნება მომაყენეს, მაგრამ თქვენ კი სიკეთე მიყავით. აი, რაზედ არის დამოკიდებული ადამიანის ბედი! მაგრამ, დასძინა მან, ასეთი უჩვეულო ბედნიერება ალბათ მალე გაჰქრება“. თუთიყუშმა უპასუხა: „დიახ“. ამ სიტყვამ შეაკრთო ზადიგი, მაგრამ რადგანაც იგი კარგი ფიზიკოსი იყო და არა სჯეროდა თუთიყუშების წინასწარმეტყველური ნიჭისა, მალე დამშვიდდა და დიდი მონდომებით ზეჟდგა მინისტრის თანამდებობის შესრულებას. მან ყველას აგრძნობინა კანონების ღვთაებრივი სიძლიერე, მაგრამ საკუთარი ღირსების სიმძიმე არავისთვის უგრძნობინებია. იგი სამდივნოს წევრებს არ ზღუდავდა, და ყოველ გეზირს შეეძლო თავისი აზრი გამოეთქვა ზადიგის რისხვის გამოუწვევლად. როდესაც იგი რაიმე საქმეს არჩევდა, მსაჯულად იყო კანონი და არა თვითონ; მაგრამ თუ კანონი ზედმეტად მკაცრი იყო, ამსუბუქებდა მას, ხოლო თუ კანონი არ იყო საკმარისი, თვითონ ჰქმნიდა ისეთს, რომ ზოროასტრის კანონი გეგონებოდათ.

ერებმა მისგან ისესხეს შემდეგი დიდი კანონი: „სჯობს დამნაშავეს აპატიო, ვიდრე უდანაშაულო დასაჯო“. მას სწამდა, რომ კანონები უფრო მოქალაქეების დასახმარებლად არსებობენ და არა მათ დასაბრკოლებლად. მის ძირითად ნიქს წარმოადგენდა გაშუქება ქეშმარიტებისა, რომლის დაბნელებას ყველა ცდილობს. მან ეს ნიქი თავისი მმართველობის პირველ დღიდანვე გამოიყენა. ერთი ცნობილი ბაბილონელი სოვდაგარი ინდოეთში გარდაიცვალა: მან თავის ორ ვაჟს უანდერძა, რომ მისი სიმდიდრე მათი დის გათხოვების შემდეგ ორ-თანაბარ ნაწილად გაეყოთ. ამის გარდა ოცდაათი ათასი ოქრო დაუტოვა იმ ვაჟს, რომელიც მამის სიყვარულს უფრო მეტად დაამტკიცებდა. უფროსმა ვაჟმა მას აკლდამა აუგო, უმცროსმა თავისი ქონების ნახევარი დის მზითევს მიუმატა; ყველა ამბობდა: „მამა უფროსს მეტად უყვარს, უმცროსს კი — და ოცდაათი ათასი ოქრო უფროსს ეკუთვნის“.

ზადიგმა ორთავე ცალ-ცალკე მოიხზო. მან უთხრა უფროსს:

— თქვენი მამა არ მომკვდარა, იგი განიკურნა ავადმყოფობისაგან და ბაბილონში ბრუნდება.

— მადლობა ღმერთს!..—უპასუხა ჭაბუკმა—ეჰ, რა ძვირად დამიჯდა მისი აკლდამა!

ზადიგმა იგივე უთხრა უმცროსსაც.

— მადლობა ღმერთს!—მიუგო მან, — მე რაც გამაჩნია დაეუბრუნებ მამაჩემს, მაგრამ ნეტავ რაც დას ვაჩუქე, დაუტოვოს მას.

— თქვენ არაფერს დააბრუნებთ,—სთქვა ზადიგმა,—და ოცდაათიათას ოქროსაც მიიღებთ, თქვენ უფრო გყვარებით მამათქვენი.

ერთი ძალიან მდიდარი ასული ერთსა და იმავე დროს ორ მოგვს დაჰპირდა ცოლად გაყოლას. რამდენიმე თვის შემდეგ ორივესგან მიღებული სამოძღვრო სიტყვის შედეგად ქალი ფეხმძიმედ აღმოჩნდა. ორთავეს სურდა მისი შერთვა.

— მე ავირჩიე ქმრად იმას, ვინც საშუალება მომცა სახელმწიფოსთვის ერთი მოქალაქე შემეძინა,—გამოაცხადა ქალმა.

— მე ჩავიდინე ეს კეთილი საქმე,—სთქვა ერთმა.

— ეს დამსახურება მე მეკუთვნის,—გაიძახოდა მეორე.

კეთილი,—უპასუხა ქალმა,—მე ბავშვის მამად მივიჩნევი იმას, ვინც საუკეთესოდ აღზრდის ბავშვს.

ქალს ვაჟი ეყოლა. ორივე მოგვს მისი აღზრდა უნდოდა. საქმე ზადიგამდე მივიდა. მან მოიხზო ისინი:

— რას შეასწავლი შენს აღზრდილს,—ჰკითხა ერთს.

— მე მას ვასწავლი მეტყველების რვა ნაწილს, დიალექტიკას, ასტროლოგიას, დემონომანიას; მე ავუხსნი მას რა არის სუბსტანცია და აქციდენცია;<sup>11</sup> აბსტრაქტული და კონკრეტული, მონადები და წინასწარდადგენილი ჰარმონია.<sup>12</sup>

— მე,—სთქვა მეორემ,—ვეცდები გავხადო იგი სამართლიანი და მეგობრების შეძენის ღირსი.

ზადიგმა წარმოსთქვა:—„ამ ბავშვის მამა ხარ თუ არა, მაინც შენ შეირთავ მის დედას.“

მიდიდიან სასახლეში განუწყვეტლივ მოდიოდა საჩივრები მეფის ნაცვლის ირაქსის შესახებ. ამ დიდებულს არ ჰქონდა ბოროტი გული, მაგრამ პატივმოყვარეობით და ავბორცობით

იყო გაფუჭებული. იგი იშვიათად იტანდა შენიშენას და შელაპარაკებას არავის აპატიებდა. ფარშევანგზე უფრო ამპარტავანი იყო, მტრედზე უფრო ავხორცი და უფრო ზარმაცი, ვიდრე კუ. იგი სულდგმულობდა ამაო დიდებით და ყალბი სიამოვნებით. ზადიგმა მისი გამოსწორება გადასწყვიტა.

მან მეფის სახელით ირაქსს გაუგზავნა ლოტბარი თორმეტი მომღერალით და ოთხი მემუსიკით, მოურავი ექვსი მზარეულით და ოთხი დარბაზის ყრმა, რომლებიც მუდმივ მასთან უნდა ყოფილიყვნენ. მეფის ბრძანებით მკაცრად უნდა დაეცვათ შემდეგი წესი: პირველ დღეს, როგორც კი ირაქსმა გაიღვიძა, მასთან ლოტბარი შევიდა მომღერლებით და მემუსიკეებით; მათ იმდერეს კანტატა, რომელმაც ორ საათს გასტანა, ისე რომ ყოველ სამ წუთში იმეორებდნენ შემდეგ მისამღერს:

„რაოდენ უსახლვროა მისი ღირსება!  
რამდენი სინაზე, რამდენი სიდიადე,  
ოჰ, როგორ უნდა იყოს თქვენი ბრწყინვალემა  
თავისთავით კმაყოფილი მიწიდან-ზეცამდე“.

კანტატის შესრულების შემდეგ დარბაზის ყრმა თხუთმეტი წუთის განმავლობაში ხოტბას ასხამდა ირაქსის იმ კეთილ თვისებებს, რომლებიც მას სინამდვილეში არ გააჩნდა. სიტყვის დამთავრების შემდეგ ირაქსი მუსიკით მიაცილეს მაგიდასთან. სადილმა სამ საათს გასტანა. როგორც კი ირაქსი ბაგეთ გახსნიდა რაიმეს სათქმელად, პირველად დარბაზის ყრმა შესძახებდა: „იგი მართალს იტყვის“. ძლივს წარმოსთქვამდა ოთხ სიტყვას, რომ მეორე დარბაზის ყრმა ყვიროდა: „იგი მართალს ამბობს“. ორი დანარჩენი ხმამაღლა იცინოდნენ ენამახვილ სიტყვებზე, რომელთაც ირაქსი ამბობდა ან უნდა ეთქვა. სადილის შემდეგ კვლავ განუმეორეს კანტატა.

პირველ დღეს ირაქსი აღტაცებული იყო. იგი ფიქრობდა, შეფეთ-მეფე პატივსა სცემს ჩემს ღირსებებსო. მეორე დღეს არ იყო იმდენად ნასიამოვნები. მესამე დღეს ყოველივე ეს მძიმე გახდა მისთვის. მეოთხე დღეს—აუტანელი, მეხუთე დღეს კი—ნამდვილი წამება. ბოლოს იმდენად მოსწყინდა მოსმენა სიმღერის:



„ოჰ, როგორ უნდა იყოს თქვენი ბრწყინვალეობა  
თავისთავით კმაყოფილი მიწიდან-ზეცამდე“.

მოსმენა იმის, რომ იგი ყოველთვის სიზარტლეს ამბობდა და ყოველდღიური მისალმებები ერთსა და იმავე დროს, რომ მან მეუფეს მისწერა სასახლეში, უკან წაიყვანეთ ეს დარბაზის ყრმები, მემუსიკეები და მოურავიო. ჰპირდებოდა—ზომავალში ნაკლებ მედიდური და მეტად გულმოდგინე ვიქნებოო. მართლაც თავი დაანება შექების ძიებას, ზეიმები შეამცირა და თვითონაც უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს; რადგან როგორც სადღერი ამბობს:<sup>13</sup> „მუღმივი განცხრომა ნიშნავს აროდეს განცხრომას“.

## თავი VII

### ბაიპრობანი და აუღინცივაი

ასე ამყლავნებდა ზადიგი ყოველდღე თავის გონების სიზბვილეს და სულის სისპეტაკეს; ყველას უკვირდა მისი და თანაც უყვარდათ; ყველაზე ბედნიერ აღამიანად სთვლიდნენ. მისი სახელი მთელს სახელმწიფოში განთქმული იყო; მანდილოსნები მას თვალს ვერ აშორებდნენ; მოქალაქენი მის სამართლიანობას აღიდებდნენ. მეცნიერნი თავის წინასწარმეტყველად სთვლიდნენ; ქადავნიც კი აღიარებდნენ, რომ მან უფრო მეტი-იცის, ვიდრე ჩვენმა მოგვთა უფროსმა იებორმაო. აზრადაც კი არავის მოსდიოდა მასთან ფასკუნჯებზე ეკამათნა. ყველას სწამდა მხოლოდ ის, რაც მას რწმენის ღირსად მიაჩნდა.

უკვე ათასსუთასი წელია, რაც ბაბილონში გრძელდებოდა კამათი, რომელიც სახელმწიფოს ორ მოწინააღმდეგე სექტად ჰყოფდა. ამათგან ერთი სექტა ამტკიცებდა, რომ მიტრას ტაძარში მარცხენა ფეხით უნდა შესულიყვნენ; მეორე სექტა ამ ჩვეულებას თაკილობდა და მუდამ მარჯვენა ფეხით შედიოდა. წმინდა ცეცხლის საზეიმო დღესასწაულს ელოდნენ, რათა გაეგოთ, თუ რომელი სექტის მფარველი გახდებოდა ზადიგი. მსოფლიოს მის ფეხებზე ეჭირა თვალი, მთელი ქალაქი დელავდა და მოლოდინში იყო. ზადიგი ტაძარში ორივე ფეხით გადახტა და შემდეგ მკვერმეტყველურად დაა-

აბუთა, რომ მიწისა და ზეცის ღმერთი, რომელიც არავის მიეკერძება, უპირატესობას არ ანიჭებს არც მარცხენა და არც მარჯვენა ფეხსო.

მოშურნე და მისი მეუღლე აცხადებდნენ, ზადიგის მკვერმეტყველობა ღარიბია შედარებებით და იგი ადგილიდან არ სძრავს მთებსა და გორაკებსო.

— იგი მშრალია და უნიკო, — ამბობდნენ ისინი, — მას არც ზღვა გაურბის, არც ვარსკვლავებს სწყვეტს ციდან და არც მზე უდნება, როგორც სანთელი. მას აკლია კარგი, აღმოსავლური სტილი.

ზადიგი კმაყოფილდებოდა გონების სტილით. ყველა მხარს უჭერდა მას არა იმიტომ, რომ იგი კარგ გზას ადგა, არა იმიტომ, რომ იგი მართალი იყო, თავაზიანი, არამედ იმიტომ, რომ პირველი მინისტრი იყო.

ასევე ბედნიერად დაამთავრა მან თეთრი და შავი მოგვების განხეთქილება. თეთრები ამტკიცებდნენ, ლოცვის დროს აღმოსავლეთით მიბრუნება ურწმუნობააო; შავები ირწმუნებოდნენ, ღმერთს ეზიზღება დასავლეთით მიბრუნებული მლოცველებიო. ზადიგმა ბრძანა, საითაც სურდათ იქით მიბრუნებულიყვნენ.

ასევე მოახერხა, რომ კერძო და საზოგადოებრივი საქმეები დილით მოეთავებინა, რათა დღის დანარჩენი დრო ბაბილონის გამშვენებებისათვის მოენდომებინა. მან ბრძანა წარმოედგინათ ტრაგედიები, სადაც ტირიან და კომედიები, სადაც იცინიან, რაც დიდი ხანია მივიწყებული იყო და რაც აღადგინა იმიტომ, რომ კარგი გემოვნება ჰქონდა. მსახიობებზე მეტის ცოდნას არ ჩემულობდა და მათ სიქველისა და წარმატების მიხედვით აჯილდოებდა და აროდეს შესშურებია მათი ნიჭი. საღამოობით იგი ართობდა მეფეს და უფრო მეტად დედოფალს. მეფე ამბობდა: „დიდი მინისტრი!“ დედოფალი — „საყვარელი მინისტრი!“

და ორივე დასძენდნენ ხოლმე: — ცოდვა არ იქნებოდა, რომ ჩამოეხრჩოთ?!

არც ერთი მინისტრი არ ყოფილა იძულებული აუდიენცია მიეცა ამდენი ქალისათვის, რამდენსაც ზადიგი აძლევდა. ისინი

უმეტეს ნაწილად მიდიოდნენ ისეთ საქმეზე, რომელიც სინამდვილეში არც კი ჰქონდათ, მაგრამ უნდოდათ კი რომ ჰქონოდათ. მოშურნის ცოლი ერთი პირველთაგანი გამოეცხადა მას; უფიცა ზენდავესტა, ნიტრა და წმინდა ცეცხლი, ჩემი ქმრის მოქმედება მეზიზღებოდაო. შემდეგ გაუმხილა, ჩემი ქმარი იქვიანი და უხეშიაო; ამიტომ ღმერთებმა დასაჯეს იგი და უარი უთხრეს წმინდა ცეცხლის ძვირფას საჩუქრებზე, რომლითაც კაცი უკვდავის მსგავსი ხდებაო. ბოლოს თავისი წვივსაკრავი განვებ იატაკზე დააგდო. ზადიგმა იგი ჩვეული თავაზიანობით აიღო, მაგრამ მუხლზე არ შეაბა ქალს; ეს პატარა შეცდომა, თუ ეს შეცდომად ჩაითვლება, საშინელი უბედურების მიზეზი გახდა. ზადიგს არც უფიქრია ამაზე, მოშურნეს მეუღლე კი ბევრს ფიქრობდა. ყოველდღე მოდიოდნენ სხვადასხვა მანდილოსანნი. ბაბილონის საიდუმლო ქრონიკები იუწყებიან, რომ მან ერთხელ თავი ვერ შეიკავა, მაგრამ ძლიერ გაკვირვებული დარჩა, როდესაც ეს სიამოვნება ვნებათა ღელვის გარეშე მიიღო და საყვარელს ეხვეოდა ისე, რომ არც ფიქრობდა მასზე. ქალი, რომელსაც მან უნებურად მიაქცია ყურადღება, დედოფალი ასტარტეს ერთ-ერთი სეფექალთაგანი იყო. ეს ნაზი ბაბილონელი დიაცი ამ სიტყვებით იმშვიდებდა თავს:—ამ ადამიანს ალბათ იმდენი საქმე უტრიალებს თავში, რომ განცხრომის დროსაც მათზე ფიქრობს. ერთ-ერთ ისეთ წუთს, როდესაც ზოგნი არაფერს ამბობენ, ზოგიერთნი კი მხოლოდ უზენაეს სიტყვებს წარმოსთქვამენ, ზადიგმა უეცრად წამოიძახა—დედოფალი!

ბაბილონელ დიაცს ეგონა, ზადიგი როგორც იქნა გრძნობაზე მოვიდა და მას ეუბნებოდა—ჩემო დედოფალოო!—მაგრამ გონებაარეულმა ზადიგმა ასტარტეს სახელი წარმოითქვა. ქალი თავის ბედნიერ მდგომარეობის გამო ყველაფერს თავის თავზე იღებდა და ახლაც წარმოიდგინა, რომ ეს ნიშნავდა: „თქვენ დედოფალ ასტარტეზე მშვენიერი ხართ!“ იგი ზადიგის სერალიდან ძვირფასი საჩუქრებით გამოვიდა და ამ ამბის მოსაყოლად წავიდა მოშურნეს მეუღლესთან, რომელიც მისი ახლობელი მეგობარი იყო. ეს უკანასკნელი მეგობრის უპირატესობით ძლიერ შეურაცხყოფილი დარჩა:—მე ღირსიც არ

გამხადა შეეკრა წვივსაკრავი, რომელიც აღარც კი მინდა ვატარო,—სთქვა მან.

— ოჰ!—უთხრა ბედნიერმა ქალმა შურიანს,—თქვენ ისეთივე წვივსაკრავს ატარებთ, როგორც დედოფალი. ალბათ ერთსადაიგივე ხელოსან ქალს შეუკვეთეთ.

შურიანი ღრმად ჩაფიქრდა და არაფერი უპასუხა. იგი მოშურნე ქმარს რჩევისთვის ეახლა.

ამასობაში ზადიგმა შეამჩნია, რომ აუდიენციისა და გასამართლების დროს გულისყურა ყოველთვის დაბნეული ჰქონდა. ეს იყო მისი ერთადერთი ჯავრი და არ იცოდა, რითი აეხსნა იგი.

— მან ნახა სიზმარი: ჯერ მოეჩვენა, რომ იწვა გამხმარ ბალახზე, რომელშიაც ეკლებიც ერია და მას სჩხვლეტდნენ, შემდეგ განცხრომით ისვენებდა ვარდების საწოლზე, საიდანაც გველი გამოსრილდა და თავისი ბასრი და შხამიანი ნესტარით გული დაუგესლა.

— ვაი,—სთქვა მან,—მე დიდხანს ვიწეკი გამხმარ და ეკლიან ბალახზე, ახლა ვარდების საწოლზე ვწევარ; ნეტავ ვინ იქნება გველი?

## თავი VIII

### ი ზ მ ი

ზადიგის უბედურების მიზეზი მისივე ბედნიერება იყო და უფრო ნეტად მისი ღირსება. ყოველდღე საუბრობდა იგი მეფესთან და მის უდიდებულეს მეუღლესთან. ზადიგის საუბრის მომხიბვლელობა ორკეცდებოდა მოწონების სურვილის, რომელიც გონებისათვის იგივეა, რაც მორთულობა სილამაზისათვის.

ზადიგის ახალგაზრდობამ და სინატიფემ გავლენა მოახდინა ასტარტეზე, რასაც ქალი პირველად ვერ ამჩნევდა. მისი გრძნობა იზრდებოდა უმანკოების წიაღში. ასტარტე უშიშრად და დაუეჭვებლად მიენდო სიამოვნებას, ემზირა და მოესმინა კაცისათვის, რომელიც ძვირფასი იყო სახელმწიფოსთვის და მისი ქმრისთვის. ქალი განუწყვეტლივ აქებდა მას მეფესთან,

ლაპარაკობდა მასზე სეფე-ქალებთან, რომლებიც კიდევ უფრო აზვიადებდნენ ამ შექებას. ყველაფერი ეს ემსახურებოდა ჯერ კიდევ იდუმალი გრძნობის გაღრმავებას. დედოფალი ზადიგს ასაჩუქრებდა, რითაც უფრო მეტს თავაზიანობას ამჟღავნებდა, ვიდრე თვითონ ფიქრობდა. მას სწამდა, რომ ზადიგს ელაპარაკებოდა როგორც ქვეშევრდომით კმაყოფილი დედოფალი, მაგრამ ხანდახან მისი სიტყვები შეყვარებული ქალის სიტყვებსა ჰგავდა.

ასტარტე უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე სემირი, რომელსაც ასე ძალიან ეჯავრებოდა ცალთვალა ხალხი, და ვიდრე ის ქალი, რომელმაც თავის ქმარს ცხვირის მოჭრა მოუწოდოდა. ასტარტეს შეგობრობამ, მისმა ნაზმა საუბარმა, რომლისგანაც თვითონ წითლდებოდა, ნისმა შემოხედვამ, რომელიც უნებლიედ ვაჟისადმი იყო მიმართული, ზადიგის გულში აღანთო კოცონი, რომელიც თვითონვე მას აკვირვებდა. იგი თავის გრძნობას შეებრძოლა: მოიშველია ფილოსოფია, ისე ხშირად რომ დახმარებია; მისგან მხოლოდ განმარტება მიიღო, მაგრამ არავითარი ნუგეში: მოვალეობა, მადლიერება, შეურაცხყოფილი კეთილშობილი, მეფე ეკხადებოდნენ თვალწინ, როგორც შურისმაძიებელი ღმერთები. იგი იბრძოდა და იმარჯვებდა; მაგრამ ეს გამარჯვებანი, რომელნიც ყოველ წუთს უნდა მოეპოვებინა, ბევრ კენესად და ცრემლად უღირდა. იგი ვეღარ ბედავდა დედოფალთან საუბარს იმ მშვიდი თავისუფლებით, რომელსაც ესოდენი მიმზიდველობა ჰქონდა ორივესათვის. მისი თვალები ღრუბლებით იფარებოდნენ; მისი საუბარი ნაძალადევი იყო და უთაღბლო. იგი დახრიდა ხოლმე თვალებს, მაგრამ ხანდახან მისი შემოხედვა უნებლიეთ შეეფეთებოდა ასტარტეს ანთებულ, ცრემლიან თვალებს; თითქოს ურთიერთს ეუბნებოდნენ: „ჩვენ ერთმანეთს ვაღმერთებთ და გვეშინია სიყვარულის; ჩვენ ვიწვით იმ ცეცხლით, რომელსაც ჩვენ თვითონ ვკიცხავთ“.

ზადიგი დაბნეული, აღელვებული გამოდიოდა მისგან, აუტანელი ტვირთით დამძიმებული გულით. მძაფრი აღელვების დროს მან ისე გაანდო თავისი საიდუმლოება მეგობარს, კადორს, როგორც კაცმა, რომელიც დიდხანს ითმენდა წუთი-

სოფლის სიმუხთლეს და ბოლოს ყვირილით გასცა თავის-  
თავი; ყვირილით, რომელიც გამოიწვია მწვავე ტკივილებმა  
და შუბლზე ჩამოდენილმა ციემა ოფლმა. კადორმა უთხრა:  
„მე დიდხანია გამოვიცანი ის გრძნობა, რომელსაც თქვენ  
თქვენს თავსაც კი უმაღვლით. გრძნობას აქვს ნიშაები,  
რომელთა მიხედვით არ შეიძლება შეცდე. განსაჯე, ძვირფა-  
სო ზადიგ, თუ მე ამოვიკითხე თქვენს გულში, რატომ არ  
შეიძლება მეფემაც აღმოაჩინოს ის გრძნობა, რომელიც  
შეურაცხყოფას მიაყენებს. მას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს—  
მეღისმეტად ეჭვიანია. თქვენ უფრო დაიმორჩილებთ თქვენს  
გრძნობას, ვიდრე დედოფალი, რადგან თქვენ ხართ ფილო-  
სოფოსი, თქვენ ხართ ზადიგი, ხოლო ასტარტე ქალია; მისი  
თვალები ბევრს ლაპარაკობენ, რადგან იგი თავს დამნაშავედ  
არ სთვლის. საუბედუროდ, თავის უდანაშაულობით დამწვი-  
დებული, იგი უყურადღებოდ სტოვებს თავის მოქცევის გარე-  
გან მხარეს. მე ძლიერ მაშინებს მისი ბედი, სანამ იგი უდანა-  
შაულოა. თქვენ რომ დაახლოვდეთ, ყველას აუხვევთ თვალებს.  
აწლადღაბადებული და დათრგუნეილი ვნება გამოჩნდება; დაკ-  
მაყოფილებულმა ვნებამ კი დანალვა იცის“.

ზადიგი შეკრთა, როცა გაიფიქრა, რომ თავისი კეთილის-  
მყოფელი მეფისათვის უნდა ელაღატნა; და აროდეს არ ყო-  
ფილა იგი. ისე ერთგული თავისი ხელმწიფისა, როგორც ეხლა,  
როდესაც თავს დამნაშავედ გრძნობდა ამ უნებურ დანაშა-  
ულში. მიუხედავად ამისა, დედოფალი ისევე ხშირად წითლდე-  
ბოდა ზადიგის სახელის წარმოთქმისას, ხან გამოცოცხლდე-  
ბოდა, ხან კიდევ დარცხენილი იყო, როდესაც მასთან ლაპა-  
რაკობდა მეფის წინაშე; მისი წასვლის შემდეგ კი ისე ღრმა  
ფიქრებს მისცემდა ხოლმე თავს, რომ მეფე შეძრწუნდა. მას  
სჯეროდა, რასაც ხედავდა და წარმოიდგენდა ხოლმე, რასაც  
არ ხედავდა; განსაკუთრებით შეამჩნია, რომ მის მეუღლესაც  
ცისფერი მაშიები ეცვა და ზადიგსაც ცისფერი ფეხსაცმელები  
ჰქონდა; დედოფალი ყვითელ ბაფთებს ატარებდა, ხოლო ზა-  
დიგი ყვითელ ქუდს. ყველაფერი ეს საშინელი ნიშნები იყვნენ  
მიზეზიანი მონარქისათვის. მისი გაღიზიანებული გონებისათვის  
გუმანი სინამდვილედ იქცა.

მეფისა და დედოფლის მონები ერთდამავე დროს მათი აზრების ჯაშუშებიც არიან. მალე მიხვდნენ ისინი, რომ ასტარტე წყვარებული იყო, ხოლო მოაბდარი ექვიანობდა. მოშურნემ ურჩია ცოლს, გაეგზავნა მეფისათვის წვივსაკრავი, რომელიც დედოფლისას ჰგავდა. უბედურებას ისიც დაეროო, რომ წვივსაკრავი ცისფერი იყო. ამის შემდეგ ხელმწიფე მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობდა. მან გადასწყვიტა ღამით მოეწამლა დედოფალი, ხოლო განთიადისას ზადიგი დაეხრჩო. ეს ბრძანება მისცა ერთ შეუბრალებელ საჭურისს; მეფის შურისძიებათა აღმასრულებელს. მეფის ოთახში ამ საუბარს ესწრებოდა ერთი ჯუჯაც, რომელიც მუნჯი იყო, მაგრამ არა ყრუ. მას ყველგან უშვებდნენ და იგი, შინაური ცხოველივით, მოწმე იყო ყველა საიდუმლო საქმეებისა. ეს პატარა მუნჯი ძალიან შეთვისებული იყო დედოფალთან და ზადიგთან. მან ძიწოლივით და გაკვირვებით მოისმინა მათი მკვლელობისთვის გაცემული ბრძანება. მაგრამ, როგორ შეატყობინოს მათ ეს საშინელი განკარგულება, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ უნდა შესრულდეს? მან წერა არ იცოდა, მაგრამ დიდი მიმსგავსებით ხატავდა. მთელი ღამე იმის ხატვაში გაატარა, რაც დედოფლისთვის უნდოდა შეეტყობინებია. მისი სურათის ერთ კუთხეში გამოყვანილი იყო აღმფოთებული მეფე, რომელიც ბრძანებას აძლევდა თავის საჭურისს; შემდეგ, მაგიდაზე — ცისფერი ზონარი, წვივსაკრავები და ყვითელი ბაფთა. შუა სურათზე — ქალების მკლავზე დასვენებული მომაკვდავი დედოფალი და მის ფეხებთან — დამხრჩვეალი ზადიგი. ჰორიზონტზე გამოხატული იყო მზის ამოსვლა, რაიცა აღნიშნავდა, რომ ეს საშინელი დასჯა განთიადისას უნდა მომხდარიყო.

როგორც კი თავისი სამუშაო გაათავა, იგი გაიქცა ასტარტეს ერთ-ერთ სეფე-ქალთან, გააღვიძა და მიახვედრა, რომ მას იმ წუთშივე წაეღო ეს სურათი დედოფალთან.

შუალამისას ზადიგის კარებზე აკაკუნებენ. აღვიძებენ მას და აძლევენ დედოფლის წერილს. ექვობს, სინმარი ჰკონია. აკანკალებული ხელით ხსნის ბარათს. როგორი იყო მისი განცვიფრება, რა გამოხატავს მის აღმფოთებას და სასოწარკვეთას, როდესაც წაიკითხა:

„დაუყოვნებლივ გაიქცით, თორემ ზოგისპობენ სიცოცხლეს. გაიქცით, ზადიგ, მე ამას გიბრძანებთ ჩვენი სიყვარულისა და ჩემი ყვითელი ბაფთების სახელით. მე არ ვიყავი დამნაშავე, მაგრამ ვგრძნობ, რომ მოვკვდები როგორც ბოროტმოქმედი“.

ზადიგი ძლივს ლაპარაკობდა. ბრძანა მოეყვანათ კადორი და მას უსიტყვოდ გადასცა წერილი. კადორმა ძალით შთა-აგონა დამორჩილებოდა დედოფალს და მემფისს გამგზავრე-ბულიყო.

— „თუ თქვენ წახვალთ დედოფალთან, ამით დააჩქარებთ მის სიკვდილს; თუ თქვენ დაიწყებთ მეფესთან ლაპარაკს, მაინც დალუპავთ დედოფალს. მე ვიზრუნებ მის ბედზე. ხმას გავავრცელებ, რომ ინდოეთში წახვედით. მალე გნახავთ და შეგატყობინებთ, რაც ბაბილონში ნახდება“.

კადორმა დაუყოვნებლივ უბრძანა მოემზადებიათ სასახლის საიდუმლო კარებთან ორი ყველაზე სწრაფი აქლემი. ერთ-ერთზე შესვა ზადიგი, რომელიც ხელით გამოიყვანეს, რადგან სიკვდილის პირად იყო მისული. მხოლოდ ერთმა მსახურმა გააცილა იგი; და მალე კადორმა, განცვიფრებით და მწუხარებით გაოგნებულმა, თვალთაგან დაჰკარგა თავისი მეგობარი.

სახელოვანი ლტოლვილი ავიდა ერთ-ერთ გორაკის თხემზე. საიდანაც ბაბილონი მოჩანდა, მიაჩერდა დედოფლის სასახლეს და გული შეუწუხდა. გრძნობაზე მოსულმა ბევრი ცრემლი დაღვარა და სიკვდილი ინატრა. ბოლოს, როდესაც გამოიტირა ქალთა შორის ყველაზე უფრო მომხიბვლელის და ქვეყნის დედოფალთა შორის უკეთესის ბედი, გონს მოვიდა და წამოიძახა:

— „რაღა ადამიანის ცხოვრება! ო, სათნოებავ! რისთვის მემსახურე? ორმა ქალმა უღარესად მომატყუილა; ხოლო მესამე, უღანაშაულო, რომელიც იმ ორ ქალზე უფრო მშვენიერია, უნდა მოკვდეს. ჩემი კეთილი საქმეები ყოველთვის ჩემი უბედურების წყარო იყო, და დიდ სიმაღლეზე ავდიოდი მხოლოდ იმისთვის, რომ ჩავვარდნილიყავი განსაცდელის უსაშინელეს უფსკრულში. მე სხვებივით ბოროტი რომ ვყოფილიყავ, მათსავით ბედნიერი ვიქნებოდი“.



ამ შავი ფიქრებით გატანჯულმა, მწუხარებ, სევდიანი თვლებით, მკვდრის ფერი სახით და სასოწარკვეთილი სულით, მან განაგრძო მოგზაურობა ეგვიპტისაკენ.

## თავი IX

### ნაცემი ქალი

ზადიგმა თავისი გზა ვარსკვლავების მიხედვით წარმართა. ორიონის თანავარსკვლავედმა და ბრწყინვალე მნათობმა სირიუსმა კანოპის ბქემდე მიიყვანეს. იგი აღტაცებული იყო ამ ვეებერთელა მნათობელი სფეროებით, რომლებიც ჩვენს თვალში სუსტ ნაპერწკლებად გვეჩვენება, მაშინ, როდესაც დედამიწა, რომელიც სინამდვილეში სამყაროს უმნიშვნელო წერტილს წარმოადგენს, რაღაც დიად და კეთილშობილად მოჩანს.

ზადიგმა ხალხი წარმოიდგინა ისე, როგორც არიან სინამდვილეში, — მწერებად, რომლებიც ტალახის პატარა ატომზე ერთმანეთს ქაშენ. ამ ჭეშმარიტმა სურათმა თითქოს გააქარვა მისი მწუხარება, მოაგონა თავისი არსების არარაობა და არარაობა ბაბილონისა. მისი სული, სხეულს მოწყვეტილი, უსაზღვრობაში გადავარდა და სამყაროს უცვლელ წესრიგს კერეტდა. მაგრამ, როგორც კი დაუბრუნდებოდა თავისთავს და გრძნობებს, როდესაც წარმოიდგენდა, რომ ასტარტე ჩემი მიზეზით ალბათ მკვდარიყო, — სამყაროც იკარგებოდა მის თვალთაგან და ის ხედავდა მხოლოდ მომაკვდავ დედოფალს და უბედურ ზადიგს.

ამ ამბულბული ფილოსოფიის და მტანჯველი მწუხარების მიმოქცევაში გადავარდნილი, იგი უახლოვდებოდა ეგვიპტის საზღვრებს; მისი ერთგული მსახური უკვე წასული იყო მახლობელ პატარა სოფელში ბინის საშოვნელად, ზადიგი კი დასეირნობდა ბაღში, რომელიც გარსერტყა ამ სოფელს. შარაგზის პირას მან დაინახა ატირებული ქალი, რომელიც ცასა და მიწას საშველად უხმობდა; მას გაშმაგებული მოსდევდა კაცი, რომელიც უკვე დაეწია ქალს. ქალი ჩაუვარდა

ფეხებში და პატიებას სთხოვდა, მაგრამ კაცმა დაუწყო ცემა და ლანძღვა. ეგვიპტელის გაშმაგებამ და ქალის განუწყვეტელმა მუდარამ, რომლითაც მიმართაედა გონებადაკარგულ ეგვიპტელს, ზადიგი დაარწმუნა, რომ ერთი ექვიანი იყო, ხოლო მეორე—მოლაღატე.

იგი დააკვირდა ქალს, რომელიც მომხიბვლელი სილამაზისა იყო და ოდნავ ჰგავდა უბედურ ასტარტეს, იგრძნო სიბრაღული ქალისადმი და სიძულვილი ეგვიპტელისადმი.

— „ნიშველეთ,—დაიძახა ქალმა ქვეთინით,—გამომგლიჯეთ ამ საშინელი ბარბაროსის ხელიდან; გადამარჩინეთ სიკვდილს“.

ამ ძახილზე ზადიგმა მიიღბინა მათთან და შუა ჩაუვარდა. მან ცოტათი იცოდა ეგვიპტური ენა და ამ ენაზე მიმართა კაცს:

— „თუ ოდნავი ადამიანობა გაქვთ, შეიწყნარეთ სილამაზე და სისუსტე. როგორ შეგიძლიათ ასე შეურაცხყოთ ბუნების წმენიერი ქმნილება, რომელიც თქვენს ფერხთქვეშაა და რომელსაც თავის დასაცავად ცრემლების გარდა არაფერი გააჩნია“.

— „აჰა,—წამოიძახა გაშმაგებულმა ეგვიპტელმა,—მაშ შენც გიყვარს იგი! შენზე ვიძიებ შურს!“

ამის თქმისთანავე იგი უმალ სტოვებს ქალს, რომლისთვისაც ცალი ხელი თნებში ჰქონდა ჩავლებული, იღებს შუბს და სურს იმით განგმიროს უცხოელი. ზადიგი გულგრილად დახედა მას და ამიტომ ადვილად აიცდინა ამ გაშმაგებულ კაცის დარტყმა; ზადიგმა ხელი სტაცა შუბის რკინის ბუნიკს. ერთს უნდოდა შუბი გამოეგლიჯა, მეორეს—აეცილებინა. შუბი გადატყდა მათ ხელებში. ეგვიპტელი იღებს მახვილს; ზადიგიც იღებს თავისას. ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს. ერთის მრავალ აჩქარებულ დარტყმებს მეორე მოხერხებულად აიცდენს. ბელტზე ჩამომჯდარი ქალი თმებს ისწორებს და უყურებს მათ.

ეგვიპტელი თავის მოწინააღმდეგესთან შედარებით უფრო ძლიერი იყო, ზადიგი კი უფრო მოხერხებული. ერთი იბრძოდა ისე, როგორც ადამიანი, რომლის მკლავებს თავი ამოქმედებს, მეორე, როგორც ფიცხი, რომლის ბრმა სიბრაზე ისე მარ-

თავს მის მოძრაობებს, როგორც მოხვდებოდა. ზადიგი სჯობნის ეგვიპტელს, განაიარაღებს და, როდესაც უფრო მეტად გაშ-  
მაგებულ ეგვიპტელს სურს კვლავ მივარდეს,—ლაიკერს,  
მოკრუნჩხავს, დაადებს მიწაზე და თან მკერდთან მახვილს  
მიუტანს. იგი მას ჰპირდება სიცოცხლის შენარჩუნებას, მაგ-  
რამ გაანჩხლებული ეგვიპტელი ამოიღებს ხმალს და დასკრის  
ზადიგს იმ დროს, როდესაც გამარჯვებული დამარცხებულს  
პატიებას ჰპირდებოდა. აღშფოთებული ზადიგი მახვილს  
მკერდში ჩაურჭობს. ეგვიპტელი ამოუშვებს საშინელ ყვირილს  
და კრუნჩხვით კედება. ზადიგი მიუახლოვდება ქალს და  
მორჩილად ეუბნება:

— „მან მაიძულა მომეკლა. მე შური ვიძიე თქვენს მავივრად.  
თქვენ განთავისუფლებული ხართ ისეთი ბრაზიანი კაცისაგან,  
როგორიც აროდეს მინახავს ცხოვრებაში. რა გნებავთ ახლა  
ჩემგან, ქალბატონო?“

— „მინდა რომ მოკვდე, არამზადავ,—მიუგო ქალმა,—მინდა  
რომ მოკვდე. შენ ჩემი საყვარელი მოჰკალი, სიამოვნებით  
გაგიბობდი გულს!“

— „თქვენ მართლაც და უცნაური სატრფო გყოლიათ  
ქალბატონო,—უთხრა ზადიგმა,—იგი თქვენ მთელი თავისი  
ძალდონით გცემდათ და სურდა ჩემი მოკვლა, რადგან თქვენ  
დახმარება მახოვეთ.“

— „ნეტავ კვლავ ეცემნა,—ატირდა ქალი,—ღირსი ვიყავი,  
მე წასწი ეჭვს ვიწვევდი. ოჰ, ზეცამ შესძლოს და ისევ მას  
ჩემი თავი აცემინოს, ხოლო მის ძაგვირად შენ მოკვდე...“

ზადიგმა, გაკვირვებულმა და გაბრაზებულმა, როგორც  
არასოდეს ცხოვრებაში, მას უთხრა:

— „ქალბატონო, მიუხედავად თქვენი მშვენიერებისა, ღირსი  
ხართ მეც გცემოთ, იმდენად ქარაუშუტა ყოფილხართ; მაგრამ  
ამისთვის თავს არ შევიწუხებ.“

იგი შეჯდა აქლემზე და სოფლისკენ გზას გაუდგა.

ძლივს მოასწრო რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა, რომ ოთხი  
ბაბილონელი მღვერის ხმაურზე მობრუნდა. ისინი მთელი ძალ-  
დონით მოაქენებდნენ ცხენებს. ერთმა მათგანმა ქალის დანა-  
ხვაზე შესძახა:

— „ეგ არის; იმ სურათსა ჰგავს, ჩვენ რომ აგვიწერეს“. მათ არ მიაქციეს არავითარი ყურადღება ცხედარს და ხელი ჩასქიდეს ქალს, რომელიც განუწყვეტლივ უყვიროდა ზადიგს:

— „ერთხელ კიდევ დამეხმარე სულგრძელო უცხოელო; ბოდიშს ვიხდი საყვედურებისათვის. მიშველეთ და თქვენი ვიქნები საფლავამდე“. მაგრამ ზადიგს უკვე ხალისი დაეკარგა კვლავ გაემართა ბრძოლა ამ ქალისათვის.

— „სხვებს მიმართეთ,—უპასუხა მან,—მე ველარ მომატყუებთ“. ამას გარდა იგი დაჭრილიც იყო, სისხლი სდიოდა და ოვითონ სკირდებოდა დახმარება. ოთხი ბაბილონელის დანახვამ, რომელნიც ალბათ მეფე მოაზდარის მიერ იყვნენ გამოგზავნილი, ძალიან აღელვა იგი. აჩქარებით მიუახლოვდა სოფელს; უკვირდა, რისთვის დაიჭირა ეს ეგვიპტელი ქალი ოთხმა მღვდარმაო და კიდევ უფრო განცვიფრებული. იყო ამ ქალის ხასიათით.

## თავი X

### მონობა

როდესაც ზადიგი შევიდა ეგვიპტის სოფელში; მას გარშემო-ერტყა ხალხის ბრბო ყვირილით:

— „აი, ამან მოიტაცა მშვენიერი მისუფე და ეს-ეს არის კლეტოფისი მოჰკლა!“

— „ბატონებო,—სთქვა ზადიგმა,—ღმერთმა მაშოროს თქვენი მშვენიერი მისუფე: იგი მეტად ჭირვეული ქალია. რაც შეეხება კლეტოფისს, მე იგი კი არ მოგკალი, თავი დავიცავი მისგან. მას უნდოდა ჩემი მოკვლა, რადგანაც ძალიან ზრდილობიანად ვთხოვე შეწყნარება მშვენიერი მისუფესი, რომელსაც იგი შეუბრალებლად სცემდა. მე უცხოელი ვარ; ეგვიპტეში ვეძებ თავშესაფარს და ახირებული იქნებოდა ქალის მოტაცებით და კაცის მოკვლით დამეწყო მფარველობის ძებნა“.

მაშინდელი ეგვიპტელები სამართლიანნი და ადამიანურნი იყვნენ. ხალხმა ზადიგი წაიყვანა ქალაქის სამმართველოში. ჯერ შეუხვიეს კრილობა და შემდეგ მას და მის მსახურს დაუწყეს ცალ-ცალკე გამოკითხვა, რათა სიმართლე გაეგოთ.

ზადიგი არ მიიჩნის მკვლელად, მაგრამ მან კაცის სისხლი დაღვარა და ამიტომ კანონმა მას მონობა მიუსაჯა. მისი ორი აქლემი სოფლის სასარგებლოდ გაჰყიდეს და მთელი ოქრო, რაც თან ჰქონდა, მცხოვრებლებს გაუნაწილეს. თვითონ კი თავისი თანამგზავრითურთ მოედანზე გასასყიდად გამოიყვანეს.

ერთმა არაბმა ვაჭარმა, სახელად სეტოკმა, იყიდა ისინი საჯარო ვაჭრობით; მსახური, როგორც უფრო ამტანი, პატრონზე მეტ ფასად გაიყიდა, მათ შორის სხვა განსჯავებას ვერაფერს ამჩნევდა. ზადიგი ხელქვეითი გახდა თავისი მსახურისა. მათ ფეხებში ბორკილი გაუყარეს და ერთმანეთზე გადაჯაჭვეს. ასეთ მდგომარეობაში არაბ ვაჭარს შინისაკენ გაჰყვინენ. გზაზე ზადიგი თავის მსახურს ამშვიდებდა და მოთმინებას ურჩევდა. მაგრამ ჩვეულების მიხედვით იგი ადამიანის ცხოვრებაზეც ფიქრობდა: „მე ვხედავ, — ეუბნებოდა მსახურს, — რომ ჩემი უბედურება შენზედაც ვრცელდება. აქამდე ჩემი ცხოვრება უცნაურად ეწყობოდა. მე დამაჯარიმეს იმიტომ, რომ ძალი დავინახე; ლამის სარზე ჩამომაცვეს ფასკუნჯისათვის; მომისაჯეს სიკვდილით დასჯა იმიტომ, რომ მეფეზე ხოტბა დავწერე; ლამის ჩამომახრჩეს, რაკი დედოფალს ყვითელი ბაფთები ჰქონდა; და აი, ახლაც მონა ვარ შენთან ერთად, იმიტომ რომ ვილაც მხეცმა საყვარელს სცემა. მაგრამ ნუ დავკარგავთ იმედს, ყველაფერს ამას ალბათ ბოლო მოვლდება. აუცილებელია, რომ არაბ ვაჭრებს ჰყავდეთ მონები და რატომ არ უნდა ვიყო მეც სხვებსავე მათი მონა, რაკი მეც სხვების მსგავსად ადამიანი ვარ. ეს ვაჭარი არ იქნება შეუბრალებელი; თუ მას უნდა, რომ მონებმა კარგად იმუშაონ, იგი მათ ცუდად არ მოექცევა“.

ასე ლაპარაკობდა იგი, მაგრამ გულში მაინც ბაბილონის დედოფლის ბედზე ფიქრობდა. ვაჭარი სეტოკი ორი დღის შემდეგ არაბეთის უდაბნოში წავიდა მონებით და აქლემებით. მისი ტომი უდაბნო ხორების ახლოს ცხოვრობდა. გზა გრძელი იყო და ძნელი. გზაზე სეტოკი მსახურს უფრო უფროთხილდებოდა, ვიდრე პატრონს, რადგანაც პირველი უკეთესად ტვირთავდა აქლემებს, და ამიტომაც ყოველი მცირე შეღავათიც მას მისცა. ხორებიდან ორი დღის სავალზე მოკვდა

ერთი აქლემი. მისი საპალნე ყველა მონის ზურგზე გაანაწილეს. ზადიგსაც შეხვდა თავისი წილი. სეტოკი იცინოდა, როდესაც უტკეროდა მოკაკულ მონებს. ზადიგმა გაბედა და აუხსნა, რისგან იყო ეს გამოწვეული და უამბო წონასწორობის კანონები. გაკვირვებულმა ვაქარმა სხვა თვალთ დაუწყყო მას ცქერა. ზადიგმა შეამჩნია მისი განცვიფრება და გააორკეცა იგი, როდესაც უამბო ბევრი ისეთი რამ, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა მისი ვაჭრობისათვის. მან უამბო ლითონების და თანაბარი მოცულობის საქონლის კუთრი წონის შესახებ; გამოსადეგ ცხოველთა თვისებებზე და იმ საშუალებებზე, რომლითაც შეიძლება იმის გამოყენება, რაც გამოუსადეგარია. ერთი სიტყვით, ვაქარს იგი წარუდგა როგორც ბრძენი. სეტოკმა უპირატესობა მისცა. მას ამხანაგთა შორის, კარგად მოექცა და არც ჰქონდა შემდეგ საბაბი სინანულისთვის. მივიდა თუ არა თავის ტრ?თან, სეტოკმა მოსთხოვა ერთ ებრაელს ხუთასი უნკა ვერცხლი, რომელიც მიეცა მისთვის ორი მოწმის თანდასწრებით, მაგრამ რადგანაც ორივე მოწმე გარდაცვლილიყო, ებრაელს აღარ ეშინოდა დამარცხების და უარს ამბობდა ვაჭრისათვის ფულის გადახდაზე. თან უმაღლოდა ღმერთს, რომ საშუალება მოეცა მოეტყუებინა არაბი. სეტოკმა თავისი გასაჭირი გაანდო ზადიგს, რომელსაც იგი ხშირად რჩევისთვის მიმართავდა.

— „რა ადგილას მიეცით იმ პირის გამტებს ხუთასი უნკა?“ — ჰკითხა ზადიგმა.

— „ბრტყელ ქვაზე, რომელიც ხორების მთის ახლოს არის“ — მიუგო ვაქარმა.

— „როგორი ხასიათი აქვს თქვენს მოვალეს?“ — იკითხა ზადიგმა.

— „იგი თაღლითია“, — სთქვა სეტოკმა.

— „მე თქვენ გეკითხებით: — ფიცხია თუ გულგრილი; ფრთხილია თუ არა?“

— „ყველაზე ცუდია მოვალეებს შორის; ფიცხია, როგორც არავინ“, — მიუგო სეტოკმა.

— „კარგი, — სთქვა ზადიგმა, — ნება მომეცით თქვენი საჩივარი დავიცვა სასამართლოში“.

მართლაც, მან ებრაელი სასამართლოში გამოიწვია და ასე მიმართა მოსამართლეს:

— „სამართლის ტახტის ბალიშო! ჩემი ბატონის სახელით მე მოვითხოვ ამ კაცისაგან ხუთასი უნკას გადახდას, რაზედაც იგი უარს ამბობს“.

— „გყავთ მოწმეები?“—ჰკითხა მოსამართლემ.

— „არა, ისინი გარდაიცვალნენ, მაგრამ დარჩა გრძელი ქვა, რომელზედაც ფული დასთვალეს. თუ თქვენი აღმატებულება უბრძანებს, რომ ქვა მოიტანონ, მე მგონია, იგი დაგვემოწმება. ებრაელი და მე აქ დავრჩებით ქვის მოტანაზე, ხოლო დანახარჯს ქვის მოტანისათვის გადაიხდის ჩემი ბატონი სეტოკი“.

— „სიამოვნებით“—სთქვა მოსამართლემ და გადავიდა სხვა საქმის გარჩევაზე. სხდომის დამთავრებისას მოსამართლემ ჰკითხა ზადიგს:

— „აბა! თქვენი ქვა კიდევ არ მოსულა?“

ებრაელმა სიცილით უპასუხა:

— „თუნდ თქვენი აღმატებულება აქ ხელამდე დარჩეს, ქვას მაინც ვერ მოიტანენ, რადგანაც იგი აქედან ექვსი მილითაა დაშორებული და თხუთმეტი კაცია საჭირო მის დასაძრავად“.

— „ძალიან კარგი, — წამოიძახა ზადიგმა, — მე ხომ გითხარით, რომ ქვა ჩვენ სასარგებლოდ დაამოწმებს მეთქი, რადგანაც ამ კაცმა იცის, სად იმყოფება ქვა, ამით ის აღიარებს რომ მასზე იყო დათვლილი ფული“.

დაბნეული ებრაელი იძულებული გახდა მალე ყველაფერი ელიარებინა. მოსამართლემ ბრძანა მიეჯავათ იგი ქვაზე, არც საქმელი მიეცათ და არც სასმელი, სანამ ხუთას უნკას არ გადაიხდიდა. ფული იმ წუთშივე იქნა გადახდილი.

ანის შემდეგ ზადიგი და ქვა დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ არაბეთში.

## თავი XI

### კ ო ც ო ნ ი

აღტაცებულმა სეტოკმა თავისი მონა ახლო მეგობრად გაიხადა. მას, ბაბილონის მეფის მსგავსად, აღარ შეეძლო უმისოდ გაძლება. ზადიგი ბედნიერად გრძნობდა თავს, რაკი

სეტოკს მეუღლე არ ჰყავდა. მან შეამჩნია თავის ბატონში ბევრი დაღებიანი ბუნებრივი მხარეები, პირდაპირობა და კეთილგონიერება; მაგრამ სწყინდა, რომ არაბეთის ძველი ჩვეულების მიხედვით იგი თაყვანსა სცემდა ცის მნათობებს: მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. ზადიგი ამის შესახებ ფრთხილად, მაგრამ ხშირად ესაუბრებოდა სეტოკს. ბოლოს, აუხსნა, რომ მნათობები ისეთივე სხეულები არიან, როგორც სხვები და ისეთივე პატივისცემის ღირსნი არიან, როგორც ხე ან კლდეო.

— „მაგრამ—ამბობდა სეტოკი,—ამ მარადიულ არსებათაგან ჩვენ ვღებულობთ ყველაფერს, რაც კი სასარგებლოა. ისინი ამოდრავებენ ბუნებას, აწესრიგებენ წლის სხვადასხვა დროებს, თანაც ისე შორს არიან ჩვენგან, რომ არ შეიძლება თაყვანი არ ვსცეთ მათ“.

— „თქვენთვის მეტი სარგებლობა მოაქვთ მეწამული ზღვის წყლებს, რომლებიც თქვენი საქონლის ინდოეთში გადატანას ზელს უწყობენ. რატომ არ შეიძლება ეს ზღეაც ისევე ძველი იყოს, როგორც ვარსკვლავები? და თუ თქვენ აღმერთებთ იმას, რაც მოშორებითაა თქვენგან, მაშინ უნდა გააღმერთოთ განგარიდების მიწა, რომელიც ქვეყნის ბოლოს არის“.

— „არა,—ამბობდა სეტოკი, ვარსკვლავები იმდენად ბრწყინვალენი არიან, რომ არ შეიძლება თაყვანი არ ვსცე მათ“.

სალამოთი ზადიგმა აანთო მრავალი ჩირაღდანი იმ კარავში, სადაც სეტოკთან ერთად უნდა ევახშმა და, როგორც კი პატრონი გამოჩნდა, ანთებული სანთლების წინ მუხლებზე დავარდა და მიმართა მათ:

— „ბრწყინვალე და მუღმიეო მნათობნო! იყავით ყოველთვის მოწყალე ჩემდამი“.

წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები, იგი აღვა და მივიდა საუფრასთან ისე, რომ არ შეუხედავს სეტოკისთვის.

— „რას აკეთებთ?“—ჰკითხა გაკვირვებულმა სეტოკმა.

— მე თქვენებრ ვაღმერთებ ამ შანღლებს და არად ვაგდებ ჩემს და მათს პატრონს.

სეტოკი მიხვდა ამ ღრმა მოძღვრების აზრს. მონის სიბრძნე შეიქრა მის სულში; ამიერიდან იგი აღარ უფრქვევდა გუნდრუქს



სხეულებს და თაყვანსა სცემდა მარადიულ არსებას, რომელ-  
მაც ისინი შექმნა.

იმ დროს არაბეთში არსებობდა შემზარავი ჩვეულება, რომელიც სკვითებიდან მომდინარეობდა და დამკვიდრდა ინდოეთში. არსებობდა საფრთხე, რომ იგი ბრამინების დახმარებით მთელ აღმოსავლეთში გავრცელდებოდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ, თუ მის საყვარელ ცოლს სურდა წმინდანი გამხდარიყო, საჯაროდ უნდა ასულიყო კოცონზე და ქმრის ცხედართან დამწვარიყო. ამ საზეიმო დღეს „ქვრივობის კოცონი“ ეწოდებოდა. ტომი, სადაც მეტი დამწვარი ცოლი ითვლებოდა, უპირატესობით სარგებლობდა.

სეტოკის ტომის ერთ-ერთ არაბის სიკვდილის გამო, მისი ქვრივი—ზედმიწვენიტ მორწმუნე ქალი, სახელად აღმონა, აცხადებდა დღეს და საათს, როდესაც იგი ჩავარდებოდა ცეცხლში დოლებისა და საყვირების ხმაზე. ზადიგმა აუხსნა სეტოკს, რამდენად მავნე იყო ეს ჩვეულება ადამიანთა მოდგმის სიკეთისათვის, რადგან ყოველდღე იწვებოდნენ ახალგაზრდა ქვრივები, რომელთაც შეეძლოთ სახელმწიფოსთვის მიეცათ ბავშვები ან აღეზარდათ ისინი, რომლებიც უკვე ჰყავდათ. მან დაარწმუნა, რომ საჭირო იყო, თუ შესძლებდნენ, მოესპოთ ეს ბარბაროსული ჩვეულება. სეტოკმა მიუგო:

— „უკვე ათას წელზე მეტია, რაც ქალები სარგებლობენ თვითდაწვის უფლებით. რომელი ჩვენგანი გაბედავს შესცვალოს კანონი, რომელიც დროს მიერაა ნაკურთხი? განა არის რაიმე უფრო პატივსაცემი ძველ ცდომილებასთან შედარებით?“

— „გონება უფრო ძველია,—სთქვა ზადიგმა,—მოგლაპარაკეთ ტომების უფროსებს და მე წავალ ახალგაზრდა ქვრივთან.“

იგი წარუდგა ქალს. მოიგო ქალის გული მისი სილამაზის შექებით, თან სწუხდა, რომ მას ესოდენი მშვენიერება უნდა ცეცხლისათვის შეეწირა; მაინც შეაქო მისი სიმტკიცე და სიმამაცე:

— „გეტყობათ, ძლიერ გიყვარდათ თქვენი ქმარი!“ უთხრა ზადიგმა.

— „მე? სრულიადაც არა,—მიუგო არაბმა ქალმა.—იგი ეპქიანი, უხეში და აუტანელი ადამიანი იყო. მე მაინც მტკიცედ გადავწყვიტე ჩავვარდე მის კოცონში.“

— „შესაძლებელია განსაკუთრებული სიამოვნებაა ცეცხლში დაწვა!“ — სთქვა ზადიგმა.

— „ოჰ, მაგის გაფიქრება ჟრუანტელსა მგერის, — მიუგო ქალმა, — მაგრამ საჭიროა ასე მოვიქცე. მე მორწმუნე ვარ; თუ კოცონში არ ჩავეარდი, სახელი გამიტყდება, ყველა დამცინებს“.

ზადიგმა აიძულა ელიარებინა, რომ კოცონზე სხვების გულისათვის და პატივმოყვარეობის გამო მიდიოდა. დიდხანს ელაპარაკა ასეთნაირად, რათა მისთვის ოდნავ მოეწონებინა ცხოვრება და ბოლოს მიადწია იმას, რომ შთაუნერგა ერთგვარი კეთილგანწყობილება მისი მოსაუბრისადმი.

— „ნეტავ, რას გააკეთებდიო, რომ პატივმოყვარეობა არ გაიძულებდეთ კოცონზე თავის დაწვას?“

— „ჰე მგონი გთხოვდით, ცოლად წაგეყვანეთ“.

მაგრამ ზადიგი ისე იყო ასტარტზე ფიქრით მოცული, რომ არ შეეძლო გვერდი არ აეხვია ამ წინადადებისთვის.

იგი მაშინვე გაემართა ტომების მეთაურთა სანახავად, უამბო მათ რაც მოხდა და ურჩია გამოეცათ კანონი, რომელიც ქვრივის აუკრძალავდა კოცონზე თავის დაწვას, სანამ იგი მარტოკა არ ილაპარაკებდა რომელიმე ახალგაზრდა კაცთან ერთი საათის განმავლობაში.

ამ დღის შემდეგ არაბეთში არც ერთ ქალს თავი აღარ დაუწვავს კოცონზე, და ზადიგის წყალობით, ეს საშინელი ჩვეულება, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე არსებობდა, მოისპო ერთ დღეში; ზადიგი არაბეთის კეთილმოყველი გახდა.

## თავი XII

### ვახუაძე

სეტოკს აღარ შეეძლო განშორებოდა ამ ადამიანს, რომელშიც ესოდენ დიდი სიბრძნე დაბუდებულიყო, ამიტომ იგი თან გაიყოლა ბალზორას დიდ ბაზრობაზე, სადაც თავი უნდა მოეყარათ მთელი ქვეყნის უდიდეს სოფდაგრებს. ზადიგს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ხალხის ნახვამ სიმშვიდე მიანიჭა. მას სამყარო ეჩვენებოდა ერთ დიდ ოჯახად, რომე-

ლიც ბალზორაში თავს იყრიდა. მეორე დღესვე ის სუფრას მიუჯდა მდინარე განგის ნაპირებზე მცხოვრებ ინდოელთან, ეგვიპტელთან, ჩინელთან, ბერძენთან, კელტთან და სხვა მრავალ უცხოელთან ერთად, რომელთაც არაბეთის უბისკენ ხშირი მოგზაურობის დროს არაბული ენა იმდენად შეესწავლათ, რომ შეეძლოთ ერთმანეთთან ესაუბრათ. ეგვიპტელი გაბრაზებული ჩანდა.

— რა საზიზღარი მხარეა ეს ბალზორა! — ამბობდა ის, — აქ, საუკეთესო გირაოს ქვეშ არ მაძლევენ ათას უნკა ოქროს!

— რა? — ჰკითხა სეტოკმა, — რომელ გირაოზე გითხრეს უარი?

— ძალუჩემის ცხედარზე, — უპასუხა ეგვიპტელმა; ეგვიპტეში ის საუკეთესო მანდილოსანი იყო, ყოველთვის თან მახლდა და გზაში გარდამეცვალა. მე მისგან გავაკეთე ულამაზესი მუშია იმ მუშიათაგან, რომელიც ჩვენ ოდესმე გვექონია; ჩემს ქვეყანაში მისი დაგირავებით უკემდლო მიმელო ყველაფერი, რასაც მოვისურვებდი. საოცარია, რომ ამგვარ გირაოში აქ ათას უნკა ოქროსაც კი არ მაძლევენ.

აღელვებული ეგვიპტელი ის იყო მშვენივრად მოხარულ ქათმის შესაჭქელად ემზადებოდა, რომ ინდოელმა ხელი სტაცა და შეჰყვირა:

— ოჰ, რას სჩადიხართ.

— ეს ქათამი უნდა შეეჭამო, — სთქვა მუმიის მფლობელმა.

— გაფრთხილდით, — უთხრა ინდოელმა. — შესაძლებელია, განსვენებულის სული ამ ქათმის სხეულში გადავიდა, თქვენ კი ალბათ არ მოისურვებდით ძალუა თქვენის შეჭმას. ქათმების მოხარშვა ბუნების აშკარა შეურაცხყოფაა.

— რა გასურთ თქათ თქვენი ქათმებითა და ბუნებით? — შეესიტყვა ბრაზიანი ეგვიპტელი: — ჩვენ ხარს თაყვანსა ვცემთ და მაინც ვჭამთ.

— თქვენ ხარს თაყვანს სცემთ! განა ეს შესაძლებელია? — სთქვა კაცმა მდინარე განგის ნაპირებიდან.

— აქ არაფერია შეუძლებელი, უპასუხა მეორემ, ასოცდახუმიტი ათასი წელია, რაც ასე ვიქცევით და ჯერ არც ერთი ჩვენთაგანი მის წინააღმდეგ არ წასულა.

— ოჰ, ასოცდახუთმეტი ათასი წელი! — სთქვა ინდოელმა; —  
გს რიცხვი ცოტა გადაჭარბებულია; მას შემდეგ, რაც ინდო-  
ეთი დასახლებულია, მხოლოდ ოთხმოცი ათასი წელია გასული,  
ჩვენ კი, რასაკვირველია, თქვენზე ხნიერები ვართ; ბრამამ  
ჩვენ ხარების ჭამა აგვიკრძალა იმაზე ადრე, სანამ თქვენ  
მოიფიქრებდით, ისინი საკუროთხვეველზე აგეყვანათ ან შამ-  
ფურზე აგეგოთ.

— მეტად სასაცილო ცხოველია თქვენი ბრამა, რომ ის  
აპისს შეადაროთ! — სთქვა ეგვიპტელმა, — ან რა გააკეთა მან  
ასე კარგი?

ბრამინმა უპასუხა, მან ხალხს წერა-კითხვა ასწავლა და მას  
უნდა უმაღლოდეს ქვეყანა ჭადრაკის თამაშის ცოდნასო.

— თქვენ სცდებით, — სთქვა ქალდეველმა, რომელიც იქვე  
იდგა; — ამ დიდ სიკეთეს ჩვენ თევზს ოანესს უნდა ვუმაღლო-  
დეთ და სამართლიანია, რომ თაყვანს მხოლოდ მას ვცემდეთ.  
ყველა გეტყვით, რომ ის იყო ღვთაებრივი არსება, რომელსაც  
მოოქრული კუდი და მამაკაცის ლამაზი თავი ჰქონდა. ის  
დღეში სამ საათს ამოდიოდა წყლიდან საქადაგებლად. მას  
ბევრი შვილი ჰყავდა; ცნობილია, რომ ყველა ისინი მეფეები  
იყვნენ. მე სახლში მაქვს მისი ხატი და სათანადოდ თაყვანსა  
ვცემ. რამდენიც გასურთ, შეგიძლიათ ხარის ხორცი ჭამოთ,  
მაგრამ თევზების ხარშვა უეჭველად დიდი მკრებელობაა. თა-  
ნაც თქვენ ორთავე ნაკლებად კეთილშობილი და მეტად გვიან-  
დელი წარმოშობისა ხართ, რომ მე მეკამათოთ. ეგვიპტის ერი  
მხოლოდ ასოცდახუთმეტი ათასი წლისაა, ინდოელებმა კი შეი-  
ძლება მხოლოდ ოთხმოცი ათასი წელი დაიკვებნონ იმ დროს,  
როდესაც ჩვენ კალენდარები ოთხი ათასი საუკუნის წინ გვქონ-  
და. დამიჯერეთ, უარი სთქვით თქვენ სისულელებზე და მე  
ოანესის თითო ხატს გაჩუქებთ.

აქ კამბალუს<sup>14</sup> მცხოვრები ჩაერია ლაპარაკში: მე დიდ  
პატივს ვცემ ეგვიპტელებს, ქალდეველებს, ბერძნებს, კელტებს,  
ბრამას, ხარს აპისს, მშვენიერ თევზს ოანესს, მაგრამ შეიძლება,  
რომ ლი ანუ ტიენ<sup>15</sup>, როგორც გასურდეთ, ისე უწოდეთ, სჯობს  
ხარებს და თევზებს. მე ჩემს სამშობლოზე არაფერს ვიტყვი;  
იგი ისევე ვრცელია, ვით ეგვიპტე, ქალდეა და ინდოეთი ერ-

თად. მე არ ვკამათობ წარმოშობის სიძველეზე, რადგან სჯობს ბედნიერი იყო, ვიდრე ხნიერი, ხოლო რაც შეეხება კალენდარებს, მე ვიტყვოდი, რომ მთელი აზია ჩვენსას ხმარობს და რომ ჩვენ ისინი უფრო ადრე გვქონდა, ვიდრე ქალდეაში ანგარიშს შეისწავლიდნენ.

— თქვენ ყველანი დიდი უფიცნი ყოფილხართ, — შეჰყვირა ბერძენმა.— განა არ იცით, რომ ქაოსი ყველაფრის მამაა, და ფორმამ და მატერიაჲმ ქვეყანა შეჰქმნეს იმ სახით, როგორც ეხლა არის?

ბერძენმა დიდხანს ილაპარაკა. მას შეაწყვეტინა კელტმა, რომელსაც კამათის დროს ბევრი დაეღია და თავისი თავი ყველაზე ჭკვიანად წარმოედგინა. ის ფიცულობდა, რომ ტეიტატ<sup>16</sup> და მუხის ფითრი<sup>17</sup> ღირსნი არიან მათზე ვიმსჯელოთო, მე ფითრი ყოველთვის ჯიბით დამაქვსო, ჩემი წინაპარნი სკეითები იყვნენ, ერთადერთი წესიერი ხალხი იმათაგან, რომელთაც ოდესმე დედამიწაზე უცხოვრიათო; ჩვენ შეიძლება ხანდახან მართლაც ვკამთ ადამიანებს, მაგრამ ეს არ უნდა ამცირებდეს ხალხში თავისი ერისადმი პატივისცემას და, ბოლოს, თუ ვინმე ტეიტატზე ცუდს ილაპარაკებს, მას ჭკუას ვასწავლიო.

ამის შემდეგ კამათი გამწვავდა, და სეტოკმა იგრძნო იმ წუთის მოახლოვება, როდესაც მაგიდა სისხლით შეიღებებოდა. ამ დროს წამოდგა ზადიგი, რომელიც კამათის დროს ჩუმი იჯდა: მან ჯერ მიმართა კელტს, როგორც ყველაზე გაშმაგებულს; უთხრა, მართალი ხართო, და ცოტაოდენი ფითრი სთხოვა; მან ბერძენის მჭევრმეტყველება შეაქო და გაცხარებული მოკამათენი დაამშვიდა. ჩინელს, რადგან ის ყველაზე ჭკვიანი იყო, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრა. ბოლოს მიმართა ყველას.

— ჩემო მეგობრებო, ტყუილუბრალოდ კამათობთ, რადგან ყველა ერთი და იგივე შეხედულების ბრძანდებით.

ამ სიტყვებზე ისინი ხელახლა აყვირდნენ.

— განა მართალი არ არის, რომ თქვენ თაყვანს სცემთ არა ფითრს, არამედ იმას, ვინც ის ფითრი და მუხა შეჰქმნა? ჰკითხა მან კელტს.

— რასაკვირველია, — უპასუხა კელტმა.

— და თქვენ, ბატონო ეგვიპტელო, ხარის სახით ალბათ პატივსა სცემთ იმას, ვინც საერთოდ ხარები გიბოძათ?

— დიალ, სთქვა ეგვიპტელმა.

— თვეზი ოანესი, — განაგრძო ზადიგმა, — უნდა ემორჩილე-ბოდეს იმას, ვინც შეჰქმნა ზღვა და თევზები.

— გეთანხმებით, — სთქვა ქალდეველმა.

— ინდოელი და ჩინელი, — დასძინა ზადიგმა, — ისევე როგორც თქვენ, პირველ საწყისს აღიარებენ. მე თუმც ვერ გავიგე კარგად ის განსაცვიფრებელი ამბები, რომელზედაც ბერძენი ლაპარაკობდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისიც აღიარებს უზენაეს არსებას, რომლისგანაც ფორმა და მატერია დამოკიდებულია.

ბერძენი, რომელიც გაოცებას იწვევდა, დათანხმდა და სთქვა, ზადიგმა ჩემი აზრი ძალიან კარგად გაიგო.

— მაშ თქვენ ყველა ერთი და იგივე შეხედულების ხართ, — განაცხადა ზადიგმა, — და არაფერია საკამათო.

ყველანი გადაეხვივნენ მას. სეტოკი თავის საქონლის ძვირად გაყიდვის შემდეგ ზადიგთან ერთად თავის ტომში დაბრუნდა. იქ მისვლისთანავე ზადიგმა გაიგო, რომ მისი არყოფნის დროს ის გაასამართლეს და ნელ ცეცხლზე დაწვა მიუსაჯეს.

### თავი XIII

#### პაემანები

ზადიგის ბალზორაში მოგზაურობის დროს ვარსკვლავთა ქურუმებმა მისი სიკვდილით დასჯა გადასწყვიტეს. კოცონზე დასაწვავად განწირული ახალგაზრდა ქვრივების პატიოსანი თვლები და სამკაულები კანონის ძალით მათ ეკუთვნოდათ. ამიტომ ზადიგის კოცონზე დაწვაც კი მცირე სასჯელი იყო იმ ბოროტებასთან შედარებით, რომელიც მას ქურუმების წინაშე მიუძღოდა. ისინი ზადიგს ბრალს სდებდნენ, რომ მას ციურ ძალებზე შემცდარი შეხედულება ჰქონდა. ისინი ფიცით ადასტურებდნენ, თითქოს ზადიგს ეთქვა: ვარსკვლავები ზღვაში არ ეშვებიანო. ამ საშინელმა მკრეხელობამ მოსამართლენი შეაძრ-

წუნა, ამის გაგონებაზე ისინი მზად იყვნენ ტანთსაცმელი შემოეხიათ და ალბათ ასეც მოიქცეოდნენ, თუ ზადიგს მათი დანაკლისის ანაზღაურების საშუალება ჰქონოდა. ამიტომ თავის გადაქარბებულ აღშფოთებაში ისინი დაკმაყოფილდნენ ზადიგისათვის ნელ ცეცხლზე დაწვის მისჯით. სეტოკი ეცადა თავისი გავლენა გამოეყენებინა ზადიგის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ; ის ჩქარა იძულებული გახდა გაჩუმებულიყო.

ახალგაზრდა ქერიემა აღმონამ, რომელსაც კარგად გაეგო ცხოვრების გემო, რითაც ზადიგისგან იყო დევალებული, მისი გადარჩენა გადასწყვიტა. მან კარგად ასწონდასწონა ეს განზრახვა და არაეის არაფერი უთხრა. ზადიგი მეორე დღეს უნდა დაესაჯათ. მის გადასარჩენად ქალს მხოლოდ ერთი ღამე ჰქონდა. აი როგორ მოიქცა ეს ფრთხილი ქველმოქმედი ქალი.

მან სუნამო დაიპკურა, თავის ყველაზე ლამაზ და მდიდრულ სამოსელში მოირთო, რითაც უფრო გალამაზდა და საიდუმლო აღდიენციის სათხოვრად ვარსკვლავთა უზენაეს ქურუმისკენ გაეშურა. იგი ამ პატივცემული მოხუცის წინაშე წარსდგა და შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა:

— დიდი დათვის ვარსკვლავედის უფროსო ძეო, კუროს ძმაო, დიდი ძაღლის ბიძაშვილო (ასეთი იყო ამ უზენაესი ქურუმის ტიტული), მე უნდა ჩემი ექვები გაგანდოთ. ვშიშობ, რომ დიდად შევცოდე, რომ ჩემი ძვირფასი ქმრის კოცონზე მეც არ დავიწვი. მართლაც და'რას უნდა ვაფრთხილებოდი? წარმავალ სხეულს, რომელიც უკვე დამქკნარია. ამ სიტყვებთან ერთად მან აბრეშუმის გრძელი სახელოებიდან გამოაჩინა ტიტველი მკლავები, ნატიფი და თვალისმომჭრელ სითეთრის.

— თქვენ ხედავთ, რომ ეს ამაღ არ ღირდა.

— ქურუმმა გულში გაიფიქრა, ის უფრო მეტადაც ღირსო. მისმა თვლებმა ეს სთქვეს და ბაგეებმა დაადასტურეს. შეჰჟიცა კიდევ, რომ აროდეს ენახა ესოდენ მშვენიერი მკლავები.

— სამწუხაროდ,—უთხრა მას ქერიემა,—შეიძლება ჩემი მკლავები არც ისე ცუდი იყოს, როგორც სხვა რამ, მაგრამ თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ჩემი ყელი არ იყო ღირსი ყურადღებისა.

მან გამოაჩინა ყველაზე უფრო მომხიბლავი მკერდი, რომელიც ოდესმე ბუნებას შეუქმნია. მასთან შედარებით სპილოს ძელიდან გამოქრილი ვარდის კოკორი ისე გამოჩნდებოდა, როგორც ენდრო ბზაზე, ხოლო ახლად დაბანილი ბატკნები ყავისფრად მოგეჩვენებოდათ. ამ ყელმა, დიდმა შავმა თვალებმა, რომელთა მიზნედილი ელვარება სავსე იყო ნაზი ვნებით, ლოყებმა, გაცხოველებულმა სუფთა რძეში შეზავებული მეწამული ფერით, ცხვირმა, რომელიც სულ არ ჰგავდა ლიბანის მთის კოშკს,<sup>18</sup> მისმა მარჯნის ტუჩებმა, რომელთა ქვეშ არაბეთის ზღვის ულამაზესი მარგალიტები იმალებოდნენ,—ყოველივე ამან მოხუცი დაარწმუნა, რომ ის თითქო ოცი წლის ქაბუკი იყო. იგი ქალს ენის ბორძიკით გამოუტყდა თავის ნაზ გრძნობებში. აღმონამ, როდესაც შეამჩნია მოხუცის აღგზნება, ზადიგის პატიება სთხოვა.

— სამწუხაროდ,—სთქვა მოხუცმა,—ჩემო მშვენიერო ქალბატონო, ჩემი შეწყნარება მას არაფერს მოუტანს; საჭიროა, მისი პატიება ხელმოწერილი იქნეს ჩემი სამი თანამოძმის მიერ.

— ხელი მოაწერეთ მაინც,—უთხრა აღმონამ.

— დიდი სიამოვნებით,—სთქვა ქურუმმა,—მხოლოდ ჩემი ამ თავქარიანობის ჯილდოდ თქვენი თანაგრძნობა უნდა მომიზღოთ.

— თქვენ მეტისმეტად მდებთ პატივს,—უთხრა აღმონამ,—მხოლოდ იკადრეთ, თუ ჩემს ოთახში მოსვლა გესიამოვნებათ, მზის ჩასვლის შემდეგ, იმ დროს, როდესაც ბრწყინვალე ვარსკვლავი შეატი გამოჩნდება ჰორიზონტზე. თქვენ მე მიხილავთ ვარდისფერ ტახტზე წამოწოლილს და შეგეძლებათ ისე მომექცეთ, როგორც თქვენს მონას.

ამ სიტყვების შემდეგ აღმონა წავიდა, თან წაიღო ქურუმის ხელმოწერა და მოხუცი სიყვარულით და თავის ძალთადმი უნდობლობით აღვისილი დასტოვა. დანარჩენი დრო დღისა ქურუმმა ბანაობას მოაწოდოდა. ტიდორისა და ტერნატის ცხარე სურნელებით და ცეილონის დარიჩინით შეზავებული მაგარი სასმელი დალია და მოუთმენლად ელოდა ვარსკვლავშეატის გამოჩენას.

ამასობაში მშვენიერი აღმონა მეორე ქურუმთან მივიდა.



ქურუმმა ის დაარწმუნა, რომ მზე, მთვარე და ცის თალის ყველა მნათობნი მხოლოდ ცთომილი აღნი არიან შენს მომხიბლაობასთან შედარებითო. ქალმა მასაც ისევ ზადიგის შეწყალება სთხოვა და ამისთვის მას ჯილდო მოსთხოვეს. ის დათანხმდა და მეორე ქურუმს ვარსკვლავ აღჯენიბის ამოსვლისას დაუნიშნა პაემანი. მისგან ის მესამე და მეოთხე ქურუმთან მივიდა, სადაც ყოველთვის ხელმოწერას იღებდა და ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე პაემანებს ნიშნავდა. მოსამართლეები მნიშვნელოვან საქმისთვის თავისთან დაიბარა, მათ მის სახლში თავი მოიყარეს. აღმონამ მოსამართლეებს ოთხი ხელმოწერა უჩვენა და უთხრა, თუ რა ფასად გაჰყიდეს ზადიგის შეწყალება ქურუმებმა. თითოეული მათგანი დანიშნულ დროზე მოვიდა და გაკვირვებული დარჩა თავის თანამოძმეების იქ დახვედრით, ხოლო კიდევ უფრო მეტად მოსამართლეების, რომელთა წინაშე მათი შერცხვენა გამოაშკარავდა. ზადიგი გადარჩა. სეტოკი იმდენად მოიხიბლა აღმონას მოხერხებით, რომ ცოლად შეირთო იგი.

#### თავი XIV

#### ც ე კ ვ ა

სეტოკი სავაჭრო საქმეებისთვის კუნძულ სერენდიბს უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ პირველი თვე ქორწინებისა, რომელსაც, როგორც ცნობილია, თაფლის თვე ჰქვია, არ აძლევდა ნებას არა თუ იმეამად განშორებოდა ცოლს, არამედ იმის წარმოდგენის უფლებასაც კი, რომ ოდესმე შესძლებდა მის დატოვებას. მან თავის მეგობარ ზადიგს სთხოვა მის მაგივრად გამგზავრებულიყო.

— ეჰ!—ამბობდა ზადიგი,—ნუთუ კვლავ უნდა გაიზარდოს მანძილი ჩემსა და მშვენიერ ასტარტეს შორის? მაგრამ საჭიროა ჩემს კეთილისმყოფელებს ვემსახურო.—ამის შემდეგ მან იტირა და გაემგზავრა.

კუნძულ სერენდიბზე ეს არაჩვეულებრივი ადამიანი დიდხანს არ დარჩა შეუმჩნეველი. ის შუამავალი იყო სოვდაგრებს შორის შექმნილი უთანხმოების დროს, ბრძენთა მეგობარი,

მრჩეველი იმ მცირერიცხოვანი ხალხისა, რომელიც ორჯერას იღებდა. მეფემ მისი ნახვა და მოსმენა მოინდომა. მან ჩქარა შეათვასა ზადიგი, მიენდო მის სიბრძნეს და დაუმეგობრდა. მეფის მეგობრობა ზადიგს აშინებდა. იგი დღე და ღამ ფიქრობდა იმ უბედურებაზე, რომელიც მოაბდარის მეგობრობამ მოუტანა.

— მე მეფეს მოვწონვარ, — ამბობდა ის, — მაშასადამე, ალბათ, დავიღუპები.

ამავე დროს მისი დიდებულების პატივს ვერ ერიდებოდა, რადგან უნდა ვალიაროთ, რომ ნაბუსანი, სერენდიბის მეფე, ძე ნუსანაბისა, ძის ძე ნაბასუნისა, ძისძის ძე სანბუსანისა იყო აზიის ერთ-ერთი საუკეთესო ხელმწიფეთაგანი და მასთან საუბრისას ძნელი იყო არ შეგყვარებოდათ იგი. ეს კეთილი ხელმწიფე ყოველთვის შექებულნი, მოტყუებულნი და გაძარცვული რჩებოდა. ეს იყო კაცი, რომლის ხაზინასაც იტაცებდნენ. კუნძულ სერენდიბის ხარკების მთავარი ამკრეფი ხშირად იძლეოდა ამის მაგალითს, რომელსაც ერთგულად ბაძავდნენ სხვები. მეფემ ეს იცოდა: მან ბევრჯერ შესცვალა ხაზინადარი, მაგრამ ვერ შესძლო შეეცვალა დაწესებული ჩვეულება, რის მიხედვითაც მეფის შემოსავალი ორ ნაწილად იყოფოდა, მცირე ნაწილი ყოველთვის მის დიდებულებას ხვდებოდა, ხოლო დიდი ნაწილი — მმართველებს.

მეფე ნაბუსანმა თავისი შელონება ბრძენ ზადიგს გაანდო.

— თქვენ, რომელმაც იმდენი მშვენიერი ამბები იცით, — უთხრა მან ზადიგს, — ნუთუ ვერ გამოსძებნით საშუალებას, რომ მიპოვოთ ხაზინადარი, რომელიც აღარ გამქურდავს.

— რასაკვირველია, — უპასუხა ზადიგმა, — მე ვიცი უტყუარი ხერხი პატიოსანი კაცის საპოვნელად.

აღფრთოვანებული მეფე მას მოეხვია და ჰკითხა, თუ როგორ მოახერხებდა იგი ამას.

— საჭიროა მხოლოდ აცეკვოთ ყველა ის, ვინც ხაზინადრობას მოითხოვს, და ვინც ყველაზე მსუბუქად იცეკვებს, აუცილებლად ყველაზე პატიოსანიც იქნება.

— თქვენ დამცინით, — უთხრა მეფემ, — რა სასაცილო ხერხია ხარკების ამკრეფის ამორჩევისა. როგორ, თქვენ მარწმუ-

ნებთ, რომ ის, ვინც ყველაზე კარგად შეხტება, ყველაზე პატიოსანი და მოხერხებული იქნება?

— მე არ ვამბობ, რომ ის ყველაზე მოხერხებული იქნება, მაგრამ გარწმუნებთ, რომ იგი უმკველად ყველაზე პატიოსანი კაცი აღმოჩნდება.

ზადიგი ისე დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ მეფეს ეგონა მას ხაზინადარის გამოსაცნობად რაიმე ზებუნებრივი საიდუმლო აქვსო.

— მე ზებუნებრივი არაფერი მიყვარს,—სთქვა ზადიგმა,—სასწაულებრივი ხალხი და წიგნები აროდეს არ მომწონდა. თუ თქვენი დიდებულება ნებას მომცემს მოვახდინო ცდა, რომელიც მოვახსენეთ, ის ჩქარა დარწმუნდება, რომ ჩემი საიდუმლო სულ უბრალო და ადვილი რამ არის.

ნაბუსანი, სერენდობის მეფე, განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ ეს საიდუმლო უბრალო რამ იყო, რომ ზადიგი მას სასწაულად არ სთვლიდა.

— მაშ კარგი,—სთქვა მან,—მოიქეციო როგორც გსურთ.

— მომეციო მოქმედების თავისუფლება,—სთქვა ზადიგმა,—თქვენ ამ ცდიდან მოიგებთ მეტს, ვიდრე ფიქრობთ.

იმავე დღეს მან მეფის სახელით გამოაცხადებინა, რომ ყველა, ვისაც სურს მისი ყოვლის მოწყალე დიდებულების ნაბუსანის, ნუსანაბის ძის ხარკების უმუროსი ამკრეთის თანამდებობის მიღება, აბრეშუმის მსუბუქ ტანთსაცმელში გამოწყობილი, ნიანგის თვის პირველ დღეს, მეფის მოსაცდელ ოთახში უნდა გამოცხადდესო. სამოცდაოთხმა კაცმა მოიყარა თავი. მეზობელ ოთახში ვიოლინოს დამკვრელები მოიყვანეს; ყველაფერი მზად იყო ეცევისათვის; მაგრამ დარბაზის კარი დაეკეტათ და მეკარე რიგრიგობით უძახებდა და ტალანამდის აცილებდა თითოეულ კანდიდატს. იქ მათ რამდენიმე წუთით მარტო სტოვებდნენ. მეფემ, რომელმაც ყოველივე იცოდა, ამ ტალანში მთელი თავისი განძეული გამოაჭვინა. როდესაც ყველა მსურველები დარბაზში შეიკრიბნენ, მისმა აღმატებულებამ ბრძანა ეცეკვებინათ ისინი. მანამდის არაოდეს უცეკვიათ ასე მძიმედ და მოუხეშავად. თავი ყველას ჩაღუნული ჰქონდა, ზურგი მოხრილი, ხელები გვერდებზე მიკრული.

— რა გაიძვერები არიან!—ამბობდა ჩუმად ზადიგი.

მხოლოდ ერთი მათგანი აღგამდა მოქნილად ნაბიჯებს, თავი მალა ჰქონდა აწეული, გამოხედვა პირდაპირი, ხელები გაშლილი, წელში და მუხლებშიც გამართული იყო.

— აი, პატიოსანი კაცი! კეთილშობილი ადამიანი!—ამბობდა ზადიგი.

მეფე გადაეხვია ამ კარგ მოცეკვავეს და ის ხაზინადრად დანიშნა. სხვები უდიდესი სამართლიანობით დასაჯეს და დააჯარიმეს, რადგან მათ ტალანში ყოფნის დროს ჯიბეები გაეფსოთ და ძლივს დადიოდნენ. მეფე ადამიანის ბუნებას შესწერა: სამოცდაოთხ მოცეკვავიდან სამოცდასამი გაიძვერა აღმოჩნდა. ბნელ ტალანს „ცოუნების დერეფანი“ ეწოდა. სპარსეთში ამ სამოცდასამ წარჩინებულს სარზე ჩამოაგებდნენ, სხვა ქვეყნებში დააარსებდნენ სასამართლო პალატას, რომელიც მოპარულ ფულზე მეტს დახარჯავდა და მეფის ზანდუკებს არაფერს შეჰმატებდა, სხვა სამეფოში ეს სამოცდასამი კაცი გამართლდებოდა და მსუბუქად მოცეკვავეს კი პატივს აჰყრიდნენ: სერენიბში მათ მხოლოდ საზოგადო ხაზინის შევსება მიუსაჯეს, რადგან ნაბუსანი მეტად მოწყალე იყო.

იგი აგრეთვე მეტად მაღლიერიც გახლდათ; მან ზადიგს უბოძა ისე დიდი თანხა, რამდენის მოპარვაც თავის მბრძანებლისთვის ჯერ ვერც ერთ ხაზინადარს ვერ მოუხერხებია. ზადიგმა ეს თანხა ბაბილონში შიკრიკის გასაგზავნად მოიხპარა. მათ უნდა ეცნობებინათ ასტარტეს ბედი. ამ ბრძანების გაცემაზე ხმა აუჟანკალდა, სისხლი გულთან მოაწვა, თვალებზე ბინდი გადაეკრა, კინალამ სული განუტევა. შიკრიკი გაემგზავრა. ზადიგმა, დაინახა თუ არა ის გემზე დამჯდარი, მეფესთან დაბრუნდა. ის ვერავის ხედავდა. თავი მარტო ეგონა ოთახში და სიტყვა სიყვარული წარმოსთქვა.

— ოჰ! სიყვარული,—სთქვა მეფემ,—თქვენ გამოიცანით რაზე ვდარდობ, დიადი ადამიანი ყოფილხართ! მე ვიმედოვნებ, რომ მასწავლით პატიოსანი ქალის ცნობას ისევე, როგორც უანგარო ხაზინადარი მაპოვინებთ.

ზადიგმა დაიმშვიდა რა თავისი გრძნობები, დაჰპირდა სიყვარულშიც ისევე დახმარებოდა, როგორც ფინანსებში, თუმცა ეს საქმე უფრო ძნელი ჩანდა.

ცისფერი თვალები

— სხეული და გული,—უთხრა მეფემ ზადიგს...

ამ სიტყვებზე ბაბილონელმა ვერ შეიკავა თავი, რომ მისი დიდებულება არ შეეჩერებინა.

— ო, როგორ მაღლობელი ვარ თქვენი,—სთქვა მან,— რომ არ ბრძანეთ გონება და გულიო, რადგან ბაბილონში მხოლოდ ეს სიტყვები ისმის. მხოლოდ გულისა და გონების შესახებ ლაპარაკობენ წიგნები, შედგენილნი იმ ხალხის მიერ, რომელთაც არც ერთი გააჩნიათ და არც მეორე; მაგრამ ღვთის გულისთვის, ბატონო, განაგრძეთ.

ნაბუსანმა განაგრძო ასე:

— ჩემი სხეული და გული შექმნილია სიყვარულისათვის, პირველ მათგანს ყველა შესაძლებლობა აქვს დასაკმაყოფილებლად. მე ჩემს განკარგულებაში აქ ასი ქალი მყავს, ყველა ლამაზი, ალერსიანი, თავაზიანი, თითქოს ვნებიანიც ან ცდილობენ ასეთად მომაჩვენონ თავი, მაგრამ ჩემი გული არც ისე ბედნიერია. კარგად მესმის, რომ ისინი სერენდობის მეფეს ბევრს უაღერსებენ და ნაბუსანზე ძალიან ცოტას ზრუნავენ. ჩემი ცოლების ერთგულებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ვეძებ ისეთ ადამიანს, რომელიც სულით ჩემი იქნება. ამ განძის სამაგიეროდ მივცემდი ას მშვენიერს ქალს, რომელთა სილამაზეც მე მეკუთვნის. ნახეთ, იქნებ ამ ას ქალს შორის მიპოვოთ ერთი, რომლის სიყვარულში მე დავრწმუნდები.

ზადიგმა უპასუხა ისე, როგორც ფინანსისტების საკითხზე:

— მეფეო, მომეცი თ მოქმედების თავისუფლება; მაგრამ ჯერ ნება დამრთეთ ჩემს განკარგულებაში იყოს ის, რაც თქვენ ცოუნების დერეფანში გამოჰფინეთ; მე მას უკლებლად დაგიბრუნებთ და იქიდან თქვენ არაფერს დაჰკარგავთ.

მეფემ მას სრული თავისუფლება აღუთქვა. ზადიგმა სერენდობიში აარჩია ოცდაცამეტი უსაზიზღრესი კუზიანი, ოცდაცამეტი ულამაზესი დარბაზის ყრმა და ოცდაცამეტი ყველაზე მჭევრმეტყველი ბონზი.<sup>19</sup> მათ ნება მისცეს ნაბუსანის ცოლების პალატებში თავისუფლად შესულიყვნენ. თითოეულ კუზიანს

ოთხი ათასი ოქრო ჰქონდა საჩუქრისათვის და პირველ დღეს ყველა გაბედნიერდა. დარბაზის ყრმებმა, რომელთაც საჩუქრად თავის თავის გარდა არაფერი გააჩნდათ, მხოლოდ მეორე დღის ან მესამე დღის ბოლოს გაიმარჯვეს. ბონზებს ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ ბოლოს ოცდაცამეტი ღვთის მოსავეი ქალი მათ დანებდა. მეფე ყოველივე ამას თავისი ფანჯრის ქალიშვილებიდან ხედავდა და გაცხებული დარჩა. ასე ცოლიდან ოთხმოცდაცხრამეტი მის თვალწინ დანებდა. დარჩა ერთი, სულ ახალგაზრდა, სულ ახლად მოსული ქალწული, რომელსაც მისი დიდებულება აროდეს არ მიახლოებია. მას მიუგზავნეს ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, მესამე კუზიანი, რომლებიც ოც ათასამდე ოქროს ჰპარდებოდნენ. ქალი ვერ მოისყიდეს. ის დასცინოდა კუზიანებს, ის აპბობდა თქვენმა ოქრომ ერთი ბეწოთაც ვერ გაგალამაზათო. მიუყვანეს ორი ულამაზესი დარბაზის ყრმა. მან სთქვა, მეფე თქვენზე ლამაზიაო. მიუგზავნეს ჯერ ყველაზე მკვერმეტყველი ბონზი და შემდეგ ყველაზე გამბედავი, პირველი მას ყბედად მოეჩვენა, ხოლო მეორეს ღირსებას არც მიაქცია ყურადღება.

— გული ჰქმნის ყველაფერს, ანობობდა ის, კუზიანს მისი ოქროსთვის არასოდეს არ დაუნებდები, არც დარბაზის ყრმის სიმშვენიერეს, არც ბონზის ცთუნებას; მე მხოლოდ მეყვარება ნაბუსანი, ძე ნუსანაბისა და მოეუცდი, როდესაც თავისი სიყვარულის ღირსს გამხდის.

მეფე აღფრთოვანდა სიხარულისა, გაკვირვებისა და სინაზისაგან. მან შეჰკრიფა ფული, რომლითაც კუზიანებმა გაიმარჯვეს, და მშვენიერ ფალიდას აჩუქა; ასე ერქვა ახალგაზრდა ქალს. მეფემ მას თავისი გული მიუძღვნა; იგი ამის ღირსი იყო. აროდეს ახალგაზრდობის ყვაილი ასე ბრწყინვალე არ ყოფილა; აროდეს სილამაზის მომხიბვლელობა ასე დამატყვევებელი არ ყოფილა. ისტორიული სინამდვილე არ გვაძლევს ნებას დავმალეთ, რომ ის რევერანსს ცუდად აკეთებდა, მაგრამ ცეკვავდა ვით ფერია, მღეროდა ვით სირინოზი და ლაპარაკობდა ვით გრაცია. აღსავსე იყო ყოველგვარი ნიჭით და სათნოებით. ნაბუსანი უყვარდა ამ ქალს, და ნაბუსანიც აღმერთებდა მას; მაგრამ ქალს ცისფერი თვალები ჰქონდა და ეს გახ-

და მიზეზი დიდი უბედურებისა. არსებობდა ძველად დადგენილი კანონი, რომელიც მეფეებს უკრძალავდა იმ ქალების საყვარულს, რომელთაც ბერძნებმა  $\xi\sigma\mu\alpha\pi\epsilon\upsilon$  უწოდეს. ხუთი ათას წელზე მეტია, რაც ეს კანონი დაადგინა ბონზების უფროსმა, რომელმაც ცისფერი თვალების წყევლა სახელმწიფოს ძირითად კონსტიტუციაში შეიტანა, რათა კუნძულ სერენდისის პირველი მეფის საყვარელი მიესაკუთრებინა. სახელმწიფოს სხვადასხვა წარმომადგენლები ნაბუსანს აფრთხილებდნენ. საჯაროდ ლაპარაკობდნენ, რომ სამეფოს უკანასკნელი დღეები დადგა, რომ ბუნებას საბედისწერო დასასრული ემუქრება, რომ, ერთი სიტყვით, ნაბუსანს, ნუსანანის ძეს ორი დიდი ცისფერი თვალი უყვარდა. კუზიანებმა, ფინანსისტებმა, ბონზებმა და შავგვრემანმა ქალებმა სამეფო საჩივრებით აღავსეს.

ველურმა ხალხებმა, რომლებიც სერენდისის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, საერთო უკმაყოფილებით ისარგებლეს. ისინი კეთილ ნაბუსანის სახელმწიფოში მოულოდნელად შეიჭრნენ. მეფემ ამის გამო ფულადი დახმარება მოითხოვა. ბონზები, რომლებიც სახელმწიფოს შემოსავლის ნახევარს ფლობდნენ, დაკმაყოფილდნენ იმით, რომ ცისკენ ხელები აღაპყრეს. იმის მგავრად, რომ თავიანთი ზანღუკები გაეხსნათ და იქიდან მეფისთვის ფული ამოეღოთ, მათ ლამაზი ლოცვები მუსიკაზე გადაიტანეს და სახელმწიფო ბარბაროსების მსხვერპლად მიატოვეს.

— ო, ჩემო ძვირფასო ზადიგ, ნუთუ ერთხელ კიდევ არ დამიხსნი განსაცდელისაგან! — შეჰყვირა მწუხარებით ნაბუსანმა.

— დიდი სიამოვნებით, — უპასუხა ზადიგმა, — თქვენ გექნებათ ბონზების ფული იმდენი, რამდენსაც მოისურვებთ: მიატოვეთ უპატრონოდ მიწები, რომლებზედაც მათი სასახლეებია აშენებული, და დაიცავით თქვენები.

ნაბუსანმა შეასრულა ეს რჩევა. ბონზები მეფეს ფეხებში ჩაუვარდნენ და დახმარება შეჰპლალადეს. მეფემ მათ უპასუხა მშვენიერი მუსიკით, რომლის სიტყვები ვედრება იყო ცისადმი მათი მიწების დასაცავად. ბოლოს ბონზებმა მეფეს ფული მისცეს და მან ომი ბედნიერად დაამთავრა. ამგვარად ზადიგ-

მა თავისი ბრძნული და ბედნიერი რჩევით სახელმწიფოს უძლიერესი ხალხის მტრობა თავს დაიტეხა. ბონზებმა და შავგვრემანმა ქალებმა მის დასალუპად ფიცი დასდეს. არც ფინანსისტები და კუზიანები ინდობდნენ მას. კეთილ ნაბუსანს ექვი აღუძრეს. როგორც ზოროასტრის შეგონება ამტკიცებს, დეაწლი ხშირად სახლის შესავალში რჩება, ცილისწამება კი დარბაზში მიძვრება. ყოველდღე ახალი ბრალდებები ჩნდებოდა. როგორც ცნობილია, პარველი ბრალდება უკუიქცევა, მეორე ოდნავ ჰკაწრავს, მესამე და მეოთხე ჰკლავს.

შეშინებული ზადიგი, რომელმაც თავისი მეგობრის სეტოკის საქმეები მოაგვარა და ფულიც მიიღო, მხოლოდ კუნძულიდან წასვლაზე ფიქრობდა. გადასწყვიტა, თვითონ წასულიყო ასტარტეს ბედის გასაგებად.

— რადგან, — ამბობდა ის, — თუ სერენდიში დაერჩები, ბონზები სარზე ამაგებენ... მაგრამ სად წავიდე? ეგვიპტეში მონა ვიქნები, არაბეთში აუცილებლად დამწვავენ, ბაბილონში დამახრჩობენ, ამავე დროს საქირთა ვიცოდე, რა მოუვიდა ასტარტეს. გავემგზავროთ და ვნახოთ რას მიმზადებს ჩემი გაუხარელი ბედი.

## თავი XVI

### ჟაჩალი

ზადიგმა მიაღწია საზღვარს, რომელიც ქვიან არაბეთს სირიისგან ჰყოფს. მან კარგად გამაგრებული ციხე-დარბაზის წინ გაიარა, საიდანაც შეიარაღებული არაბები გამოვარდნენ, ზადიგს გარს შემოერტყნენ და ყვირილი დაიწყეს:

— ყოველივე, რაც თქვენ გაქვთ, ჩვენ გვეკუთვნის, ხოლო თქვენ თვითონ ჩვენს ბატონს ეკუთვნით.

ზადიგმა პასუხად ხმალი იშიშვლა. ასევე მოიქცა მისი გულადი მსახურიც. მათ მოჰკლეს პირველი არაბები, რომელთაც ხელის შეხება გაუბედეს. არაბების რიცხვი გაიზარდა. ზადიგმა და მისმა მსახურმა გადასწყვიტეს ბრძოლაში დახოცილიყვნენ. ორი ადამიანი უამრავისაგან თავს იცავდა: შეუძლებელი იყო ასეთი უთანასწორო ბრძოლა დიდხანს გაგრძე-



ლებულიყო. ციხის პატრონმა არგობადმა სარკმლიდან დაინახა მამაცობის სასწაული, რომელსაც ზადიგი ახდენდა. მისდამი პატივისცემა იგრძნო. უმალ ძირს დაეშვა და თავისი ხალხი გაჰყვანტა. გაათავისუფლა ორივე მგზავრი.

— ყველაფერი რაც ჩემს მიწაზე გაივლის ჩემია ისევე, როგორც ის, რასაც სხვის მიწაზე ვპოულობ,—სთქვა მან.—მაგრამ თქვენ ესოდენ გულად ადამიანად გთვლით, რომ საერთო კანონიდან გაათავისუფლებთ.

მან ზადიგი თავის კოშკში შეიყვანა და ხალხს უბრძანა კარგად მოქცეოდნენ მას. სალამოს არგობადმა ზადიგთან ერთად ვახშმობა მოისურვა.

ციხის მფლობელი იყო ერთი იმ არაბთაგანი, რომელთაც „ქურდებს“ უწოდებენ. უამრავ ცუდ საქმეებთან ერთად ის ხანდახან კარგსაც აკეთებდა. გიჟური სიხარბით იპარავდა, მაგრამ გულუხვდაც არიგებდა. ის იყო უშიშარი მოქმედებაში, საკმაოდ დამთმობი ვაჭრობაში, მოქეიფე სუფრაზე, მხიარული ქეიფში და, რაც მთავარია, გულწრფელობით სავსე. ზადიგი მას ძალიან მოეწონა. მისმა საუბარმა, რომელიც თანდათან ცოცხლდებოდა, ვახშამი გააგრძელა. ბოლოს არგობადმა უთხრა ზადიგს:

— მე თქვენ გირჩევთ ჩემთან სანსახური დაიწყოთ, ამაზე კარგს თქვენ ვერაფერს გააკეთებთ. ეს ხელობა ცუდი არ არის. თქვენ შესძლებთ ერთ დღეს გახდეთ ის, რაც მე ვარ.

— შემძლია გკითხოთ,—სთქვა ზადიგმა,—რამდენი ხანია რაც ამ კეთილშობილ ხელობას მისდევთ?

— ჩემი აღრინდელი ჰაბუკობიდან,—უპასუხა ბატონმა.— მე ერთი მარჯვე არაბის მსახური გახლდით. ჩემი მდგომარეობა აუტანელი იყო. სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ ბედმა არ მაკუთვნა ის ხვედრი, რომელიც ყველა ადამიანს აქვს თანასწორად. ჩემი დარდი გავანდე ერთ მოხუცს არაბს, რომელმაც მითხრა:—ჩემო შეილო, ნუ სწუხართ; იყო ერთი ქეიშის მარცვალი, რომელიც ტიროდა, რომ ის უცნობი ატომი იყო უდაბნოებში; რამდენიმე წლის შემდეგ ის აღმასად იქცა და ეხლა ინდოეთის მეფის გვირგვინის უმშვენიერესი სამკაულია. ამ საუბარმა ჩემზე იმოქმედა: მე ქეიშის მარცვალი ვიყავი,

აღმასად გადაქცევა გადავწყვიტე. ორი ცხენის მოპარვით დავიწყე; შემოვიკრიბე ამხანაგები. ჩქარა პატარა ქარავნების გაქურდვა შეეძელი; ამრიგად ნელ-ნელა მოვსპე უთანასწორობა ჩემსა და ხალხს შორის. ამქვეყნიური სიკეთის ჩემი ხვედრი მივიღე და დანაკლისი კარბადაც ამინაზლაურდა: დიდი პატივისცემა იგრძნეს ჩემდამი; ბატონი ყაჩალი გავხდი, ეს სასახლე ძალადობით შევიძინე. სირიის სატრაპმა მისი წართმევა მოისურვა; მაგრამ მე უკვე მეტად მდიდარი გახლდით, რომ რამის შემშინებოდა; სატრაპს მივეცი ფული, რომლის საშუალებითაც ეს სასახლე შევინარჩუნე, და ჩემი სამფლობელო გავაფართოვე; მან იმ ხარკების მოლარედაც კი დამნიშნა, რომელსაც ქვიანი არაბეთი მეფეთა მეფეს უხდის. მე ვასრულებდი ხარკთამკრეფის თანამდებობას და არა გადამხდელის.

— ბაბილონის დიდმა დესთერჰამმა მეფე მოაბდარის სახელით აქ ერთი პატარა სატრაპი გამოგზავნა ჩემს დასახრჩობად. ეს კაცი მეფის ბრძანებითურთ ჩამოვიდა. მე ყოველივე გაგებული მქონდა; მის წინ დავახრჩობინე ოთხი ადამიანი, რომლებიც მარყუჟის მოსაჭერად ჩამოყვანა, რის შემდეგ შევეკითხე თუ რას აძლევდნენ ჩემს დახრჩობაში. მან მიპასუხა, რომ ჯილდო შეიძლება სამას ოქრომდე ასულიყო. მე აშკარად ვაგრძობინე, რომ ჩემთან მეტს მოიგებდა. ის უმცროს ყაჩალად დავნიშნე. ეხლა იგი ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერთაგანია და ყველაზე მდიდარია. თუ დამიჯერებთ, თქვენც მიაღწევთ ამას. ქერდობის დრო არაოდეს. ამაზე უკეთესი არ ყოფილა, მის შემდეგ რაც მოაბდარი მოკლულია და ბაბილონში ყველაფერი არეულ-დარეულია.

— მოაბდარი მოკლულია!—სთქვა ზადიგმა,—რა მოუვიდა დედოფალ ასტარტეს?

— მე არაფერი ვიცი მის შესახებ,—უპასუხა არგობადმა,—ვიცი მხოლოდ ის, რომ მოაბდარი გაგიედა, ის მოჰკლეს, ბაბილონი ავაზაკთა ბუნაგად იქცა, მთელი სახელმწიფო განადგურებულია და იქ კიდევ ბევრი თარეში შეიძლება.

— დედოფალი?—სთქვა ზადიგმა,—ნუთუ არაფერი იცით დედოფლის ბედის შესახებ?

— ჰირკანის ერთი პრინცი დამისახელეს, — უპასუხა მან: — დედოფალი ალბათ მის ხასებზე შორის იქნება, თუ არეულობაში არ მოჰკლეს; მაგრამ მე უფრო ნადავლით ვარ დაინტერესებული, ვიდრე ახალი ამბებით. ბევრი ქალი შეევაგროვე ჩემი თავდასხმის დროს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ვინახავ; მე მათ ძვირად ვყიდი, როდესაც ლამაზნი არიან, და მათ ვინაობას არც ვარკვევ. მათ წოდების გულისთვის არავინ ყიდულობს: დედოფალი, რომელიც ალბათ მახინჯი იყო, მყიდველს ვერ იშოვიდა. შეიძლება მე გავყიდე დედოფალი ასტარტე, შეიძლება იგი მკვლარიცაა, ეს ჩემთვის სულერთია და, ვფიქრობ, რომ ჩემზე მეტად არც თქვენ უნდა ზრუნავდეთ მასზე.

ამ ლაპარაკში ის ისე ვაჟაკურად სვამდა და ისე ურევდა აზრებს, რომ ზადიგმა ვერ შესძლო რაიმეს გაგება. ის ჩაფიქრებული იჯდა, უხალისო, გაშტერებული, არგობადი კი სულ სვამდა, ჰყვებოდა ამბებს, განუწყვეტლად იმეორებდა, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარო, ურჩევდა ზადიგს, რომ ისიც იმასავით ბედნიერი გამხდარიყო. ბოლოს, ღვინისგან ტკბილად გაბრუებულმა, დაიძინა მშვიდი ძილით. ზადიგმა ღამე უძლიერეს მღელვარებაში გაატარა.

— როგორ, — ამბობდა ის, — მეფე გაგიჟდა? ის მოჰკლეს? არ შემიძლია არ შევიბრალო იგი. სახელმწიფო დაშლილია, ეს ყაჩაღი კი ბედნიერია. ოჰ ბედისწერავ! ქურდი ბედნიერია და ის, ვინც ბუნებამ უსაყვარლეს არსებად გააჩინა, შეიძლება ტანჯვაში დაიღუპა, ან სიკვდილზე უარეს მდგომარეობაში ცოცხლობს. ოჰ ასტარტე! რა მოგივიდა?

გათენებისას მან კოშკში ყველას დაჰკითხა; მაგრამ არავის უპასუხნია, ყველა თავის საქმეში იყო გართული; ამ ღამეს მათ ახალი გამარჯვება მოეპოვებინათ და ნადავლს იყოფდნენ. ის, რაც მან შესძლო მიეღო ამ ხმაურში და არეულობაში, იყო ნებართვა გამგზავრებისა. მწუხარე ფიქრებში ჩაუღულმა ეს ნებართვა დაუყოვნებლად გამოიყენა.

ზადიგი მიდიოდა შეწუხებული, აღლევებული, მისი გონება უბედურ ასტარტეზე ფიქრით იყო მოცული. ფიქრობდა ბაბილონის მეფეზე, თავის მეგობარ კადორზე, ბედნიერ ყაჩაღ

არგობადაზე, ენინიან ქალზე, რომელიც ბაბილონელებმა ეგვიპტის საზღვარზე მოიტაცეს, და ბოლოს ყველა დაბრკოლებათა და უბედურებათა, რომელიც მან გამოიარა.

## თავი XVII

### მეთევზე

არგობადის ციხე-დარბაზიდან რამდენიმე მილის დაშორებით ის პატარა მდინარის ნაპირთან გაჩნდა. გამუდმებით დასტიროდა თავის ბედს და თავის თავს უბედურების მაგალითად სთვლიდა. მან მდინარის პირას წამოწოლილი მეთევზე შეამჩნია, რომელსაც დასუსტებულ ხელში ძლივს ეჭირა ბადე; როგორც ჩანდა, ბადე დავიწყებოდა და ცისკენ აღეპყრო თვალები.

— მე უცილობლად ყველაზე უფრო უბედური ვარ,—ამბობდა მეთევზე,—ბაბილონში მოუხდელი ყველის სახელგანთქმული ვაჭარი ვიყავი და გაეკოტრდი. მყავდა ყველაზე ლამაზი ცოლი, როგორიც შეიძლება ჩემნაირ კაცს ჰყავდეს; და მიღალატა. დამრჩა ერთი ძველი სახლი, ისიც ჩემს თვალწინ გაძარცვეს და დაანგრის. ქოხში მიგდებულს, თევზის ჭერა-ლა დამრჩა ცხოვრების სახსრად და ერთი თევზიც კი ვერ დამიჭერია. ოჸ ჩემო ბადევ! შენ კი აღარ გადაგადებ წყალში, მე თვით გადავევარდები.

ამ სიტყვებთან ერთად ის ადგა, გაიწია წინ. ემჩნეოდა, წყალში გადავარდნას და სიცოცხლის დასრულებას აპირებდა.

— როგორ!—თავის თავს მიმართა ზადიკმა,—ჩემსავით უბედური ხალხი კიდევ ყოფილა!

ვერც კი მოასწრო ამის გაფიქრება, რომ მან სწრაფად მეთევზესთან მიიბრინა მის გადასარჩენად. მან გააჩერა იგი, გამოჰკითხა კეთილი და დამამშვიდებელი სახით. ამბობენ, რომ ადამიანი ნაკლებად უბედურია, როდესაც უბედურებაში მარტო არ არისო. ზოროასტრის აზრით, ეს გამოწვეულია არა ღვარძლიანობით, არამედ აუცილებლობით. უბედური მისწრაფებას გრძნობს უბედურისადმი, როგორც თავის მსგავსისადმი. ბედნიერი ადამიანის მხიარულება შეურაცხყოფა იქნებოდა მისთვის; ორი უბედური წააგავს ორ სუსტ ხეს, რომელნიც ქარიშხლისგან თავის დასაცავად ერთმანეთს ეყრდნობიან.

— რატომ უხრით ქედს უბედურებას? — უთხრა ზადიგმა მეთევზეს.

— რადგან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, — უპასუხა მან. ბაბილონის მახლობელ სოფელ დელბაკში მე ყველაზე პატივცემული ვიყავი, ჩემი ცოლის დახმარებით მთელ სახელმწიფოში საუკეთესო მოუხდელ ყველს ვამზადებდი. დედოფალ ასტარტეს და სახელოვან მინისტრს ზადიგს ჩემი ყველი მეტად უყვარდათ. მე მათ ექვსასი ყველი გავუგზავნე. ერთ დღეს ფულის მისაღებად ქალაქს წავედი. ბაბილონში ჩასვლისას გავიგე, რომ დედოფალი და ზადიგი ქალაქიდან გაჰქრნენო. მე გავიქეცი ბატონ ზადიგთან, რომელიც აროდეს მენახა. იქ ვიხილე დიდი დესთერჰამის აგენტები, რომლებიც მეფის ბრძანებით კეთილსინდისიერად და უანონიერად მის სახლს სძარცვავდნენ. შემდეგ დედოფლის სამზარეულოსკენ გავქანდი. მეფის მაგიდის მსახურების ერთი ნაწილი მეუბნებოდა, რომ ზადიგი მოკვდაო, მეორე, რომ იგი ციხეშიაო; ზოგმა განაცხადა, რომ ის გაიქცაო; მაგრამ ყველა ერთად მარწმუნებდა, შენს ფულს არავინ გადაიხდისო.

— ჩემ ცოლთან ერთად წავედი ბატონ ორკანთან, ის ჩვენი მუშტარი იყო. ჩვენს უბედურებაში მას მფარველობა ვთხოვეთ, იგი ჩემს ცოლს დასთანხმდა, მე კი უარი მითხრა. ჩემი ცოლი უფრო თეთრი იყო, ვიდრე მოუხდელი ყველი, რომლითაც ჩემი უბედურება დაიწყო, და ტიროსის მარჯნის ელვარება არაფერი იყო მის შეფაკლებულ ლოყებთან შედარებით. ამიტომ იყო, რომ ორკანმა იგი დაიტოვა და მე სახლიდან გამომავდო. ჩემ ძვირფას ცოლს სასოწარკვეთილი წერილი მივწერე. მან მიმტანს უთხრა: — ოჰ დიახ, მე ვიცი ვინც მწერს წერილს, გამიგია მის შესახებ, რომ ის ამხადებს საუცხოო მოუხდელ ყველს, უთხარით კიდევ გაჰომიგზავნოს, მას ფულს გადაუხდინ.

ამ უბედურების გამო მოვიწოდებ სამართლისთვის მიმემართა. ექვსი უნკა ოქრო დამრჩა, იქიდან ორი უნკა საჭირო გახდა კანონების მცოდნისათვის მიმეცა, რომელსაც რჩევას ვკითხავდი, ორიც ვეჭილისთვის, რომელმაც ჩემი საქმე აი-

ლო, ორიც პირველი მოსამართლის მდიენისთვის. როდესაც ეს ყოველივე გაკეთდა, ჩემი გასამართლება ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, მე კი დავხარჯე იმდენი ფული, რამდენიც ჩემი ცოლი და ჩემი ყველი ერთად არ ღირდა. დავბრუნდი სოფელში იმ განზრახვით, რომ სახლი გამეყიდა ცოლის გამო-სასყიდად.

— ჩემი სახლი კარგი სამოცი უნკა ოქრო ღირდა, მაგრამ მხედავდნენ, რომ გაქირვებულს და გაღარიბებულს საჩქაროდ უნდა გაეყიდა იგი. პირველმა, რომელსაც მივმართე, ოცდაათი უნკა შემომამძლია, მეორემ—ოცი, მესამემ—ათი. იმდენად დავბრმავდი, რომ მზად ვიყავი დავთანხმებულიყავი, მაგრამ ამ დროს პირკანის პრინცი ბაბილონში შემოვიდა და გზაზე ყოველივე გაანადგურა. ჩემი სახლი ჯერ გააპარტახეს და შემდეგ გადაჰბუგეს.

— ამრიგად დავკარგე ჩემი ფული, ჩემი ცოლი, ჩემი სახლი და, როგორც მხედავ, ამ მხარეში მოვედი. ვცდილობდი მეთევზეობით მეცხოვრა. თევზები ისევე დამცინიან, როგორც ადამიანები. ვერაფერს ვიჭურ, შინშილით ვკვდები და უთქვე-ნოდ, დიდებულო ნუგეშისმცემელო, მდინარეში თავს დავიხრ-ჩობდი.

მეთევზე დალაგებით ვერ ჰყვებოდა ამ ამბავს, რადგან ზადიგი, აღელვებული და მოთმინებიდან გამოსული, ეკითხებოდა მას:

— ნუთუ არაფერი იცით, რა ბედი ეწვია დედოფალს?

— არა, ბატონო, — უპასუხა მეთევზემ, — მაგრამ ვიცი, რომ დედოფალმა და ზადიგმა მოუხდელი ყველის საფასური არ გადამიხადეს, რომ წამართვეს ცოლი და რომ უნუგეშო მდგომარეობაში ვარ.

— იმედი მაქვს, — უთხრა ზადიგმა, — რომ თქვენ ფულს არ დაკარგავთ. მე გამიგია, ზადიგი პატიოსანი კაციაო და თუ ბაბილონში დაბრუნდა, უფრო მეტსაც მოგცემთ, ვიდრე მართებს; ხოლო რაც შეეხება თქვენ ცოლს, რომელიც არც ისე პატიოსანია, ნუ იწუხებთ მისი დაბრუნებისათვის. დამიჯერეთ, წადით ბაბილონში, მე იქ თქვენზე აღრე ვიქნები, რადგან ცხენითა ვარ, თქვენ კი — ქვეითად, მიმართეთ სახელოვან კა-

დორს, უთხარით, რომ შეხვდით მის მეგობარს, დამიცადეთ მასთან. წადით, იქნებ ყოველთვის უბედური არ იყოთ.

— ოჰ, ყოვლის შემძლეო ორმუზდო!—წარმოსთქვა ზადიგმა,— თქვენ მე მიმსახურებთ ამ კაცის დასამშვიდებლად, ვის მოიმსახურებთ თქვენ ჩემს დასამშვიდებლად?—შემდეგ მეთევზეს მისცა იმ ფულის ნახევარი, რომელიც მან არაბეთიდან ჩამოიტანა. მეთევზე, დაბნეული და აღფრთოვანებული, ფეხებს უკოცნიდა კადორის მეგობარს და ეუბნებოდა:—თქვენ ჩემი მხსნელი ანგელოსი ბრძანდებით.

ზადიგი კი განუწყვეტლად ახალ ამბებს ჰკითხავდა და თან ცრეკლებს აფრქვევდა.

— როგორ! ბატონო!—შეჰყვირა მეთევზემ,—მაშ თქვენც უბედური ხართ, თქვენ, ვინც სიკეთეს სთვსთ?

— უბედური ასჯერ მეტად, ვიდრე შენ,—უთხრა ზადიგმა.

— როგორ შეიძლება,—ამბობდა გულუბრყვილო კაცი,— რომ წყალობის მიმცემი უფრო უბედური იყოს, ვიდრე წყალობის მიმღები?

— ეს იმიტომ, რომ შენი დიდი უბედურება გაჭირვება იყო,— უპასუხა ზადიგმა,—მე კი გულის გამო ვარ გაუბედურებული.

— ორკანმა ხომ არ წაგართვათ ცოლი?—შეეკითხა მეთევზე.

ამ სიტყვებმა ზადიგს თავიანი თავგადასავალი გაახსენეს. ის ითვლიდა თავის უბედურ შემთხვევებს დედოფლის ძაღლიდან დაწყებულნი, ყაჩაღ არგობადთან მისვლამდე.

— ეჰ,—უთხრა მან მეთევზეს,—ორკანი ღირსია დასჯის, მაგრამ ამ ხალხს ბედისწერა მფარველობს. რაც არის არის, წადი ბატონ კადორთან და მომიცადე.

ისინი დაშორდნენ ერთმანეთს. მეთევზე მიდიოდა, თავის ბედის მადლიერი, ზადიგი კი მიაქენებდა ცხენს თავის ბედის უმადური.

## თავი XVIII

### ბასილისკო

ერთ ლამაზ მღელოზე მან შეამჩნია ქალები, რომელნიც დიდის გულმოდგინებით რალაცას ეძებდნენ. ის თამამად მიუახლოვდა ერთ-ერთ მათგანს და სთხოვა, პატივი დამღეთ ძებნაში დაგეხმარათო.

— ფრთხილად, — უპასუხა სირიელმა ქალმა, — მას რასაც ჩვენ ვეძებთ, მხოლოდ ქალი შეიძლება შეეხოს.

— საოცარია, — სთქვა ზადიგმა, — გამაგებინე გეთაყვა, განა რას ეძებენ, რომ მასზე შეხების უფლება მხოლოდ ქალებს აქვთ მინიჭებული.

— ეს ბასილისკოა, — უთხრა ქალმა.

— ბასილისკო, ქალბატონო? რისთვის ეძებთ მას?

— ჩვენი ბატონ-პატრონი ოგულისთვის, რომლის სასახლე-საც ხედავთ მდინარის პირას, ამ მინდვრის ბოლოს. ჩვენ მისი მორჩილი მხეველები ვართ. ბატონი ოგული ავად არის; ექიმმა უბრძანა, ვარდისწყალში მოხარშული ბასილისკო ჭამეო, და რადგან ეს ცხოველი, რომელიც მხოლოდ ქალებს ნებდება დასაქერად, ძალიან იშვიათია, ბატონი ოგული დაგვპირდა, ჩვენ შორის თავის საყვარელ ცოლად აირჩიოს ის, ვინც მას ბასილისკოს მოუტანს. თუ შეიძლება, ძებნას ნუ მიშლით, თქვენ ხომ ხედავთ რა ძვირად დამიჯღღებით, თუ ჩემმა მეგობრებმა დამასწრეს.

ზადიგმა აღარ შეუშალა ხელი ამ სირიელ ქალს და მის მეგობრებს ბასილისკოს ძებნაში და განაგრძო გზა.

ზადიგი მიუახლოვდა ერთ პატარა რუსს, რომლის ნაპირზე დაინახა ბალახზე წამოწოლილი ქალი, ის არაფერს ეძებდა. მისი ტანი მეფური ჩანდა, სახე კი პირბადით ჰქონდა დაფარული. ნაკადულისკენ გადახრილს ღრმა ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე გულიდან. ხელში ეჭირა პატარა ჯოხი, რომლითაც ბალახისა და რუს შორის დაყრილ სილაზე ასოებს იყვანდა. ზადიგს ცნობისმოყვარეობა აღედრა: უნდოდა დაენახა, რას სწერდა ეს ქალი. მიუახლოვდა და დაინახა ასო „ზ“, შემდეგ „ა“; გაუკვირდა, შემდეგ გამოჩნდა „დ“; ის აკანკალდა მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თავისი სახელის ორი უკანასკნელი ასოც შეამჩნია. ის ცოტახანს გაუნძრევლად იდგა. ბოლოს აკანკალებული ხმით დაარღვია სიჩუმე:

— ოჰ კეთილშობილო ქალო! აპატიეთ უცხო, უბედურ ადამიანს კადნიერება, მითხარით რა გასაოცარი შემთხვევის ძალით ხედავს ის აქ სახელს ზადიგს, დაწერილს თქვენი ღვთაებრივი ხელით?



ამ ხმის, ამ სიტყვების გაგონებისთანავე ქალმა ათროლოგ-ბული ხელით პირბადე აიხადა, შეხედა ზადიგს, შეჰყვირა მორეული გრძნობისა, გაკვირვებისა და სიხარულისაგან და, რადგან ვერ გაუძლო სულის ესოდენ დიდ მოღელვარებას. უგრძნობლად მიეყრდნო მის მკერდს. ეს იყო თვით ასტარტე, ბაბილონის დედოფალი; ეს იყო ის, ვისაც ზადიგი აღმერთებდა და ამ გაღმერთებისთვის თავის თავს სჯიდა. ეს იყო ის, ვის გულისთვისაც ამდენს ტიროდა და ვისი ბედიც ასე აშინებდა. მან ერთ წუთს თავის გრძნობების შეცნობის უნარი დაჰკარგა და, როდესაც თვალებში ჩაჰხედა ასტარტეს, დაინახა, რომ ისინი ნაზად და მორცხვად მიბნედილნი კრთოდნენ.

— ოჰ უკვდავო ძალნო!— შეჰყვირა ვაჟმა, — რომელნიც მართავთ სუსტი ადამიანების ბედს, თქვენ მიბრუნებთ ასტარტეს? რა დროს, რა ადგილას, რა მდგომარეობაში ვხედავ მას?

მან მუხლი მოიყარა ასტარტეს წინ და მის ფეხთა მტვერში დაამხო შუბლი. ბაბილონის დედოფალმა ის ფეხზე წამოაყენა და გვერდზე მოისვა. ასტარტე ხშირად იწმენდა თვალებს, რომლიდანაც ცრემლები განუწყვეტლივ სდიოდა. იწყებდა მრავალჯერ ლაპარაკს, რომელსაც ქვითინი აწყვეტინებდა. ჰკითხავდა, რა განგების ძალით შევხვდით ერთმანეთსო და პასუხს სხვა კითხვებით აწყვეტინებდა. იწყებდა თავის უბედურების მოყოლას და სურდა გაეგო ზადიგისაც. ბოლოს ორივემ ოდნავ დაიმშვიდეს აღელვებული სული. ზადიგმა რამდენიმე სიტყვით უამბო, თუ რა შემთხვევით მოხვდა ამ ველზე.

— მაგრამ, ოჰ, უბედურო და პატივცემულო დედოფალო, რატომ გპოულობთ თქვენ ამ განმარტოებულ ადგილას, მხეელის ტანსაცმელში და მხევალ ქალებს შორის, რომელნიც ეძებენ ბასილისკოს, რათა ექიმის ბრძანებით ის ვარდის წყალში მოხარშონ.

— იმ დროს, როდესაც ისინი ბასილისკოს ეძებენ, — სთქვა მშვენიერმა ასტარტემ, — მე მოგიყვებით ყოველივეს, რაც თავს გადამხდა და რაც ცას შეეუნდე, რაკი თქვენ ხელახლად გხედავთ. თქვენ იცით, რომ მეფეს, ჩემს ქმარს, არ მოსწონდა, რომ თქვენ ყველაზე საამური ადამიანი იყავით; ამიტომ ერთ

ღამეს მან თქვენი დახრჩობა და ჩემი მოწამვლა გადასწყვიტა. თქვენ იცით, თუ როგორ მისცა ნება ზეცამ ჩემს პატარა მუნჯ ჯუჯას, მისი აღმატებული დიდებულების ბრძანება ჩემთვის გაეგებინებინა. ის იყო ერთგულმა კადორმა თქვენ გაიძულათ მე დანმორჩილებოდით და გამგზავრებულიყავით, რომ მან შუალამეს საიდუმლო კარით ჩემთან შემოსვლა გაბედა, მომიტაცა და მიზიყვანა ორმუზდის ტაძარში, სადაც მოგვმა, მისმა ძმამ, ჩამკეტა უშველებელ ქანდაკებაში, რომლის ფეხები ტაძრის იატაკს ეხება, თავი კი კამარას სწვდება. მე იქ ცოცხლად დამარხულივით ვიყავი, მაგრამ თვით მოგვი მემსახურებოდა და არაფერი მაკლდა. ამასობაში ალიონზე მეფის მეთაფთიაქე ჩემს ოთახში შევიდა ლენცოფის, ხაშხაშის, მათოთის, შავი ელემორის და აკონიტისგან დამზადებული სასმელით, მეორე კარისკაცი კი აბრეშუმის ცისფერი ზონრით თქვენსას მივიდა. ვერაფერს იპოვეს. რათა მეფე უფრო კარგად მოეტყუებინა, კადორმა მოაჩვენა თითქოს ჩვენ ბრალს გვდებდა. მან უთხრა, რომ თქვენ ინდოეთის გზით გაემგზავრეთ და მე კი მემფისის. ორივეს მღევრები დაგვადევნეს.

— მღევრები, რომლებიც მე მეძებდნენ, არ მიცნობდნენ. თქვენს გარდა არავისთვის მიჩვენებია სახე, ისიც ჩემი ქმრის თანადასწრებით და ბრძანებით. მღევრებს ჩემი სახე აუწერეს, და ისინიც ჩემს დასაქერად გაემგზავრნენ. ეგვიპტის საზღვარზე მათ შეხვდათ ჩემი სიმაღლის ქალი, რომელიც შეიძლება ჩემზე მომხიბლავიც იყო. ის ნამტირალევი სახით დაეხეტებოდა. მღევრებს ის ბაბილონის დედოფალი ეგონათ. მიუყვანეს მოაბდარს. მათმა შეცდომამ მეფე მეტად გაანრისხა, მაგრამ როდესაც ეს ქალი ახლოს დაათვალიერა, აღმოაჩინა, რომ ძალიან ლამაზი იყო და დამშვიდდა. იმ ქალს მისუფეს ეძახდნენ. შემდეგ გავიგე, რომ ეგვიპტურ ენაზე ეს „მშვენიერ ქირვეულს“ ნიშნავს. იგი მართლაც ასეთი იყო, მაგრამ იმდენივე მოხერხებულება ჰქონდა, რამდენიც ქირვეულობა. ის მოაბდარს მოეწონა. ქალმა იგი იმდენად დაიმორჩილა, რომ თავი ცოლად გამოაცხადებინა. მაშინ მისი ხასიათი მთლად გამოაშკარავდა. ის უშიშრად მიეცა თავის გიჟურ ფანტაზიას. მოინდომა, მოხუცი და ნეკრესით დაავადებული

მოგვების უფროსი აქტულებინა ეცეკვა მის წინ და უარის გამო დაუნდობლად აწამა.

— შემდეგ მან თავის მთავარ მეჯინიბეს უბრძანა გამოეცხო მურაბის ღვედილი. მთავარმა მეჯინიბემ ბევრი არწმუნა, მეშაქარლამე არ ვარო, მაინც გამოაცხოვინა და გაავლო, რადგან ღვედილი დაიწვა. მისუფემ მთავარ მეჯინიბის თანადებობა ჯუჯას უბოძა, კანცლერის ადგილი კი დარბაზის ყრმას. ამგვარად მართავდა იგი ბაბილონს. ყველას მე ვენანებოდი. მეფე, რომელიც საკმაოდ პატიოსანი კაცი იყო იმ დღემდე, სანამ ჩემს მოწამელას და თქვენს დახრჩობას გადასწვეტდა, თავის სათნოებას თითქოს აღშობდა უცნაურ სიყვარულში, რომელსაც ჰირვეულ მზეთუნახავისადმი გრძნობდა. წმინდა ცეცხლის უქმე დღეს მეფე ტაძარში მივიდა. დავინახე, როგორ ლოცულობდა მისუფესთვის იმ ქანდაკების საფეხურთან, რომელშიც მე ვიყავი დამწყვდეული. ავიმალღე ხმა და დავუყვირე: „ღმერთები უარს ეუბნებიან იმ მეფის ვედრებას, რომელიც მტარვალის გახდა, რომელმაც ჰქვიანი ცოლის მოკვლა მოინდომა, რათა დამთხვეული ქალი შეერთო“. მოაბდარი იმდენად განცვიფრდა ამ სიტყვებისაგან, რომ ჰქუაზე შეირყა. განაჩენი, რომელიც მე წარმოვსთქვი, და მისუფეს მტარვალობა, საკმარისი იყო, მას გონება დაჰკარგოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ის გაგიჟდა. სიგიჟე, რომელიც ზეცის სასჯელივით მოველინა მას, ნიშანი გახდა აჯანყებისა. ხალხი აღსდგა, ხელში აიღო იარაღი.—ბაბილონი, ესოდენ დიდხანს ჩაფლული უსაქმურ განცხრომაში, საშინელი სამოქალაქო ომის სარბიელი გახდა. მე ჩემი ქანდაკების ფულუროდან გამომიყვანეს და ერთი პარტიის სათავეში ჩამაყენეს. კადორი მემფისს გაიქცა, რათა თქვენ ბაბილონში მოეყვანეთ. ჰირკანიის პრინცმა გაიგო ეს საბედისწერო ამბები და თავისი ჯარით მოვიდა ქალდეაში მეორე პარტიის შესაქმნელად. ის შეებრძოლა მეფეს, რომელიც თავის თავქარიან ეგვიპტელ ქალთან ერთად წინ შეეგება. მოაბდარი განგმირული დაეკა. მისუფე გამარჯვებულებს ხელში ჩაუვარდა. ჩემმა უბედურმა ბედმა მოისურვა, რომ ჰირკანიის ერთ-ერთ პარტიას მე თვით ტყვედ ჩავეარდნოდი და პრინცთან სწორედ იმ დროს მივეყვა-

ნეთ, როდესაც მასთან მისუფე მოჰყავდათ. თქვენ უეჭველად გესიამოვნებათ, როდესაც გაიგებთ, რომ პრინცმა ეგვიპტელ ქალზე უფრო ლამაზად ჩამთვალა, მაგრამ უეჭველად გიწყინებათ, როცა გაიგებთ, რომ მან თავის ჰარამხანისათვის ამომარჩია.

— მან მითხრა, შენთან მოვალ მაშინვე, როგორც კი დავამთავრებ ლაშქრობას, რომელსაც ვაპირებო. წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება. ჩემი კავშირი მოაბდართან გაწყვეტილი იყო, შემძლო ზადიგის გაემხდარიყავი და ბარბაროსის ბორკილებში ჩავეარდი. მე მას ვუპასუხე მთელი იმ გულზვიადობით, რომლის უფლებასაც ჩემი წოდება და ჩემი გრძნობა მაძლევდა. გამიგია, ზეცა ჩემნაირ ადამიანებს ხასიათის ისეთ სიდიადეს ანიჭებს, რომ მათი ერთი სიტყვა, ერთი შეხედვა ღრმა პატივისცემით ქედს ახრევიანებს თავხედებს, რომლებიც რაიმე უმართებულობის ჩადენას ბედავენო. მე ვლაპარაკობდი როგორც დედოფალი, მაგრამ მექცეოდნენ როგორც შოახლეს. პირკანელმა არც კი იკადრა ჩემთვის მოემართა, თავის საჭურისს ჩემზე უთხრა, კანდიერია, მაგრამ ლამაზიო. ჯბრძანა მოევლო ჩემთვის და რჩეულის მდგომარეობაში ჩავეყენებინე იმ მიზნით, რომ განეახლებინა ჩემი სახის ფერი და ჩემი თავი უფრო მეტად გაეხადა ღირსი ყურადღებისა იმ დღისთვის, როდესაც მოხერხებულ დროს იპოვიდა ჩემს გასაბედნიერებლად.

— მე პირკანელს ვუთხარი, თავს მოვიკლავ მეთქი; მან სიცილით მიპასუხა, თავს ასე არ იკლავენ, ამგვარი რამ ბევრი მინახავსო, და გამშორდა, როგორც კაცი, რომელმაც ეს-ეს არის თუთიყუში თავის საფრინველოში დაამწყვდია. რა მდგომარეობაა მსოფლიოს პირველი დედოფლისთვის, უფრო მეტს ვიტყვი, იმ გულისთვის, რომელიც ზადიგს ეკუთვნოდა!

ამ სიტყვებზე ზადიგი მის ფეხებთან დაეცა და ცრემლით განზანა ისინი. ასტარტემ იგი ნაზად წამოაყენა და განაგრძო ამრიგად:

— მე ბარბაროსების ხელში ვიყავი ჩავარდნილი, ამავე დროს— მეტოქე გივი ქალისა, რომელთანაც ერთად დამწყვდელი ვიყავი. მან მიამბო, თუ რა გადახდა თავს ეგვიპტეში.

იმ ნიშნებით, რომლითაც ის თქვენ გხატავდათ, დროით, აქ-  
ლემით, რომელზედაც იჯექით, ყველა ვითარებით მე მივხვდი,  
რომ ის კაცი, რომელიც მისთვის იბრძოდა, ზადიგი იყო. ჩემ-  
თვის უიჭველი გახდა, რომ თქვენ მემფისში იყავით; გაქცევა  
გადავწყვიტე. „მშვენიერო მისუფე, — ვუთხარი მას, — თქვენ ჩემ-  
ზე მეტად მხიარული ხართ, თქვენ ჩემზე უკეთ გაართობთ  
ჰირკანის პრინცს. შემადლებინეთ აქედან თავის დაღწევა მო-  
ვახერხო; თქვენ მარტოდ იმეფებთ, მე გამამდინიერებთ, თქვენ  
კი მეტოქეს მოიშორებთ“. მისუფემ ჩემთან შეათანხმა ჩემი  
გაქცევის ღონისძიება. მე ეგვიპტელ მონასთან ერთად ჩუმად  
გავიპარე.

— არაბეთთან უკვე მოახლოებული ვიყავი, როდესაც სა-  
ხელგანთქმულმა ავაზაქმა, არგოზადად წოდებულმა, მომიტაცა  
და მიმყიდა ვაქრებს, რომლებმაც მომიყვანეს სასახლეში, სა-  
დაც ბატონი ოგული ცხოვრობს. მან ისე მიყიდა, რომ არც  
იცოდა, ვინ ვიყავი. ეს ერთი ავხორცი კაცია, რომელსაც მხო-  
ლოდ ჭამა უყვარს და ჰგონია, რომ ღმერთმა ის ქვეყნად მხო-  
ლოდ იმისთვის გააჩინა, რომ სუფრასთან იჯდეს. ის ისე უზო-  
მოდ გასუქებულია, რომ ყოველთვის მზად არის დაიხრჩოს.  
ექიმმა, რომელსაც ოგულზე მეტად მცირე გავლენა აქვს,  
როცა ის საკმელს კარგად ინელებს და რომელიც მას დეს-  
პოტურად ექცევა, როდესაც ის ზედმეტს სჭამს, დაარწმუნა,  
რომ განკურნავს ვარდის წყალში მოხარშული ბასილისკოთი.  
ბატონი ოგული თავის ხელს დაჰპირდა მხევალი ქალებიდან  
იმას, ვინც ბასილისკოს მოუტანს. თქვენ ხედავთ, რომ მე არ  
ვუშლი მათ ეს პატივი დაიმსახურონ და მას შემდეგ, რაც  
ზეცამ ნება დამართო თქვენ მენახეთ, ყველაზე ნაკლებად მსურს  
ბასილისკო ვიპოვო.

ასტარტემ და ზადიგმა ერთმანეთს უთხრეს ყოველივე ის,  
რაც დიდხანს დაფარულ გრძნობებს, უბედურებას და სიყვა-  
რულს შეეძლო შთაეგონებინა ყველაზე კეთილშობილი და  
ვნებიანი გულებისთვის; და ძალებმა, რომლებიც სიყვარულს  
მფარველობენ, მათი სიტყვები ვენერას სამფლობელომდე აი-  
ტაცეს.

ქალები ოგულთან ხელცარიელნი დაბრუნდნენ. ზადიგმა

მას თავისი თავი გააცნო და ამ სიტყვებით მიმართა:—დღე უკვდავი ჯანმრთელობა ჩამოუშვას ციდან თქვენი დღეგრძელობის მოსაგლეჯად! მე ექიმი ვარ; თქვენი ავადმყოფობის გაგების უმალ თქვენთან გამოვიტყევი და ვარდის წყალში მოხარშული ბასილისკო მოგიტანეთ, მაგრამ მე არ ვაცხადებ სურვილს ცოლად შემირთოთ. მე გთხოვთ მხოლოდ გაათავისუფლოთ ახალგაზრდა ბაბილონელი მხევალი ქალი, რომელიც რამდენიმე დღეა, რაც აქ გაყავთ; და მე დავთანხმდები მის ადგილას მონობაში დაერჩე, თუ ბრწყინვალე ბატონი ოგულის განკურნვას ვერ შევძლებ.

ეს წინადადება მიიღეს. ასტარტე ზადიგის მსახურთან ერთად ბაბილონს გაემგზავრა, დაჰპირდა რა ზადიგს, რომ დაუყოვნებლივ შიკრიკს გამოუგზავნიდა თავისი ამბების შესატყობინებლად.

მათი გამომშვიდობება ისევე ნაზი იყო, როგორც შეხვედრა. წუთი შეხვედრისა და წუთი განშორებისა ორი უდიდესი ეპოქაა ცხოვრებაშიო, ამბობს ზენდის დიდი წიგნი... ზადიგს დედოფალი ისე უყვარდა, როგორც ეუბნებოდა მას, დედოფალს კი ზადიგი იმაზე მეტად უყვარდა, ვიდრე ეუბნებოდა.

ზადიგმა მიმართა ოგულს: „ბატონო, ჩემს ბასილისკოს არ სჭამენ, ყველა მისი სიკეთე თქვენში კანის ფორებში უნდა შევიდეს. მე ის ჩავდე პატარა ტიკში, რომელიც კარგად გაბერილია და დაფარულია თხელი ტყავით: საჭიროა, რომ თქვენ მთელი ძალღონით მესროლოთ ეს ტიკი და მეც მრავალჯერ დაგიბრუნოთ; რამდენიმე დღეში დაინახავთ, თუ რა შეუძლიან ჩემს ხერხს“. ოგული პირველ დღეს აქლოშინდა და ეკონა დაღლილობისაგან მოგვეცდებო. მეორე დღეს ნაკლებად დაიღალა და უკეთესად ეძინა.

რვა დღეში მან აღიდგინა ძალღონე, ჯანმრთელობა, სიმსუბუქე და სიმხიარულე თავისი საუკეთესო წლებისა.

— თქვენ ბურთს თამაშობდით და თავშეკავებული იყავით, — უთხრა მას ზადიგმა:—გაიგეთ, რომ ბუნებაში ბასილისკო არ არსებობს, რომ ის ყოველთვის თან დააქვთ თავშეკავებულობასთან და ვარჯიშთან ერთად და რომ თავშეუკავებლობის და ჯანმრთელობის ერთად შეთავსება ისევე განუხორციელე-

ბელია, როგორც ფილოსოფიური ქვა, ასტროლოგია და მოგვების თეოლოგია.

ოგულის პირველმა ექიმმა იგრძნო, თუ რამდენად საშიში იყო მედიცინისათვის ეს ადამიანი. ის სასახლის მეათეთაქეს შეუთანხმდა, რომ ზადიგი ბასილისკოს საძებნელად საიჭიოში გაეგზავნათ. ამრიგად, როგორც წინათაც ისჯებოდა კარგი საქმეების შესრულებისთვის, ის ახლაც კინალამ დაიღუპა ღორმუცელა ბატონის განკურნების გამო. ზადიგი საუცხოო სადილზე მიიპატიეს. მეორე კერძის ჩამორიგების დროს ის უნდა მოწამლულიყო, მაგრამ პირველის დროს მშვენიერ ასტარტესაგან შიკრიკი მოვიდა. ზადიგმა მიატოვა სუფრა და გაემგზავრა. ის, ვინც ლამაზ ქალს უყვარს, ამბობს დიდი ზოროასტრი, საფრთხეს ყოველთვის თავს დააღწევს.

## თავი XIX

### ბ რ ძ ო ლ ე ბ ი

ბაბილონში დედოფალს აღფრთოვანებით შეხვდნენ, როგორც საერთოდ ხვდებიან ხოლმე მშვენიერ დედოფლებს, როდესაც ისინი უბედურნი არიან. ამ დროს ბაბილონი შედარებით დამშვიდებული იყო. ჰირკანიის პრინცი ბრძოლაში მოჰკლეს. გამარჯვებულმა ბაბილონელებმა გამოაცხადეს, რომ ასტარტე მათ მიერ ამორჩეულ მბრძანებელზე გათხოვდებოდა. მათ აღარ სურდათ ასტარტეს ქმრის და ბაბილონის მეფის არჩევა დამოკიდებული ყოფილიყო ხრიკებზე და მხაკვრობაზე. ფიცი დასდეს, რომ მეფედ ყველაზე გულადი და ბრძენი ადამიანი აერჩიათ. ქალაქიდან რამდენიმე ეჯის დაშორებით მოაწყეს დიდი მოედანი, საუცხოო ამფითეატრით შემოფარგლული. იქ თავით ფეხებამდე შეიარაღებულ მებრძოლებს თავი უნდა მოეყარათ. თითოეულ მათგანს ამფითეატრის უკან ჰქონდა განკერძოებული სადგომი, სადაც ისინი არავის უნდა ენახა და ეცნო. თითოეულს ოთხი შუბი უნდა გადაემტვრია. ისინი, ვინც ოთხ რაინდს დაამარცხებდნენ, ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთს შებრძოლებოდნენ. ამრიგად, ის, ვინც ბრძოლის ველის უკანასკნელი მბრძანებელი დარჩებოდა, გამარჯვებულად გამოცხადდებოდა. ის ოთხი დღის შემდეგ

იმავე საქურგელით უნდა დაბრუნებულიყო და აეხსნა გამოცანები, წარმოთქმული მოგვების მიერ. თუ გამოცანებს ვერ ახსნიდა, ვერც მეფედ გახდებოდა. მაშინ ასპარეზობა თავიდან დაიწყებოდა, სანამ არ გამოჩნდებოდა კაცი, რომელიც ორივე ბრძოლაში გაიმარჯვებდა, რადგან მეფედ აუცილებლად ყველაზე გულადი და ყველაზე ბრძენი სურდათ.

დედოფალი მთელი ამ ხნის განმავლობაში არ უნდა გამოჩენილიყო. მას მხოლოდ პირბადით დაფარულს ეძლეოდა ნება ასპარეზობას დასწრებოდა, მაგრამ ნება არ ჰქონდა რომელიმე მაძიებელთან ლაპარაკის, რათა მფარველობას ან უსამართლობას არ ჰქონოდა ადგილი.

აი ამას აუწყებდა ასტარტე თავის სატარფოს იმ იმედით, რომ მისი გულისთვის ზადიგი ყველაზე მეტ გულადობას და კეკუას გამოიჩენდა. ზადიგი გაემგზავრა: მან შესთხოვა ვენერას მისი მამაცობა გაეკაჟებინა და მისი გონება გაენათებინა. ევფრატის ნაპირებთან ის ამ დიდი დღესასწაულის წინა დღეს ჩამოვიდა. მან თავისი დევიზი სხვა რაინდთა დევიზებს შორის ჩააწერინა: ამასთანავე მალავდა სახეს და სახელს, როგორც დედოფალი უბრძანებდა. წავიდა დასასვენებლად მისთვის განკუთვნილ სადგომში. მისმა მეგობარმა კადორმა, რომელიც მისი უშედევოდ ძებნის შემდეგ ეგვიპტიდან ბაბილონში დაბრუნდა, ზადიგის ბინაში მოატანინა დედოფლის მიერ მოგზავნილი სრული აბჯარი. თავის მხრივ კი მშვენიერი სპარსული ცხენი გამოუგზავნა. ზადიგმა ასტარტე იცნო ამ საჩუქრებში. მისმა ვაჟკაცობამ და სიყვარულმა იქიდან ახალი ძალა და ახალი იმედი მიიღო.

მეორე დღეს, როცა დედოფალი პატიოსანი თვლებით მოოქვილ საჩრდილობელს ქვეშ დაბრძანდა და ამფითეატრი ბაბილონის ქალებით და დიდებულებით გაივსო, მეგრძოლნი მოედანზე გამოჩნდნენ. თითოეულმა მათგანმა მთავარ მოგვს ფეხებთან თავისი დევიზი დაუდო. დევიზებს კენჭი უყარეს. ზადიგის უკანასკნელი აღმოჩნდა. რაინდს, რომელსაც პირველობა ხვდა წილად, იტობადი ერქვა; ის მდიდარი ბატონი იყო, მეტისმეტად თავმომწონე, ნაკლებად გულადი, მეტად მოუხერხებელი და უგუნური.



შინაურებმა ის დაარწმუნეს, რომ მეფედ სწორედ ისეთი კაცი უნდა იყოს, როგორც შენ ხარო. იტობადმა უპასუხა: — ისეთმა კაცმა, როგორიც მე ვარ, უნდა იმეფოს. ამრიგად ის თავიდან ფეხებამდე შეაიარაღეს. მწვანედ მომინანქრებულ ოქროს აბჯარში იყო გამოწყობილი, მწვანე ფრთებიანი მუზარადი ეხურა, მწვანე ბაფთებით მორთული შუბი ეჭირა ხელში. იმის მიხედვით, როგორ იჯდა ის ცხენზე, თავიდანვე ყველა მიხვდა, რომ ასეთ კაცს ზეცა ბაბილონის სკიპტრას არ მიანიჭებდა. პირველმა რაინდმა, რომელიც მას შეება, უნაგირიდან ამოაგდო იტობადი, მეორემ ცხენის გავაზე გადააბრუნა, მას ფეხები და ხელები ჰაერში დარჩა აშვერილი. იტობადი გასწორდა, მაგრამ ისე მოუხეშავად, რომ ამფითეატრში ყველას გაეცინა. მესამემ შუბის მოხმარება არც კი იკადრა. დააცადა მას შემოეცია, სტაცა ხელი მარჯვენა ფეხში და ქვიშაზე დასცა. ასპარეზობის მეაბჯრეებმა მასთან მოიბრინეს და უნაგირზე სიცილით შესვეს. მეოთხე მებრძოლმა მარცხენა ფეხში ხელი წააგლო და მეორე მხარეს გადააგდო. ის სტვენით გააცილეს. თავისი სადგომისკენ, სადაც კანონის მიხედვით ღამე უნდა გაეტარებინა. იტობადი ძლივს მიდიოდა და ამბობდა:—რა ფათერაკია ისეთი კაცისათვის, როგორიც მე ვარ!

სხვა რაინდებმა თავისი ვალდებულება უკეთესად შეასრულეს; იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ზედიზედ ორი მებრძოლი დაამარცხეს, ზოგიერთები სამამდეც მივიდნენ. მხოლოდ ბატონმა ოტამმა შესძლო ოთხის დამარცხება. ბოლოს ზადიგის ჯერიც მოვიდა: მან მთელი შესაძლებელი სილაზათით უნაგირიდან ოთხი რაინდი გადმოაგდო. საინტერესო იყო ვინ გაიმარჯვებდა: ოტამი თუ ზადიგი. პირველი მოოქრულ ცისფერ აბჯარს ატარებდა და ასეთივე ფერის ფრთებს მუზარადზე, ზადიგი კი—თეთრს. ყველა სურვილები ცისფერ რაინდს და თეთრ რაინდს შორის გაიყო. დედოფალი, რომლის გული თრთოდა, ზეცას თეთრისთვის ევედრებოდა.

ორი მებრძოლი უტევდნენ და უკუიჭკეოდნენ ისეთი მონერხებით, ისე ოსტატურად ურტყამდნენ შუბებს ერთმანეთს, ისე მაგრად ისხდნენ უნაგირზე, რომ ყველას, გარდა დედოფლისა, სურდა, რომ ბაბილონში ორი მეფე ყოფილიყო. ბო-

ლოს, როდესაც მათი ცხენები დაილაღნენ და შუბები გადაიმტვრა, ზადიგი შეძღვეს ხერხს მოიხმარს: ის ჩაუქროლებს ცისფერ რაინდს, მისი ცხენის გავაზე ხტება, წელში ჰკიდებს ხელს და მიწაზე ანარცხებს; ჯდება მის უნაგირზე და მიწაზე გართხმულ ოტამის გარშემო ჯირითობს. მთელი ამფითეატრი ყვირის: გამარჯვება თეთრ რაინდს! აღშფოთებული ოტამი ზეზე წამრიკრება, იშიშვლებს ხმალს; ზადიგი ცხენიდან ხტება, ხმლით ხელში. და აი ორიენი მოედანზე იწყებენ ახალ ბრძოლას, სადაც ღონე და ხერხი რიგრიგობით იმარჯვებს. მათი მუზარადების ფრთები, მათი სამკლავების ლურსმნები, მათი აბჯრების რგოლები, ხშირი და ჩქარი დარტყმებისაგან შორს იფანტებიან. ისინი სჩხვლეტენ და სჭრიან, მარჯვნივ, მარცხნივ, თავში, მკერდში, უკან იხევენ, წინ მიიწევენ, იბრძვიან, ერთდებიან, ერთმანეთს იჭერენ; იკლაკნებიან როგორც გველები, თავს ესხმიან ერთმანეთს როგორც ლომები. ყოველი დარტყმისას ნაპერწკლები ჩნდება. ბოლოს ზადიგი ერთ წუთს გონებას იკრებს, ჩერდება, აკეთებს ცრუ შეტევას, ოტამს თავს გადაეველება, ძირს აგდებს მას და განაიარალებს; ოტამი შეჰყვირებს:—ოჰ თეთრო რაინდო! თქვენ უნდა იმეფოთ ბაბილონში. დედოფლის სიხარული ცას სწვდებოდა. თეთრი რაინდი და ცისფერი რაინდი, ისე როგორც დანარჩენნი, დადგენილი კანონის მიხედვით თავიანთ სადგომში მიაცილეს. მუნჯები მათი მომსახურებისათვის მივიდნენ და საჭმელი მიუტანეს. ადვილი მისახვედრია, რომ დედოფლის პატარა მუნჯი ზადიგს ემსახურებოდა.

ამის შემდეგ ისინი დილამდის მარტოდ დასტოვეს, იმ დრომდის, როდესაც გამარჯვებულს მოგვისთვის უნდა მიეტანა თავისი დევიზი შესამოწმებლად და თავისი თავის გამოსამკლავებლად.

ზადიგი იმდენად დაილაღა, რომ, თუმცა გამიჯნურებული იყო, მაინც დაიძინა. იტობადს, რომელიც მასთან ახლოს იწეა, სრულებითაც არ ეძინა. იგი ღამით ადგა, მის სადგომში შევიდა, აიღო ზადიგის თეთრი იარაღი დევიზთან ერთად და თავისი მწევანე აბჯარი მის ადგილას დააწყო. გათენდა თუ არა, ის მთავარი მოგვის წინაშე წარსდგა და განაცხადა,

რომ გაიმაღჯვა ესეთმა კაცმა, როგორც მე ვარო. ამას არ მოელოდნენ, მაგრამ გამარჯვებულად მაინც გამოაცხადეს იმ დროს, როდესაც ზადიგს ჯერ კიდევ ეძინა. ასტარტე, გაკვირვებული და სასოწარკვეთილი, ბაბილონში დაბრუნდა. მთელი ამფითეატრი თითქმის ცარიელი იყო, როდესაც ზადიგს გაედგა. მან თავის იარაღს დაუწყო ძებნა და მხოლოდ მწვანე აბჯარი იპოვა. იძულებული გახდა ამით აღკურვილიყო, რადგან ახლოს სხვა არაფერი ჰქონდა. გაკვირვებული და აღშფოთებული იყო და გაშმაგებით იცვამდა. ის გზას გაუდგა ამ საქურველით.

ყველა, ვინც ამფითეატრში და მოედანზე კიდევ დარჩენილიყო, სტვენით მიესალმა. შემოეხვივნენ, პირში ლანძღავდნენ. ჯერ არც ერთ ადამიანს არ გადაუტანია ესოდენ დამამცირებელი შეურაცხყოფა. მას მოთმინება დაეკარკა. ხმლის ცემით გაჰფანტა ბრბო, რომელიც მას ჰკიცხავდა. არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. დედოფლის ნახვა არ შეეძლო. არც შეეძლო განეცხადებინა, რომ მან თეთრი საქურველი გამოუგზავნა. ეს სახელს გაუტეხდა ასტარტეს. ამრიგად, იმ დროს, როდესაც დედოფალი მწუხარებაში იყო ჩაფლული, ზადიგი ბრაზით და აღელვებით იყო აღვსილი. ის ეფფრატის ნაპირზე დაეხეტებოდა, დარწმუნებული, რომ თავისმა ვარსკვლავმა წინასწარ გაუშადა ყოფილიყო უბედური, ყოველგვარი დახმარების გარეშე. მოიგონა თავისი მარცხები, დაწყებული ქალით, რომელსაც ცალთვალეები სძულდა, და გათავებული აბჯრის ჩაცმით.

— აი, რა არის, — ამბობდა ის, — გვიან გავლიძება. — მე რომ ნაკლები მძინებოდა, ეხლა ბაბილონის მეფე ვიქნებოდი, ასტარტე ჩემი გახდებოდა. ჩემი ცოდნა, პატიოსნება, მამაცობა ჩემთვის მხოლოდ უბედურების წყარო იყვნენ.

ბოლოს მან განგების წინააღმდეგაც კი დაიწყო ჩივილი და მზად იყო თავისი თავი დაეჯერებინა, რომ ყოველივეს მართავს ბოროტი ბედი, რომელიც კეთილთ სჩაგრავეს და მწვანე რაინდებს მფარველობს. ერთ-ერთი მისი მრავალ მწუხარებათაგანი იყო ტარება მწვანე საქურველისა, რომელმაც მას ესოდენი შეურაცხყოფა მიაღებინა. მან თითქმის მუქთად მიჰყიდა

ეს აბჯარი ვაქარს, რომელიც გზად შეხვდა, და მისი ტან-საცმელი და წოწოლა ქუდი გამოართვა. ამ სამოსელში ის ეფფრატის ნაპირებზე მიდიოდა, სასოწარკვეთილებით სავსე და ჩუმად ბრალს სდებდა განგებას, რომელიც მას სდევნიდა.

## თავი XX

### მწირი

ზადიგს გზად შემოხვდა ერთი მწირი, რომელსაც თეთრი და დარბაისლური წვერი ქამრამდის სწვდებოდა. მას ხელში წიგნი ეჭირა და ყურადღებით კითხულობდა. ზადიგი შეჩერდა და მდაბალი სალამი მისცა. მწირი მას მიესალმა ისეთი კეთილშობილი და ტკბილი სახით, რომ ზადიგს მასთან ლაპარაკი მოესურვა; ჰკითხა, რა წიგნს კითხულობთ.

— ეს ბედილბლის წიგნია,—უთხრა მწირმა,—გსურთ იქიდან რაიმე წაგიკითხოთ?

მან წიგნი ხელში მისცა ზადიგს, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ენა იცოდა, ვერ შესძლო ერთი ასოც კი გაერჩია. ამან მისი ცნობისმოყვარეობა გააოკრეცა.

— თქვენ მეტად ნაღვლიანი მეჩვენებით,—უთხრა მას კეთილმა მოხუცმა.

— საუბედუროდ, ამის მიზეზი მაქვს!—სთქვა ზადიგმა.

— თუ ნებას მომცემთ, თან გამოგყვით,—უთხრა მოხუცმა,— შეიძლება თქვენთვის სასარგებლო გავხდე: მე უბედურთა სულში ხანდახან დამშვიდების გრძნობა მომიფენია.

მწირის გარეგნობამ, წვერმა და წიგნმა ზადიგს მისდამი პატივისცემა გაუღვიძა. მან მის ლაპარაკში უდიდესი ნიჭის ნაპერწკლები ჰპოვა. მწირი ბედის, სამართლიანობის, ზნეობის, უმაღლესი სიკეთის, ადამიანური სისუსტის, სათნოების და მანკის შესახებ ესოდენ ცოცხალი და ამალეღვებელი მქვერმეტყველობით ლაპარაკობდა, რომ ზადიგმა მისდამი უძლიერესი ლტოლვა იგრძნო. მან მოხუცს სთხოვა არ მიეტოვებინა იგი ბაბილონში დაბრუნებამდე. მე თვით ამ მოწყალეობას გთხოვთ,—უთხრა მოხუცმა,—დაიფიცეთ ორმუზდი,

რომ რამდენიმე დღეს, რაც არ უნდა გავაკეთო, არ დამშორდები. ზადიგმა შეჰფიცა, და გზა ერთად განაგრძეს.

სალამოს ორივე მგზავრი ერთ მშვიდნიერ სასახლესთან მივიდა. მწირმა თავშესაფარი ითხოვა თავისთვის და ჰაბუკისთვის, რომელიც თან ახლდა. მეკარემ, რომელიც შეიძლება ზოგად დიდკაცად მიგელოთ, ისინი ათვალისწინებული შეწყნარებით შეუშვა სახლში. ისინი წარუდგინეს უფროს მსახურს, რომელმაც ბატონის მშვენიერი საცხოვრებელი დაათვალიერებინა მათ. მგზავრები სუფრის ბოლოს დასვეს, ისე რომ სასახლის მფლობელს ისინი ერთი შეხედვითაც კი არ გაუბედნიერებია; მაგრამ მათ ისევე ემსახურებოდნენ, როგორც სხვებს, ზრდილობიანად და უხვად. შემდეგ პირის დასაბანად ზურმუხტით და ლალით მოოქვილი ოქროს თასი მიუტნეს. დასაძინებლად მშვენიერ ოთახში წაიყვანეს და მეორე დღით მსახურმა თითოეულს თითო ოქროს ფული მიართვა, რის შემდეგ მათ გამოემშვიდობნენ.

— სახლის პატრონი, — თქვა ზადიგმა, — მგონი სულგრძელი აღამიანი უნდა იყოს, თუმცა ცოტა ამაყი; ის სტუმრებს კეთილშობილად უმასპინძლდება. ამ სიტყვების დასრულებისას მან შეამჩნია, რომ განიერი ჯიბე, რომელიც მოხუცს ჰქონდა, გაჭიმული და გაბერილი ჩანდა. მან იქ დაინახა ძვირფასი ქვებით მოოქვილი ოქროს თასი, რომელიც მოხუცს მოეპარა. ზადიგმა მის შესახებ ვერაფრის თქმა გაბედა, მაგრამ მეტისმეტად გაკვირებული დარჩა.

შუადღისას მწირი ძალიან პატარა სახლის კარებს მიუახლოვდა, სადაც მდიდარი ძუნწი ცხოვრობდა: მან იქ რამდენიმე საათით გამასპინძლება მოითხოვა. ცუდად ჩაცმულმა მოხუცმა მსახურმა ისინი უხეშად მიიღო და შეიყვანა საჯინბოში, სადაც მათ რამდენიმე ზეთის ხილი, ცუდი პური და ამჟავებული ლუდი მისცეს. მწირი სკამდა და სვამდა ისეთივე კმაყოფილი სახით, როგორც წინა სალამოს. შემდეგ მიუბრუნდა მოხუც მსახურს, რომელიც თვალს ადევნებდა, რომ სტუმრებს არაფერი მოეპარათ და რომელიც მათ აჩქარებდა წასულიყვნენ, მისცა მას დილით მიღებული ორი ოქროს ფული, და ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა.

— გთხოვთ, — დასძინა მან, — თქვენ ბატონთან მალაპარაკეთ. გაკვირვებულმა მსახურმა ორივე მგზავრი ბატონთან შეიყვანა.

— დიდებულო ბატონო, — უთხრა მწირმა, — კეთილშობილად მიღებისათვის მე შემიძლია მხოლოდ თავმდაბლად მადლობა გადაგიხადოთ: კეთილი ინეგეთ და ეს ოკროს თასი მიიღეთ, როგორც მცირე ნიშანი ჩვენი მადლობისა.

ძუნწს კინალამ გული შეულონდა. მწირმა არ მისცა დრო გონს მოსულიყო და თავის ახალგაზრდა თანამგზავრთან ერთად ჩქარა წავიდა.

— ჩემო მამაო, — უთხრა მას ზადიგმა, — რას ვხედავ? თქვენ სხვა ადამიანებს არ ჰგავხართ. ძვირფასი ქვებით მოოქვილ თასს თქვენ ჰპარაფთ იმ ბატონს, რომელიც საუცხოოდ გიღებთ, და აძლევთ ძუნწს, რომელიც უღირსად გექცევით.

— ჩემო შვილო, — უპასუხა მოხუცმა, — ეს ბრწყინვალე კაცი, რომელიც უცხო ხალხს მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო იღებს და კიდევ იმისთვის, რომ ხალხი თავის სიმდიდრით გააკვიროს, კჳეს ისწავლის, ძუნწი კი სტუმართმოყვარე გახდება. ნურაფერი გაგიკვირდებათ და მომყევით.

ზადიგი ვერ გარკვეულიყო ვისთან ჰქონდა საქმე, ყველაზე კჳვიან თუ ყველაზე გიჳ ადამიანთან, მაგრამ მწირი ისეთი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა, რომ ზადიგმა, ფიცით შებოროკილმა, ვერ შესძლო მას განშორებოდა. სალამოს ისინი ლამაზ, მაგრამ უბრალოდ აშენებულ სახლთან მივიდნენ, სადაც არაფერი მოწმობდა არც მფლანგველობას და აოც ძუნწობას. პატრონი ფილოსოფოსი იყო, საზოგადოებას განდგომილი. იგი სიბრცნეს და სათნოებას მშვიდად ნერგავდა და მოწყენილი მაინც არ იყო. მან თავის სიამოვნებისთვის აიშენა ეს თავშესაფ რი, სადაც ხალხს იღებდა იმ კეთილშობილებით, რომელსაც გულზეიადობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის თვით შეუძლვა ორ მგზავრს, რომლებიც ჯერ მყუდრო ოთახში მოასვენა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის თვით მივიდა სუფთად და კარგად მომზადებულ ვახშამზე მისაწვევად; ჰამის დროს მოკრძალებით ლაპარაკობდა ბაბილონში მომხდარ უკანასკნელ ცვლილებებზე. ის დედოფლის გულწრფე-

ლად ერთგული ჩანდა და გამოსთქვამდა სურვილს ზადიგი გვირგვინის მაძიებელთა შორის ასპარეზზე გამოჩენილიყო.

— თუმცა ხალხი,—დასძინა მან,—არ არის ღირსი იმის-  
თანა მეფისა, როგორც ზადიგია.

ზადიგი წითლდებოდა და თავისი დარღების გაორკეცებას გრძნობდა. საუბარში დაასკვნეს, რომ ამ ქვეყნიერების მოვლენების მსვლელობა ყოველთვის არ ეთანხმებოდა უქვეიანესი ადამიანების განზრახვებს. მწირი ამტკიცებდა, რომ ადამიანებს განგების ხმა არ ესმით და ისინი უმართებულად იქცევიან. როდესაც მსჯელობენ მთლიანზე, რომლის მხოლოდ პატარა ნაწილს ხედავენო.

ილაპარაკეს ვნებაზე.

— ო! როგორ დამღუპელია ის!—ამბობდა ზადიგი.

— ეს ქარია, რომელიც გემის იალქნებს ბერავს,—უთხრა. მწირმა:—ის მას ხანდახან სძირავს, მაგრამ გემი უიმი-  
სოდ ცურვას ვერ შესძლებდა. ნალველი ადამიანს ბრაზიანს და ავადმყოფს ხდის, მაგრამ უნალველოდ ის ვერ იცხოვრებდა. აქ, დაბლა, დედამიწაზე, ყოველივე საშიშია, მაგრამ ამავე დროს აუცილებელი.

ილაპარაკეს სიამოვნებაზე; მწირი ამტკიცებდა, რომ ეს ღვთის საჩუქარიაო.

— რადგან,—სთქვა მან,—ადამიანს არ შეუძლიან თავის-  
თავს თვით მისცეს შეგრძნებები და იდეები, ის მათ ყოველ-  
თვის ზემოდან იღებს. მწუხარება და სიამოვნება მას გარე-  
დან მისდის, როგორც თვით მისი არსება.

ზადიგს უკვირდა, რომ კაცს, რომელმაც ასეთი უცნაური საქმეები გააკეთა, შეეძლო ასე კარგად ემსჯელა. ბოლოს, ამ სასიამოვნო და ჭკუის სასწავლო საუბრის შემდეგ, მასპინ-  
ძელმა ისინი მათს ოთახში მიაცილა; თან ლოცავდა ზეცას, რომელმაც გამოუგზავნა ორი ესოდენ ბრძენი და სათნო ადამიანი. ფული შეაძლია მათ ისე ძალდაუტანებლად და კეთილშობილურად, რომ არ შეიძლებოდა უსიამოვნება ეგრძ-  
ნოთ. მწირმა უარი უთხრა და გამოემშვიდობა იმ მიზეზით, რომ ბაბილონში განთიადამდე უნდა ჩასულიყო. მათი გაშო-  
რება გულისამაჩუყებელი იყო. განსაკუთრებით ზადიგი

გრძნობდა ღრმა პატივისცემას და კეთილგანწყობილებას ესოდენ საყვარელი ადამიანისადმი.

როდესაც მწირი და ზადიგი ოთახში მარტონი დარჩნენ, მასპინძელი დიდხანს აქეს. გათენებისას მოხუცმა თავისი ამხანაგი გააღვიძა.

— დროა წავიდეთ, — უთხრა მან, — მე მსურს სანამ ხალხს სძინავს, ამ კაცს ჩემი პატივისცემის და სიყვარულის საბუთი დაეუტოვო.

მან დაუყოვნებლივ ჩირაღდანი აიღო და სახლს ცეცხლი მოუკიდა. შეშინებულმა ზადიგმა შეჰყვირა და მოინდომა ხელი შეეშალა მისთვის საშინელ საქმის ჩადენაში. მწირმა ზებუნებრივი ძალით დაიმორჩილა იგი: სახლი ცეცხლში იყო გახვეული. მწირი, რომელიც თავის თანამგზავრთან ერთად საკმაოდ შორს წავიდა, მის დაწვას მშვიდად უყურებდა.

— მადლობა ღმერთს! — სთქვა მან, — აი ჩემი ძვირფასი მასპინძლის სახლი დანგრეულია საძირკელიდან სახურავამდე! ბედნიერი ადამიანი!

ამ სიტყვების გამო ზადიგი მზად იყო ერთსა და იმავე დროს დაეწყო სიცილი, გაელანძღა პატივცემული მოხუცი, ეცემა მისთვის და გაქცეულიყო. მაგრამ მან არც ერთი არ გააკეთა და, წინანდებურად მწირის ზემოქმედებას დამორჩილებული, უკანასკნელ ღამისათევში უნებლიედ გაჰყვა მას.

ისინი მივიდნენ ქველმოქმედ და სათნოიან ქვრივთან, რომელსაც თოთხმეტი წლის ძმისწული ჰყავდა; ეს იყო სასიამოვნო ყრმა და ქვრივის ერთადერთი იმედი. ის მათ ისე გულუხვად შეხვდა, როგორც შეეძლო. მეორე დღეს თავის ძმისწულს უბრძანა გაეცილებინა მგზავრები ხილამდის, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატყდა და საშიში გადასასვლელი გახდა. თავაზიანი ყრმა მათ გაჰყვა. როდესაც ხილზე შედგნენ, მწირმა ყმაწვილს უთხრა:

— მოდით აქ, საჭიროა აღენიშნო ჩემი მადლობა თქვენი მამიდისადმი.

ის მას თმებით ასწევს და მდინარეში გადასტყორცნის. ბავშვი ვარდება, ერთ წუთს წყლის ზედაპირზე გამოჩნდება და დიდ მორევში შთაინთქება.



— ოჰ მტარვალო! ყველაზე დიდო ბოროტმოქმედო!— შეჰყვირა ზადიგმა.

— მე თქვენ მეტ მოთმინებას დამპირდით,— შეაწყვეტინა მწირმა:— გაიგეთ, რომ განგების მიერ დამწვარი სახლის ნანგრევების ქვეშ პატრონმა უამრავი განძი იპოვა; გაიგეთ, რომ ეს ყრმა, რომელსაც განგებამ კისერი მოუგრიხა, ერთ წელიწადში თავის მამიდას მოჰკლავდა, თქვენ კი— ორში.

— ვინ გითხრა შენ ეს, ბარბაროსო?— დაუყვირა ზადიგმა. თუ შენ ეს ამბავი ბედ-იღბლის წიგნში წაიკითხე, განა მან ნება მოგცა დაგებრჩო ბავშვი, რომელსაც შენთვის არაფერი დაუშავებია?

იმ დროს, როდესაც ზადიგი ლაპარაკობდა, მან შეამჩნია, რომ მოხუცს წვერი გაუქრა, მისმა სახემ ახალგაზრდული ნაკვთები მიიღო. მისი მწირული ტანთსაცმელიც გაჰქრა: ოთხი მშვენიერი ფრთა მის დიადს და შარავანდელით გაბრწყინებულ სხეულს ფარავდა.

— ოჰ ცის მოციქულო, ოჰ ღვთაებრივო ანგელოსო!— შეჰყვირა ზადიგმა და მის წინ პირქვე დაეცა, მაშ შენ ცის საბრძანებლიდან ჩამოსულხარ იმისთვის, რომ სუსტ მოკვდავს მარადიული კანონების დამორჩილება ასწავლო.

— აღამიანები,— სთქვა ანგელოსმა იეზრადმა,— მსჯელობენ ისე, რომ არაფერი იციან. შენ ყველაზე მეტად დაიმსახურე ზემთაგონებული ყოფილიყავ.

ზადიგმა მას ლაპარაკის ნება სთხოვა.

— მე ჩემი თავის არ მჯერა,— სთქვა მან,— მაგრამ შეიძლება გავბედო გთხოვოთ, ერთი ექვი გამიქარვოთ: არ სჯობდა ამ ბავშვის გამოსწორება, გაკეთილშობილება, ვიდრე მისი დახრჩობა?

იეზრადმა უპასუხა:— თუ ის სათნო იქნებოდა და იცოცხლებდა, მის ბედად ეწერა მოკლულ ყოფილიყო ქალთან ერთად, რომელსაც ის შეირთავდა და ბავშვთან ერთად, რომელიც მისგან დაებადებოდა.

— როგორ,— უთხრა ზადიგმა,— ნუთუ აუცილებელია არსებობდეს უბედურებანი და დანაშაულნი, და უბედურება საუკეთესო აღამიანებს ატყდებოდეს თავზედ?

— ბოროტები, — უპასუხა იეზრადმა, — ყოველთვის უბედურნი არიან, ისინი არსებობენ დედამიწაზე გაბნეული მცირერიცხოვანი სამართლიანი ადამიანების გამოსაცდელად. და არ არსებობს ბოროტება, რომლისგანაც სიკეთე არ იზადებოდეს.

— რა იქნება, რომ მხოლოდ სიკეთე არსებობდეს და ბოროტება სულ არა? — ჰკითხა ზადიგმა.

— მაშინ ეს ქვეყანა სხვა ქვეყანა იქნებოდა. შემთხვევების ჯაჭვი სიბრძნის სხვა წესებზე იქნებოდა აგებული და წესი, რომელიც იქნება სრულყოფილი, შეიძლება მხოლოდ უზენაესი არსების უკვდავ სამფლობელოში, რომელსაც ბოროტება ვერ მიეკარება. მან შეჰქმნა მილიონობით ქვეყნები, რომლებიდან არც ერთი არ ჰგავს მეორეს. ეს დაუსრულებელი სხვადასხვაობა მისი განუზომელი სიძლიერის ატრიბუტია. არ არის ხის ორი ფოთოლი დედამიწაზე, არც ორი სფეროსის დაუსრულებელ სივრცეში, რომელნიც მსგავსნი არიან; და ყოველივე ის, რასაც შენ ხედავ იმ პატარა ატომზე, რომელზედაც შენ დაიბადე, უნდა ყოფილიყო თავის განსაზღვრულ ადგილას და თავის დროს იმ არსების უცვლელი კანონების მიხედვით, რომელიც ყოველივეს მოიცავს. ხალხი ფიქრობს, რომ ბავშვი, რომელიც ეხლა დაიღუპა, შემთხვევით ჩაეარდა წყალში, რომ ასევე შემთხვევით დაიწვა სახლი, მაგრამ შემთხვევითობა არ არსებობს. ყველაფერი გამოცდაა, ან დასჯა, ან ჯილდო, ან კიდევ წინასწარჰკრეტა. გაიხსენე ის მეთევზე, რომელსაც თავისი თავი ყველაზე უბედური ეგონა. ორმუზდმა მისი ბედის შესაცვლელად შენ გამოგზავნა. სუსტო მოკვდავო, შესწყვიტე ბრძოლა იმის წინააღმდეგ, ვისაც უნდა თავყანს სცემდე!

— მაგრამ, — სთქვა ზადიგმა... როდესაც ის ამბობდა, მაგრამო, ანგელოსი უკვე მეათე ცისკენ მიფრინავდა. ზადიგმა მუხლი მოიყარა და თაყვანი სცა განგებას და დაემორჩილა მას.

ანგელოსმა მას ცის სიმაღლიდან დაუყვირა: „წადი ბაბილონში!“.

ბ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

გაკვირვებულნი ზადიგი ალაღბედზე მიდიოდა ელდანაკრავით. იგი ბაბილონში მივიდა იმ დღეს, როდესაც ასპარეზობაში გამარჯვებულნი უკვე სასახლის დიდ მოსაცდელ დარბაზში შეკრებილიყვნენ გამოცანების ასახსნელად და მთავარი მოგვის კითხვებზე პასუხების გასაცემად. მწვანე აბჯრიანის გარდა ყველა რაინდები მოსულიყვნენ. გამოჩნდა თუ არა ქალაქში ზადიგი, ხალხი მას შემოეხვია. თვალნი ვერ ძღებოდნენ მისი მზერით, ბაგენი—მისი ლოცვით. გულნი—სურვილით, რომ იგი მეფედ გამხდარიყო. მოშუონემ დაინახა, შეკრთა და მიბრუნდა; ხალხმა ზადიგი შეკრების ადგილამდე მოიყვანა. დედოფალი, რომელსაც მისი მოსვლა გააგებინეს, შიშისგან და იმედისგან იტანჯებოდა. მწუხარებას შეეპყრო იგი. მას ვერ გაეგო, რატომ იყო ზადიგი უიარალოდ, ან რატომ ატარებდა იტობადი თეთრ აბჯარს. ზადიგის გამოჩენაზე ჩურჩული გაისმა, მაგრამ კრებაზე დასწრების უფლება მხოლოდ იმ რაინდებს ჰქონდათ, რომლებმაც იბრძოლეს.

— მე ვიბრძოლე, როგორც სხვებმა,—სთქვა ზადიგმა,— მაგრამ ეს სხვა ჩემს საჭურველს ატარებს აქ; და სანამ პარტივი მექნებოდეს ეს დავამტკიცო, მე ნებართვას ვთხოვლობ, გამოცანების ასახსნელად წარვსდგე.

ჰყარეს კენჭი, მისი სახელი უანგაროდ პარტიოსანი აღამიანისა ჯერ კიდევ ისე ძლიერად იყო ჩაბეჭდილი ყველას ხსოვნაში, რომ მის დაშვებაზე არ უყოყმანიათ.

მთავარმა მოგვმა ჯერ ეს კითხვა წამოაყენა: — რა არის ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ხანმოკლე, ყველაზე ჩქარი და ყველაზე ნელი, ყველაზე განყოფადი და ყველაზე განერკობილი; ყველაზე უგულვებელყოფილი და ყველაზე დასანანი, ურომლისოდაც არაფერი კეთდება, რომელიც ნთქამს ყოველივეს, რაც პატარაა და აცოცხლებს, რაც დიდია?

იტობადს უნდა ელაპარაკა. მან უპასუხა, რომ ისეთ კაცს, როგორც მე ვარ, გამოცანების არაფერი ესმის და ჩემგან ისიც საკმარისია, რომ შუბის მაგარი დარტყმით გავიმარჯვეო. ერთ-

ნი ამბობდნენ, რომ გამოცანის პასუხი ბელნიერებააო, მეორენი—მიწაო, მესამენი — სინათლეო.

ზადიგმა სთქვა, რომ ეს არის დრო. არაფერია მასზე ხანგრძლივი, — დ სძინა მან, — რადგან ის მარადისობის საზომია, არაფერია მასზე ხანმოკლე, რადგან ის არ გეყოფნის ჩვენი განზრახვების შესრულებისთვის; არაფერია მასზე ნელი იმათთვის, ვინც ელოდება; არაფერია მასზე სწრაფი იმათთვის, ვინც ერთობა; ის დაუსრულებლად იშლება, დაუსრულებლად პატარა ნაწილებად იყოფა, ყველა უგულვებელჰყოფს მას, ყველა გამოსთქვამს სინანულს მის დაკარგვაზე; არაფერი კეთდება უიმისოდ, ის გვავიწყებს ყოველივეს, რაც მომავალი თაობისთვის უღირსაა და დიდ ამბებს ამარადისებს.

კრებულმა დაადასტურა, რომ ზადიგი მართალი იყო.

შემდეგ იკითხეს: რა არის ის, რასაც მადლობის გარეშე იღებენ, რითაც არ იციან როგორ სარგებლობენ, რასაც სხვას აძლევენ ისე, რომ არ იციან სად აქვთ და შეუმჩნეველად კარგავენ?

ყველამ თავისი აზრი გამოსთქვა, მხოლოდ ზადიგმა გამოიცნო. რომ ეს არის ცხოვრება. მან ყველა გამოცანები ისევე აღვილად ახსნა. იტობადი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ არაფერია ამაზე უფრო აღვილი, მეც ისევე აღვილად გამოვიცნობდი მათ, თუ თავი შემეწუხებინაო. კითხვები დასვეს სამართალზე, უზენაეს სიკეთეზე, მეფობის ხელოვნებაზე. ზადიგის პასუხები მიიღეს, როგორც ყველაზე უფრო საფუძვლიანი. — რა სამწუხაროა, — ამბობდა ხალხი, — რომ ესოდენ ჭკვიანი ადამიანი, ასეთი ცუდი რაინდია.

— სახელოვანო ბატონებო, — სთქვა ზადიგმა, — მე მქონდა პატივი მოედანზე გამარჯვებისა. თეთრი აბჯარი მე მეკუთვნის. ბატონმა იტობადმა ის ძილის დროს მოჰპარა; მან აღზათ გადასწყვიტა, რომ ის უფრო მოუხდებოდა ვიდრე მწვანე. მე მზად ვარ ჩემი ტანთსაცმელით და ხმლით თქვენს წინაშე დაეუმტკიცო მას, მიუხედავად მისი მშვენიერი თეთრი აბჯრისა, რომ მე მქონდა პატივი გულადი ოტამი დამემარცხებინა.

იტობადმა გამოწვევა დიდი სითამამით მიიღო. მას ეტკვი არ ეპარებოდა, რომ ამ მუზარადით, აბჯრით, სამკლავებით თა-

ვისუფლად დაამარცხებდა მებრძოლს, რომელსაც საღამური ქუდი და საშინაო ტანთსაცმელი ჰქონდა. ზადიგმა იშიშვლა ხმალი, მიესალმა დედოფალს, რომელიც მას უმზერდა სიხარულით და შიშით გამსქველული. იტობადმა იშიშვლა თავისი ისე, რომ არავის მისალმებია. ის ეცა ზადიგს, როგორც კაცი, რომელსაც არაფერი აქვს საშიში. იგი მზად იყო გაეხეთქა თავი მისთვის. ზადიგმა აიცილინა დარტყმა, თავისი ხმლის ძლიერი ადგილი დაახვედრა მოწინააღმდეგის სუსტს ადგილს, ისე რომ იტობადის ხმალი გადატყდა. მაშინ ზადიგმა თავის მტერს ხელი ჩასკიდა, დააგდო მიწაზე და თავისი მახვილი აბჯრის სუსტ ადგილს დააბჯინა.

— დაჰყარეთ იარაღი, — უთხრა მან, — თორემ მოგკლავთ. იტობადი, მეტისმეტად გაკვირვებული უბედურებით, რომელიც ეწვია ისეთ კაცს, როგორიც თვითონ იყო, დანებდა ზადიგს, რომელმაც დაუბრკოლებლად მოხადა მას თავისი საუცხოო მუზარადი, მშვენიერი აბჯარი, ლამაზი სამკლავეები, ბრწყინვალე სამკერდეები, ჩაიცო ა ისინი და ამ ტანთსაცმელით გაიქცა ასტარტეს წინ მუხლის მოსაყრელად. კადორმა გაუჭირვებლად დაამტკიცა, რომ საჭურველი ზადიგს ეკუთვნოდა. ის ერთსულოვანი თანხმობით მეფედ სცნეს, რამაც განსაკუთრებით გაახარა ასტარტე, რომელიც ამდენი განსაცდელის შემდეგ სიამოვნებას განიცდიდა, როცა ხედავდა, რომ მის შეყვარებულს ყველანი მისი ქმრობის ღირსად სთვლიდნენ.

იტობადი თავის სახლში დაბრუნდა, რათა იქ მისთვის კვლავ მისი აღმატებულება ეწოდებინათ.

ზადიგი გახდა მეფე და ბედნიერი. ეხლა მას მოაგონდა, რაც ანგელოსმა იეზრადმა უთხრა. იგონებდა აგრეთვე ქვიშის მარცვალს, რომელიც აღმასად იქცა. დედოფალი და ის განგებას თაყვანსა სცემდნენ. ზადიგმა მშვენიერ ქინიან მისუფეს ნება მისცა დედაშიწაზე თავისუფლად ევლო. მან მოსძებნა ყაჩაღი არგობადი, რომელსაც დიდად პატივსაცემი ადგილი მისცა თავის ლაშქარში, დაჰპირდა, რომ დააწინაურებდა უმაღლეს თანამდებობამდე, თუ ის მოიქცეოდა ისე, როგორც ნამდვილ მებრძოლს შეეფერებოდა, და ჩამოახრჩობდა, თუ ყაჩაღის ხელობას განაგრძობდა. სეტოკი მშვენიერ აღმონასთან ერთად

შუა არაბეთიდან გამოიწვიეს, რათა ბაბილონის ვაჭრობას სათავეში ჩასდგომოდა. დამსახურების მიხედვით დაჯილდოვებული კადორი მეფის მეგობარი იყო, მეფე კი მთელ დედამიწაზე ერთადერთი ხელმწიფე, რომელსაც მეგობარი ჰყავდა. არც პატარა მუნჯი დაივიწყეს. მეთევზეს ლამაზი სახლი მისცეს. ორკანს მიუსაჯეს მეთევზესთვის დიდი თანხის გადახდა და ცოლის დაბრუნება, მაგრამ მეთევზემ, რომელმაც ქკუა ისწავლა, მხოლოდ ფული აიღო.

მშვენიერ სემირს თავისთვის ვერ ეპატიებია და სწუხდა, რად მეგონა ზადიგი ცალთვალა დარჩებოდაო; აზორაც განუწყვეტლივ ტიროდა, რომ ზადიგს ცხვირის მოკრა მოუნდომა. მათი მწუხარება ზადიგმა საჩუქრებით შეამსუბუქა. მოშურნე სიბრაზისგან მოკვდა. სახელმწიფო მშვიდობიანობით, დიდებით და სიუხვით სტკებოდა. დედამიწაზე ეს ყველაზე კარგი საუკუნე იყო. მას სამართლიანობა და სიყვარული მართავდა. ხალხი ზადიგს ლოცავდა, ხოლო ზადიგი—ზეცას.

აქ თავდება ნაპოვნი ხელნაწერი ზადიგის თავგადასავლის შესახებ. ცნობილია, რომ მას სხვა ამბებიც გადახდა თავს, რომელნიც გულმოდგინედ ჩაუწერიათ. ვთხოვთ აღმოსავლური ენებიდან მთარგმნელებს შეგვატყობინონ, თუ ისინი ამ ჩანაწერებს შეხვდებიან.



# ჯანდიდი



# ანუ ოპტიმიზმი

თარგმანი გერმანულიდან  
ბ. ლოქტორის რედაქცია

„დაპატენტებული“ რომელიმე აღმოჩენილ  
იქნენ ლოქტორის ჯიბეში, როდესაც  
ის გარდაიცვალა 1759 წელს  
განხორციელებიდან უფლისა.







## თავი I

როგორ აღიზარდა კანდიდი ერთს მშვენიერ სასახლეში და  
როგორ გამოაგდეს იქიდან

ვესტფალიაში, ბატონ ბარონ ტუნდერ-ტენ-ტრონკის სასახ-  
ლეში ცხოვრობდა ერთი ჭაბუკი, რომელიც ბუნებას მეტად  
სასიამოვნო ზნით დაეჯილდოვებინა. მისი სახე მისი სულის  
გამომხატველი იყო. იგი საღად და გულწრფელად მსჯელობდა;  
მე მგონია, სწორედ ამის გამო უწოდებდნენ მას კანდიდს<sup>1</sup>. ამ  
ოჯახის ძველ მსახურთ ეჭვი ეპარებოდათ, რომ იგი იყო ძე  
ბარონის დისა და ერთი გულკეთილი, პატიოსანი მეზობელი  
აზნაურისა, რომელზედაც ამ ქალბატონმა არ მოისურვა გათ-  
ხოვება, რადგან აზნაურმა თავისი გენეალოგიური შტოდან  
მხოლოდ სამოცდათერთმეტის თაობის დამტკიცება შესძლო,  
ვინაიდან დანარჩენი ჟამთა სიავის გამო დაკარგულიყო.

ბატონი ბარონი ვესტფალიის ერთ-ერთი უძლიერესი მება-  
ტონე გახლდათ, რადგანაც მის ციხე-დარბაზს კარ-ფანჯრები.  
ჰქონდა. დიდი დარბაზი ხალიჩებითაც კი იყო მორთული. სა-  
კიროების შემთხვევაში, ბარონის უკანა ეზოს ძაღლები მეძებ-

რებად იქცეოდნენ, შეჯინიბებები მონადირეებად, სოფლის ხუცესი კი მღვდელთუხუცესად. ბარონს ყველა მონსენიორს<sup>1</sup> უწოდებდა და ყველა იცინოდა, როდესაც იგი ამბავს ჰყვებოდა.

ქალბატონი ბარონის მეუღლე დაახლოებით სამასორმოცდაათ გირვანქას იწონიდა, რის გამოც ღრმა მოწიწების გრძნობას იწვევდა და ღირსეული თავდაპირით საკუთარი ოჯახის ღირსებას ამალვებდა, რითაც უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებდა. მისი ჩვიდმეტი წლის ასული კუნეგონდა ლაქლაჟა, ნორჩი, ჩასუქებული და ზადის მომგვრელი იყო. ბარონის ვაჟი მამის ღირსეული შვილი ჩანდა. მათი აღმზრდელი პანგლოსი<sup>2</sup> სახლის მისნად ითვლებოდა, და პატარა კანდიდი მის გაკვეთილებს თავისი ასაკისა და ხასიათის მთელი გულწრფელობით ისმენდა.

პანგლოსი ასწავლიდა მეტაფიზიკო-თეოლოგო-კოსმო-ნილოლოგიას. იგი ჩინებულად ამტკიცებდა, რომ შედეგი მიზეზის გარეშე არ არსებობს და შესაძლებელ ქვეყანათა შორის ამ საუკეთესო ქვეყანაზე ბატონი ბარონის სასახლე—სასახლეთა შორის უმშვენიერესია და ქალბატონი შესაძლებელ ბარონის მეუღლეებზე უკეთესი.

— დამტკიცებულია, — ამბობდა პანგლოსი, — რომ საგნები სხვაგვარად ვერ იარსებებენ, რადგან ყოველივე შექმნილია მიზნისათვის, ამიტომ ყოველივე შექმნილია აუცილებლად საუკეთესო მიზნისათვის. აბა, შეხედეთ, ცხვირები გაჩენილია სათვალეებისთვის, და ჩვენც სათვალეებს ვატარებთ; ფეხები ფეხსაცმელებისათვის არსებობენ და ჩვენც ფეხსაცმელებს ვიცვამთ, ქვეები გასათლელად და ციხე-დარბაზების ასაგებად წარმოიშვნენ, ამიტომ ბატონს მეტად მშვენიერი ციხე-დარბაზი აქვს; ამ ქვეყნის უდიდესი ბარონი საუკეთესო ბინაში უნდა ცხოვრობდეს, და რადგან ღორები გაჩენილნი არიან შესაქმნელად, ამიტომ ჩვენც მთელი წლის განმავლობაში ღორის ხორცს შევექცევით; მაშასადამე, ისინი, ვინც აცხადებენ, რომ ყოველივე კარგიაო, სისულელეს ამბობენ, საჭიროა ითქვას, რომ ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება.

კანდიდი ამას ყურადღებით ისმენდა და გულუბრყვილოდ იჯერებდა; მას ბარონის ასული კუნეგონდა უსაზღვროდ თვალ-

წარმტაცი ეჩვენებოდა, თუმცა მისთვის ვერასოდეს ამის გამოძღვლება ვერ გაეხდებოდა. ის ფიქრობდა, რომ იმ ბედნიერების შემდეგ, რაიცა არის დაბადება ბარონ ტუნდერ-ტრონკად, ბედნიერების მეორე საფეხურად ქალბატონ კუნეგონდად ყოფნა ჩაითვლება, მესამე საფეხურად—მისი ყოველდღე ხილვა და მეოთხედ—მოსმენა მასწავლებელ პანგლოსისა, უდიდეს ფილოსოფოსისა ამ მხარეში და, მაშასადამე, მთელს დედამიწის ზურგზეც.

ერთ დღეს, სასახლის ახლოს მდებარე პატარა ტყეში (რომელსაც „პარკს“ უწოდებდნენ) სეირნობის დროს კუნეგონდამ ბუჩქებში დოქტორი პანგლოსი შენიშნა; იგი ექსპერიმენტული ფიზიკის გაკვეთილს აძლევდა კუნეგონდას დედის მოახლეს, პატარა, შავგვრემან ქალს, მეტად ლამაზსა და მეტად თვინიერს. რადგან ქალბატონი კუნეგონდა მეცნიერების მიმართ დიდ მიდრეკილებას იჩენდა, ამიტომ იგი სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა ცდებს, რომლის მოწამეც ხდებოდა. მან ნათლად დაინახა დოქტორის საკმაო საფუძველი, შედეგები და მიზეზები, და გაბრუნდა აღელვებული, დაფიქრებული, შეპყრობილი სურვილით, რომ თვითონაც დაუფლებოდა მეცნიერებას და საკმაო საფუძველი გამხდარიყო ახალგაზრდა კანდიდისათვის ისევე, როგორც კანდიდი მისთვის.

სასახლეში დაბრუნებისას მას კანდიდი შემოხვდა, კუნეგონდა გაწითლდა, კანდიდიც გაწითლდა. კუნეგონდა კანდიდს ათრთოლებული ხმით მიესალმა. კანდიდმა ლაპარაკი დაუწყო, თუმცა თვითონაც არ იცოდა რაზედ. მეორე დღეს, სადილის შემდეგ, როდესაც სუფრიდან აიშალნენ, კუნეგონდა და კანდიდი შირმის უკან აღმოჩნდნენ; კუნეგონდამ ცხვირსახოცი დააგდო, კანდიდი მას დასწვდა. კუნეგონდამ კანდიდს გულუბრყვილოდ ხელი მოუჭირა, ჭაბუკმაც გულუბრყვილოდ ხელზე აკოცა ნორჩ ასულს, ცლცხლად, გრძნობიერად და განსაკუთრებული სინატიფით მათი ზაგენი ერთმანეთს შეხედნენ, თვალები აელვარდნენ, მუხლები აკანკალდნენ, ხელები აფათურდნენ. ბატონმა ბარონ ტუნდერ-ტენ-ტრონკმა შირმასთან გაიარა, ეს მიზეზები და ეს შედეგები დაინახა და კანდიდი ლაზათიანი პანღურის კვრით სასახლიდან გააგდო. კუნეგონდას გული შეუ-

ლონდა; გონს მოვიდა თუ არა, ქალბატონმა ბარონის მეუღლემ მას სილა გააწნა; და ყველა შეძრწუნებული იყო შესაძლებელ სასახლეთა შორის ყველაზე მშვენიერ და საამურ სასახლეში.

## თავი II

### რა დაეშინებოდა კანდიდს ბულგარელებთან

ამჟვეყნიურ სამოთხიდან განდევნილი კანდიდი დიდხანს მიაბიჯებდა—არც იცოდა საით, სტიროდა, ცისკენ აპყრობდა თვალებს, ხშირად იცქირებოდა სასახლეთა შორის უმშვენიერესი სასახლისკენ, სადაც ცხოვრობდა ულამაზესი ასული ბარონების ასულთა შორის.

შუა მინდორში, ორ თხრილს შორის კანდიდი უვახშმოდ დაწვა; თოვლი დიდ-ფანტელგებად ცვივოდა. მეორე დღეს მთლად გათოშილი კანდიდი წაჩანჩაღდა მეზობელი ქალაქისკენ, რომელსაც ფალდბერგჰოფ-ტარარბჰ-დიკლორფი ერქვა. მას ერთი გროშიც არ გააჩნდა, შიმშილისაგან და დაღლილობისაგან სულს დაფავდა. იგი სამიკიტნოს კართან ნაღვლიანად შეჩერდა. ლურჯ ტანთსაცმელში გამოწყობილმა ორმა მამაკაცმა კანდიდი შენიშნა.

— ამხანაგო,—უთხრა ერთმა მამაკაცმა მეორეს,—ხედავ რა მშვენიერი აღნაგობის ქაბუკია, სიმაღლეც სათანადო აქვს.

ისინი კანდიდს მიუახლოვდნენ და მეტად თავაზიანად სადილზე მიიწვიეს.

— ბატონებო,—მომჯადოებელი მოკრძალებით მიმართა მათ კანდიდმა,—თქვენ დიდ პატივსა მღებთ, მაგრამ ჩემი წილის გადასახდელი ფული არა მაქვს.

— რას ბრძანებთ!—უთხრა მას ერთ-ერთ ლურჯსამოსიანთაგანმა,—განა თქვენი აღნაგობისა და თქვენი ღირსების ადამიანს ფულის გადახდა სჭირდება; თქვენ ხომ ხუთი წყრთის და ხუთი გოჯის სიმაღლის ბრძანდებით?

— დიად, სწორედ მაგ სიმაღლის გახლავართ,—მდაბლად თავის დახრით უპასუხა კანდიდმა.

— ოჰ, ბატონო! მობრძანდით მაგიდასთან; ჩვენ არა თუ გადავიხდით თქვენს მაგივრად ფულს, არამედ არც დაფუშვებთ არას-

დროს, რომ თქვენნაირ კაცს ფული შემოაკლდეს; ადამიანები მხოლოდ ერთმანეთის დასახმარებლად არიან დაბადებულნი.

— მართალსა ბრძანებთ,— მიუგო კანდიდმა,— სწორედ ამას მეუბნებოდა ყოველთვის ბატონი პანგლოსი, და მე ეხედავ, რომ ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება.

კანდილს სთხოვეს ცოტაოდენი ფული მიეღო მათგან. კანდიდმა გამოართვა და ხელწერილის მიცემა დააპირა. მათ უარი უთხრეს. მაგიდას მიუსხდნენ.

— ნუთუ თქვენ არ გიყვართ?..

— როგორ არა!— უპასუხა კანდიდმა,— მე ქალბატონი კუნეგონდა მიყვარს.

— არა,— უთხრა მას ერთმა ამ ბატონთაგანმა,— ჩვენ გეკითხებით, გიყვართ თუ არა თქვენ ბულგარელების მეფე?\*

— სრულებითაც არა,— მიუგო კანდიდმა,— მე ხომ იგი არასოდეს მინახავს.

— ნუთუ? იგი მეფეთა შორის ყველაზე ღირსეული მეფეა და საჭიროა მისი სადღეგრძელო შევსვათ.

— ოჰ დიდი სიამოვნებით, ბატონებო,— და იგი სევანს.

— საკმარისია,— ეუბნებიან მას,— თქვენ უკვე ბულგარელთა ბურჯი ხართ, დასაყრდენი, მხსნელი და გმირი; თქვენი ბედი გადაწყვეტილია და თქვენი დიდება უზრუნველყოფილი.

კანდილს მაშინვე ბორკილები შეაბეს ფეხებზე და ლეგიონში წაიყვანეს. აქ იგი აიძულეს მიტრიალებულიყო მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, ამოეძრო და ჩაედო ზუმბა, დაემიზნა, გაესროლა, აეჩქარებინა ნაბიჯი, რის შემდეგ იგი ჯოხის ოცდაათი დარტყმით დასაჯეს; მეორე დღეს ოდნავ უკეთესად ივარჯიშა და მხოლოდ ოცი დარტყმა მიიღო, მესამე დღეს— მხოლოდ ათი, და ამხანაგებმა იგი სასწაულმოქმედად ჩასთვალეს.

დარეტყიანებულ კანდილს ჯერაც ვერ გაეგო კარგად, თუ როგორ გახდა იგი გმირი. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მან გასეირნება მოისურვა, მიდიოდა უზრუნველად, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ადამიანთა ისევე, როგორც ცხოველთა მოდგმის უპირატესობას წარმოადგენს ფეხების საკუთარ სურვილისამებრ მოხმარება. ჯერ ორი მილი არც კი გაეწლო, რომ ექვსი წყრთის სიმაღლის ოთხი სხვა გმირი

წამოეწია. კანდიდი გათოკეს და ციხეში ჩააგდეს. იურიდიულ ენაზე ჰკითხეს—მთელი ლეგიონის მიერ ჯოხის დარტყმის ქვეშ ოცდათექვსმეტჯერ გაელაშ ამჯობინებ, თუ შუბლში თორმეტი ტყვიის მიღებასო.

ამაოდ ამტკიცებდა კანდიდი, რომ ნება თავისუფალია, რომ მას არც ერთი სასჯელის მიღება სურდა და არც მეორის. მაინც საჭირო გახდა არჩევანი. კანდიდმა გადასწყვიტა ლეთისგან ბოძებული მადლის ძალით, რომელსაც თავისუფლება ეწოდება, ჯოხების ქვეშ გაევიღო ოცდათექვსმეტჯერ; მან ორი გასეირნება აიტანა. ლეგიონი ორიათას კაცისაგან შედგებოდა, რის გამოც კანდიდს ოთხი ათასი დარტყმა შეუგროვდა, რამაც მას კისრიდან დაწყებული საჯდომამდე კუნთები და ძარღვები დაუხსნა. როდესაც კანდიდის მესამეჯერ გატარებას შეუდგნენ, მან ველარ გასძლო და შეწყნარებად ითხოვა—კეთილი მიყავით და თავი გამიტეხეთო. ეს შეწყნარება მიიღო; თვალებს უხვევენ, აჩოქებენ. ამ დროს ბულგარელთა მეფე გაივლის, იკითხავს დასჯილის დანაშაულს, და რადგან ეს მეფე უდიდესი ბრძენი იყო, კანდიდის შესახებ მიღებულ ცნობათა წყალობით მიხვდა, რომ კანდიდი იყო ახალგაზრდა მეტაფიზიკოსი, რომელსაც ამქვეყნიური ამბების არა გაეგებოდა. მეფემ კანდიდს პატიება უბოძა და ეს მოწყალება ყველა გაზეთებსა და საუკუნეებში იქნება შექებული. მარჯვე დოსტაქარვა დიოსკორიდის<sup>6</sup> მიერ მითითებულ ტკივილის დამაყუჩებელ საშუალებებით კანდიდი სამ კვირაში განკურნა.

ის იყო კანდიდს ტყავი ოდნავ გადაეკრა და სიარული შესძლო, როდესაც ბულგარელების მეფემ ავარიელთა ხელმწიფეს ომი გამოუცხადა.

### თავი III

როგორ გადაურჩა კანდიდი ბულგარელებს და რა გარდახდა მას

არაფერი იყო ესოდენ მშვენიერი, ესოდენ მკვირცხლი, ბრწყინვალე და კარგად მოწყობილი, როგორც ეს ორი ლაშქარი, ბუკები, საყვირები, ლოროტოტოები, დოლები, ქვემე-

ხები ისეთ კეთილზომიერებას ჰქმნიდნენ, რომლის მსგავსი თვით ჯოჯოხეთშიაც კი არ სმენიათ. ჯერ ქვესხებმა ორივე მხრიდან დაახლოებით შვიდიათასი კაცი დასცეს მიწაზე. შემდეგ თოფების ბათქმა ამ საუკეთესო ქვეყანას მოაშორა ცხრიდან ათი ათასამდე არამზადა, რომლებიც დედამიწაზე ჰაერს სწამლავდნენ. ხიშტიც საკმაო მიზეზი გახდა რამდენიმე ათასი კაცის სიკვდილისა. დახოცილთა რიცხვი ოცდაათი ათას სულამდე მიაღწევდა. კანდიდი ისე კანკალებდა, როგორც ფილოსოფოსს შეეფერება და ამ გმირული ხოცვა-ჟლეტის დროს შეძლებისდაგვარად იმალებოდა.<sup>7</sup>

ბოლოს, როდესაც ორთავე მეფემ თავ-თავის ბანაკებს უბრძანა Te-Deum ემღერათ, კანდიდმა გადასწყვიტა, მიზეზებზე და შედეგებზე საფიქრებლად სხვა აღვიღას წასულიყო. მან გადაიარა მკვდართა და მომაკვდავთა გროვა და ერთ სოფელს მიაღწია. იგი ცეცხლში იყო გახვეული. ეს იყო ავარიელთა სოფელი, საჯარო უფლების კანონების მიხედვით ბულგარელების მიერ გადამწვარი. აქ ტყვიით დაცხრილული მოხუცები მიშტერებოდნენ მომაკვდავ, დაჭრილ ცოლებს, რომელთაც გასისხლიანებულ მკერდში შეიღები ჩაეკრათ; იქ გაფატრული ქალიშვილები, რომლებსაც რამდენიმე გმირის ბუნებრივი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ, სულს დაფადენენ; ზოგი ნახევრად დამწვარი იხვეწებოდა, რომ მისთვის ბოლო მოეღოთ. მოჭრილი ხელფეხის გვერდით ტვინი იყო დანთხეული.

კანდიდი სასწრაფოდ მეორე სოფლისკენ გაეშურა. იგი ბულგარელებს ეკუთვნოდა. აქ ავარიელ გმირებს ისევე ეთარეშნათ, როგორც ბულგარელებს ავარიელთა სოფელში. კანდიდი აღამიანთა სხეულის ათრთოლებულ ნაწილებზე და ნანგრევებზე მიაბიჯებდა. ბოლოს, როგორც იყო ბრძოლის ველს თავი დაადწია. ჩანთაში ცოტაოდენი სურსათი დარჩენოდა. არასოდეს ქალბატონ კუნეგონდას არ ივიწყებდა. როდესაც ჰოლანდიას მიაღწია, საქმელი შემოაკლდა. რადგან გაგებული ჰქონდა, რომ ამ ქვეყანაში ყველანი მდიდრები და ქრისტიანები იყვნენ, დარწმუნებული იყო, აქ მას ისევე კარგად მოეპყრობოდნენ, როგორც ბატონ ბარონის სასახლეში

ეპყრობოდნენ, სანამ იქიდან ქალბატონ კუნეგონდას მშვენიერი თვალებისთვის გამოაგდებდნენ.

მან მოწყალეობა სთხოვა რამდენიმე დარბაისელ ადამიანს, რომლებმაც უპასუხეს, რომ თუ ამ ხელობას თავი არ დაანებებ, ჭკუის სასწავლებლად გამასწორებელ სახლში ჩაგკეტავთო.

ამის შემდეგ კანდიდმა მიმართა ერთ კაცს, რომელმაც ის-ის იყო მთელი ერთი საათის განმავლობაში, დიდი საკრებულოს წინაშე, მოწყალეობაზე ილაპარაკა.

ამ ორატორმა კანდიდი თვალებით განგმირა და უთხრა:

— რას აკეთებთ აქ, საპატიო მიზეზით ხართ მოსული?

— არ არსებობს შედეგი მიზეზის გარეშე,—მოკრძალებით უპასუხა კანდიდმა,—ყოველივე ერთმანეთთან აუცილებლობით არის დაკავშირებული და მიზანშეწონილად მოწესრიგებული. საჭირო იყო, რომ ქალბატონ კუნეგონდასგან გავეგდეთ, ჯოხების დარტყმა მიმელო, ახლა კი საჭიროა, მათხოვრობით ვიშოვნო პური, სანამ მას შრომით ვიშოვნიდე; ეს ყოველივე სხვაგვარად ვერ მოხდებოდა.

— მეგობარო,—უთხრა მას ორატორმა,— თქვენ გწამთ, რომ პაპი ანტიქრისტია?

— მასზე ჯერჯერობით არაფერი მსმენია,—უპასუხა კანდიდმა,—ანტიქრისტია თუ არა პაპი, მე პური მშია.

— მისი ჭამის ღირსი არც ხარ!—უთხრა ორატორმა,—მომშორდი, შე არამზადავ, წაეთრიე აქედან, შე უბედურო, და არასოდეს შენს სიცოცხლეში არ მომიახლოვდე.

ორატორის მეუღლემ ფანჯრიდან თავი გადმოჰყო, თვალი შეავლო კაცს, რომელსაც პაპის ანტიქრისტობაში ეჭვი ეპარებოდა და მას თავზე სავსე... გადმოასხა.

ო, ცაო! რას არ ჩაადენინებს მანდილოსნებს სარწმუნოებრივი გულმოდგინეობა.

ერთმა მოუნათლავემა კაცმა, კეთილმა ანაბაპტისტმა,<sup>8</sup> რომელსაც ფაკი ერქვა, დაინახა თუ როგორ სასტიკად და უპატიოდ მოექცნენ ერთ-ერთ მის ძმათაგანს, ორფეხა, უფროთ არსებას, რომელსაც სული გააჩნდა.

მან კანდიდი თავისას წაიყვანა, გაასუფთავა, პურით და ლუდით გაუმასპინძლდა, ორი ფლორინი აჩუქა და თანაც



მოისურვა მისთვის სპარსულ ქსოვილების საკუთარ საფეიქროში მუშაობა ესწავლებინა. ასეთ ქსოვილებს ჰოლანდიაში ამზადებენ.

ჟაკის ფერხთა წინაშე განრთხმულმა კანდიდმა შეჰყვირა:

— მასწავლებელი პანგლოსი სიმართლეს მეუბნებოდა, რომ ამ ქვეყნად ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება, ვინაიდან ჩემზე უფრო ძლიერად იმოქმედა თქვენმა უაღრესმა დიდსულოვნებამ, ვიდრე შაფამოსასხამიანი ბატონის და მისი მეუღლის ბოროტებამ.

მეორე დღეს, სეირნობის დროს, კანდიდს მუწუკებიანი მათხოვარი შემოხვდა—უსიცოცხლო თვალებით, დაწყლულებული ცხვირით, მოგრეხილი პირით, გაშავებული კბილებით; იგი ხრინწმორეული ხმით ლაპარაკობდა და ისე ძლიერ ახველებდა, რომ ყოველ ამოხველებაზე თითო-თითო კბილს აფურთხებდა.

#### თავი IV

როგორ შეხვდა კანდიდი ფილოსოფიის ყოფილ  
მასწავლებელს და რა მოხდა

კანდიდმა, ამოძრავებულმა უფრო თანაგრძნობით ვიდრე შიშით, ამ შემზარავ მათხოვარს პატიოსანი ანაბაპტიისტი ჟაკისაგან მიღებული ორი ფლორინი გაუწოდა. მოჩვენებამ დაკვირვებით შეხედა კანდიდს, ცრემლები გადმოჰყარა და ყელზე შემოაქდო ხელები. შეშინებულმა კანდიდმა უკან დაიწია.

— ვაიმე!—მიმართა ერთმა უბედურმა მეორე უბედურს—ველარ იცანით თქვენი საყვარელი პანგლოსი?

— ეს რა მესმის? თქვენ, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო! თქვენ ამ შემადრწუნებელ მდგომარეობაში? რა უბედურება გწვევიათ, რატომ აღარ იმყოფებით უმშვენიერეს სასახლეში? რა მოუვიდა ქალბატონ კუნეგონდას, ქალიშვილთა შორის მარგალიტს, ბუნების სრულყოფილ ქმნილებას?

— ლაპარაკი აღარ ძალმიძს, ძალღონე გამომელაია,—სთქვა პანგლოსმა.

კანდიდმა იგი მაშინვე ანაბაპტიისტის ბოსელში წაიყვანა, სადაც პურის ნატეხი მისცა და, როდესაც პანგლოსმა ძალა მოიკრიფა, კანდიდმა ჰკითხა:—ჰო, მართლა—კუნეგონდა?

— იგი გარდაიცვალა, — უპასუხა პანგლოსმა.

კანდიდს ამ სიტყვებზე გული შეეწუხდა. მისმა მეგობარმა იგი ბოსელში შემთხვევით ნაპოვნი გაფუჭებული ძმრით გონს მოიყვანა. კანდიდმა კვლავ თვალეები აახილა.

— კუნეგონდა მკვდარია! ჰოი, ქვეყანათა შორის საუკეთესო ქვეყანავ, სადა ხარ შენ! — მითხარ, რა ავადმყოფობით გარდაიცვალა, იქნებ იმის გამო, რომ მისმა თვალეებმა იხილეს თუ როგორი ძლიერი პანდურის კვრით გამომაგდეს ბატონი მამამისის მშვენიერი სასახლიდან?

— არა, — უპასუხა პანგლოსმა, — იგი ბულგარელმა ჯარისკაცებმა გაპტატრეს მას შემდეგ, რაც გააუპატიურეს იმდენჯერ, რამდენჯერაც შეიძლებოდა. მათ თავი გაუტეხეს ბატონ ბარონს, რომელმაც თავისი ასულის დაცვა მოისურვა. ქალბატონი ბარონის მეუღლე ნაკუწ-ნაკუწ ასჩეხეს; ჩემს საცოდავ მოწაფესაც სწორედ ისე მოექცნენ, როგორც მის დას; რაც შეეხება სასახლეს, მისგან ქვა-ქვაზეც აღარ დასტოვეს; აღარც ერთი საცეხველი, აღარც ცხვარი, აღარც იხვი, აღარც ხე; მაგრამ ჩენი სამაგიერო მათ კარგად მიუზღეს არაბებმა, რომლებიც მეზობელი ბულგარელი თავადის მამულში სწორედ ამგვარად მოიქცნენ.

ამ ლაპარაკზე კანდიდს კვლავ გული შეუღონდა. გონს მოსულმა ყოველივე გამოსთქვა, რის თქმაც სურდა და შემდეგ გამოიკითხა, თუ რა იყო ის საკმაო საფუძველი, მიზეზები და შედეგები, რომლებმაც პანგლოსი ამ საცოდავ მდგომარეობამდე მიიყვანა.

— საუბედუროდ, სიყვარული! — სთქვა პანგლოსმა, — სიყვარული, ადამიანთა მოდგმის ნუგეშისმცემელი, სამყაროს შემნახველი, ყოველ გრძნობიერ ქმნილებათა სული, ნაზი სიყვარული.

— საუბედუროდ მეც განვიცადე იგი, — მიუგო კანდიდმა, — ეს სიყვარული, ეს გულთა მპყრობელი, ეს სული ჩენი სულისა, მან მხოლოდ ერთი კოცნა მომიძღვნა და ოცი პანდური. როგორ შეეძლო ამ მშვენიერ მიზეზს თქვენში ესოდენ შემადრწუნებელი შედეგი წარმოეშვა?

პანგლოსმა ამ სიტყვებით უპასუხა:

— ო, ჩემო ძვირფასო კანდიდ! თქვენ იცნობდით პაკეტას,

ჩვენი დიდებული ქალბატონის ამ ტურფა მოახლეს. მის მკლავებში შევიგრძენ სამოთხის სიტკბოება, რომელმაც ეს ჯოჯოხეთური წამება გამოიწვია და, როგორც ხედავთ, დამაძაბუნა. მოახლე დაავადებული აღმოჩნდა. ამ სენმა იქნებ მოჰკლა კიდევ. პაკეტას ეს საჩუქარი მოართვა ერთმა მეტად განსწავლულმა ფრანცისკელმა ბერმა, რომელმაც ამ ავადმყოფობის წყარო გამოიკვლია: ბერს იგი გრაფის მოხუცებული მეუღლისაგან გადაედო, გრაფის მეუღლეს—კავალერიის კაპიტანისგან, ეს კი ამ სენს უმადლოდა ერთ მარკიზას, რომელსაც პაჟისგან გადაზღვებოდა, ხოლო ამ უკანასკნელს—ერთი იეზუიტისაგან; იეზუიტს მორჩილად ყოფნის დროს მიეღო პირდაპირი ხაზით ქრისტეფორე კოლუმბის ერთ-ერთი ასაბინისაგან. რაც შემეხება მე, არვის გადავცემ, რადგან სიკვდილის პირას ვარ მისული.

— ოჰ, პანგლოს, ეს რა უცნაური გენეალოგიაა! განა ეშმაკი არ არის მისი დასაბამი?

— სრულებითაც არა,—უპასუხა დიდმა ადამიანმა,—ეს აუცილებელი მოვლენა იყო ამ საუკეთესო ქვეყანაზე, მისი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი; რადგან, თუ კოლუმბს ამერიკის ერთ-ერთ კუნძულიდან არ წამოეღო ეს სენი, რომელიც გამრავლების სათავეს სწამლავს, ხშირად შთამომავლობის გაგრძელებას ხელს უშლის და ბუნების დიად მიზანს აშკარად ეწინააღმდეგება, მაშინ ჩვენ არც შოკოლადი და არც კოშენილი არ გვექნებოდა. ამის გარდა აღსანიშნავია, რომ ეს სენი დღევანდლამდე მხოლოდ ჩვენი მატერიკისათვისაა დამახასიათებელი ისევე, როგორც საღვთისმეტყველო კამათი. თურქები, ინდოელები, სპარსელები, ჩინელები, სიამელები, იაპონელები მას ჯერ არ იცნობენ, მაგრამ არსებობს საკმაო საფუძველი, რომ ისინი ამ ავადმყოფობას რამდენიმე საუკუნეში გაიცნობენ. ამასობაში იგი ჩვენს შორის შესანიშნავად ვრცელდება, განსაკუთრებით იმ კარგად გაწრთენილი, პატიოსანი და ქირავებული ჯარისკაცებისაგან შემდგარ დიდ ლაშქარში, რომელიც სახელმწიფოების ბედ-იღბალს სწყყევტს. როდესაც ოცდაათი ათასი ადამიანი ამდენივე ადამიანის წინააღმდეგ

იბრძვის, ექვს გარეშეა, რომ ორივე მხრიდან ოც-ოც ათასამდე კაცი ათაშანგით იქნება დაავადებული.

— ეს განსაცვიფრებელი ამბავია, — თქვა კანდიდმა, — მაგრამ საჭიროა თქვენი განკურნვა.

— ეჰ, ამას მე როგორ შევძლებ! — უპასუხა პანგლოსმა — ერთი გროშიც კი არ გამაჩნია, ჩემო მეგობარო, მთელ დედამიწის ზურგზე კი ვერც სისხლს გამოაშვებინებ, ვერც ოყნას გააკეთებინებ თუ ფულს არ გადაიხდი, ან თუ ვინმე შენს მაგივრად არ გადაიხდის.

ამ უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე კანდიდმა გადაწყვეტილება მიიღო; იგი თავის მოწყალე ანაბაპტისტს ფერხთ ქვეშ ჩაუფარდა და მას თავისი მეგობრის მდგომარეობის ისეთი შემადრწუნებელი სურათი დაუხატა, რომ ამ გულკეთილმა ადამიანმა დოქტორი პანგლოსი უყოყმანოდ შეიფარა და თავისი ხარჯით მოარჩინა. პანგლოსმა მკურნალობის დროს მხოლოდ ერთი თვალი და ერთი ყური დაჰკარგა. იგი კარგად სწერდა და სრულყოფილად იყო დაუფლებული არითმეტიკას. ანაბაპტისტმა ჟაკმა პანგლოსი თავის მოანგარიშედ დანიშნა, ორი თვის შემდეგ ჟაკს კომერციული საქმეების გამო ლისაბონში გამგზავრება მოუხდა. მან საკუთარ ხომალდზე ეს ორი ფილოსოფოსიც მოათავსა. პანგლოსმა ჟაკს აუხსნა, თუ როგორ მოიმართებოდა ყოველივე უკეთესისკენ. ჟაკი ამ აზრს არ იზიარებდა.

— თუმცა მართალია, — ამბობდა იგი, — რომ ადამიანებმა ბუნება ნაწილობრივ შებღალეს, რადგან ისინი სრულიადაც არ დაბადებულან მგლებად, რადაც შემდეგში გადაიქცნენ. ღმერთმა მათ არც ოცდაოთხ გირვანქიანი ლულები უბოძა და არც ხიშტები; მათ კი ერთმანეთის გასაელეტად ხიშტები და ლულები გამოიგონეს. მე შემეძლო აღმენიშნა გაკოტრებულნი და სასამართლო, რომელიც გაკოტრებულთა ქონებას ითვისებს და კრედიტორებს ალატაკებს.

— ეს ყოველივე აუცილებელია, — უპასუხა ცალთვალა მეცნიერმა, — ცალკეული უბედურებანი საერთო ბედნიერებას ქმნიან, მაშასადამე, რამდენადაც მეტია ცალკეული უბედურება, იმდენად ყველაფერი უკეთაა. სანამ პანგლოსი ასე მსჯელობდა,

ჩამობნელდა, დედამიწის ოთხი მხრიდან ქარმა დაჰკროლა და ლისაპონის ნავსადგურთან მისული ხომალდი უსაშინელეს გრივალში გაეხვია.

## თავი V

ზრივალნი, ხომალდის დაღუპვა, მიწისძვრა და რა გარდაცდათ დოქტორ პანგლოსს, კანდიდს და ანაბაპტისტ ჟაკს

მეზავრების ერთი ნახევარი იმდენად მისუსტებული, იმდენად სულშეხუთული იყო ერთ გამოუთქმელი სვედისაგან, რასაც ხომალდის ნჯღრევა იწვევს ნერვებზე და მთელი სხეულის შეგრძნებებზე, ადამიანის აქეთ-იქით მიხეტქების გამო, რომ მას ძალაც არ შესწევდა საფრთხეზე ეფიქრა. მეორე ნახევარი გაჰკიოდა და ლოცულობდა.

იალქნები დაიფლითა, ანძები დაიმსხვრა, ხომალდი გაიბზარა. ვისაც შეეძლო, მუშაობდა; არვინ განკარგულებას არ იძლეოდა, არავის არაფერი ესმოდა. ცოტას ანაბაპტისტიც ეხმარებოდა მუშაობაში. ის გემბანზე იდგა; ერთმა გაშმაგებულმა მეზღვაურმა ჟაკს მძლავრად გაარტყა და ძირს დასცა; თვით მეზღვაური ამ დარტყმისგან ისე ძლიერ შეტორტმანდა, რომ გემიდან გადაყირავდა. იგი გატეხილი ანძის ნაწილზე ჩამოეკიდა. კეთილი ჟაკი მასთან დასახმარებლად მირბის, ამოსვლას შეეღის, მაგრამ დახმარების დროს ძალღონის დაძაბვის გამო თავს ველარ იკავენს და მეზღვაურის თვალწინ თვითონ ვარდება ზღვაში. მეზღვაურმა დაღუპულ ჟაკს ერთი შეხედვაც კი არ აღირსა. კანდიდი უახლოვდება ამ ადგილს, დაინახავს თავის კეთილისმყოფელს, რომელიც ერთ წუთს ამოტივტივდა ზღვის ზედაპირზე და შემდეგ სამუდამოდ შთაინთქა. კანდიდს სურს მასთან ზღვაში ჩახტეს; ფილოსოფოსი პანგლოსი მას აჩერებს და უმტკიცებს, ლისაპონის რეიდი იმისთვის იყო წინასწარ მოწყობილი, რომ ეს ანაბაპტისტი აქ დამხრჩვალყო. სანამ იგი კანდიდს ამას უმტკიცებდა a priori, გემი დაიშალა. ყველა დაიღუპა, გარდა პანგლოსისა, კანდიდისა და უხეში მეზღვაურისა, რომელმაც სათნოებით აღსავსე ანაბაპტისტი დაახრჩო. ეს არამზადა ბედნიერად მიცურდა ნაპირთან, სადაც პანგლოსი და კანდიდი ფიცარმა გარიყა.

ძალღონე მოიკრიფეს თუ არა, ლისაბონისკენ გასწიეს; ცოტა ფული შერჩენოდათ, რომლითაც იმედი ჰქონდათ, რომ გრიგალისაგან გადაარჩენის შემდეგ შიმშილისაგან თავს გადაიარჩინდნენ.

თავის კეთილისმყოფელის დატირებით ქალაქში შევიდნენ და მაშინვე იგრძნეს, რომ მათ ფერხთ ქვეშ მიწა ინძრა;<sup>9</sup> აქაფებული ზღვა ნავსადგურს მოაწყდა და ლუზაჩაშეებულნი გემები მიაშხვერ-მოამსხვერია. კვამლის და ფერფლის კორიანტელმა ქუჩები და მოედნები დაჰფარა, სახლები ჩამოინგრა, სახურავები საძირკველზე ჩამოწვა, საძირკვლები დაიშალა, ოცდაათი ათასი ყველა ასაკისა და ყველა სქესის მცხოვრები ნანგრევების ქვეშ გაისრისა. მეზღვაური სტვენდა და ილანძღებოდა:—ნახეთ, თუ აქ დავლა არ ვიშოვნო.

— რა უნდა იყოს ამ მოვლენის საკმაო საფუძველი?—ამბობდა პანგლოსი.

— აი, ქვეყნის უკანასკნელი დღე!—ყვიროდა კანდიდი.

მეზღვაური დაუყოვნებლივ ნანგრევებისკენ მირბის, სიკვდილს არ ეპუება ფულის გულისთვის, ფულს პოულობს; თვრება და გამოფხიზლებული სიყვარულს ყიდულობს პირველი შეხვედრილი თავისუფალი ქცევის ქალისგან, რომელსაც იგი სახლების ნანგრევებზე მომაკვდავთა და მკვდართა შორის ხვდება. ამ დროს მას პანგლოსი სახელოში სწვდება.

— ჩემო მეგობარო,—უთხრა მან მეზღვაურს,—კარგად არ იქცევით, თქვენ აბუჩად იგდებთ მსოფლიო გონებას, თქვენ ბოროტად იყენებთ დროს.

— სისხლი და სიკვდილი!—უპასუხა მან,—მე მეზღვაური ვარ, ბატავიაში დაბადებული. იაპონიაში ოთხჯერ მოგზაურობის დროს ჯვარცმა ოთხჯერ გადავთელე<sup>10</sup>. შენც იპოვნე რა ადამიანი, რომელსაც მსოფლიო გონებაზე ელაპარაკები.

- ქვების ნამსხვრევებმა კანდიდი დასკრა. ის ქუჩაში იყო გაშხლართული და ნამტვრევებით დაფარული. იგი ეუბნებოდა პანგლოსს:—ვაიმე, მიშოვნე ცოტა პური და ზეთი, ვკვდები.

— ეს მიწისძვრა ახალი ამბავი არ არის—უპასუხა პან-

გლოსმა. შარშან, ამერიკაში, ქალაქ ლიმამ ასეთივე მიწისძვრა განიცადა; ერთი და იგივე მიზეზები, ერთი და იგივე შედეგები; უეჭველია, რომ ლიმიდან ლისაბონამდე მიწისქვეშეთს გოგირდის ერთი და იგივე ფენა გასდევს.

— შესაძლოა, — სთქვა კანდიდმა, — მაგრამ ღვთის გულისათვის, ცოტა ღვინო და ზეთი.

— როგორ თუ შესაძლოა? — შეესიტყვა ფილოსოფოსი, — მე ვამტკიცებ, რომ ეს უკვე დასაბუთებულია.

კანდიდმა გონება დაჰკარგა და პანგლოსმა მახლობელ შადრევანიდან მას ცოტა წყალი მოუტანა.

მეორე დღეს ისინი ლორღებში გაძვრნენ, ცოტაოდენი სურსათი იპოვნეს და ძალღონე ოდნავ აღიდგინეს. ამის შემდეგ მათ სხვებთან ერთად სიკვდილს გადარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად იმუშავეს. რამდენიმე მოქალაქე, რომელთაც ისინი დაეხმარნენ, მათ ისეთი სადილით გაუმასპინძლდა, როგორიც ამ არეულობაში შეიძლებოდა მოეზადებინათ. სადილმა სევდიანად ჩაიარა, თანამესუფრენი საჭმელს ცრემლებით ალბობდნენ, მაგრამ პანგლოსმა ისინი დაამშვიდა და დაარწმუნა, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

— რადგან, — სთქვა მან, — ამაზე უკეთესი არაფერი შეიძლება იყოს. ლისაბონში თუ ვულკანი არის, აღარ შეიძლება სხვაგან იყოს, რადგან შეუძლებელია საგნები არ არსებობდნენ იქ, სადაც არსებობენ, ვინაიდან ყოველივე კარგია.

ერთმა პატარა შავმა კაცმა, ინკვიზიციის თანამშრომელმა, რომელიც პანგლოსის გვერდით იჯდა, ზრდილობიანად სიტყვა ითხოვა და სთქვა:

— აშკარაა, რომ ამ ბატონს პირველშობილი ცოდვის არასწამს რა, რადგან თუ ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება, მაშინ არც ცოდვა და არც სასჯელი არ არსებულა.

— უდიდესი თავმდაბლობით შენდობას ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, — მასზე მეტი თავაზიანობით უპასუხა პანგლოსმა, — ადამიანის ცოდვა და შერისხვა ამ საუკეთესო ქვეყანაზე შესაძლებელ ქვეყანათა შორის აუცილებლად არსებობენ.

— მაშ, ბატონს არ სწამს თავისუფლება?—იკითხა ინკვი-  
ზიციის თანამშრომელმა.

— მომიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო პანგლოს-  
მა, — თავისუფლებას შეუძლია აბსოლუტურ აუცილებლობასთან  
ერთად იარსებოს, რადგან აუცილებელი იყო, რომ ჩვენ  
თავისუფალნი ვყოფილიყავით; ბოლოს და ბოლოს ნება გან-  
საზღვრულია მიზეზობრივობით...

პანგლოსი შუა წინადადებაზე იყო მისული, როდესაც ინკვი-  
ზიციის თანამშრომელმა თავის დაქნევით ანიშნა თავის მსა-  
ჯურს, რომელიც მას პორტოსა თუ ოპორტოს ღვინოს უსხამდა.

## თავი VI

როგორ აღმართეს აუტო-და-ფე მიწისძვრის შესაჩერებლად  
და როგორ გაამათრახეს კანდიდი

მიწისძვრის შემდეგ, რომელმაც ლისაბონის სამი მეოთხე-  
დი დაანგრია, ამ ქვეყნის ბრძენებმა, საერთო ნგრევის შესა-  
ჩერებლად ხალხის წინაშე მშვენიერი აუტო-და-ფეს მოწყობის  
გარდა, სხვა ვერაფერი ქეშმარიტი საშუალება ვერ გამოი-  
ხეს<sup>11</sup>. კოიმბრის უნივერსიტეტმა დაადგინა, რომ დიდი ცერე-  
მონიით ნელ ცეცხლზე რამდენიმე ადამიანის დაწვა უბადლო  
ლონისძიება იქნებოდა მიწისძვრის შესაჩერებლად.

ამ მიზნით დააპატიმრეს ერთი ბისკაიელი, რომელსაც ბრა-  
ლად ნათლიდედის ცოლად შერთვა ედებოდა, და ორი პორ-  
ტუგალიელი, რომლებმაც, სანამ წიწილს შესჭამდნენ, მას ქონი  
ჩამოაცალეს. სადილის შემდეგ დოქტორი პანგლოსი და  
მისი შეგირდი კანდიდი გათოკეს, პანგლოსი ლაპარაკის-  
თვის, ხოლო კანდიდი — თანხმობის გამომეტყველებით მისი  
მოსმენისთვის: ორთავე ცალ-ცალკე შეიყვანეს უკიდურესად  
გრილ ოთახებში, სადაც მზეს ჯერ არვინ შეუწუხებია. რვა  
დღის შემდეგ ორთავეს სანბენიტო<sup>12</sup> გადააცვეს და თავები  
ქაღალდის მიტრებით შეუმკეს. კანდიდის მიტრა და სანბენი-  
ტო მოხატული იყო გადმოპირქვავებული ცეცხლის ალით და  
ეშმაკებით, რომელთაც არც კული ჰქონდათ და არც ბრწყა-  
ლები; პანგლოსის ეშმაკებს კი ბრწყალებიც ჰქონდათ და კუ-



დიც, ხოლო ცეცხლის ალი პირდაპირ იყო ამართული. ამრიგად ჩაცმულნი პროცესიაში მიდიოდნენ და ისმენდნენ პათეტიკურ ქადაგებას ყალბი წინწილების მშვენიერი აკომპანიმენტით. სიმღერის დროს კანდიდი რითმიულად გაამათრახეს, ბისკაიელი და ორი მამაკაცი, რომელთაც ქათმის ქონის შექმმა არ მოისურვეს, დასწვეს, ხოლო პანგლოსი ჩამოახრჩეს, თუმცა ჩამოხრჩობა მიღებულ ადათს ეწინააღმდეგებოდა.

იმ დღესვე შემადრწუნებელი გრიალით მიწა ინძრა.

შეშინებული, განცვიფრებული, დაბნეული, გასისხლიანებული, აკანკალებული კანდიდი თავისთავს ეუბნებოდა:

— თუ ეს ქვეყანა შესაძლებელ ქვეყანათა შორის საუკეთესოა, ნეტავ დანარჩენი როგორი იქნება? კიდევ არაფერი უჭირდა, რომ მხოლოდ გავემათრახებინეთ, ეს ბულგარელებთანაც გამოვცადე, მაგრამ ო, ჩემო ძვირფასო პანგლოს! უდიდესო ფილოსოფოსო ფილოსოფოსთა შორის, ნეტავ ჩემმა თვალებმა რატომ გიხილეს თქვენ ჩამომხრჩვალნი, ან თქვენი ჩამოხრჩობის მიზეზი მაინც ვიცოდე. ო, ჩემო ძვირფასო ანაბაპტისტო, საუკეთესოვ ადამიანთა შორის! განა თქვენ ნავსადგურში უნდა დამხრჩვალიყავით! ო, ქალბატონო კუნეგონდა, ქალიშვილთა შორის მარგალიტო, განა საჭირო იყო, რომ თქვენთვის მუცელი გაეფატრათ?

კანდიდი უკან ძლივს მობარბაცობდა ქადაგება მოსმენილი, გამათრახებული, ცოდვებისაგან განწმენდილი და ნაკურთხი, როდესაც მას ერთი დედაბერი მიუახლოვდა და უთხრა:

— ჩემო შვილო, გამხნევი და უკან გამომყევი.

## თავი VII

როგორ მოუარა ერთმა დედაბერამ კანდილს და როგორ იპოვნა კანდილმა ის, ვინც უყვარდა

თუმცა კანდიდი არ გამხნევებულა, მაინც მოხუცს გაჰყვა; დედაბერი მას ერთ ქოხში შეუძღვა; ერთი ქილა მალამო მისცა, აჭამა და ასვა, საკმაოდ სუფთა ლოგინი მიუჩინა; ლოგინის წინ ტანთსაცმელი ელაგა.

— ჰამეთ, სვით, იძინეთ,—უთხრა კანდილს მოხუცმა,—და შეგეწიოთ ატომის ღვთისმშობელი, ბატონი წმინდა ანტონი

ზადუელი და ბატონი წმინდა იაკობ კომპოსტელი; მე ხვალ დაებრუნდები.

კანდიდმა, ნახულით და განცდილი ტანჯვით, ხოლო უფრო მეტად მოხუცის გულკეთილობით გაკვირვებულმა, მისი ხელზე კოცნა მოინდომა.

— ჩემს ხელს როდი უნდა ჰკოცნიდეთ...—უთხრა დედაბერმა,—ხვალ ისევ მოვალ, სხეული მალამოთი დაიზილეთ, სკამეთ და დაიძინეთ.

მიუხედავად ამდენი უბედურებისა, კანდიდმა სკამა და დაიძინა. მეორე დღეს დედაბერმა საუზმე მოუტანა, ზურგი გაუსინჯა, სხვა მალამოთი დაუზილა; შემდეგ სადილი მოაქვს. სალამოს კვლავ მოდის და ვახშამი მოაქვს, მესამე დღეს კვლავ ამგვარად იქცევა.

— რას აკეთებთ?—ეკითხება მას კანდიდი,—ესოდენი გულკეთილობა ვინ შთაგინერგათ? სამაგიერო რით მოგიზლოთ? კეთილი ქალი არაფერს უპასუხებდა; იგი სალამოს მოვიდა, მაგრამ ვახშამი არ მოუტანია.

— გამომყევით,—უთხრა მან კანდიდს,—ხმა არ ამოიღოთ.

მან კანდიდს მკლავში ხელი გაუყარა და მასთან ერთად გაემართა სოფლისკენ, რომელიც იქიდან დაახლოებით მილის ერთ მეოთხედით იყო დაშორებული. ისინი ბაღებით და არხებით გარშემორტყმულ, განცალკევებით მდგომ სახლს მიაღწენენ. მოხუცი პატარა კარზე აკაკუნებს. კარს უღებენ. კანდიდი დედაბერს საიდუმლო კიბით მოგარაყებულ ოთახში აჰყავს, ფარჩის დივანზე სტოვებს, კარებს გაიხურავს და გადის. კანდიდს თავი სიზმარში ეგონა; მას მთელი თავისი სიცოცხლე ერთ შემაძრწუნებელ სიზმრად წარმოუდგა, ახლანდელი წუთი კი სასიამოვნო ზმანება იყო.

მოხუცი ჩქარა დაბრუნდა. მას ძლივს მოჰყავდა მთრთოლვარე ქალი, მეფური აღნაგობის, ძვირფასი თვლებით გაბრწყინებული საბურველით დაფარული.

— ახადეთ საბურველი,—უთხრა კანდიდს დედაბერმა.

ქაბუკი უახლოვდება, საბურველს მოკრძალებით ხდის. რა წუთია! რა მოულოდნელობა! მას ჰგონია თითქოს კუნეგონდას ხედავდეს; ნამდვილად ხედავს, ეს ის არის. კანდიდს

ძალა გამოეცალა, ხმა ვერ ამოიღო და ქალის ფეხებთან დაეცა. კუნეგონდა სავარძელზე დაეშვა.

დედაბერმა ისინი სპირტით მოასულიერა. გონს მოდიან, ერთმანეთს ელაპარაკებიან, პირველად ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებია, შეკითხვები და პასუხები, ოხვრა, ცრემლები, შეძახილები. მოხუცი მათ ურჩევს ნაკლებად იხმაურონ და მარტოდ სტოვებს.

— როგორ! ეს თქვენ ხართ,—ეუბნება კუნეგონდას კანდიდი,—თქვენ ცოცხალი ხართ! თქვენ პორტუგალიაში გიპოვნეთ! მაშ არ გაუპატიურებიხართ, თქვენთვის მუცელი არ გაუფატრავთ, როგორც ფილოსოფოსი პანგლოსი მარწმუნებდა?

— ჰო, ეს მოხდა,—უპასუხა მშვენიერმა კუნეგონდამ, მაგრამ ამ ორი შემთხვევისაგან ყოველთვის როდი კვდებიან.

— თქვენი დედ-მამა დახოცეს?

— ვაი, რომ ეს მართალია,—ქვითინით წარმოსთქვა კუნეგონდამ.

— თქვენი ძმა?

— ჩემი ძმაც აგრეთვე მოჰკლეს.

— პორტუგალიაში რატომ იმყოფებით და საიდან გაიგეთ, რომ აქ ვიყავი? ამ სახლში რა უცნაური შემთხვევით მოვხვდი?

— ყველაფერს გაიპბობთ,—უთხრა ქალმა,—მაგრამ ჯერ გამაგებინეთ, რა გარდაგზდათ მას შემდეგ, რაც მე უმანკო კოცნა მომიძღვენით, ხოლო თქვენ პანლური მიიღეთ.

კანდიდი ღრმა პატივისცემით დაემორჩილა; და თუმცა იგი შემკრთალი იყო, თუმიცა ხმა მისუსტებული ჰქონდა და უკანკალებდა, თუმიცა ზურგი ოდნავ სტკიოდა, კუნეგონდას მაინც ყოველივე გულწრფელად უამბო, რაც მასთან განშორების შემდეგ განიცადა.

კუნეგონდამ თვალები ცისკენ ალაპყრო; გულკეთილი ანაბაპტიისტი და პანგლოსი დაიტირა, რის შემდეგ მან კანდიდს თავისი თავგადასავალი მოუთხრო. კანდიდი მის თითოეულ სიტყვას ხარბად იჭერდა და კუნეგონდას თვალებით ნთქამდა.

კუნებონდას თავბადასავალი

მე ჩემს საწოლში ვიწეკი და ღრმად მეძინა, როდესაც ზეცამ მოისრა ჩვენს მშვენიერ ტუნდერ-ტენ-ტრონკის სასახლეში ბულგარელების გამოგზავნა. ჩემს მამას და ძმას ყელი გამოსჭრეს და დედა ჩემი ნაკუწ-ნაკუწ ასჩეხეს. შვიდი წყრთის სიმაღლის ერთი ახმახი ბულგარელი, რომელმაც დაინახა თუ არა, რომ მე ამ სანახაობის ზეკავლენით გონება დავკარგე, ჩემს გაუპატიურებას შეუდგა. ამან გონს მომიყვანა: ვყვიროდი, ვიბრძოდი, ვკბენდი, ვკაწრავედი ამ ახმახ ბულგარელს, მსურდა მისთვის თვალები ამომეჩიჩქნა, რადგან არ მეგონა თუ რაც მამაჩემის სასახლეში ხდებოდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო; ამ ბრიყვმა მარცხენა ფერდში დანა ჩამცა, რის კვალი ახლაც მატყვია.

— ვაიმე! ალბათ მე ვნახავ ამ კვალს!—სთქვა გულუბრყვილო კანდიდმა.

— თქვენ მას ნახავთ,—უპასუხა კუნებონდამ,—მაგრამ განვაგრძოთ.

— განაგრძეთ,—სთქვა კანდიდმა.

კუნებონდამ თავისი ამბავი ამგვარად განაგრძო:—ერთი ბულგარელი კაპიტანი შემოვიდა; მე სისხლში ვცურავდი, ჯარისკაცი არც შერხეულა. კაპიტანი ჯარისკაცის მისადმი უპატივცემლო მოქმედების გამო განრისხდა და იგი ზედ სხეულზე დამაკლა. შემდეგ ჩემი იარა შეახვევინა და თავის ყაზარმაში წამიყვანა, როგორც ომის ტყვე. მე ვურეცხდი იმ ორიოდე პერანგს, რომელიც მას ჰქონდა და საჭმელს ვუმზადებდი. უნდა გამოვტყუე, მას ძლიერ მოეწონდი, და მეც ვერ უარყოფ, რომ მას კარგი აღნაგობა და თეთრი და ნაზი კანი ჰქონდა, მაგრამ მოკლებული იყო კეჟასა და სიბრძნეს. ჩანდა, რომ იგი დოქტორ პანგლოსის მიერ არ იყო აღზრდილი. სამი თვის შემდეგ, როდესაც მან მთელი ფული გათლანგა და მეც მოვწყინდი, მიმყიდა ერთ ებრაელს, დონ ისაკარს, რომელიც ჰოლანდიაში და პორტუგალიაში ვაჭრობდა და რომელსაც ქალები თავდავიწყებით უყვარდა. ამ ებრაელს ძლიერ

შევუყვარდი, მაგრამ გამარჯვებას ვერ მიაღწია, მე მას უფრო უკეთესად ვეწინააღმდეგებოდი, ვიდრე ბულგარულ ჯარისკაცს. პატიოსანი ქალი შეიძლება ერთხელ გააუპატიურონ, მაგრამ მისი სათნოება ამით უფრო განმტკიცდება ხოლმე. ებრაელმა ჩემს მოსათვინიერებლად აი ამ სოფლის სახლში მომათავსა. აქამდე მე მეგონა, რომ ტუნდერ-ტენ-ტრონკის სასახლეზე მშვენიერი არაფერი იყო, თურმე ვცდებოდი.

ერთ დღეს, წირვაზე, დიდმა ინკვიზიტორმა შემნიშნა, მან დიდხანს მათვალისწინებდა და ბოლოს შემომითვალა, რომ ჩემთან საიდუმლო საქმეზე მოლაპარაკება სურდა. მის სასახლეში მიმიყვანეს, ჩემი წარჩოშობა გავაცანი. მან ამიხსნა, რამდენად ამცირებდა ჩემს ღირსებას ისრაელის საკუთრებად ყოფნა. დონ ისაკარს წინადადება მისცეს, ჩემი თავი მონსენიორისთვის დაეთმო. დონ ისაკარმა, რომელსაც სასახლის ხაზინადარის თანამდებობა უჭირავს და გავლენით სარგებლობს, ინკვიზიტორს უარი უთხრა. ინკვიზიტორი მას აუტოდაფეთი დაემუქრა. ბოლოს, შეშინებულმა ებრაელმა ხელშეკრულება დახდო, რომლის მიხედვითაც სახლი და მე ორთავეს საკუთრება ვხდებოდით, ებრაელს ორშაბათი, ოთხშაბათი და შაბათი ეძლეოდა, ხოლო ინკვიზიტორს—კვირის დანარჩენი დღეები. ექვსი თვეა, რაც ეს შეთანხმება არსებობს. იგი უკმაყოფილო არ შესრულებულა, რადგან ხშირად ვერ ზუსტდებოდა, კვირაძალი ძველ აღთქმას ეკუთვნოდა თუ ახალს. რაც შემეხება მე, დღევანდლამდე ორთავეს უარს ვეუბნებოდი და მე მგონია, აქამდე სწორედ ამის გამო მეტრფიან.

—ბოლოს, მიწისძვრის საშიშროების ასაცილებლად და დონ ისაკარის შესაშინებლად, ბატონ ინკვიზიტორს აუტო-და-ფეს მოწყობა მოესურვა. მან პატივი დამდო და აუტო-და-ფეზე მიმიწვია. კარგ ადგილას დამსვენეს. ლოცვის შემდეგ, წამების დაწყებამდე, ქალებს გამაგრილებელი სასმელებით გაგვიმასპინძლდნენ. მე ნამდვილად შიშმა შემიპყრო, როდესაც იმ ორი ებრაელის დაწვა ვიხილე და იმ პატიოსანი ბისკაელისა, რომელსაც ცოლად ნათლიდებდა შეერთო. მაგრამ როგორი იყო ჩემი გაკვირვება, ჩემი შეძრწუნება, როდესაც სანბენიტოს ტანსაცმელში და მიტრის ქვეშ შევაძჩნიე ადამიანი,

რომელიც პანგლოსს ჰგავდა! თვალებს ვისრესდი, ყურადღებით ვათვალიერებდი, და როდესაც ის ჩამოახრჩვეს, ძალა წამერთვა. გონს მოსულმა თქვენ მთლად გაშიშვლებული დაგინახეთ, ამან შიშით, ძრწოლით, წუხილით და სასოწარკვეთილებით აღმავსო. სიპართლეს გეტყვი, თქვენი კანი უფრო თეთრია და მოვარდისფრო, ვიდრე ჩემი ბულგარელი კაპიტანის კანი იყო. ამ სანახაობამ გააორკვეცა ჩემი გრძნობები, რომელიც მტანჯავდა და მნთქავდა. მე შეეკვივლე, მსურდა დამეყვირა:— შეჩერდით ბარბაროსებო! მაგრამ ხმა ჩამიწყდა; თუმცა ჩემი ყვირილი მაინც უშედეგო იქნებოდა. იმ დროს, როდესაც თქვენ გამათრახებდნენ, მე ჩემს თავს ვეუბნებოდი:— ნეტავ რისთვის გაჩნდნენ ლისაბონში ჩემი საყვარელი კანდიდი და ბრძენი პანგლოსი. ნუთუ პირველი იმისთვის, რომ ასი მათრახი მიეღო და მეორე იმისთვის, რომ ჩამოეხრჩოთ ბატონ ინკვიზიტორის ბრძანებით, რომლის სატრფო მე ვარ? როგორ მატყუებდა პანგლოსი, როდესაც მეუბნებოდა, ამ ქვეყნად ყოველივე უკეთესისკენ მიიმართებაო.

— აღელვებულს, დაბნეულს, ხან განრისხებულს და ხან სასომიხდილს მაგონდებოდა მამის, დედის და ძმის მკვლელობა, ბილწი ბულგარელი ჯარისკაცის მიერ მოყენებული შეურაცხყოფა, ჩემი დანით დაჭრა, ჩემი მონობა, ჩემი მზარეულობა, ჩემი ბულგარელი კაპიტანი, ჩემი უგვანო დონ ისაკარი, ჩემი საზიზღარი ინკვიზიტორი, დოქტორ პანგლოსის ჩამოხრჩობა, ფსალმუნის კითხვა ყალბი მუსიკის აკომპანიენტით, რომლის დროს თქვენ გამათრახებდნენ, ხოლო განსაკუთრებით კოცნა, რომელიც მე, ჩვენი განშორების დღეს, შირიმის უკან მოგიძღვენი. ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ამდენი განსაცდელის შემდეგ მან თქვენი თავი დამიბრუნა. ჩემს დედაბერს ვუბრძანე თქვენთვის მოევლო და მაშინვე, როდესაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, აქ მოეყვანეთ. მან ჩემი დავალება კარგად შეასრულა. თქვენის ნახვით, თქვენი მოსმენით და თქვენთან ლაპარაკით გამოუთქმელ სიამოვნებას განვიცდი. თქვენ აღბათ უზომოდ გშიათ, მეც კარგი მადა მაქვს, ვივანშმოთ.

და აი, ისინი მაგიდას უსხდებიან. ვახშმის შექმდე იკალათებენ მშვენიერ დივანზე, რომლის შესახებ ზემოდ იყო უკვე

ნათქვამი. და ამ დროს გამოცხადდა დონ ისაკარი—ამ სახლის ერთ-ერთი პატრონთაგანი. ეს იყო შაბათი ღლე. იგი მოვიდა, რათა თავისი უფლებებით ესარგებლა და თავისი ნაზი სიყვარული კუნეგონდასთვის გამოეცხადებინა.

## თავი IX

რა ბარდახლათ კუნეგონდას, კანდიდს, ინჰვიტორს ლა  
ებრაელს

ეს ისაკარი იყო ყველაზე ღვარძლიანი ებრაელი, რომლის-დაგვარი ისრაელობაში არ არსებულა ბაბილონის ტყვეობის შემდეგ.

— როგორ!— შეჰყვირა მან,— გალილეველო ძუკნავ, განა ბატონი ინჰვიტორი არ კმაროდა, რომ ეს არამზადაც წილში არ შემომდგომოდა?

მან იძრო ხანჯალი, რომელიც ყოველთვის თან დაჰქონდა და კანდიდს მიუარდა, რადგან არ ეგონა თუ იარალი მასაც ექნებოდა! მაგრამ ჩვენმა მამაცმა ვესტფალიელმა დედაბრის-გან ტანსაცმელთან ერთად ნშენიერი ხმალიც მიიღო. კანდიდმა, მიუხედავად თავისი ფაქიზი ხასიათისა, ხმალი იშიშვლა, თვალის დახამხამებაში ისრაელს სული გააგდებინა და მშენიერ კუნეგონდას ფეხებთან გაშხლართა.

— წმინდაო ქალწულო!— შეჰყვირა კუნეგონდამ,— როგორ მოვიქცეთ, მკვდარი კაცი ჩემს სახლში! მართლმსაჯულებამ თუ მოგვისწრო, დავიღუპებით.

— თუ პანგლოსი არ ჩამოეხრჩოთ,— სთქვა კანდიდმა,— ამ უკიდურეს გასაჭირში კარგ რჩევას მოგვეცემდა როგორც დიდი ფილოსოფოსი. მის მაგივრად რჩევა დედაბერსა ვკითხოთ.

დედაბერი ძლიერ ჰკვიანი დედაკაცი იყო; დაიწყო თუ არა თავის მოსაზრების გამოთქმა, პატარა კარი გაიღო. შუალამეს ერთი საათი გადასცდენოდა, კვირა დაწყებულყო. ეს ღლე ბატონ ინჰვიტორს ეკუთვნოდა. იგი შემოდის და ხედავს გამათრახებულ კანდიდს ხმლით ხელში, იატაკზე გამოტილ მკვდარს, შეშინებულ კუნეგონდას და დედაბერს, რომელიც რჩევა-დარიგებას იძლევა.

აი, ამ წუთში კანდიდს თავში რა ფიქრმა გაუელვა და რა გადასწყვიტა: თუ ეს წმინდა ადამიანი მოსაშველებლად ხალხს მოუხმობს, აუცილებლად დამწვავენ. კუნეგონდასაც ასევე მოეპყრობიან; ამ კაცმა უმოწყალოდ გამამათრახა, იგი ჩემი მეტოქეა, უნდა მოვკლა, ყოყმანის დრო აღარ არის. ეს მოსაზრება ზუსტი და სწრაფი იყო. ინკვიზიტორი გაკვირვებისაგან ჯერ გონს არ მოსულიყო, რომ კანდიდმა ის განგმირა და ებრაელს გვერდით მიუწვინა.

— აი, ესეც მეორე! — შეჰყვირა კუნეგონდამ, — შენდობას ნულარ ველით, ეკლესიიდან განდევნილი ვართ და ჩვენი უკანასკნელი საათი დადგა. ეს რა ჩაიდინეთ? თქვენ, რომელიც ბუნებამ ესოდენ ფაქიზ ადამიანად გაგაჩინათ, როგორ მოქალაქით ორ წუთში ებრაელი და პრელატი?

— ჩემო მშვენიერო ქალბატონო, — მიუგო კანდიდმა, — როდესაც ადამიანი გამიჯნურებულა, დაეჭვებული და ინკვიზიტორის მიერ გამათრახებული, მაშინ მას თავი ავიწყდება.

ამ დროს დედაბერი ლაპარაკში ჩაერია და სთქვა:

— საჯინბოში სამი ანდალუზური ცხენია დაბმული თავისი უნაგირებით და აღვირით. სჯობს, მამაცმა კანდიდმა ისინი შეკაზმოს; ქალბატონს ფული და აღმასები აქვს; სწრაფად შეეხედეთ ცხენებზე, თუმცა მე საჯდომის მხოლოდ ერთ ნახევარზე შემოძლია ჯდომა, და კადიქსისკენ გაეწიოთ; საუკეთესო ამინდია და ღამის სიგრილეში მგზავრობით დიდ სიამოვნებას მივიღებთ.

კანდიდმა ცხენები იმ წუთშივე შეკაზმა. კუნეგონდამ, დედაბერმა და კანდიდმა ოცდაათი მილი შეუმჩნეველად გაიარეს. იმ დროს, როდესაც სოფელს გასცილდნენ, მათ სახლში წმინდა ჰერმენდადი<sup>13</sup> გამოცხადდა; ინკვიზიტორი მშვენიერ ეკლესიაში დაასაფლავეს, ხოლო ისაკარი სანაგვეში ჩაფლეს.

კანდიდი, კუნეგონდა და დედაბერი ამ დროს უკვე სიერამორენ ას მთებში ზღვებარე პატარა ქალაქ ავაჩენაში იმყოფებოდნენ და ერთ სამიკიტნოში ასე საუბრობდნენ.



როგორ გაპირვებით მიაღწიეს კანდიდა, კუნებონდას და დედაბერმა კადიქსს და როგორ ჩასხდნენ ბავში

— ვინ მომპარა ჩემი პისტოლები<sup>14</sup> და აღმასები?— მოსთქვამდა კუნეგონდა, — რით დავირჩინთ თავს? რა ვქნათ? სადღა ვიპოვნო ინკვიზიტორები და ებრაელები, რომლებიც ამდენ ფულს მომცემენ?

— ეჰ! — სთქვა მოხუცმა დედაკაცმა, — ეჭვი ძლიერ მეპარება იმ უწმინდეს კორდელიერ ბერზე<sup>15</sup>, რომელმაც ღამე ბადა-ხოს იმავე ფუნდუქში გაათია, სადაც ჩვენ გავჩერდით. ღმერთმა! შემინდოს ეს კადნიერი მოსაზრება, მაგრამ ის ჩვენს ოთახში ორჯერ შემოვიდა და ჩვენზე კარგა ადრე გაემგზავრა.

— ეჰ! — წარმოსთქვა კანდიდმა, — კეთილი პანგლოსი ხშირად მიმტკიცებდა, ამქვეყნიური დოვლათი ადამიანთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს და მასზე ყველას ერთნაირი უფლება აქვს მინიჭებულიო; ამ მოსაზრების თანახმად, ბერსაც უნდა დაეტოვებინა ნაწილი კუნეგონდას განძიდან, რათა ჩვენ გზა განგვეგრძო. მაშ, სულ აღარაფერი დაგრჩათ, ჩემო მშვენიერო კუნეგონდა?

— ერთი მარავედისიცი<sup>16</sup> კი არა, — სთქვა კუნეგონდამ.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა კანდიდმა.

— ერთი ცხენი გავყიდოთ, — ურჩია მათ დედაბერმა, — მე ქალბატონს შემოვუჯდები ცხენზე, მაინც ხომ საჯდომის მხოლოდ ერთ ნახევარზე შემიძლია ჯდომა, და ჩვენ ამგვარად კადიქსში ჩავალთ.

ამავე სასტუმროში ბენედიქტელთა ერთი პრიორი<sup>17</sup> იყო გაჩერებული. მან ცხენი იათად შეისყიდა. კანდიდმა, კუნეგონდამ და დედაბერმა ლუცენა, ხილლა, ლებრიხი გაიარეს და კადიქსს მიაღწიეს. ამ დროს აქ ფლოტს ამზადებდნენ და ჯარს აგროვებდნენ პარაგვაის იეზუიტ უწმინდეს მამათა კუაზე მოსაყვანად: მათ ბრალი ედებოდათ, რომ პორტუგალიისა და ესპანეთის მეფეების წინააღმდეგ ქალაქ სან-საკრამენტოს მახლობლად მცხოვრები პარაგვაის ერთ-ერთი ურდოს<sup>18</sup> აჯანყება მოაწყეს.

კანდიდმა ბულგარელებთან სამსახურის დროს შესწავლილი ვარჯიში პატარა ლაშქრის გენერალის წინაშე ისე მსუბუქად, ისე სწრაფად, ისე მოხერხებულად, კეთილშობილურად და სხარტად შეასრულა, რომ იგი ერთი ქვეითი რაზმის უფროსად დანიშნეს. აი, ის უკვე კაპიტანია! გემზე აღის და თან აჰყავს კუნეგონდა, დედაბერი, ორი მსახური და პორტუგალიელი ინკვიზიტორის ორი ანდალუზური ცხენი. ნოგზაურობის დროს ისინი სიწყალ პანგლოსის ფილოსოფიაზე ბევრს მსჯელობდნენ.

— ჩვენ სხვა ქვეყანაში მივემგზავრებით,—ამბობდა კანდიდი,—იქ კი ალბათ მართლაც ყოველივე კარგადაა. უნდა ვალიაოთ, რომ ადამიანი შეიძლება, ცოტა არ იყოს, ჩვენი ქვეყნის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას დაემდუროს.

— მე თქვენ მთელი გულით მიყვარხართ,—ეუბნებოდა მას კუნეგონდა,—მაგრამ ჩემი სული შემფოთებულა ნახულისა და განცდილის შემდეგ.

— ყველაფერი კარგად იქნება,—მიუგო კანდიდმა,—ამ ახალი ქვეყნის ზღვა უკვე ჯობს ჩვენი ევროპის ზღვებს: იგი უფრო მშვიდია და აქ ქარი უფრო უცვლელია. შექველია, ეს ახალი ქვეყანა საუკეთესოა შესაძლებელ ქვეყანათა შორის...

— ღმერთმა ინებოს!—ამბობდა კუნეგონდა,—მაგრამ ისე საშინლად უბედური ვიყავი ჩემს ქვეყანაში, რომ ჩემი გული იმედებისთვის თითქმის დახშულია.

— თქვენ ბედს უჩივით,—მიმართა მათ დედაბერმა,—ეჰ, თქვენ იმგვარი უბედურება ხომ არ განგიცდიათ, როგორც მე განვიცადე.

კუნეგონდამ სიცილი ძლივს შეიკავა; ისე სასაცილოდ მოეჩვენა ეს კეთილი დედაბერი, რომელიც თავისთავს მასზე უბედურად სთვლიდა.

— ეჰ, ჩემო კეთილო, — უთხრა მას კუნეგონდამ,—თუ თქვენ ორ ბულგარელს არ გაუუპატიურებინართ, თუ თქვენთვის მუცელში დანა ორჯერ არ ჩაურტყამთ, თუ თქვენ თქვენი ორი სასახლე გაპარტახებული არ გიხილავთ და თქვენს თვალწინ თქვენი ორი დედა და ორი მამა არ მოუტკლავთ, თუ თქვენი ორი სატრფო აუტო-და-ფეს

დროს არ გაუმათრახებიათ, ვერ გამიგია, რით შეგიძლიათ უბედურებაში მაჯობოთ. ამას დაურთეთ ის, რომ მე ბარონთა შთამომავლობის სამოცდამეთორმეტე თაობას ვეკუთვნი და მზარეულად ვმუშაობდი.

— ქალბატონო, — უპასუხა დედაბერმა, — თქვენ ჩემი წარმოშობის შესახებ არაფერი იცით, ხოლო თუ ჩემს საჯდომს გინევენბთ, ეგრერივად არ ილაპარაკებთ და აზრსაც შეიცვლით. კუნეგონდას და კანდიდს ამ საუბარმა ძლიერი ცნობის-მოყვარეობა აღუძრა.

დედაბერმა მათ შემდეგი ამბავი მოუთხრო.

### თავი XI:

#### დედაბერის თავგადასავალი

— იყო დრო, როდესაც მე არ მქონდა დაწითლებული თვალები შეშუპებული ქუთუთოებით. არც ჩემი ცხვირი ეხებოდა ნიკაპს და არც მოახლე გახლდით. მე ვარ პაპი ურბან X-ისა<sup>19</sup> და პრინცესა პალესტრინას ასული. თოთხმეტ წლამდე ვიზრდებოდი სასახლეში, რომელსაც თქვენი გერმანელი ბარონების სასახლეები საჯინიბოდაც კი არ გამოადგებოდა. ჩემი ერთი კაბა ვესტფალიის მთელ ბრწყინვალეებაზე უფრო ძვირფასი იყო. ლამაზი, მოხდენილი, ნიჭით უხვად დაჯილდოებული ვიზრდებოდი სიამოვნებასა, თაყვანისცემასა და იმედებს შორის. მამაკაცებში უკვე ვალვივებდი ტრფიალს. ჩემი მკერდი სრულყოფილი ხდებოდა: და რა მკერდი! თეთრი, მკვრივი, მედიჩების ვენერის მსგავსად თლილი. რა თვალები! რა წანწამები! რა შავი წარბები! ჩემს ორ გუგაში რა ცეცხლი კიაფობდა! ისინი ვარსკვლავთ ციმციმს აბნელებდნენ, როგორც მეუბნებოდნენ პოეტები, რომელნიც ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ. ქალები, რომლებიც ტანთ მაცმევენდნენ და მხდიდნენ, ალტაცებაში მოდიოდნენ, როდესაც წინიდან და უკანიდან მათვლიერებდნენ, და ყველა მამაკაცები ამ ქალთა ადგილზე ყოფნას ნატრობდნენ.

მე მასსა-კარარას მფლობელ პრინცზე დავინიშნე. რა პრინცი იყო! ჩემსავით პირმშვენიერი, ნაზი და მხიარული. იგი გონებამახვილობით ბრწყინავდა და სიყვარულით იწვო-

და. მე მას ვაღმერთებდი და თავდავიწყებით მიყვარდა, როგორც პირველ სიყვარულს სჩვევია. ქორწილისთვის ყველაფერი მზად იყო. დღეები განუწყვეტელ დღესასწაულში გადიოდა—ჯერ არნახული ბრწყინვალეობა, ზეიმები, კარუსელები, ბუფონური ოპერები. იტალიის ყოველი კუთხიდან მიგზავნიდნენ სონეტებს, რომელთა შორის ერთიც კი არ იყო საშუალო ღირსების. ჩემი ბედნიერების წუთი დგებოდა, როდესაც ხანშიშესულმა მარკიზამ, ჩემი პრინციის საყვარელმა, იგი შოკოლადზე მიიპატიჟა. პრინცი ორ საათში საშინელი კრუნჩხვებით გარდაიცვალა. ეს კიდევ არაფერია. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა დედაჩემმა, თუმცა ჩემზე ნაკლებ შეწუხებულმა, მოისურვა ამ საბედისწერო ადგილსამყოფელს რამდენიმე ხნით განშორებოდა. გაიეტის მახლობლად დედნჩემს მეტად ლამაზი მამული ჰქონდა. დავსხედით ხომალდზე, რომელიც მოგარაყული იყო, როგორც წმინდა პეტრეს საკურთხეველი რომში. მაგრამ აი, ერთი საღელი მეკობრე თავს დაგვეცა და ჩვენს ხომალდს მოადგა. ჩვენი ჯარისკაცები თავს იცავდნენ, როგორც პაპის ჯარისკაცებს შეეფერებოდათ: ყველამ იარაღი დაჰყარა, დაიჩოქა და მეკობრებს ცოდვების სრული განტევება სთხოვა. მათ მაშინვე მაიმუნებივით აშიშვლებენ და მათთან ერთად—ჩემს დედასაც, ჩვენ მხლებელ ქალებსაც და თვით მეც. საოცარია, ეს ვაჟბატონები ხალხს რა სისწრაფით ატიტვლებენ. მაგრამ ამაზე მეტად იმან გამაოცა, რომ მათ ყველას თითები იმ ადგილში შეგვიყვეს, სადაც ჩვენ—ქალები მხოლოდ ოყნის მილს ვყოფთ ხოლმე. ეს წესი მეტად უცნაურად მეჩვენა. აი, როგორ ახირებულად გვეჩვენება ყოველივე, როცა სამშობლოს გავსცილდებით. მე ჩქარა გავიგე, რომ ეს იმ მიზნით ხდებოდა, რათა გამოერკვიათ, იქ აღმასები ხომ არ გვქონდა დამალული. ეს ჩვეულება უხსოვარ დროიდან ყოფილა დამყარებული იმ განათლებულ ხალხებში, რომლებიც ზღვაზე მოგზაურობენ. მე გავიგე, რომ როდესაც მალტის ღვთისმოსავი რაინდები თურქ მამაკაცებს და დედაკაცებს ატყვევებენ, არასოდეს სხვაგვარად არ იქცევიან თურმე. ეს არის საერთაშორისო უფლებების კანონი, რომლის წინააღმდეგ ჯერ არავინ ამხედრებულა.

მე არაფერს გეტყვით იმის შესახებ, თუ რა ძნელია ნორჩი პრინცისთვის, თავის დედასთან ერთად, მაროკოში მონად წასვლა. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა გარდაგებდებოდა მეკობრის ხომალდზე. დედაჩემი ჯერ კიდევ ძლიერ ლამაზი იყო, ჩვენი მხლებელი ქალები, ჩვენი უბრალო მოახლეებიც კი უფრო ლამაზნი იყვნენ, ვიდრე აფრიკის უმშვენიერესი ქალები. მე თვალწარმტაცი ვიყავი, თვით ხორცშესხმული მშვენიერება, ნატიფი და თან ქალწული. ქალწულად დიდხანს არ დავრჩენილვარ; ის ყვავილი, რომელიც მასა-კარარას პირმშვენიერი პრინცისთვის იფურჩქნებოდა, მეკობრეთა ხომალდის კაპიტანმა მოსწყვიტა. იგი იყო გულისამაზრზენი ზანგი, რომელსაც წარმოდგენილი ჰქონდა, რომ დიდი პატივი დამძღო ამით.

რა თქმა უნდა, ქალბატონი პრინცესა პალესტრინა და მე დიდი ძალღონით უნდა ვყოფილიყავით აღქურვილი, რომ ყოველივე იმას გაემკლავებოდით, რაც მაროკოში ჩასვლამდე განვიცადეთ, მაგრამ ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბებია, რომ მოსაყოლად არცა ღირს.

მაროკო სისხლში სცურავდა, როდესაც ჩვენ იქ ჩავედით. იმპერატორი მულეი-ისმაილის ორმოცდაათ ვაჟს ცალ-ცალკე პარტია ჰყავდა საკუთრივ. ეს ორმოცდაათი სამოქალაქო ომის მიზეზი გახდა; შავკანიანები შავკანიანებს ებრძოდნენ, შავკანიანები — შავგვრემანებს, შავგვრემანები — შავგვრემანებს, მულატები — მულატებს. ეს იყო დაუსრულებელი ქლეტა იმპერიის მთელ სივრცეზე.

ვერცკი მოვასწარით გემიდან გადმოსვლა, რომ ჩემი მეკობრის საწინააღმდეგო პარტიის შავკანიანები მისი ნადავლის მოსატაცებლად გამოცხადდნენ. კაპიტანის ქონებიდან, ალმასების და ოქროს შემდეგ, ყველაზე ძვირფასი ჩვენ ვიყავით.

მე ისეთი ბრძოლის მოწმე გავხდი, როგორსაც თქვენ ვერასოდეს ვერ შეხვდებით ევროპულ ქვეყანაში.

ჩრდილოეთის ხალხებს ესოდენ მგზნებარე სისხლი არ გააჩნიათ. ისინი არ განიცდიან ქალებისადმი იმ გაშმაგებულ ვნებას, რომელიც ჩვეულებრივია აფრიკაში. თქვენს ევროპელებს ძარღვებში თითქოს რძე უდგათ; ატლასის მთებისა და მის მეზობელ ქვეყნების მცხოვრებთა ძარღვებში ცეცხლი

და კუპრი დულს. ჩვენი დასაკუთრებისათვის ისინი ლომების, ვეფხვების და იქაური გველების სიშმაგით იბრძოდნენ. ერთმა მაერმა დედაჩემს მარჯვენა მკლავში ჩააელო ხელი, ჩემი კაპიტნის თანაშემწემ—მარცხენა მკლავში, ერთმა მაერმა ჯარისკაცმა—ერთ ფეხში, ჩვენცა ერთ-ერთმა მეკობრემ—მეორეში. ერთ წუთში ჩვენი მოახლეებიც ასევე ოთხ-ოთხ ჯარისკაცთა ხელში აღმოჩნდნენ. ჩემი კაპიტანი მე ჩამომეფარა. მას ხელში მახვილი ეპყრა და ყველას, ვინც მის სიშმაგეს ეწინააღმდეგებოდა, ჭლეტდა. ბოლოს ყველა იტალიელი ქალები და დედაჩემი გაგლიჯეს, აპკუწეს, ამოხოცეს ამ ურჩხულებმა, რომლებიც მათ დასაკუთრებას ლამობდნენ. ტყვეები, მათი დამტყვევებლები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, შავკანიანები, შავგერემანები, მულატები, თეთრები და ბოლოს ჩემი კაპიტანიც გაიჟლიტნენ. და მეც მკვდრების ხროვაზე მომაკვდავი ვეგდე.

როგორც ცნობილია, ასეთი ამბები ხდებოდა სივრცეზე, რომელიც სამას ლიეს აღემატებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაჰმადის მიერ ნაბრძანები დღეში ხუთი ლოცვის წარმოთქმა მაინც არვის დავიწყებია. ამ უამრავი დასისხლიანებული გვამის ხროვიდან დიდი წვალებით გავთავისუფლდი. მახლობელ წყაროს ნაპირს მდგომ თურინჯის ხესთან მივხობდი და იქ შეძრწუნებისგან, დაღლილობისგან, ზიზლისგან, სასოწარკვეთილებისგან, შიმშილისგან ქანცმიღებული დავეცი. ჩქარა ჩემი მოღუნებული გრძნობები დანებდნენ ძილს, რომელიც უფრო გულის შეღონებას ჰგავდა, ვიდრე დასვენებას.

სასომიხდილი და ღონეგამოცლილი ვეგდე, სიკვდილსა და სიცოცხლის შუა, როდესაც ვიგრძენი, რომ რაღაც დამაწვა და ჩემს სხეულზე აფუსფუსდა.

თვალი ავახილე და კეთილი სახის თეთრი ადამიანი დავინახე. იგი ოხრავდა და ბუტბუტებდა:—O, che sciagura d'essere senza c...!<sup>20</sup>

## თავი XII

### დედაბრის უბედურებათა ბაბრძელება

ჩემი მშობლიური ენის გაგონებით განცვიფრებულმა და აღტაცებულმა და არა ნაკლებ გაოცებულმა იმ სიტყვებით,

რომელსაც ეს კაცი წარმოსთქვამდა, ვუპასუხე, რომ არსებობს იმაზე მეტი უბედურება, რომელსაც იგი უჩიოდა. მე მოკლედ გავაცანი ჩემს მიერ განცდილი საშინელება და კვლავ ძალა წამერთვა. მან მახლობელ სახლში გადამიტანა, ლოჯინში ჩამაწვინა, საჭმელი მაჭამა, მომიარა, დამამუშვიდა, მომიალერსა და გამომიტყდა, რომ ჩემსავით მშვენიერი ჯერ არავინ ენახა და არასოდეს ესოდენი სინანული იმის დაკარგვის გამო არ უგრძენია, რასაც ვერავინ დაუბრუნებდა.

— მე ნეპოლში დავიბადე, — მითხრა მან, — იქ ყოველ წელს ორას ან სამას ათას ბავშვს ასაქურისებენ. ზოგი მათგანი ამისგან კვდება, ზოგს ქალის ხმაზე უკეთესი ხმა უდგება; ზოგი სახელმწიფოს მართავს. მე ეს ოპერაცია დიდი წარმატებით გამიკეთეს და ქალბატონ პალესტრინის პრინცესას გუნდში მომღერლად დამნიშნეს.

— დედაჩემის, — შეეყვირე.

— დედათქვენის! — ტირილით მიპასუხა მან, — როგორ! ნუთუ ის ნორჩი პრინცესა ბრძანდებით, რომელსაც მე ექვს წლამდე ვზრდიდი, და რომელსაც მაშინვე ემიწნეოდა, რომ ისევე მშვენიერი დაღებოდა, როგორც თქვენ ახლა ხართ.

— ეს თვით მე ვარ, დედაჩემი ოთხასი ნაბიჯის იქით, ოთხად გაგლეჯილი, მკედრების ხროვის ქვეშ გდია. მე ვუამბე ყოველივე, რაც გარდამხდა, მანაც თავისი თავგადასავალი მიაბზო და მამცნო, რომ იგი მაროკოს მეფესთან ერთ ქრისტიანულ სახელმწიფოს გამოეგზავნა ხელშეკრულების დასადებად, რომლის მიხედვით მაროკოს მეფეს მოამარაგებდნენ ტყვია-წამლით, ქვემეხებით, გემებით, თუ კი იგი დანარჩენ ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ვაჭრობას მოსპობდა.

— ჩემი მისია შესრულებულია, — განაცხადა ამ პატროსანმა საჭურისმა, — მე ცუტაში წავალ, საიდანაც იტალიაში გემით გავემგზავრები და თქვენც თან წავიყვანთ. *Ma che sciagura d'essere senza c...!*

გულაჩუყებულმა მას ცრემლებით მადლობა გადაუხადე. მან კი იტალიის მაგივრად ალჟირში ჩამიყვანა და იქაურ დეის<sup>21</sup> მიმეყიდა. სწორედ ამ დროს შევმა კირმა, რომელმაც აფრიკა, აზია და ევროპა შემოიარა, ალჟირში თავი იჩინა

მთელი სიძლიერით. თქვენ მიწისძვრა ნახეთ, მაგრამ, ქალბატონო, თუ გინახავთ ოდესმე შავი ჭირი?

— არასოდეს, — უპასუხა ბარონის ასულმა.

— რომ გენახათ, — განაგრძო დედაბერმა, აღიარებლით, რომ მიწისძვრა მასთან შესადარებელი არც არის. აფრიკაში შავი ჭირი ძლიერ ხშირი მოვლენაა: მე ავად გავხდი. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაა პაპის თხუთმეტი წლის ასულისათვის, რომელმაც სამ თვეში გამოსცადა სიღარიბე, მონობა, თითქმის ყოველდღე გაუპატიურება, შიმშილი, ომი; რომელმაც თავისი დედა ოთხად გაგლეჯილი იხილა და რომელიც ახლა ალჟირში შავი ჭირისაგან კვდებოდა. არ მოგკვდი. ჩემი საჭურისი, დეი და ალჟირის თითქმის მთელი სერალი ამოწყდა. ამ შემზარავი შავი ჭირის პირველი შემოტევის გავლის შემდეგ დღის მონები გაჰყიდეს. მე ერთმა ვაჭარმა მიყიდა და ტუნისში წამიყვანა. აქ მან მიმყიდა სხვა ვაჭარს, რომელმაც ტრიპოლში გამყიდა; ტრიპოლიდან ალექსანდრიაში გამყიდეს, ალექსანდრიიდან — სმირნაში, სმირნიდან — კონსტანტინოპოლში. ბოლოს ენგიჩართა აღას შეერჩი. <sup>22</sup> იგი ჩქარა რუსების მიერ ალყაშემორტყმული აზოვის დასაცავად გაგზავნეს. ალა მეტად თავაზიანი კაცი იყო; მან მთელი სერალი თან წამიყვანა და მეოტის ქაობზე მდგარ პატარა ციხე-სიმაგრეში ორი შავი საჭურისის და ოცი ჯარისკაცის მეთვალყურეობის ქვეშ მოგვათავსა. უამრავი რუსი დახოცეს, მაგრამ იმათაც სამაგიერო კარგად გადაგვიხადეს. აზოვი ცეცხლში იყო გახვეული და სისხლში სცურავდა. რუსებმა არ დაინდეს არც სქესი და არც ასაკი; მხოლოდ ჩვენი პატარა ციხე-სიმაგრე გადარჩა. მტერმა გადასწყვიტა ჩვენი ციხე შიმშილით აეღო. ოცმა ენგიჩარმა ერთმანეთს შეჰფიცა მტერს არ დანებებოდნენ. შიმშილისაგან უკიდურესობამდე მისულებმა, ფიცის გატეხის შიშით, ორი საჭურისი შეჰამეს. რამდენიმე დღის შემდეგ ქალების შექმა მოინდომეს.

ჩვენ გვყავდა ერთი ძლიერ მორწმუნე და გულკეთილი იმამი, <sup>23</sup> რომელმაც ენგიჩარებს მშვენიერი ქადაგება წაუკითხა და შთააგონა, რომ ჩვენ ერთბაშად არ მოვეკალით.

— მოაჭერით, — სთქვა მან თითოეულ ქალს საჯდომის ერთი



ნახევარი; მშვენიერ საქმელს მოამზადებთ. თუ ამის განმეორება საქირო გახდება, რამდენიმე დღის შემდეგ ამდენივე მარაგი გექნებათ. ზეცა ამ ქველი მოქმედებისათვის თქვენი, კმაყოფილი დარჩება და განსაცდელისაგან გიხსნით..

იმამი მეტად მქვერმეტყველი იყო. მან ენგიჩარები დაითანხმა. მათ ეს შემზარავი ოპერაცია გაგვიკეთეს, იმამმა მალამო დაგვადო, რომელსაც ბავშვებს წინადაცვეთის შემდეგ ადებენ ხოლმე; ყველა სიკვდილის პირას ვიყავით მისული.

ენგიჩარებმა ჩვენის წყალობით საქმელი მოამზადეს თუ არა, ბრტყელძირა ნავეებით რუსები გამოჩნდნენ; არც ერთი ენგიჩარი არ გადარჩენილა. რუსებმა ჩვენს მდგომარეობას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ფრანგი დოსტაქრები ყველგან გამოერევიან ხოლმე. ერთმა მათგანმა, თავის საქმეში ძლიერ დახელოვნებულმა, ჩვენი მოვლა იკისრა. მან ჩვენ გაგვკურნა.

მთელს სიცოცხლეში მემახსოვრება, რომ ჩემი იარების კარგად მოშუშების შემდეგ მან წინადადება მომცა. მაგრამ ესეცაა, რომ ჩვენდა სანუგეშებლად ასეთი რამით თითოეულ ჩვენგანს მიმართა: გვარწმუნებდა, რომ სიმაგრეების გარემოცვის დროს ეს ხშირად მომხდარა და ეს ომის კანონიაო.

როგორც კი ჩემმა მეგობარმა ქალებმა სიარული შესძლეს, ისინი მოსკოვში წაიყვანეს. მე წილად ვბედი ერთ ბოიარინს, რომელმაც თავის მებაღედ დამნიშნა. ის დღეში ოცჯერ მწკეპლავდა. ეს ბოიარინი ორი წლის შემდეგ ოცდაათიოდე ბოიარინთან ერთად სასახლის რალაც ინტრიგის გამო დაბორბლეს. მე ამ შემთხვევით ვისარგებლე და გავიპარე. მთელი რუსეთი გადავიარე. დიდხანს მსახურად ვმუშაობდი რიგაში, ერთ სამიკიტნოში, შემდეგ როსტოკში, ვეიმარში, ლეიპციგში, კასელში, უტრეხტში, ლეიდენში, ჰააგაში, როტერდამში. სიღარიბემ და სამარცხვინო მდგომარეობამ მომახუცა. თან საჯდომის მხოლოდ ერთი ნახევარი შემრჩა და არაოდეს მაფიწყდებოდა, რომ პაპის ასული ვიყავი; ასჯერ მოვისურვე თავის მოკვლა, მაგრამ სიცოცხლე ჯერ კიდევ მიყვარდა. ეს სასაცილო სისუსტე იქნებ ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე საბედისწერო მიდრეკილებაა: რა უნდა იყოს იმაზე მეტი სისულელე, რომ

დაუსრულებლად გინდა ატარო ტვირთი, რომლის მიწაზე დაგ-  
დება გასურს ყოველთვის? გძულდეს შენი თავი და უფროსილ-  
დებოდე მას? და ბოლოს ელოლიავებოდე შენს ჩანმთქმელ  
გველს, რომელიც გულს გიღრღნის?

იმ ქვეყნებში, სადაც ჩემს ბედს მიუყვანივარ და სამიკიტ-  
ნობებში, სადაც მიმუშავია, შევხველარივარ უამრავ ადამიანს, რო-  
მელთაც თავისი არსებობა ეზიზღებოდათ, მაგრამ მათ შორის  
მხოლოდ თორმეტი აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც თავიანთ  
უბედურებას ბოლო მოუღეს. ესენი იყვნენ: სამი ზანგი,  
ოთხი ინგლისელი, ოთხი ენეველი და ერთი გერმანელი  
პროფესორი—გვარად რობეკი. <sup>24</sup>

ბოლოს ებრაელ დონ ისაკართან მოვხვდი მსახურად: მან,  
ჩემო მშვენიერო ქალბატონო, ადგილი თქვენთან მომიჩინა;  
მე თქვენ შემიყვარდით და ჩემს თავგადასავალზე მეტად  
თქვენმა თავგადასავალმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. საკუთარ  
უბედურებაზე არაფერს გეტყობით, რომ თქვენ არ გამოგე-  
წვიეთ და გემზე თავის შესაქცევად თავგადასავლების მოყოლა  
არ ყოფილიყო დაწესებული. ბოლოს და ბოლოს, ქალბატონო,  
მე გამოცდილი ადამიანი გახლავარა, მე ვიცნობ ქვეყანას.  
გეთაყვათ, დაავალეთ თითოეულ მგზავრს თავისი თავგა-  
დასავალი გაემბოთ და თუ მათ შორის შეხვდებით თუნდ  
ერთსაც კი, რომელიც ხშირად თავის ბედს არ სწყევლიდეს  
და თავის თავს ყველაზე უბედურ ადამიანად არ სთვლიდეს,  
მაშინ ზღვაში თავდაყირა გადაზავდეთ.

### თავი XIII

რამ აიძულა კანდიდი ბანშორაკოდა მშვენიერ კუნებონდას  
და დედაბერს

დედაბერის თავგადასავლის მოსმენის შემდეგ მშვენიერი  
კუნეგონდა მას ისეთი პატივისცემით მოეპყრო, როგორც ამ  
წარმოშობის და ღირსების პიროვნებას შეეფერებოდა. კუნე-  
გონდა დედაბერის წინადადებას დასთანხმდა; მან თითოეულ  
მგზავრს დაავალა რიგრიგობით საკუთარი თავგადასავალი  
ემბნათ, რის შემდეგ კანდიდმა და კუნეგონდამ დედაბერის  
მოსაზრება ქვემარტებად აღიარეს.

— ეს დიდად სამწუხაროა,—სთქვა კანდიდმა,—რომ ბრძენი პანგლოსი, ადათის წინააღმდეგ, აუტო-და-ფეს დროს ჩამო-ახრჩეს. იგი მიწაზე და ზღვაზე გავრცელებულ ფიზიკურ და სულიერ ბოროტებაზე საუცხოო რამეებს გვეტყოდა, ხოლო ახლა მე საკმაო გამბედაობას გამოვიჩენდი, რათა მას თავა-ზიანად შევსიტყვებოდი.

სანამ თითოეული მგზავრი თავის ამბავს ჰყვებოდა, ხომალ-დი წინ მიიწევდა. ბუენოს-აირესს მიაღწენენ. კუნეგონდა, კან-დიდი და დედაბერი გუბერნატორ დონ ფერნანდო დ'იბა-რაა-ი-ფიგეორა-ი-მასკარენეს-ი-ლამპურდოს-ი-სუზასკენ გაე-მართნენ. ეს დარბაისელი, როგორც ამდენ გვარის პატრონს შეეფერებოდა, ძლიერ ამაყი გახლდათ. იგი ადამიანებს უკეთილშობილესი უგულუბელყოფით ესაუბრებოდა, ცხვირს ისე იწევდა, ისე შეუბრალებლად ყვიროდა, ისე რიხიანად ლაპარაკობდა, რომ ყველას, ვინც მას სალამს აძლევდა, მისი მიბერტყვის სურვილი ებადებოდა. გუბერნატორს ქალები გაგიჟებით უყვარდა. კუნეგონდა მას უმშვენიერეს ქმნილებად მოეჩვენა; უპირველეს ყოვლისა იკითხა, კუნეგონდა კაპიტანის მეუღლე ხომ არ არისო. შეკითხვის კილომ კანდიდი შეაშფო-თა, მან კუნეგონდას მეუღლედ აღიარება ვერ გაბედა, რად-გან ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა, ვერც თავის დად გამოაცხადა, რადგან სინამდვილეს ეს კიდევ უფრო ნაკლებ შეეფერებოდა. თუმცა, ოდესღაც, ამ ფარისევლურ ტყუილებს ჩვენი წინაპრები ძლიერ ხშირად მიმართავდნენ, და თანამედრო-ვეთათვისაც იგი უსარგებლო ჩვეულებად არ ჩაითვლება, კან-დიდს ზაინც იმდენად სპეტაკი სული ჰქონდა, რომ სიმარ-თლეს ვერ უღალატა.

— ქალბატონი კუნეგონდა,—სთქვა მან,—პატივსამდებებს და ცოლად მომყვება, ჩვენ ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას კეთილინებოს და ამის ნება დაგვრთოს.

დონ ფერნანდო დ'იბარაა-ი-ფიგეორა-ი-მასკარენეს-ი-ლამ-პურდოს-ი-სუზამ უღვაშები აიგრიხა, მწარედ გაიღიმა და კაპიტანს კანდიდს უბრძანა თავისი რაზმის დასათვა-ლიერებლად წასულიყო. კანდიდი დამორჩილდა. გუბერ-ნატორი ქალბატონ კუნეგონდასთან დარჩა. მას სიყვარულში

გამოუტყდა და განუცხადა, რომ ხვალ ეკლესიაში ჯვარს დაიწერდა ან ისე გახდებოდა მისი ქმარი, როგორც მის სიტურფეს მოესურვებოდა. კუნეგონდამ გუბერნატორს თხუთმეტი წუთი სთხოვა მოსათქვამად, დედაბერისთვის რჩევის საკითხავად და საკითხის გადასაწყვეტად.

დედაბერმა კუნეგონდას უთხრა:—ქალბატონო, თქვენ წინაპართა სამოცდათორმეტი თაობა გყავთ და არც ერთი გროში არ გაქვთ. რა გიშლით ხელს მეუღლე გახდეთ სამხრეთ ამერიკის ყველაზე წარჩინებული დიდებულისა, რომელსაც მშვენიერი უღვაშები აქვს, რა საჭიროა ერთგულების შენარჩუნება ყველა განსაცდელში. თქვენ ბულგარელებმა გაგაუპატიურეს, ებრაელი და ინკვიზიტორი თქვენი კეთილგანწყობილებით სარგებლობდნენ; უბედურებანი უფლებებს იძლევიან. გამოგიტყდებით, თქვენს ადგილზე ბატონ გუბერნატორს უყოყმანოდ მივთხოვდებოდი და ამით კაპიტანი კანდილის ბედსაც უზრუნველყოფდი.

სანამ დედაბერი ლაპარაკობდა იმ კეთილგონიერებით, რომელსაც ადამიანს ასაკი და გამოცდილება აძლევს, ნავსადგურში პატარა ხომალდი გამოჩნდა. მასზე ალყადი და ალგვაზილები <sup>25</sup> ისხდნენ. და აი, რა მოხდა.

დედაბერმა ძლიერ კარგად გამოიცნო, რომ როდესაც კუნეგონდა და კანდილი თავის გადასარჩენად სასწრაფოდ გარბოდნენ, კუნეგონდას ფული და განძი ფართო სახელოებიანმა კორდელიერმა ბერმა მოჰპარა ქალაქ ბადახოსში. ამ ბერს რამდენიმე ძვირფასი თვალი გასაყიდად ოქრომჭედელთან მიეტანა. ვაჟარს ინკვიზიტორის თვლები ეცნო. ჩამოხრჩობის წინ კორდელიერი გამოტეხილიყო, რომ ეს თვლები მოპარული ჰქონდა. მას დაესახელებინა—ვისგან მოეპარა და ეთქვა, საით წავიდნენ ისინი. კუნეგონდას და კანდილის გაქცევა უკვე ცნობილი იყო. მათ კვალს კადიქსამდე მიჰყენენ, იქიდან დაუყოვნებლივ გემი გამოადვენეს, გემმა უკვე ბუენოს-აირესის ნავსადგურს მოაღწია: ხმა გავრცელდა, რომ ალყადი დიდი ინკვიზიტორის მკვლელთა საძებნელად ჩამოვიდაო.

კეთილგონიერმა დედაბერმა უმალ განსჭვრიტა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

— თქვენ გაქცევას ვერ მოახერხებთ,— უთხრა მან კუნეგონდას,— და საშიშიც არაფერი გაქვთ; ინკვიზიტორი თქვენ არ მოგიკლავთ, ესეც არ იყოს, გუბერნატორი, რომელსაც უყვარხართ, არ დაუშვებს, რომ მკაცრად მოგეპყრონ. დარჩით.

დედაბერი სწრაფად კანდილთან გარბის.

— თავს უშველეთ,— ეუბნება იგი,— თორემ ერთ საათში დაგწვავენ.

ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება; მაგრამ როგორ განშორდეს კანდილი კუნეგონდას და თავი საღ შეათაროს?

#### თავი XIV

როგორ მიიღეს კანდილი და კაკამბო პარაბაის იეზუიტებმა

კანდილმა კადიქსიდან წამოიყვანა ერთი იმ მსახურთაგანი რომელთა მსგავსი ესპანეთის სანაპიროებზე და კოლონიებში ბლომად მოიძებნება. მის სისხლში ერთი მეოთხედი ესპანური სისხლი ერია, მამამისი ტუკუმანელი მეტი იყო. ეს მსახური ერთხანს ეკლესიის გუნდის მორბედად მუშაობდა, შემდეგ მნათე იყო, მეზღვაური, ბერი, მებარგულე, ჯარისკაცი, ლაქია. მას სახელად კაკამბო ერქვა და თავისი ბატონი ძლიერ უყვარდა, რადგან ბატონი მეტად გულკეთილი ადამიანი იყო.

კაკამბომ ანდალუსური ცხენები სასწრაფოდ შეკაწმა.

— წავიდეთ, ჩემო ბატონო, დედაბერის რჩევას დავუჯეროთ; გავემგზავროთ, უკან მოუხედავად გავქუსლოთ. კანდილმა ცრემლები გადმოათრქვია:

— ოჰ, ჩემო მშვენიერო კუნეგონდა! სწორედ იმ დროს ვშორდებით ერთმანეთს, როდესაც ბატონ გუბერნატორს ჩვენი დაქორწინების საქმე უნდა გაერიგებინა. კუნეგონდავ, სამშობლოდან ასე შორს გადმოხვეწილო, თავს როგორ გაიტანთ?

— შეძლებისდაგვარად,— უპასუხა კაკამბომ,— ჭალებს არაოდეს გაუჭირდებათ, ღმერთი მათ მფარველობთ, გავიქცეთ.

— საით მიგყვარ? საით მივემართებით? რა გვეშველება უკუნეგონდოდ? — ამბობდა კანდილი.

— წმინდა იაკობ დე კომპოსტელს გაფიცებთ,— სთქვა კაკამბომ,— თქვენ აქამდე იეზუიტებს ებრძოდით; ახლა მათ დასაცავად ვიბრძოლოთ; გზა კარგად ვიცი, მათ სამეფოში მივი-

9. ვოლტერი.

ყვანთ, ბულგარელებთან გაწვრთნილი კაპიტანის შემატებით ისინი კმაყოფილნი დარჩებიან, თქვენ ბედს ეწვეით; როდესაც ადამიანი ერთ ქვეყანაში ვერაფერს მიაღწევს, ბედნიერებას მეორე ქვეყანაში ჰპოვებს; ახალი რამის ნახვა და ახალი რამის გაკეთება ძლიერ სასიამოვნოა.

— მაშ, უკვე ყოფილხარ პარაგვაიში?—იკითხა კანდიდმა.

— ოჰ, როგორ არა, — უპასუხა კაკამბომ, — მე დარაჯად ვმუშაობდი ქალაქ ასომპსიონის მონასტერში. ლოს პადრების<sup>26</sup> სახელმწიფოს ისევე იცნობ, როგორც კადიქსის ქუჩებს. ეს სახელმწიფო საუცხოო რამ არის. მას სამას ლიეზე მეტი ღია მეტრი აქვს. იგი ოცდაათ პროვინციად არის დაყოფილი. აქ ლოს პადრებს ყველაფერი აბადიათ, ხალხს კი არაფერი: ეს არის გონებისა და სამართლიანობის ნიმუში. რაც შემეხება მე, ლოს პადრებზე განსაცვიფრებელი არაფერი მინახავს: აქ ისინი ესპანეთის და პორტუგალიის მეფეებს ებრძვიან, ევროპაში კი ამ მეფეებს აღსარებას ათქმევენებენ; აქ ესპანელებს ხოცავენ, მადრიდში კი მათ ზეცაში ჰგზავნიან; ამას მე ალტაცებაში მოვყავარ. გაეწიოთ; თქვენ უბედნიერესი ადამიანი გახდებით. როგორ გაეხარდებათ ლოს პადრებს, როდესაც გაიგებენ, რომ მათთან ბულგარელებთან გაწვრთნილი კაპიტანი გამოცხადდა.

პირველ საყარაულოს მიაღწიეს თუ არა, კაკამბომ მოახლოებულ გუშავს ამცნო, ერთ კაპიტანს ბატონ კომენდანტთან ლაპარაკი სურსო. ეს თხოვნა გუშავთა უფროსს გადასცეს. პარაგვაელი ოფიცერი სასწრაფოდ კომენდანტთან გაიქცა, რათა მისთვის ეს ახალი ამბავი ეცნობებინა.

უპირველეს ყოვლისა კანდიდი და კაკამბო განაიარაღეს, ანდალუზური ცხენები ჩამოართვეს. ორივენი ჯარისკაცთა ორ მწკრივს შორის გაატარეს. მწკრივის თავში კომენდანტი იდგა სამრქიანი ქუდით, აკეცილი წამოსასხამით, გვერდზე ჩამოკიდებულ ხმლით და ესპონტონით<sup>27</sup> ხელში. მან თავის რაზმს ნიშანი მისცა; ორ ახალმოსულს მაშინვე ოცდაათი ჯარისკაცი შემოეხვია. სერჟანტმა მათ განუცხადა, რომ ღირსი მამა პროვინციალი<sup>28</sup> მის დაუსწრებლად არც ერთ ესპანელს არც ხმის ამოდების და არც ამ ქვეყანაში სამ საათზე მეტხანს გაჩერების ნებას არ რთავსო.

— სად ბრძანდება ღირსი მამა პროვინციალი?—იკითხა კაკამბომ.

— იგი ლოცვის წარმოთქმის შემდეგ პარადს ლებულობს, — უპასუხა სერჟანტმა, — და თქვენ მის დეზებს მხოლოდ საში საათის შემდეგ შესძლებთ ეამბოროთ.

— მაგრამ, — სთქვა კაკამბომ, — ბატონი კაპიტანი, რომელიც ჩემსავით შიმშილისაგან კვდება, სრულიადაც ესპანელი არ არის, იგი გერმანელია. ნუთუ ღირსი მამის მოლოდინში არ შეიძლება ვისაუზმოთ?

სერჟანტი ამ ლაპარაკის ანგარიშის ჩასაზარებლად მაშინვე კომენდანტისკენ გაემართა.

— დაილოცოს ღმერთი, — წარმოსთქვა ამ ბატონმა, — თუ იგი გერმანელია, მე შემიძლიან მასთან ლაპარაკი. წაიყვანეთ ჩემს ტალავარში.

კანდიდი მაშინვე შეიყვანეს ფოთლებით დაფარულ დარბაზში, რომელიც შემკული იყო მწვანე და ოქროსფერი მარმარილოს ულამაზესი კოლონადით და ტრელიაჟით, სადაც თუთიყუშები, კოლიბრები, ბუზ-ჩიტები, ციცირები და ყველა იშვიათი ფრინველები ისხდნენ. ოქროს თასებში საუცხოო საუზმე იყო გამზადებული, და იმ დროს, როდესაც გაშლილ მინდორზე, მცხუნვარე მზის ქვეშ, პარაგვაელები ხის ჯამეებით სიმინდის შექამანდს შეექცეოდნენ, ღირსი მამა კომენდანტი ტალავარში შემოვიდა.

ეს იყო ძლიერ ლამაზი, ახალგაზრდა კაცი, პირმრგვალი, საკმაოდ თეთრი კანით, ლაქლაქა, წარბაწეული, მკვირცხლი გამოხედვით, წითელი ყურებით, ალისფერი ტუჩებით, ამაყი იერით. ეს სიამაყე არ იყო არც ესპანელისა და არც იეზუიტისა.

კანდიდს და კაკამბოს ისევე დაუბრუნეს ჩამორთმეული იარაღი და ორი ანდალუზური ცხენი, კაკამბომ ცხენებს ტალავარის წინ ქერი დაუყარა და თვალს არ აშორებდა ყოველივე მოულოდნელი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

\* კანდიდი ჯერ კომენდანტის ქობას ემთხვია, შემდეგ მაგიდას მიუხდნენ.

— მაშ, თქვენ გერმანელი ბრძანდებით?—ჰკითხა ამ ენაზე კანდიდს იეზუიტმა.

— დიად, ჩემო ღირსო მამაო,— უპასუხა კანდიდმა.

ამ სიტყვებზე ისინი ერთმანეთს დააშტერდნენ უკიდურესი განცვიფრებით და აღელვებით, რის დაფარვაც ველარ შესძლეს.

— გერმანიის რომელი მხრიდან ბრძანდები?— კვლავ იკითხა იეზუიტმა.

— ტალახიანი ვესტფალიის პროვინციიდან,— მიუგო კანდიდმა,— ტუნდერ-ტენ-ტრონკის ციხე-კოშკში დავიბადე.

— ო, ზეცავ! ნუთუ ეს შესაძლებელია,— შეჰყვირა კომენდანტმა.

— რა სასწაულია!— შესძახა კანდიდმა.

— ეს თქვენა ხართ?— სთქვა კომენდანტმა.

— ეს შეუძლებელია,— დასძინა კანდიდმა.

ისინი ერთმანეთს ეცნენ, გადაეხვივნენ და ცრემლთა ნაკადულები დააფრქვიეს.

— როგორ? ეს თქვენა ხართ, ჩემო ღირსო მამაო? თქვენ— მშვენიერი კუნეგონდას ძმა! თქვენ, რომელიც ბულგარელებმა მოგკლეს! თქვენ— ბატონი ბარონის ვაჟი! თქვენ— პარაგვაელი იეზუიტი! რა უცნაური რამ არის ეს ქვეყანა. ო, პანგლოს! პანგლოს! რა გახარებული იქნებოდით, რომ ჩამოხრჩობილი არ იყვეთ!

კომენდანტმა დაითხოვა ზანგი მონები და პარაგვაელები, რომლებიც შთის ბროლის თასებით მათ სასმელებს აწვდიდნენ. მან ღმერთსა და წმინდა ეგნატეს ათასჯერ შესწირა მადლობა, იგი გულში იკრავდა კანდიდს; მათი სახეები ცრემლებით იყო განბანილი.

— თქვენ უფრო მეტად გაოცდებით, გული უფრო მეტად აგიჩუყდებათ, უფრო მეტად მოხვალთ აღტაცებაში,— უთხრა მას კანდიდმა,— როდესაც გაიგებთ, რომ ქალბატონი კუნეგონდა, თქვენი და, რომელიც მუცელგამოფატრული გგონიათ, ჯანლონით სავსეა.

— სად არის?

— თქვენს მეზობლად, ბუენოს-აირესის გუბერნატორთან, და მე აქ მოვედი, რათა ომში დაგეხმაროთ.

ამ გრძელი საუბრის დროს ნათქვამი ყოველი სიტყვა სას-



წაუღს აძლიერებდა. მათი სული მათ ეხაზე აფარფატდა, მათს ყურებში სმენად იქცა, მათს თვალებში აციმციმდა.

სუფრას დიდხანს უსხდნენ, როგორც გერმანელებს სჩვევიათ, და ღირსი მამა პროვინციალის მოლოდინში კომენდანტი თავის ძვირფას კანდიდს ამრიგად ესაუბრა.

## თავი XV

### როგორ მოჰკლა კანდიდმა თავისი ძვირფასი კუნებონდას ძმა

მთელ სიცოცხლეში მემახსოვრება ის საშინელი დღე, როდესაც ჩემს თვალწინ ჩემი დედ-მამა მოჰკლეს და ჩემი და გააუპატიურეს. ბულგარელების უკან დახვევის შემდეგ ჩემი სათაყვანო და ვერსად იპოვნეს. ჩემი დედ-მამა, მე, ორი მოახლე და სამი ყელგამოღადრული ბიჭი საბარგო ეტლზე დაგვყარეს და ჩემს წინაპართა სასახლიდან ორი ლიეთი დაშორებულ იეზუიტთა ეკვდერში დასამარხავად წავგვასვენეს. ერთმა იეზუიტმა ნაკურთხი წყალი გვაპკურა; წყალი ძლიერ მლაშე იყო; რამდენიმე წვეთი თვალში მომხვდა, მღვდელმა შეამჩნია, რომ ჩემი ქუთუთო შეიჩხა: გულზე ხელი დამადო და გულისცემა იგრძნო; მომიარეს და სამი კვირის შემდეგ იარების კვალიც აღარ მაჩნდა. თქვენ იცით, ჩემო ძვირფასო კანდიდ, რომ მე ძლიერ ლამაზი ვიყავი, შემდეგ უფრო გავლამაზდი; ამიტომ უწმინდესი მამა კრუსტი ჩემდამი უნაზესი მეგობრობის გრძნობით გაიმსქვალა, მან მე მორჩილის ტანსაცმელი მიბოძა; რამდენიმე ხნის შემდეგ რომში გამგზავნეს. ღირსი მამა გენერალი გერმანელ ახალგაზრდა იეზუიტთა რაზმს აგროვებდა. პარაგვაის მმართველნი ცდილობენ ესპანელი იეზუიტები სამსახურში რაც შეიძლება ნაკლებად მიიღონ. ისინი ამჯობინებენ უცხოელებს, რომელთაც უფრო ადვილად ათვისებენ. ღირსმა მამა გენერალმა განსაჯა, რომ მე გამოვდგებოდი ამ ვენახში სამუშაოდ. ჩვენ გამოვემგზავრეთ—მე, ერთი პოლონელი და ერთი ტიროლიელი. ჩამოსვლისთანავე დიაკვნის მოადგილედ და ლეიტენანტად დანიშნით დამდეს პატივი. დღეს პოლკოვნიკი და მღვდელი ვარ. ჩვენ ესპანელ მეფის ლაშქარს ვაჟკაცურად შევხვდებით. სიტყვას გაძლევთ,

მათ ეკლესიიდან განვეკეთთ და დავამარცხებთ. განგებამ თქვენ ჩვენს დასახმარებლად მოგაუღინათ. მაგრამ ნუთუ ჩემი ძვირფასი და კუნეგონდა მართლა შეზობლად იმყოფება, ბუენოს-აირესის გუბერნატორთან?

კანდიდმა იგი ფიცით დაარწმუნა, რომ არაფერია ამაზე მართალიო. მათმა ცრემლებმა კვლავ დენა იწყეს. ბარონი კანდიდის ხვევნით არ იღლებოდა. იგი ეას თავის ძმას, თავის მხსნელს უწოდებდა.

— ოჰ,—მიმართა მან კანდიდს,—ჩემო ძვირფასო კანდიდ, იქნებ ჩვენ ერთად შევეძლოთ ქალაქში შექრა და ჩემი დის კუნეგონდას მოტაცება.

— ამის მეტი არაფერი მსურს,—სთქვა კანდიდმა,—რადგან კუნეგონდას ცოლად შერთვას ვაპირებდი და ამის იმედი ჯერაც არ დამიკარგავს.

— თავხედო!—უპასუხა ბარონმა,—როგორ ბედავთ ჩემი დის ცოლად თხოვნას, იგი ხომ თავის წინაპართა საგვარეულოში სამოცდათორმეტ თაობას ითვლის! დიდი მოურიდებელი ვინმე ბრძანებულხართ, რომ ესოდენ კანდიერ განზრახვაზე ლაპარაკს მიბედავთ.

ამ სიტყვებით გაქვავებულმა კანდიდმა ბარონს უპასუხა:

— ჩემო ყოვლად ღირსო მამაო, მთელი ქვეყნის წინაპართა ყველა თაობები რომ გაერთიანდნენ, წინ მაინც ვერ აღმიდგებიან. მე თქვენა და ებრაელსა და ინკვიზიტორს ბრძკალებიდან გამოვტაცე, იგი საკმარისად დავალებულია ჩემგან და სურს ცოლად გამომყვეს. ბატონი პანგლოსი ყოველთვის მეუბნებოდა, ადამიანები თანასწორნი არიანო, და მე ყოველ მიზეზს გარეშე მას ცოლად შევიერთავ.

— ამას ჩვენ ვნახავთ, არამზადავ!—შეჰყვირა ბარონ ტუნდერ-ტენ-ტრონკმა და კანდიდს სახეში ხმლის ბრტყელი პირი ძლიერად გასცხო. კანდიდი მაშინვე ხმაღს იძრობს და ბარონ იეზუიტს მუცელში ვადამდე ჩასცემს. შემდეგ მუცლიდან აორთქლებულ ხმაღს ამოაძრობს და ტირილს იწყებს:

— ვაიმე, ღმერთო ჩემო,—ქვითინებს იგი,—ჩემი ყოფილი ბატონი, ჩემი მეგობარი, ჩემი ცოლისძმა მოვკალ. მე ამ ქვეყნად ყველაზე კეთილი ადამიანი ვარ და აი, უკვე სამი ადამიანი შემომაკვდა; ამ სამში—ორი მღვდელი.

კაკამბო, რომელიც ტალავარის კართან დარაჯად იდგა, შემოვარდა.

— ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ ჩვენი სიცოცხლე ძვირად გავყიდოთ,— უთხრა მას წისმა ბატონმა.— ექვს გარეშეა, ფანჩატურში მალე შემოვლენ, იარაღით ხელში უნდა დავისოცოთ.

კაკამბო, რომელსაც მსგავსი ფათერაკები ბევრი გამოეცადა, არ დაიბნა, იგი ბარობ იეზუიტის ანაფორას დასწვდა და კანდიდს გადააცვა, ოთხკუთხა ქული მიაჩეჩა და ცხენზე შესვა. ეს ყოველივე თვალის დახანხამებაში მოხდა.

— გაეჭუსლოთ, ჩემო ბატონო, თქვენ ყველას ეგონებით იეზუიტი, რომელიც ბრძანებების გასაცემად მიემართება და, სანამ გამოგვედევნებინ, ჩვენ საზღვარზე გადასვლას მოვასწრებთ. ამ სიტყვების წარმოთქმისას იგი უკვე ცხენს მიაფრენდა და ესპანურად ყვიროდა:

— გზა, გზა, ყოვლად ღირსს მამა პოლკოვნიკს!

## თავი XVI

რა შეიმთხვა ორ მოგზაურს ორ ძალიწვილთან, ორ მაიოვნთან და ველურ ორელიონელაებთან

კანდიდი და მისი მსახური საზღვარს უკვე გასცდნენ, ბანაკში კი ჯერ არავინ არაფერი იცოდა გერმანელი იეზუიტის მკვლევლობის შესახებ. წინდახედულ კაკამბოს პურის, შოკოლადის, ლორის, ხილის და ცოტაოდენი ღვინის თან წამოღება არ დაეიწყებოდა. ისინი თავიანთი ანდალუზური ცხენებით შევიდნენ უცხო ქვეყანაში, სადაც არავითარი გზა არ ჩანდა. ბოლოს მათ თვალთა წინ მშვენიერი ნაკადულებით დაღარული ველი გადაიშალა. ჩვენმა ორმა მოგზაურმა ცხენები ბალახზე მიუწვეს. კაკამბომ თავის ბატონს საკმელი შესთავაზა და მაგალითიც უჩვენა.

— როგორ უნდა ჩავიდო პირში ლორი,— წარმოსთქვა კანდიდმა,— როდესაც ბატონი ბარონის ვაჟი მოვკალი და ამით მშვენიერი კუნეგონდას ხილვის უფლება სამუდამოდ დავკარგე. რისთვის უნდა ვაგრძელდნენ უბადრუკი დღენი ჩემი სიცოცხ-

ლისა, თუ ეს დღეები სასოწარკვეთილებას მიცემულმა კუნე-გონდასგან მოშორებით, სინილისის ქენჯნაში უნდა გავატარო, და რას იტყვის ტრევეუს გაზეთი?

ამ ლაპარაკში კანდიდს ჭკმა არ შეუწყვეტია. მზე ჩადიოდა. ორ გზააბნეულს შორიდან რამდენიმე შეძახილი შემოესმა. ქალების ხმა უნდა ყოფილიყო. მათ ვერ გაერჩიათ, ეს ყვირილი მწუხარებას გამოხატავდა თუ სიხარულს. მაინც სასწრაფოდ წამოხტნენ იმ ადგილებით და შეშფოთებით, რომელსაც უცხო მხარეში ყოფნისას ადამიანში ყოველივე აღძრავს ხოლმე. ყვიროდა ორი ტიტველი ქალიშვილი, რომლებიც მინდვრის პირას სწრაფად გარბოდნენ. მათ ორი მაიმუნი მოსდევდა და საჯდომებზე ჰკბენდა. კანდიდმა სიბრალული იგარძნო, მან ბულგარელებთან თოფის სროლა ისწავლა და ბუჩქიდან ფოთლების შეურხველად თხილის ჩამოგდება შეეძლო. იგი იღებს თავის ესპანურ ორლულიან თოფს, ისვრის და ორთავე მაიმუნს ჰკლავს.

— დაილოცოს ღმერთი, ჩემო ძვირფასო კაკამბო, ეს ორი საბრალო ქმნილება მე დიდი საფრთხისაგან ვიხსენი; ინკვიზიტორის და იეზუიტის მკვლელობით თუ ცოდვა ჩავიდინე, ამ ორი ქალიშვილის სიცოცხლის გადარჩენით მე ეს ცოდვა კარგად გამოვისყიდე. ეს ასულნი იქნებ დიდგვაროვანი აღმოჩნდნენ, და მაშინ ეს შემთხვევა ამ ქვეყანაში დიდ სიკეთეს მოგვიტანს.

იგი ამ ბაასის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ ენა ჩაუვარდა, რადგან მის თვალწინ ის ქალიშვილები ნაზად ჩაეხევივნენ მაიმუნებს, მათ სხეულზე ცრემლები გადმოაფრქვიეს და მიდამო მწუხარე გოდებით ალავესეს.

— მე არ მოველოდი ასეთს გულკეთილობას,—ძლივს წამოილულულა მან.

კაკამბომ უპასუხა:—თქვენ ღირსშესანიშნავი საქმე ჩაიდინეთ, ბატონო ჩემო, ამ ორი ასულის საყვარლები მოჰკალით.

— მათი საყვარლები! ეს შეუძლებელია! თქვენ დამცინით კაკამბო. როგორ წარმოიდგინეთ?

— ჩემო ძვირფასო ბატონო,—უპასუხა კაკამბომ,—თქვენ ყოველთვის ყველაფერი გაკვირვებთ. რა არის იმაში უცნაური,

რომ ზოგიერთ ქვეყანაში მოიპოვებიან მაიმუნები, რომელნიც ქალთა კეთილგანწყობილებით სარგებლობენ? მაიმუნი მამაკაცის მეოთხედია ისევე, როგორც მე ესპანელის მეოთხედი ვარ.

— ეჰ, — უპასუხა კანდიდმა, — მე მაგონდება ოსტატი პანგლოსის ნათქვამი; თურმე ოდესღაც ამგვარი შემთხვევები ხდებოდა და ამ აღრევამ წარმოშვა ეგვიპნები, ფანები, სატირები, რომელნიც ძველი დროის მრავალ გამოჩენილ ადამიანს უნახავს, მაგრამ ეს ყოველივე მე ზღაპრებად მიმაჩნდა.

— თქვენ ახლა უნდა დარწმუნდეთ, -- სთქვა კაკამბომ, — რომ ეს სიმატლეა, ხომ ხედავთ როგორ იყენებენ ამას ქალები, რომელთაც არაერთარი აღზრდა არ მიუღიათ; ვშიშობ, ამ მანდილოსნებმა ავი საქმე არ შეგვემთხვიონ.

ამ საფუძელიანმა მოსახრებამ კანდიდს გადააწყვეტინა მინდორი მიეტოვებინა და ტყეს შეჭფარებოდა. მან იქ კაკამბოსთას ერთად ივახშმა. ორთავემ პორტუგალელი ინკვიზიტორის, ბუენოს-აირესის გუბერნატორის და ბარონის წყევლა-კრულვით ხავსზე მიიძინეს. გამოლვიძებულებმა იგრძნეს, რომ მოძრაობა არ შეეძლოთ. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ორმა ქალბატონმა ისინი ხელთ ჩაუგდეს ორელიონელებს, ამ ქვეყნის მკვიდრთ. ორელიონელები მათ ღამით მიჰპარვოდნენ და ხის ქერქის თოკებით შეეებოქათ. მათ გარს შემოხვეოდა ორმოცდაათიოდე სრულიად მიშველი ორელიონელი, შეიარაღებული ისრებით, კეტებით და ქვის ცულებით. ერთნი უშველებელ ქვაბში წყალს ადუღებდნენ, მეორენი შამფურებს ამზადებდნენ, და ყველანი ერთად ყვიროდნენ.

— ეს იეზუიტია, ეს იეზუიტია! ჩვენ შურსაც ვიძიებთ და კარგადაც გამოვძლებით; შევქამოთ იეზუიტი, შევქამოთ იეზუიტი!

— ხომ მოგახსენეთ, ჩემო ძვირფასო ბატონო, — ნალელიანად წამოიძახა კაკამბომ, — ეს ორი ქალიშვილი ცუდ ოინს მოგვიწყობს-მეთქი.

კანდიდმა ქვაბი და შამფურები შენიშნა და იყვირა:

— ჩვენ აუცილებლად შევკვავვენ ან მოგვხარშავენ. ოჰ, ნეტავ რას იტყოდა ოსტატი პანგლოსი, რომ ენახა, თუ რო-

გორია უზადო ბუნება? დაეუშვათ, ყოველივე უკეთესისკენ მიმართება, მე მაინც ვალიარებ, რომ ქალბატონი კუნეგონდას დაკარგვა და ორელიონელების მიერ ჩვენი შამფურზე წამოგება მეტად სასტიკი რამაა.

კაკამბო არასოდეს არ იბნეოდა.

— ნუ გეშინიათ,—მიმართა მან დამწუხრებულ კანდიდს,— ამ ხალხის ენის ცოტა რამ გამეგება და გამოველაპარაკები.

— ნუ დაგავიწყდებათ,—უთხრა მას კანდიდმა,—აუხსნათ, თუ რა შემაზრზენი უადამიანობაა ადამიანის მოხარშვა და რაოდენ არაქრისტიანულია იგი.

— ბატონებო,—წარმოსთქვა კაკამბომ,—მაშ, თქვენ იეზუიტის შექმა გადაგიწყვეტიათ დღეს; ეს ძლიერ კარგია, თქვენს მტრებს მეტად სამართლიანად ეპყრობით. მართლაც და ბუნებრივი კანონი ჩვენ გვასწავლის—მოგვკლათ მოყვასი ჩვენი, და მთელს დედამიწის ზურგზე ყველა სწორედ ამგვარად მოქმედებს. ჩვენ იმიტომ არ ვიყენებთ ადამიანთა შექმის უფლებას, რომ სხვა გემრიელი საჭმელების მომზადების საშუალება გვაქვს, თქვენ კი ეს საშუალებები არ გაგაჩნიათ. რა თქმა უნდა, უმჯობესია მტრები შესქამოთ, ვიდრე თქვენი გამარჯვების ნაყოფი ყვავეყორნებს დაუტოვოთ; მაგრამ, ბატონებო, თქვენ არ მოისურვებთ მეგობრების შექმას. თქვენა გგონიათ, იეზუიტს აგებთ შამფურზე, და ეს კაცი კი თქვენი დამცველია: ეს არის მტერი თქვენი მტრებისა, თქვენ კი მას შეწვას უპირებთ. რაც შემეხება მე, თქვენს ქვეყანაში ვარ დაბადებული. ეს მამაკაცი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ჩემი ბატონია, იგი იეზუიტობისაგან ძლიერ შორსა დგას. მან ახლახან იეზუიტი მოჰკლა და მისი ანაფორა გადაიკვა, აი თქვენი შეცდომის მიზეზი. ჩემი ნათქვამის შესამოწმებლად ეს ანაფორა აიღეთ და ლოს პადრეს სამეფოს პირველ ზღუდესთან მიიტანეთ, გამოიკვლიეთ, მოჰკლა თუ არა ჩემმა ბატონმა იეზუიტი ოფიცერი. დიდი დრო არ დაგჭირდებათ; ჩვენს შექმას ყოველთვის მოასწრებთ, თუ გამოირკვევა, რომ მე სიცრუე მოგახსენეთ; მაგრამ თუ ჩემი სიტყვები დადასტურდება, თქვენ მეტად კარგად იცნობთ საერთაშორისო უფლების პრინციპებს, ჩვეებს და კანონებს, რათა ჩვენ შეგვიწყნაროთ.

ორელიონელებმა ეს სიტყვა მეტად გონივრულად ჩასთვალეს, მათ წარმომადგენლებად ორი წარჩინებული აირჩიეს და ისინი სასწრაფოდ ქეშმარიტების გამოსაარკვევად წარგზავნეს. ორმა წარმომადგენელმა ეს დავალება ისე შეასრულა, როგორც გონიერ ადამიანებს შეჰფეროდა: ისინი ჩქარა კარგი ამბებით დაბრუნდნენ.

ორელიონელებმა ორთავე ტყვეს ხის ქერქის თოკები შეხსნეს. მათ ყოველგვარი პატივი დასდეს, ქალები შესთავაზეს, გამაგრებელი სასმელები და ტკბილეულობა მიართვეს. ამის შემდეგ ისინი თავის სახელმწიფოს საზღვრებამდე მხიარული ყიყინით მიაცილეს.

— იგი არ არის იეზუიტი, იგი, არ არის იეზუიტი!

კანდიდი თავის განთავისუფლების მიზეზით უსაზღვროდ იყო გაოცებული.

— ეს რა ხალხია, — ამბობდა იგი, — რა ადამიანები! რა ჩვეულებანი! მე რომ ბედნიერება არ მწვეოდა და ხმლის ძლიერი დარტყმით ქალბატონი კუნეგონდას ძმა არ გამეგმირა, შეუბრალელებლად შემეკამდნენ. რაც უნდა იყოს, უხადო ბუნება კეთილია, ვინაიდან ამ ხალხმა არა თუ არ შემეკამა, ის ათასო თავაზიანობით მომეპყრო მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მე იეზუიტი არა ვარ.

## თავი XVII

როგორ მოხვდნენ კანდიდი და მისი მსახური ელდორადოს ჰმავნებში და რა ნახეს იქ

როდესაც ორელიონელთა საზღვრებს გასცდნენ, კაკამბომ მიმართა კანდიდს:

— ხომ ხედავთ, ეს ნახევარ-სფერო მეორე ნახევარ-სფეროზე უკეთესი არ გახლავთ. დამიჯერეთ, სასწრაფოდ ევროპაში დაებრუნდეთ.

— როგორ დაებრუნდეთ? — იკითხა კანდიდმა, — სად წავიდეთ? ჩემს სამშობლოში ბულგარელები და ავარიელები ყველას ხოცავენ, პორტუგალიაში თუ დაებრუნდი, დამწვავენ, აქ თუ დაერჩით, ყოველ წუთში შამფურზე აგების საშიშროება მო-

გველის; მხოლოდ როგორ მივატოვო ის კუთხე, სადაც ქალბატონი კუნეგონდა ცხოვრობს?

— კაიენისკენ გავეწიოთ, — სთქვა კაკამბომ, — ჩვენ იქ შევხვდებით ფრანგებს, რომლებიც დედამიწის ყოველ მხარეში არიან გაფანტული, ისინი დაგვეხმარებიან. იქნებ უფალმა შეგვიწყნაროს.

კაიენში გამგზავრება იოლი როდი იყო; მათ დაახლოებით იცოდნენ თუ რომელ მხარეს უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მდინარეები, მთები, უფსკრულები, ყაჩაღები, ველურები საშიშ დაბრკოლებებს ჰქმნიდნენ. მათი ცხენები დაღლილობისაგან დაიხოცნენ; კანდიდს და კაკამბოს საქმელი შემოეღიათ, მთელი ერთი თვის განმავლობაში ხილით იკვებებოდნენ და ბოლოს ერთ პატარა მდინარეს მიადგნენ. მის ნაპირებზე ჩამწკრივებულმა ქოქოსის პალმებმა მგზავრებს სიცოცხლე და იმედი შეუნარჩუნეს.

კაკამბომ, რომელიც დედაბერსავეთ ყოველთვის კარგ რჩევებს იძლეოდა, კანდიდს უთხრა:

— ჩვენ უკვე იმდენი ვიარეთ, რომ სიარულს ველარ შევძლებთ. მდინარეზე ცარიელ ნავს ვხედავ, გავავსოთ იგი ქოქოსებით, ჩავსხდეთ ამ პატარა ნავში და მდინარის დინებას მივყუეთ; მდინარეს ყოველთვის რომელიმე დასახლებულ ადგილისკენ მივყუვართ. სასიამოვნოს თუ ვერაფერს ვიპოვნით, ახალ რამეს მაინც აღმოვაჩენთ.

— წავიდეთ, — სთქვა კანდიდმა, — განგებას მივენდოთ.

ისინი რამდენიმე ლიეს მანძილზე ხან აყვავებულ, ხან უნაყოფო, ხან ვაკე, ხან ციცაბო ნაპირებს შორის მისცურავდნენ. მდინარე თანდათან ფართოვდებოდა, ბოლოს ცათაწვდილ, შემზარავ ფრიალო კლდის თალის ქვეშ იკარგებოდა. ამ თალის ქვეშ მოგზაურები მდინარეს გაბედულად მიენდვნენ. აქ შევიწროვებულმა მდინარემ ისინი საშინელი სისწრაფით და ღრიალით გაიტაცა. ოცდაოთხი საათის შემდეგ მათ კვლავ სინათლე დაინახეს, მაგრამ ნავი ქორომებზე დაიღეწა. ერთი ლიეს მანძილზე იმათ ერთი კლდიდან მეორეზე იფოფეს, ბოლოს მათ წინ თვალუწევენელი ჰორიზონტი გადაიშალა, მიუდგომელი მთებით შემოფარგლული. აქ მიწა დამუშავებუ-



ლი იყო, როგორც სიამოვნებისათვის, ისე საჭიროებისათვის. სასარგებლო აქ ყველგან სასიამოვნოსთან იყო შერწყმული. გზებს ფარავდნენ ან უკეთ რთავდნენ ბრწყინვალე ფორმისა და მასალის ეტლები, რომლებშიც უჩვეულო სილამაზის მამაკაცები და დედაკაცები იხსდნენ. ეტლებს მიაქროლებდნენ დიდი წითელი ვერძები, რომლებიც თვით ანდალუზიის, ტეტუანის და მაროკოს იორლა ცხენებზე უსწრაფესი იყვნენ.

— აი,—სთქვა კანდიდმა,—ქვეყანა, რომელიც ვესტფალიას სჯობს.

ორივე მგზავრი პირველ შეხვედრილ სოფელშივე შეჩერდა. სოფლის შესავალთან დახეული ოქროსქსოვილით შემოსილი სოფლის ბავშვები ბადროებით თამაშობდნენ. ჩვენი ორი მამაკაცი, უცხო ქვეყნიდან მოსული, მათ ცქერაში გაერთო; ბავშვების ბადროები ფართე რგვალი ნატეხები იყო, ყვითელი, წითელი და მწვანე ფერისა. ისინი უცნაურად კიაფობდნენ. მგზავრები ამ ნატეხების შემოწმების სურვილმა შეიპყრო. დასწვდნენ რამდენიმე მათგანს, ეს იყო ოქრო, ეს იყო ზურმუხტი, ლალი: ყველაზე პატარა ნატეხიც კი დიდი მოგოლის<sup>30</sup> ტახტის უძვირფასეს მოსართავად ჩაითვლებოდა.

— ექვს გარეშეა,—სთქვა კაკამბომ,—რომ ეს ბავშვები აქაური მეფის შვილები არიან და ბადროს ტყორცნით თავს იქცევენ. ამ დროს გამოჩნდა სოფლის მასწავლებელი, რომელმაც ბავშვებს სკოლაში წასვლა მოაგონა.

— აი,—სთქვა კანდიდმა,—სამეფო ოჯახის აღმზრდელი.

პატარა, დაკონკილმა ბიჭებმა თამაშს მაშინვე თავი მიანებეს; ბადროები და სხვა სათამაშოები მიწაზე დაყრილი დასტოვეს.

კანდიდი ამ სათამაშოებს იღებს, აღმზრდელთან მირბის და მოწიწებით უწვდის და თან ნიშნებით უხსნის, რომ მათ სამეფო უდიდებულესობებს ოქრო და პატიოსანი თვლები დაავიწყდათ.

სოფლის მასწავლებელმა სათამაშოები ღიმილით მიწაზე დაჰყარა, კანდიდი გაკვირვებით აათვალ-ჩაათვალიერა და გზა განაგრძო.

ჩვენმა მგზავრებმა არ დააყოვნეს ოქროს, ლალის და ზურმუხტის აკრეფა.

— სადა ვართ? — შეჰყვირა კანდიდმა, — ამ ქვეყნის მეფის შვილები, ეჩნევა, კარგად არიან აღზრდილნი, რომ მათ ოქროსა და პატიოსანი თვლებისადმი გულგრილი დამოკიდებულება აქვთ შთანერგილი.

კაკამბო კანდიდზე ნაკლებად არ იყო გაკვირვებული. ამასობაში ისინი სოფლის პირველ სახლს მიუახლოვდნენ; ეს სახლი ევროპის სასახლესავით იყო აშენებული. კარებში და უფრო მეტად კი სახლში ხალხი ფუსფუსებდა. მუსიკის სასიამოვნო ხმები ისმოდა, და სამზარეულოს საუცხოო სურნელება იფრქვეოდა. კაკამბო კართან მივიდა და პერუანულ ენაზე ლაპარაკს ყური მოჰკრა; ეს მისი მშობლიური ენა იყო; როგორც ცნობილია, კაკამბო დაბადებული იყო ტუკუმანში, სოფელში, სადაც მხოლოდ ამ ენაზე ლაპარაკობდნენ.

— მე თქვენ თარჯიმანად გემსახურებით, — უთხრა მან კანდიდს, — შევიდეთ, ეს სამიკიტნოა.

მაშინვე, მოვარაყული მაუდის ტანსაცმელში გამოწყობილმა და ბაფთებით თმაშეკრულმა მსახურებმა — ორმა ბიჭმა და ორმა გოგომ, სტუმრები მაგიდაზე მიიწვიეს. მოართვეს ოთხი კერძი წვნიანი, თითოეული ორ-ორ თუთიყუშისაგან მომზადებული, ერთი მოხარშული ქორი, რომელიც ორას გირვანქას იწონიდა, ორი შემწვარი მეტად გემრიელი მაიმუნი, სამასი კოლიბრი ერთ ლანგარზე დალაგებული და ექვსასი ბუზ-ჩიტა — მეორეზე, შესანიშნავი რაგუ და საუცხოო ნამცხვრები; ეს ყოველივე მთის ბროლის ლანგრებზე იყო დაწყობილი. სასტუმროს მსახური ბიჭები და გოგოები მათ ჭიქებში შაქრის ლერწმის მრავალჯურის ლიჭიორს უსხამდნენ.

თანამესუფრენი უმეტესად ვაჭრები და მეეტლები იყვნენ, ყველანი უაღრესად თავაზიანნი. მათ კაკამბოს წინდახედული მოკრძალებით რამდენიმე შეკითხვა მისცეს და კაკამბოს კითხვებზე ხალისიანად უპასუხეს. კაკამბოს კანდიდსავით ეგონა, რომ სადილის საფასურად საკმარისი იქნებოდა მიწიდან აკრეფილი ოქროს ორიოდ ნატეხის დახლზე დაყრა; მასპინძელს და მის მეუღლეს სიცილი წასკდათ და ფერდები დიდხანს ეჭირათ. ბილოს დაშოშმინდნენ.

— ბატონებო, — უთხრა მათ მასპინძელმა, — ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ თქვენ უცხოელები ბრძანდებით. ჩვენ უცხოელების ნახვას ჩვეულნი არ ვართ. გვაპატიეთ, რომ გაგვეცინა, როდესაც თქვენ საქმელის საფასურად ჩვენი შარავზის კენჭები გამოგვიწოდეთ. თქვენ ალბათ ადგილობრივი ფული არ გაგაჩნიათ, მაგრამ აქ სადილობისთვის ფული აუცილებელი არც არის. ყველა სასტუმრო, ვაჭრობის ხელისშესაწყობად გამართული, სახელმწიფოს ხარჯზე არსებობს. ჩვენ აქ ცული სადილი მოგართვით, რადგან ეს ღარიბი სოფელია, მაგრამ სხვაგან საკადრისად გაგიმასპინძლდებიან.

კაკამბო მასპინძლის ლაპარაკს კანდიდს უთარგმნიდა, და კანდიდი ამ ლაპარაკს ისევე [გაოცებული ისმენდა, როგორც კაკამბო თარგმნიდა მას.

— რა ქვეყანაა ეს, — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს, — ასეთი უცნობი დედამიწის დანარჩენი ნაწილისთვის და ასეთი განსხვავებული ჩვენი ქვეყნის ბუნებისაგან; — ეს ალბათ ის ქვეყანაა, სადაც ყოველივე უკეთესისაკენ მიიმართება, რადგან აუცილებლად საჭიროა ამგვარი ქვეყანა სადმე არსებობდეს: რაც უნდა ეთქვა ოსტატ პანგლოსს, მე ხშირად შევიმჩნევია, რომ ვესტფალიაში ყოველივე საკმაოდ ცუდად მიმდინარეობდა.

## თავი XVIII

რა ნახვას მათ ელჭორადოს მმეყანაში

კაკამბომ მასპინძელს თავისი განცვიფრება გაუმჟღავნა. მასპინძელმა უთხრა მას:

— მე არავითარი სწავლა არ მიმიღია და თავს მაინც კარგად ვგრძნობ; მაგრამ ჩვენ აქ გეყავს მეფის კარიდან გამდგარი მოხუცი, რომელიც მთელს სამეფოში ყველაზე ბრძენი და გულლია ადამიანია.

მასპინძელმა კაკამბო მაშინვე მოხუცთან წაიყვანა. კანდიდი ახლა მხოლოდ მეორეხარისხიან როლს ასრულებდა და თავის მსახურს მდუმარედ მიჰყვებოდა. ისინი ერთ ძლიერ უბრალო სახლში შევიდნენ, უბრალოში — რადგან ამ სახლს კარი მხოლოდ ვერცხლისა ჰქონდა, ხოლო პანელები ოქროსი, მაგრამ ისეთი გემოვნებით ნაკეთები, რომ უძვირფასეს

პანელებსაც დაჩრდილავდა. შესასვლელი ტალანი მხოლოდ ლალითა და ზურმუხტით იყო მოოჭვილი, მაგრამ ყოველივე ისეთ წესრიგში იყო მოყვანილი, რომ ეს უკიდურესი უბრალოება ადვილად ნაზღაურდებოდა.

მოხუცმა ორი უცხოელი კოლიბრის ბუმბულით დატენილ ლეიბიან ტახტზე მიიღო და მათ აღმასის სურებით ლიქიორები მიართვა; ამის შემდეგ სტუმრების ცნობისმოყვარეობა მან ამ სიტყვებით დააკმაყოფილა:

— მე ასსამოცდათორმეტი წლისა ვარ; ჩემმა განსვენებულმა მამამ, მეფის მეჯინებემ, მე მიაგზო პერუს სახელმწიფოს განსაცვიფრებელი რევოლუციის შესახებ, რომლის მოწმე თვით იყო. სამეფო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ინკაელთა ძველი სამშობლოა.<sup>31</sup> ამ ხალხმა სხვა ქვეყნების დასაპყრობად დაუფიქრებლად გაილაშქრა. ბოლოს ისინი ესპანელებმა გაანადგურეს. ამ დინასტიის უფლისწულები, რომლებიც თავის სამშობლო ქვეყანაში დარჩნენ, უფრო შორსმჭვრეტელნი აღმოჩნდნენ: მათ, ერის თანხმობით, ბრძანება გასცეს, რომ არც ერთი მცხოვრები არასოდეს ჩვენს პატარა სამეფოდან არ გასულიყო; და სწორედ ამ კანონმა შეგვინარჩუნა უბრალოება და კეთილდღეობა. ესპანელებს ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ამ ქვეყანაზე, რომელსაც მათ ელდორადო უწოდეს. ერთი ინგლისელი, კავალერი რალფი,<sup>32</sup> ამ ასი წლის წინათ მოგვიახლოვდა, მაგრამ ჩვენ მიუდგომელი კლდეებითა და უფსკრულებით ისე ვართ გარშემორტყმული, რომ დღევანდლამდე ევროპის ერების მტაცებლობისაგან დაფარული დავრჩით. ეს ერები ჩვენი ქვეყნის ქვებისა და ტალახის მიმართ განსაცვიფრებელ სიხარბეს იჩენენ და მის დასაკუთრებისათვის ისე გაგვკლემტდნენ, რომ ცოცხალი არც ერთი ადამიანი არ გადარჩებოდა.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა, იგი აქაურ მმართველობის ფორმას შეეხო, ჩვეულებებს, ქალებს, სახალხო სანახაობებს, ხელოვნებას. ბოლოს კანდიდმა, რომელსაც ყოველთვის მეტაფიზიკისადმი მიდრეკილება ემჩნეოდა, კაკამბოს აკითხვინა— ამ ქვეყანაში აქვთ თუ არა სარწმუნოებაო.<sup>33</sup> მოხუცი ოდნავ გაწითლდა.

— განა,—სთქვა მან,—შეიძლება ამაში ექვი გეპარებოდეთ? ჩვენ უმადურ ადამიანად ხომ არ გვთვლით?

კაკამბომ მოკრძალებით იკითხა, რომელი სარწმუნოება აქვს ელდორადოსო. მოხუცი კიდევ გაწითლდა.

— განა შეიძლება ორი სარწმუნოება არსებობდეს? — სთქვა მან:—მგონია, ჩვენ ის სარწმუნოება გვაქვს, რაც ყველას. მწუხრიდან გარიჟრაჟამდე ღმერთს თაყვანსა ვცემთ.

— მხოლოდ ერთ ღმერთს სცემთ თაყვანს?—იკითხა კაკამბომ, რომელიც კვლავ კანდიდის შეკითხვებს თარგმნიდა.

— აშკარაა,—უპასუხა მოხუცმა,—რომ ღმერთი არც ორი არსებობს, არც სამი, არც ოთხი. უნდა გამოგიტყდეთ, თქვენნი მხრის ადაშიანები ძლიერ უცნაურ კითხვებს იძლევიან.

ამ კეთილ მოხუცს კანდიდი განუწყვეტლივ ეკითხებოდა. მან მოისურვა გაეგო, ღმერთს ელდორადოში რას შესთხოვენო.

— ჩვენ მას არაფერს შევთხოვთ,—სთქვა კეთილმა და პატივცემულმა ბრძენმა,—მასთან სათხოვარი არაფერი გვაქვს რა, მან ჩვენ ყველაფრით დაგვაკმაყოფილა, და დაუსრულეზლად მადლობას ვუძღვნით.

კანდიდმა მღვდლების ნახვა მოისურვა. მან აკითხვინა, სად არიან ისინიო. კეთილმა მოხუცმა გაიღიმა.

— ჩემო შეგობრებო,—სთქვა მან,—ჩვენ ყველანი მღვდლები ვართ: ყოველ დილით მეფე და ყველა ოჯახის მეთაურები, ხუთი თუ ექვსი ათასი მუსიკოსის აკომპანიმენტით, ღმერთს საზეიმო სამადლობელ ჰიზნს უმღერიან.

—როგორ! მაშ, თქვენ არა გყავთ ბერები, რომლებიც ქადაგებენ, კამათობენ, სახელმწიფოს მართავენ, მზაკვრობენ და ყველას, ვინც მათ აზრს არ იზიარებს, სწვავენ.

— ჩვენ ჯერ არ გავგიჟებულვართ,—სთქვა მოხუცმა,—აქ ყველანი ერთი აზრისა ვართ, და არც ვიცი, ბერი რას ეწოდება.

კანდიდი ამ ლაპარაკმა აღტაცებაში მოიყვანა. მან თავისთვის წარმოსთქვა:

— ეს ვესტფალიისაგან და ბატონი ბარონის სასახლიდან ძლიერ განსხვავდება. თუ ჩვენი მეგობარი პანგლოსი ელდორადოს ნახავდა, აღარ იტყოდა ტუნდერ-ტენ-ტროხკის სასახ-

ლე დედამიწაზე საუკეთესო სასახლეაო; აშკარაა; მოგზაურობა სასარგებლო ყოფილა.

ამ გრძელი საუბრის შემდეგ კეთილმა მოხუცმა ექვს ვერძიანი ეტლი შეაბმევინა და ორ მოგზაურს თორმეტი მსახური სასახლემდე გააყოლა.

— მაპატიეთ, — უთხრა მათ მოხუცმა, — რომ ჩემი ასაკი თქვენი თანხლების ბედნიერებას მართმევს. მეფე ისე მიგიღებთ, რომ უკმაყოფილო არ დარჩებით, და ვიმედოვნებ, თუ აქაურ ზნე ჩვეულებებში რაიმე არ მოგეწონებათ, გვაპატიებთ.

კანდიდი და კაკამბო ეტლში ჩასხდნენ; ექვსი ვერძი გაფრინდა, და ოთხი საათი არც კი იყო გასული, რომ სატახტო ქალაქის ბოლოს გაშენებულ მეფის სასახლეს მიაღდგნენ. სასახლის კარიბჭეს ორასოცი წყრთის სიმაღლე ჰქონდა, ასის—სივანე; შეუძლებელი იყო გარკვევა, თუ რა მასალისაგან იყო იგი აგებული. ნათლად კი ჩანდა მასალის მნიშვნელოვანი უპირატესობა იმ ქვებთან და იმ ქვიშასთან შედარებით, რომელსაც ჩვენ ოქროსა და პათიოსან თვლებს ვუწოდებთ.

კანდიდსა და კაკამბოს ეტლიდან ჩამოსვლის დროს ოცი მშვენიერი სფე-ქალი შეეგება, ისინი აბანოსთან მიაცილეს, ტანთ კოლიბრის ბუმბულის ქსოვილის სამოსი ჩააცვეს, რის შემდეგ სტუმრები ტახტის წარჩინებულმა კარისკაცებმა და მანდილოსნებმა მისი უდიდებულესობის დარბაზისაკენ წაიყვანეს; ჩვეულების თანახმად ისინი მუსიკოსთა ორ მწკრივს შორის გაატარეს; თითოეულ მწკრივში ათასი მუსიკოსი უკრავდა.

სატახტო დარბაზში შესვლის წინ კაკამბომ ერთ კარისკაცს ჰკითხა, როგორ უნდა მივესალმოთ მის უდიდებულესობას — მის წინაშე მუხლი უნდა მოვიყაროთ, თუ მიწას მუკლით დავემხოთ? ხელები თავზე უნდა დავიწყოთ თუ ზურგზე? დარბაზის მტვერი ხომ არ უნდა ავლოკოთ? ერთი სიტყვით, მისალმების რა წესი გაქვთ მიღებულიო.

— მიღებულია, — სთქვა კარისკაცმა, — მეფის გადახვევნა და ორივე ლოყაზე კოცნა.

კანდიდი და კაკამბო კისერზე შემოეხვივნენ მის უდიდებულესობას, რომელმაც ისინი უდიდესი მოწყალებით მიიღო და ვახშამზე თავაზიანად მიიპატიჟა.

ვახშმის მოლოდინში მათ ქალაქი დაათვალიერეს. ღრუბლებამდე ატყორცნილი საჯარო შენობები, ათასი კოლონებით შემკული ბაზრები, სუფთა წყლის შადრევნები, ვარდის წყლის შადრევნები, ლერწმის შაქრის ლაქიოჯების შადრევნები განუწყვეტლად გაღმოსჩქებდა დიდ მოედნებზე, რომელთა ქვაფენილი მიხაკისა და დარიჩინის სურნელებას აფრქვევდა.

კანდიდმა ითხოვა უზენაესი სასამართლო, პარლამენტი ეწვენიებინათ. მოახსენეს, რომ ეს დაწესებულებები მათ არ გააჩნდათ და აქ მომჩივარიც არავინ იყო. კანდიდმა იკითხა, გაქვთ თუ არა საპატიმროებიო, უპასუხეს, არაო. კანდიდს უდიდესი გაკვირვება და კმაყოფილება განაცდევინა მეცნიერებათა სასახლემ, რომლის ორი ათასი ნაბიჯის სიგრძის გალერია მათემატიკური და ფიზიკური ხელსაწყოებით იყო მთლად სავსე.

ნაშუადღევს მათ ქალაქის მეთათსედი ნაწილის დათვალიერება ვერც კი მოახწრეს, როდესაც ისინი მეფესთან წაიყვანეს. კანდიდს ერთი მხრით მისი უდიდებულესობა ეჯდა, ხოლო მეორე მხრით მისი მსახური—კაკამბო და მრავალი მანდილოსანი. ჯერ არასდროს და არავის უჭამია ამაზე გემრიელი საჭმელი, და სუფრაზე მის უდიდებულესობაზე მეტი გონება-მახვილობა არავის გამოუჩენია. კაკამბო მეფის მოსწრებულ სიტყვებს კანდიდს უთარგმნიდა, და ეს სიტყვები თავიანთ სიმახვილეს თარგმანშიც კი არ ჰკარგავდნენ. კანდიდს ეს სხვა ყველაფერზე ნაკლებ არ აკვირვებდა.

მათ ამ სტუმართმოყვარე ქვეყანაში ერთი თვე დაჰყვეს. კანდიდი ყოველთვის ეუბნებოდა კაკამბოს:

— ერთხელ კიდევ უნდა ვალიარო, ჩემო მეგობარო, რომ სასახლე, სადაც მე დავიბადე, გაცილებით ცუდია იმ ქვეყანაზე, სადაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, მაგრამ რაც უნდა იყოს, აქ არ იმყოფება ქალბატონი კუხეგონდა; თქვენც ევროპაში, ალბათ, რომელიმე სატრფო დაგრჩათ. ჩვენ თუ აქ დავრჩებით, მხოლოდ აქაურ მცხოვრებლებს დავემსგავსებით; სამაგიეროდ თუ სამშობლოში დავბრუნდებით, ელდორადოს ქვეებით დატვირთული თორჰეტოდე ვერძით, ჩვენ უფრო მდიდარნი ვიქნებით, ვიდრე ყველა მეფე ერთად აღებული.

ჩვენ ინკვიზიტორების შიში უკვე აღარ გვექნება და ქალბატონ კუნეგონდას განთავისუფლებას ადვილად შევძლებთ.

კაკამბოს ეს მოსაზრება მოეწონა. ადამიანს ისე უყვარს მოგზაურობის შეჩვევა სამშობლოში დაბრუნება, სადაც მას მეტი ფასი ეღებება და მოგზაურობის შთაბეჭდილებებით ტრახახის შესაძლებლობა ეძლევა, რომ ორმა ბედნიერმა გადასწყვიტა აღარ ყოფილიყო ბედნიერი. მათ მის უდიდებულესობას ამ ქვეყნიდან გასვლის უფლება სთხოვეს.

— თქვენ სისულელეს ჩადიხართ, — უთხრა მეფემ, — მე კარგად ვიცი, რომ ჩემი ქვეყანა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ თუ კაცო სადმე ხეირიანად ცხოვრობს, სჯობს იქ სამუდამოდ დარჩეს. მართალია, მე არ მაქვს უფლება ჩვენს ქვეყანაში უცხოელების დაკავებისა. ეს იქნებოდა მტარვალობა, რომელიც ჩვენს ჩვევებსა და კანონებს ეწინააღმდეგება: ყველა ადამიანი თავისუფალია, გაემგზავრეთ, როდესაც მოისურვებთ, მაგრამ აქედან გასვლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს; შეუძლებელია გასტუროთ ის სწრაფი მდინარე, რომელიც კლდეების თაღის ქვეშ მიჰქუხს და რომელმაც თქვენ ჩვენთან რაღაც სასწაულით მოგიყვანათ. ჩემი სამეფო გარშემოტყმულია ათი ათასი წყრთის სიმალლის ციკაბო მთებით, თითოეული მთა სიგანით ათ ლიეზე მეტია. ამ მთებიდან მხოლოდ უფსკრულების გზით შეიძლება დაშვება. მაგრამ, რადგან თქვენ წასვლა აუცილებლად გასურთ, მე მანქანათა გამგეებს ვუბრძანებ — გააკეთონ მანქანა, რომელიც ამ მთებზე მშვიდობიანად გადაგიყვანთ. მთების გადასვლის შემდეგ უკვე ვერავინ გაგაცილებთ, რადგან ჩემმა ქვეშევრდომებმა ფიცი დასდეს, არასოდეს სამშობლოს საზღვრებს არ გასცდნენ, და ისინი იმდენად კეთილგონიერნი არიან, რომ ფიცს არ დაარღვევენ. ამის გარდა რაცა გასურდეთ, მთხოვეთ.

— ჩვენ თქვენს უდიდებულესობას ვთხოვთ, — სთქვა კაკამბომ, — მხოლოდ რამდენიმე ვერძს სურსათით, აქაური ქვებით და ტალახით დატვირთულს.

— მე ვერ გამოვია, — სთქვა მეფემ, — ევროპის ხალხს რატომ გიყვართ ჩვენი ყვითელი ტალახი, მაგრამ წაიღეთ რამდენიც გასურდეთ, და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ.



მეფემ დაუყოვნებლივ თავის ინჟინრებს უბრძანა მანქანა გაეკეთებინათ ამ ორი არაჩვეულებრივი ადამიანის სამეფოს საზღვარზე გადასაცვანად. სამი ათასი შესანიშნავი ფიზიკოსი ამუშავდა. თხუთმეტ დღეში გაამზადეს მანქანა, რომელიც ადგილობრივი ფულით ოც ათას ლივრ სტერლინგზე მეტი არ დაჯდა. მანქანაზე კანდიდი და კაკამბო დასვეს, იქვე მოათავსეს ორი დიდი შეკაზმული და აღვირამრდებული წითელი ვერძი, რომელზედაც ისინი მთებზე გადასვლის შემდეგ შესხდებოდნენ, ოცი საპალნის ვერძი—სურსათით დატვირთული; ოცდაათ ვერძს მიჰქონდა ნიმუშები ყოველივე იმისა, რაც ამ ქვეყანას ღირსშესანიშნავი გააჩნდა, ხოლო ორმოცდაათს—ოქრო, პატროსანი თვლები და ალმასები. გამომშვიდობებისას მეფე ამ ორ მოხეტიალეს სიყვარულით გადაეხვია. მეტად მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა მათი გამგზავრება, განსაკუთრებით სტუმრებისა და მათი ვერძების მთის მწვეკრვალზე მანქანებით ოსტატურად აზიდვა.

სამშვიდობოზე გაყვანის შემდეგ ფიზიკოსები სტუმრებს გამოეთხოვნენ, და კანდიდს უკვე სხვა არავითარი სურვილი და მიზანი აღარ გააჩნდა გარდა იმისა, რომ ქალბატონ კუნეგონდასთვის თავისი ვერძები წარედგინა.

— ჩვენ შეგვიძლია, — სთქვა მან. — ბუენოს-აირესის გუბერნატორს ქალბატონი კუნეგონდას საფასური გადაუხადოთ, თუ კი საერთოდ შესაძლებელია მისი შეფასება. შექდეგ კაიენისკენ გაეწიოთ, გეძზე დავსხდეთ და მოვიფიქროთ, თუ რომელი სამეფოს შეყიდვას შევკლებთ.

## თავი XIX

რა შეემთხვავათ მათ სურინამში, და როგორ გაიცინო  
კანდიდმა მარტინი

ჩვენმა მოგზაურებმა პირველი დღე საკმაოდ სასიამოვნოდ გაატარეს. ისინი აზიის, აფრიკისა და ევროპის ერთად თავმოყრილ სიმდიდრეზე მეტ განძს ჰყლობდნენ, და ეს აღფრთოვანებდა მათ.

აღტაცებული კანდიდი ყოველ ხეს კუნეგონდას სახელს აწერდა. მეორე დღეს ორი ვერძი ქაობში ჩაიფლო და

ტვირთიანად შთაინთქა, რამდენიმე დღის შემდეგ ორი სხვა ვერძი დაღლილობისაგან მოკვდა, შვიდსა თუ რვა ვერძს შიშხილისაგან უდაბნოში სული ამოსძვრა; დანარჩენები, რამდენიმე დღის შემდეგ, უფსკრულში გადაიჩეხნენ. ბოლოს, ასი დღის სიარულის შექდეგ, მათ მხოლოდ ორი ვერძი შერჩათ. კანდიდმა უთხრა კაკამბოს.

— ჩემო მეგობარო, თქვენ ხედავთ როგორ წარმავალია ამ ქვეყნიური სიმდიდრე, არაფერია მყარი გარდა სათნოებისა და ქალბატონი კუნეგონდას კვლავ ნახვის ბედნიერებისა.

— გეთანხმებით, — მიუგო კაკამბომ, — მაგრამ ჩვენ ორი ვერძი დაგვრჩენია იმდენი განძით დატვირთული, რამდენიც არასოდეს ესპანეთის მეფეს არ ექნება, და მე შორით ქალაქს ვხედავ, ის მგონი სურინამია, რომელიც ჰოლანდიელებს ეკუთვნის. ჩვენ ტანჯვის დასასრულს და ბედნიერების დასაწყისს ვუახლოვდებით.

ქალაქის მისადგომთან ისინი მიწაზე განრთხმულ ზანგს წააწყდნენ. მას ტანთსაცმელის ნახევარი-ლა შერჩენოდა. ესე იგი ლურჯი ნარმის პერანგის ამხანაგი. ამ საწყალობელს მარცხენა ფეხი და მარჯვენა ხელი აკლდა.

— ეჰ, ღმერთო ჩემო! — მიძართა მას კანდიდმა ჰოლანდიურად, — რა მოგსვლიათ, ჩემო მეგობარო, რამ ჩაგავდოთ ამ შემზარავ მდგომარეობაში.

— მე ჩემს პატრონს ველოდები, ბატონ ვანდერდენდურს<sup>31</sup>, სახელგანთქმულ სოვდაგარს, — უპასუხა ზანგმა.

— ნუთუ ბატონი ვანდერდენდური მოგეპყრო ასე? — ჰკითხა კანდიდმა.

— დიად, ბატონო, — უპასუხა ზანგმა, — ასეთია ადამი. ჩვენ ტანზე ჩასაცმელად წელიწადში ორჯერ ნარმის ერთი პერანგის ამხანაგს გვაძლევენ. თუ ამ შაქრის ქარხანაში მუშაობის დროს დოლაბმა თითი წაგვგლიჯა, მთელს ხელს გვჭკრიან, თუ გაქცევა დავაპირეთ, ფეხს გვჭკრიან. მე ორივე ფათერაკი შემემთხვა. აი, ევროპაში შაქარს რა ფასად მიირთმევთ. როდესაც დედაჩემმა გვინების სანაპიროზე ათ პორტუგალიულ ეკიულ გამყიდა, მითხრა: „ჩემო ძვირფასო ბავშვო, დალოცე ჩვენი კერპები, თაყვანი ეცი ყოველთვის, ისინი შენ

ბედნიერ ცხოვრებას შეგიქმნიან. შენ გხვდა პარტიი ჩვენს თეთრი ბატონების მონად გახდომისა და ამით შენს დედამამს გააბედნიერებ“. საუბედუროდ მე არ ვიცი ისინი გაეაბედნიერებოდა თუ არა, მე კი მათ ვერ გამაბედნიერებს. ძაღლები, თუთიყუშები, მაიმუნები ჩემზე ათასჯერ ბედნიერნი არიან. პოლანდიური კერპები, რომელთაც მე მომარჯულეს, ყოველ კვირადღეს ჩამიჩინებენ, ჩვენ ყველანი ადამის შვილები ვართ, თეთრებიც და შავებიცო. მე გენეალოგიის არაფერი მესმის, მაგრამ თუ ეს მქადაგებლები მართალს ამბობენ, ჩვენ წარმოშობით ყველანი ბიძაშვილები ვყოფილვართ. დამეთანხმებით, რომ არ შეიძლება კაცი ნათესავენს ამაზე შემხარავად ეპყრობოდეს.

— ოჰ, პანგლოს!— შეჰყვირა კანდიდმა, — ეს საზიზღროებანი შენ ვერ განსკვრიტე; გადაწყვეტილია, ბოლოს და ბოლოს საჭიროა შენს ოპტიმიზმს განვუღვე.

— რა არის ოპტიმიზმი?— იკითხა კაკამბო.

— საუბედუროდ, — უპასუხა კანდიდმა, — ეს არის სიგიჟე, რომლის მიხედვით ამტკიცებენ თითქოს ყოველივე კარგი იყოს, როდესაც სინამდვილეში ყოველივე ცუდია.

მან ზანგის წინაშე ცრემლები გადმოაფრქვია და სურინამში ტირილით შედგა ფეხი.

უპირველეს ყოვლისა მათ იკითხეს, ნავსადგურში ხომ არ დგას ხომალდი, რომლის ბუენოს-აირესში გაგზავნა შეიძლებოდა. ის კაცი კი, ვისაც მათ მიმართეს. სწორედ ესპანელი გემისმფლობელი აღმოჩნდა. მან მოგზაურებს შესთავაზა პარტიონსად მორიგებულიყვნენ და ერთ სამიკიტნოში ჰაემანი დაუნიშნა. კანდიდი და ეოთგული კაკამბო თავიანთი ორი ვერძით მასთან შესახვედრად სამიკიტნოში მივიდნენ. გულახდილმა კანდიდმა ესპანელს თავისი თავგადასავალი უამბო და გამოუტყდა. რომ ქალბატონ კუნეგონდას მოტაცებას აპირებდა.

— მე თქვენ ბუენოს-აირესში ვერ ჩაგიყვანთ, ეს ჩემი თავის განწირვა იქნება, — სთქვა კაკიტანმა, — მეც ჩამომახრჩობენ და თქვენც. მშვენიერია კუნეგონდა ბატონ გუბერნატორის უსაყვარლესი ხარკაა. ამ სიტყვებმა კანდიდს მეხი დასცა. მან დიდხანს იტირა, შემდეგ კაკამბო განზე გაიხმო.

— აი, ჩემო მეგობარო, — უთხრა მან, — რა უნდა გააკეთო შენ. ჩვენ თითოეულს ჯიბეში ხუთი თუ ექვსი მილიონის ალმასები გვაქვს; შენ ჩემზე გამჭირახი ხარ, კუნეგონდას წამოსაყვანად ბუენოს-აირესში შენ წადი. თუ გუბერნატორი გაჯიუტდება, ერთი მილიონი მიეცი; თუ კიდევ უარს იტყვის, ორი მილიონი მიეცი. ინკვიზიტორი შენ არ მოგიკლავს და საშიშიც არაფერი გაქვს. მე მეორე ხომალდს შევამზადებ, ვენეციაში გაემგზავრები და იქ დაგელოდები. ვენეცია თავისუფალი ქვეყანაა, სადაც ადამიანს არც ბულგარელების ეშინია, არც ავარიელების, არც ებრაელების, არც ინკვიზიტორების.

კაკამბომ ეს ბრძნული გადაწყვეტილება შეაქო. იგი თავის კეთილ ბატონთან განშორების აზრმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ვინაიდან ბატონი მისი ახლობელი მეგობარი გახდა; მაგრამ იმ აზრმა, რომ იგი კანდიდისთვის საჭირო იყო, მისი გულისტკივილი შეამსუბუქა. ისინი ცრემლების ფრქვევით გადაეხვივნენ ერთმანეთს; კანდიდმა კაკამბოს სთხოვა კეთილი დედაბერიც არ დაევიწყნა. კაკამბო იმ დღესვე გაემგზავრა: ძლიერ გულკეთილი ადამიანი იყო ეს კაკამბო.

კანდიდი ერთხანს სურინამში დარჩა და ძებნა დაუწყო კაპიტანს, რომელიც მას და მის ორ გადარჩენილ ვერძს იტალიაში წაიყვანდა. კანდიდმა მსახურები აიყვანა, იყიდა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. ბოლოს მას დიდი ხომალდის პატრონი ბატონი ვანდერდენდური წარუდგა.

— რამდენს ითხოვთ, — ჰკითხა ამ კაცს კანდიდმა, — ჩემი მსახურების, ჩემი ბარგისა და ამ ორი ვერძის პირდაპირ ვენეციაში წაყვანისათვის?

პატრონი ათი ათას პიასტრს დათანხმდა. კანდიდი არ შევაპრებია.

— დახეთ, — თავისთვის სოქვა ჭკუადამჯდარმა ვანდერდენდურმა, — ეს უცხოელი ათი ათას პიასტრს როგორ უყოყმანოდ იძლევა! — ალბათ ძალიან მდიდარია.

ცოტახნის შემდეგ ის კანდიდთან დაბრუნდა და განუცხადა, ოცი ათას პიასტრზე ნაკლებ ვერ წაგიყვანო.

— კარგი, თქვენ ამ თანხას ძიილებთ, — სთქვა კანდიდმა.

— აჰა!—თავისთვის წაილაპარაკა ვაჭარმა,—ეს კაცი ოცი ათას პიასტრს იქვე არხეინად იძლევა, როგორც ათი ათასს. იგი კვლავ ბრუნდება და ამბობს, თუ ოცდაათი ათასი პიასტრი არ მივიღე, გამგზავრებას ვერ შევძლებო.

— კარგი, თქვენ წილებთ ოცდაათი ათას პიასტრს,—უბასუხა კანდიდმა.

— დახე!—კვლავ თავისთვის ამბობს ჰოლანდიელი ვაჭარი,—ამ კაცს ოცდაათი ათასი პიასტრი არაფრად უღირს. უმჯობესია, ეს ორი ვერძი უდიდესი განძით არია დატვირთული. ძალას ნულარ დავატანთ. ჯერ ოცდაათი ათასი პიასტრი გადავახდევინოთ და შემდეგ ვნახოთ.

კანდიდმა ორი პატარა ალმასი გაჰყიდა, რომელთაგან უფრო პატარა იმ თანხაზე ნეტი ღირდა, რასაც კაპიტანი მოითხოვდა. კანდიდმა მას წინასწარ გადაუხადა ფული. ორი ვერძი გემზე აიყვანეს. კანდიდი მათ პატარა ნავით გაჰყვა, რათა რეიდზე მდგარ გემზე დამჯდარიყო. კაპიტანი ამ ნავის მოახლოვებამდე აფოებს სწრაფად აუშვებს და გზას გაუდგება. ქარი ხელს უწყობს. დაბნეული და გაშტერებული კანდიდი გემს ჩქარა მხედველობიდან ჰკაოგავს.

— ვაი! — შეჰყვირა მან,—აი, ოინი საკადრისი ძველი ქვეყნისა.

იგი ნაპირზე დაბრუნდა დიდად დამწუხრებული, ვინაიდან დაჰკარგა განძი, რომელიც ოც ხელმწიფეს გაამდიდრებდა. კანდიდი ჰოლანდიელ მოსამართლესთან მიდის და, რადგან ოდნავ აუღლებულია, კარზე მაგრად აბრაზუნებს; მოსამართლესთან შედის, თავის ფათერაკს უამბობს და ცოტა უფრო ხმაოდლა ყვირის, ვიდრე ეს მიღებულია. მოსამართლემ, უპირველეს ყოვლისა, იგი ხმაურისათვის ათი ათას პიასტრით დააჯარიმა. შემდეგ მოთმინებით მოუსმინა და დაჰპირდა, ამ საქმეს ვაჭრის დაბრუნებისთანავე გამოვარკვევო, და სასამართლოს ხარჯებისთვის კიდევ ათი ათასი პიასტრი გადაახდევინა.

ამ საქციელმა კანდიდს მწუხარება გაულრმავეა: მართალია, მან ათასჯერ უფრო მეტად საგრძნობი უბედურებანი გადაიტანა, მაგრამ მოსამართლის და ქურდი კაპიტანის გულცივობამ კანდიდს გული დაუთუთქა და იგა შავ მელანქოლიაში ჩასძირა. მისი გონება ადამიანთა ბოროტების მთელ სიმახინჯეს

ჩასწვდა. მას მხოლოდ სევდიანი ფიქრები უტრიალებდა თავში. ბოლოს, ბორღოში წასასვლელად გამზადებულ ფრანგულ გემზე კანდიდმა, რომელსაც აღმასებით დატვირთული ვერძები აღარ ჰყავდა, ზომიერ ფასში ერთი კაიუტა დაიქირავა და ქალაქში გამოაცხადა, რომ იგი მგზავრობის და საკვების ხარჯებს გადაუხდიდა და ორი ათას პიასტრს მისცემდა იმ პატიოსან ადამიანს, რომელიც მასთან ერთად გამგზავრებას მოისურვებდა. მხოლოდ ეს კაცი ამ მხარეში აუცილებლად ყველაზე იმედგაცრუებული უნდა ყოფილიყო და ყველაზე უბედური.

კანდიდთან მსურველების გროვა გამოცხადდა, მათ მთელი ფლოტიც კი ვერ დაიტევდა. გარეგნობის მიხედვით კანდიდმა ოციოდე ადამიანი შეარჩია. ისინი საკმაოდ თავაზიანი ჩანდნენ და ყველანი თავს არჩევანის ღირსად სთვლიდნენ. კანდიდმა მათ ერთ სამიკიტროში მოუყარა თავი, ვახშმით გაუმასპინძლდა და ფიცი დაადებინა, რომ მათ თავთავისი თავგადასავალი გულწრფელად ეამბნათ; თავის მხრივ კანდიდმა პირობა დასდო, ამოერჩია ის ადამიანი, რომელიც ყველაზე შესაბრალი და თავის მდგომარეობით ყველაზე უკმაყოფილო აღმოჩნდებოდა, დანარჩენები კი მცირეოდენი თანხით უნდა დაეჯილდოებინა.

სხდომამ დილის ოთხ საათამდე გასტანა. კანდიდი ყოველ თავგადასავლის მოსმენისას იგონებდა დედაბერის სიტყვებს, ნათქვამს ბუენოს-აირესისკენ მგზავრობის დროს, და აგრეთვე მის სანაძღვოს, რომ დედამიწაზე არ არის არც ერთი ადამიანი, რომელსაც დიდი უბედურება არ განეცადოსო. ყოველი თავგადასავლის მოსმენა კანდიდს პანგლოსს აგონებდა.

— ნეტავ აქ იყოს ახლა პანგლოსი, — ამბობდა იგი, — როგორ გაუძნელდებოდა თავისი სისტემის დასაბუთება! უდავოა, რომ ყოველივე კარგად მხოლოდ ელდორადოში მიიმართება და არა დედამიწის დანარჩენ ნაწილზე.

- ბოლოს კანდიდმა არჩევანი ერთ საწყალ მეცნიერზე შეაჩერა. ამ მეცნიერს ათი წელი წიგნის ვაჭრებისათვის ემუშავნა ამსტერდამში და საბოლოოდ დაესვენა, რომ ამ ქვეყნად ამაზე თავმომაბეზრებელი ხელობა არ არსებობდა. ეს მეცნიერი,

რომელიც დიდად გულკეთილი ადამიანი იყო, ცოლს გაექუ-  
რდა, ვაჟიშვილს გაელახა, ხოლო ქალიშვილს მიეტოვებინა.  
ეს უკანასკნელი ერთ პორტუგალიელ მამაკაცთან გაქვეუ-  
ლიყო. მეცნიერი ახლახან მოეხსნათ უმნიშვნელო თანამდე-  
ბობიდან, რომლითაც თავს ირჩენდა, და სურინამის მქადაგებ-  
ლები მას სოცინიელობისთვის<sup>33</sup> სდევნიდნენ.

უნდა გამოვტყუდეთ, რომ დანარჩენებიც მასავით უბედუ-  
რები იყვნენ, მაგრამ კანდიდი იმედოვნებდა, მეცნიერი მოგზა-  
ურობის დროს გამართობსო. დანარჩენა მეტოქეებმა კანდიდის  
საქციელი მეტად უსამართლოდ ჩასთვალეს, მაგრამ კანდიდმა  
თითოეული მათგანი ასი პიასტრით დააჯილდოვა და დააშოშ-  
მინა.

## თავი XX

### რა შეემთხვამათ ზღვაზე კანდიდს და მარტენს

მოხუცი მეცნიერი, რომელსაც სახელად მარტენი ერქვა,  
კანდიდთან ერთად ბორდოში გაემგზავრა. ერთსაც და  
მეორესაც ბევრი ენახათ, ბევრი განეცადათ, და თუნდ ხო-  
მალდს სურინამიდან იაპონიამდე ეცურა კეთილი იმედის კონ-  
ცხის გავლით, მათ ზნეობრივ და ფიზიკურ ბოროტებაზე  
სალაპარაკო მაინც არ დაეღვოდათ.

მარტენთან შედარებით კანდიდს ერთი დიდი უპირატესობა  
ჰქონდა—მას ქალბატონი კუნეგონდას ნახვის იმედი არ დაჰ-  
კარგოდა, მარტენს კი უკვე აღარაფრის იმედი არ ჰქონდა;  
კანდიდს, გარდა ამისა, ოქრო და აღმასები გააჩნდა, თუმცა  
დედამიწის უდიდესი განძი დატვირთული ასი დიდი წითელი  
ვერძი დაჰკარგა, თუმცა ჰოლანდიელი ვაჭრის გაიძვერობა  
მუდამაჟამს გულზე ლოდად აწვა, ამისდამიუხედავად, როდეს-  
საც თავის ჯიბეებში დარჩენილ განძს წარმოიდგენდა და  
კუნეგონდაზე ალაპარაკებოდა, განსაკუთრებით ჭამის შემ-  
დეგ. მაშინ იგი პანგლოსის სისტემის სასარგებლოდ იხრე-  
ბოდა.

— თქვენ, ბატონო მარტენ, — ჰკითხა მან მეცნიერს, — რას  
ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ? რა აზრისა ხართ სულიერ  
და ფიზიკურ ბოროტებაზე?

— ბატონო, — უპასუხა მარტენმა — მღვდლებმა სოცინიელო-  
ბაში ბრალი დამდეს, თუმცა სინამდვილეში მანიქვეელი<sup>36</sup> ვარ.

— თქვენ დამცინით, — სთქვა კანდიდმა, — მანიქვეელები ამ  
ქვეყნად აღარ არსებობენ.

— მე გახლავართ მანიქვეელი, — მიუგო მარტენმა, — არ ვიცი  
რა ვქნა, სხვაგვარად ფიქრი არ შემიძლია.

— მაშ თქვენს სხეულში ეშმაკი დაბუდებულია, — სთქვა კან-  
დიდმა.

— იგი ისე ძლიერ ერევა ამ ქვეყნის საქმეებში, — უპასუხა  
მარტენმა, — რომ მას ისევე შეეძლო ჩემს სხეულში დაებუდე-  
ბინა, როგორც სხვაგან; მაგრამ გარწმუნებთ, როდესაც  
დედამიწის ამ ბურთს ვუნზერ ან, უფრო სწორედ, ამ ბურთუ-  
ლას, მე ვფიქრობ, რომ ღმერთმა იგი რომელიღაც ბოროტ  
არსებას მიუტოვა; ელდორადოს ყოველთვის გამონაკლისად  
ვთვლი. მე ჯერ არ მინახავს ქალაქი, რომელიც მეზობელი  
ქალაქის დანგრევას არ ნატრობდეს, არც ოჯახი, რომელსაც  
რომელიმე სხვა ოჯახის განადგურება არ სურდეს. ყველგან  
სუსტებს ძლიერები ეზიზღებათ და მაინც მათ ფერხთა მტვერს  
ლოკავენ, ძლიერნი კი სუსტებს ეპურობიან ვით ცხვრის  
ფარას, რომლის მატყლსა და ხორცს ჰყიდიან. ერთი მილიონი  
შეკავშირებული მკვლელი ევროპის ერთი ბოლოდან მეორემდე  
დათარეშობს და ლუქა-პურის მოსაპოვებლად მკვლელობას  
და ძარცვას მოწესრიგებულად ახდენს, რადგან ამაზე პატი-  
ოსანი ხელობა არ იცის. იმ ქალაქებში, სადაც თითქოს  
მშვიდობიანობით ტკბებიან და სადაც ხელოვნებანი აყვავე-  
ბული არიან, ადამიანებს შური, ზრუნვა და მოუსვენრობა  
უფრო მეტად ნთქავთ, ვიდრე ალყაშემორტყმული ქალაქის  
მცხოვრებლეს — გაჭირვება. საიდუმლო მწუხარება კიდევ უფრო  
ულმობელია, ვიდრე გამომქლავნებული. ერთი სიტყვით, მე  
იმდენი ვნახე, იმდენი განვიცადე, რომ მანიქვეელი გავხდი.

— სიკეთე მაინც არსებობს, — უპასუხა კანდიდმა.

— შეიძლება არსებობდეს, — მიუგო მარტენმა, — მაგრამ მას  
არ ვიცი.

ამ კამათის დროს მათ ზარბაზნის სროლის ხმა შემოესმათ,  
ხმა თანდათან გაძლიერდა. ყველა თავის ჯოგრიტს დასწვდა:



შეამჩნიეს, რომ დაახლოებით სამი მილის დაშორებით ორი ხომალდი ერთმანეთს ებრძოდა. ქარმა ორთავე ფრანგულ გემთან ისე ახლოს მიიყვანა, რომ ბრძოლის შეხედვა თავისუფლად შეიძლებოდა; ბოლოს, ერთმა გემმა მეორეს ზუსტად დაუმიზნა, ესროლა და ჩასძირა. კანდიდმა და მარტენმა ჩაძირული გემის ბანზე ასამდე კაცი შენიშნეს, მათ ყველას ხელები ცისკენ აღეპყროთ და შემზარავად ჰკიოდნენ. ერთ წამში ყველაფერი ზღვაში შთაინთქა.

— ხომ ხედავთ,—სთქვა მარტენმა,—როგორ ეპყრობიან ადამიანები ერთმანეთს.

— მართალია,—უპასუხა კანდიდმა,—ამ საქმეში რალაც ეშმაკისეული ურევია.

ამ ლაპარაკში მან შეამჩნია, რომ ზღვაში რალაც წითელი ანათებდა და გემისკენ მოცურავდა. ნავი ჩაუშვეს და მის სანახავად გაეშურნენ. ეს იყო კანდიდის ერთი ვერძთაგანი. ამ ვერძის პოვნით გამოწვეული სიხარული მრავალჯერ აღემატებოდა იმ მწუხარებას, რომელიც კანდიდმა ელდორადოს მსხვილი აღმასებით დატვირთული ასი ვერძის დაკარგვის გამო განიცადა.

ფრანგმა კაპიტანმა ჩქარა შენიშნა, რომ იმ გემის კაპიტანი, რომელმაც მეორე გემი ჩასძირა, ეპანელი იყო, ხოლო ჩაძირული გემის პატრონი—ჰოლანდიელი მეკობრე; ეს ის იყო, ვინც კანდიდი გაჰქურდა. უდიდესი სიმდიდრე, რომელიც ამ ავაზაკმა ხელში ჩაიგდო, მასთან ერთად ზღვაში ჩაამარხა, და მხოლოდ ერთი ვერძი გადაარჩა.

— ხომ ხედავთ,—უთხრა კანდიდმა მარტენს,—დამნაშავე ხანდახან ისჯება; ამ არამზადა ჰოლანდიელ კაპიტანს ღირსეული ბედი ეწვია.

— დიალ,—უპასუხა მარტენმა,—მაგრამ განა საჭირო იყო, რომ მისი გემის მგზავრებიც მ.სთან ერთად დალუპულიყვნენ? ღმერთმა ეს ავაზაკი დასაჯა, დანარჩენები ეშმაკმა დაახრო.

ამ დროს ესპანურმა და ფრანგულმა გემებმა თავთავისი გზა განაგრძეს, ხოლო კანდიდმა მარტენთან მუსაიფი განაახლა. ხუთმეტ დღეს განუწყვეტლივ კამათობდნენ და ხუთმეტ დღის ბოლოს იმავე წერტილზე იდგნენ, რომელზედაც—პირველ

დღეს. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ისინი საუბრობდნენ, ერთმანეთს საკუთარ აზრებს უზიარებდნენ, თავს იქცევდნენ. კანდიდი თავის ვერძს უაღერსებდა.

— რადგან შენ გიპოვნე, — ეუბნებოდა იგი, — კუნეგონდასაც აუცილებლად ვიპოვნი.

## თავი XXI

კანდიდი და მარტინი საფრანგეთის ნაპირებს უახლოვდებიან და მსჯელობენ

საფრანგეთის ნაპირები გამოჩნდა.

— ყოფილხართ თუ არა თქვენ ოდესმე საფრანგეთში, ბატონო მარტენ? — იკითხნ კანდიდმა.

— დიალ, უპასუხა მარტენმა, — საფრანგეთის მრავალი კუთხე შემოვიარე. ზოგ კუთხეში მოსახლეობის ნახევარი გიყია; ზოგან — მეტად ცბიერი; ზოგან — კეთილი, მაგრამ გონებაჩლუნგი; ზოგან ცდილობენ გონებამახვილნი გამოჩნდნენ; ყველგან კი ხალხის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სიყვარული, შემდეგ ავყიაობა და ამის შემდეგ კი უაზრო ლაქლაქი.

— ბატონო მარტენ, პარიზი გინახავთ?

— დიალ, მინახავს, იგა ყველა ამ თვისებითაა დაჯილდოვებული; პარიზი — ეს არის ორომტრიალი, ეს არის ქყლეტა-სრესა, სადაც ყველა სიამოვნებას ეძებს და თითქმის ვერავენ პოულობს; ყოველ შემთხვევაში, მე ასე შევნიშნე. მე იქ ცოტახაბს დაყავი; ამ ქალაქში ჩასვლისთანავე წმინდა ჟერმენის ბაზრობაზე ქურდ-ბაცაცებმა გამქურდეს. მე თვით ქურდად ჩამთვალეს და რვა დღე ციხეში ჩამსვეს. ამის შემდეგ გამომცემლობაში კორექტორად ვმუშაობდი, რათა ფული შემეგროვებინა და ჰოლანდიაში ფეხით წავსულიყავი. აქ მე გავიცანი ნაძირალთა ბრბო მწერლებისა, გაიძვერებისა და კონვულსიონერებისა.<sup>27</sup> ამბობენ, ამ ქალაქში ფრიად განათლებული და ზრდილობიანი ხალხიც ცხოვრობსო; მე მსურს ეს დავიჯერო.

— მე კი საფრანგეთის ნახვის არავითარი სურვილი არ მაქვს, — სთქვა კანდიდმა, — ადვილი მისახვედრია, რომ ელდო-

რადღობი ერთი თვის გატარების შემდეგ ადამიანს სხვა არაფრის ნახვა არ მოუწოდება, გარდა ქალბატონი კუნეგონდასი. ვენეციაში მივემგზავრები, რათა იქ ქალბატონ კუნეგონდას დაველოდო. საფრანგეთიდან იტალიაში გავემგზავრები, ხომ წამომყვებით თან?

— დიდი სომოვნებით, — სთქვა მარტენმა, — ამბობენ, ვენეცია მხოლოდ ვენეციელი ნობილებისთვის<sup>38</sup> არის კარგიო, მაგრამ ამავე დროს დასძენენ, რომ იქ გულლიად იღებენ უცხოელებს თუ ისინი მდიდარნი არიან; მე ფული არ გამაჩნია, სამაგიეროდ თქვენა გაქვთ, და მე თქვენ ყველგან გამოგყვებით.

— მართლა, — მიმართა კანდიდმა მარტენს, — თქვენ გჯერათ, რომ მიწა დასაბამიდან ზღვა იყო, როგორც ამას ხომალდის კაპიტანის დიდი წიგნი<sup>39</sup> გვიმტკიცებს.

— ამის მე ისე არაფერი მჯერა, — მიუგო მარტენმა, — როგორც მთელი იმ ზღაპრებისა, რომლებსაც კარგა ხანია ჩვენ გვიამბობენ.

— მაშ, ეს ქვეყანა რისთვის არის შექმნილი? — იკითხა კანდიდმა.

— ჩვენს გასაცოფებლად, — უპასუხა მარტენმა.

— განა არ გაგაკვირვებთ ორი ზაიქუნის მიმართ ორელიონელი ორი ქალიშვილის სიყვარულმა, რომელთა შესახებ მე ვიამბებთ?

— სრულებითაც არა, — სთქვა მარტენმა, — ამ ვნებაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ; მე იმდენი საკვირველი რამ მინახავს, რომ უკვე აღარაფერი მაკვირვებს.

— თქვენ როგორ გგონიათ, — სთქვა კანდიდმა, — ადამიანები ასევე ხოცავდნენ ყოველთვის ერთმანეთს, როგორც დღეს? ნუთუ ისინი ყოველთვის მატყუარები იყვნენ, თვალთმაქცები, ვერაგები, უმადურები, ავაზაკები, უმწეონი, თავპარიანები, მხდალები, შურიანები, ღორბუცელები, ლოთები, ძუნწები, პატივმოყვარენი, სისხლისმსმელები, ცილისმწამებლები, გარყვნილები, ფანატისები, ფარისევლები და სულელები?

— თქვენ როგორ გგონიათ, — უთხრა მარტენმა, — განა ქორები ყოველთვის არ სჭამდნენ მტრელებს, რომელთაც იჭერდნენ?

— დიად, რა თქმა უნდა სჭამდნენ, — უპასუხა კანდიდმა.

— კარგი, — სთქვა მარტენმა, — თუ ქორებს ყოველთვის ერთ-ნაირი ზნე ჰქონდათ, რატომ გსურთ, რომ ადამიანებმა თავისი ხასიათი შეიცვალონ?

— ჰო, — მიუგო კანდიდმა. — დიდი განსხვავება არსებობს, რადგან ნების თავისუფლება...

ამგვარი მსჯელობით იმათ ბორდოს მიაღწიეს.

## თავი XXII

რა უმეცემობათ საფრანგეთში კანდიდს და მარტენს

ბორდოში კანდიდმა მხოლოდ იმდენხანს დაჰყო, რამდენიც საჭირო იყო ელდორადოს რამდენიმე პატიოსანი თვლის გასაყიდად და ორადგილიანი ეტლის საშოვნელად. ეტლის მეორე ადგილი მარტენისთვის იყო განკუთვნილი, რადგან კანდიდს ამ ფილოსოფოსის გარეშე ყოფნა უკვე აღარ ძალუძდა; კანდიდს ანაღვლიანებდა განზორება თავის ვერძთან, რომელიც მან ბორდოს მეცნიერებათა აკადემიას აჩუქა. აკადემიამ გამოაცხადა, რომ იმას, ვინც გამოიკვლევდა თუ რატომ იყო ამ ვერძის მატყლი წითელი, წლევეანდელი პრემია მიეცემოდა. ჯილდო მიაკუთვნეს ერთ ჩრდილოეთელ მეცნიერს, რომელმაც A პლიუს B მინუს C გაყოფილი Z-ის საშუალებით დაამტკიცა, რომ ვერძი წითელი უნდა ყოფილიყო და ცხვრის ყვავილით უნდა მომკვდარიყო.

გზისპირა სამიკიტნოებში შეხვედრილი ყველა მგზავრი კანდიდს ეუბნებოდა:

— ჩვენ პარიზს მივემგზავრებით.

ამ საერთო მისწრაფებამ მას ბოლოს ამ სატახტო ქალაქის ნახვის სურვილი აღუძრა. ვენეციაში მიმავალი პირდაპირი გზიდან ცოტაოდენი გადახვევა დასჭირდათ.

კანდიდი პარიზში წმინდა მარსოს გარეუბნით შევიდა და მას მოეჩვენა, რომ ვესტფალიის ყელაზე უბადრუკ სოფელში იმყოფებოდა. დაბინავდა თუ არა ერთ სასტუმროში, დაღლილობისგან შეუძლოდ გახდა. ვინაიდან მის თითზე უშველებელი აღმასი ბრწყინავდა და მის ეტლში საოცრად მძიმე ყუთს მოჰკრეს თვალი, მასთან მაშინვე ორი დაუპატიებელი ექიმი გაჩნდა, რამდენიმე ახლობელი მეგობარი, რომლებიც მას აღარ

სცილდებოდნენ, და ორი ღვთისმოსავი ქალი, რომლებიც მას წვენს უთბობდნენ. მარტენი ამბობდა:

— მახსოვს, პარიზში პირველი მგზავრობის დროს ავად გავხდი; ძლიერ ღარიბი გახლდით, ამიტომ არც მეგობრები დამტრიალებდნენ თავს, არც ღვთისმოსავი ქალები, არც ექიმები და მაინც განვიკურნე.

ამასობაში, ექიმებისა და სისხლის გამოშვების წყალობით კანდიდის ავადმყოფობა გართულდა. სასტუმროს ერთმა მუდმივმა სტუმარმა კანდიდს თავაზიანად ფული ესესხა თამასუქით, რომელსაც თამასუქის წარმდგენელს საიქიოში გაუნადღებდა. კანდიდმა უარი უთხრა. ღვთისმოსავი ქალები არწმუნებდნენ, ეს ახალი მოდააო. კანდიდმა უპასუხა, სრულიად ცივ მოდის მიმდევარი არ ვარო. მარტენმა სტუმრის თანჯრიდან გადაგდება მოისურვა. კლირიკოსმა დაიფიცა, კანდიდს დასაფლავებას არ აღირსებენო. მარტენმა კლირიკოსს დაუფიცა, თვით შენ დაგასაფლავებ თუ არ დაგვეხსნებიო. ჩხუბი გაჩაღდა. მარტენმა კლირიკოსს მხრებში ხელი ჩააგლო და გადაადლო. ამის გამო დიდი აურზაური ატყდა, და მას ოქმიც შეუყენეს.

კანდიდი განიკურნა; სანამ კანდიდი ძალ-ღონეს იკრებდა, მასთან ვახშმად რჩეული საზოგადოება იყრიდა თავს. ბანქოს დიდ თანხაზე თამაშობდნენ. კანდიდს ძლიერ უკვირდა, რომ არასოდეს კიკო არ მოსდიოდა; მარტენს კი ეს სრულებითაც არ უკვირდა.

კანდიდის პატივცემელთა შორის ერთი პატარა პერიგოელი აბატი იმყოფებოდა—ერთი იმ დაუზარებელ ადამიანთაგანი, რომელნიც ყოველთვის მზად არიან სამსახურის გასაწევად, ურცხვნი, პირფერნი, დამთმობნი. ისინი მუდამ ახლადჩამოსულ უცხოელებს უთვალთვალებენ, მათ სკანდალურ ამბებს უაძვობენ და ყოველგვარ გასართობებს სთავაზობენ.

პერიგოელმა კანდიდი და მარტენი ჯერ თეატრში წაიყვანა. იქ ახალ ტრაგედიას ასრულებდნენ. კანდიდის გვერდით რამდენიმე მამაკაცი იჯდა, რომელნიც გონებამახვილ ადამიანებად ითვლებოდნენ. ამ მდგომარეობამ კანდიდს ხელი არ შეუშალა სრულყოფილად შესრულებული სცენების დროს ეტირანა. ერთ ერთმა ამ კკუის კოლოფთავანმა კანდიდს მიმართა:

— თქვენ სულ ტყუილ-უბრალოდ იტირეთ. ეს მსახიობი ქალი ძლიერ ცუდია, მსახიობი კაცი, როზელიც ამ ქალთან თამაშობდა, მასზე უარესია, ხოლო პიესა ამ მსახიობებზე უარესი. ავტორმა არაბული ენის ერთი სიტყვაც არ იცის, მოქმედება კი არაბეთში ხდება.<sup>40</sup> უფრო მეტს მოგახსენებთ, ამ ადამიანს თანდაყოლილი იდეების<sup>41</sup> არათფერი სწამს რა; ხვალ მის საწინააღმდეგოდ დაწერილ ოც ბროშურას მოგიტანთ.

— ბატონო, საფრანგეთში თეატრისთვის რამდენი პიესაა დაწერილი? — ჰკითხა კანდიდმა აბატს.

აბატმა უპასუხა: — ხუთი თუ ექვსი ათასი.

— ეს ბევრია, — სთქვა კანდიდმა, — მათ შორის რამდენია კარგი?

ხუთმეტი თუ თექვსმეტი, — უპასუხა აბატმა.

— ეს ბევრია. — სთქვა მარტენმა.

კანდიდი ძლიერ კმაყოფილი დარჩა ერთი მსახიობი ქალით; იგი ელისაბედ დედოფლის როლს ასრულებდა ერთს საკმაოდ უფერულ ტრაგედიაში, რომელსაც სანდახან დგამდნენ თეატრში.

— ეს მსახიობი ქალი, — უთხრა მან მარტენს, — ძლიერ მომწონს; იგი ოდნავ ქალბატონ კუნეგონდას ჰგავს. მეტად მოხარული ვიქნებოდი მისი გაცნობისა.

პერიგოელმა კანდიდს ამ ქალის გაცნობა შესთავაზა. გერმანიაში აღზრდილმა კანდიდმა იკითხა, როგორი ეთიკეტის დაცვაა საჭირო და საფრანგეთში ინგლისელ დედოფლებს როგორ ეპყრობიანო.

— მდგომარეობისდა მიხედვით, — უპასუხა აბატმა, — პროვინციაში მათ საიკიტნოში ეპატიებებიან; პარიზში. სანამ ლამაზები არიან მათ თავაზიანად ეპყრობიან, სიკვდილის შემდეგ კი სანაგვეში ჰყრიან ხოლმე.

— დედოფლებს სანაგვეში! — შესძახა კანდიდმა.

— დიაღ, სრული ქეშმარიტებაა. — დაძინა მარტენმა, — ბატონი აბატი მართალია. მე პარიზში ვიყავი, როდესაც ქალბატონი მონაჟა სააქაოდან, როგორც იტყვიან, საიქიოში გადავიდა,<sup>42</sup> მას უარი უთხრეს მასზე, რასაც ხალხი დასაფლავების პატივს უწოდებს, ესე იგი, რომ ერთ უბადრუკ სასაფლაოზე

უბნის მაწანწალებთან ერთად დამპალიყო. იგი ამხანაგებმა ბურგონის ქუჩის კუთხეში დაასაფლავეს განმარტოებით; მის ალბათ ამ მსახიობ ქალს უსაზღვრო მწუხარებას მიაყენებდა— მას მეტად კეთილშობილი სული ჰქონდა.

— ეს დიდი უზრდელობაა, — სთქვა კანდიდმა.

— რას იზამთ, — უპასუხა მარტენმა, — ეს ხალხი ამგვარად არის შექმნილი. წარმოიდგინეთ ყველა შესაძლებელი წინააღმდეგობანი, ყველა შესაძლებელი შეუსაბამობანი და თქვენ მათ ამ უცნაური ერის სახელმწიფოში, სასამართლოებში, ეკლესიებში შეხვდებით.

— ნუთუ პარიზში ყოველთვის იცინიან? — იკითხა კანდიდმა.

— დიად, — მიუგო აბატმა, — მაგრამ იცინიან გაბრაზებით, აქ ყველაფერზე სიცილით გამოსთქვამენ უკმაყოფილებას; ბილწ საქმეებსაც სიცილითვე სჩადიან.

— ვინ არის, — შეეკითხა კანდიდი აბატს, — ეს მსუქანი ღორი, ესოდენ რომ ჰკიცხავდა პიესას, რომელმაც მე იმდენი მატირა, და მსახიობებს, რომელთაც ესოდენი სიამოვნება განმაცდევინეს?

— ეს ერთი ბოროტი ადა<sup>2</sup>იანია, — უპასუხა აბატმა, — იგი არსებობის წყაროს პიესებისა და წიგნების ლანძღვით პოულობს. მას სძულს ყველა, ვინც წარმატებას აღწევს, ვით საქურისებს სძულთ ადამიანები, რომლებიც სიცოცხლით სტკებნიან; ეს არის ლიტერატურის იმ ქვეწარმავალთაგანი, რომელიც შხამით და ზინძით იკვებება; ეს არის მჯღაბნელი.

— რას უწოდებთ თქვენ მჯღაბნელს? — ჰკითხა კანდიდმა.

— ეს არის, უპასუხა აბატმა, გაზეთების მცხობელი — ფრე-რონი.<sup>43</sup>

წარმოდგინის შემდეგ, თეატრის კბეზე კანდიდი, მარტენი და პერიგოელი ამგვარად მსჯელობდნენ და თან ხალხის დაშლას უმზერდნენ.

— მართალია, ქალბატონ კუნეგონდას ნაქვას მე მოუთმენლად ველი სთქვა კანდიდმა — მაინც სიამოვნებით ვივახზმებდი ქალბატონ კლერონთან. <sup>44</sup> იგი ძლიერ მომხიბლავი მეჩვენა.

აბატი არ იყო დაახლოებული ქალბატონ კლერონთან, რომელიც მხოლოდ რჩეულ საზოგადოებაში ტრიალებდა.

— იგი ამ საღამოს სხვაგან არის მიწვეული, — სთქვა აბატ-

მა,—სამაგიეროდ, თუ პატივს დამდებთ და წამომყვებით, მე ერთ მაღალი წრის მანდილოსანთან მიგიყვანთ, მის სახლში ისე გაეცნობით პარიზს, თითქოს აქ ოთხი წელიწადი გეცხოვროთ.

კანდიდი ბუნებით ცნობისმოყვარე გახლდათ; იგი აბატს წაჰყვა წმინდა ჰონორეს უბანში, სადაც მანდილოსანი ცხოვრობდა. იქ ფარაონს თამაშობდნენ. თორმეტ მკმუნვარე მოთამაშეს ხელთ ეპყრა ბანქოს დასტა, მათ უბედურებათა უაზრო აღმნუსხველი. ღრმა სიჩუმე სუფევდა. მოთამაშეებს ფერმკრთალი შუბლები ჰქონდათ, ბანკირს კი მღელვარება ეტყობოდა. ამ შეუბრალებელი ბანკირის გვერდით მჯდომი დიასახლისი ფოცხვერის თვალით ამჩნევდა პაროლის ყოველ კუთხეს, რომლითაც მოთამაშენი თავის ქალაღლებს ნიშნავდნენ; დიასახლისი ამ ნიშნებს მკაცრი გულმოდგინებით აშლევინებდა, თუმცა ამავე დროს, მუშტრების დაკარგვის შიშით, სრულიად არ ბრაზობდა.

დიასახლისი თავის თავს მარკიზადე პაროლინიად ასაღებდა. მისი ხუთმეტი წლის ასულიც ბანქოს თამაშობდა და თვალის ერთ დახამხამებაში ააშკარავებდა ამ საცოდავი ხალხის გაიძვერულ ზრახვებს, რომლითაც ისინი ბედის უკუღმართობის გამოსწორებას ცდილობდნენ.

პერიგოელი აბატი, კანდიდი და მარტენი შემოვიდნენ; ფეხზე არავენ წამომდგარა, არც არავენ მისალმებია მათ, არც არავის შეუხედავს, ყველა ბანქოს თამაშში იყო ღრმად ჩაფლული.

— ქალბატონი ბარონ ტუნდერ-ტენ-ტრონკის მეუღლე უფრო თავაზიანი იყო,— შენიშნა კანდიდმა.

ამ დროს აბატმა რაღაც წასჩურჩულა მარკიზას, რომელიც ნახევრად წამოდგა. მან კანდიდი ნატიფი ღიმილითა და მარტენი უაღრესად კეთილშობილური თავისდაქნევით გააბედნიერა; კანდიდს საეარძელი მიუჩინა და ბანქოს დასტა მიართვა. კანდიდმა ორ ხელზე ორმოცდაათი ათასი ფრანკი წააგო ამის შემდეგ. მხიარულად ივახშმეს და ყველას უკვირდა, რომ კანდიდი წაგების გამო არ აღელვებულა. ლაქიები ერთმანეთს ლაქიურ ენაზე ეუბნებოდნენ:

— ეს ალბათ რომელიმე ინგლისელი მილორდია.

ვახშამი ისე ჩატარდა, როგორც პარიზის ვახშამების უმრავ-



ლესობა; ჯერ სიჩუმე, შემდეგ სიტყვების რახა-რუხი, სადაც ერთ სიტყვასაც ვერ გაარჩევდით, შემდეგ ხუმრობა, უმეტეს შემთხვევაში უაზრო, ტყუილი ამბები, მაინც მსჯელობანი, ცოტა პოლიტიკა და ბევრი აყვიაობა; ახალ წიგნებზეც კი ილაპარაკეს.

— თქვენ წაიკითხეთ,—იკითხა პერიგოელმა აბატმა,—თეოლოგიის დოქტორი ბატონი გოშას რომანი?<sup>45</sup>

— დიად,—უპასუხა ერთმა სტუმარმა,—მაგრამ ბოლომდე წაიკითხვა ვერ შევძელი. ჩვენ უაზრო ნაწერების მთელი გროვა გვაქვს, მაგრამ ყველა ერთად შეერთებული თეოლოგიის დოქტორი გოშას რომანის უაზრობას სად შეედრება. მე ისე მომწყინდა დაუსრულებელი სიმრავლე ამ წიგნებისა, რომელთაც თავს გვაყრიან, რომ ფარაონის სათამაშოდ ჩაეჯექი.

— არქილიაკვანის ტ...ს „ნარევეზე“ რაღას იტყვი?—კვლავ იკითხა აბატმა.

— ოჰ,—მიუგო ქალბატონმა პაროლინიაკმა,—მოსაწყენი მოკვდავია! როგორ საგულდაგულოდ ხსნის იმას, რაც ყველასათვის ისედაც ცნობილია! როგორ ხაზგასმით ამტკიცებს იმას, რაც უბრალოდ აღნიშვნადაც კი არ ღირს! როგორ უაზროდ ითვისებს სხვის აზრებს! როგორ აფუჭებს მოპარულს, როგორ მამბებებს თავს! თუმცა ამის შემდეგ თავს ველარ მომამბებებს, ამ არქილიაკვის წიგნის რამდენიმე გვერდის წაკითხვა სრულიად საკმარისია.

სუფრაზე ერთი განსწავლული და კარგი გემოვნების მქონე კაცი იჯდა. მან მარკიზას ნათქვამს კვერი დაუკრა. შემდეგ ლაპარაკი ტრაგედიას შეეხო. მანდილოსანმა იკითხა—რატომ ხდება, რომ ზოგ ტრაგედიის სცენაზე დადგმა შეიძლება და წაკითხვა კი არაო? კარგ გემოვნებიანმა მანაკცამ მშვენივრად ახსნა, რომ პიესა შესაძლოა რაიმე საინტერესოს შეიცავდეს, მაგრამ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდესო. მან რამდენიმე სიტყვით დაამტკიცა, რომ საკმაო არ არის პიესაში ერთი ან ორი იმ მდგომარეობის დახატვა, რომელიც ყველა რომანში გვხვდება და მაყურებელს ყოველთვის იზიდავს, არამედ საჭიროა, რომ ავტორი ახალი იყოს უცნაურობის გარეშე, ყოველთვის ამაღლებული და ამავე დროს ბუნებრივი

იყოს, იცნობდეს ადამიანის გულს და მას ამეტყველებდეს, იყოს დიდი პოეტი და პიესის არც ერთი გმირი პოეტს არ დაამაგავსოს, სრულყოფილად ჰფლობდეს ენას, ლაპარაკობდეს ამ ენაზე წმინდად, დაუსრულებელი ჰარმონიით ისე, რომ რითმამ აზრი არ დაჩრდილოს. ზოგიერთი,—განავრძო მან,—ყველა ამ კანონებს არ ითვალისწინებს, ჰქმნის ერთ ან ორ ტრაგედიას, თეატრში მოწონებულს, მაგრამ არასოდეს იგი კარგ მწერალთა რიგში არ მოხვდება; კარგი ტრაგედიების რიცხვი ძალიან მცირეა; ზოგი პიესა კარგად დაწერილი და კარგად გართმული იდილიაა დიალოგებში; ზოგი — ძილის მომგვრელი პოლიტიკური მსჯელობაა ანდა გულისამაზრზენი მრავალმეტყველება; ზოგიერთი — გიჟური ოცნებაა ბარბაროსულ სტილზე დაწერილი, აბდაუბდა ლაპარაკით, ღმერთისადმი გრძელი მიმართვებით, რადგან ავტორმა ადამიანებთან ლაპარაკი არ იცის, ყალბი დებულებებით და გაფუჭული ზოგადი ადგილებით.

კანდიდმა ეს საუბარი ყურადღებით მოისმინა და მოსაუბრის დიდ აზრს ჩასწვდა. რადგან მარკიზამ კანდიდი გვერდით მოისვია, კანდიდი გაკადნიერდა, მარკიზას ყურთან დაიხარა და ჰკითხა—ვინ არის ეს კაცი, რომელიც ასე ჩინებულად მსჯელობსო.

— ეს არის მეცნიერი,—მიუგო მარკიზამ,—იგი ბანქოს არ თამაშობს და აბატს ხანდახან ვახშმად ჩემთან მოჰყავს; ეს მეცნიერი წიგნებისა და ტრაგედიების დიდი მკოდნეა. მან თვითონ დასწერა ტრაგედია, რომელიც ხალხმა სტეენით გააცილა, და ერთი წიგნი, რომელიც არავის წიგნის მალაზიის გარედ არ უნახავს, გარდა ერთი ეგზემპლარისა, რომელიც მან მე მომიძღვნა.

— დიდი ადამიანი!—სთქვა კანდიდმა,—ეს მეორე პანგლოსია. ამის შემდეგ კანდიდი იმ კაცისკენ მიბრუნდა და მიმართა:

— ბატონო, თქვენ უეჭველია ფიქრობთ, რომ ფიზიკურ და სულიერ სამყაროში ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება და სხვაგვარად არც შეიძლება ხდებოდეს.

— მე ბატონო,—უპასუხა მეცნიერმა,—სულაც ამგვარად არ ფიქრობ, მე მგონია, ჩვენში ყოველივე პირიქით ხდება; აქ არავინ იცის თავისი ადგილი, თავისი დანიშნულება, არც ის,

თუ რას აკეთებს ან რა უნდა გააკეთოს. ადამიანები მთელ თავის დროს უზარო კამათს ანდომებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამლამინდელ ვახშამს, სადაც დრო საკმაოდ მზიარულად გავატარეთ და ყველა თითქოს ერთი აზრისა ჩანდა. იანსენისტები იბრძვიან მოლინისტების წინააღმდეგ,<sup>46</sup> პარლამენტის ხალხი ეკლესიის ხალხის წინააღმდეგ, კალმონები კალმონებს წინააღმდეგ, კარისკაცები კარისკაცების წინააღმდეგ, ფინანსისტები ხალხის წინააღმდეგ, ცოლები ქალების წინააღმდეგ, ნათესავები ნათესავების წინააღმდეგ; ეს არის მარადიული ბრძოლა.

კანდიდი მას შეესიტყვა:

— მე უარესიც მინახავს, მაგრამ ერთმა ბრძნმა, რომელიც საუბედუროდ ჩამოახრჩვეს, მასწავლა, რომ ყოველივე ეს უკეთესისკენ მიიმართება და ეს ბოროტებანი მშვენიერი სურათის ჩრდილებიაო.

— თქვენი ჩამოხრჩობილი მასწავლებელი სამყაროს დასცინოდა, — უთხრა კანდიდს მარტენმა, — თქვენი ჩრდილები საზარელი ლაქებია.

— ამ ლაქებს თვით ადამიანები ჰქმნიან, — მიუგო კანდიდმა, — და მათგან ვერ განთავისუფლებულან.

— ეს მათი ბრალი არ არის, — სთქვა მარტენმა.

მოთამაშეთა უმრავლესობას ამ ლაპარაკის არაფერი ესმოდა, ისინი სვამდნენ. მარტენი მეცნიერთან მსჯელობდა, კანდიდმა კი თავისი თავგადასავალის ნაწილი დიასახლისს უამბო.

— ვახშმის შემდეგ მარკიზამ კანდიდი თავის ოთახში წაიყვანა და დივანზე დასვა.

მაშ, ასე, — მიმართა მან კანდიდს, — თქვენ კვლავ თავდავიწყებით გიყვართ ქალბატონი კუნეგონდა ტუნდერ-ტენ-ტრონკი!

— დიად, ქალბატონო, — უპასუხა კანდიდმა.

მარკიზამ მას ნაზი ღიმილით მიუგო:

— თქვენ ისე მიპასუხებთ, ვით ვესტფალიელ ჭაბუკს შეეფერება, ფრანგი მეტყოდა, მართალია, მე მიყვარდა ქალბატონი კუნეგონდა, მაგრამ თქვენი ხილვის შემდეგ ვშიშობ, რომ იგი აღარ მიყვარება.

— ოჰ. ქალბატონო, — უთხრა მას კანდიდმა, — თქვენ როგორც გნებაეთ, ისე გიპასუხებთ.

— თქვენი ტრფიალი იმ ქალის მიმართ, — სთქვა მარკიზამ, — მისი ცხვირსახოცის მოწოდებით დაწყებულა. მე მსურს ჩემი წვივსაკრავი მომაწოდოთ.

— დიდი სიამოვნებით, — სთქვა კანდიდმა და წვივსაკრავს დასწვდა.

— მხოლოდ მე მსურს, რომ წვივსაკრავი კვლავ თავის ღვივზე შემომახვიოთ, — უთხრა ქალმა კანდიდს, და კანდიდმაც მისი სურვილი დააკმაყოფილა.

— აბა, შეხედეთ, — წარმოსთქვა ქალმა, — თქვენ უცხოელი ბრძანდებით; მე ჩემს პარიზელ საყვარლებს ხანდახან ხუთმეტ დღეს ვალოდინებ, თქვენ კი პირველ ღამესვე გნებდებით, რადგან საჭიროა, ვესტფალიელ ქაბუქს გულუხვად გავუმასპინძლოდე.

ტურფამ ამ ახალგაზრდა უცხოელის ორივე ხელზე ორი უშველგებელი ალმასი შენიწნა. მან ისე გულწრფელად შეაქო ეს ალმასები, რომ კანდიდის თითებიდან მათ მარკიზას თითებზე გადაინაცვლეს. როდესაც კანდიდი პერიგოელ აბატთან ერთად შინ ბრუნდებოდა, ქალბატონ კუნეგონდასადმი ღალატის გაპო სინიდისის ქენჯნა იგრძნო. ბატონმა აბატმა კანდიდის გულისტკივილი გაიზიარა. კანდიდის მიერ წაგებულ ორმოცდაათი ათასი ლივრიდან და ნახევრად ნაჩუქარი, ნახევრად წართმეული ბრილიანტის საფასურიდან მას მხოლოდ მცირეოდენი წილი ხვდა. აბატს კი გადაწყვეტილი ჰქონდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ესარგებლა იმ სარუით, რომელსაც მას კანდიდის ნაცნობობა მოუტანდა. ის კანდიდს კუნეგონდაზე დიდხანს ესაუბრა. კანდიდმა აბატს განუცხადა, რომ იმ მშვენიერ ქალს თავისი ღალატის გამო შენდობას გამოსთხოვდა, როდესაც ვენეციაში შეხვდებოდა. პერიგოელმა თავაზიანობას და ყურადღების გამოჩენას უმატა. მან გულთბილი თანაგრძნობა გამოამჟღავნა ყოველივე იმის მიმართ, რასაც კანდიდი ამბობდა, რასაც იგი აკეთებდა და რის გაკეთებასაც აპირებდა.

— მაშ, თქვენ ბატონო, პაექანი გაქვთ ვენეციაში დანიშნული?

— დიალ, ბატონო აბატო, — უპასუხა კანდიდმა, — ქალბატონ კუნეგონდასთან შესახვედრად მე აუცილებლად ვენეციაში უნდა გავემგზავრო.

თავის სატრფოზე ლაპარაკის სურვილით შევუღლიანებულმა კანდიდმა თავის ჩვეულებისდა მიხედვით აბატს ამ წარჩინებული ვისტვალაილი ქალისა და საკუთარი თავგანდასავლის ერთი ნაწილი უამბო.

— მე მგონია, — სთქვა აბატმა, — ქალბატონი კონეგონდა ძლიერ ჭკვიანი ქალი უნდა იყოს და ალბათ მომხიბლავ წერილებსაც სწერს?

— მე მისგან არასოდეს წერილი არ მიმიღია, — უპასუხა კანდიდმა, — თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, მისი სიყვარულის გამო სასახლიდან გაგდებული როგორღა მიგწირდი წერილებს; ჩქარა მისი სიკვდილის აზბავიც შემატყობინეს; შემდეგ ვიპოვნე სატრფო და კვლავ დავკარგე; აქედან ორი ათას ხუთას ლიზე დაშორებულს გაეუგზავნე შიკრიკი, რომლის პასუხსაც დღე-დღეზე ველოდები.

აბატი ყურადღებით უსმენდა კანდიდს და თითქოს ოდნავ ჩაფიქრდა. შემდეგ ორთავე უცხოელს ნაზად გადაეხვია და გამოემშვიდობა. მეორე დღეს, კანდიდმა, გამოიღვიძა თუ არა, შემდეგი სიტყვებით შედგენილი წერილი მიიღო:

„ბატონო, ჩემო უძვირფასესო სატრფოო, რვა დღეა, რაც ამ ქალაქში ავაო ვარ; გავიგე, აქ იმყოფებით. ფეხზე წამოდგომა რომ შემეძლოს, თქვენს ჩასახიფად გამოვფრინდებოდი. თქვენი ჩამოსვლის შესახებ ბორღოში გავიგე. ერთგული კაკამბო და დედაბერი იქ დავტოვე; ისინი ჩქარა ჩამოვლენ. ბუენოს-აირისის გუბერნატორმა ყველაფერი წაგვართვა, მაგრამ მე თქვენი გული შემრჩა. მოდი, თქვენი ხილვა სიცოცხლეს დამიბრუნებს ან სიხარულისგან მომკლავს“.

ამ მომხიბლავმა და მოულოდნელმა წერილმა კანდიდს გამოუთქმელი სიხარული განაცდევინა, მაგრამ მისი ძვირფასი კუნეგონდას ავადმყოფობამ მწუხარებაში ჩააგდო. ამ ორი გრძნობის შორის მოქცეულმა კანდიდმა ოქრო და ალმასები მოხვეტა და მარტენთან ერთად გასწია სასტუმროსკენ, სადაც ქალბატონი კონეგონდა ცხოვრობდა.

იგი სასტუმროში აღელვებული შედის, მისი გული თრთის, მისი ხმა კანკალებს. იგი საწოლის ფარდების გადაწვეას აპირებს, სანთლის მოტანას ბრძანებს.

— გაფრთხილდით,— ეუბნება კანდიდს მოახლე,— სინათლე მას მოჰკლავს. და მაშინვე ფარდებს ხურავს.

— ჩემო ძვირფასო კუნეგონდა, — მოსთქვამს კანდიდი, — როგორ ბრძანდებით? თუ ჩემი დანახვა არ ძალგიძთ, დამელაპარაკეთ მაინც.

— მას არ შეუძლია ლაპარაკი, — ამბობს მოახლე.

ქალი ამ დროს გამოჰყოფს ჩასუქებულ ხელს, რომელსაც კანდიდი ცრემლებით დიდხანს ნაძავს და შემდეგ აღმასებით ავსებს. სავარძელზე კი ოქროთი გავსილ ყუთს სტოვებს.

ამ თავდავიწყების დროს ბოქაული, 'ემოდის. მას პერიგოელი აბატი და მცველები მოჰყებიან.

— მაშ, ესენი არიან, — ამბობს ბოქაული, — ის ორი საეკვო უცხოელი?

იგი მათ დაუყოვნებლივ აპატიმრებს და თავის ძმაბიჭებს უბრძანებს საპატიმროში წაიყვანონ.

— ელდორადოში უცხოელებს ამრიგად არ ეპყრობიან, — ამბობს კანდიდი.

— მე ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მანიქვეელი ვარ, — სთქვა მარტენმა.

— მაინც სად მიგყვარო, ბატონო? — იკითხა კანდიდმა.

— საპატიმროს ჯურღმულში, — უპასუხა ბოქაულმა.

მარტენმა გონებას მოუხმო და განსაჯა, რომ ქალი, რომელიც კუნეგონდად თავს ასაღებდა, არამზადა იყო, არამზადა იყო პერიგოელი აბატი, რომელმაც კანდიდის გულუბრყვილობით დაუყოვნებლივ ისარგებლა, და აგრეთვე არამზადა იყო პოლიციის ბოქაულიც, რომლის თავიდან მოშორება ადვილად შეიძლებოდა.

კანდიდმა, მარტენის რჩევით თვალახელილმა და ნამდვილი კუნეგონდას ნახვის მოუთმენელი სურვილით შეპყრობილმა, სასამართლოს თავიდან ასაცილებლად, ბოქაულს სამი პატარა აღმასი შესთავაზა. თითოეული აღმასი დაახლოებით სამი ათასი პისტოლის ღირებულების იქნებოდა.

— ოჰ, ბატონო, — მიმართა კანდიდს სპილოსძელის კვერთხიანმა კაცმა, — რა დანაშაულიც უნდა ჩაგედინათ, მაინც უპატიოსნესი ადამიანი. იქნებოდით ამ ქვეყნად; სამი აღმასი?

თითოეული სამი ათასი პისტოლის ღირებულების! მე თქვენს სანაცვლოდ უმალ თავს გავწირავ და საპატიმროში კი არ წაგიყვანთ. ყველა უცხოელებს აპატიმრებენ, მაგრამ ნება მომეცით, მე გიხელმძღვანელოთ: ნორმანდიაში, დიეპში ძმა მყავს; მე თქვენ მასთან წაგიყვანთ; თუ იმასაც რამდენიმე ალმასს აჩუქებთ, ჩემსავით გიპატრონებთ.

— რა მიზეზით აპატიმრებენ ყველა უცხოელებს?—იკითხა კანდიდმა.

აქ პერიგოელი აბატი ჩაერია ლაპარაკში. მან სთქვა:

— ეს იმიტომ, რომ არტებაზის ქვეყნის ერთ ვიგინდარას, რომელსაც სისულელების მოსმენით თავი ჰქონია გამოტენილი, მკვლელობის მოხდენა უცდია, მხოლოდ არა 1610 წლის მაისში შომხდარი ცდის, არამედ 1594 წლის დეკემბერში მომხდარი ცდის დაგვარი.<sup>47</sup> ესეც არ იყოს, ამის მსგავსი მოქმედება სხვა წლებში და სხვა თვეებში სხვა გაიძეურებსაც ჩაუდენიათ, რომელნიც აგრეთვე სისულელების მოსმენით ყოფილან გამოყვეჩებულნი.

ბოქაულმა უცხოელებს საქმის ვითარება გააცნო.

— ოჰ, საზიზღარნი!—შეჰყვირა კანდიდმა,—ნუთუ ამგვარ საშინელებას ახდენს ხალხი, რომელიც ყოველთვის იცინის და ყოველთვის მღერის? ნეტავ ჩქარა გავშორდებოდე ამ ქვეყანას, სადაც მიამუნები ვეფხვებს ბაძავენ. ჩვენს საწმობლოში მე დათვები მინახავს, ადამიანები მხოლოდ ელდორადოში ვიხილე. ღვთის გულისათვის, ბატონო, წამიყვანეთ ვენეციაში, სადაც ქალბატონ კუნეგონდას უნდა მოვუცადო.

— მე მხოლოდ ქვემო ნორმანდიაში შემიძლია თქვენი წაყვანა,—უპასუხა ბოქაულმა.

იგი მაშინვე კანდიდს ბორკილებსა ხსნის; აცხადებს, რომ კანდიდის და მარტენის დაპატიმრება გაუგებრობააო. თავის რაზმს უკან ისტუმრებს, კანდიდი და მარტენი დიეპში მიჰყავს და თავის ძმას უტოვებს.

რეიდზე ჰოლანდიური პატარა ხომალდი იღვა. ნორმანდიელი, სამი ალმასის ზეგავლენით, ყველაზე თავაზიანი ადამიანი გახდა; მან კანდიდი და მისი მსახურები დასვა ხომალდზე, რომელმაც პორტსმუტში გასამგზავრებლად იალქნებო

აუშვა. ეს არ იყო გზა ვენეციისაკენ, მაგრამ კანდიდს ეგონა, ჯოჯოხეთიდან გაეთავისუფლდოდა, და იგი იმედოვნებდა, რომ პირველ შემთხვევისთანავე განაგრძობდა გზას ვენეციისაკენ.

### თავი XXIII

როგორც მიაღზნენ კანდიდი და მარტანი ინგლისის  
სანაპიროებს და რა ნახეს იქ

— ჰოი, პანგლოს! პანგლოს! ოჰ, მარტენ, მარტენ! ოჰ, ჩემო-  
ძვირფასო კუნეგონდა! რა არის ეს ქვეყანა, — აღმოხდა ჰოლან-  
დიურ გემზე მყოფ კანდიდს.

— ეს არის რალაც მეტად ბრიყული და მეტად საზიზ-  
ლარი რამ, — მიუჯო მარტენმა.

— თქვენ იცნობთ ინგლისს? აქ ისეთივე გიყები ცხოვრობენ,  
როგორც საფრანგეთში?

— ეს სიგიჟის სხვა სახეობაა, — უპასუხა მარტენმა: — იცით  
თქვენ თუ არა, რომ ეს ორი ერი კანადაში მდებარე, თოვ-  
ლით დაფარული ორიოდე მტკაველი მიწის გამო ერთმანეთს  
ებრძვის. ამ მშვენიერ ომში მათ დახარჯეს იმდენი ფული,  
რამდენადაც მთელი კანადა არ ღირს. ჩემი მცირეოდენი  
ცოდნა საშუალებას არ მაძლევს ზუსტად მოგახსენოთ, თუ  
აქ ორი ქვეყნიდან რომელში უფრო მეტი გასათოკი ადა-  
მიანი ცხოვრობს, ის კი ვიცი, რომ ხალხი, რომელსაც ახლა  
ჩვენ ვნახავთ, ძლიერ ღვარძლიანია.

ამ საუბარში ისინი პორტსმუტს მიაღზნენ; სანაპიროზე  
უამრავი ხალხი გამოფენილიყო და ყურადღებით ათვალიე-  
რებდა ერთ ჩასუქებულ მამაკაცს, რომელიც ფლოტის ერთ  
გემის ბანზე თვალემახვეული და დაჩოქილი იდგა. მის წინ  
ოთხი ჯარისკაცი გაემწკრივებინათ; თვითოეულმა მათგანმა  
მას სრული სიმშვიდით თავში სამ-სამი ტყვია ესროლა, და  
ხალხი უსაზღვროდ კმაყოფილი დაიშალა.<sup>18</sup>

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? — იკითხა კანდიდმა, — ძალა-  
უფლება ყველგან რომელ დემონს ჩაუგდია ხელში? ვინ არის  
ეს მსუქანი კაცი, რომელიც ახლახან ცერემონიით მოჰკლეს?

— აღმირალიო, — უპასუხეს.



— და რატომ მოჰკლეს ადმირალი?

— იმიტომ, რომ—უპასუხეს კანდიდს — მან ადამიანების საკმაო რაოდენობა არ გააჟლეტინა. ეს ადმირალი ფრანგ ადმირალს ებრძოდა, და ინგლისში მიიჩნიეს, რომ იგი მტერს სათანადოდ არ მიუახლოვდა.

— მაგრამ,—სთქვა კანდიდმა,— ფრანგი ადმირალიც ხომ ისევე შორს იდგა ინგლისელი ადმირალისაგან, როგორც ინგლისელი ადმირალი ფრანგისგან?

— რა თქმა უნდა,—უპასუხეს მას,—მაგრამ ამ ქვეყანაში საჭიროთ მიაჩნიათ დროდადრო თითო-თითო ადმირალის მოკვლა დანარჩენების გასამანეველად.

ნახულით და მოსმენილით კანდიდი ისე იყო თავზარდაცემული, რომ მიწაზე ფეხის დადგმაც კი არ მოისურვა. იგი მოურიგდა ჰოლანდიელ კაპიტანს (თუნდაც მას ისევე გაეძარცვა კანდიდი, როგორც სურინამელმა კაპიტანმა გაქურდა), რათა მას კანდიდი დაუყოვნებლივ ვენეციაში წაეყვანა.

გემის პატრონი ორ დღეში მზად იყო. ჩაუარეს საფრანგეთს, გაიარეს ლისაბონის წინ, რომლის დანახვაზე კანდიდს სხეულში ტრუანტელმა დაუარა. შევიდნენ სრუტეში და ხმელთაშუა ზღვაში. ბოლოს ვენეციას მიადგნენ.

— დიდება ღმერთს!—სთქა კანდიდმა და მარტენს გადაეხვია,—აი, აქ კვლავ ვიხილავ ტურფა კუნეგონდას. მე ისე მაქვს კაკამბოს იმედი, როგორც საკუთარი თავისა. ყველაფერი კარგად არის, ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება, ყოველივე საუკეთესოზე საუკეთესოდ მიმდინარეობს.

## თავი XXIV

### პაკეტასა და ძმა ჟიროფლეს შესახებ

ვენეციაში ჩასვლისთანავე კანდიდი კაკამბოს ძებნას შეუდგა ყველა სამიკილნოში, ყველა ყავახანაში, ყველა მსუბუქი ქტევის ქალთან და ვერსად იპოვნა. ყოველ დღე, ყოველ გემზე და ყოველ ნავზე ეძებდა. არაფერი ისმოდა კაკამბოს შესახებ.

— როგორ,—ეუბნებოდა კანდიდი მარტენს,—მე მოვასწარი

სურინამიდან ბორდოში ჩასვლა, ბორდოდან—პარიზში, პარიზიდან—ლიეჰში, ლიეჰიდან—პორტსმუტში; ჩავუარე პორტუგალიას და ესპანეთს, გადავქერი მთელი ხმელთაშუა ზღვა, რამდენიმე თვე ვენეციაში ვიმყუფები, და მშვენიერი კუნეგონდა ჯერაც არ ჩამოსულა! მე მის მაგივრად უნამუსო დედაკაცსა და პერიგოელ აბატს გადავეყარე! რა თქმა უნდა, კუნეგონდა გარდაიცვალა; მეც სიკვდილის მეტი აღარათფერი დამრჩენია. ოჰ! ამ დაწყველილ ევროპაში დაბრუნებას ელდორადოს სამოთხეში დარჩენა სჯობდა. თქვენ მართალი ხართ, ძვირფასო მარტენ, ყველაფერი მხოლოდ მოჩვენებაა და უბედურება.

იგი შავმა მელანქოლიამ შეიპყრო და არავითარი ცნობის-მოყვარეობა არ გამოუჩენია არც ოპერა *touta moda*-სა და არც კარნავალის სხვა გასართობების მიმართ; არც ერთი ქალის ცთუნებას არ დაუპყრია იგი. მარტენმა მიმართა კანდიდს:

— მართლაც მეტად გულუბრყვილო ყოფილხართ, თუ გჯერათ, რომ მეცისი მსახური, რომელსაც ხუთი თუ ექვსი მილიონი ჯიბეში უდევს, თქვენი სატრფოს სძებნელად ქვეყნის დასაბამამდე ივლის და მას ვენეციაში მოგიყვანთ. თუ იპოვა, თვითონ მიითვისებს, ხოლო თუ ვერ იპოვა, სხვას იშოვნის. გირჩევთ, დაივიწყოთ. თქვენი მსახური კაკამბო და თქვენი სატრფო კუნეგონდა.

მარტენის ამ სიტყვებმა კანდიდი ვერ დაამშვიდა. მისი მელანქოლია გაძლიერდა; მარტენი მას განუწყვეტლივ უმტკიცებდა, რომ დედამიწაზე ცოტაა სათნოება და ბედნიერებაო! გამონაკლისად შეიძლება ელდორადო ჩაითვალოს, სადაც წასვლას ვერავინ შესძლებსო.

კუნეგონდას მოლოდინში, ამ წნიშვნელოვან საკითხზე კამათის დროს, კანდიდმა წმინდა მარკოზის მოედანზე შეამჩნია ერთი ახალგაზრდა თეატინელი,<sup>49</sup> რომელსაც ხელი ჰქონდა გაყრილი ერთი გოგონას მკლავში; თეატინელი ჩანდა ნორჩი, ჩასუქებული, ღონიერი; მას ანთებული თვალები ჰქონდა, მტკიცე გამოხედვა, ქედმაღალი იერი, ამაყი სიარული. გოგონა ძლიერ ლამაზი იყო და მღეროდა, თავის თეატინელს სიყვარულით შესცქეროდა და დროდადრო მის მსუქან ღოჭებს ჩქმეტდა.

— ამაზე მაინც დამთანამდებით, რომ ეს ადამიანები ბედნიერები არიან,— უთხრა კანდიდმა მარტენს; მიიღეს დასახლებულ მიწაზე, ელდორადოს გამოკლებით, დღევანდლაშდვი უბედურთა მეტი არავინ მინახავს, მაგრამ ახლა სანაძლეოს ვღებ, რომ ეს გოგონა და ეს თეატინელი ბედნიერი არსებანი არიან.

— ზე კი სანაძლეოს ვღებ, — დასძინა მარტენმა, — რომ ისინი ბედნიერები არ არიან.

— მივიპატიოთ საუილზე, — სთქვა კანდიდმა, — და თქვენ ნახავთ, ვცდები თუ არა.

კანდიდი მაშინვე მათთან მიდის, თაყაზიანად სალამს აძლევს და სასტუმროში ეპატიყება მაკარონის, ლომბარდიული გნოლების, თართის ქვირითის საქმელად და მონაგულჩიანოს, ლაკრიმა ქრისტის, კვიპროსის და სამოსის ღვინის დასაღევად. ქალიშვილი გაწითლდა, თეატინელი დათანხმდა, ქალიშვილი მას გამოაჰყვა. იგი კანდიდს უნებრდა გაკვირებულნი და შემკრთალი თვალებით, რომლებსაც ცრემლები ამღვრევდნენ.

შვედნიენ თუ არა კანდიდის ოთახში, მან კანდიდს მიმართა:

— ნუთუ ბატონი კანდიდი პაკეტას ვეღარ სცნობს?

კუნეგონდაზე ფიქრით გართულმა კანდიდმა, რომელსაც ქალისთვის ყურადღებით ჯერაც არ შეეხედა, ამ სიტყვებზე მას უპასუხა:

— მაშ, თქვენ ის ბრძანდებით, ვინც დოქტორი პანგლოსი მიიყვანა იმ მშვენიერ მდგომარეობაში, რომელშიც მე იგი ვიხილე?

— საუბედუროდ, ბატონო, ეს მე გახლავართ, — მიუგო პაკეტამ, — თქვენ ყოველფერი გცოდნიათ. მე გავიგე, თუ რა საშინელი უბედურება ეწვია ქალბატონ ბარონის მეუღლეს და მშვენიერი კონეგონდას ოჯახს. გეფიცებით, მე თვითონ ამაზე ნაკლებ სამწუხარო ბედი არ მხვდა წილად. მაშინ უმანკო გახლდით, როდესაც თქვენ პირველად მიხილეთ. ერთმა კორდილიერმა ბერმა, ჩემმა მოძღვარმა, ჩემი შეცდენა ადვილად შესძლო. ამის შედეგი შემზარავი აღმოჩნდა; მას შემდეგ, რაც ბარონმა თქვენ ლაზათიანი პანდურით სასახლიდან გამოგაგდოთ, დიდი დრო არ გასულა, რომ მეც იძულებული გავხდი ეს სახლი მიმეტოვებინა. მე მოვკვდებოდი, რომ სახელ-

განთქმულ ექიმს არ შეეებრალებოდი. რამდენიმე ხანს, მადლობის ნიშნად, ექიმის საყვარელი ვიყავი. მისი ცოლი გაცოუებით ექვიანობდა და ყოველდღე უმოწყალოდ მცემდა. ეს იყო ფურია. ჩემი ექიმი ყველაზე მახინჯი იყო მაძაკატა შორის და მე ყველა ქმნილებათა შორის ყველაზე უბედური გახლდით. განუწყვეტლივ მცემდნენ იმ კაცისათვის, რომელიც არ მიყვარდა. თქვენ იცით, ბატონო, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ჰირვეული ქალისათვის ექიმის ცოლობა. ექიმმა, აღმოფოთებულმა ცოლის საქციელით, მსუბუქი სურდოსაგან განსაკურნავად მას ისე ძლიერად მომქედდი წამალი მისცა, რომ ქალი ორი საათის შემდეგ საშინელი კრუნჩხვით მოკვდა. ქალბატონის ნათესავებმა ექიმი სისხლის სამართალში მისცეს; იგი გაიქცა, და მე ციხეში ჩამსვეს. ჩემი უდანაშაულობა ვერაფერს მიშველიდა, თუ ცოტა ლამაზი არ ვყოფილიყავი. მოსაძმართლემ იმ პირობით გამათავისუფლა, რომ მას ექიმი უნდა შეეცვალა: ჩქარა ჩემმა მეტოქე ქალმა ჩემი ადგილი დაიჭირა; მე გამომადგეს, გასამრჯელოც კი არ მომცეს; იძულებული გავხდი გაქეგრძელებინა ეს სახიზლარი ხელობა, რომელიც თქვენ, მამაკაცებს, ესოდენ სასიამოვნოდ გეჩვენებათ, ხოლო ჩვენთვის უბედურებათა უფსკრულია. ჩემი ხელობის გამოსაყენებლად ვენეციაში გამოვემგზავრე. ოჰ! ბატონო, თუ თქვენ იმის წარმოდგენა შეგძლებოდათ, რას ნიშნავს იძულებული იყო განურჩევლად ეფერებოდე მოხუც ვაჭარს, ადვოკატს, ბერს, გონდოლიერს, აბატს; იღებდე ყოველგვარ შუაგულს, შეგინებას; ხშირად ქირაობდე კაბას, რომელსაც გულისამზრზენი მამაკაცი აგიწევს; ერთისგან მიღებულ გასამრჯელოს მეორე გპარავდეს; სასამართლოს მსახურთ ქრთამებს აძლედე და მომავალში მოგელოდეს მხოლოდ შემზარავი სიბერე, სააუადმყოფო და საფლავი სანაგვეში, მაშინ მიხვდებოდით, რომ ამ ქვეყნად ყველაზე უბედური ქმნილება ვარ. პაკეტამ, მარტენის თანადასწრებით, კანდიდს ამგვარად გადაუშალა გული. მარტენმა კანდიდს უთხრა:

— ხომ ხედავთ, სანაძლეოს ნახევარი უკვე მოვიგე.

ძმა ჟიროფლე სასადილოში დარჩა და სადილის მოლოდინში ღვინოს ხერეპდა.

— თქვენ კი,—უთხრა კანდიდმა პაკეტას,—როდესაც მე შეგხვდით, ისეთი მხიარული სახე გქონდათ, ისეთი კმაყოფილი, ისე მღეროდით, ისეთი ბუნებრივი გულწრფელობით უაღერსებდით თეატინელს, რომ იმდენად ბედნიერი მეჩვენეთ, რამდენადაც თქვენ ირწმუნებით, უბედური ვარო.

— ოჰ, ბატონო,—უპასუხა პაკეტამ,—ეს ჩვენი ხელობის ერთ-ერთი სავალალო მხარეა. გუშინ ერთმა ოფიცერმა გამჭურდა და მცეპა, დღეს კი უნდა მხიარულ გუნებაზე ვიყო, რათა ბერს თავი მოვაწონო.

კანდიდმა მეტის მოსმენა აღარ მოისურვა, იგი დასთანხმდა, რომ მარტენი მართალი იყო. პაკეტასთან და თეატინელთან ერთად სუფრას მიუსხდნენ; სადილი საკმაოდ მხიარულად ჩატარდა, და ბოლოს ყველა თითქმის გულახდილად ალაპარაკდა.

— ჩემო მამო,—უთხრა კანდიდმა თეატინელ ბერს,—მე მგონი თქვენ დაჯილდოებული ხართ ისეთი ბედით, რომელიც ყველას შეშურდება; თქვენ სახეზე ჯანმრთელობის ყვავილი ბრწყინავს, თქვენი გამომეტყველება ბედნიერებაზე ლაპარაკობს; თავის შესაქცევად ძლიერ ლამაზი გოგონა ავირჩევიათ და თეატინელის მდგომარეობით მეტად კმაყოფილი ჩანხართ.

— სინიღისს გეფიცებით, ბატონო,—უპასუხა ძმა ჟიროფლემ,—მე ვისურვებდი, ყველა თეატინელები ზღვის უხსკრულში ჩაძირულიყვნენ. ასჯერ მაინც შევუპყრივარ ცთუნებას, მონასტრისთვის ცეცხლი წამეკიდებინა, ხოლო თვითონ გავთურქებულიყავი. ხუთმეტი წლის ვიყავი, როცა ჩემმა მშობლებმა მაიაქულეს ეს საზიზლარი ანაფორა ჩამოქცევა, რათა ჩემს დაწყველილ ძმას, ღმერთმა დალახეროს იგი, უფრო მეტი ქონება დარჩენოდა. შურიანობა, უთანხმოება, სიშმაგე მეფობს მონასტერში. მართალია, მე რამდენჯერმე წარმოვთქვი უბადრუკი ქადაგებანი, რამაც ცოტაოდენი ფული შემძინა, მაგრამ ამ ფულის ნახევარი წინამძღვარმა მომპარა. დანარჩენი საყვარლების შესანახად მჭირდება. საღამოს, როდესაც მონასტერში ვბრუნდები, მე მზად ვარ თავი საერთო დასაძინებელ ოთახის კედლებზე გავიტეხო, და ყველა ჩემი თანამოდმენი ამავე მდგომარეობაში იმყოფებიან.

მარტენი კანდიდისკენ ჩვეულებრივი გულგრილი სახით მობრუნდა.

— ესეც კარგი!—უთხრა მას,—ხომ მოვიგე მთელი სანაძლეო?

კანდიდმა პაკეტას ორი ათასი პიასტრი აჩუქა, ხოლო ძმა ჟიროფლეს—ათასი პიასტრი.

— მე თქვენ სიტყვას გადალევთ,—მიმართა მან მარტენს,—რომ ამ ფულით ისინი ბედნიერები იქნებიან.

— მე ვგ სულაც არ მჯერა,—უპასუხა მარტენმა,—იქნება ამ პიასტრებით მათ უფრო მეტად აუბედურებთ.

— რაც იყოს იყოს,—სთქვა კანდიდმა,—ერთი რამ მაინც მამშვიდებს; მე ვხედავ, რომ კაცი ხშირად ისეთ ადამიანს ხვდება, რომლის შეხვედრის იმედი აღარ აქვს; რაკი წითელ ვერძსა და პაკეტას შევხვდი, შეიძლება ქალბატონ კუნე-გონდასაც შევხვდე.

— მე ვისურვებდი,—სთქვა მარტენმა,—რომ ერთ დღეს მას გაგებდნიერებინეთ, მაგრამ ამაში ეკვი ძლიერ მეპარება.

— თქვენ მკაცრი ხართ,—უთხრა კანდიდმა.

— იმიტომ, რომ მე მიცხოვრია,—მიუჯო მარტენმა.

— აბა, შეხედეთ, ამ გონდოლიერებს,—სთქვა კანდიდმა,—განა ისინი განუწყვეტლივ არ მღერიან?

— თქვენ მათ საკუთარ ოჯახებში არა ხედავთ, თავის ცოლებთან და პატარა ბავშვებთან,—უპასუხა მარტენმა,—დოეებს თავისი დარდი აწუხებთ, გონდოლიერებს კიდევ თავისი. მართალია, თუ კარგად განვსჯით, გონდოლიერის ბედი დოეის ბედზე უკეთესია, მაგრამ, მე მგონია, განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ გამოსარკვევადაც კი არ ღირს.

— ამბობენ,— სთქვა კანდიდმა,—ბრენტას ნაპირზე, მშვენიერ სასახლეში სენატორი პოკოკურანტე<sup>60</sup> ცხოვრობსო; იგი უცხოელებს საკმაოდ გულგაშლილად იღებს. თურმე. ამტკიცებენ, ამ კაცს არასოდეს დარდი არ განუცდიაო.

— მე ვისურვებდი ამ იშვიათი ჯურის ადამიანის ნახვას,—სთქვა მარტენმა.

კანდიდმა მაშინვე ბატონ პოკოკურანტეს შეუთვალა, რომ ზვალისათვის ნება დაგვრთეთ თქვენს სახლში გიახლოთო.

ღარბაზობა კეთილშობილ ვენეციელ ბატონ  
პოპოკურანტისთან

მარტენი და კანდიდი მდინარე ბრენტაზე გონდოლით გა-  
ცურდნენ და კეთილშობილ პოპოკურანტეს სასახლეს მიაღწიეს.  
ბალები კარგად მოვლილი იყო და მათ მარმარილოს მშვენიერი  
ქანდაკებები ამკობდა. სასახლე საუცხოო ხუროთმოძღვრების  
ნიმუშს წარმოადგენდა. სახლის პატრონმა, სამოცი წლის მამა-  
კაცმა, ძლიერ მდიდარმა, ორი ცნობისმოყვარე დიდი თავაზია-  
ნობით მიიღო, თუმცა ცოტა არ იყოს გულცივად, რამაც კან-  
დიდი სახტად დასტოვა, ხოლო მარტენის მხრივ მოწონებაც  
კი გამოიწვია.

ჯერ ორმა ლამაზმა და სუფთად ჩაცმულმა გოგონამ მათ  
კარგად მომხადებული შოკოლადი მოართვა. კანდიდმა თავი  
ვერ შეიკავა, რომ მათი სილამაზე, სინარნარე და ოსტატობა  
არ შეექო.

— არა უჭირთ, კარგი არსებანი არიან, — სთქვა სენატორმა  
პოპოკურანტემ, — მე ხანდახან მათ ლოგინშიც ვიწვევ, რადგან  
მომქანცა ქალაქელ ქალბატონთა პრანქიობამ, ექვიანობამ,  
ჩხუბმა, ქირვეულობამ, წვრილმანობამ და სონეტებმა, რომე-  
ლიც მათ ახ თვით უნდა მიუძღვნა ან მათთვის სხვას დააწე-  
რინო; თუმცა ეს ორი გოგონაც თანდათან ძლიერ მამბებრებს  
თავს.

კანდიდმა საუბრის შემდეგ ერთ გრძელ გაღერებაში გაისეირ-  
ნა, სადაც იგი სურათების სილამაზემ გაანცვიფრა. მან იკით-  
ხა, რომელი მხატვრისა იყო პირველი ორი სურათი.

— ეს რაფაელის ნახატებია, — უპასუხა სენატორმა: — რამდენი-  
მე წლის წინათ ჩემი პატიემოყვარეობის დასაკმაყოფილებლად  
ძლიერ ძვირად შევიძინე; ამბობენ, იტალიაში ამაზე მშვენიერი  
არაფერიაო, მე კი სრულებითაც არ მომწონს; ფერი აქ ძლიერ  
ჩამუქებულია, სახეები არც ხეირიანად მორგვალებულია და  
არც ნათლად ჩანს ფონზე. ნაოქები ნამდვილი ქსოვილის  
ნაოქებს არა ჰგავს. ერთი სიტყვით, რაც უნდა სთქვან, მე  
აქ ბუნების ნამდვილ მიბაძვას ვერ ვხედავ. სურათი მხოლოდ

მაშინ მომეწონება, როდესაც იგი თვალწინ თვით ბუნებას წარმოგვიდგენს. ბევრი სურათი მაქვს, მაგრამ აღარ ვუშვებ.

სადილის მოლოდინში პოკოკურანტემ მემუსიკეებს მოუხზო. კანდიდი მუსიკამ ალტაცებაში მოიყვანა.

— ამ ბრახა-ბრუქს, — სთქვა პოკოკურანტემ, — შეუძლია ადამიანი ნახევარი საათით გაართოს; მაგრამ თუ მეტხანს გაგრძელდა, ყველას დაღლის, თუმცა ამას ვერვინ აღიარებს. დღეს მუსიკა მხოლოდ ძნელი ნაწარმოებების შესრულების ხელოვნებად არის გადაქცეული, ხოლო ის, რაც ძნელია, დიდხანს არ შეიძლება ადამიანს მოეწონოს. მე იქნებ უფრო ოპერა მომწონებოდა, თუ არ აღმოეჩინათ საიდუმლო საშუალება ოპერის საშინელებად გადაქცევისა, რაიცა ჩემში აღშუოთებას იწვევს. დე, ვისაც სურს წავადეს მუსიკაზე გადატანილი ცუდი ტრაგედიის სანახავად, სადაც სცენები მხოლოდ იმისთვის არის დაწერილი, რომ ძლიერ უადგილო-ადგილას შეიტანონ ორი ან სამი სასაცილო სიმღერა, რომელშიც მომღერალი ქალი თავისი ყანყარტოს ძალას ამჟღავნებს. დე, სიამოვნებით მიიბნიდოს ის, ვინც მოისურვებს ან შესძლებს უცქიროს როგორ კრუტუნებს ცეზარის ან კატონის როლში საჭურისი, რომელიც სცენაზე უწნოთ დაბაჯბაჯებს. რაც შემეხება მე, დიდიხანია რაც უარყავი ეს უბადრუკობა, რომელიც დღეს იტალიას სახელს უხვევს და რომელსაც მეფენი ესოდენ გულუხვად აჯილდოებენ.

კანდიდი მას მოკრძალებით შეესიტყვა, მარტენი კი სრულიად იზიარებდა მის აზრს. მაგიდას მიუსხდნენ და საუცხოო სადილის შემდეგ წიგნთსაცავში შევიდნენ. კანდიდმა ჩინებულად აკინძული ჰომეროსი შენიშნა და სენატორის ნატიფ გემოვნებას ხოტბა შეასხა.

— აი, — სთქვა მან, — წიგნი, რომელსაც ალტაცებაში მოჰყავდა პანგლოსი, გერმანიის საუკეთესო ფილოსოფოსი.

— მე მას სულაც არ მოვეყვარ ალტაცებაში, — ცივად უპასუხა პოკოკურანტემ: — ოდესღაც დამარწმუნეს, რომ მისი წაკითხვით თითქოს სიამოვნებას მივიღებდი; მაგრამ ეს ერთმანეთის მსგავსი ბრძოლების დაუსრულებელი განმეორება, ეს ღმერთები, რომლებიც ყოველთვის ფუსფუსებენ და საბოლოოდ არაფერს



აკეთებენ; ეს ელენე, რომელიც ომის საბაბია და ნაწარმოებში ძლივსა ჩანს; ეს ტროა, რომელსაც ალყას არტყამენ და ვერ იღებენ,—ყოველივე ეს ჩემში უკიდურეს მოწყენას იწვევდა. ჰეცნიერებს ზოგჯერ ვეკითხებოდი, ამ წიგნის კითხვა თქვენც გწყინდებოდათ თუ არა მეთქი. გულწრფელი ადამიანები გამომიტყდნენ, რომ ეს წიგნი ხელიდან უვარდებოდათ; მიუხედავად ამისა, იგი საკუთარ წიგნთსაცავში უსათუოდ უნდა ჰქონოდათ, ვით გარდასული ხანის ძეგლი და ვით დაქანებული ფული, რომელიც ვაჭრობისთვის აღარ გამოდგება.

— თქვენი ბრწყინვალემა ვირგილიუსზე ალბათ აგრერიგად არ ფიქრობს?—შეეკითხა კანდიდი.

— მე ვაღიარებ, მისი „ენეიდის“ მეორე, მეოთხე და მეექვსე წიგნი შესანიშნავია; რაც შეეხება მის ღვთისმოსავ ენეასს და გოლიათ კლევანტს და მეგობარ აქატს და პატარა ასკანიუსს და უკუყო მეფე ლათინუსს და მდაბიო ქალს ამატას და უმნიშვნელო ლავინიას, მე არა მგონია, რომ მათზე ცივი და მათზე არასასიამოვნო რამ არსებობდეს. მე ტასსო და არიოსტოს ძილისმომგვრელი ზღაპრები მირჩევნია.

— ვკადნიერდები და კვლავ გეკითხებით,—სთქვა კანდიდიმა,—ნუთუ ჰორაციუსის კითხვამ დიდი სიამოვნება არ მოგანიჭათ?

— მას ისეთი აზრები აქვს,—მიუგო პოკოკურანტემ,—რომელნიც განათლებულ ადამიანს თავის სასარგებლოდ შეუძლია ჯამოიყენოს და რომელნიც, ენერგიულ ლექსებში გამოთქმულნი, ადვილად გვახსოვდებიან. მხოლოდ მე ძლიერ ნაკლებად მძალელებს მისი ბრინდიზში მოგზაურობა, ცუდი სადილის აღწერა, რომელიღაც პუპილიუსისა და ვილაც სხვა კაცის უშვერი ლანძღვა-გინება, სადაც პირველის სიტყვები, როგორც ჰორაციუსი ამბობს, „სავესე იყო ჩირქით“, ხოლო მეორისა—„ძმრით“. მე უსაზღვრო ზიზლით წავიკითხე დედაბრემისა და ჯადოქრების წინააღმდეგ დაწერილი უბეში ლექსები და ვერ გამიგია, რატომ არის ღირსშესანიშნავი მისი მეგობარი მეცენატისადმი მიმართული სიტყვები—შენი წყალობით დღირიკულ პოეტთა რიცხვში მოხვდი და ჩემს მაღალ შუბლს მნათობებს მივაჯახებო. უგუნურების აღტაცებას მხოლოდ

სახელგანთქმული ავტორი იწვევს. მე მხოლოდ ჩემთვის ვკითხულობ და მარტოოდენ ის მიყვარს, რაც ჩემს გემოვნებას შეეფერება.

კანდიდს ბავშვობიდანვე ჩანერგილი ჰქონდა, არასოდეს არაფერზე საკუთარი აზრი არ იქონიოდა და ამიტომ იგი პოკოკურანტეს სიტყვებმა მეტად გააკვირვა, მარტენმა კი პოკოკურანტეს აზრების მიმართულება საკმაოდ გონივრულად მიიჩნია.

— ოჰ! აი, ციცერონი, — წამოიძახა კანდიდმა, — რაც შეეხება ამ დიდ ადამიანს, ვფიქრობ, თქვენ მისი კითხვა არასოდეს არ გწყინდებათ.

— მე მას არასოდეს არ ვკითხულობ, — უპასუხა ვენეციელმა: — რა ჩემი საქმეა, იგი რაბირიუსს იცავდა თუ კლუენტიუსს. ისედაც ბევრი სადავო საქმე მაქვს გასარჩევი. მე მის ფილოსოფიურ შრომებს უკეთესად შევეთვისებოდი, მაგრამ მას ყველაფერში ეჭვი შეაქვს და ამის გამო დავასკვნენი, რომ იმდენივე ვიცი, რამდენიც ციცერონმა და არავის დახმარება არ მჭირდება იმისათვის, რომ უმეცარი დავრჩე.

— აგერ მეცნიერებათა აკადემიის კრებულის ოთხმოცი ტომი, — შეჰყვირა მარტენმა, — იქნება კარგი რამ აქ მაინც აღმოჩნდეს.

— აღმოჩნდებოდა, — სთქვა პოკოკურანტემ, — თუ ამ აბდაუბდის ერთ რომელიმე ავტორს ჰინძისთავების გაკეთების ხერხი მაინც გამოგონა, მაგრამ მთელ ამ წიგნებში მხოლოდ უსარგებლო სისტემებს ვხვდებით, სასარგებლოს კი არაფერს.

— რამდენ თეატრალურ პიესას ვხედავ აქ! — სთქვა კანდიდმა, — იტალიურს, ესპანურს, ფრანგულს.

— დიად, — უპასუხა სენატორმა, — აქ სამი ათასი პიესაა და კარგი — სამი დუენიც კი არ აირჩევა. რაც შეეხება ამ ქადაგებათა კრებულს, რომელიც ყველა ერთად სენეკას ერთ გვერდად არ ღირს, და თეოლოგიის ამ სქელ ტომებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მას არასოდეს არც მე ვხსნი ხოლმე და არც სხვა ვინმე.

მარტენმა ინგლისური წიგნებით დატვირთულ თაროებს თვალი შეავლო.

— მე მგონია, — სთქვა მან, — რომ რესპუბლიკელს უნდა

მოსწონდეს ამ შრომების უმრავლესობა, ისინი ისე თავისუფლად არიან დაწერილი.

— დიად, — უპასუხა პოკოკურანტემ, — კარგია, როცა იმას სწერ, რასაც ფიქრობ, ადამიანის უპირატესობა ამაში მდგომარეობს. მთელს ჩვენს იტალიაში მხოლოდ იმას სწერენ, რასაც არ ფიქრობენ, ცეზარებისა და ანტონინების სამშობლოში მცხოვრებთ, იაკობინელის უნებართვოდ, საკუთარი აზრების გამომჟღავნება ვერ გაუბეღიათ.<sup>61</sup> მე კმაყოფილი ვიქნებოდი იმ თავისუფლებით, რომელიც აღფრთოვანებას იწვევს ინგლისელ გენიოსებში, თუ პარტიული სული არ ჰრყენიდეს ყოველივეს, რაც პატივცემის ღირსია თავისუფლებაში. კანდიდმა მილტონი შენიშნა და პოკოკურანტეს ჰკითხა, დიდ ადამიანად სთვლით თუ არა ამ ავტორსო.

— ვის? — სთქვა პოკოკურანტემ. — ამ ბარბაროსს, რომელიც დამძიმებული ლექსების ათ წიგნში ბიბლიის პირველ თავს გრძელ კომენტარიებს უკეთებს, ბერძნების ამ უხეშ მიმბამველს, რომელიც სამყაროს შექმნაზე დადგენილ აზრს ამახინჯებს? იმ დროს, როდესაც მოსე მარადიულ არსებას ისე წარმოგვიდგენს, რომ მან თავის ერთი სიტყვით სამყაროს შექმნაო, მილტონი მესიას ცის კარადიდან თავისი შემოქმედების დასაგეგმად დიდ კომპასს გამოალებინებს. განა მე შემოძლია პატივისცემით მოვეპყრო ტასოსო ჯოჯოხეთისა და ეშმაკების დამმახინჯებლებს, იმას, ვინც ლუციფერი ხან გომბეშოდ და ხან ჯუჯად გადააქცია და მას ერთი და იგივე მსჯელობა ასჯერ წარმოათქმევინა და თეოლოგიაზე კამათი დააწყებინა; ვინც არიოსტოს ხუმრობას ცეცხლის მსროლელი იარაღის გამოგონებაზე სერიოზულად მიბაძა და ეშმაკებს ცისკენ ზარბაზნები გაასროლინა! არც მე, არც არავის მთელ იტალიაში ეს მოსაწყენი უცნაურობა არ მოეწონება. ცოდვისა და სიკვდილის შეუღლება, ცოდვის მიერ დაბადებული გველხოკერები ფაქიზი გემოვნების ადამიანს გულს ურევენ. საავადმყოფოს გიჟიანურებული აღწერა კარგია მხოლოდ მესაფლაპისათვის. ამ ბნელმა პოემამ, უცნაურმა და მოსაბეზრებელმა, გამოქვეყნებისთანავე ზიზღი გამოიწვია; დღეს მე მის მიმართ ისე ვარ განწყობილი, როგორც მის სამშობლოში მისი თანამედროვე-

ნი იყენენ. ესეც არ იყოს, მე იმას ვამბობ. რასაც ვფიქრობ და სულ არ ცნადვლობ, თუ სხვები ჩემსავით არ ფიქრობენ.

კანდიდი ამ ლაპარაკმა შეაშფოთა; იგი პატივისცემის გრძნობით იყო განსჭვალული ჰომეროსის მიმართ და მილტონი ცოტათი კიდევ უყვარდა.

— ეჰ,—წასჩურჩულა მან მარტენს,—მე ვშიშობ, ამ კაცს ჩვენი გერმანელი პოეტები ძლიერ ეზიზღება.

— ეს არც ისე დიდი უბედურებაა,—სთქვა მარტენმა.

— ოჰ, რა დიდებული ადამიანია! თავისთვის ბუტბუტებდა კანდიდი,—რა დიდი გენიოსია ეს პოკოკურანტე! მას არაფერი მოსწონს.

წიგნების დათვალიერების შემდეგ, ბალში ჩავიდნენ. კანდიდმა ბალის მშვენიერება შეაქო.

— მე ესოდენ ცუდი გემოვნების არაფერი მინახავს,—სთქვა მასპინძელმა,—აქ ღირსშესანიშნავი არაფერია. მე ვაპირებ ხვალიდანვე ამ ბალის უფრო კეთილშობილური სახით გადაკეთებას.

ორი ცნობისშეყვარე მის აღმატებულებას გამოემშვიდობა.

— მაშ, ასე,—მიმართა კანდიდმა მარტენს,—ახლა რაღას იტყვით, განა ეს ადამიანი ადამიანთა შორის უბედნიერესი არ არის, რგი ხომ მალლა დგას ყოველივე იმაზე, რასაც ჰფლობს?

— ნუთუ, თქვენ ვერ ამჩნევთ,—მიუგო მარტენმა,—რომ მას საკუთარი ავლა-დიდება მობეზრებია. დიდი ხანია, რაც პლატონმა სთქვა, კუჭი, რომელიც არც ერთს საქმელს არ იღებს, საუკეთესო კუჭად არ ჩაითვლებო.

— მაგრამ,—სთქვა კანდიდმა,—განა სისიამოვნო არ არის ყველაფრის გაკრიტიკება, ნაკლის აღმოჩენა იქ, სადაც ყველანი მშვენიერებას ხედავენ?

— სხვაგვარად რომ ვთქვათ,—მიუგო მარტენმა,—არის თუ არა სიამოვნება იმაში, რომ სიამოვნება არ განიცადო.

— კარგი,—სთქვა კანდიდმა,—ჩემზე ბედნიერი ხომ არავინ იქნება, როდესაც ქალბატონ კუნეგონდას ვნახავ.

— იმედის ქონა ყოველთვის კარგია,—უბასუხა მარტენმა.

ამასობაში გადიოდნენ დღეები, კვირეები, კაკამბო არსად

ჩანდა; და თავის მწუხარებაში ღრმად ჩაფლულმა კანდიდმა ვერც კი შენიშნა, რომ პაკეტა და ძმა ქიროფლე მასთან ზადლობის სათქმელადაც კი არ მოვიდნენ.

## თავი XXVI

როგორ იმავშმის ეჭვს უცხოელთან ერთად კანდიდმა და მარტანმა, და ვინ იყვნენ ეს უცხოელები

ერთ საღამოს, როდესაც კანდიდი მარტენის თანხლებით ამავე სასტუმროში მცხოვრებ უცხოელებთან ერთად სუფრაზე დაჯდომას აპირებდა, მას უკანიდან ერთი მკვარტლისფერ სახიანი კაცი მიუახლოვდა, მკლავში ხელი ჩასჰიდა და უთხრა: — მოემზადეთ ჩვენთან ერთად გასამგზავრებლად, ნუ დააყოვნებთ.

კანდიდი მობრუნდა და კაკამბო დაინახა. ამაზე მეტად მას მხოლოდ კუნეგონდას ნახვა გააკვირვებდა და გაახარებდა. კანდიდი სიხარულისაგან კინალამ გაგიჟდა. იგი თავის ძვირფას მეგობარს გადაეხვია.

— რაღა თქმა უნდა, კუნეგონდა აქ იმყოფება. სად არის? წამიყვანე კუნეგონდასთან, რომ მის მახლობლად სიხარულისგან მოვკვდე.

— კუნეგონდა აქ არ არის, — უპასუხა კაკამბომ, — იგი კონსტანტინეპოლშია.

— ოჰ, ზეცავ! კონსტანტინეპოლში! ჩინეთშიაც რომ იყოს, მაინც გავფრინდებოდი მასთან. წავიდეთ.

— ჩვენ ვახშმის შემდეგ გავემგზავრებით, — უთხრა კაკამბომ, — მეტს ვერაფერს მოგახსენებთ; მე მონა ვარ, ჩემი პატრონი მიცდის; სუფრაზე უნდა ვემსახურო. მეტს ნულარაფერს მეტყვით; ივახშმით და მზად იყავით.

მწუხარებისა და სიხარულის შორის მოქცეული კანდიდი, თავის ერთგული მსახურის პოვნით აღტაცებული, მისი მონობით გაკვირებული, სატრაფოს ნახვის იმედით აღესილი, ათრთოლებული გულით, შერყეული გონებით, მაგიდას მიუჯდა მარტენტან ერთად, რომელიც ყოველივეს გულგრილად უტყუროდა; მათ გვერდით დაჯდა აგრეთვე ექვსი უცხოელი, რომლებიც ვენეციაში კარნავალზე ჩამოსულიყვნენ.

ვახშმის შემდეგ კაკამბო, რომელიც ერთ-ერთ უცხოელს ღვი-  
ნოს უსხამდა, მის ყურთან დაიხარა და უთხრა:

— ხელმწიფევ, თქვენს დიდებულებას შეუძლია გაემგზავ-  
როს, როდესაც სურს, გემი მზად არის. და კაკამბო გარედ  
გავიდა.

თანამესუფრეებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. ამ  
დროს მეორე მსახური მიუახლოვდა თავის ბატონს, მეორე  
უცხოელს, და უთხრა:

— ხელმწიფევ, თქვენი დიდებულების ეტლი პალუაშია და  
ნავიც მზად არის.

ბატონმა ნიშანი მისცა და მსახური გავიდა.

ყველა კვლავ ერთმანეთს გადახედა და საერთო გაკვირვე-  
ბა გაორკეცდა. მესამე მსახური მესამე უცხოელს მიუახლოვდა  
და უთხრა?

— მეფეო, დამიჯერეთ, თქვენი დიდებულება აქ მეტხანს  
ვერ დარჩება. მე ყველაფერს გავამზადებ. და მსახური მაშინვე  
თვალს მიეტყარა.

კანდიდი და მარტენი დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს კარნა-  
ვალის მასკარადი იყო.

— თქვენი დიდებულება, მაშინვე გაემგზავრება, როდესაც  
მოისურვებს,—მოახსენა მეოთხე ბატონს მეოთხე მსახურმა  
და სხვებსავით ისიც გარედ გავიდა.

მეხუთე მსახურმა ესევე მოახსენა მეხუთე ბატონს, მხოლოდ  
მეექვსე მსახურმა მეექვსე უცხოელს, რომელიც კანდიდის ახლოს  
იჯდა, სულ სხვაგვარად მიმართა:

— გეფიცებით, მეფეო, აქ თქვენს დიდებულებას სესხად  
აღარაფერს აძლევენ, აღარც მე აძლევენ რასმე; და მოსა-  
ლოდნელია, ჩვენ დაგვაპატიმრებენ კიდევ; ახლა კი საკუთარი  
საქმეების მოსაგვარებლად მივდივარ, მშვიდობით.

მსახურის წასვლის შემდეგ ექვსი უცხოელი, კანდიდი და  
მარტენი ღრმა სიჩუმემ მოიცვა. ეს სიჩუმე ბოლოს კანდიდმა  
დაარღვია.

— ბატონებო,—სთქვა მან,—ეს რა უცნაური ხუმრობაა,  
თქვენ რატომ ხართ ყველანი მეფეები? რაც შემეხება მე,  
გარწმუნებთ, რომ არც მე და არც მარტენი მეფეები არ  
გახლავართ.

მაშინ კაკამბოს ბატონმა მედიდურად სიტყვა ითხოვა და იტალიურად წარმოსთქვა:

— მე სრულებითაც არ ვხუმრობ, სახელად აჰმედ III<sup>53</sup> მქვია. მრავალ წელს სულთანი ვიყავი, ტახტი ჩემს ძმას წავართვი; ამ ტახტიდან ჩემმა ძმისშვილმა გადმომავდო. ჩემს ვეზირებს ყელუბი დასკურეს; მე სიცოცხლეს ჩენს ჰარამხანაში ვასრულებ. ჩემი ძმისწული დიდი სულთანი მაჰმუდი ხანდახან, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, მოგზაურობის ნებას მრთავს, და მე კარნავალის სანახავად ვენეციაში ჩამოვედი.

ამის შემდეგ აჰმედის გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა სთქვა:

— მე ივანე მქვია,<sup>54</sup> მთელი რუსეთის იმპერატორი გახლდით; ტახტი აკვანშივე წამართვეს, დედ-მამა დამიტყვევეს, მე თვით საპატიმროში აღმზარდეს. ხანდახან, მცველების თანხლებით, მოგზაურობის ნება მეძლევა და ვენეციაში კარნავალის სანახავად ჩამოვედი.

მესამემ სთქვა:— მე ვარ კარლ-ედუარდი, ინგლისის მეფე<sup>55</sup>; მამაჩემმა თავისი სამეფო უფლებები მე დამითმო და მე მათ შესანარჩუნებლად ვიბრძოლე. ჩემს რვაასს მებრძოლს გულები ამოჰგლიჯეს და ამ გულებით მათ ლოყებზე სცემეს. მე ციხეში ჩამსვეს. ახლა რომში სტუმრად მიედღივარ მამაჩემთან— ჩემსავით და ჰაჰაჩემსავით ტახტიდან გადმოგდებულ მეფესთან და კარნავალის სანახავად ვენეციაში ჩამოვედი.

მაშინ მეოთხემ აიღო სიტყვა და სთქვა:— მე პოლონელთა მეფე ვარ<sup>56</sup>; ომის ბედუკულმართობამ ჩემი სამკვიდრო დამაკარგვინა; მამაჩემმაც ბედისუკულმართობა განიცადა. მე ისევე ვეწორჩილები განგებას, როგორც სულთანი აჰმედი, იმპერატორი ივანე და მეფე კარლ-ედუარდი, ღმერთმა მისცეს მათ ხანგრძლივი სიცოცხლე. ვენეციაში მეც კარნავალის სანახავად ჩამოვედი.

მეხუთემ სთქვა:— მეც პოლონელთა მეფე ვარ<sup>56</sup>; ჩემი სამეფო ორჯერ დაეკარგე, მაგრამ განგებამ მომანიჭა სხვა სამფლობელო, სადაც უფრო მეტ სიკეთეს ვთვისავ, ვიდრე ვისლის ნაპირებზე მცხოვრებ სარმატთა ყველა მეფეებს შეუძლიათ. მეც განგებას ვემორჩილები და ვენეციაში კარნავალის სანახავად ჩამოვედი..

მეექვსე ხელმწიფის ჯერი დადგა.

— ბატონებო, — სთქვა მან, — მე სქვენსავით სახელგანთქმული ხელმწიფე არ გახლავართ, მაგრამ მაინც სხვებსავით მეფე ვიყავი. მე ტეოდორი ვარ,<sup>57</sup> მეფედ კორსიკაში ამირჩიეს: თქვენს დიდებულებას მიწოდებდნენ, ახლა კი ბატონსაც ძლივს მძახიან; ჩემის ბრძანებით ფული იჭრებოდა, ახლა კი ერთი დინარიც არ გამაჩნია. სახელმწიფოს ორი მდივანი მყავდა და ერთი მსახურიც ძლივს ლა შემრჩა; ტახტზე ვიჯექი; შემდეგ ლონდონში ციხეში დიდხანს ვიყავი დატყვევებული, უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი. მეშინია, აქაც იგივე ბედი არ შეწვიოს, თუმცა მეც, ისევე როგორც თქვენი დიდებულებანი, ვენეციაში კარნავალის სანახავად ჩამოვედი.

ხუთი დანარჩენი მეფე ამ ლაპარაკს კეთილშობილური თანაგრძნობით ისმენდა. თითოეულმა მათგანმა მეფე ტეოდორს ტანთსაცმელისა და პერანგების საყიდლად ოც-ოცი ცეხინი აჩუქა; კანდიდმა მას ორი ათას ცეხინად ღირებული აღმასი მიართვა. — ვინ არის ნეტავ, — ამბობდა ხუთი მეფე, — ეს უბრალო პიროვნება, რომელსაც შეუძლია თითოეულ ჩვენთაგანზე ასჯერ მეტი გასცეს?

იმ დროს, როდესაც სუფრიდან იშლებოდნენ, ამავე სასტუმროში ჩამოვიდა ოთხი უბრწყინვალესი პრინცი, რომელთაც ომის ბედუჯულმართობის წყალობით აგრძევე თავიანთი სამფლობელოები დაეკარგათ და რომელნიც ვენეციაში კარნავალის დარჩენილი დროის გასატარებლად ჩამოსულიყვნენ.

კანდიდმა ახალმოსულებს ყურადღება უკვე აღარ მიაქცია. იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ თავისი ძვირფასი კუნეგონდას საპოვნელად კონსტანტინეპოლს გამგზავრებულყო.

## თავი XXVII

### კანდილის გამგზავრება კონსტანტინეპოლს

ერთგული კაკამბოს გემის პატრონი, თურქი, რომელსაც სულთანი აჰმედი კონსტანტინეპოლს მიჰყავდა, უკვე დაეთანხმებინა, რომ მას კანდიდი და მარტენი გემზე მიეღო. ერთმაც და მეორემაც ამ საცოდავი უდიდებულესობის წინაშე მუხლი



მოიყარეს და შემდეგ გემზე ავიდნენ. კანდიდი გზაში მარტენს ეუბნებოდა:

— აი, ესეც ექვსი გვირგვინმოხდილი მეფე, ჩვენ მათთან ვივახშმეთ, და თან ამ ექვს მეფეთა შორის ერთს მე მოწყალება მივეცი. ალბათ კიდევ არიან სხვა ამაზე უბედური უფლისწულები. მე კი ას ვერძზე მეტი არაფერი დამიკარგავს და კუნეგონდას გულში ჩასაკრავად მიეფრინავ. ჩემო ძვირფასო მარტენ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ პანგლოსი მართალი იყო: ყოველივე უკეთესისკენ მიიმართება.

— მე ვისურვებდი ასე ყოფილიყო, — უპასუხა მარტენმა.

— მაგრამ, — დასძინა კანდიდმა, — ვენეციაში ჩვენ მართლაც ისეთი რამ შეგვემოხვა, რაც სინამდვილეს ძლიერ ნაკლებად ჰგავს. სად გაგონილა ან სად ნახულა, რომ ექვს ტახტიდან გადმოგდებულ მეფეს სამიკიტნოში ერთად ევახშმათ.

— ეს იმაზე არაჩვეულებრივი არ არის, — მიუგო მარტენმა, — რაც ჩვენ თავს გარდაგვხდა. მეფეთა ტახტიდან ჩამოგდება ძლიერ ჩვეულებრივი ამბავია. რაც შეეხება მათთან ვახშმობით მიღებულ ბედნიერებას, ეს იმდენად უმნიშვნელო რამაა, რომ ყურადღების ღირსიც კი არ არის.

კანდიდი გემში ჩაჯდა თუ არა, მაშინვე თავის ძველ მსახურს, თავის მეგობარ კაკამბოს კისერზე შემოეხვია.

— მართლა, — უთხრა კანდიდმა კაკამბოს, — რას აკეთებს ტუნეგონდა? იგი კვლავ სასწაულია მშვენიერებისა? კვლავ ვუყვარვარ თუ არა? როგორ არის? შენ მას კონსტანტინეპოლში ალბათ სასახლე უყიდე, არა?

— ჩემო ძვირფასო ბატონო, — უპასუხა კაკამბომ, — კუნეგონდა პროპონტიდის ნაპირზე ჯამებს ხეხავს ერთი პრინციისათვის, რომელსაც ძალიან ცოტა ჯამი აქვს; კუნეგონდა მხევალია ყოფილი მეფისა, რაგოცისა, <sup>38</sup> რომელსაც თავის დასარჩენად სულთანი ყოველდღე სამ ეკიუს აძლევს. მაგრამ ყველაფერზე მეტად სამწუხარო ის არის, რომ კუნეგონდამ თავისი სილამაზე დაჰკარგა და საშინლად დამახინჯდა.

— ოჰ, ლამაზია იგი თუ მახინჯი, — სთქვა კანდიდმა, — მე პატიოსანი კაცი ვარ და მოვალე ვარ მარად მიყვარდეს. მხოლოდ როგორ მივიდა იგი ამ შემაზრზენ მდგომარეობამდე

იმ ხუთი თუ ექვსი მილიონით, რომელიც შენ მას მიუტანე?

— კარგი, — სთქვა კაკამბომ, — ბატონ დონ ფერანდო დ'იბარაა-ი-ფიგუერა - ი-მასკარენეს - ი - ლაპურდოს - ი - სუზასთვის, ბუენოს-აირესის გუბერნატორისათვის, ორი მილიონი ხომ უნდა მიმეცა, რათა კუნეგონდას წამოყვანის ნებართვა მიმეღო? და განა ერთმა მეკობრემ დანარჩენი ვაეკაცურად არ წაგვართვა? განა ამ მეკობრემ არ გადაგვატარა მატაპანის კონცხი, მილოსი, ნიკარია, სამოსი, პეტრა, დარდანელი, მარმარილოს ზღვა და სკუტარში არ ჩაგვიყვანა? ახლა კუნეგონდა და დედაბერი ემსახურებიან იმ პრინცს, რომელზედაც მე გელაპარაკეთ, მე კი ტახტიდან გადმოგდებული სულთანის მონა ვარ.

— როგორ აკინძულა ერთმანეთზე ეს საშინელი უბედურებანი, — წარმოსთქვა კანდიდმა, — მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მე ჯერ კიდევ რამდენიმე ალმასი შემრჩენია. კუნეგონდას განთავისუფლება იოლია, მხოლოდ ძლიერ სამწუხაროა, რომ იგი დამახინჯებულა.

შემდეგ კანდიდი მარტენს მიუბრუნდა.

— რას ფიქრობთ, — ჰკითხა კანდიდმა მარტენს, — ყინ უფრო შესაბრალისია, იმპერატორი აჰმედი, იმპერატორი ივანე, მეფე კარლ ედუარდი თუ მე?

— არ ვიცი, — უპასუხა მარტენმა, — ამის გასაგებად თქვენს გულში უნდა ვიჯდე.

— ოჰ! — სთქვა კანდიდმა, — პანგლოსი რომ აქ იყოს, მას ეკოდინებოდა და ჩვენც გვასწავლიდა.

— არ ვიცი, — უთხრა მარტენმა, — რომელ სასწორზე შესძლებდა თქვენი პანგლოსი ადამიანთა უბედურების აწონას და მათი მწუხარების შეფასებას. მხოლოდ ვფიქრობ, რომ დედამიწაზე არსებობენ მილიონი ადამიანები, რომლებიც ასჯერ უფრო შესაბრალისნი არიან, ვიდრე კარლ-ედუარდი, იმპერატორი ივანე და სულთანი აჰმედი.

— ეს შესაძლებელია, — სთქვა კანდიდმა.

რამდენიმე დღეში შავ ზღვაში შემავალ სრუტეს მიუახლოვდნენ. კანდიდმა, უპირველეს ყოვლისა, ძლიერ ძვირ ფასში

გამოისყიდა კაკამბო და დაუყოვნებლივ ერთ გალერში ჩაჯდა, რათა პროპონტილის ნაპირებს მისდგომოდა და კუნეგონდა ეპოვნა, რაც უნდა მახინჯი ყოფილიყო იგი.

გალერის კატორღელთა შორის გამოირჩეოდა ორი მამაკაცი, რომლებიც ნიჩბებს ძლიერ ცუდად უსვამდნენ; ლევანტელი კაპიტანი დროდადრო მათ შიშველ მხრებზე ხარის ტყავის მათრახს ურტყამდა: კანდიდი უნებლიედ მოტრიალდა, მათ სხვებზე უფრო მეტი ყურადღებით დააცქერდა და სიბრაღულით მიუახლოვდა. მათი დამახინჯებული სახეების ზოგიერთი ნაკვთი მან პანგლოსისა და უბედური ბარონი იეზუიტის, ქალბატონ კუნეგონდას ძმის ნაკვთებს მიაგავსა. ამ აზრმა კანდიდი ააღელვა და დაანალვლიანა. იგი მათ უფრო მეტი ყურადღებით დააშტერდა.

— რაც მართალია, მართალია, — უთხრა მან კაკამბოს, — თუ ოსტატი პანგლოსი ჩამომხრჩვეალი არ მენახა და თუ ჩემდა საუბედუროდ ბარონი არ შემომკვდომოდა, ვიფიქრებდი, რომ ამ ხომალდის ნიჩბებს სწორედ ისინი უსვამენ-მეთქი.

ბარონის და პანგლოსის სახელის ხსენებაზე ამ ორმა კატორღელმა ხმამალლა შეჰყვირეს, თავთავის სკანზე გაშეშდნენ და ნიჩბები დაჰყარეს. ლევანტელი კაპიტანი მათთან მოვარდა და მათ გაორკეცებული ძალით მათრახის ცემა დაუწყო.

— შეჩერდით, შეჩერდით, ბატონო, — შეჰყვირა კანდიდმა, — რამდენსაც მოისურვებთ, იმდენ ფულს მოგცემთ.

— როგორ, ეს კანდიდია! — წამოიძახა ერთმა კატორღელმა.

— როგორ, ეს კანდიდია! — წამოიძახა მეორემ.

— ეს სიზმარი ხომ არ არის, — სთქვა კანდიდმა, — ხომ არ მძინავს? მართლა ამ გალერში ვზივარ? ნუთუ ეს ბატონი ბარონია, რომელიც მე მოგვკალი? ნუთუ ეს ბატონი პანგლოსია, რომელიც ჩამოხრჩობილი ვიხილე.

— ეს ჩვენა ვართ. ეს თვითონ ჩვენ ვართ, — უპასუხებდნენ ისინი.

— მაშ, ეს არის ის დიდი ფილოსოფოსი? — იკითხა მარტენმა.

— აბა! ბატონო ლევანტელო კაპიტანო — მიმართა კანდიდმა კაპიტანს, — რამდენს მოიხზოვთ ბატონი ტუნდერ-ტენტრონკის, იმპერიის ერთ-ერთ პირველი ბარონის და ბატონი

1 პანგლოსის, გერმანიის უღრმესი მეტაფიზიკოსის გამოსასყიდად?

— ქრისტიანო ძაღლო, — უპასუხა ლევანტელმა, — რადგან ეს ორი ქრისტიანი ძაღლი — კატორღელი ბარონი და მეტაფიზიკოსი ყოფილა, რაც ალბათ მათს ქვეყანაში დიდ ღირსებას წარმოადგენს, მე შენ მათში ორმოცდაათი ათას ცეხინს გამოგართმევ.

— თქვენ მიიღებთ ამ თანხას, ბატონო, მხოლოდ ელვასავით სწრაფად კონსტანტინეპოლში ჩამიყვანეთ და ფულს იქ მოგკემთ. თუმცა არა, ჯერ ქალბატონ კუნეგონდასთან მიმიყვანეთ.

ლევანტელმა კაპიტანმა, კანდიდის პირველი სურვილის გამოთქმისთანავე გაღერს ქალაქისკენ უბრუნა პირი და ბრძანა ნიჩბები იმაზე უფრო სწრაფად მოესვათ, ვიდრე ფრინველი ჰაერს აპობს.

კანდიდი ასჯერ გადაეხვია ბარონს და პანგლოსს.

— როგორ არ მოგკალით, ჩემო ძვირფასო ბარონო, და ჩამოხრჩობის შემდეგ როგორღა გადაარჩით ცოცხალი, ჩემო ძვირფასო პანგლოს? და ორივენი თურქეთის კატორღაში საიდან მოხვდით?

— ნუთუ ჩემი საყვარელი და მართლა ამ ქვეყანაში იმყოფება? — იკითხა ბარონმა.

— დიაღ, — უპასუხა კაკამბომ.

— მაშ, კვლავ ჩემს ძვირფას კანდიდს ვხედავ? — ყვიროდა პანგლოსი.

კანდიდმა მათ მარტენი და კაკამბო წარუდგინა. ყველა ერთმანეთს გადაეხვია და ყველა ერთად ალაპარაკდა. გაღერი მიჰქროდა, იგი უკვე ნავსადგურს მიაღდა. მოუხმეს ებრაელს, რომელსაც კანდიდმა ასიათას ცეხინად ღირებული აღზასი ორმოცდაათი ათას ცეხინად მიჰყიდა. ებრაელმა აბრამი დაიფიცა, რომ მეტის მიცემა არ შეეძლო. კანდიდმა მაშინვე ბარონი და პანგლოსი გამოისყიდა. პანგლოსი თავის გამათავისუფლებელს ფერხთ ჩაუვარდა და მისი ფეხები ცრემლებით განბანა. ბარონმა თავის დახრიტ მადლობა გადაუხადა კანდიდს და დაჰპირდა, ფულს პირველ შესაძლებლობისთანავე დაგიბრუნებო.

— ნუთუ შესაძლებელია, რომ ჩემი და თურქეთში იმყოფებოდეს?—კვლავ იკითხა მან.

— ამაზე შესაძლებელი არაფერია,— უპასუხა კაკამბომ,— რადგან იგი ტრანსილვანიის პრინცს ჭურჭელს ურეცხავს.

მაშინვე ორ ებრაელს მოუხმეს. კანდიდმა ალმასები კიდევ გაჰყიდა და ყველანი, სხვა გაღერით, კუნეგონდას გასათავისუფლებლად გაემგზავრნენ.

## თავი XXVIII

რა უმთხვავა კანდიდს, კუნეგონდას, პანგლოსს,  
მარტენს და სხვებს

— შემიხსენებთ, ერთხელ კიდევ შემიხსენებთ, ჩემო ყოვლად ღირსო მამაო, რომ ხმლით დაგჭკერით,— უთხრა კანდიდმა ბარონს.

— ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ,— უპასუხა ბარონმა. გამოგიტყუდებით, მეც ცოტა აეჩქარდი. ახლა კი, რადგან გსურთ გაიგოთ, თუ რა შემთხვევამ მომახვედრა კატორღაში, მე გეტყვით, რომ მონასტრის ბერმა—მეაფეთიამქემ ქრილობა მომიშუშა. ამის შემდეგ ესპანელთა რაზმი თავს დამესხა და მომიტაცა: ბუენოს-აირესში საპატიმროში სწორედ იმ დროს ჩამიყვანეს, როდესაც ჩემი და იქიდან მიემგზავრებოდა. მე მოვიტხოვე, რომ მაჩა გენერალთან გავეგზავნეთ რომში. <sup>59</sup> კონსტანტინეპოლში გამაწესეს, საფრანგეთის ელჩის მღვდლად. რვა დღე არც კი იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩემს მოვალეობას შევუდექი, რომ ერთ მშვენიერი აგებულების ახალგაზრდა იჩოლლანს <sup>60</sup> შევხვდი. ძლიერ ცხვლოდა. ქაბუკმა ბანაობა მოისურვა. მეც ამ შემთხვევით ვასარგებლე და ვიბანავე. არ ვიცოდი, რომ ქრისტიანს ახალგაზრდა მაჰმადიანთან ტიტველა ყოფნა ღიდ ცოდვად ეთვლებოდა. ერთმა ყაღმა ფეხის გულზე ჯოხის ასი დარტყმა მომიხაჯა და კატორღაში გამგზავნა. არა მგონია, ამაზე დიდი უსამართლობა კიდევ მომხდარიყოს სადმე. მე მსურს გავიგო, რატომ ემსახურება ჩემი და თურქებთან თავშეთაირებელ ტრანსილვანიის მეფეს?

— და თქვენ, ჩემო ძვირფასო პანგლოს,— მიმართა კანდიდმა პანგლოსს,— როგორ მოხდა, რომ კვლავ გხედავთ?

— მართალია, მიუგო პანგლოსმა, — თქვენს თვალწინ ჩამომახრჩვეს, თუმცა კანონის მიხედვით უნდა დავეწვიოთ; მაგრამ ხომ გახსოვთ, დააპირეს თუ არა ჩემი შეწვა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა; თქეში ისე ძლიერი იყო, რომ ცეცხლის ანთების იმედი გაუქრათ: მე ჩამომახრჩვეს, რადგან უკეთესი ვერაფერი მოიგონეს; ერთმა დოსტაქარმა ჩემი სხეული შეისყიდა, შინ წამიღო და განკვეთას შეუდგა ჯვარედინად, ქიპიდან ლავიწამდე. შეუძლებელია ადამიანი ჩემზედ ცუდად ჩამოხრჩობილი ყოფილიყო. წმინდა ინკვიზიციის მაღალ განსჯათა აღმასრულებელმა, წოდებით დიაკვანის თანაშემწემ, რაც მართალია — მართალია, ჩინებულად იცოდა ხალხის დაწვა, მაგრამ ჩამოხრჩობას არ იყო შეჩვეული. თოკი დასველებული, კვანძიანი და ცუდად გალიპული იყო, ერთი სიტყვით, მე ჯერ კიდევ ვსუნთქავდი. ჯვარედინი განკვეთის გამო ისე ხმამაღლა შევეყვირე, რომ ჩემი დოსტაქარი გულაღმა გადავარდა. მან წარმოიდგინა ეშმაკი გავეკეთეო; შიშისაგან სიკვდილის პირას მისულმა მოჰკურცხლა და კიბეზევე დაეცა. ამ ხმაურზე მეზობელი ოთახიდან მისი ცოლი გამოვარდა. როცა ჯვარედინი კრილობით მაგიდაზე გაშოტილი დამინახა, ქმარზე მეტად შეეშინდა, ოთახიდან გავარდა და თავის ქმარს ზემოდან დაემხო. როდესაც ოდნავ გონს მოვიდნენ, მე გავიგონე, თუ როგორ მიმართა დოსტაქარს მისმა მეუღლემ:

— ჩემო კარგო, ერეტიკოსის გაქრა რატომ იკისრეთ? განა არ იცით, რომ ამ ხალხის სხეულში ყოველთვის ეშმაკები არიან დაბუდებული? მე მღვდლის მოსაყვანად გავიქცევი, რათა ეშმაკი განდევნოს.

მე ამ სიტყვებზე აკანკალდი, მოვიკრიფე ის ცოტაოდენი ძალა, რომელიც შემრჩენოდა და შევეყვირე: — შემიბრალეთ!

ბოლოს პორტუგალიელი დალაქი გამხნედა. მან კანი გამაიკერა. მისმა ცოლმა მომიარა; ხუთმეტ დღეში ფეხზე დავდექი. დალაქმა შენიშნა, რომ კარგად აღზრდილი ვიყავი და მსახურად მოჰაწყო მალტის რაინდთან, რომელიც ვენეციაში მიემგზავრებოდა; მაგრამ ჩემს ბატონს ჩემი ხელფასის გასასწორებლად ფული არ გააჩნდა. ერთ ჭენეციელ ვაჭარს მსახურად დავუდექი და კონსტანტინეპოლში გავყევი. ერთ

დღეს მეჩეთში შესვლა მომინდა: იქ დამიხვდა მხოლოდ მოხუცი იმამი და ერთი ახალგაზრდა, ძლიერ ლამაზი, ღვთის-მოსაფი ქალიშვილი, რომელიც მამაოჩვენოს ბუტბუტე-ბდა. მას მკერდი გადაღლილი ჰქონდა და ორ ძუძუს შორის ტულიპების, ვარდების, ყაყაჩოების, ბაიების, სუმბულის და ქუჩმაიას მშვენიერი თაიგული მიემაგრებინა. მან თაიგული ძირს დააგდო. მე ავიღე და მეტად გულმოდგინე თაჯახიანობით კვლავ თავის ადგილას დავუმაგრე. ისე დიდხანს მოვეუ-ნდი თაიგულის დამაგრებას, რომ იმამი განრისხდა და, რად-გან შეაჩჩინა, ქრისტიანი ვიყავი, მცველებს მოუხმო. მათ მომიყვანეს ყადთან, რომელმაც ბრძანა, ჩემთვის ფეხის გულე-ბზე ასი ჯოხი დაერტყათ და კატორლაში გავეგზავნეთ. მე ზუსტად იმავე გაღერზე და იმავე სკამზე მიმაბეს ბორკი-ლებით, სადაც ბატონი ბარონი იმყოფებოდა. ამავე გაღერზე იყვნენ ოთხი ახალგაზრდა კაცი მარსელიდან, ხუთი ნეაპო-ლელი მღვდელი და ორი კორფუელი ბერი. მათ ჩვენ აგვი-სსნეს, ამგვარი ხიფათები ყოველდღე ხდებოდა. ბატონი ბარონი ამტკიცებდა, რომ მან ჩემზე მეტი უსამართლობა განიცადა; მე კი ვამტკიცებდი, უფრო დასაშვებია ქალის მკერდზე თაიგულის მიმაგრება, ვიდრე იხოლანთან შიშველი ბანაობა მეთქი. ჩვენ განუწყვეტლივ ვკამათობდით და დღეში ხარის ტყავის მათრახის ოც დარტყმას ვიღებდით, სანამ სამყაროს შემთხვევათა ჯაქვმა თქვენ ჩვენს გაღერზე არ მოგიყვანათ და ჩვენ არ გამოგვისყიდეთ.

— მართლა, ჩემო ძვირფასო პანგლოს, — უთხრა მას კანდი-დმა, — როდესაც თქვენ გახრჩობდნენ, უმოწყალოდ გცემდნენ, გაღერზე ნიჩაბს უსვამდით, ძაინც ფიქრობდით, რომ ქვეყ-ნად ყველაფერი უკეთესისაგან მიიმართება?

— მე ყოველთვის ჩემს უწინდელ აზრზე ვდგავარ, — უპასუხა პანგლოსმა, — რადგან, ბოლოსდაბოლოს, მე ფილოსოფოსი ვარ და ჩემი აზრების უარყოფა არ შემეფერის. შეუძლებელია, ლეიბნიცი სცდებოდეს,<sup>61</sup> და წინასწარ დადკენილი ჰარმონია ამ ქვეყნად ისევე უმშვენიერესი რამ არის, როგორც სამყაროს ოსულე და არაწონადი მატერია.

როგორ იკონება კანდიდა კუნებონდა და დედაბერი

იმ დროს, როდესაც კანდიდი, ბარონი, პანგლოსი, მარტენი და კაკამბო საკუთარ თავგადასავალს ჰყვებიდნენ, შემთხვევითობაზე და არაშემთხვევითობაზე მსჯელობდნენ, როდესაც ისინი მიწებებზე და შენიღებზე კამათობდნენ, სულიერ და ფიზიკურ ბოროტებაზე, თავისუფლებაზე და აუცილებლობაზე, დანაშაულებებზე, რომელიც ადამიანმა თვით თურქეთის კატორღაშიც კი შეიძლება მოიპოვოს, ისინი პრინციპების ნაპირზე მდებარე ტრანსილვანიის პრინციპის სახლს შიადგნენ. პირველნი, ვინც მათ ამ მიწაზე შემოხვდნენ, იყვნენ კუნეგონდა და დედაბერი, რომლებიც პირსახოცებს გასაშრობად თოკზე ჰყენდნენ. ამის დანახვაზე ბარონი გაფითრდა. როდესაც ნახად გამიჯნურებულმა კანდიდმა თვალი შეავლო მზემოკიდებულ კუნეგონდას, თვალბდასისხლიანებულს, დამკვნარ 'ყელიანს, დანაოქებულ ლოყებიანს, დაწითლებულ და დაქერცლილ სელებიანს, ჯერ სამი ნაბიჯით უკან დაიწია შეძრწუნებულმა და შემდეგ ზრდილობის გამო მას მიუახლოვდა. კუნეგონდა კანდიდსა და თავის ძმას გადაეხვია. გადაეხვივნენ დედაბერსაც. კანდიდმა ორთავე გამოისყიდა:

იქვე მახლობლად პატარა მამული იყიდებოდა: დედაბერმა კანდიდს ურჩია ამ მამულში მოთავსებულიყვნენ, სანამ ყველა ისინი უკეთეს ბედს ეწეოდნენ. კუნეგონდამ თავის დაუშნოების შესახებ არაფერი იცოდა; ეს მისთვის არავის გაუმხელია. მან კანდიდს მისი აღთქმა ისეთი დარწმუნებული კილოთი მოაგონა, რომ კეთილმა კანდიდმა უარის თქმა ვეღარ გაბედა. მან ბარონს განუცხადა, შენი დის ცოლად შერთვას ვაპირებო.

— მე ვერასოდეს ჩემი დის მხრიდან ესოდენ სიმდაბლეს და თქვენი მხრიდან ესოდენ თავხედობას ვერ დავუშვებ,— წარმოსთქვა ბარონმა:— მე ვერასოდეს ვერვინ მისაყვედურებს, ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაიდინეო. ამ ქორწინების გამო ჩემს დისწულებს გერმანიის საგვარეულო წიგნში აღარავინ ჩასწერს. არა, ჩემი და მხოლოდ ბარონზე გათხოვდება.



ქუნევონდა მას ფერხთ ჩაუვარდა და ფეხები ცრემლებით განუბანა. მაგრამ ბარონი შეუდრეკელი იყო:

— გიჟო ბატონო,— უთხრა მას კანდიდმა,— მე შენ გალერიდან გაგათავისუფლე, შენი გამოსასყიდი თანხა გადავიხადე, შენი დაც გამოვისყიდე, აქ იგი ჯამებს ხეხდა, დამახინჯდა; ჩემი გულკეთილობის გამო მას ცოლად ვთხოვლობ, და შენ კიდევ წინააღმდეგობას მიწევ; ჩემს რისხვას თუ აყევი, კვლავ შემომაკვდები.

— შენ შევიძლია ხელახლა მომიკლა.— სთქვა ბარონმა,— მაგრამ სანამ ცაცხალი ვარ, ჩემს დას შენ ცოლად ვერ შეიერთავ.

### თავი XXX

#### დასასრული

კანდიდს გულის სიღრმეში ქუნევონდას ცოლად შერთვის არავითარი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ ბარონის უსაზღვრო თავხედობამ მას ქუნევონდაზე ჯვარის დაწერა გადააწყვეტინა; თან თვით ქუნევონდაც იგი აჩქარებდა, რომ კანდიდმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შესძლო. კანდიდმა პანგლოსს, მარტენსა და ერთგულ კაკამბოს რჩევა ჰკითხა. პანგლოსმა მშვენიერი მოხსენებთი ბარათი დასწერა, სადაც ამტკიცებდა, რომ ბარონს თავის დაზე არავითარი უფლება არა აქვს და ქუნევონდას, მიუხედავად იმპერატორის ყველა ბრძანებისა, სამოქალაქო წესით შეუძლია კანდიდზე გათხოვებაო. მარტენმა კანდიდს ბარონის ზღვაში გადაგდება ურჩია. კაკამბომ გადასწყვიტა, რომ იგი ლევენტური გემის ბატონისთვის დაებრუნებინათ და კვლავ გალერზე მოეთავსებინათ, რის შემდეგ პირველივე ხომალდით რომში გაეგზავნათ მამა გენერალთან. ეს რჩევა ყველამ მოიწონა. მათ დედაბერიც დაეთანხმა. ბარონის დას არაფერი უთხრეს. ეს საქმე მცირეოდენი ფულით მოაგვარეს. სასამოვნოც კი იყო იეზუიტის დაპატრონება და ქედპალობისათვის გერმანელი ბარონის დასჯა.

ძლიერ ბუნებრივი იყო, რომ კანდიდს ამ ქვეყნად ყველაზე სასამოვნო ცხოვრება გაეტარებინა მას შემდეგ, რაც თავის სატრფოზე დაქორწინდა, რაც ფილოსოფოსი პანგლოსი, ფილოსოფოსი მარტენი, გონიერი კაკამბო და დედაბერი მის

მახლობლად დასახლდნენ, და მას თან ძველ ინკაელთა სამშობლოდან ნოტანილი აღმასების საკმაო რაოდენობა შერჩა; მაგრამ ებრაელებმა იგი იმდენჯერ მოატყუეს, რომ თავისი ბატარა მამულის მეტი აღარაფერი დარჩა. მისი ცოლი, რომელიც დღითი-დღე უფრო მეტად მახინჯდებოდა, ანჩხლი და აუტანელი გახდა; დედაბერი დაუძღურდა და მას კუნეგონდაზე უარესი ხასიათი გაუხდა; კაკამბო ბაღში მუშაობდა, ბოსტნეული კონსტანტინეპოლში გასაყიდად მიჰქონდა; იგი შრომისაგან იღლებოდა და თავის ბედს სწყევლიდა; პანგლოსი სასოწარკვეთილებაში ჩაეფლო, რადგან გერმანიის რომელიმე უნივერსიტეტში არ ბრწყინავდა; ხოლო მარტენი, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ ცხოვრება ყველგან ერთნაირად ცუდია, ყველაფერს მოთმინებით იტანდა. კანდიდი, მარტენი და პანგლოსი ხანდახან მეტაფიზიკაზე და მორალზე კამათობდნენ. ისინი ფანჯრებიდან ხშირად ხედავდნენ გემებს, დატვირთულა განდევნილი ეფენდებით, ფაშებით, ყადებით, რომლებსაც ლემნოსზე, მიტილენზე და ერზერუმში ასახლებდნენ; სხვა ყადები, სხვა ეფენდები, სხვა ფაშები იჭერდნენ განდევნილთა ადგილს და ისინიც თავიანთ მხრივ ჩქარა იდევნებოდნენ. ისინი აგრეთვე ხედავდნენ ჩალით გულმოდგინედ გატენილ ადამიანის თავებს, რომლებიც უმაღლეს პორტას საჩუქრად მოსდიოდა.

ეს სანახაობა ახალ კამათს იწვევდა, ხოლო როდესაც არ კამათობდნენ, ისეთი საშინელი მოწყენილობა გამეფდებოდა ხოლმე, რომ ერთხელ დედაბერმა ვლარ მოითმინა და გაბედულად სთქვა:

— მე ვისურვებდი გამეგო, რა უფრო მძიმე ასატანია: ზანგი მეკობრების მიერ ასჯერ გაუპატიურება. საჯდომის ერთი ნაწილის დაკარგვა, ბულგარელების მიერ გაროზგვა, აუტო-და-ფეს დროს ცემა და ჩამოხრჩობა, დოსტაქრის მიერ განკვეთა, გალერზე ნიჩბებით მუშაობა, ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ გადატანილ ყველა უბედურებათა თავიდან განცდა თუ აქ გულხელდაკრეფილი ჯდომა.

— ეს დიდად მნიშვნელოვანი საკითხია!—სთქვა კანდიდმა.

დედაბერის სიტყვამ ახალი მოსაზრებანი წარმოშვა; განსაკუთრებით მარტენმა დაასკვნა, ადამიანები დაბადებულნი

არიან იმისათვის, რომ ან მოუსვენრობის კონკულსიებში იცხოვრონ ან მოწყენილობის ლეტარგიაშიო. კანდიდი მას არ ეთანხმებოდა, მაგრამ არც არაფერს ამტკიცებდა. პანგლოსი აღიარებდა, ყოველთვის სასტიკად ვიტანჯებოდი, მაგრამ რადგან ერთხელ დავამტკიცე, ყოველივე უკეთესისკენ წიმიმართებო, არასოდეს ამ აზრისთვის არ მიღალატია და სხვა არაფერი მწამსო.

ერთმა შემთხვევამ მარტენს მისი საზიზღარი პრინციპები საბოლოოდ განუმტკიცა, კანდიდი ძლიერ შეაყოყმანა, ხოლო პანგლოსი შეაშფოთა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთ დღეს უკიდურეს გაჭირვებამდე მისული პაკეტა და ძმა ჟიროფლე მათ სახლს მოადგნენ. ორთავეს თავისი სამიათასი პიასტრი გაეფლანგათ, ერთპანეთს განშორებოდნენ, შემდეგ შერიგებულებიყვნენ, ისევ ეჩხუბათ, ციხეში მჯდარიყვნენ, ციხიდან გაქცეულიყვნენ და ბოლოს ძმა ჟიროფლე გათურქებულიყო; პაკეტა ყველგან თავის ხელობას განაგრძობდა, მაგრამ ველარაფერს შოულობდა.

— მე კარგად ვანვკვირებ, — უთხრა მარტენმა კანდიდს, — რომ თქვენი საჩუქარი გაიფანტებოდა და ამის შემდეგ ისინი თავს უფრო უბედურებად იგრძნობდნენ. თქვენ და კაკამბომ მილიონი პიასტრი მიფანტ-მოფანტეთ და მაინცდამაინც პაკეტაზე და ძმა ჟიროფლეზე ბედნიერები არც თქვენა ხართ.

— ოჰ, ოჰ, — მიმართა პანგლოსმა პაკეტას, — ჩვენთან თვით ზეცამ მოგიყვანათ, ჩემო საცოდავო ბავშვო! თუ მოგეხსენებათ, რომ თქვენი კეთილგანწყობა მე ჩემი ცხვირის წვერად, ცალ თვალად და ცალ ყურად დამიჯდა? ხედავთ, როგორი ყოფილხართ? ეჰ, რა არის ეს სამყარო.

ამ ახალმა შემთხვევამ ისინი წინანდელზე მეტად ჩასძირა ფილოსოფიაში. მათ მეზობლად ცხოვრობდა ერთი ფრიად სახელგანთქმული დავრიში, რომელიც თურქეთის საუკეთესო ფილოსოფოსად ითვლებოდა; ისინი მასთან რჩევის მისაღებად მივიდნენ. პანგლოსმა სიტყვა აიღო და მიმართა დავრიშს:

— ოსტატო, ჩვენ მოვედით, რათა თქვენ გკითხოთ, თუ რისთვის არის შექმნილი ესოდენ უცნაური ცხოველი, როგორიც არის აღამიანი?

— რა შენი საქმეა?—უპასუხა დავრიშმა,—განა ეს საქმიანი კილოა?

— მაგრამ, ჩემო ყოვლად ღირსო მამაო,—სთქვა კანდიდმა,— დედამიწაზე საშინელი ბოროტება სუფევს!

— განა სულ ერთი არ არის, აქ ბოროტება სუფევს თუ სიკეთე?—როდესაც მისი უდიდებულესობა ეგვიპტეში გემსა გზავნის, განა რგი გემის თავგების კეთილდღეობაზე ზრუნავს?

— მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ?—იკითხა პანგლოსმა.

— უნდა გაჩუმდეთ,—მიუგო დავრიშმა.

— მე ვიმედოვნებდი,—სთქვა პანგლოსმა,—თქვენთან ცოტა-ოდენ მაინც მემსჯელა მიზეზებზე და შედეგებზე. შესაძლებელ ქვეყანათა შორის საუკეთესო ქვეყანაზე, ბოროტების წარმოშობაზე, სულის თვისებაზე და წინასწარდადგენილ ჰარმონიაზე.

დავრიშმა ამ სიტყვებზე მათ ცხვირწინ კარი მიუჯახუნა.

ამ საუბრის დროს ხმა დაირხა, კონსტანტინეპოლში ორი ვიზირი და მუფთი დაახრჩვეს და მათი მრავალი მეგობარი სარზე ჩამოაგესო. ამ უბედურების ამბავმა რამდენიმე საათით დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როცა პანგლოსი, კანდიდი და მარტენი თავიანთ პატარა მამულში ბრუნდებოდნენ, შეამჩნიეს ერთი კეთილი სახის მოხუცი, რომელიც თავის კიშკართან, ფორთოხლების ხის ჩრდილს ქვეშ, სიგრილით სტკებოდა. პანგლოსმა, რომელიც ისევე ცნობისმოყვარე იყო, როგორც მოაზროვნე, ამ მოხუცს ჰკითხა, რა ექვა იმ მუფთის, რომელიც დაახრჩვესო.

— მე არაფერი ვიცი, — უპასუხა კეთილმა კაცმა,—არც არასოდეს არც ერთი მუფთისა და ვეზირის სახელი არა მცოდნია და არავითარი წარმოდგენა არა მაქვს იმ შემთხვევაზე, რომელზედაც თქვენ მელაპარაკებით; მე მგონია, საერთოდ ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ საქმეებში ერევიან, ხანდახან საცოდავად იღუპებიან და ამგვარ ხვედრს კიდევ იმსახურებენ. მე არასოდეს კონსტანტინეპოლის ამბებს არ ვიძიებ; ჩემთვის სრულიად საკმარისია, რომ იქ ჩემს მიერ გაშენებული ბაღის ხილს ვგზავნი. ამის შემდეგ მან უცხოელები თავის სახლში შეიპატიჟა: მოხუცის ორმა ქალიშვილმა და ორმა ვაჟმა მათ მოართვეს სახლში მომზადებული მრავალ-

ნაირი შარბათი, შაქარში მოდულებული და ლიმონის ქერქით შეზავებული კაიმალი, ფორთოხლები, ნარინჯები, ლიმონები, ანანასები, ფუსტულები, მოკას ყავა, რომელშიც ბატავიისა და კუნძულების უმსგავსი ყავა სრულიადაც არ იყო შერეული. ამის შემდეგ კეთილი მაჰმადიანის ორმა ასულმა კანდიდის, პანგლოსისა და მარტენის წვეკრებს ნელსურნელება აპკურეს.

— თქვენ, ალბათ,—მიმართა კანდიდმა,—ვრცელი და ჩინებული მიწა გაქვთ.

— მე მხოლოდ ოცი არპანი მიწა გამაჩნია,—უპასუხა თურქმა,—მე და ჩემი შვილები ვამუშავებთ მას. შრომა ჩვენ გვაშორებს სამ ბოროტებას: მოწყენას, გარყვნილებას და სიღარიბეს.

როცა კანდიდი თავის მამულში დაბრუნდა, თურქის ნათქვამის გაელენით ღრმა ფიქრს მიეცა. მან უთხრა პანგლოსსა და მარტენს:

— ამ კეთილ მოხუცს, მგონია, უკეთესი ბედი შეუქმნია თავისთვის; ვიდრე იმ ექვს მეფეს, რომლებთან ვახშმობის პატივი ჩვენ წილად გვხვდა.

— ძალაუფლება,—სთქვა პანგლოსმა,—ყველა ფილოსოფოსთა აზრით, ძლიერ სახიფათოა, რადგან ბოლოს და ბოლოს ეგლონი, მოაბიტთა მეფე, აღდმა მოჰკლა; აბესალომი ხეზე საკუთარი თმით ჩამოეკიდა და სამი შუბით განგმირეს; მეფე ნაღიბი, იეროპოპამის ძე, ბაზამ მოჰკლა, რეფე ელა—ზამბრიმ, ოქოზია—იეჰუმ, ატტალია—იოადმა; მეფეები იოაქიმი, იეჰონია, სედეკია მონებად ჩავარდნენ; თქვენ იცით, როგორ დაიღუპნენ კრეზი, ასტიავი, დარიუსი, დიონის სირაკუზელი, პირუსი, პერსეი, პანიბალი, იუჯურტა, არიოვისტი, ცეზარი, პომპეუსი, ნერონი, ოტონი, ვიტელიუსი, დომიციანი, რიჩარდი II ინგლისელი, ედუარდ II, ჰენრიხ VI, რიჩარდ III, მარია სტიუარტი, კარლ I, საფრანგეთის სამი ჰანრი, იმპერატორი ჰენრიხ IV. თქვენ იცით...

— მე ისიც ვიცი,—სთქვა კანდიდმა,—რომ საჭიროა ჩვენი ბალის დამუშავება.

— თქვენ მართალი ხართ,—მიუგო პანგლოსმა,—რადგან ადაპიანი ადამის ბალში მოთავსებული იყო *mut operaretureum* <sup>62</sup>

სამუშაოდ; რაც ამტკიცებს, რომ ადამიანი განცხრომისთვის არ არის შექმნილი.

— ვიმუშავოთ მსჯელობის გარეშე,— განაცხადა მარტენმა,— ცხოვრება ასატანი მხოლოდ ამ საშუალებით გახდება.

მთელი პატარა საზოგადოება ამ საქებურ განზრახვას მიემხრო. თითოეული თავისი ნიჭის გამოყენებას შეუდგა. პატარა მიწამ დიდი ნაყოფი გამოიღო. კუნეგონდა, მართალია, ულამაზო იყო, მაგრამ იგი საუცხოო ნამცხვრებს აცხოვდა; პაკეტა ჰქარავდა; დედაბერი სარეცხზე ზრუნავდა; თვით ძმა ეიროფლეც კი გამოადგათ, იგი საუკეთესო დურგალი დადგა და აგრეთვე პატიოსანი კაციც. პანგლოსი ხანდახან კანდიდს ეუბნებოდა:

— შესაძლებელ სამყაროთა შორის ამ საუკეთესო სამყაროში ყველა მოვლენები ურთიერთ კავშირში არიან: რადგან ბოლოს და ბოლოს თუ ქალბატონი კუნეგონდას სიყვარულის გამო ლაზათიანი პანდურის კვრით სასახლიდან არ გამოეგდეთ, ინკვიზიციას ხელში არ ჩაეარდნოდით, ამერიკა ფეხით არ შემოგეარათ, ბარონისთვის ხმალი მაგრად არ ჩაგერტყათ, მშვენიერი ელლორადოს ვერძები არ დაგეკარგათ, თქვენ ხომ

აქ ვერ მიირთმევდით ვერც ლიმონის დაწაქრულ ქერქსა და ვერც ფუსტულებს.

— ეს კარგად არის ნათქვამი,— უპასუხებდა კანდიდი,— მაგრამ საჭიროა ჩვენი ბალის დაწმუშავება.



ბაბილონის  
პრინცესა









# I

ბაბილონის მეფეს, მოხუც ბელუსს, ქვეყანაზე პირველ კაცად მიაჩნდა თავი. ყოველი კარისკაცი ამას ეუბნებოდა, მისი ისტორიოგრაფებიც ამას უმტკიცებდნენ. მეფის ამ სასაცილო თვითრწმენის გამართლება შეიძლებოდა მხოლოდ იმით, რომ თუმცა მისმა წინაპრებმა ოცდაათი ათასი წლით ადრე ააშენეს ბაბილონი, ბელუსმა იგი გაამშვენიერა. ცნობილია, რომ ბაბილონიდან რამდენიმე ფარასანგზე<sup>1</sup> მდებარე მისი სასახლე და ბალი იქყოფებოდნენ ევფრატისა და ტიგროსის შორის და წარმოადგენდნენ თვალწარმტაც სანაპიროებს, რომელთაც ეს მდინარეები რწყავდნენ. მისი ვრცელი სასახლე ზეცას სწვდებოდა. ამ სასახლის ფასადი სამი ათასი ნაბიჯის სიგრძისა იყო. ბანის მსგავს სახურავს გარშემოვლებული ჰქონდა ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის თეთრი მარმარილოს მოაჯირი და ზედ მეჭეებისა და სამეფოს წარჩინებულ პირთა უზარმაზარი ძეგლები იდგა. ეს სახურავი გაკეთებული იყო ტყვიით სქლად ამოვსებულ ორწყება კრამიტისაგან და მას ზევიდან თორმეტი ფუტის სიღრმის მიწა ეყარა; ამ მიწაზე ზეთისხილის, ფორთოხლის, ლიმონის, პალმის, მიხაკის, ქოქოსის და დარიჩინის ხეების ნამდვილი ტყე გაეშენებიათ. ისეთი ხშირი იყო

ეს ხეივანი, რომ შიგ მზის სხივიც ვერ შეიჭრებოდა. ტუმბო-  
ებით ამოზიდული ეფფრატის წყალი მარმარილოს ფართო  
აუზებს ავსებდა ამ ბაღებში, შემდეგ არხებში მიედინებოდა,  
ექვსი ათასი ფუტის სიმაღლის ჩანჩქერებსა და თვალწვდე-  
ნელი სიმაღლის შადრევნებსა ქმნიდა და ბოლოს ისევ უბრუნ-  
დებოდა მდინარეს. სემირამიდის<sup>2</sup> ბაღები, რომლებმაც  
რამდენიმე საუკუნის შემდეგ აზია გააკვირვა, მხოლოდ ამ  
უძველესი სასწაულების სუსტი მიბაძვა იყო; სემირამიდის შემ-  
დეგ მამაკაცთა და დედაკაცთა ხელში ყველაფერი გადაგვა-  
რებას იწყებს.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი და ყველაფრის დამ-  
ჩრდილავი ბაბილონში მეფის ერთად ერთი ასული ფორმო-  
ზანტა გახლდათ. მისი სურათებისა და ქანდაკებების მიხედ-  
ვით, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, პრაქსიტელმა გამოაქანდაკა  
აფროდიტე, რომელსაც ლამაზდუნდულიანი ვენერა უწოდეს.  
მაგრამ, ღმერთო, რა განსხვავებაა დედანსა და ასლს შორის!!  
ბელუსი საკუთარი ასულით უფრო ამყობდა, ვიდრე თავისი  
სამეფოთი. ქალს თვრამეტი წელი შეუსრულდა და საჭირო იყო  
ღირსეული მეუღლის გამოძებნა. მაგრამ სად ეძებნათ? ერთმა  
ძველმა მისანმა ბრძანა, რომ ფორმოზანტას ცოლად შეერთავ-  
და მხოლოდ ის, ვინც ნემბროდის<sup>3</sup> მშვილდს მოზიდავსო. ამ  
ნემბროდმა, ძლიერმა მონადირემ ღვთისა წინაშე, დას-  
ტოვა შვიდი ბაბილონური ფუტის სიგრძის აბანოზის ხის-  
გან გათლილი მშვილდი. ეს ხე უფრო მაგარი იყო, ვიდრე  
კავკასიის რკინა, რომელსაც დარუბანდის სამკედლოებში სჭე-  
დნენ, და ნემბროდის შემდეგ ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ შეს-  
ძლო ამ სასწაულებრივი მშვილდის მოზიდვა.

ეს არ კმაროდა. ვინც ამ მშვილდს მოზიდავდა, მას უნდა  
მოეკლა მძვინვარე და საზარელი ლომი, რომელსაც ბაბილო-  
ნის ცირკის მოედანზე აუშვებდნენ. არც ეს კმაროდა: ვინც  
მშვილდს მოზიდავდა და ლომს დაამარცხებდა, მას მიწაზე  
უნდა დაენარცხებინა მეტოქეებიც; მაგრამ უწინარეს ყო-  
ლისა მას მოეთხოვებოდა გონებამახვილობა, იგი უნდა ყო-  
ფილიყო დიდსულოვანი, სათნო და მას უნდა ჰქონოდა ისეთი  
იშვიათი ნივთი, რომლის ბადალს ქვეყანაზე ვერ იპოვიდით.

სამმა მეფემ გაბედა ერთმანეთს შესცილებოდნენ ფორმოზანტას შერთვაში: ეგვიპტის ფარაონმა, ინდოეთის შაკმა და სკვითების დიდმა ყაენმა. ბელუსმა შეჯიბრების დღე დანიშნა. საპაექრო ადგილად ბალის ბოლო აირჩია, ეფერატისა და ტიგროსის წყლებით გარშემორტყმული ვრცელი მოედანი. აქ ააგეს მარმარილოს ამფითეატრი, რომელიც ხუთასი ათას მყურებელს დაიტევდა. ამფითეატრის პირისპირ მეფის ტახტი დადგეს, აქ მეფე უნდა დამჯდარიყო ფორმოზანტასთან და სასახლის ამალასთან ერთად. მარჯვნივ და მარცხნივ, მეფის ტახტსა და ამფითეატრს შორის, სხვა ტახტები და საეარძლები იდგა სამი მეფისა და სხვა დიდებულთათვის, რომლებიც საზეიმო ცერემონიის სანახავად მოვიდოდნენ.

ეგვიპტის მეფე პირველი მოვიდა; ის აპისის ხარზე იჯდა და ხელში იზისის სისტრი ეჭირა.<sup>4</sup> ფარაონს თან ახლდა თოვლზე უთეთრესი ტილოს კაბებით შემოსილი ზრი ათასი ქურუმი, ორი ათასი საქურისი, ორი ათასი მოგვი და ორი ათასი მეომარი.

მალე ინდოეთის მეფეც მოვიდა ეტლით, რომელშიც თორშეტი სპილო იყო შებჭული. მას კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე ამაღა ჰყავდა, ვიდრე ეგვიპტის ფარაონს.

ბოლოს სკვითების მეფეც გამოჩნდა. მას ახლდა მშვილდითა და ისრებით შეიარაღებული რჩეული მეომრები. მეფე იჯდა მის მიერვე მოთვინიერებულ მშვენიერ ვეფხზე, რომელიც სიმაღლით სპარსულ ლამაზ ცხენებს არ ჩამოუვარდებოდა. ეს მონარქი თავისი დიდებული და წარმოსადეგი ტანადობით მეტოქეებს ჩრდილავდა. მისი თეთრი და ძარღვიანი შიშველი მკლავები თითქოს უკვე სწევდა ნემბროლის მშვილდს.

სამივე პრინცი ჯერ ფორმოზანტასა და ბელუსის წინ განერთხნენ. ეგვიპტის მეფემ პრინცესას საჩუქრად მიაართვა ნილოსის ორი მშვენიერი ნიანგი, ორი ჰიპოპოტამი, ორი ზებრა, ორი ეგვიპტური ვირთხა და ორი მუშია; ამასთან ერთად დიდი ჰერმესის წიგნები, რომელთაც ის იშვიათობად სთვლიდა.

ინდოეთის მეფემ ასი სპილო აჩუქა პრინცესას; თითოეულ სპილოს მოოქრული ხის კოშკურა ედგა ზურგზე. მანვე პრინ-

ცესის ფეხებთან დასდო ქსაკას\* ხელით დაწერილი „ვეი-  
დამი“<sup>6</sup>.

სკვითების მეფემ, რომელმაც არც წერა იცოდა და არც  
კითხვა, პრინცესას შავი მელიების ტყავის ასალებით დაფარუ-  
ლი ასი საომარი ცხენი მიართვა.

მშვენიერმა პრინცესამ თვალები დახარა და მორცხვად და  
ღირსეულად დაუკრა თავი საქმროებს.

ბელუსმა ბრძანა მიეცილებიათ ჰონარქები მათთვის განკუთ-  
ვნილ ტახტებამდე.—რატომ არა მყავს სამი ასული?—უთხრა  
მან სამ მეფეს,—დღეს მე ექვს აღამიანს გავაბედნიერებდი.

ბელუსმა ბრძანება გასცა კენჭი ეყარათ, ვინ შეეცდებოდა  
პირველად ნემბროდის მშვილდის მოზიდვას. პირველი განო-  
სვლა ეგვიპტის მეფეს ერგო, მეორე—ინდოეთის მეფეს და,  
როდესაც სკვითების მეფემ მშვილდსა და თავის მეტოქეებს  
გადახედა, არ ინანა, რომ შესამე რიგში ერგო გამოსვლა.

სანამ ამ ბრწყინვალე შეჯიბრებისთვის ემზადებოდნენ, ოცი  
ათასი დარბაზისყრმა და ამდენივე ქალიშვილი, წესრიგის  
დაურღვევლად, მაყურებლებს გამაგრილებელ სასმელებს სთა-  
ვაზობდნენ.

ყველა აღიარებდა, რომ ღმერთს მეფეები იმისთვის გაუჩე-  
ნია, რომ ყოველი დღე დღესასწაულად აქციონ, მხოლოდ ისე,  
რომ გართობაში მრავალნაირობა შეიტანონ; ცხოვრება იმდე-  
ნად ხანმოკლეა, რომ მისი სხვაგვარად გამოყენება არც შე-  
იძლება; საჩივრები, ინტრიგები, ომი, ხუცების კამათი სწამ-  
ლავენ აღამიანის სიცოცხლეს, ისანი მხოლოდ უაზრო და  
უსიამოვნო საქმეებს წარმოადგენენ. აღამიანი გაჩენილია  
გართობისათვის; მას ასე თავდავიწყებით და მუდმივად არ  
ეყვარებოდა გართობა, რომ ამისთვის არ იყოს შექმნილი;  
აღამიანის ბუნების დედაარსი თვითდატკობაა, დანარჩენი  
ყველაფერი სისულელეა; ამ საუცხოო მორალს ყოველთვის  
მხოლოდ ფაქტები ეწინააღმდეგებიან.

ის იყო უნდა დაეწყოთ შეჯიბრება, რომელიც ფორმოზან-  
ტას ბედს გადასწყვეტდა, რომ ცირკის მოედნის ზღუდესთან  
მარტორქაზე შემჯდარი ერთი ახალგაზრდა უცნობი გამოჩნდა.  
მისი მსახურიც ასეთივე ცხოველზე იჯდა. უცნობს დიდი ჩი-

ტი ეჯდა ხელზე. მცველები სახტად დარჩნენ ამ ჭაბუკის დანახვაზე. მას ღვთაების სახე ჰქონდა და, როგორც შემდეგ სთქვეს, თითქოს აღონისის<sup>7</sup> თავი ჰერკულესის მხრებზე იდგაო. დიდებულება მასში სინატიფესთან შეერთებულყო. ბაბილონისათვის უცნობმა სილამაზემ, შავმა წარბებმა და გრძელმა ქერა თმებმა ხალხი მოხიბლა. მთელი ამფითეატრი ფეხზე წამოდგა, უნდოდათ ჭაბუკი უკეთ დაენახათ. სასახლის ქალებმა გაკვირებული მხერა მიაპყრეს ვაჟს. თვით ფორმოზანტამ, რომელიც მუდამ თვალდახრილი იჯდა, შეხედა მას და გაწითლდა; სამი მეფე გაფითრდა. მაყურებლებმა ერთმანეთს შეადარეს ფორმოზანტა და უცნობი, და წამოიძახეს:

— მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ეს ჭაბუკია პრინცესასავით მშვენიერი.

გაკვირებულმა მცველთუხუცესებმა ჰკითხეს უცნობ ჭაბუკს; მეფე ხომ არ იყო იგი. უცნობმა უპასუხა, ეს პატივი არა მაქვს, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მომიყვანა შორიდან, მინდოდა მენახა, არსებობს თუ არა ისეთი მეფე, რომელიც მშვენიერი ფორმოზანტას ღირსი იქნებოდაო. უცნობი, მისი მსახური, ორი მარტორქა და ლამაზი ფრინველი ამფითეატრის პირველ რიგში მოათავსეს. ჭაბუკი თავმდაბლად მიესალმა ბელუსს, მის ასულს, სამ მეფეს და მთელ შეკრებულებას, გაწითლდა და ადგილი დაიკავა. ორი მარტორქა მის ფეხებთან გაწვა, ფრინველი ჩამოჯდა მის მხარზე, ხოლო მსახური, პატარა ჩანთით ხელში, გვერდით დაუდგა.

პაექრობა დაიწყო. ნემბროდის მშვილდი ოქროს კაპარჭიდან ამოიღეს. ცერემონისტერმა, რომელსაც ორმოცდაათი დარბაზის ყრმა ახლდა, ხოლო ოცი მებუკე წინ მიუძღოდა, მშვილდი ეგვიპტის მეფეს გადასცა. ფარაონმა ქურუმებს დაალოცვინა მშვილდი, აპონის ხარს დაადო თავზე და ეხლა ექვიც აღარ ეპარებოდა, რომ პირველი გამარჯვება მას ერგებოდა ფარაონი ჩამოვიდა ცირკის მოედანზე, მოსინჯა მშვილდი, მოიკრიბა ძალა და ისეთი კრუნჩხვა დაიწყო, რომ ამფითეატრმა სიცილი ასტეხა და ფორმოზანტასაც გაელიმა. ეგვიპტის მეფეს მისი მოძღვარი მიუახლოვდა და უთხრა:

— თქვენო უდიდებულესობავ, უარი სთქვით ამ ამო პატივ-

ზე, რომელიც მხოლოდ კუნთებზე და ნერვებზეა აგებული. დანარჩენ გამოცდაში თქვენ გაიმარჯვებთ: დაამარცხებთ ლომს, რადგან ოზირისის ხმალი თქვენს ხელთაა. ბაბილონის პრინცესა მას დარჩება, ვინც გონიერიაო, და თქვენ ხომ გამოცანებს ახსნით. მისი მეუღლე სათნო უნდა იყოსო, ასეთი კი თქვენა ხართ, რადგან ეგვიპტის ქურუმების აღზრდილი ბრძანდებით. პრინცესა გულუხვმა უნდა შეირთოსო: თქვენ ხომ აჩუქეთ მას ორი უმშვენიერესი ნიანგი და ორი ულამაზესი ვირთხა, რომლის ბადალი ნთელს დელტაში არ მოიპოვება; თქვენ ჰფლობთ აპისის ხარს და ჰერმესის წიგნებს—ეს ხომ იშვიათი საგნებია! ფორმოზანტას დასაკუთრებაში ვერავინ შეგეცილებათ“.

— თქვენ მართალი ხართ,—სთქვა ეგვიპტის მეფემ და თავის ტახტზე დაჯდა.

მშვილდი ინდოეთის მეფეს გადასცეს. ამაოდ იწვალა, ხელები დაიკოჭრა ისე, რომ ორი კვირა არ მოშორებია ეს კოჭრები, მაგრამ თავი დაიმშვიდა, რომ სკვითის მეფე მასზე ბედნიერი ვერ იქნებოდა, და დაუბრუნდა თავის ადგილს.

სკვითის ჯერიც დადგა: მან ძალა და მოხერხებულება გამოიყენა, მის ხელში მშვილდმა თითქოს რაღაც მოქნილობაც მიიღო, თითქოს მოლუნა კიდევ, მაგრამ ეტყობოდა ბოლომდე მის მოზიდვას ვერ შესძლებდა. ამფითეატრს, რომელიც ამ პრინცს აკუთვნებდა უპირატესობას მისი სანდომიანი გამომეტყველების გამო, კვნესა აღმოხდა ამ პატარა გამარჯვებაზე; ბევრმა გადასწყვიტა, რომ პრინცესა ვერასოდეს ვერ გათხოვდებოდა.

მაშინ ახალგაზრდა უცნობი ერთი ნახტომით გაჩნდა ცირკის მოედანზე და სკვითის მეფეს უთხრა:

— ნუ გიკვირთ, თქვენო უდიდებულესობაე, რომ მშვილდი მთლიანად ვერ მოზიდეთ. აბანოზის მშვილდებს ჩემს ქვეყანაში ამზადებენ. ერთი ხერხია გამოსაყენებელი მის მოსაზიდად. მისი ოდნავ მოლუნვა თქვენ უფრო მეტ პატივსა გდებთ, ვიდრე მე—მისი მოზიდვა მთლიანად. სწრაფად აიღო ისარი, მიაღო ლამძს, მოზიდა ნემბროლის მშვილდი და შორს, ზღუდის იქით გადისროლა ისარი. მილიონმა ხელმა შემოჰკრა ტაში ამ სასწა-

ულის დანახვაზე. ბაბილონი ზანზარებდა მოწონების წამოდა-  
ხილებით. ქალები ამბობდნენ: — რა ბედნიერებაა, რომ ეს  
მშვენიერი კაბუკი ასეთი ღონიერია!!

უცნობმა ამოიღო ჯიბიდან სპილოს ძვლის პატარა ფირ-  
ფიტა და ზედ ოქროს ნემსით რალაც დასწერა; ფირფიტა  
მშვილდზე მიამაგრა და ისეთი მოხდენილობით მიართვა პრინ-  
ცესას, რომ ყველა მოხიბლა. შემდეგ, ფრინველსა და მსახურს  
შორის შოკრძალებით ჩამოჯდა. მთელი ბაბილონი გაკვირ-  
ვებული დარჩა. სამრევ მეფე დარცხვენით ისხდნენ, უცნობი  
კი თითქოს არაფერს ამჩნევდა.

ფორმოზანტა კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა, როდესაც  
სპილოს ძვლის ფირფიტაზე ლამაზი ქალღური ენით დაწერილი  
ლექსი წაიკითხა:

ნემბროდის მშვილდი საომარი იარაღია,  
ხოლო ამურის მშვილდი—ბედნიერების:  
მას თქვენ ატარებთ; თქვენის წყალობით  
ეს გამარჯვებული ღმერთი დედამიწის ბატონი გახდა.  
სამი ძლიერი მეფე, სამი მოქიშე  
ლამობს თქვენ თავი მოგაწონოს;  
მე არ ვიცი, რომელს აირჩევს თქვენი გული,  
მხოლოდ სამყარო მისი მოწურნე გახდება.

ამ პატარა მადრიგალს არ გამოუწვევია პრინცესას რისხვა.  
ძველი სასახლის ზოგიერთმა კარისკაცმა დაიწუნა ლექსი;  
სთქვეს, რომ წინათ, კარგ დროში, ბელუსს შეადარებდნენ  
მზეს, ფორმოზანტას—მთვარეს, მის კისერს—გოდოლს, ხო-  
ლო ყელს — ხორბლის საწყაოსო. ისინი ამბობდნენ, უცნობს  
ფანტაზია არა ჰყოფნის და იგი არ იცაევს ნამდვილი პოე-  
ზიის წესებსო. მაგრამ ქალებს ძალიან მოეწონათ ლექსი; ისი-  
ნი ალტაცებით შეჰყურებდნენ უცნობს, რომელმაც ასე ადვი-  
ლად მოზიდა მშვილდი და თან ასეთი გონებამახვილობა გა-  
მოიჩინა. პრინცესას ამაღის ერთ-ერთმა ქალმა უთხრა თავის  
ქალბატონს:

— ქალბატონო, რა ტყუილად იკარგება ასეთი ნიჭი? აბა,  
რისთვის გამოადგება ამ კაბუკს საკუთარი გონებამახვილობა  
ან ბელუსის მშვილდი?

— იმისთვის, რომ იგი გააღმერთონ,—უპასუხა ფორმოზანტამ.

— ოჰო,—ჩაილაპარაკა ქალმა,—კიდევ ერთი მადრიგალი და ქაბუჯი პრინცესას სიყვარულის საგანი გახდება.

ამასობაში ზელუსი რჩევას ეკითხებოდა მოგვებს და გამოაცხადა, რადგანაც ამ სამ მეფეთაგან ვერც ერთმა ვერ შესძლო ნემბროდის მშვილდის მოზიდვა, ის მიათხოვებდა თავის ასულს მხოლოდ მას, ვინც დაამარცხებდა სამხეცეში საგანგებოდ ამ დღისათვის გაბოკვებილ ლომს. თავისი ქვეყნის სიბრძნით აღზრდილმა ეგვიპტის მეფემ განაცხადა, რომ მეტად სასაცილო იქნებოდა საქორწინოდ გამზადებულ მეფეს მხეცისათვის შეეწირა თავი. ის აღიარებდა, რომ ფორმოზანტას დაუფლება მაღალი ჯილდო იყო, მაგრამ თუ ლომი მას ყელს გამოუღადრავდა, ის ხომ ვერასოდეს ვერ შესძლებდა მშვენიერი ბაბილონელი ქალის შერთვას. ინდოეთის მეფემ მას მხარი დაუჭირა. ორთავემ დაასკვნა, რომ ბაბილონის მეფე დასცინოდა მათ, ამიტომაც მის დასასჯელად ჯარის მოყვანა იყო საჭირო. მათ ხომ ბევრი ჯარისკაცი ჰყავდათ, რომლებიც ბედნიერად ჩასთვლიდნენ თავს სიცოცხლე შეეწირათ თავიანთი მბრძანებელისათვის, ვიდრე ერთი ღერი თმა ჩამოვარდებოდა მათ წმინდათა წმინდა თავიდან. ისინი აღვივლად ჩამოაგდებდნენ ტახტიდან ბაბილონის მეფეს და შემდეგ კენჭსა ყრიდნენ, ვის შეხვდებოდა ფორმოზანტა.

ყველაფერი ეს დაადგინეს და ორივე მეფემ აცნობა თავიანთ ქვეყნებს—შეეგროვებიათ სამასი ათასი მეომარი ფორმოზანტას მოსატაცებლად.

ამასობაში სკვითების მეფე ხმალამოწვდილი ჩამოვიდა ცირკის მოედანზე. ეს მეფე ფორმოზანტას სიმშვენიერით არ იყო გაგიჟებული. მისი ერთადერთი გატაცება აქამდე სახელის მოხვეჭა იყო; ბაბილონშიც ამ გრძნობამ მოიყვანა იგი. მას უნდოდა ყველას ენახა, რომ თუ ინდოეთისა და ეგვიპტის მეფეები მეტად ფრთხილნი იყვნენ და თავი საფრთხეში არ ჩაიგდეს ლომთან ბრძოლით, იგი საკმაოდ მამაცი იყო უარი არ ეთქვა ამ შებრძოლებაზე და გვირგვინის დიდება აღედგინა. მისმა იშვიათმა სიმამაცემ ნება არ მისცა ესარგებლა მოთვი-



ნიერებული ვეფხის დახმარებით: იგი მარტოკა გამოვიდა, ოდნავ შეიარაღებული, თავზე მოოქრული მუზარადით რომელიც სამი ცხენის თოვლივით თეთრი ძუით იყო დაფარული.

მის წინააღმდეგ აუშვეს უზარმაზარი ლომი, რომელიც მარტო ლიბანის მთებში თუ იზრდება. მის საზარელ ბრჭყალებს თითქოს შეეძლო სამივე მეფე ერთდროულად დაეგლიჯა და მისი ვეებერთელა ჩახა ადვილად შესძლებდა მათ გადაყლაპვას. ლომის საზარელი ღმუილი აზანზარებდა მთელ ამფითეატრს. ორი ამაყი მეომარი სწრაფი ნახტომით მივარდა ერთმანეთს. მამაცმა სკვითმა ხმალი ჩაურჭო ლომს ყელში, მაგრამ ხმლის წვერი მოხვდა ერთ-ერთ მაგარ კბილს და ხმალი ნამსხვრევებად იქცა. ჭრილობისაგან გაცოფებულმა ტუის მხეცმა მეფეს მკერდში ჩაურჭო სისხლიანი ბრჭყალები. მამაცი პრინცი დაღუპვით შეშინებული ახალგაზრდა უცნობი ელვის სისრწაფით გადახტა ცირკის მოედანზე და ისეთი სიმარჯვით მოსჭრა ლომს თავი, როგორც მარჯვე ყმაწვილებმა საფრანგეთში კარუსელებზე მავრებისათვის თავის მოცლა ან ბეჭდების მოტაცება იციან.

შემდეგ უცნობმა ამოიღო პატარა ყუთი და მიაწოდა სკვითების მეფეს:

— თქვენო დიდებულებავ, ამ ყუთში თქვენ იპოვით ნამდილ დიქტამს<sup>8</sup>, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იზრდება. თქვენი სასახელო ჭრილობები ერთ წუთში განიკურნება. მხოლოდ შემთხვევამ შეგიშალათ ხელი ლომზე გამარჯვებაში, თორემ თქვენი სიმამაცე განსაცვიფრებელია.

უფრო მადლიერების, ვიდრე იქვის გრძნობით გამსკვალულმა სკვითთა მეფემ მადლობა გადაუხადა თავის მხსნელს და გულთბილად გადაეხვია მას. ამის შემდეგ ის წავიდა, რათა ჭრილობაზე წამალი დაედო.

კაბუქმა ლომის თავი მსახურს გადასცა. მსახურმა იგი გარეცხა დიდი შადრევანის ქვეშ და მთელი სისხლი მოაცილა. ამოიღო ქისიდან რკინის მარწუხი, ამოჭვლიჯა ლომის ორმოცი კბილი და მათ ადგილას კბილების სიდიდის აღმასები ჩასვა. უცნობი მისთვის ჩვეული მოკრძალებით დაუბრუნდა თავის ადგილს; მან გადასცა ლომის თავი ფრინველს და უთხ-

რა მას: „მშვენიერო ფრინველო, წადი და ფორმოზანტას ფეხებთან დასდე ეს მცირე საჩუქარი“. ფრინველი გაფრინდა, მას ერთ-ერთ ბრკყალში ეჭირა ეს საზარელი ნადავლი; იგი ფორმოზანტას გადასცა, თავი მდაბლად დახარა და პრინცესას წინ გაინაბა. ორმოცი ალმასის ბრწყინვალეობამ ყველას თვალი მოსკრა. დიდებულ ბაბილონში ასეთი მშვენიერება ჯერ არ ენახათ: აქ ზურმუხტი, საფირონი, ტამბაზი უძვირფასეს სამკაულებად მიაჩნდათ.

ბელუსი და მისი სასახლის კარი აღტაცებული დარჩნენ. ამ საჩუქრის მომტანი ფრინველი კიდევ უფრო ანცვიფრებდათ მათ. ის სიდიდით არწივის ოდენა იყო, მაგრამ მის თვალებს იმდენადვე ნაზი და ალერსიანი გამომეტყველება ჰქონდათ, რამდენადაც სიმკაცრესა და მექარას გამოხატავს არწივის თვალები. მისი ნისკარტი ვარდისფერი იყო და თითქოს რაღაც მსგავსებაც ჰქონდა ფორმოზანტას მშვენიერ ბაგეებთან. მისი კისერი შროშანის ყოველ ელფერს გადმოსცემდა, მაგრამ უფრო მკვეთრი და ბრწყინვალე იყო. მის ბუმბულზე ოქრო ათასი ელფერით ბრწყინავდა. მისი ფეხები ვერცხლისა და მეწამული ფერების ნარევს წარმოადგენდა. იუნონას<sup>9</sup> ეტლში შემბმული მშვენიერი ფრინველების კუდი უფერული ჩანდა ამ ჩიტის კუდთან შედარებით.

მთელი სასახლის ყურადღება, ცნობისმოყვარეობა, განცვიფრება, აღტაცება მიჰყრობილი იყო ალმასებისა და ფრინველისაკენ. ჩიტი ჩამოჯდა მოაჯირზე ბელუსისა და ფორმოზანტას შორის. ქალი მას აქებდა უალერსებდა, კოცნიდა და ჩიტიც უბრუნებდა ამ კოცნებს და თან ალერსიანად უყურებდა ქალს. ვერცხლისა და მარჯნის ფერის ბრკყალებით იღებდა იგი პრინცესასაგან ნამცხვარსა და ფუსტულებს და აუწერელი მოხდენილობით მიჰქონდა ნისკარტისაკენ.

ბელუსმა ყურადღებით დაათვალიერა ალმასები და დაასკვნა, რომ მისი მთელი ერთი პროვინციაც ვერ გადაიხდიდა ამ ძვირფასი საჩუქრის საფასურს. მან ბრძანა მოემზადებიათ უცნობისათვის უფრო ძვირფასი საჩუქარი, ვიდრე სამი მონარქისათვის იყო განკუთვნილი.

— ეს ქაბუკი, — ფიქრობდა ბელუსი, — ალბათ ჩინეთის იმპე-

რატორის ვაჟია, ან ქვეყნის იმ ნაწილის, რომელსაც ევროპას ეძახიან და რომლის შესახებ ლაპარაკი მსმენია; ან ეგვიპტის მეზობლად მდებარე, აფრიკად წოდებული ქვეყნის პრინცი თუ არის. მაშინვე მეჯინიბეთუხუცესი გაგზავნა უცნობთან: უბრძანა მისალმებოდა მას და ეკითხა მისთვის, ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს მბრძანებელი ხომ არ იყო იგი. ბელუსს ისიც აინტერესებდა, ასეთი საოცარი საგანძურის მფლობელი რატომ მოვიდა ერთი მსახურით და პატარა ჩანთით!?

იმ დროს, როცა მეჯინიბეთუხუცესი მეფის დავალების შესასრულებლად ამფითეატრს უახლოვდებოდა, მარტორქაზე შემჯდარი ერთი მსახური მოვიდა. მან ჭაბუკს ჩუმად უთხრა:

— მამათქვენი ომარი კვდება. მე თქვენს გასაფრთხილებლად მოვედი.

ჭაბუკმა ზეცას მიაპყრო თვალები, რომლებშიც ცრემლები ბრწყინავდა, და მხოლოდ ერთი სიტყვით უპასუხა მსახურს: „წავიდეთ“.

მეჯინიბეთუხუცესმა ბელუსის სალამი გადასცა ლომის დამმარცხებელ გულუხვ სტუმარს, მშვენიერი ჩიტის პატრონს. მსახურს კი ჰკითხა, რომელი სახელმწიფოს მეფე იყო ამ ჭაბუკი გმირის მამაო. მსახურმა უპასუხა: „მამამისი მოხუცი მწყემსია, რომელიც მთელს ოლქში ძალიან უყვართ“.

უცნობი უკვე შემჯდარიყო მარტორქაზე. იგი მიუბრუნდა მეჯინიბეთუხუცესს და მოახსენა: „ბატონო, კეთილინებეთ ჩემი სალამი გადაეცით ბელუსს და მის ასულს. პრინცესას ვთხოვ გაუფრთხილდეს ჩიტს, რომელსაც მას ვუტოვებ. ისიც ისევე ერთადერთია, როგორც პრინცესა არის“. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჭაბუკი ელვის სისწრაფით გაჰქრა. ორივე მსახური მას მიჰყვა კვალდაკვალ და მალე თვალს მიეფარნენ. ფორმოზანტამ თავი ვერ შეიკავა და შეჰკივლა. ჩიტმა მოიხედა ამფითეატრისაკენ, სადაც მისი პატრონი იჯდა და დასევდიანდა, როცა ვერ დაინახა იგი. შემდეგ თვალი მიაშტერა პრინცესას და ნისკარტით ნაზად შეეხო ქალის მშვენიერ ხელს, თითქოს სამსახურის გაწევას ჰპირდებოდა. გაკვირვებულმა ბელუსმა არ დაიჯერა, რომ ასეთი არაჩვეულებრივი ჭაბუკი მწყემსის შვილი ყოფილიყო და მას მდევარი დაადევნა. მაგრამ

მალე აცნობეს, რომ მარტორქებზე შემჯდარ სამ კაცს ვერ დაეწიენ; ისინი ისეთი სისწრაფით მიდიოდნენ, რომ ალბათ დღეში ას ლიეს მაინც გაივლიდნენ.

## II

ყველანი ამ უცნაურ ამბავზე ლაპარაკობდნენ და ამოოვარაუდებით იქანცებოდნენ: მწყემსის შვილი როგორ გააჩუქებდა ორმოც დიდ აღმასს? რატომ იჯდა იგი მარტორქაზე? ვერაფერს მიმხედარიყვნენ, ხოლო ფორმოზანტა ფრინველს უაღერსებდა და თან ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

მისმა ბიძაშვილმა, ნატიფი ტანის პრინცესა ალდეამ, რომელიც ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც ფორმოზანტა, უთხრა მას:—ჩემო ბიძაშვილო, მე არ გიცი მწყემსის შვილია თუ არა ეს ნახევარღმერთი, მაგრამ ერთი ცხადია: მან აასრულა ყველა პირობა, რომელიც თქვენ შეერთვისათვის იყო დადებულნი: მან მოზიდა ნემბროდის მშვილდი, დაამარცხა ლომი, იგი ჰკვიანია—ამის საბუთი მშვენიერი მადრიგალია; იმის შემდეგ, რაც მან ორმოცი უზარმაზარი აღმასი მოგართვათ საჩუქრად, ველარ უარყოფთ, რომ კაცთა შორის ის ყველაზე უფრო დიდსულოვანია. თავისი ფრინველით ის ამტკიცებს, რომ მას გააჩნია იშვიათი ნივთი, რომლის ბადალს ქვეყანაზე ვერ იპოვით. მისი კეთილშობილებაც უბადლოა. მას შეეძლო თქვენთან დარჩენა, მაგრამ უყოყმანოდ გაეშურა, როგორც კი მამის ავადმყოფობა გაიგო. წინასწარმეტყველება ყოველმხრივია შესრულებული: დარჩა მხოლოდ მეტოქეების დამარცხება, მაგრამ მან უფრო მეტი გააკეთა: სიკვდილს გადაარჩინა ერთ-ერთი საშიშარი მეტოქე, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ორთან ბრძოლას, დარწმუნებული ვარ, თქვენ ეპიც არ გეპარებათ უცნობის ამ ადვილ გამარჯვებაში.

— რასაც თქვენ ამბობთ, მართალია, — უბასუხა ფორმოზანტამ, — მაგრამ განა შესაძლებელია, რომ კაცთა შორის უპირველესი და იქნებ ყველაზე უფრო კეთილიც, მწყემსის შვილი იყოს!!

ერთი სეფექალი ჩაერია საუბარში და სთქვა, რომ სიტყვა „მწყემსი“ ხშირად „მეფესაც“ ნიშნავს. მათ ეძახიან „მწყემ-

სებს“ იმიტომ, რომ თავიანთ ფარას მეტისმეტად დაბლა კრეკავენ, და ეს ალბათ მსახურის უკბილო ხუმრობა გახლდა-  
თო. ახალგაზრდა გმირი უამალოდ იმიტომ მოვიდა, რომ  
უნდოდა ყველასათვის დაენახებია, რამდენად მალლა იდგა  
მისი ღირსება მეფეების მდიდრულ ცერემონიაზე, და ფორმო-  
ზანტას დასაკუთრებისათვის მხოლოდ თავისთავის იმედი  
ჰქონდაო.

სამი მეფისა და ზეიმზე მოსულთათვის ნადიმს მაინც ანზა-  
დებდნენ. მეფის ასული და ძმისშვილი უნდა დასწრებოდნენ  
ამ ნადიმს. მეფეებისათვის უმშვენიერესი ბაბილონური საჩუქ-  
რები მოჰქონდათ. სანამ ნადიმად დასხდებოდნენ, ბელუსმა  
შეკრიბა საბჭო ფორმოზანტას ქორწინების საკითხის ვადა-  
საწყვეტად და ასე ილაპარაკა:

— მე მოვხუცდი. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე ან ვის მივა-  
თხოვო ჩემი ასული. ის ვინც მისი ღირსი იყო, მდაბიო მწყემ-  
სი გახლავთ. ინდოეთისა და ეგვიპტის მეფენი მშიშრები აღ-  
მოჩნდნენ. სკვითების მეფე შემეფერებოდა სიძედ, მაგრამ მან  
ვერ აასრულა ვერც ერთი დადგენილი პირობა. მე კვლავ ვკით-  
ხავ რჩევას მისანს. მანამ კი თქვენ ითათბირეთ და შემდეგ  
განესაჯოთ, რასაც მისანი მირჩევს. მეფე მხოლოდ ისე უნდა  
მოიქცეს, როგორც ამას უკვდავი ღმერთები ბრძანებენ.

ბელუსი გაემართა სამლოცველოსკენ. მისანმა, ჩვეულებისა-  
მებრ, მოკლედ უპასუხა:

— შენი ასული მანამ არ გათხოვდება, სანამ ქვეყნის გარ-  
შემო არ იმოგზაურებს.

გაკვირვებულმა ბელუსმა პასუხი საბჭოს მოახსენა.

ყველა მინისტრი ღრმა პატივის სცემდა მისანს. ყველას  
მიაჩნდა (ან შეიძლება თვალთმაქცობდნენ), რომ წინასწარ-  
მეტყველები რელიგიის დასაყრდენი არიანო; გონება მათ წინა-  
შე უნდა გაჩუმდესო; მათი ძალით არის, რომ მეფეები ხალხ-  
ზე მბრძანებლობენ, მოგვები კი—მეფეებზეო. მისანთა გარეშე  
ქვეყანაზე არ იქნებოდა არც სათნობა, არც სიმშვიდეო. საბ-  
ჭოს წევრებმა ჯერ პატივისცემის გრძნობით ილაპარაკეს მი-  
სანზე და, ბოლოს, თითქმის ერთხმად აღიარეს, რომ ამ შემ-  
თხვევაში იგი უეჭველად თავხედი არისო. ქალიშვილებისათვის

საერთოდ, ხოლო ბაბილონის დიდი მეფის ასულისათვის კერძოდ, უფრო უხამსი და უმართებულო არაფერია, ვიდრე მგზავრობა ისე, რომ არც იცოდეს—სად მიდის და რისთვის მიდისო. მათ განაცხადეს, რომ ეს მოგზაურობა ნამდვილი საშუალება იქნება იმისათვის, რომ პრინცესა ან სრულიად არ გათხოვდეს ან ვინმეს საიდუმლო, სამარცხვინო, ყბადასაღები ქორწინებით დაუკავშირდეს. ერთი სიტყვით, საბჭომ განაცხადა, ეს მისანი უგუნურიაო.

მინისტრთა შორის ყველაზე უფრო ახალგაზრდა და ჰკვიანმა ონადაზმა სთქვა, რომ მისანი უეჭველია სალოცავად წასვლას გულისხმობდაო. მან თავს იღო პრინცესას მეგზურობა. საბჭომ მოიწონა მისი აზრი, მაგრამ თითოეულ მათგანს უნდოდა გაჰყოლოდა მეფის ასულს.

ბელუსმა გადასწყვიტა, რომ პრინცესა წავიდოდა არაბეთის გზით, სამასი ფარასანგის მანძილზე აგებულ ტაძარში, რომლის წმინდანი სახელგანთქმული იყო ქალიშვილებისათვის ბედნიერი ქორწინების მოპოვებით. პრინცესას საბჭოს წევრებიდან უხუცესი გაჰყვებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე საბჭო საეახშმოდ წავიდა.

### III

შუა ბაღში, ორ შადრევანს შორის, გაჭიმული იყო სამასი ფუტის დიამეტრის მოგრძო დარბაზი, რომლის ოქროს ვარსკვლავებით მოქედილი ლაქვარდოვანი კამარა თვალწინ წარმოგიდგენდათ ყველა თანავარსკვლავედს და მნათობს. ეს თალი ისეთივე უხილავი მანქანებით ტრიალებდა, როგორც უხილავია ის ძალები, რომელნიც ნამდვილ ვარსკვლავებს ამოძრავებენ ზეცაში. მთის ბროლის ცილინდრებში ჩასმული ასი ათასი ჩირალდანი ანათებდა დარბაზის შიგა და გარეთა ნაწილს. თაროებიანი განჯინა ოცი ათას ლანგარსა და ოქროს თევფს იტევდა. განჯინის პირდაპირ ამფითეატრივით იყო აშენებული საფეხურები. ეს ამფითეატრი დაკავებული იყო მემუსიკეებით, მეორე ამფითეატრი სავსე იყო ყოველი სეზონის ხილით, ხოლო მესამე—ბროლის სურებით, რომელშიც ყოველგვარი ფერის ღვინო კამკამებდა.

სტუმრები შემოუსხდნენ მაგიდას, რომელზედაც ამოქრილი იყო პატიოსანი თვლებით შემკული ხილისა და ყვავილების სახეები. მშვენიერი ფორმოზანტა იჯდა ინდოეთისა და ეგვიპტის მეფეთა შორის, ხოლო კეკლუც ალდეას მეზობლად ჰყავდა სკვითების მეფე. ოცდაათამდე პრინცი იყო ნადიმზე, და თითოეულ მათგანს სასახლის კარის ულამაზესი ქალი უჯდა გვერდით. მაგიდის შუა ადგილას, თავისი ასულის პირდაპირ, ბაბილონის მეფე იჯდა. იგი სევდიან ფიქრს მისცემოდა ქალიშვილის გაუთხოვრობის გამო, მაგრამ ჩანდა, უხაროდა კიდევაც, რომ მისი ასული ჯერ კიდევ რჩებოდა მასთან. ფორმოზანტამ მამას ნებართვა სთხოვა მის გვერდით ფრინველი დაესვათ. მეფე სიამოვნებით დათანხმდა. გაისმა მუსიკის ხმა და ამან საშუალება მისცა პრინციებს თავისუფლად ესაუბრათ მეზობელ ქალებთან. ნადიმი ბრწყინვალე და თან სასიამოვნო აღმოჩნდა. ფორმოზანტას წინ დასდეს რაგუ, რომელიც მის მამას—მეფეს უყვარდა. პრინცესამ ბრძანა მეფისათვის მიეტანათ ეს კერძი. ჩიტმა მაშინვე დაიჭირა თეფში უცნაური მოხერხებულობით და მეფეს მიართვა. არასოდეს არ მომხდარა, რომ აღამიანები ასე განცვიფრებულნი დარჩენილიყვნენ ვახშმის დროს. ბელუსმა დაუწყო ალერსი ჩიტს, რომელიც მალე ისევ გაფრინდა თავის ქალბატონისაკენ. გაფრენისას მან გაშალა ისეთი ლამაზი ბოლო, მის გაშლილ ფრთებს. ისეთი ბრწყინვალე ფერები ჰქონდა, მისი ოქროსფერი ბუმბული ისე თვალისმომჭრელად ელვარებდა, რომ ყველა ამ ჩიტს მიაჩერდა. დამკვრელებმა შესწყვიტეს მუსიკის დაკვრა და უმოძრაოდ იდგნენ. არაფერ სჭამდა, არაფერ ლაპარაკობდა, ალტაცების გამოწხატველი ჩურჩული ისმოდა მხოლოდ. მთელი ამ ხნის განმავლობაში პრინცესა ეალერსებოდა ჩიტს და არც კი ახსოვდა თუ ამ ქვეყანაზე მეფეები არსებობდნენ. ინდოეთისა და ეგვიპტის მეფენი უფრო აიშრიზნენ და შურიტ აივსნენ. თითოეულმა მათგანმა გადასწყვიტა—დაეჩქარებია სამასი ათასი მეომრის ლაშქრობა შურის საძიებლად.

რაც შეეხება სკვითების მეფეს, ის გართული იყო მშვენიერ ალდეასთან საუბარში. მას შურის გრძნობა არ ამოძრავებდა, მაგრამ მისი ამაყი ბუნება, რომელსაც არ მოსწონდა ფორმო-

ზანტას უყურადღებობა, უფრო გულგრილობით გაიმსჭვალა, ვიდრე სიბრაზის გრძნობით.

— პრინცესა მშვენიერია, — ეუბნებოდა ის ალდეას, — მე ამას ვაღიარებ, მაგრამ მგონია, რომ ის ერთ-ერთი იმ ქალთაგანია, რომელიც მხოლოდ საკუთარი სილამაზით არის გატაცებული და ფიქრობს, ყველამ ბედნიერად უნდა ჩასთვალოს თავი, თუ კეთილდღეობებს და საჯაროდ გამოვაჩენ ჩემს სახესო. ჩემს ქვეყანაში კერპებს არა სცემენ თაყვანს. მე მირჩევნია თავმდაბალი და ყურადღებიანი, მაგრამ ულამაზო ქალი, ვიდრე ასეთი მშვენიერი ქანდაკება. თქვენ, ქალბატონო, ისეთივე მომხიბვლელი ხართ, როგორც პრინცესა, მაგრამ მაინც კადრულობთ უცხოელებთან საუბარს. სკვითებისათვის ჩვეული გულწრფელობით ვაღიარებ, რომ პრინცესასთან შედარებით თქვენ განიკებთ უპირატესობას.

მეფე ცდებოდა ფორმოზანტას ბუნების დახასიათებაში: ქალი არ იყო ისეთი უკადრისი, როგორიც მას ეჩვენებოდა; ყოველ შემთხვევაში პრინცესა ალდეას მიერ ქათინაური სიამოვნებით იქნა მიღებული. მათი საუბარი უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა. ორივე კმაყოფილი დარჩა და სანამ სუფრიდან აღგებოდნენ, უკვე დარწმუნებულნი იყვნენ ერთმანეთში და კმაყოფილნი ერთმანეთისა. ნავაზშმევს ტყისაკენ გაისეირნეს. სკვითების მეფემ და ალდეამ დრო იშოვეს და განმარტოდნენ. ალდეამ, რომელიც ბუნებით გულწრფელი იყო, ასე მიმართა პრინცს:

— მე არ მეჯავრება ჩემი ბიძაშვილი, თუმცა ის ჩემზე ლამაზია და ბაბილონის ტახტსაც ის მიიღებს. მე იმიტაც კმაყოფილი ვარ, რომ თქვენი მოწონების ღირსი ვაგხდი. თქვენთან ერთად სკვითიაში ყოფნა მირჩევნია უთქვენოდ ბაბილონის გვირგვინის დადგმას. მაგრამ ეს გვირგვინი კანონის ძალით, თუ ასეთი არსებობს ქვეყანაზე, მე მეკუთვნის. მე ნებროდის მემკვიდრეების უფროს შტოს ვეკუთვნი, ფორმოზანტა კი უმცროსი შტოს. ჩამომავალია: პაპამისმა ტახტიდან გადმოაგდო და მოაკვლევინა პაპაჩემი.

— აჰა, მაშ ასე აფასებენ სისხლის ნათესაობას ბაბილონში? რა ერქვა თქვენს პაპას? — იკითხა სკვითმა.



— მას ერქვა ალდეა, როგორც მე, მამაჩემსაც ეს სახელი ერქვა, იგი გადასახლეს დედაჩემთან ერთად. ბელუსს მათი სიკვდილის შემდეგ ჩემი აღარ ეშინოდა და მოისურვა ალფე-ზარდე მას ასულთან ერთად, მაგრამ მას გადაწყვეტილი აქვს, მე არასოდეს არ გამათხოვოს.

— მე შურს ვიძიებ პაპათქვენის, მამათქვენის და თქვენ მაგეირ. პირობას გაძლევთ, რომ თქვენ გათხოვდებით: ზეგ დილით მე თქვენ მოგიტაცებთ, რადგან ხვალ ბაბილონის მეფესთან უნდა ვისადილოთ. მე დავბრუნდები ბაბილონში სამასი ათასი მეომრით თქვენი უფლებების განსამტკიცებლად.

— თანახმა ვარ,—უპასუხა მშვენიერმა ალდეამ. მათ მისცეს ერთმანეთს პატიოსანი სიტყვა და გაშორდნენ.

შეუღარებელი ფორმოზანტა დიდიხანია დასაძინებლად იყო წასული. მან ჩიტისათვის საწოლის ახლოს ვერცხლის პატარა ყუთში ჩარგული ფორთოხლის ხე დაადგმევინა. საწოლის ფარდები ჩამოშვებული იყო, მაგრამ ქალს არ ეძინებოდა. მისი გული და ფიქრები მეტად აღგზნებული იყო. მშვენიერი უცნობი ედგა თვალწინ. აი მან მოზიდა ნემბროდის მშვილდი, აი მოჰკვეთა თავი ლომს, აი ის მადრიგალს თხზავს და ბოლოს აჰა, ის მარტორქაზე შემჯდარა და ხალხში გაუჩინარდა. აქ კი ქალმა ქვითინი დაიწყო და ატირებულმა წამოიძახა:

— მაშ მე მას ვერასოდეს ვერ ვნახავ!?. აღარასოდეს არ დაბრუნდება!?

— დაბრუნდება ქალბატონო,—უპასუხა ჩიტმა ფორთოხლის ხის ტოტიდან,—განა შეიძლება მას თქვენ ვნახეთ და კვლავ არ მოინდომოს თქვენი ნახვა?

— ოჰ ზეცაო, ოჰ უკვდავო ძლიერებავ! ჩემი ჩიტი სუფთა ქალღურ ენაზე ლაპარაკობს!—წამოიძახა პრინცესამ და საწოლის ფარდები გადასწია, გაუწოდა ჩიტს ხელი და საწოლის წინ დაიჩოქა:

— მიწაზე ჩამოსული ღმერთი ხომ არა ხართ? ან დიდი ოროზმადი<sup>10</sup> ხომ არ ბრძანდებით, მშვენიერი ბუმბულით დაფარული? თუ თქვენ ღმერთი ხართ, დამიბრუნეთ ის ლამაზი ქაბუკი.

— მე მხოლოდ ფრინველი ვარ,—უპასუხა ჩიტმა,—მაგრამ

მე დავიბადე იმ დროს, როდესაც ყოველი პირუტყვი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, ხოლო ფრინველები, გველები, ქაკი ვირები, ცხენები და ფასკუნჯები შინაურულად ელაპარაკებოდნენ ადამიანებს. მე არ მინდოდა ხალხში ლაპარაკი, მე მეშინოდა, სეფექალებს კუდიანად არ მიველე, მე მხოლოდ თქვენთან შემძლია გულასდილი ვიყო.

ამდენი სასწაულებით დაბნეული, აღელვებული, გაკვირებული ფორმოზანტა მზად იყო ასი კითხვა ერთად მიეტა; ჯერ ჰკითხა რამდენი წლისა ხარო.

— ოცდაშვიდი ათას-ცხრაასი წლისა და ექვსი თვისა, ქალბატონო, მე ტოლი ვარ ზეცის პატარა რევოლუციისა, რომელსაც თქვენი მოგვები „ბუნიობის პროცესიას“ უწოდებენ და რომელიც სრულდება ერთხელ დაახლოებით ოცდა რვა ათას წელიწადში. უფრო ხანგრძლივი ცვალებადობაც ხდება, და ჩვენ გვყავს უფრო მოხუცი პირები, ჩემზე დიდი ხნოვანებისა. ათასი წლის წინათ, ერთ-ერთი ჩემი მოგზაურობის დროს, მე შევისწავლე ქალღური ენა; მე ძალიან მოწონს ეს ენა; მაგრამ სხვა ცხოველებმა, ჩემმა თანამოძმეებმა, უარი თქვეს ლაპარაკზე თქვენს ქვეყანაში.

— რატომ, ღვთაებრივო ფრინველო?

— ეჰ, ეს იმიტომ, რომ ადამიანებს დასჩემდათ ჩვენი შექმნა, იმის ნაცვლად, რომ ჩვენ გველაპარაკონ და ჩვენგან ისწავლონ. ბარბაროსები! განა არ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ რადგანაც ჩვენ გვაქვს იგივე ორგანოები, იგივე მოთხოვნილებები და სურვილები, ჩვენ გაგვაჩნია ისიც, რასაც ისინი „სულს“ უწოდებენ? განა ჩვენ მათი ძმები არა ვართ? რატომ არ იციან, რომ მოხარშვა და ჭამა შეიძლება მხოლოდ ბოროტი პირუტყვებისა!! ჩვენ ძმები ვართ თქვენი, და როცა დიდმა არსებამ, უკვდავმა და შემოქმედმა, თქვენთან დასდო ხელშეკრულება\*, ჩვენც შეგვიტანა შიგ: მან თქვენ აგიკრძალათ ჩვენი სისხლით კვება, ჩვენ კი—თქვენი სისხლის წოვა.

— თქვენი ძველი ლოკმანის<sup>11</sup> არაკები, რომელიც ამდენ ენაზეა თარგმნილი, მუდმივ ძეგლად დარჩება იმ სახსოვარი დროისა, როდესაც ჩვენს შორის ურთიერთობა არსებობდა.

\* იხ. წიგნი შესაქმე, თავი IX და ეკლემიასტი, თავი III, XVIII და XIX.

ეს არაკები ყოველთვის ამ სიტყვებით იწყება: „იმ დროს, როცა პირუტყვები ლაპარაკობდნენ...“ მართალია, ბევრი ქალი, თქვენს შორის, დღესაც ელაპარაკება თავის ძალს, მაგრამ ძალებს გადაწყვეტილი აქვთ არაფერი უპასუხონ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც აიძულეს სანადიროდ წასულიყვნენ და მონაწილე გამბდარიყვნენ ჩვენი ძველი, საერთო მეგობრების: ირმების, ფურ-ირმების, კურდღლების და გნოლების მოკვლაში. თქვენ კიდევ გაქვთ ძველი პოემები, სადაც ცხენები ლაპარაკობენ, თქვენი მეეტლეები დღესაც ელაპარაკებიან მათ, მაგრამ ისე უხეშად, ისეთი სამარცხვინო სიტყვებით, რომ ცხენებს, რომელთაც ერთ დროს თქვენ ძალიან უყვარდით, დღეს ასევე ეჯავრებით. ქვეყანა, სადაც კაცთა შორის სრულქმნილი, თქვენი მშვენიერი უცნობი ჭაბუკი ცხოვრობს, დარჩება ერთადერთ ქვეყნად, სადაც თქვენისთანა ხალხმა ჯერ კიდევ იცის ჩვენისთანა ქმნილებების შეყვარება და მათთან საუბარი; ამას გარდა, მხოლოდ ამ ქვეყანაში ნახავთ სამართლიან ხალხს.

— სად არის ჩემი უცნობი ჭაბუკის ქვეყანა? რა ჰქვია ამ გმირს? რა ჰქვია მის სამშობლოს? მე არა მჯერა, რომ ის მწყემსი იყოს. ის ისევეა მწყემსი, როგორც თქვენ ღამურა ხართ!

— მის ქვეყანას, ქალბატონო, განგარიდი ჰქვია. ეს კეთილშობილი და უძლიერესი ხალხის ქვეყანა განგესის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ჩემი მეგობრის სახელი ამაზანია. ის მეფე არ არის და, მგონია, არც სურს მეფედ გახდომა. მას უყვარს თავისი თანამემამულეები და ისიც მათსავით მწყემსია. მაგრამ არ წარმოიდგინოთ, რომ ის მწყემსები თქვენს მწყემსებსა ჰგვანდნენ, ძონძებში გახვეულთ, რომლებიც მათზე უკეთ შემოსილ ცხვრებსა დარაჯობენ, სიღუბჭირისაგან კენესიან და თავიანთ ხელფასიდან ნახევარზე მეტს ბეგარაში იხდიან. თანაბარუფლებიანი განგარიდელი მწყემსები იმ ურიცხვი ფარის პატრონები არიან, რომელნიც მუდმივად აყვავებულ მდელოებს სძოვენ. მწყემსები არასოდეს არა ჰკლავენ ცხვრებს. თავისი მსგავსების მოკვლა და შექმა საშინელი ბოროტმოქმედებაა განგესის სანაპიროებზე. ამ ცხვრების უმშვენიერესი და აბრეშუმზე უფრო ბრწყინვალე

მატყლი აღმოსავლეთთან დიდი ვაქრობის საგანია. ამას გარდა, განგარიდის ქვეყანა ყველაფერს აწარმოებს, რასაც კი ისურვებს ადამიანი: ის დიდი აღმასები, რომლებიც თქვენ ამაზანმა მოგართვათ, მისი საკუთარი საბადოებიდანაა. მარტორქა, რომელზედაც ის იჯდა, განგარიდების ჩვეულებრივი საჯდომი ცხოველია. მარტორქა ულამაზესი ცხოველია, ამაყი, საშიში და ამავე დროს ნაზი. ასი მარტორქა და ასი განგარიდელი საკმარისია ურიცხვი არმიის გასანადგურებლად. ორი საუკუნის წინ ინდოეთის ერთი მეფე გაბრიყვდა და მოინდომა ამ ერის დამორჩილება. იგი გამოცხადდა ათიათასი სპილოსა და მილიონიანო ჯარის თანხლებით. მარტორქებმა ისე გაგლიჯეს შუაზე სპილოები, როგორც ოქროს პატარა შამფურზე აცმული ტოროლები ვნახე გახლეჩილი თქვენს სუფრაზე. განგარიდელის ხმლების დარტყმის წყალობით მებრძოლები ისე ცვივოდნენ, როგორც ცვივა აღმოსავლეთის ხალხის მიერ მოკრილი ბრინჯი. მეფე ექვსასი ათასი კაცი-თურთ ტყვედ წაიყვანეს. იგი განბანეს განგესის სამკურნალო წყლებში და დაიწყეს მისი ადგილობრივ რეჟიმთან შეგუება. აქმევდნენ მხოლოდ მცენარეულ საკმელს, რომელიც ბუნებამ ცოცხალ არსებას მიაკუთვნა. ხორცსა და მაგარ სასმელებს მიჩვეულ ადამიანებს ცხარე და მგზნებარე სისხლი აქვთ და ამიტომაც ისინი ათასნაირად გიჟდებიან. მათი მთავარი სიგიჟე — ძმების სისხლის დაღვრის სურვილია და ნაყოფიერი მინდვრების გაჩანაგება, რათა შემდეგ სასაფლაოზე იმეფონ. ექვსი თვე მოანდომეს ინდოეთის მეფის განკურნვას ამ ავადმყოფობისაგან. როდესაც ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას ნორმალური მაჯისცემა და მშვიდი გონება ჰქონდა, ეს განგარიდის საბჭოს დაუდასტურეს. საბჭომ გაისტუმრა ინდოეთის მეფე, მისი უკუკუო კარისკაცები და ბრიყვი მებრძოლები მათს ქვეყანაში ისე, რომ არავითარი ვნება არ მიუყენებიათ. ამ გაკვეთილმა ისინი მოაქცივინა და ამის შემდეგ ინდოელები პატივს სცემენ განგარიდელებს ისევე, როგორც თქვენს ქვეყანაში ცოდნის შეძენას მოწყურებული უვიცები პატივსა სცემენ ქალღვევლ ფილოსოფოსებს, მაგრამ არ შეუძლიათ კი ამ ფილოსოფოსებს გაუტოლდნენ.

— მართლა, ჩემო საყვარელო ჩიტო,—ჰკითხა პრინცესამ,—  
გააჩნიათ თუ არა განგარიდელე? ს რაიმე რელიგია?

— როგორ თუ გააჩნიათ?! ქალბატონო, სავსე მთვარის  
დღეებში ღვთის სალოცავად თავს ვიყრი. ერთ ტაძარში  
კაცები იკრიბებიან, მეორეში—ქალები, ფრინველები—ქალაში,  
ოთხფეხი ცხოველები—ლამაზ მდელოზე. მადლობას ვწირავთ  
ღმერთს ყველა იმ სიკეთისათვის, რომელიც ჩვენ მოგვანიჭა.  
საუკეთესო მქადაგებლად ჩვენში თუთიყუში ითვლება. ასეთია  
ჩემი საყვარელი ამაზნის სამშობლო, იქ ვცხოვრობ მეც. მე  
ისეთივე მეგობრული გრძნობითა ვარ მისდამი აღჭურვილი,  
როგორი ძლიერი სიყვარულიც თქვენ შთაგაგონათ მან. თუ  
დამიჯერებთ, ჩვენ ერთად წავალთ და ვინახულებთ მას.

— თქვენ მართლაც კარგ ხელობას მოჰკიდეთ ხელი, ჩემო  
ჩიტო,—ღიმილით უთხრა პრინცესამ, რომელიც მოგზაურობის  
სურვილით იწვოდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა.

— მე ჩემს მეგობარს ვემსახურები,—სთქვა ფრინველმა,—იმ  
ბედნიერების შემდეგ, რაც შეიძლება თქვენმა სიყვარულმა  
მოგვანიჭოს, უდიდესი ბედნიერება თქვენი სამსახურია.

ფორმოზანტამ აღარ იცოდა, სად იყო; ეგონა ამ ქვეყნიდან  
სადღაც შორს ვარ გადატყორცილილი; ყველაფერი ის, რაც  
მან ღღეს ნახა, რასაც ის ხედავდა, რასაც ისვენდა და, გან-  
საკუთრებით, რასაც გრძნობდა, ოცნებები აკენ იტაცებდა.  
ეს ოცნებანი უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე ის სიხარული,  
როგორსაც მუსულმანები განიცდიან, როდესაც მიწიერი ბორ-  
კილებისაგან თავისუფალნი მეცხრე ცაზე მიფრინავენ და  
ჰურების მკლავებში ტბებიან, ოცნებით მთვრალნი და დიდე-  
ბითა და ზეციური ნეტარებით გამსქვალულნი.

#### IV

ფორმოზანტა მთელი ღამე ამაზანზე ლაპარაკობდა. ეხლა  
იგი მას მხოლოდ თავის „მწყემსს“ უწოდებდა, და ამ დღიდან  
„მწყემსს“ და „სატრფოს“ ერთიმეორის ნაცვლად ხმარობს  
ზოგი ერი. მან ჩიტს ისიც ჰკითხა, ჰყავდა თუ არა ამაზანს  
სხვა სატრფო? ჩიტმა უპასუხა, რომ არა ჰყოლიაო, და ქალი

გახარებული იყო. მას ისიც უნდოდა გაეგო, თუ რას აკეთებდა ამაზანი, როგორ ატარებდა დროს და სინარულით ისმენდა, რომ ამაზანი დროს ანდოვებდა კეთილ საქმეებს, ხელს უწყობდა ხელოვნების წარმატებას, ცდილობდა ბუნების საიდუმლოებების გამოცნობას და სრულყოფისკენ მიისწრაფოდა. ქალმა იკითხი, იყო თუ არა ჩიტის სული იმავე ბუნების, როგორც მისი ბატონისა იყო? რატომ იცხოვრა მან თითქმის ოცდარვა ათასი წელიწადი, მაშინ როდესაც მისი სატრფო მხოლოდ თვრამეტ-ცხრამეტი წლისაა. იგი უამრავ მსგავს კითხვებს იძლეოდა, რაზედაც ჩიტიც თავშეკავებით უპასუხებდა, ეს კი ქალის ცნობისმოყვარეობას კიდევ უფრო აღიზიანებდა. ბოლოს ძილმა დაუძძიმა ქუთუთოები და ქალი ღმერთების მიერ გამოგზავნილ ტკბილ სიზმრებში გაეხვია. ეს სიზმრები ხანდახან სინამდვილეს აღემატება და მათ ახსნას ძლივს თუ შესძლებს ქალდეველთა ფილოსოფია.

ფორმოზანტამ გვიან გაიღვიძა: ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო, როდესაც მამამისი — მეფე შემოვიდა. ჩიტმა ჩინებული ზრდილობით მიიღო მისი დიდებულება. მიფრინდა მასთან, შემოკრა ფრთები ერთმანეთს, წაიგრძელა კისერი და ხელახლა შემოჯდა ფორთოხლის ხეზე. მეფე სიზმრებისაგან კიდევ უფრო გამშფენიერებული ასულის საწოლზე ჩამოჯდა. პეფის გრძელი წვერი შეეხო ამ მშფენიერ სახეს, მან თავის ქალს ორჯერ აკოცა და ლაპარაკი დაუწყო:

— ჩემო საყვარელო შვილო, თქვენ გუშინ მეუღლე ვერ იპოვეთ—გამიცრუვდა იმედი. საქმრო კი საქიროა. ამას მოითხოვს ჩემი სახელმწიფოს კეთილდღეობა. მე რჩევა ვკითხე მისანს, რომელიც, ეს ხომ თქვენც იცით, არასდროს ტყუის. იგი ყოველ ჩემს მოქმედებას ხელმძღვანელობს. მან მე მიბრძანა გაგაგზავნოთ სამოგზაუროთ ქვეყნის ირგვლივ. თქვენ ყველაფერი უნდა ნახოთ.

— ოჰ, რასაკვირველია, განგარდიღლებთან უნდა წავიდე!— სთქვა ფორმოზანტამ და მაშინვე იგრძნო, რომ სისულელეს ამბობდა. მეფემ, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა გეოგრაფიაზე, ასულს ჰკითხა, რა უნდოდა ამით ეთქვა. ფორმოზანტამ ადვილად იპოვა გამოსავალი. მეფემ მას განუცხადა,

რომ სასწრაფოდ უნდა შედგომოდა მოგზაურობას. დაუსახელა ვინ გაჰყვებოდა თან: ამაღის გარდა, სახელმწიფო საბჭოს უხუცესი წევრი, სასულიერო პირი, ერთი სეფე-ქალი, ექიმი, მებაფთიაქე და ჩიტი. სამი მეფისა და ამაზნის მოსვლამდე ფორმოზანტა არასოდეს არ გასულა სასახლიდან და უგემურად ატარებდა დღეებს ბრწყინვალე და იძულეზითი გართობის დროს. ამიტომ იყო, რომ აღტაცებული დარჩა მომავალი მოგზაურობით. ვინ იცის, — ფიქრობდა ქალი, — იქნებ ღმერთებმა ძვირფას განგარიდელს იგივე სურვილები შთააგონონ, ისიც მოვიდეს ტაძარში და მე ვნახო. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა მამას და უთხრა, რომ გულის სიღრმეში ყოველთვის დიდ პატივსა ვცემდი ამ ტაძრის წმინდა მფარველსო.

ბელუსმა საუცხოო სადილი გაუმართა სტუმრებს; ესწრებოდნენ მხოლოდ მამაკაცები. ამ ხალხს გულწრფელობა აკლდა. ყველანი, მეფეები, პრინცები, მინისტრები, მოგვები ერთმანეთის მიმართ შურის გრძნობით იყენენ გამსჭვალულნი, მძიმედ ლაპარაკობდნენ, უხერხულად გრძნობდნენ თავს და მეზობლებსაც აწუხებდნენ. სადილი მხიარული არ იყო, თუმცა ბევრი დალიეს. ორივე პრინცსამ თავის ოთახში ისადილა, თითოეული მათგანი გამზგაერებისათვის ემზადებოდა. ნასადილევს ფორმოზანტა გასასვირნებლად წავიდა ბაღში და თან ჩიტიც წაიყვანა. ჩიტი ართობდა თავის ქალბატონს; გადაფრინდებოდა ერთი ტოტიდან — მეორეზე, შლიდა მშვენიერ ბოლოს და თავს აწონებდა საუცხოო ბუმბულით.

ეგვიპტის მეფემ, შექეიფიანებულმა (რომ არ ვთქვათ, მთვრალ-მამა), მსახურს მოსთხოვა მშვილდი და ისრები. სიმართლე რომ ვთქვათ, ფარაონი თავის ქვეყანაში ყველაზე უფრო ცუდ მსროლელად ითვლებოდა და, როცა ის ისროდა, უვნებლად სწორედ ის ადგილი რჩებოდა, რომელსაც უმიზნებდა. მაგრამ მშვენიერ ჩიტს, რომელიც ისარივით სწრაფად დაფრინავდა, ისარი ალაღბებდნენ მოხვდა, და ის ფორმოზანტას მკლავებში გასისხლიანებული დაეცა: ეგვიპტელმა ბრძივულად გაიციინა და გაშორდა იქაურობას. ფორმოზანტას კივილი ცასა სწვდებოდა. ქალი ცრემლებად იღვრებოდა და მკერდსა და თავში იცემდა ხელებს. მომაკვდავმა ჩიტმა წასჩურჩულა: „დამწვი და ჩემი

ფერფლი ბედნიერი არაბეთისკენ წაიღე, ძველი ქალაქის ადენის თუ ედენის აღმოსავლეთით, და მზეზე დასდე, დარიჩინისა და მიხაკის პატარა კოცონზე“. სთქვა ეს და სულიც დალია. ფორმოზანტა დიდხანს იყო გრძნობადაკარგული და, როცა გონს მოვიდა, კვლავ ცრემლები დაღვარა.

მამამისი ინაწილებდა მის მწუხარებას, სწყევლიდა ეგვიპტის მეფეს და, რადგან ექვი არ ეპარებოდა, რომ ეს შემთხვევა ცუდის მომასწავებელი იქნებოდა, მაშინვე სამლოცველოში გაეშურა მისანთან.

მისანმა წარმოსთქვა: „ყველაფრის არევა; ცოცხლად სიკვდილი; ლალატი და სიმტიციე; წაგება და მოგება; უბედურება და ბედნიერება“. ვერც მეფემ, ვერც მისმა საბჭომ ვერაფერი გაუგეს ამ სიტყვებს, მაგრამ ბელუსი მაინც კმაყოფილი იყო, რომ თავისი რელიგიური მოვალეობა შეასრულა.

თვალცრემლიანმა ფორმოზანტამ კი უკანასკნელი პატივი სცა თავის ჩიტს და გადასწყვიტა, სიცოცხლედაც რომ დასჯდომოდა, ფერფლი არაბეთში წაეღო. ჩიტი დაწვეს. უწვავ ტილოში გახვეული, ფორთოხლის ხეზე დასვენებული. ლომის ხახიდან ფორმოზანტამ ამოაღებინა ალმასები; ფერფლი ამ ალმასებით და წითელი ლალით მორთულ ოქროს თასში ჩაჰყარა. ამ სამწუხარო ვალდებულების შესრულების ნაცვლად იგი დიდი სიამოვნებით დასწვავდა ეგვიპტის საზიზღარ მეფეს: ეს იყო მისი ერთადერთი სურვილი. ფაოონის გასაბრაზებლად ქალმა მოაკვლევინა მეფის ორი ნიანგი, ორი ჰიპოპოტამი, ორი ზებრა, ორი ვირძხა და ორივე მუშია ეფერატში გადააგდებინა. ხელთ რომ ჰყოლოდა აპისის ხარი, არც იმას დაინდობდა.

შეურაცხყოფილი ეგვიპტის მეფე იმ წამსვე სამასი ათასი მეომრის გამოლაშქრების დასაჩქარებლად გაეშურა. ინდოეთის მეფემ რომ თავისი მოკავშირის განგზავრება გარგო, ისიც იმავე დღეს წავიდა, რათა თავისი სამასი ათასი მებრძოლი ეგვიპტელებისათვის შეეერთებინა.

სკვითების მეფე პრინცესა აღდეასთან ერთად გაიპარა ლამით. მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა სათავეში ჩასდგომოდა სამასათასიან არმიას და დაბრუნებულიყო, რათა აღდეასა-



თვის ბაბილონის მემკვიდრეობა დაებრუნებია: ეს მემკვიდრეობა ქალს ეკუთვნოდა, რადგან იგი უფროსი შტოს შთამომავალი იყო.

თავის მხრივ, მშვენიერი ფორმოზანტაც გზას გაუდგა დილის სამ საათზე ღვთისმოსავი ამალის თანხლებით. თავს იიმედებდა, რომ ჩიტს უკანასკნელ სურვილს შეუსრულებდა, და სამართლიანი ღმერთები დაუბრუნებდნენ მას საყვარელ ამაზანს, ურომლისოდ სიცოცხლე უკვე აღარ შეეძლო.

ასე რომ გაღვიძებულმა ბაბილონის მეფემ ველარავინ იპოვა. „რა უცნაურად მთავრდებიან დღესასწაულები, — გაიფიქრა მან, — და რა საოცარ სიცარიელეს სტოვებენ ისინი სულში, როცა ეს ხმაური მიჩუმდება ხოლმე“. მაგრამ ნამდვილი მეფური რისხვით აივსო ის, როდესაც პრინცესა აღდგას მოტაცება გაიგო. მან ბრძანება გასცა გაღვიძებინათ ყველა მინისტრი და საბჭო შეეკრიბათ. მათი მოსელის მოლოდინში ის ესაუბრა მისანს, მაგრამ მისგან მხოლოდ ეს ამიერიდან მსოფლიოში განთქმული სიტყვები მოისმინა: „როდესაც ქალიშვილებს არ ათხოვებენ, ისინი თვითონვე თხოვდებიან“.

მეფემ სასწრაფო ბრძანება გასცა, სკვიტების მეფის წინააღმდეგ გაელაშქრათ სამასი ათასი მეომრით. ამრიგად, ყოველი მხრიდან საშინელი ომი გაჩაღდა და იგი ერთადერთი შედეგი იყო იმ შესანიშნავი დღესასწაულისა, რომლის მსგავსი ქვეყანაზე არასოდეს არ ყოფილა. ოთხი არმია, რომელთაგან თითოეული სამასი ათასი ჯარისაგან შეადგებოდა, უბედურებას უქადდა აზიას. ნათელია, რომ ტროას ომი, რომელმაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ მსოფლიო გააკვირვა, მასთან შედარებით მხოლოდ ბავშვური თამაში იყო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტროელების ომი ცუდი ყოფაქცევის ხანში შესული ქალისაოჯის მოხდა, მაშინ როცა ეს ომი ორი ახალგაზრდა ქალისა და ჩიტის გამო ატყდა.

ინდოეთის მეფე თავის არმიას ელოდა დიდ და მშვენიერ გზაზე, რომელც მაშინ ბაბილონს კაშმირთან აერთებდა. სკვიტების მეფე აღდგასთან ერთად ინეთივე ლამაზი გზით მიეშურებოდა იმაუსის მთისაკენ. ყველა ეს გზა, ცუდი მმართველობის გამო, გაპქრა შემდეგში. ეგვიპტის მეფე დასაელე-

თისკენ მიემართებოდა და მიჰყვებოდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს, რომელსაც უვიცმა ებრაელებმა, მოგვიანებით, დიდი ზღვა უწოდეს.

რაც შეეხება მშვენიერ ფორმოზანტას, იგი მიჰყვებოდა ბასორას გზას, რომელიც სავსე იყო მუდმივი ჩრდილის მომფენი მაღალი პალმებით და ყოველი სეზონის ხილით. ტაძარი, სადაც ის მიდიოდა, თვით ბასორაში იყო.

წმინდანი, რომელსაც ეს ტაძარი აუგეს დაახლოებით ისეთი იყო, როგორც ლამპსაკში გაღმერთებული წმინდანი<sup>12</sup>. ის არა მარტო პოულობდა საქმროებს ქალიშვილებისათვის, არამედ ხშირად თვითონაც სწევდა ქმრების მოვალეობას. აზიაში ამ წმინდანს განსაკუთრებით სცემდნენ პატივს. ფორმოზანტას ნაკლებად აინტერესებდა ბასორას წმინდანი, ის მხოლოდ საყვარელ განგარიდელზე ფიქრობდა და უხმობდა მას. ქალს უნდოდა ბასორაში ჩამჯდარიყო გემში და შესულიყო ბედნიერ არაბეთში, რათა განსვენებული ჩიტის სურვილი შეესრულებია.

მესამე ღამის სათევზე, ის იყო მისთვის მომზადებულ სასტუმროში უნდა შესულიყო, რომ მან გაიგო ეგვიპტის მეფის იქ ყოფნა. ფარაონის ჯაშუშები კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ პრინცესას და მეფისათვის ყველაფერი შეეტყობინებიათ. მას შეეცვალა გეზი და ურიცხვი ამალითურთ დასდევნებოდა ქალს. ყველა კართან მეთვალყურეები დააყენა და თვითონ პრინცესას ოთახში შევიდა.

— ქალბატონო, მე სწორედ თქვენ გეძებთ,—უთხრა მან.—როცა მე ბაბილონში ვიყავი, ძალიან ცოტა ყურადღებას მაქცევდით. კადნიერება და ჭირვეულობა სამართლიანად უნდა დაისაჯოს: თქვენ კეთილინებებთ და ივახშმებთ ჩემთან ერთად ამ საღამოს, ჩემს სარეცელსაც გაიყოფთ და მე ისე მოგექცევით, როგორც მომესურვება.

ფორმოზანტა კარგად ხედავდა, რომ უძლური იყო მასთან შედარებით. მიხვდა, რომ გონება უნდა დამორჩილებოდა მის მდგომარეობას და გადასწყვიტა ეშმაკობით მოეშორებია ფარაონი. ქალმა კეკლუსად შეხედა ეგვიპტის მეფეს, რასაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ „თვალებით თამაში“ უწოდეს; ის ფარაონს ისეთი მორცხვობით და აღერსით ელაპარაკა,

იმდენი მონხიბლაობა გამოიჩინა, რომ კაცთაშორის ყველაზე უფრო კეთილგონიერსაც გააგიებდა და ნათელმხედველსაც კი დააბრმავებდა.

— გამოგიტყდებით, ბატონო, რომ ყოველთვის მორცხვად ვხრიდი თვალებს, სანამ თქვენ მამაჩემთან იყავით სტუმრად. მე მეშინოდა ჩემი გულისა და ჩემი გულუბრყვილობისა და ვცდილობდი მამაჩემსა და თქვენს მეტოქეებს ის უპირატესობა არ გაეგოთ, რომელსაც მე თქვენ განიჭებდით და რომლის ღირსიც თქვენა ხართ. ეხლა კი თავისუფლად შემიძლია გამოვთქვა ჩემი გრძნობები. ვფიცავ აპისის ხარს (თქვენს შემდეგ მხოლოდ მას ვცემ პატივს), რომ ძალიან მომეწონა თქვენი წინადადება. მე ერთხელ უკვე ვივახშმე თქვენთან ერთად მამაჩემისას, უომისოდ კიდევ უკეთ ვივახშმე, მხოლოდ ერთსა გთხოვთ: თქვენი მოძღვარიც დაესწროს ვახშამს, მე ის კარგ მოსაუბრედ მომეჩვენა ბაბილონში. შირაზის შესანიშნავი ღვინო მაქვს თან და მინდა ორთავემ გასინჯოთ.

— რაც შეეხება თქვენს მეორე წინადადებას, ის ძალიან მიმზიდველია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი კარგად აღზრდილ ქალიშვილს არ შეეფერება. საკმარისია იცოდეთ, რომ მე თქვენ მიმამჩნხართ მეფეთა შორის უღიადეს მეფედ და კაცთა შორის მეტად თავაზიან ადამიანად.

ამ სიტყვებმა თავბრუ დაასხა ეგვიპტის მეფეს, და ის სიამოვნებით დათანხმდა მოძღვრის მოპატივებაზე.

— კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, — უთხრა პრინცესამ, — ნება მიეცით ჩემს მეაფთიაქეს მოვიდეს ჩემთან. მოგეხსენებათ, ქალიშვილები ხშირად იტანჯებიან პატარა ავადმყოფობით, როგორცაა თავბრუსხვევა, გულის ცემა, ჰვალი, სულის შეხუთვა და ყველაფერი ეს მოვლას მოითხოვს. ერთი სიტყვით, ძალიან მკირდება ის და იმედი მაქვს უარს არ მეტყვიოთ თქვენი სიყვარულის ამ პატარა ნიშანზე.

— ქალბატონო, თუმცა მეაფთიაქეს ჩემი შეხედულების საწინააღმდეგო განზრახვები აქვს და მისი ხელობის იარაღები არაფრითა ჰგავს ჩემსას, მაგრამ მაინც არ შემიძლია უარი ვუთხრა თქვენს სამართლიან თხოვნას: ეხლავე ვუბრძანებ, ვახშამამდე თქვენთან მოვიდეს. დარწმუნებული ვარ, თქვენ დალ-

ლილი ხართ მგზავრობით და ალბათ მოახლეც დაგკირდებათ; შეგიძლიათ მოუხმოთ რომელსაც ისურვებთ, შემდეგ კი დაველოდები თქვენს ბრძანებას და თქვენთვის ხელსაყრელ მომენტს ჩემთან შეხვედრისათვის. ფარაონი გავიდა.

მეათეთიაქე და მოახლე სახელად ირლა პრინცესას ოთახში შემოვიდნენ. ფორმოზანტა ენდობოდა ირლას; უბრძანა მოეტანა ვახშმად ექვსი ბოთლი შირაზის ღვინო და ასეთივე ღვინო დაეღვინებინა დარაჯებისათვის, რომლებიც მის მცველებს დარაჯობდნენ. მეათეთიაქეს დაევალა ყველა ბოთლში ჩაესხა განსაზღვრული დოზა დასაძინებელი წამლისა, რომელიც ოცდაოთხ საათით დააძინებდა ხალხს. მისი ბრძანება უსიტყვოდ იქნა შესრულებული. ნახევარი საათის შემდეგ მეფე და მოძღვარი დაბრუნდნენ. ვახშამი ძალიან მხიარული იყო; მეფემ და მოძღვარმა გამოსცალეს ექვსივე ბოთლი და აღიარეს, რომ ეგვიპტეში ასეთი გემრიელი ღვინო არ მოიპოვებოდა. მოახლემ იზრუნა, რომ ყველა მსახურს დაეღვია ღვინო. პრინცესა არ სვამდა, მან განაცხადა, რომ ექიმმა დიეტა დაუნიშნა. მალე ყველას დაეძინა. ეგვიპტის მეფის მოძღვარს ულამაზესი წვერი ჰქონდა, როგორც კი გააჩნიათ მის მსგავს ადამიანებს. ფორმოზანტამ მოხერხებულად მოაპკრა ეს წვერი, შემდეგ მიაწვება პატარა ბაფთას და ნიკაპზე აიკრა და გაეხვია მღვდლის ანაფორაში, ხოლო მოახლე ქალღმერთ იზიდას ტაძრის მნათედ გამოაწყო. მან აიღო ურნა და თავისი განძეულობა და სასახლიდან გავიდა; ჩაუარა დარაჯებს, რომელთაც ისევე ეძინათ, როგორც მათ მბრძანებელს. კარებთან ორი შეკაზმული ცხენი დახვდათ. პრინცესამ ვერ წაიყვანა ვერც ერთი ადამიანი თავის ამალიდან; ეშინოდა, ქალაქის მცველები ექვს აიღებენ და დაგვაპატიმრობენო.

ფორმოზანტამ და ირლამ გაიარეს ჯარისკაცების ჯგუფთა შორის. მათ პრინცესა მოძღვრად მიიღეს, „პატივცემულ მამაოს“ ეძახდნენ და კურთხევას თხოვდნენ. ორი დევნილი ოცდაოთხი საათის შემდეგ ბასორაში ჩავიდა. ფარაონს ჯერ კიდევ ეძინა. ქალებმა მოიხსნეს საბურველები, რომელთაც შეეძლოთ ექვის აღძვრა. სასწრაფოდ დიქირავეს გემი, რომელმაც ისინი ორმუზდის სრუტიდან ედემის მშვენიერ სანაპი-

როებზე გადაიყვანა — ბედნიერ არაბეთში. ეს ის სახელგანთ-  
ქმული ელემია, რომელიც შემდეგ მართალთა საცხოვრებელთან  
გააიგივეს. მისი ბალები ნიმუში გახდა ელისეის მინდვრებისა,  
ჰესპერიდების ბალებისა და ბედნიერების კუნძულისათვის: რად-  
გან ცხელ ქვეყნებში ხალხს ჩრდილებსა და წყლის დუღუნზე  
უფრო დიდი ბედნიერება ვერც კი წარმოუდგენია. მუდმივი  
ცხოვრებით ზეცაში ცხოვრება, ზეარსებასთან ერთად, ან სა-  
მოთხის ბაღში სეირნობა ერთსა და იმავეს ნიშნავდა ამ ადა-  
მიანებისთვის, რომლებიც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთმანე-  
თისა კი არ ესმოდათ, და არ შეეძლოთ თავისი აზრების  
ნათლად და ზუსტად გადმოცემა.

პრინცესამ როგორც კი თავი ამ ქვეყანაში იგრძნო, მაშინვე  
იზრუნა დანაპირები შეესრულებია საყვარელი ჩიტისათვის.  
პრინცესას ლამაზმა ხელებმა აღმართეს მიხაკისა და დარიჩინის  
პატარა კოცონი. რაოდენ დიდი იყო მისი განცეფრება, რო-  
დესაც კოცონზე ჩიტის ფერფლის დადებისთანავე, კოცონი  
თავისთავად აინთო. მალე ყველაფერი დაიწვა და ფერფლის  
აღგილას აღმოჩნდა დიდი კვერცხი, რომლისგანაც ჩიტი გამო-  
ვიდა, კიდევ უფრო ბრწყინვალე ფერებით მოვლვარე. უფრო  
ბედნიერი წუთი პრინცესას აღზათ აროდეს არ განუცდია. მხო-  
ლოდ ერთი წუთი ექნებოდა მას კიდევ უფრო ძვირფასი: ეს წუთი  
მისთვის სასურველი იყო, მაგრამ ამის იმედი კი არა ჰქონდა.

— მე კარგად ვხედავ, — უთხრა მან ჩიტს, რომ თქვენ ის  
ფენიქსი ხართ, <sup>12</sup> რომლის შესახებ მე ბევრი მსმენია. მე  
აღბათ მოგვედები სიხარულისა და განცვიფრებისაგან. მკვდრე-  
თით აღდგომის მე არა მჯეროდა, მაგრამ ბედმა ამაშიც  
დამარწმუნა.

— მკვდრეთით აღდგომა, ქალბატონო, — ჩვეულებრივი ამ-  
ბავია ქვეყანაზე. ორჯერ დაბადება უფრო გასაოცარი არ არის,  
ვიდრე ერთხელ დაბადება. ყველაფერი აღდგება ხოლმე ამ  
ქვეყანაზე: მუხლუხები ცოცხლებიან პეპლებად, მიწაში ჩაგ-  
დებული ნაყოფი ხედ აღსდგება ხოლმე, მიწაში დამარხული  
ცხოველები — მცენარეებად. ისინი ჰკვებავენ სხვა ცხოველებს,  
რომელთა არსებობის შემადგენელ ნაწილებად იქცევიან თა-  
ვისდროზე. სხეულის შემადგენელი ყოველი ნაწილი სხვა-

დასხვა არსებად იქცევა. მართალია, მე ერთადერთი ვარ, რომლის მიმართ ძლიერმა ოროზმადმა წყალობა გამოიღო და ჩემივე ბუნებით აღმადგინა.

ფორმოზანტამ, რომელიც ამაზანის და ფენიქსის ნახვის დღიდან მუდამ საკვირველებას ხედავდა, ჩიტს უთხრა:

— მე შესმის, რომ უზენაეს არსებას შეუძლია ფერფლიდან ჩიტის შექმნა, თითქმის თქვენივე მსგავსისა, მაგრამ თქვენ რომ იგივე პიროვნება ხართ, რომ თქვენ იგივე სული გაქვთ, გამოგიტყდებით, ეს მე არ შესმის ნათლად. სად იყო თქვენი სული მაშინ, როდესაც გარდაცვალების შემდეგ მე თქვენ ჯიბით გატარებდით?

— ოჰ ღმერთო ჩემო, ქალბატონო, განა დიდი ოროზმადისათვის ისეთივე ადვილი არ არის გააგრძელოს თავისი მოქმედება ჩემივე ნაწილზე, როგორც ჩემი შექმნის ხელახლა დაწყება? წინათ მან მე მომცა გრძნობა, მეხსიერება, ფიქრი, ამასვე მიბრუნებს ეხლაც. განა სულ ერთი არ არის, ეს წყალობა მიკუთვნებული ექნება ჩემში დამალულ ცეცხლის პირველდაწყებითს ატომს, თუ ჩემი ორგანოების ერთობლიობას? ბოლოს და ბოლოს, არც ფენიქსს, არც ხალხს არასოდეს არ ეცოდინებათ, როგორ ხდება ეს ამბავი. მაგრამ უდიდესი წყალობა, რომელიც უზენაესმა არსებამ ჩემს მიმართ გამოიღო, ეს ის არის, რომ მან მე მკვდრეთით აღმადგინა თქვენთვის. და, მე ვიცოცხლო კიდევ ოცდარვა ათასი წელი ახალ მკვდრეთით აღდგომამდე, თქვენთან და ჩემ საყვარელ ამაზანთან!

— ჩემო ფენიქსო, ხომ გახსოვთ თქვენი პირველი სიტყვები, რაც ბაბილონში მითხარი; მე მათ არასოდეს დავივიწყებ, ეს სიტყვები იმედს მაძლევს ხელახლა ვნახო საყვარელი, ძვირფასი მწყემსი. ჩვენ უნდა წავიდეთ განგარიდებლების ქვეყანაში და წამოვიყვანოთ ამაზანი ბაბილონში.

— ჩემი განზრახვაც ეს არის, — სთქვა ფენიქსმა, — დრო არ უნდა დავკარგოთ. უნდა ავირჩიოთ უმოკლესი გზა, ე. ი. უნდა გადავფრინდეთ. ბედნიერ არაბეთში არსებობენ ჩემი მეგობრები, ორი ფასკუნჯი. ისინი აქედან ასორმოცდაათი მილის დაშორებით ცხოვრობენ. მე მათ წერილს გავუგზავნი მტრულების ფოსტით და დაღამებამდე აქ გაჩნდებიან. თქვენთვის

გავაკეთებინებთ პატარა წამოსაწოლ სავარძელს, უჯრებიანო განჯინით სურსათისათვის. ასეთ ეტლში მოხერხებულად იქნებით თქვენ და თქვენი მოახლე. ფასკუნჯები ძლიერნი არიან; თითოეული მათგანი ბრჭყალებით დაიქერს სავარძლის თითო სახელურს. მაშ, გიმეორებთ, დროს ნუ დავკარგავთ.

ფენიქსი მაშინვე ფორმოზანტასთან ერთად ნაცნობ მეავეჯესთან გაეშურა სავარძლის შესაკვეთად. ოთხ საათში ყველაფერი მზად იყო. უჯრებში ჩააწყეს სამეფო პურები, ბისკვიტები, რომლებიც ბაბილონის ნამცხვრებსა სჯობდა, ანანასი, ქოქოსი, ლიმონი, ფუსტულა და ედემის ღვინო, რომელიც თვით შირაზის ღვინოსა სჯობდა.

სავარძელი მსუბუქი იყო, მოსახერხებელი და მაგარი. ორივე გრიფონი დანიშნულ დროს ჩამოვიდა ედემში. ფორმოზანტა და ირლა ჩასხდნენ ეტლში, რომელიც ფასკუნჯებმა ბუმბულივით აიტაცეს. ფენიქსი ხან მათ უკან მიფრინავდა, ხან სავარძელზე ჩამოჯდებოდა. ფასკუნჯებმა განგესისკენ გაიშხულიეს ჰაერის გამპობი ისრის სისწრაფით.

მგზავრები მხოლოდ ღამით ისვენებდნენ და ისიც რამდენიმე წუთით: თვითონ საუზნობდნენ და წყლის დაღვევის საშუალებას აძლეოდნენ ორ ფრთოსან მეეტლეს.

ბოლოს მივიდნენ განგარიდელების ქვეყანაში. პრინცესას გული იმედით, სიყვარულით და სიხარულით თრთოდა. ფენიქსმა ამაზანის სახლთან შეაჩერებინა ფასკუნჯები. სამწუხაროდ, ის იქ არ აღმოჩნდა: სამი საათის წინ ის წასულიყო, არავინ იცოდა კი საით.

თვით განგარიდელების ენა ვერ გამოხატავს იმ სასოწარკვეთილებას, რომლითაც ფორმოზანტა იყო შეპყრობილი.

— აი სწორედ ამის მეშინოდა, — სთქვა ფენიქსმა, — იმ სამამა საათმა, რომელიც თქვენ წყვეულ ეგვიპტის მეფესთან დაპყავით სასტუმროში, ბასორას გზაზე, შეიძლება სამუდამოთ წაგართვათ თქვენი ცხოვრების ზედნიერება. ვშიშობ, ველარდავიბრუნოთ ამაზანი!

ფენიქსმა მსახურს ჰკითხა, ამაზანის დედის ნახვა თუ შეიძლებაო. მან უპასუხა, გუშინწინ მისი ქმარი გარდაიცვალა და ქალბატონი არავის ლებულობსო. ფენიქსმა, რომელიც შინაუ-

ჩი იყო ამ სახლში, პრინცესა მაინც შეიპატიეა დარბაზში...  
ოთახის კედლები მოპირკეთებული იყო ფორთოხლის ხით და  
სპილოს ძვლით. მწყემსებმა და მწყემსმა ქალებმა, რომელ-  
თაც ვარდისფერით გაწყობილი თეთრი, გრძელი ტანსაცმე-  
ლი ეცვათ, მიაართვეს პრინცესას ფაიფურის ას კალათში  
ჩაწყობილი ასი სხვადასხვა გვარი გემრიელი საკმელი, რო-  
მელთა შორის არ აღმოჩნდა არც ერთი შენიღბული ლეში.  
აქ იყო: ბრინჯი, საგო, მანანის ბურღული, ვერმიშელი, მა-  
კარონი, ერბოკვერცხი, რძეში მოხარშული კვერცხი, ნამცხვა-  
რი, ყველი, მწვანილი და ისეთი სურნელებისა და გემოს ხი-  
ლი, რომელსაც სხვა ქვეყანაში ვერც კი წარმოიდგენენ. აქვე  
უხვად იყო გამაგრებელი სასმელები, რაც კარგი ხარისხის  
ღვინოსა სჯობდა.

სანამ ვარდების სარეცელზე წამოწოლილი პრინცესა საუზ-  
შობდა, ოთხი, საბედნიეროდ მუნჯი ფარშავანგი თავიანთი  
მშვენიერი ფრთებით აგრილებდნენ მას. ორასმა ჩიტმა, ასმა  
მწყემსმა და ასმა მწყემსმა ქალმა პრინცესას კონცერტი მოუწ-  
ყეს ორ გუნდად. ბულბულები, ჟივჯავები, კიოტები, იადონები  
მაღალ ნოტებს იღებდნენ მწყემს ქალებთან ერთად, ხოლო  
მწყემსები ალტისა და ბანის ხმაზე მღეროდნენ: მოკლედ ეს  
იყო თვით ბუნება, უბრალო და ლამაზი. პრინცესამ აღიარა,  
რომ თუ ბაბილონში უფრო მეტ იშვიათობას ნახავდით, ბუნება  
გაცილებით ლამაზი იყო განგარიდში. სანამ ეს სასიამოვნო  
კონცერტი გრძელდებოდა, პრინცესა ცრემლებსა ღვრიდა და  
ირლას ეუბნებოდა:

— ამ მწყემსებს, ამ ბულბულებსა და იადონებს უყვართ  
ის, ვისაც ირჩევენ, მე კი ვერ ვხედავ განგარიდის გმირს,  
რომელიც ღირსია ჩემი ნაზი და მხურვალე სიყვარულისა.

სანამ ქალი ნახულით ტკბებოდა და იცრემლებოდა, ფენიქსი  
ამაზანის დედას ელაპარაკებოდა:

— ქალბატონო, თქვენ უარს ვერ იტყვით ბაბილონის პრინ-  
ცესას მიღებაზე. თქვენ იცით...

— მე ყველაფერი ვიცი, — შეაწყვეტინა ქალმა, — თვით ბა-  
სორას გზის სასტუმროს ამბავიც კი. ერთმა შაშვმა მე ყველა-  
ფერი მიაძმო. სწორედ ამ წყეულ შაშვის მიზეზით ჩემმა შვილმა



სასოწარკვეთილებიდან გონება დაჰკარგა და მშობლიური  
კერა დასტოვა.

— მაგრამ თქვენ არ იცით, რომ პრინცესამ მე გამაცოცხლა?

— არა, ჩემო შვილო. მე შაშვისაგან მხოლოდ ის ვიცოდი,  
რომ თქვენ მკვდარი იყავით, და ვერ დაემშვიდდი. თქვენი და-  
კარგვით, ჩემი ქმრის სიკვდილით და შვილის უუცარი გამგ-  
ზავრებით ისე ვიყავი დამწუხრებული, რომ ყველას აეუყრძალე.  
ჩემთან შემოსკლა. მაგრამ, რადგანაც ბაბილონის პრინცესამ  
მე პატივი დამლო და ჩემს სანახავად მოვიდა, ეხლავე შე-  
მოუშვიტ. მე უნდა ვუამბო უკანასკნელი ამბავი და მინდა,  
რომ თქვენც ესწრებოდეთ ამ საუბარს.

ამაზანის დედა გაეშურა მეზობელ დარბაზში ფორმოზან-  
ტასთან შესახვედრად. იგი მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა: ეს  
ქალი დაახლოებით სამასი წლისა იქნებოდა, მაგრამ სილამა-  
ზის ნიშნები კვლავ შერჩენოდა და ჩანდა, რომ ორასოცდა-  
ათი-ორმოცი წლისა ის კიდევ მომხიბვლელი იქნებოდა. მან  
ფორმოზანტა მიიღო პატივისცემით და ღირსეულად. მისმა  
მწუხარე და თანაგრძნობის გამომეტყველებამ ფორმოზანტაზე  
ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

პრინცესამ მაშინვე მიუსამძიმრა ქმრის გარდაცვალება:

— თქვენ მისი დაკარგვით უფრო უნდა იყოთ დამწუხრე-  
ბული, ვიდრე ფიქრობთ,—უთხრა ქვრივმა.

— რასაკვირველია, მე ძალიან შეძაწუხა მისმა სიკვდილმა;—  
ის მამა იყო...

ამ სიტყვებზე ფორმოზანტამ ტირილი დაიწყო:

— მე მისთვის მრავალი საფრთხე გამოვიარე: დაეტოვე  
მამა და მსოფლიოში ულამაზესი სამეფო სასახლე; ჩემი ღი-  
მორჩილება უნდოდა ეგვიპტის საზიზღარ მეფეს, მაგრამ ხე-  
ლიდან გაუფხლტი იმ ვერაგს, გადაეკერი ჰაერი—მინდოდა  
სატრფო მენახა—მაგრამ მე აქა ვარ და ის კი ჩემგან გარბის!

ცრემლები და ქვითინი პრინცესას ლაპარაკის საშუალებას  
არ აძლევდნენ.

მაშინ ამაზანის დედამ წამოიწყო:

— ქალბატონო, როცა თქვენ ეგვიპტის მეფემ მოგიტაცათ,  
როცა თქვენ ვახშობდით სასტუმროში, როცა თქვენი ლამაზი

ხელებით მას ღვინოს უსხამდით, გაიხსენეთ, ხომ არ შეგი-  
ნიშნავთ შაშვი, რომელიც ოთახში დაფრინავდა?

— დიალ, დიალ. თქვენ მომაგონეთ! მე მას ყურადღება არ  
მივაქციე, მაგრამ ახლა, როცა გონებას ვიკრებ, მაგონდება,  
რომ იმ დროს, როცა ეგვიპტის მეფე მაგიდიდან ადგა საკოც-  
ნელად, შაშვი ჩხავილით გაფრინდა ფანჯრიდან და მეტად  
ალარც გამოჩენილა.

— აი რა გახდა მიზეზი ჩვენი უბედურებისა!—სთქვა ამა-  
ზანის დედამ. ჩემმა ვაჟმა გამოგზავნა შაშვი,—უნდოდა გაეგო  
თქვენი ჯანმრთელობის ამბავი და საერთოდ, რა ხდებოდა  
ბაბილონში. ჩემს შვილს განზრახული ჰქონდა ახლო ხანში  
მოსულიყო თქვენთან, თქვენს ფერხთ დავარდნილიყო და სი-  
ცოცხლე თქვენთვის შეეწირა. თქვენ არ იცით, როგორ გაღ-  
მერთებთ იგი! განგარიდებებმა იციან სიყვარული და ერთ-  
გულნი არიან, მაგრამ ჩემი შვილი გამოირჩევა განსაკუთრე-  
ბული და მტკიცე გრძობით. შაშვმა თქვენ განახათ სასტუმ-  
როში: მხიარულად შეექცეოდით ღვინოს ეგვიპტის მეფესა და  
ერთ საზიზღარ მღვდელთან ერთად. შემდეგ ნაზად აკოცეთ  
მეფეს, რომელმაც ფენიქსი მოგიკლათ. ჩემს შვილს ამიტომაც  
ე<sup>1</sup>იზღება ეს მეფე. ამ სანახაობამ შაშვი სამართლიანად ააშ-  
ფოთა. იგი გაფრინდა და დასწყევლა თქვენი საშინელი სიყ-  
ვარული. ის დღეს აქ მოფრინდა და ყოველივე გვიამბო. მაგ-  
რამ ჰოი ზეცავ, რა წუთში! შვილი ჩემთან ერთად დასტი-  
როდა მამასა და ფენიქსს. სწორედ იმ დროს მან ჩემგან გაი-  
გო, რომ თქვენ მისი ბიძაშვილის შვილი იყავით.

— ო, ზეცავ! ჩემი ბიძაშვილი? ქალბატონო, ნუთუ ეს  
მართალია? როგორ? რას ამბობთ? მაშ მე ბედნიერი ქალი  
ვყოფილვარ! მაგრამ თუ მე მას შეურაცხყოფა მივაყენე, უბე-  
დური ვარ, უბედური!

— ჩემი ვაჟი თქვენი ბიძაშვილია, გიმეორებთ, და ეხლავე  
დაგიმტკიცებთ ამას. თქვენ ჩემი ნათესავი გახდით, მაგრამ  
შვილი კი დამიკარგეთ: ის ვერ გადაიტანს იმ მწუხარებას,  
რომლის მიზეზი თქვენი კოცნაა, ეგვიპტის მეფეს რომ უბოძეთ.

— ოჰ, ჩემო ძალუა,—წამოიყვირა მშვენიერმა ფორმოზან-  
ტამ,—ვფიცავ მის სახელს და ორმოზადის სიძლიერეს, რომ  
238

ეს საბედისწერო კოცნა შორს არის ბოროტმოქმედებისაგან. ის კიდევ უფრო ძლიერი საბუთია იმ სიყვარულისა, რომელსაც მე თქვენი შვილის მიმართ ვგრძნობ. მე მისი გულისთვის მამის მორჩილებიდან გამოვედი, გადავლახე ევფრათი და განგვის სანაპიროებამდე მოვედი, მაგრამ ევგიპტის საზიზღარ მეფის ხელში ჩავეარდი და დასხლტომა მხოლოდ მოტყუებით შემძლო. ამის მოწმედ მე მყავს ფენიქსის სული და ფერფლი, რომელიც ჯიბეში მქონდა. ის მე გამამართლებს. მაგრამ როგორ მოხდა, რომ განგვის სანაპიროზე დაბადებული თქვენი შვილი ჩემი ბიძაშვილის შვილია? ჩემი ოჯახი ხომ ამდენი საუკუნის განმავლობაში ევფრათის სანაპიროზე მეფობს?

— თქვენ ხომ იცით,—სთქვა დარბაისელმა განგარიდელმა მანდილოსანმა,—რომ თქვენი პაპის ძმა ალდე ბაბილონის მეფე იყო და ის ტახტიდან გადმოაგდო მამათქვენის ბელუსის მამამ?

— დიაღ, ქალბატონო.

— თქვენ ისიც იცით, რომ მის ვაჟს ალდეს ჰყავდა ქალიშვილი ალდეა, რომელიც თქვენს კარზე იზრდებოდა. ამ პრინცმა, რომელიც მამათქვენის მიერ დევნილი იყო, სხვა სახელით შეაფარა თავი ჩვენს ბედნიერ მხარეს და მე შემერთო; მისგან მყავდა ახალგაზრდა პრინცი ალდე-ამაზანი — მშვენიერი, ძლიერი, მამაცი და კეთილშობილი, ამჟამად კი შეშლილი, გონებადაკარგული. თქვენი მშვენიერებით დაინტერესდა ქაბუკი პრინცი და ბაბილონში წავიდა ზეიმზე დასასწრებად. ამ დღიდან ის თქვენ გადმერთებთ; მე კი ალბათ ვერასოდეს ვნახავ ჩემს შვილს.

ქალს უნდოდა ეჩვენებია საბუთები ფორმოზანტისათვის, მაგრამ მან არც კი შეხედა ამ საბუთებს.

— ოჰ, რა საჭიროა საბუთები, როდესაც ჩემი გული თქვენ გენდობათ,—წამოიძახა პრინცესამ.—მაგრამ სად არის ალდე-ამაზანი? სად არის ჩემი ნათესავი, ჩემი სატრფო, ჩემი მეფე? სად არის ჩემი სიცოცხლე? საითკენ წავიდა იგი? მე მის საძებნელად წავალ ვარსკვლავ კანოპზე, შეატზე, ალდე-ბარანზე. მე მინდა დავარწმუნო იგი ჩემს სიყვარულში და ჩემს უმანკობაში.

ფენიქსმა პრინცესა გაამართლა იმ დანაშაულში, რასაც

შაშვი აბრალებდა: თითქოს ქალს სიყვარულის კოცნა ეძღვნას ეგვიპტის მეფისათვის. რაც მთავარია, საჭირო იყო ამაზანის გადაჯერება და მისი დაბრუნება. მან ჩიტები გაგზავნა ყველა მხარეს და მარტორქები ფეხზე დააყენა.

ბოლოს, მოიტანეს ამბავი, რომ ამაზანი ჩინეთის გზაზე უნახავთო.

— კეთილი, წავიდეთ ჩინეთში, — წამოიძახა პრინცესამ, — გზა არც ისეთი შორია; არა უგვიანეს ორი კვირისა, იმედი მაქვს, დაგიბრუნებთ შვილს.

ამ სიტყვებზე ორივემ — განგარიდელის დედამ და ბაბილონის პრინცესამ — ცრემლები უხვად დაღვარეს და გულთბილად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ფენიქსმა საჩქაროდ ეტლში შეაბზევინა ექვსი მარტორქა.

დედამ ასი მხედარი გააყოლა მათ და პრინცესას, თავის ნათესავს, რამდენიმე ათასი უმშვენიერესი ალმასი მისცა საჩუქრად.

შაშვის დაუფიქრებლობისაგან გამოწვეული უბედურებით შეწუხებულმა ფენიქსმა ბრძანა, დაეცალათ შაშვებს ის ქვეყანა, და ამ დღიდან განგესის სანაპიროებზე შაშვს ვერ იპოვით.

## V

მარტორქებმა რვა დღეში ფორმოზანტა, ირლა და ფენიქსი კამბალუში<sup>11</sup> — ჩინეთის დედაქალაქში მიიყვანეს. ეს ქალაქი უფრო დიდი იყო, ვიდრე ბაბილონი და მას სულ სხვა ხასიათის სიმშვენიერე ჰქონდა. ეს ახალი ადგილი, საგნები, ახალი ჩვეულებები ალბათ გაართობდნენ ფორმოზანტას, თუ მას სხვა ინტერესი ჰქონოდა, გარდა ამაზანისა. როგორც კი ჩინეთის იმპერატორმა გაიგო, რომ ბაბილონის პრინცესა ქალაქის კართან არისო, მის შესახვედრად სასწრაფოდ გაგზავნა ოთხი ათასი საზეიმოდ მორთული მანდარინი. ყველამ მუხლთ მოიდრიკა ფორმოზანტას წინაშე და თითოეულმა მთავრად მღვანელებს დაწერილი მისალმება. პრინცესამ უპასუხა: — თუ მე ოთხი ათასი ენა მქონოდა, თითოეულ თქვენგანს ვუპასუხებდი, მაგ-

რამ რადგან მხოლოდ ერთი ენა გამაჩნია, ნებას ვითხოვ საერთო მადლობა გადავუხადო ყველასო. ამის შემდეგ, პრინცესა ღირსებით და პატივისცემით წაიყვანეს იმპერატორთან.

თუ კი ვინმე იყო დედამიწაზე სიმაართლიანი, ზრდილობიანი და კვიანი ხელმწიფე, სწორედ ჩინეთის იმპერატორი გახლდათ. მან თავისი იმპერატორული ხელებით პირველმა დაამუშავა პატარა მინდორი, რათა პატივისცემა შთაეგონებინა თავის ხალხისათვის მიწათმოქმედების მიმართ. მან პირველმა დააჯილდოვა ხალხი კეთილშობილებისათვის, მაშინ როცა წინად ყველგან ბოროტმოქმედების დასჯით კმაყოფილდებოდნენ; მან გააძევა თავის სახელმწიფოდან უცხოელი ბონზების რაზმები<sup>16</sup>, როკელიც დასავლეთიდან მოსულიყვნენ უჯუნჯურად დაიმედებულნი, რომ მათელს ჩინეთს აიძულებდნენ ისე ეაზროვნათ, როგორც თვითონ აზროვნობდნენ, და რომელთაც ქვემარტივების ახსნის მომიზეზებით მოასწრეს სიმდიდრისა და საპატიო ადგილების შეძენა.

როცა ისინი იმპერატორმა გააძევა, მათ იმ სიტყვებით მიმართა, რომლებიც სახელმწიფოს მატრიანშია ჩაწერილი: „თქვენ მზად ხართ აქაც იმდენი უბედურება მოახდინოთ, რამდენიც სხვაგან დაგითვისიათ; თქვენ აქ მოსულხართ, რათა სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა უქადაგოთ ყველაზე უფრო შემწყნარებელ ხალხს. თქვენ უნდა გაგისტუმროთ ამ ქვეყნიდან, რათა იძულებული არ გავხდე დაგსაჯოთ. თქვენ პატივისცემით მიგაცილებენ ჩემი სახელმწიფოს საზღვრებამდე. მოგამარაგებენ ყველაფრით, რაც საჭიროა იმ ნახევარსფეროში დასაბრუნებლად, საიდანაც მოხვედით. წადით მშვიდობით; თუ შეგიძლიათ მშვიდად ცხოვრება, და კვლავ აღარ დაბრუნდეთ“.

ბაბილონის პრინცესამ სიხარულით მოისმინა ამ განაჩენის და ამ საუბრის ამბავი. ამან ერთხელ კიდევ დაარწმუნა იგი, რომ სასახლეში კარგად მიიღებდნენ, ვინაიდან პრინცესა შორს იყო შეუწყნარებლობის დოგმებისაგან. ჩინეთის იმპერატორმა მასთან ერთად სადილობის დროს გაანთავისუფლა ქალი ეტიკეტის ყოველგვარი უხერხულობისაგან; ფორმოზანტამ იმპერატორს გააცნო ფენიქსი, რომელსაც იმპერატორმა

16. ვოლტერა.

მიუალერსა, და ფრინველიც მის საეარქელზე ჩამოჯდა. ფორმო-  
ზანტამ სადილის შემდეგ იმპერატორს გულწრფელად გაუნდო  
თავისი მგზავრობის მიხეზი და სთხოვა დახმარებოდა მშვენი-  
ერ ამაზანის ძებნაში. ქალმა ყველაფერი უამბო, რაც ახალ-  
გაზრდა განგარიდელს ეხებოდა, და არ დაუმალა ის საბედის-  
წერო გრძნობა, რომლითაც მისი გული იყო მოცული.

— რატომ მელაპარაკებით ასე დაწერილებით მის შესახებ?—  
სთქვა ჩინეთის იმპერატორმა.— მე პატივი მქონდა იგი ჩემს  
სასახლეში მიმელო. მან ჩემში აღტაცება გამოიწვია. მართალია,  
ის ძალიან დასევდიანებულია, მაგრამ ამით მისი სასიამოვნო  
მხარეები კიდევ უფრო მომხიბვლელი ხდება. ჩემი სასახლის  
არც ერთი კარისკაცი არ არის მასზე ჭკვიანი, არც ერთ ჩემს  
მსწავლულ მანდარინს არ აქვს მასზე უფრო ღრმა ცოდნა, არც  
ერთი მეომარი არ გამოირჩევა იმ სიმამაცით, რომელიც მას  
გააჩნია; და მისი უკიდურესი ახალგაზრდობა კიდევ უფრო  
მეტ ბრწყინვალეებას აძლევს მის ნიკს. თუ მე ისეთი უბედუ-  
რი ვყოფილიყავი, რომ ტიონსა და ჩანგტის მივეტოვებინე და  
დაპყრობის სურვილს დავმორჩილებოდი, მე ვთხოვდი ამა-  
ზანს ჩემს არმიას სათავეში ჩასდგომოდა, და დარწმუნებული  
ვარ მთელს ქვეყანას დავიპყრობდი. სავალალოა მხოლოდ,  
რომ ხანდახან მწუხარება გონებას ურევს მას.

— ოჰ, ბატონო,—საყვედურით უთხრა ფორმოზანტამ,—  
რატომ არ მოიყვანეთ ის სადილად? შემიბრაღეთ, უბრძანეთ  
რომ ეხლავე მოიწვიონ.

— ქალბატონო, ის ამ დილით გაემგზავრა, არ უთქვამს კი,  
რომელ მხარეს წავიდა.

ფორმოზანტა ფენიქსს მიუბრუნდა:

— გინახავთ სადმე ასეთი უბედური ქალიშვილი, როგორიც  
მე ვარ? მაგრამ ხელმწიფევე,—გახაგრძო მან,—რატომ, როგორ  
გადასწყვიტა მან ასე უეცრად ისეთი თავაზიანი, სასიამოვნო  
სასახლის დატოვება, როგორიც თქვენი? ვფიქრობ, ყოველი  
ადამიანი აქ სიამოვნებით გაატარებდა მთელ სიცოცხლეს!

— აი რა მოხდა, ქალბატონო: ერთ მშვენიერ პრინცესას  
შეუყვარდა იგი და შუადღისას პაემანიც დაუნიშნა თავის  
სახლში. ამაზანი კი გაათენებისას წავიდა სასახლიდან და დას-

ტოვა ბარათი, რომელმაც ბევრი ცრემლი დააღვრევინა ჩემს ნათესავ ქალს. აი, რას სწერდა ამაზანი:

— „მშვენიერო და კეთილშობილო პრინცესაჲ! თქვენ ღირსი ხართ უყვარდეო ისეთ ადამიანს, რომლის გული არასოდეს სხვას არ ეკუთვნოდა. მე კი უკვდავ ღმერთს შევფიცე, არავინ მიყვარდეს ბაბილონის პრინცესის ფორმოზანტას გარდა და ვასწავლო მას, როგორ უნდა დაიმორჩილოს ადამიანმა თავისი გრძნობები მოგზაურობის დროს. მან, საუბედუროდ, მილალატა ეგვიპტის უღირს მეფესთან. მე ყველაზე უბედური ვარ კაცთა შორის: დავკარგე მამა, ფენიქსი და იმედი, რომ ოდესმე ფორმოზანტას შეეყვარდები. მე მივატოვე ჩემი დამწუხრებული დედა და სამშობლო მხოლოდ იმიტომ, რომ არ შემძლია ვიცხოვრო იმ ადგილებში, სადაც ფორმოზანტას ღალატის ამბავი გავიგე. დავიფიცე, შემოვიარო მთელი მსოფლიო და ერთგული დავრჩე. ეს ფიცი რომ გამეტეხა, თქვენც შემიზიზღბდით და ღმერთებიც დამსჯიდნენ. შეიყვარეთ, ქალბატონო, სხვა ვინმე და იყავით ისეთივე ერთგული, როგორიც მე ვარ“.

— ოჰ, მომეცით მე ეს საოცარი წერილი, — წამოიძახა მშვენიერმა ფორმოზანტამ, — ის მე დამამშვიდებს. მე ბედნიერი ვარ ჩემს უბედურებაში. ამაზანს მე ვუყვარვარ. ამაზანი ჩემი გულისთვის უარს ამბობს ჩინეთის პრინცესაზე. მხოლოდ მას შეუძლია თავის თავზე გამარჯვება. მე მაგალითს მაძლევს, მაგრამ ფენიქსმა იცის, რომ მე არა მკირდება ეს მაგალითი. რა სამწუხაროა დაჰკარგო სატრფო ერთი უბიწო კოცნისათვის, რომელიც მხოლოდ ერთგულებით იყო გამოწვეული. მაგრამ სად არის ის? რომელი გზით წავიდა? მომეცით მიმართულება და მეც გავემგზავრები.

იმპერატორმა უპასუხა, თუ ვენდობით ცნობებს, რომელიც მე მომცეს, ამაზანი სკვითიაში<sup>16</sup> უნდა წასულიყო. მარტორკები მაშინვე შეაბეს და პრინცესა, იმპერატორთან გულთბილი გამომშვიდობების შემდეგ, გზას გაუდგა ფენიქსთან, მოახლე ირლასთან და ამალასთან ერთად.

როგორც კი მიაღწია სკვითიას, პრინცესა ნათლად მიხედა, რამდენად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ხალ-

ხები და მმართველობანი. ეს განსხვავება ყოველთვის იარსებებს, სანამ რომელიმე ერი, ყველა სხვა ერზე უფრო განათლებული, ცივილიზაციას არ გააერცელებს ათასი საუკუნეების წყვდიადის შემდეგ, და სანამ ბარბაროსულ მიწაზე არ გამოჩნდებიან ენერჯისა და ძალის მქონე ისეთი გმირული სულები, რომლებიც ველურებს ადამიანებად აქცევენ. სკვითიაში ქალაქები არ იყო და ამის გამო არ არსებობდა, რასაკვირველია, არავითარი ხელოვნება. ჩანდა მხოლოდ ვრცელი მიწები, და მთელი ხალხები კარვებში ან ფორნებზე ცხოვრობდნენ.

ეს სანახაობა შიშის ძრწოლას გვრიდა ადამიანს.

ფორმოზანტამ ითხოვა ეჩვენებიათ მეფის კარავი ან ურიკა. მას უპასუხეს, რომ რვა დღის წინ მეფე სათავეში ჩაუდგა სამასი ათასიან არმიას და გაილაშქრა ბაბილონის მეფის წინააღმდეგ, რომელსაც ძმისშვილი აღდეა მოსტაცაო.

— მან მოიტაცა ჩემი ბიძაშვილი? — წამოიძახა ფორმოზანტამ, — პრინცესა აღდეა? ამ ახალ ამბავს კი არ მოველოდი! როგორ? ჩემი ბიძაშვილი, რომელიც თავს ბედნიერად გრძნობდა იმით, რომ მე მართობდა, უკვე დედოფალი გახდა და მე კი გათხოვილიც არა ვარ!

მან ბრძანა დაუყოვნებლივ დედოფლის კარვისაკენ წაეყვანათ. ამ შორეულ ქვეყანაში მათმა მოულოდნელმა შეხვედრამ, იმ საოცარმა ამბებმა, რომელიც ქალებს ჰქონდათ ერთმანეთისათვის გადასაცემად, მათი შეხვედრა სასიამოვნო გახდა; ორთავეს დაავიწყდათ, რომ ერთმანეთი არასდროს ჰყვარებიათ, ორივე აღტაცებული იყო ამ მოულოდნელობით: ისინი სინარულით შეხვდნენ ერთმანეთს. ნამდვილი სიყვარულის ადგილი ტკბილმა ილუზიამ დაიკავა. ერთმანეთს გადაეხვივნენ ტირილით და მათ შორის გულთბილობა და გულწრფელობა იგრძნობოდა, ალბათ იმიტომ, რომ ეს შეხვედრა სასახლეში არ ხდებოდა. აღდეამ იცნო ფენიქსი და მოახლე ირლა. მან აჩუქა პრინცესას სიასამურის ბეწვეული და სამაგიეროდ აღმასები მიიღო. ლაპარაკობდნენ ომზე, რომელიც ორ მეფეს წამოეწყო და ეცოდებოდათ სასაკლაოზე წასული ხალხი, რომელიც მეფეებს გაეგზავნათ იმ უთანხმოების გამო, რომელსაც კვიანნი, ხალხი ერთ საათში მოაგვარებდა. მაგრამ განსაკუთრებით



დიდხანს ილაპარაკეს მშვენიერ უცნობზე, რომელმაც ლომი დაამარცხა, მსოფლიოში უდიდესი აღმასები გააჩუქა, მადრიგალი შეთხზა, ჰყავდა ფენიქსი და ასეთი უბედური კი გახდა შაშვის წყალობით.

— ჩემი საყვარელი ძმა!—სთქვა აღდეამ.

— ჩემი სატრფო!—წამოიძახა ფორმოზანტამ.—თქვენ ალბათ ნახეთ იგი. შეიძლება ის კიდევ იყოს აქ. შეუძლებელია, რომ მას თქვენ დაეტოვებინეთ ისე სწრაფად, როგორც ჩინეთის იმპერატორი დასტოვა. მან ხომ იცის, რომ თქვენი ძმა!

— მე თუ ვნახე იგი?—წამოიძახა აღდეამ,—ღმერთო ჩემო, მან ჩემთან ოთხი დღე გაატარა. ოჰ, ბიძაშვილო, რომ იცოდეთ რა საბრალოა ჩემი ძმა! ყალბმა ცნობამ იგი სულ გააგიჟა. ხეტიალობს ქვეყნის ირგვლივ, არ იცის კი, სად მიდის. წარმოიდგინეთ, იქამდე მივიდა მისი სიგიჟე, რომ სკვითების ულამაზეს ქალს უარი უთხრა სიყვარულზე. ამაზანი გუშინ წავიდა, ხოლო ქალს ბარათი დაუტოვა. ამ ბარათმა ქალი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, თვითონ ამაზანი კიმერიელებთან<sup>17</sup> წავიდა.

— დიდება ღმერთს!—წამოიძახა ფორმოზანტამ,—კიდევ ერთი უარი ჩემს სასარგებლოდ! ბედნიერება აღემატება ჩემს მოლოდინს, როგორც უბედურება აღემატებოდა ჩენს შიშს. უბრძანეთ, მომცენ ეს სასურველი ბარათი, რათა მისი მსხვერპლებით დატვირთული ხელებით მივყვე ამაზანს. ნშვილობით, ჩემო ბიძაშვილო, ამაზანი კიმერიელებთანაა, მეც იქ მივფრინავ...

აღდეამ გაიფიქრა, რომ პრინცესა უფრო გიჟია, ვიდრე ამაზანიო; მაგრამ რადგან მას გაახსენდა თავისთავი, გაახსენდა, როგორ დასთმო თვით მან იმავე გადამდები სენის გავლენით ბაბილონის სიმშვენიერე და ბრწყინვალეობა სკვითების მეფის გულისთვის, და რადგანაც ქალები ყოველთვის თანაუგრძნობენ სიყვარულით გამოწვეულ სიგიჟეს, მან გულწრფელად თანაუგრძნო ფორმოზანტას, უსურვა ბედნიერი მგზავრობა და შეჰპირდა, თუ ოდესმე კიდევ ჩემს ძმას შევხვდი, ვუამბობ შენი განცდების შესახებო.

ბაბილონის პრინცესა და ფენიქსი მალე მივიდნენ კიმერი-  
ელების სამფლობელოში. ეს მხარე, მართალია, ორჯერ ნაკ-  
ლებ დასახლებული იყო, ვიდრე ჩინეთი, მაგრამ მასზე ორჯერ  
უფრო ვრცელი იყო. წინათ ეს სახელმწიფო სკვითიას ჰგავ-  
და, მაგრამ ბოლო ხანებში ისევე აყვავებულიყო, როგორც  
ის სამეფოები, რომლებსაც თავი მოჰქონდათ სხვა ქვეყნებში  
ცივილიზაციის შეტანით.

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ პრინცესა შევიდა ერთ  
დიდ ქალაქში, რომელიც იქ გამეფებულ დედოფალს<sup>18</sup> გაემწე-  
ნიერებაა. იმეხად დედოფალი იქ არ იყო. ის მოგზაურობდა  
ევროპისა და აზიის საზღვრებზე, რათა საკუთარი თვლით ენა-  
ხა თავისი სამფლობელოები,<sup>19</sup> გაეგო მათი გაჭირვება და დახ-  
მარების საშუალებები გამოეძებნა, გაეზარდა დოვლათიანობა  
და განათლება გაეცრელებინა.

როცა ამ ძველი დედაქალაქის ერთ-ერთმა წარჩინებულმა  
პირმა<sup>20</sup> ბაბილონის პრინცესის და ფენიქსის ჩამოსვლა გაიგო,  
არ დააყოვნა პრინცესა ღირსეულად მიეღო; ეჭვიც არ ეპარე-  
ბოდა, რომ მისი მბრძანებელი, თავაზიანი და სტუმართმოყვა-  
რე დედოფალი, მოიწონებდა მის საქციელს და ასევე ღირსეუ-  
ლად მიიღებდა საპატიო სტუმარს.

ფორმოზანტა სასახლეში დააბინავეს, ხოლო თავმომა-  
ბეზრებელი ბრბო გამოისტუმრეს იქიდან. პრინცესას პატივ-  
საცემად ზეიმი მოაწყვეს. კიმერიელი წარჩინებული პირი, რომელიც  
დიდი ბუნებისმეტყველი აღმოჩნდა, დიდხანს ესაუბ-  
რა ფენიქსს, სანამ პრინცესა მისთვის განკუთვნილ ოთახში  
ისვენებდა. ფენიქსი გამოუტყდა კიმერიელს, რომ დიდი ხნის  
წინ უმოგზაურია კიმერიეთში, მაგრამ ეხლა ამ ქვეყანას ველა-  
რა სცნობდა.

— საკვირველია, — სთქვა მან, — რომ ამ ხანმოკლე დროში  
შესაძლებელი გახდა ამ სასწაულებრივი ცვლილების მოხდენა.  
სამასი წელიც არ არის, რაც მე აქ ვნახე ველური ბუნება  
თავისი საშინელებებით. ეხლა კი ხელოვნებას, ბრწყინვალებას,  
დიდებასა და თავაზიანობას ვხედავ.

— ეს დიდი საქმე ერთმა კაცმა<sup>21</sup> წამოიწყო, — უპასუხა კიმე-რიელმა, — ხოლო ქალმა დაასრულა მისი ნამოღვაწარი. ეს ქალი უკეთესი კანონმდებელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგვიპტელი იზიდა ან ბერძენი ცერერა. კანონმდებლების უმეტეს ნაწილს ვიწრო და დესპოტური აზრები გააჩნდა და თითოეული მათგანის მხედველობა შემოიფარგლებოდა იმ ქვეყნით, რომელსაც ის მართავდა. თითოეული მათგანი თავის ხალხს ისე უყურებდა, თითქოს ის ერთადერთი იყო დედამიწის ზურგზე და თითქოს ის მტრულად უნდა ყოფილიყო განწყობილი სხვა ერებისადმი. ისინი ქმნიდნენ განსაკუთრებულ დაწესებულებებს, შემოპქონდათ ახალი ჩვეულებები, დააწესეს რელიგია და ყველაფერი ეს მხოლოდ თავისი ერისთვის. ამიტომ იყო, რომ ქვების მთელი გროვებით სახელგანთქმული ეგვიპტელები გასულელდნენ და თავი შეიკრცხინეს თავიანთი ბაზბაროსული ცრურწმენით. მათ სხვა ერები უვიცებად მიაჩნიათ, არაერთარი კავშირი არა აქვთ მათთან და სასახლის გარდა, რომელიც ხანდახან საერთო ცრურწმენაზე მაღლა დგას, არ მოიპოვება არც ერთი ეგვიპტელი, რომელიც საქმელს უცხოელთან ერთი თეფშიდან შესქამდეს. მათი ქურუნიები სისასტიკით და სიბრყევით გამოირჩევიან. სჯობდა სულ არა გვეკონოდა კანონები და ყური გვეგდო ბუნებისათვის. რომელმაც გულში ჩაგვიწერა სამართლიანობის და უსამართლობის შეცნობა, ვიდრე საზოგადოება დაგვემორჩილებინა ამ არაპუმანური კანონებისათვის. ჩვენს დედოფალს სულ სხვა განზრახვები აქვს. ის იქით მიისწრაფვის, რომ მისი სახელმწიფო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მერიდიანებს, აკმაყოფილებდეს მისი ხალხის მოთხოვნილებებს. პირველი მისი კანონი იყო თავისუფლება, ყოველი რელიგიის შეწყენარება და თანაგრძნობა ყველა ცდომილის მიმართ. მისმა ძლიერმა გონებამ შეიკნო, რომ თუ რელიგიური კულტები სხვადასხვანაირია, ზნეობა ყველგან ერთია. ამ პრინციპით მან თავისი ერი ყველა ქვეყნის ერს დაუკავშირა, და კიმერიელები ისე უყურებენ ჩინელებსა და სკანდინავიელებს, როგორც თავიანთ ძმებს. მან მეტიც გააკეთა: დედოფალმა მოინდომა, რომ ეს ძვირფასი შემწუნარებლობა, ხალხთა შორის უპირველესი კავშირი, დამკვიდრებულიყო მეზობლებთანაც.<sup>22</sup> ამგვარად, მან

დაიმსახურა სამშობლოს დედის სახელი და ის მიიღებს კაცობრიობის კეთილმოყველის ტიტულსაც, თუ ამ გზით განაგრძობს სკლას.

მანამდე, საუბედუროდ, უფლებამოსილი ადამიანები მკვლელთა ჯგუფს აგზავნიდნენ უცნობი მოსახლეობის ასაკლებად და მათი სისხლით მამების მემკვიდრეობის მოსარწყავად. ამ მკვლევებს ისინი გმირებს უწოდებდნენ, ძარცვა-გლეჯა მათ სახელს უზევქდათ. ჩვენ მბრძანებელს სხვა შარავანდელი მოსაეს; იგი არმიას აგზავნის მშვიდობის დასამყარებლად, რათა ადამიანებს ხელი შეუშალოს ერთმანეთისათვის ზიანის მიყენებაში, და მისი ალამი მხოლოდ საერთო მშვიდობიანობის მატარებელია.

ყველაფერ ამის მოსმენით ალტაცებულმა ფენიქსმა წამოიძახა:

— ბატონო, ოცდაშვიდი ათას ცხრაასი წელია და შვიდი თვე, რაც მე ქვეყანაზე ვცხოვრობ, მაგრამ მე არაფერი ამის მსგავსი, თქვენ რომ მიახბეთ, არსად მინახავს.

ფრინველმა იკითხა თავის მეგობრის, ამაზანის ამბავი. კიმერიელმაც ისეთივე ამბავი უამბო, რაც პრინცესას ჩინეთში და სკვითიაში უთხრეს. ამაზანი ჩასვლისთანავე გარბოდა ქალაქიდან, როგორც კი რომელიმე ქალი პაემანს დაუნიშნავდა მას. პაემანის ცდუხების ეშინოდა ჭაბუკს. ფენიქსმა ფორმოზანტას მაშინვე აცნობა მისი სატრფოს ერთგულების ეს ახალი საბუთი. ეს საბუთები მით იყო საოცარი, რომ ამაზანს არც კი შეეძლო წარმოედგინა, რომ პრინცესა ამას გაიგებდა.

ამაზანი სკანდინავიაში წასულიყო. ამ ქვეყანაში მან ბევრი ახალი და საკვირველი რამ ნახა: აქ მეფის უფლებები და თავისუფლება შეთანხმებაში იყვნენ, — რაც სხვა ქვეყნებში შეუძლებლად მიაჩნდათ. მიწათმოქმედნი, წარჩინებულ ხალხთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ კანონმდებლობაში, და ახალგაზრდა პრინცი<sup>23</sup> იმედებს იძლეოდა, რომ ღირსეული მმართველი იქნებოდა თავისუფალი ხალხისა. მეორე ქვეყანაში კიდევ უფრო უცნაური ამბავი ხდებოდა: აქ ერთადერთი მეფე,<sup>24</sup> რომელიც თავის ხალხთან ფორმალური ხელშეკრულებით მიღებულ ქვეყანას დესპოტურად მართავდა და თან ხელმწიფეთა შორის

ყველაზე ახალგაზრდა იყო, ყველაზე უფრო სამართლიანი გახლდათ.

სარმატების ქვეყანაში ამაზანმა ტახტზე ფილოსოფოსი<sup>25</sup> ნახა. მისთვის შეეძლო ეწოდებიათ ანარქიის მეფე, რადგან იგი სათავეში ედგა ასი ათას პატარა მეფეს, რომელთაგან თითოეულს ერთი სიტყვით შეეძლო გაენადგურებია ყველა დანარჩენის გადაწყვეტილება. ქარების ღმერთს, ეოლოსს ისე არ გაუჭირდებოდა განუწყვეტლივ მობობოქრე გრიგალის შეკაება, როგორც ამ მონარქს უჭირდა სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ხალხის დამშვიდება. იგი მუდამ ქარიშხალში მოხვედრილ მესაქის მდგომარეობაში იყოფებოდა, მაგრამ მისი ხომალდი აროდეს ილუპებოდა, იმიტომ რომ ეს ხელმწიფე შესანიშნავი მესაქე იყო.

თავისი სამშობლოსაგან ასეთი განსხვავებული ქვეყნების მოვლის დროს ამაზანი მუდამ მტკიცე უარს ამბობდა ყოველგვარ წინადადებებზე, არ ივიწყებდა კოცნას, რომელიც ეგვიპტის მეფემ მიიღო ფორმოზანტასაგან და არ ღალატობდა გადაწყვეტილებას, მიეცა ქალისათვის ერთადერთი და ურყევი ერთგულების მაგალითი.

ბაბილონის პრინცესა და ფენიქსი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ამაზანს და მუდამ ერთი ან ორი დღით აგვიანებდნენ.

ამგვარად, მათ გადასჭრეს მთელი გერმანია. გაკვირვებული დარჩნენ გონებისა და ფილოსოფიის წინსვლით ჩრდილოეთში. ყველა პრინცი იქ განათლებული იყო და აზრის თავისუფლებას აღიარებდა. მათი აღზრდა მინდობილი არ ჰქონდათ მოტყუებით დაინტერესებულ პირთ. მათ საკაცობრიო ზნეობის კანონები და ცრუმორწმუნეობის ზიზლი ჰქონდათ შთაგონებული. ამ ქვეყნიებიდან განდევნილი იყო ერთი სულელური ჩვეულება, რომელიც ასუსტებდა და აუღაბურებდა სამხრეთის ბევრ ქვეყანას, სახელდობრ, ორივე სქესის ურიცხვი ადამიანის ცოცხლად საპყრობილეში დამარხვას;<sup>26</sup> სამხრეთ რში ეს ადამიანები სამუდამოდ ერთმანეთს უნდა ყოფილიყვნენ დაშორებულნი და შეფიცულიყვნენ არავეითარი ურთიერთობა არა ჰქონდათ ერთმანეთთან. ეს უკიდურესი სიგიჟე, რომელიც პატივის-

ცემაში იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ისევე აუკაცურებდა ქვეყნებს, როგორც სასტიკი ომები.

ჩრდილოეთის პრინციები, ბოლოს და ბოლოს, მიხედნენ, რომ თუ საჭირო იყო ცხენთსაშენი, ულაყი ცხენები ფაშატებისაგან არ უნდა დაეშორებინათ. მათ მოსპეს ბევრი არა ნაკლებ უცნაური და არა ნაკლებ მანებელი ჩვეულება.

და აი, ბოლოს ამ ვრცელ ქვეყნებში ხალხმა გაბედა და გონიერი გახდა, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში ფიქრობდნენ, ხალხის მართვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ის სულელიაო.

## VII

ამაზანი მივიდა ბატაველებთან.<sup>27</sup> აქ მწუხარების ოდნავი შემსუბუქება იგრძნო, რადგან რალაც მსგავსება ნახა განგარიღელების ბედნიერ ქვეყანასთან: თავისუფლება, თანასწორობა, სისუფთავე, დოვლათიანობა და შემწყნარებლობა. ამ ქვეყნის ქალები ისეთი გულცივები იყვნენ, რომ არც ერთს არ შეუხედავს მისთვის მოწყალე თვალთ, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სჩადიოდნენ. თუ ამ ქალების წინააღმდეგ იერიში მიეტანა, ყველას დაიპყრობდა სათითაოდ, თუმცა არც ერთი მათგანი მისდამი სიყვარულს არ ამქლავებდა; მაგრამ იგი მეტისმეტად დაშორებული იყო ასეთი დაპყრობის აზრს. - ფორმოზანტას რომ ერთი წუთით არ დაგვიანებოდა, იგი ადვილად მიუსწრებდა ამაზანს ამ უვემურ ხალხში. ბატავეაში ამაზანმა იმდენი ქება გაიგონა ერთი კუნძულის შესახებ, რომ გადასწყვიტა ენახა იგი. ამ კუნძულს ალბიონს ეძახდნენ. იგი ხომალდით გაემგზავრა. აღმოსავლეთის ზურგის ქარის დახმარებით ამაზანმა თავის მარტორქებთან ერთად ოთხ საათში მიაღწია კუნძულის სანაპიროს, რომელიც უფრო სახელგანთქმული იყო, ვიდრე ტიროსი და ატლანტიდის კუნძული.

მშვენიერი ფორმოზანტა მიპყვებოდა მას დვინის, ვისლის, ელბის, ვეზერის სანაპიროებზე და, როგორც იქნა, მიაღწია რეინის ყურეს, რომლის ჩქარი წყლები გერმანიის ზღვას უერთდება. აქ მან გაიგო, რომ მისი სატრფო ალბიონის

კუნძულზე გადასულიყო; ეგონა კიდეც, რომ ამაზანის გემი დაინახა და სიხარულის კვილი ამოხდა, რამაც ბატაველი ქალები გააყვირა. მათ ვერასგზით ვერ წარმოედგინათ, რომ ახალგაზრდა კაცი შეიძლებოდა ასეთი სიხარულის მიზეზი ყოფილიყო. რაც შეეხება ფენიქსს, მას ქალებმა არც კი მიაქციეს ყურადღება, რადგან დაასკვნეს, რომ მისი ბუნებური უფრო ძვირად ვერ გაიყიდებოდა, ვიდრე იქაური ქაობის იხვებისა და ბატების ბუმბული.

პრინცესამ დაიქირავა ორი გემი, რათა მთელი ამალით იმ ნეტარ კუნძულზე გადასულიყო, რომელიც ფლობდა მისი სურვილების საგანს, მისი ცხოვრების წყაროს, მის ღმერთს. უეცრად დასაველეთის ქარიშხალი ამოვარდა სწორედ იმ დროს, როცა ერთგული და უბედური ამაზანი ალბიონის მიწაზე ფეხს ადგამდა. ბაბილონის პრინცესას ხომალდებს აღარ შეეძლოთ ზღვაში გასვლა. ფორმოზანტა გულის კმუნვამ, მწარე ნაღველმა, ღრმა მელანქოლიამ მოიცვა. ნწუხარებისაგან ლოგინად ჩაეარდა და ქარის მიმართულების შეცვლას ელოდებოდა. მაგრამ ქარი რვა დღის განმავლობაში იმედის გამწყვეტი სიძლიერით ქროდა. ეს რვა დღე რვა საუკუნედ ეჩვენებოდა პრინცესას და ირლას იგი ხმამაღლა რომანებს აკითხებდა. ამ წიგნების ავტორები ბატაველები არ იყვნენ, მაგრამ რადგანაც ისინი მსოფლიო კომისიონერები იყვნენ, სხვა ერის ნააზრევს ისევე ჰყიდდნენ, როგორც სხვა სახის საქონელს. პრინცესამ მარკ-მიშელ რეისთან<sup>28</sup> აყიდვინა ყველა ზღაპარი, რომელიც ავზონიელებისა და ველშების<sup>29</sup> ქვეყნებში დაეწერათ. ამ ქვეყნებში ბრძნულად აკრძალული იყო ამ არაკების გაყიდვა, ალბათ ბატაველი ხალხის გამდიდრება თუ უნდოდათ. პრინცესას იმედი ჰქონდა ამ არაკებში ისეთ თავგადასავლებს იპოვიდა, რომელიც მისას ემსგავსებოდა და გავლენას მოახდენდა მის მწუხარებაზე. ირლა კითხულობდა, ფენიქსი აზრს გამოსთქვამდა და პრინცესა კი ვერავითარ მსგავსებას ვერ პოულობდა თავის ამბებთან, ვერც „მეტრიჩარა გლენს ქალში“, ვერც „სოფაში“ და ვერც „ოთხ ფაკარდინში“<sup>30</sup>. პრინცესა ყოველ წუთში აწყვეტილებდა კითხვას და თხოვდა ეთქვათ მისთვის, რომელი მხრიდან ჰქროდა ქარი.

ამასობაში ამაზანი ალბიონის დედაქალაქისაკენ მიეშურებოდა ექვს მარტორქაშებმული ეტლით და თავის პრინცესაზე ოცნებობდა. უეცრად მან შეაჩინა თხრილში გადაყირავებული ეკიპაჟი. მსახურები დამხმარე ხალხის მოსაყვანად გაქეუულიყვნენ, ეკიპაჟის პატრონი მშვიდად იჯდა თავის ადგილას, მკირე მოუთმენლობასაც კი არ გამოხატავდა და თამბაქოს წვევით ირობდა თავს: იმ დროს უკვე ეწეოდნენ თამბაქოს. მას ერქვა მილორდი „What then“, რაც იმ ენაზე, რომელზედაც ამ შემუარებს ვთარგმნი, დაახლოებით, ნიშნავს—მილორდი „რა უშავს მერე“.

ამაზანი მისკენ გაეშურა დახმარების გასაწევად. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ მარტოკამ ასწია ეტლი. მილორდი „რა უშავს მერე“ იმით დაკმაყოფილდა, რომ წარმოსთქვა „რა ღონიერი კაცია“. მეზობელი გლეხები, რომლებიც საშველად მოვიდნენ, გაბრაზდნენ, რომ ტყუილად მოუხდათ მოსვლა და უცხოელს მისცვივდნენ. ისინი ამაზანს ემუქრებოდნენ და „უცხოელ ძაღლს“ უწოდებდნენ. ცემაც კი მოუწოდოდა.

ამაზანმა თითო ხელში ორ-ორი კაცი დაიჭირა და ოც ნაბიჯზე გადაისროლა. სხვებმა მოწიწებით შეხედეს, მიესალმნენ და ფეხის ქირა მოსთხოვეს. ამაზანმა მათ უფრო მეტი ფული მისცა, ვიდრე თავიანთ სიცოცხლეში ენახათ. მილორდმა „რა უშავს მერე“ ასე მიმართა ამაზანს:

— მე თქვენ პატივს გცემთ, წამოდით ჩემთან სახლში, ერთად ვისადილოთ. ჩემი ქალაქგარეთა სახლი აქედან სამი მილითაა დაშორებული.

მილორდი ჩაჯდა ამაზანის ეტლში, რადგანაც მისი ძლიერი ბიძგის გამო დაზიანებულიყო.

თხუთმეტი წუთის სიჩუმის შემდეგ, მილორდმა შეხედა ამაზანს და უთხრა— „How does it?“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „როგორ აკეთებთ კეთებას“, ხოლო მთარგმნელის ენაზე: „როგორ ბრძანდებით“. შემდეგ დაუმატა: „თქვენ აქ ექვსი მარტორქა გყავთ“; და ხელახლა შეუდგა თამბაქოს წვეას.



ამაზანმა უპასუხა, რომ ეს მარტორქები მას ემსახურებიან; რომ იგი მოღის განგარიდიდან. მან დრო იხელთა და ბაბილონის პრინცესაზე დაუწყო ლაპარაკი. უამბო იმ საბედისწერო კონცნის ამბავი, რომელიც მას ძვირად დაუჯდა. მილორდმა პასუხი არ გასცა. თავს არ იწუხებდა იმის გაგებით, არსებობდა თუ არა ქვეყანაზე ევვიპტის მეფე ან ბაბილონის პრინცესა. რამდენიმე წუთი კიდევ ჩემად იყო, შემდეგ ისევ ჰკითხა: „როგორ აკეთებთ კეთებას?“ სკამდნენ თუ არა განგარიდელების ქვეყანაში როსტბიეს. მოგზაურმა ჩვეული ზრდილობით უპასუხა, რომ განგესის სანაპიროზე არ იყო მიღებული თავისი ძმების შექმა. აუხსნა - მას ის სისტემა, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ პითაგორის, პორფირის და იამბლიხის<sup>31</sup> სისტემა გახდა. ამ ლაპარაკის დროს მილორდს ჩაეძინა და სახლში მისვლამდე არ გამოღვიძებია.

მას ჰყავდა ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი, რომელიც ბუნებას დაეჯილდოებია ისეთივე ცოცხალი და მგრძნობიარე სულით, როგორი გულგრილი სულიც მის ქმარს გააჩნდა. რამდენიმე ალბიონელი წარჩინებული პირი მოვიდა მასთან სადილად. ყველას ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათი გააჩნდა, იმიტომ რომ ამ ქვეყანას ყოველთვის უცხოელები მართავდნენ და ამ მმართველთა ამალის ოჯახებს განსხვავებული ზნე-ჩვეულება მოჰქონდათ თან.

ამ დღეს საზოგადოება შედგებოდა რამდენიმე თავაზიანი პირისაგან, რამდენიმე მაღალი გონების ადამიანისა და რამდენიმე ღრმა მეცნიერისაგან.

ღიასახლისს არ ჰქონდა ის ძალდატანებითი, უხერხული იერი, ის ქედმაღლობა და ყალბი მორცხეობა, რომლითაც გაშირიჩეოდნენ ალბიონის იმდროინდელი ახალგაზრდა ქალები. ეს ქალი ამაყი იერით და გულცივი სიჩუმით არ ფარავდა საკუთარი გონების სიღარიბეს და დამამცირებელ უძლურებას რაიმე აზრის გამოთქმაში. უფრო მიმზიდველ ქალს ძნელად იპოვნოდი. ამაზანი მან მიიღო მისთვის ჩვეული თავაზიანობითა და მოხდენილობით. ამ ახალგაზრდა უცხოელის უკიდურესმა სიმშვენიერემ და იმ შედარებამ, რომელიც ქალმა

გააკეთა ამაზანსა და თავის ქმარს შორის, საგრძნობელი შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე.

სუფრას მიუსხდნენ. ქალი დაჯდა ამაზანის გვერდით და გაუქასპინძლდა მას ყოველნაირი პუღინგებით, რადგან მისგან გაიგო, რომ განგარიდელები საქმელად არ ხმარობენ არაფერს ისეთს, რასაც ღმერთისაგან სიცოცხლის ზეციური ნიჭი აქვს მიმადლებული. ამაზანის სილამაზე, მისი ძალა, განგარიდელების ზნეჩვეულებები, ხელოვნების წინსვლა, რელიგია და მართველობა—საუბრის საგანი გახდა სუფრაზე მსხლმთათვის. ეს საუბარი სასიამოვნოც იყო და ჰკუისსასწავლებელიც, ის შუალამემდე გაგრძელდა. მილორდმა „რა უშავს მერე“ ბევრი სვა და არც ერთი სიტყვა კი არ უთქვამს. სადილს შემდეგ, სანამ მიღედი ჩაის აახამდა და თან თვალს არ აშორებდა ახალგაზრდა უცხოელს, ამაზანი ესაუბრებოდა პარლამენტის ერთ-ერთ წევრს. ყველამ იცის, რომ იმ დროს პარლამენტი არსებობდა და მას ვიტენაგემოტს<sup>22</sup> უწოდებდნენ, რაც „ქკვიანი ხალხის შეკრებულებას“ ნიშნავს: ამაზანი ეკითხებოდა კონსტიტუციის, ზნე-ჩვეულებების, კანონების, ხელოვნების შესახებ, რომელიც ამ ქვეყანას საყურადღებოდ ხდიდა. პარლამენტის წევრი ასე უპასუხებდა:

— ჩვენ დიდხანს შიშველა დაედიოდით, თუმცა ჰავა აქ არც ისეთი ცხელია. ტიბრის მიერ მორწყული სატურნის ძველი ქვეყნიდან<sup>23</sup> მოსული ხალხი დიდხანს მონებივით გვეპყრობოდნენ; მაგრამ ჩვენი თვითონ მეტი ზიანი მივაყენეთ ჩვენს თავს, ვიდრე ჩვენმა პირველმა დამამარცხებლებმა. ერთ-ერთი ჩვენი მეფე იმ ზომამდე დაეცა, რომ ტიბრის სანაპიროზე მცხოვრები ხუცესის ქვეშევრდომად გამოაცხადა თავი.<sup>24</sup> ამ მღვდელს „შვიდი გორაკის მოხუცს“<sup>25</sup> ეძახდნენ. ეს „შვიდი გორაკი“ დიდხანს ბატონობდა ევროპის იმ ნაწილში, სადაც მაშინ ველურები ცხოვრობდნენ.

— ამ მონობის პერიოდის შემდეგ სისასტიკისა და ანარქიის საუკუნე დადგა. ჩვენი ქვეყანა, უფრო ბობოქარი, ვიდრე მისი გარემომცველი ზღვა, გაჩანაგებული და სისხლით მორწყული იყო შინაური ბრძოლების წყალობით. ბევრი გვირგვინოსანი დაიღუპა ჯალათის ნაჯახის ქვეშ.

— ასზე მეტმა უფლისწულმა თავიანთი ცხოვრება ეზაფოტზე დაამთავრა. მათ მოწხრეებს გულს ჰგლეჯდნენ და ამ ამოგლეჯილი გულით შემდეგ სახეში სცემდნენ. ჩვენი კუნძულის ისტორიის დაწერა მხოლოდ ჯალათს შეეძლო, რადგან ის ასრულებდა ყველა საქმეს.

— დიდხანი არ არის, რაც ყველა ეს საშინელება დასრულდა იმით, რომ შავი მანტიის მატარებელმა და თეთრ-პერანგიანმა ხალხმა,<sup>36</sup> რომლებიც ცოფიანი ძაღლებისაგან იყვნენ დაკბენილნი, თავიანთი სიგიჟე მთელ ერს გადასდეს. ყოველი მოქალაქე, ღმერთის და მაცხოვარის სახელით, ზოგი მკვლეელი გახდა, ზოგი მსხვერპლი, ზოგი ჯალათი, ზოგი წამებული, ზოგი მბრძანებელი, ზოგი მონა.

ვინ დაიჯერებს, რომ ამ საზარელი უფსკრულიდან, უთანხმობის ქაოსისა, სისასტიკისა, უეცობისა და ფანატიზმიდან შეიქმნებოდა ერთი მთლიანი მართველობა, რომლის ბადალი იქნება არც იყოს მსოფლიოში. თავისუფალი, მეომარი, მოვაჭრე და განათლებული ერის სათავეშია პატივსაცემი და მდიდარი მეფე, რომელიც ძლიერია კეთილი საქმის გასაკეთებლად და უძლური — ბოროტების ჩასადენად. ერთის მხრივ წარჩინებული პირნი, ხოლო მეორეს მხრივ ქალაქების წარმომადგენლები მეფესთან ერთად იყოფენ საკანონმდებლო უფლებას.

— ბედის უცნაური ახირების გამო ქვეყანა განადგურებული იყო არეულობითა და სამოქალაქო ომებით, ანარქიით და სიღუბნით, მაგრამ იმ დღიდან, რაც ახალი წყობა დამკვიდრდა, ჩვენში სიმშვიდე, სიმდიდრე და საერთო ბედნიერება სუფევს. ყველანი ყოყმანობდნენ, სანამ გაუგებარ საკითხებზე კამათობდნენ და ყველა დაშვიდდა მას შემდეგ, რაც შეწყდა ასეთ საკითხებზე მსჯელობა.

— ჩვენი დიდება ზღვიდან ზღვამდე გადააქვს ჩვენს ბრწყინვალე ფლოტს, და კანონები იცავენ ჩვენი სიმდიდრის უშიშროებას. მოსამართლეებს არ აქვთ უფლება საკუთარი სურვილებით ამოქმედონ ეს კანონები. ვერც ერთ განაჩენს ვერ გამოიტანენ ისინი საბუთების წარმოდგენის გარეშე.

— ჩვენ დავიჯიდიით, როგორც მკვლელს, ისეთ მოსამართლეს, რომელიც გაბედავდა და სიკვდილს მიუსჯიდა მოქალაქეს

მისი დანაშაულის დამტკიცების გარჩევის გარეშე და თუ იგი არ დაიმოწმებდა დამსჯელ კანონს.

— მართალია, ჩვენში მუდამ არსებობს ორი პარტია<sup>27</sup>, რომელნიც ერთმანეთს კალმითა და ინტრიგით ებრძვიან, მაგრამ ისინიც კი ერთდებიან ყოველთვის, როცა საჭიროა სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად იარაღის ასხმა. ეს ორი პარტია ერთმანეთს უთვალთვლებს, თითოეული მათგანი მეორეს ხელს უშლის კანონების დარღვევაში. მათ ერთმანეთი ეჯავრებათ, მაგრამ სამშობლო უყვართ. ისინი ჰგვანან ორ ექვიან შეყვარებულს, რომლებიც საერთო სატრფოს სურვილებს ემსახურებიან.

— ვიყრდნობით რა იმავე გონებას, რომელმაც შთაგვაგონა ადამიანის ბუნებრივი უფლებები და ამ უფლებების განმტკიცება, ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტ წარმატებას მივაღწიოთ მეცნიერებაში. თქვენმა ეგვიპტელებმა, რომლებიც ცნობილი არიან უდიდეს მექანიკოსებად, თქვენმა ინდოელებმა, ფილოსოფოსებად რომ მოაქვთ თავი, თქვენმა ბაბილონელებმა, რომლებიც ამაყობენ ოთხას ოცდაათი ათასი წლის განმავლობაში მნათობებზე დაკვირვებით, ბერძნებმა, რომლებმაც ამდენი ფრაზა დასწერეს და საქმიანი კი არაფერი გაუკეთებიათ, ყველა ამათ არაფერი იციან ჩვენი საშუალო სკოლის მოწაფესთან შედარებით, რომელთაც დიდი მასწავლებლების აღმოჩენები შეუსწავლიათ. ბუნებას ჩვენ უჯრო მეტი საიდუმლოება გამოვვლიჯვით ხელიდან ასი წლის მონაკვეთზე, ვიდრე კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში.

— აი ასეთ მდგომარეობაში ვართ ჩვენ ეხლა. მე თქვენთვის არ დამიფარავს არც კარგი, არც ცუდი, არც ჩვენი დიდება, არც ჩვენი სირცხვილი და არაფერი არ გადამიჰარბებია.

ამ საუბრის მოსმენისას ამაზანმა იგრძნო; რომ მის სულში შეიპარა დიდი სურვილი ყველა იმ მეცნიერების შესწავლისა, რომელზედაც მას ელაპარაკებოდნენ. თუ მის დაფლეთილ გულში ბაბილონის პრინცისის სიყვარული, მიტოვებული დედის მიმართ შვილური პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული არ ალაპარაკებულა, ის სიამოვნებით გაატარებდა მთელ თავის სიცოცხლეს ალბიონის კუნძულზე. თანაც, ეგვიპ-

ტის მეფის კოცნა მას გონებას უბნელებდა და მეცნიერების შესწავლაში ხელს უშლიდა.

— გამოგიტყდებით, — სთქვა ამაზანმა, — რომ, რადგან მიზნად მთელი ქვეყნის შემოვლა მაქვს დასახული, ძალიან მაინტერესებს ვნახო სატურნის ძველი ქვეყანა, ტიბრის სანაპიროების და შვიდი გორაკის ხალხი, რომელსაც ოდესღაც თქვენ ემორჩილებოდით. უეჭველია, ისინი პირველი ხალხია მსოფლიოში.

— მეც გირჩევთ ამ ქვეყანაში მოგზაურობას, — უპასუხა ალბიონელმა, — თუ თქვენ მუსიკა და მხატვრობა გიყვართ. სევდის გასაქარებლად ჩვენ თვითონ მივდივართ იქ. თქვენ გაკვირვებული დარჩებით ჩვენი დამმარცხებლების მემკვიდრეების ნახვით:

ეს საუბარი დიდხანს გაგრძელდა. თუმცა მშვენიერი ამაზანის გონება ოდნავ დამძიმებული იყო, ის მაინც ისე სასიამოვნოდ ლაპარაკობდა, მისი ხმა იმდენად მგძნობიარე იყო, მისი იერი ისეთი კეთილშობილური და მომხიბვლელი, რომ დიასახლისმა თავი ვერ შეიკავა და პირისპირ სასაუბროდ მიიხმო. ლაპარაკის დროს ამაზანს ნაზად უქერდა ხელს და ყოველი სურვილის გამომხატველი ბრწყინვალე, წყლიანი თვალებით შეჩუბრებდა. ქალმა იგი ვახშმად დასტოვა და ლამის გათევაც შესთავაზა. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი წუთი, ყოველი გამოხედვა ქალში ვნების ცეცხლს ანთებდა. როგორც კი სტუმრები განკუთვნილ ოთახებში შევიდნენ, ქალმა ამაზანს პატარა ბარათი მისწერა. დარწმუნებული იყო, რომ უარს არ ეტყოდა მასთან მოსვლაზე, სანამ მილორდს „რა უშავს მერე“ ეძინა. ამაზანმა კვლავ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა. სიგიჟის პატარა მარცვალმა ესოდენ სასწაულგბრივი შედეგი გამოიღო ძლიერსა და ღრმად დაქრილ სულზე.

ამაზანმა მისთვის ჩვეული ზრდილობით ქალს აუწყა თავისი ფიცის სიწმინდე და თავისი პირდაპირი მოვალეობა, რომლითაც მას უნდოდა ბაბილონის პრინცესისათვის ესწავლებია გრძნობების დამორჩილება. ამის შემდეგ მან შეაბმეინა მარტორქები და ბატავისკენ გაემგზავრა. მთელი ხალხი აღტაცებული დარჩა ამაზანით, ხოლო დიასახლისი — სასოწარკვეთილი.

მწუხარებისაგან გაოგნებულს ქალს დავიწყებოდა წერილის შენახვა, და მეორე დილით მილორდმა „რა უშავს მერე“ ის წაიკითხა: „რა სისულელეა“ – მხრების აჩეჩვით წარმოსთქვა მან და მეღიებზე სანადიროდ წავიდა რამდენიმე ლოთ მეზობელთან ერთად.

ამ დროს კი ამაზანი ზღვის ტალღებს მიჰყვებოდა და გზას სწავლობდა გეოგრაფიული რუკით, რომელიც ალბიონელმა მეცნიერმა აჩუქა მას მილორდის „რა უშავს მერე“-ს სახლში. გაკვირვებით დაჰყურებდა უზარმაზარ ქვეყნებს, რომელიც ქალაქის ფურცელზე იყო გამოხატული.

მისი თვალები და ფიქრები ამ პატარა ფართობზე დასცურავდნენ. უცქერდა რეინს, დუნაის, ალპებს, ტიროლს, რომელთაც მაშინ სხვა სახელები ერქვათ და ყველა იმ ქვეყნებს, რომლებიც მას უნდა გაეგლო შვიდი გორაკის ქალაქში მისვლამდე. მაგრამ ის განსაკუთრებით დიდხანს უყურებდა განგარიდელების ქვეყანას, ბაბილონს, სადაც მან საყვარელი პრინცესა ნახა, ბასორას, სადაც პრინცესამ ეგვიპტის მეფეს აკოცა, და იგი ოხრავდა, ცრემლებსა ღვრიდა. მას სჯეროდა, რომ ალბიონელი, რომელმაც მას ეს მინიატურული ესოფლიო აჩუქა, მართალი იყო, როცა უთხრა, ტემზის სანაპიროების მცხოვრებლები გაცილებით უფრო განათლებულნი არიან ვიდრე ნილოსის, ევფრატის და განგესის სანაპიროების ხალხიო.

იმ დროს, როცა იგი ბატავიაში ბრუნდებოდა, ფორმოზანტა თავისი ორი ხომალდით მისცურავდა ალბიონისკენ. ამაზანისა და პრინცესის ხომალდები შეხვდნენ, თითქმის შეეხნენ კიდევ ერთმანეთს... ისინი ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთისაგან და არც კი უგრძენიათ. ოჰ, მათ რომ ეს სცოდნოდათ! მაგრამ მბრძანებელი განგება ამის უფლებას არ იძლეოდა.

## IX

როგორც კი ამაზანი ბატავიის ქაობიან ვაკეზე გადავიდა, იგი ელვის სიწრაფით გაეშურა შვიდი გორაკის ქალაქისაკენ. მას უნდა გაეგლო გერმანიის სამხრეთი ნაწილი. ყოველ ოთხ

მიღზე ახალი მეფეები, ჰერცოგები ცოლებით, ფრეილინები და მათხოვრები ხვდებოდნენ. ამაზანი გაცივრებული იყო იმით, რომ ყველა ქალი მას ერთნაირი კეკლუცობით შესცქეროდა, ნამდვილი, გერმანული გულუბრყვილობით.

გადაიარა ალპები და დაღმაციის ზღვით მივიდა იმ ქალაქში, რომელიც აქამდე მის მიერ ნახულ ქალაქებს არაფრით არ ჰგავდა. ზღვა ქუჩებად იყო ქცეული და სახლები წყალზე იყო აშენებული. საჯარო მოედნები, რომლებიც ამ ქალაქს ამშვენებდა, სავსე იყო ქალებით და კაცებით. ამ ხალხს ორმაგი სახე ჰქონდა: ერთი ბუნებრივი და მეორე—მუყაოსი, ცუდად დახატული, რომელსაც ბუნებრივ სახეზე იფარებდნენ, ასე რომ ეს ხალხი მოჩვენებებსა ჰგავდა.<sup>38</sup>

ამ ქვეყანაში ჩამოსული ხალხი იმით იწყებდა, რომ უპირველესად ამ სახეებს ყიდულობდა, ისევე, როგორც სხვაგან ქუდებსა და ფეხსაცმელებს იძენენ. ამაზანს არ მოეწონა ეს არაბუნებრივი მოდა და თვითონ ყველგან ისე დადიოდა, როგორც ბუნებას გაეჩინა.

ქალაქში თორმეტი ათასი ქალიშვილი იყო ჩაწერილი რესპუბლიკის დიდ წიგნში; ამ ქალიშვილებს სახელმწიფოსთვის სარგებლობა მოჰქონდათ. ისინი ერს მომგებიანი და სასიამოვნო ვაჭრობით ამდიდრებდნენ. მაშინ, როცა ჩვეულებრივი ვაჭრები საქონელს აღმოსავლეთში აგზავნიდნენ დიდი ხარჯებითა და რისკით, ეს ლამაზი სოვდაგრები ყოველგვარი რისკის გარეშე აწარმოებდნენ ვაჭრობას. ამ ქალიშვილებმა მოინდომეს ამაზანის გაცნობა, რათა მას არჩევანი გაეკეთებია მათ შორის, მაგრამ ამაზანმა მოკურცხლა ამ ქალაქიდან; იმეორებდა შეუდარებელი პრინცივსას სახელს და იფიცებდა, რომ პრინცივსა უფრო მშვენიერია ვიდრე თორმეტი ათასი ვენეციელი ქალი ერთად აღებულიო. „მშვენიერო თვალთმაქცო, — წამოიძახა მან, — მე გასწავლი როგორ უნდა ერთგულება“.

ბოლოს, ტიბრის ყვითელმა ტალღებმა, მოწამლულა ჰაობებმა, ჩამოგლეჯილ წამოსასხამებში გახვეულმა ქანცგამოლულმა მცხოვრებლებმა, რომელთაც გამხმარი, მზისგას გარუჯული კანი უჩანდათ, აუწყეს ამაზანს, რომ ის შვიდა გორაკის ქალაქის კართან იყო მისული, გმირებისა და კანონ-

მდებლების იმ ქალაქში, რომელმაც დაიპყრო და გაანათლა მსოფლიოს დიდი ნაწილი. ამაზანს წარმოედგინა, რომ ქალაქის ტრიუმფალურ კარიბჭესთან შეხვდებოდა ხუთასი ბატალიონი, გმირებით სათავეში, სენატში კი მოელოდა ნახევარლმერთების შეკრებას, რომელნიც დედამიწისთვის კანონების შედგენით იქნებოდნენ დაკავებულნი. მთელი არმიის ნაცულად ამაზანმა ოცდაათამდე უსაქმური დაინახა; ისინი მზის შიშით ქოლგას შეფარებოდნენ და სადარაჯოზე იდგნენ. ტაძარში შევიდა, <sup>29</sup> ძალიან მოეწონა, მაგრამ ბაბილონის ტაძარი ამჯობინა. კაცები მღეროდნენ და გაუკვირდა, როცა მოისმინა, რომ ამ კაცებს ქალების ხმა ჰქონდათ.

— რა უცნაური ქვეყანა ყოფილასატურნის ეს ძველი მიწა! მე ვნახე ერთი ქალაქი, სადაც არც ერთ ადამიანს თავისი სახე არ ჰქონდა, აი ესეც, მეორე ქალაქი, სადაც მამაკაცებს თავიანთი წვერი და ხმა არ გააჩნიათ,—ამბობდა ამაზანი. მას აუხსნეს, რომ ეს მომღერლები აღარ იყვნენ მამაკაცები, ისინი ასეთებად გახადეს, რათა ტკბილად ემღერათ. ამაზანმა მათ ლაპარაკს ვერათერი გაუგო. ამაზანსაც სთხოვეს ემღერა და მან მისთვის ჩვეული მოხდენილობით შეასრულა ერთი განგარიდული სიმღერა; მას მშვენიერი ტენორი ჰქონდა.

— ოჰ, სენიორ!—უთხრეს მას,—თქვენ შესანიშნავი სოპრანო გექნებოდათ, თუ თქვენ..

— რაო, რა გინდათ სთქვათ? რას ნიშნავს ეს „თუ თქვენ...“

— ოჰ, სენიორ!

— ჰო, მერე?..

— თქვენ რომ არა გქონდეთ წვერი!

და სასაცილო სიტყვებითა და კომიკური ექსტებით მას აუხსნეს, რაშიაც იყო საქმე. ამაზანი დაიბნა.

— ბევრი მიმოგზაურია,—სთქვა მან,—მაგრამ ამ უცნაური ფანტაზიის მსგავსი რამ არსად შემხვედრია. როცა ვალობა დამთავრდა, შეიღდი გორაკის მოხუცი დიდ პროცესიას ჩაუდგა სათავეში და ტაძრის კარიბჭისკენ გაემართა. მან ასწია ცერი, ორი თითი გაიშვირა, ორი კი მოიკეცა, ჰაერი გააპო, და თან ეს სიტყვები წარმოსთქვა იმ ენაზე, რომელზედაც დიდი ხანია აღარ ლაპარაკობენ: „ქალაქსა და სამყაროს“.



განგარიდელს ვერ გაეგო, ორი თითი ისე შორს როგორ მის-  
წვდებოდა. შემდეგ მის წინ გაიარა მსოფლიოს მბრძანებლის  
მთელმა სასახლის ჯარმა. ის სერიოზული პირებისგან შედ-  
გებოდა. ზოგს წითელი მანტია ეცვა, ზოგს იისფერი,<sup>40</sup> თით-  
ქმის ყველანი თვალებს ნაბავდნენ, ალტაცებით უყურებდნენ  
ამაზანს, ესალმებოდნენ მას და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: *San  
Martino, che bel' ragazzo! San Pancratio, che bel' fanciullo!*<sup>41</sup>

„გულმოდგინებმა“, რომელთა ხელობა უცხოელთათვის  
ქალაქის შესანიშნავი ადგილების დათვალიერება იყო, საჩქა-  
როდ აჩვენეს ამაზანს ნანგრევები, სადაც ეხლა მეჯორეც არ  
მოისურებდა ღამის გათევას; ეს იყო მსოფლიოს ყოფილი  
მბრძანებელი ქალაქის ღირსეული ძეგლი. ამაზანმა ნახა ორასი  
წლის წინანდელი სურათები და ოცი საუკუნის ხნის ქანდა-  
კებები, რომლებიც შედევრებად ჩასთვალა.

— კიდევ ქმნით თქვენ ასეთ ნაწარმოებს? — იკითხა ამაზანმა.

— არა, თქვენო აღმატებულება, — უპასუხა ერთ-ერთმა  
„გულმოდგინემ“, — მაგრამ ჩვენ გვეზიზღება დანარჩენი ქვეყნე-  
ბი, რადგან შენახული გვაქვს ეს იშვიათობანი. ჩვენ თვითონ  
მეძონძეებსა ვგვევართ და საკუქნაოებში შენახულ ძველი ტან-  
საცმელით ვამაყოფთ.

ამაზანმა მოისურვა მეფის სასახლის დათვალიერება; წაი-  
ყვანეს. მან იქ ნახა იისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი  
კაცები, რომლებიც სახელმწიფოს შემოსავალს ითვლიდნენ:  
ამდენი ღუნაიზე მდებარე ქვეყნებიდან, ამდენი ლუარაზე მდ-  
ებარე ქვეყნებიდან, ამდენი გვადალკვივირის ნაპირებიდან,  
ამდენი ვისლის მიდამოებიდან.

— ოჰო, — წამოიძახა ამაზანმა, თავისი რუკის დათვალიერე-  
ბის შემდეგ, — თქვენს მეუფეს მთელი ევროპა ჰყოლია ხელში ისე,  
როგორც შვიდი გორაკის ქალაქის ძველ გმირებს ჰყავდათ.

— ღვთიური უფლების ძალით ის უნდა ფლობდეს მთელს  
სამყაროს, — უპასუხა ერთმა იისფერ ტანსაცმელიანმა. — იყო  
დრო, როცა მისი წინაპრები მსოფლიოს მბრძანებლობიდან  
არც ისე შორს იყვნენ, მაგრამ მათი მემკვიდრეები სიკეთეს  
იჩენენ და კმაყოფილდებიან იმით, რასაც მათი ქვეშევრდომი  
მეფეები ბეგარის სახით უგზავნიან.

— მართლა მეფეთა-მეფეა თქვენი მონარქი? ეს მისი ტიტულია, არა?— იკითხა ამაზანმა.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, მისი ტიტული „მსახურთა მსახური“ გახლავთ. იგი მეთევზეთა და მეკარეთაგან წარმოსდგება და ამიტომაც მისი ღირსების ემბლემა გასაღებები და ბადეებია, მაგრამ ყველა მეფეს ის აძლევს ბრძანებას. ამასწინათ მან კელტების მეფეს ასერთი ბრძანება გაუგზავნა, და ისიც დაემორჩილა.<sup>42</sup>

— თქვენმა მეთევზემ აღბათ ხუთასი ან ექვსასი ათასი კაცი გაგზავნა ამ ასერთი ბრძანების შესასრულებლად.

— ოჰ, არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, ჩვენი წმინდათა წმინდა მამა არც ისეთი მდიდარია, რომ ათი ათასი ჯარისკაცი იყოლიოს ჯამაგირზე. მაგრამ მას ჰყავს ოთხასი— ხუთასი ათასი ღეთის წინასწარმეტყველი, სხვადასხვა ქვეყნებში განაწილებული, ეს წინასწარმეტყველები, რასაკვირველია, ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ. ისინი ღმერთის სახელით აუწყებენ ხალხს, რომ წმინდა მამას შეუძლია თავისი გასაღებებით გახსნას და დაკეტოს ყოველგვარი ბოქლომი და თვით უწვავე სალაროებაც კი. ნორმანდიის ერთი მღვდელი, სანდო პირი იმ მეფისა, რომლის შესახებ წელან გელაპარაკებოდით, არწმუნებდა მეფეს, რომ ის უნდა უსიტყვოდ დამორჩილებოდა წმინდა მამის ასერთ ბრძანებას. უნდა იცოდეთ, რომ შვიდი გორაკის მოხუცის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ ყოველთვის მართალია, იტყვის ის რამეს თუ დასწერს.

— რა უცნაური კაცი ყოფილა!— წამოიძახა ამაზანმა,— ძალიან მინდა მასთან სადილობა.

— მეფეც რომ იყოთ, მაინც ვერ შესძლებდით მასთან ერთად ერთ მაგიდასთან დაჯდომას. დიდი-დიდი, რის გაქეთებაც მას შეუძლია, ეს ის იქნება, რომ უბრძანებს პატარა მაგიდა დაგიდგან მისი მაგიდის ახლოს. მაგრამ თუ მასთან საუბარს მოისურვებთ, მე შევეცდები მოგიწყოთ აუდიენცია, რისთვისაც თქვენ მომცემთ ხიონა მანია-ს.<sup>43</sup>

— სიამოვნებით,— უთხრა განგარიდელმა.

იისფერ ტანსაცმელიანმა მდაბლად დაუკრა თავი.

— ხვალვე შეგიყვანთ მასთან,— უთხრა მან,— შვიდი გორაკის მოხუცს სამჯერ მდაბლად დაუკრავთ თავს და ფეხზე აკოცებთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ამაზანმა ისეთი ხარხარი ასტეხა, რომ კინალამ დაიხრჩო. მას ფერდებზე ექირა ხელი და ცრემლმორეული იცინოდა მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ სასტუმროში მივიდოდა. იქაც ვერ დამშვიდდა.

სადილის დროს მასთან ოცი უწვევრო კაცი და ოცი ვიოლინოზე დამკვრელი მოვიდა და კონცერტი გაუმართეს. ნასადილევს მას ქალაქის წარჩინებული პირები ართობდნენ და კიდევ უფრო უცნაური წინადადება მისცეს, ვიდრე შვიდი გორაკის მოხუცის ფეხზე კოცნა იყო. თავაზიანმა ამაზანმა ჯერ იფიქრა, რომ იგი ქალად მიიჩნიეს, და განუცხადა მათ, რომ ცდებოდნენ; მაგრამ, როდესაც სამი თუ ორი იისფერ ტანსაცმელიანი მეტისმეტად ჩააცივდა, ამაზანმა ველარ მოითპინა და ისინი ფანჯრიდან გადაისროლა. არ უფიქრია, რომ ამით დიდს მსხვერპლს სწორავდა ფორმოზანტას.

მან სწრაფად დასტოვა ეს ქალაქი, სადაც ფეხები უნდა დაეკოცნა ბებერისათვის, თითქოს მას ლოყა ფეხებზე ჰქონდა, და სადაც კიდევ უფრო უცნაურად ექცეოდნენ ახალგაზრდა მამაკაცებს.

## X

ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლისას ამაზანი თავიდან იზორებდა ამგვარ ცთუნებებს, ერთგული რჩებოდა მშვენიერი ბაბილონელი ქალისადმი, გაბრაზებული იყო ეგვიპტის მეფეზე. ბოლოს სიმტკიცის ეს მაგალითი გალების ახალ დედაქალაქში ჩავიდა. ამ ქალაქსაც, როგორც სხვებს, ბარბაროსობის, უვიცობის, სისულელის და სილატაკის საფეხურები გაეგლო: მისი პირველი სახელი ტალახი და ნეხვი იყო,<sup>44</sup> შემდეგ იზიდას სახელი მიელო, ვინაიდან ამ ქალღმერთის თაყვანისცემას ამ ქალაქამდისაც მიეღწია.

ამ ქალაქის პირველი სენატი მენავეებისაგან შედგებოდა. ქალაქი დიდხანს იყო შვიდი გორაკის მძარცველი გმირების

მონა, ხოლო რამდენიმე საუკუნის შემდეგ სხვა ბანდიტი-გმირები მოვიდნენ რეინის იქითა მხრის სანაპიროდან და ამ პატარა მიწაზე გაბატონდნენ.

ყველაფრის შემცვლელმა დრომ იგი ქალაქად აქცია. ამ ქალაქის ერთი ნახევარი კეთილშობილური და სასიამოვნო იყო, მეორე კი—უხეში და სასაცილო: მისი მცხოვრებლებიც ორად ნაწილდებოდა. ქალაქის ზღუდეებში დაახლოებით ასი ათასი კაცი თამაშისა და გართობის მეტს არაფერს აკეთებდა. ეს უსაქმური ხალხი მხოლოდ აკრიტიკებდა სხვის ნამოქმედარსა და შექმნილს. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა სასახლეში, რომელსაც ის ოთხი მილით კი არა, თითქო ექვსასი მილით იყო დაშორებული. მისი მთავარი საქმიანობა დროსტარება, მხიარულება და ვიზიტები იყო. მათ ისე ექცეოდნენ, როგორც ბავშვებს, რომლებსაც, ოღონდ არ იტირონ, სათამაშოებს აძლევენ. თუ ამ ადამიანებს დაუწყებდნენ ლაპარაკს იმ საშინელებებზე, რომელმაც ორი საუკუნით ადრე მათი სამშობლო გაანადგურა, ან იმ შემზარავი დროის შესახებ, როდესაც მცხოვრებლების ერთმა ნაწილმა რაღაც სოფიზმის გულსთვის მეორე აიკლო, ეს ფუქსავატები იტყოდნენ, ეს, მართლაც, ძალიან კუდი საქმე იყო, და ხუმრობასა და მხიარულ კუბლეტების სიმღერას განაგრძობდნენ.

რაც უფრო მხიარულნი, ზრდილობიანი და თავაზიანი იყვნენ ეს უსაქმურები, მით უფრო შეინიშნებოდა ის სამწუხარო განსხვავება, რომელიც მათსა და საქმიან ხალხს შორის არსებობდა.

ამ საქმიან თუ მოჩვენებით საქმიან ხალხს შორის გამოირჩეოდა პირქუში ფანატიკოსების ჯგუფი, ნახევრად უფიცი, ნახევრად გაიძვერა ხალხი, რომლის ერთი შეხედვაც უგუნებოდ გაგზდიდათ. ეს ხალხი, გავლენის მოსაპოვებლად, მზად იყო მთელი დედამიწა ყირაზე დაეყენებინა. მაგრამ უსაქმურთა ერი თავიანთ ცეკვებით და სიმღერით მათ აიძულებდა სოროებში დამალულიყვნენ, ისევე როგორც ჩიტები ბუებს აიძულებენ თავშესაფარი ნანგრევებში მონახონ.

საქმიანი ხალხის მეორე, ნაკლებ მრავალრიცხოვანი ჯგუფი იცავდა ბარბაროსულ ჩვეულებებს, რომლის წინააღმდეგ ალა-

შიანის ბუნება ხმამაღლა ლაღადებდა. ისინი ეყრდნობოდნენ მხოლოდ მატლების მიერ დადრღნილ არქივის ჩანაწერებს; როგორი უაზრო და საშინელიც უნდა ყოფილიყო ეს ჩვეულება, ის წმინდა კანონად მიაჩნდათ, თუ არქივში აღმოაჩენდნენ მას. ამ ლაჩრული ჩვეულების გამო ვერ ბედავდნენ დამოუკიდებლად აზროვნებას და იღივებნენ იმ დროის ნამსხვრევებში ეძებდნენ, როდესაც ადამიანები არ აზროვნებდნენ; ამიტომ ამ მხიარულ ქალაქში ჯერ კიდევ სასტიკი ჩვევები მეფობდა. ამავე მიზეზით არ არსებობდა არავითარი შესაბამისობა დანაშაულსა და სასჯელს შორის: ხშირად უდანაშაულოს საშინლად აწამებდნენ, რათა ის გამოტეხილიყო დანაშაულში, რომელიც მას არ ჩაედინა. ახალგაზრდის ქარაფშუტობა ისევე ისჯებოდა, როგორც ადამიანის მოწამვლა ან მამის მკვლელობა. ამის გამო უსაქმურები ყურის გამაყრუებელ კივილსა სტეხდნენ, მაგრამ მეორე დღეს აღარც კი ახსოვდათ და ახალ მოდებზე ლაპარაკობდნენ.

ასე გაიარა ერთმა საუკუნემ. ამ ხნის განმავლობაში ხელოვნება ისეთ საფეხურზე ავიდა, რომ არავინ არ იფიქრებდა ასეთ წარმატებას. უცხოელები აქ მოდიოდნენ ისევე, როგორც ბაბილონში, რათა ენახათ არქიტექტურის დიდებული ძეგლები, შესანიშნავი ბალები, ქანდაკებისა და მხატვრობის საუცხოო ნიმუშები. ისინი აღტაცებულნი იყვნენ მუსიკით, რომელიც სულსა სწვდებოდა, ისე რომ სმენას არ ღლიდა.

მხოლოდ ამ ბედნიერ ეპოქაში გაიგო ხალხმა, რას წარმოადგენდა ნამდვილი პოეზია, ჰარმონიული და ბუნებრივი, რომელიც გულსაც ისევე უპასუხებდა, როგორც გონებას. მქვერმეტყველება გამდიდრდა გამოთქმის ახალი, მშვენიერი ფორმებით. განსაკუთრებით თეატრი აივსო ისეთი ნაწარმოებებით, რომელთა შექმნა სხვა ერებმა ვერ შესძლეს. ბოლოს, კარგი გემოვნება ისე გავრცელდა, რომ დრუიდებშიც<sup>45</sup> კი იპოვიდით კარგ მწერლებს.

ამდენი დაფნის გვირგვინი, რომელმაც ერის დიდება ღრუბლებამდე აიყვანა, ამ გამოფიტულ ნიადაგზე ჩქარა დაკვნა. ცოტაოდენი გადარჩა, მაგრამ უფერული, მომაკვდავი ფოთლებით. დაქვეითების მიზეზი გულმოდგინეობის ნაკლებობა,

საქმისადმი არა სერიოზული დამოკიდებულება და გემოვნების გაფუჭება იყო. პატივმოყვარეობამ ძველი დროისკენ მიბრუნება მოითხოვა და რადგან ის დევნიდა ნამდვილ ტალანტებს, ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებიათ სამშობლო. კრაზანებმა ფუტკრები განდევნეს.

ნამდვილი ხელოვნება გაქრა, თითქმის არც გენიოსები არსებობდნენ. დიდ დამსახურებად ითვლებოდა გასული საუკუნის ღირსების მცდარად და უკულმა განსჯა. ტრაქტირების მთხუპნელები კრიტიკულად არჩევდნენ დიდი მხატვრების სურათებს. მჯღაბნელები დიადი ნაწარმოებების აზრებს ამახინჯებდნენ. უვიცობა და ცუდი გემოვნება ცუდ ნაწარმოებებს ქმნიდა, სხვადასხვა სათაურიან ათას ტომებში ერთსა და იგივეს იმეორებდნენ. ყოველი წიგნი ან ლექსიკონს ჰგავდა, ან ბროშურას. ერთი დრუიდი ყურნალისტი კვირაში ორჯერ ბეჭდავდა უაზრო შენიშვნებს სასწაულებზე, რომელთა შესახებ ხალხმა არაფერი იცოდა და რომელთაც მათხოვრები ჰკმნიდნენ სხვენზე. სხვა ყოფილი დრუიდები, შავტანისამოსიანნი და სიმშოლისაგან და სიბრაზისაგან თითქმის მომაკვდავნი, ჩიოდნენ, რომ მათ უფლებას აღარ აძლევდნენ მოეტყუებინათ ხალხი, და რომ ამ უფლებას მხოლოდ ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ თხებს აძლევდნენ. \* ზოგი არქიდრუიდი სამარცხვინო პასკვილებსა და ცილისწამებებს ბეჭდავდა.

ამაზანმა არ იცოდა ყველაფერი ეს; რომ სკოდნოდა კიდევ, ალბათ არც დააინტერესებდა ეს ამბავი. მისი ფიქრი ბაბილონის პრინციპით, ეგვიპტის მეფით და იმ მტკიცე ფიციით იყო მოცული, რომ უკუეგდო ქალის კეკლუცობა ყველგან, სადაც კი მას მწუხარება მიიყვანდა. ქარაფშუტებისა და უვიციების საზოგადოება, რომელიც მუდამ მზად იყო ცნობისმოყვარეობა უკიდურეს წერტილამდე მიეყვანა, დიდხანს იყო შეჯგუფებული ამაზანის მარტორქების ირგვლივ. ქალები მისი სასტუმროს კარებისკენ მიისწრაფოდნენ — უნდოდათ ამაზანი ენახათ.

ამაზანმა სასტუმროს პატრონს გამოუცხადა, რომ სასახლის კარის ნახვა უნდოდა, მაგრამ შემთხვევით იქმყოფმა, საუკეთესო საზოგადოების წევრებმა — უსაქმურებმა უპასუხეს, ეს

მოდაში აღარ არის, დრო გამოიცვალა და ნამდვილი გართობა მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილებში ხდებაო.

იმავე საღამოს ამაზანი ვახშმად მიიწვიეს ერთ ქალთან, რომლის კეუა და ტალანტი მისი სამშობლოს იქითაც იყო განთქმული. <sup>17</sup> მას ემოგზაურა ზოგ იმ ქვეყანაში, რომელიც ამაზანმა დაათვალიერა. მას ძალიან მოეწონა ქალიც და მასთან მოწვეული საზოგადოებაც. აქ თავისუფლება და მშვიდი მხიარულება მეფობდა, მეცნიერება მოკლებული იყო ყოველგვარ მაღალფარდოვნებას და ზომიერი ენამახვილობა ისმოდა. ის დარწმუნდა, რომ კარგი საზოგადოება ლიტონი სიტყვა არ არის, თუმცა მას ხშირად ბოროტად იყენებენ.

მეორე დღეს ამაზანმა ისაძილა არა ნაკლებ სასიამოვნო საზოგადოებაში, თუმცა ის ისეთი ღირსეული არ იყო, როგორც წინა დღეს. რამდენადაც მას მოსწონდა თანამესაუბრეები, იმდენად ისიც მოსწონდათ მათ. იგი გრძნობდა, რომ მისი გული ისე დნებოდა, როგორც მისი ქვეყნის არომატული სანელებელი დნება ზომიერ ცეცხლზე და სასიამოვნო სურნელვას აფრქვევს. სადილს შემდეგ ამაზანი წაიყვანეს თეატრში და იქ მან ნახა შესანიშნავი სანახაობა, რომელიც, სხვათა შორის, დრუიდების მიერ გაკრიტიკებული იყო, რადგან ისინი შურის თვალთ უყურებდნენ ყველაფერს, რაც კი მათ მაყურებელთა რაოდენობას შეამკირებდა. სპექტაკლი შედგებოდა მშვენიერი ლექსებისა, სიმღერებისა, ცეკვებისაგან, რომელნიც სულს მოძრაობას გამოხატავდნენ. დეკორაციები ილუზიის წყალობით თვალსა ხიბლავდა. ეს სანახაობა, რომელიც ხელოვნების რამდენიმე სახეს გადმოსცემდა, იწოდებოდა „ოპერად“, თუმცა ეს სიტყვა სხვა ენას ეკუთვნოდა. ოდესღაც შვიდი გორაკის ენაზე ეს სიტყვა აღნიშნავდა: შრომას, ზრუნვას, საქმიანობას, ხელობას, წარმოებას; საქმეს. ამ „საქმემ“ ამაზანი ალტაცებაში მოიყვანა. განსაკუთრებით მას ერთი ქალი მოეწონა თავისი მელოდიური ხმით და მოძრაობების გრაციულობით. სპექტაკლის შემდეგ მას გააცნეს ეს „საქმიანი ქალი“, და ამაზანმა მას ერთი მუჟა აღმასები აჩუქა. ქალი ისეთი მაღლიერი დარჩა, რომ მთელი საღამოს განმავლობაში არ მოსცილებია ამაზანს. ერთაჯ ივახშმეს. ვახშმის დროს მას დაავიწყ-

და თავშეკავებულობა, ხოლო ნავახშმევს—თავისი ფიცი უგრძნობი დარჩენილიყო ქალების მომხიბვლელობისადმი. ოჰ რა მაგალითია ადამიანის სისუსტისა!

სწორედ ამ დროს ბაბილონის პრინცესა ჩამოვიდა ამ ქალაქში ფენიქსთან, ირლასთან და ორას განგარიდელ მეომართან ერთად.

დიდხანს აცდევინეს, სანამ ქალაქის კარიბჭე გაიღებოდა. მან იკითხა, იყო თუ არა ამ ქალაქში ულამაზესი, უმამაცესი, უერთგულესი და უჭკვიანესი კაცი.

ქალაქის მაგისტრატები მიხედნენ, რომ ამაზანზე იყო ლაპარაკი. პრინცესამ ბრძანა წაეყვანათ სასტუმროში, სადაც ამაზანი გაჩერებულიყო: სიყვარულისგან ათრთოლებული გულით შევიდა იგი სასტუმროში. მისი სული გამოუთქმელი სიხარულით იყო გამსჭვალული, რომ როგორც იქნა ეღირსებოდა თავის სატრფოს, ერთგულების ამ ურყუარი, უბადლო მაგალითის ნახვას. გზაზე პრინცესა არავის არ შეუჩერებია და იგი ოთახში შევიდა: ფარდები ჩამოშვებული არ იყო, და პრინცესამ დაინახა მშვენიერი ამაზანი, რომელსაც ლამაზი, შავგვრემანი ქალის მკერდზე ეძინა. ორთავეს დიდი მოსვენება სჭირდებოდათ. ფორმოზანტას ამოხდა მწუხარების ყვირილი, რომელიც შთელ სახლში გაისმა; მაგრამ ამ ყვირილმა ვერც მისი ბიძაშვილი, ვერც „საქმიანი“ ქალი ვერ გააღვიძა.

პრინცესა გულწასული დაეცა ირლას მკლავებზე. გონებაზე მოსვლისთანავე მან, მწუხარემ და გააფთვრებულმა, სასწრაფოდ დასტოვა ეს საბედისწერო ოთახი.

ირლამ გამოიკითხა, ვინ იყო ეს ქალი, რომელიც მშვენიერ ამაზანთან ატარებდა ესოდენ ტკბილ წუთებს. მას აუხსნეს, რომ ეს იყო „საქმიანი“ ქალი, ძალიან გულმოწყალე, რომელიც სახელგანთქმული იყო როგორც მშვენიერი მომღერალი.

— ოჰ, სამართლიანო ღმერთო! ძლიერო ოროზმადო!—წამოიყვირა აცრემლებულმა პრინცესამ.—ვისზედ გამცვალა მან! მან, რომელმაც ჩემი გულისათვის უარი უთხრა ამდენ პრინცესას, დამივიწყა მე გალელი მსახიობი ქალისთვის! არა, მე ვერ გადავიტან ამ სირცხვილს!

— ქალბატონო,—უთხრა მას ირლამ,—ასეთია ყველა ახალ-



გაზრდა კაცი, ყოველ ქვეყანაში. როგორც უნდა უყვარდეთ მათ სილამაზის ქალღმერთი, ისინი ლალატობენ მას ტრაქტირის მოსამსახურესთანაც კი.

— გათავდა,—სთქვა პრინცესამ,—მე მას აღარასოდეს არა ვნახავ ჩემს სიცოცხლეში. ეხლავე წავიდეთ... შეგებან მარტო-რქები!

ფენიქსი ემუდარებოდა დაცდას, ყოველ შემთხვევაში, სანამ ამაზანი გაიღვიძებდა და მასთან ლაპარაკს შესძლებდა.

— არ არის ის ამის ღირსი,—უპასუხა პრინცესამ.—ეს შე დიდ შეურაცხყოფას მომაყენებდა: ის იფიქრებს, რომ მე გთხოვეთ საყვედური უთხრათ მას, ან იქნებ იფიქროს შერიგება მინდა მასთან! თუ გიყვარვართ, ნუ დაუმატებთ ამ წყენას იმ შეურაცხყოფას, რომელიც მან მე მომაყენა.

ფენიქსმა, რომელიც ბაბილონის პრინცესის წყალობით ცოცხლობდა, ურჩობა ვერ გაბედა, და პრინცესა თავისი თანხლებლებით გაემგზავრა.

— საით მივდივართ, ქალბატონო?—იკითხა ირლამ.

— არ ვიცი,—უპასუხა პრინცესამ,—იმ გზას დავადგეთ, რომელიც შეგვხვდება, ოღონდ კი გაეშორდე ამაზანს სამუდამოდ, და ზეტს არაფერს ვითხოვ.

ფენიქსი უფრო გონებადამჯდარი იყო, ვიდრე ღორმოზანტა, რადგან გრძნობებით დაბრმავებული არ იყო, და ცდილობდა დაემშვიდებია ბაბილონელი პრინცესა. იგი აღერსიანად ეუბნებოდა, არ ღირს თავის თავის დასჯა სხვისი დანაშაულის გამო. ამაზანმა იმდენი ბრწყინვალე და მრავალრიცხოვანი დასაბუთება მოგცათ ერთგულებისა, რომ შეიძლებოდა. გეპატიებიათ მისთვის ეს წუთიერი ცდომილებაო. სინამდვილეში ამაზანი ალალმართალი კაცი იყო, რომელსაც ოროზმადმა შემთხვევით წყალობა დააკლო ერთი წუთით, ამიერიდან კი უფრო ერთგული და კეთილისმყოფელი გახდებაო. თავისი შეცდომის მონანიების სურვილი კიდევ უფრო მეტს გააკეთებინებს მას, და პრინცესა კიდევ უფრო ბედნიერი იქნებაო. ბევრმა სხვა პრინცესამ აპატია მსგავსი შეცდომა თავის სატოფოს და ამით არაფერი წაუგიაო.

ფენიქსს მაგალითები მოჰყავდა; მას ისეთი უნარი გააჩნდა

თხრობისა, რომ, როგორც იქნა, დაამშვიდა ფორმოზანტა. ქალი კიდევ ნანობდა აჩქარებას. ეხლა მას ეჩვენებოდა, რომ მარტორქები ძალიან გარბოდნენ. მაგრამ დაბრუნებას ვეღარ ბედავდა. მერყეობდა პატიების სურვილსა და გაბრაზების შორის, სიყვარულსა და სიამაყეს შორის, ამიტომ აღარ შეუჩერებია მარტორქები და თავისი მამის მისნის სიტყვების თანხმად განაგრძობდა მგზავრობას დედამიწის ზურგზე.

ამაზანმა გლვიძებისას გაიგო პრინცესისა და ფენიქსის ჩამოსვლა და უეცარი გამგზავრება. მას გადასცეს ფორმოზანტას სასოწარკვეთილების და რისხვის ანბავი. უთხრეს, რომ ქალმა დაიფიცა—არასოდეს არ ვნახავ მასო.

— მე ისლა დამრჩენია, დავეწიო მას და მის ფეხებთან მოვიკლა თავი,—სთქვა ამაზანმა.

მისმა მეგობრებმა ახალი ანბავის შეტყობისთანავე მოიბრინეს. ისინი უმტკიცებდნენ, რომ გაცილებით სჯობდა დარჩენილიყო მათთან; ვერაფერი შეედრებოდა იმ ტკბილ ცხოვრებას, რომელსაც ისინი ატარებდნენ ხელოვნების წიაღსა და უღარდელ, დახვეწილ სიამოვნებაში; ბევრი უცხოელი, თვით მეფეებიც კი ამ სიმშვიდესა და უსაქმურობის მომხიბვლელობას ამჯობინებდნენ თავიანთ სამშობლოსა და ტახტს; თანაც, მისი ეტლი ხომ გატეხილი იყო, და ერთი ხელოსანი მას ახალი მოდის ეტლს უყეთებდა; ქალაქის საუკეთესო მკერავემა მისთვის უკიფ გამოსკრა თორმეტიოდე ტანსაცმელი და ახალ მოდაზე უკერავედა; გონებამახვილმა და თავაზიანმა ქალებმა, რომელთა სახლებში საუკეთესო კომედიები იდგმებოდა, დანიშნეს თითო დღე, რათა მის პატივსაცემლად ზეიმები მოეწყოთ.

„საქმის“ ქალი კი ამ დროს ტანთ იცვამდა, შოკოლადს მიირთმევდა, იცინოდა და აბრაზებდა მშვენიერ ამაზანს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ ეს ქალი ბატზე უფრო სულელი იყო.

რადგანაც ახალგაზრდა კაცს გულწრფელობა, პირდაპირობა და კეთილშობილება ახასიათებდა, მან უამბო მეგობრებს თავისი უბედურების და მოგზაურობის მიზეზები. მათ გაიგეს იმ საბედისწერო კოცნის ამბავიც, ისიც, რომ იგი პრინცესას

ბიძაშვილი იყო. „არა უშავს,—სთქვეს მათ,—ნათესაებმა უნდა აპატიონ ერთმანეთს პატარა ცელქობანი, თორემ კაცმა მთელი სიციცხლე უსიამოვნებაში უნდა გაატაროს“. ვერაფერმა ვერ შეარყია მისი განზრახვა გამოსდგომოდა ფორმოზანტას. მაგრამ მისი ეტლი მზად არ იყო, და ის იძულებული გახდა სამი დღე კიდევ უსაქმურ ადამიანთა შორის ზეიმსა და მხიარულებაში გაეტარებია. ბოლოს გამოეთხოვა მათ, გადაეხვია ყველას და აჩუქა მათ თავისი ქვეყნის აღმასები. უსურვა დარჩენილიყვნენ ყოველთვის ასეთი უდარდელები და მხიარულები, რადგან მხოლოდ ეს ხდიდა მათ თავაზიანებად და ბედნიერებად.

— გერმანელები, — ამბობდა ამაზანი, — ევროპის ნობუცი თაობაა; ალბიონის მცხოვრებნი—მოწიფული ასაკის ხალხია, გალეთის მცხოვრებლები—ბავშვები არიან... მე მომწონს მათთან თამაში.

## XI

ამაზანის მეგზურებისათვის ძნელი არ იყო პრინციის კვალის მიგნება: ყველგან მასზე და ფენიქსზე ლაპარაკობდნენ. სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთ ვერ დაევიწყებიათ ის აღტაცება და გაკვირება, რომელიც მათი ნახვისას განიცადეს. უფრო გვიან დალმაციის და ანკონის მცხოვრებლებს ჰაერში მფრინავი სახლის ნახვა უკვე აღარ გაკვირებიათ. ლუარის, დორდონის და ჟირონდის ნაპირებზე ჯერ კიდევ განცვიფრების წამოძახილები ისმოდა.

პირინეის მთების ძირში ამაზანმა უკანასკნელად ნახა ცეკვები და სიმღერა, ამ მთების იქით კი აღარ შეხვედრია არც სიმხიარულე, არც გართობა. ხანდახან მის სმენამდე მოაღწევდა სიმღერის ხმა, მაგრამ ეს ჰანგი სევდიანი და მწუხარე იყო. მცხოვრებლები წელზე ხანჯლით და ხელში კრიალოსნით დინჯად მიაბიჯებდნენ. ყველას თალხი ტანსაცმელი ეცვა, თითქოს მგლოვიარედ არიანო. ამაზანის მსახურებს შვიციხევაზე მუნჯურად იძლეოდნენ პასუხს. სასტუმროს პატრონები მათ რამდენიმე სიტყვით უბნინდნენ, რომ სახლში არავითარი საქელი არ მოიპოვებოდა, და უმნიშვნელო რამისთვის რამდენიმე წილი უნდა გაეცოთ.

კითხვაზე, დაინახეს თუ არა მათ ბაბილონის მშენებელი პრინცესაო, ეს მღუმარე ხალხი ცოტათი უფრო გრძლად უპასუხებდა.

— ჩვენ ის დაინახეთ, მაგრამ ლამაზი არ არის. ლამაზები მხოლოდ შავგვრემანი ხალხია, მას კი ალემბასტრის კისერი აქვს, რაიცა სწორედ რომ საზიზღრობაა; ჩვენს ქვეყანაში უცნობია ეს სილამაზე.

ამაზანი ბეტისის ნაპირებზე მდებარე პროვინციას უახლოვდებოდა. თორმეტი ათას წელსაც არ გაუვლია იმის შემდეგ, რაც ეს ქვეყანა ტიროსის მცხოვრებლებმა აღმოაჩინეს, თითქმის იპავე დროს, როცა მათ მიერ აღმოჩენილ იქნა ატლანტიდის უზარმაზარი კუნძული, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ოკეანემ ჩანთქა.

ტიროსელებმა დაიწყეს ბეტისის<sup>48</sup> მიწის დამუშავება, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები მაწას დაუმუშავებელს ტოვებდნენ; ამბობდნენ, ჩვენი საქმე არ არის ამ საქმეში ჩარევა და ჩვენმა მეზობლებმა, გალებმა, უნდა დააჩუშაონ მიწებიო. ამავე ტიროსელებმა მოიყვანეს აქ პალესტინელები, რომლებიც იმ დღიდან ყველგან სახლდებიან, სადაც კი ფულის შოვნა შეიძლება. აქ მათ ფულის ორმოცდაათ პროცენტად გასესხებით უდიდესი სიმდიდრე მოაგროვეს. ამან აფიქრებია ბეტისის ხალხს, რომ პალესტინელები ჯადოქრები იყვნენ; იმას, ვინც შენიშნული იქნებოდა ჯადოქრობაში, დრუიდების საზოგადოება უწყალოდ სწევდა კოცონზე. ამ დრუიდებს „მძებნელებს“ ან „ანტროპოკაიებს“ ეძახდნენ.<sup>49</sup> ეს ქურუმები ახვევდნენ მათ რაღაც სამოსში, პირზე ნიღაბს აფარებდნენ, ართმეიდნენ სიმდიდრეს თავიანთ სასარგებლოდ და უკითხავდნენ პალესტინელების ლოცვებს, როდესაც ისინი ნელ ცეცხლზე იწვოდნენ Pur l'amor de Dios.<sup>50</sup>

ბაბილონის პრინცესა - გაჩერდა ქალაქში, რომელსაც შემდეგში სევილია დაარქვეს. იგი ფიქრობდა ბეტისის და ტიროსის გზით ბაბილონში დაბრუნებულყო, ენახა მამა და ეცადა დაევიწყებია თავისი მოღალატე საქმრო, თუ ამას შესძლებდა, ან გათხოვილიყო მასზე. პრინცესამ მოიხმო ორი პალესტინელი, რომლებიც სასახლის კარზე ყოველგვარ საქმეს აწუობდნენ.

პალესტინელებს სამი ხომალდი უნდა ეშოვნათ პრინცესა. სათვის. ფენიქსი აწარმოებდა მოლაპარაკებას და, ცოტახნის ვაქრობის შემდეგ, ფასზედაც მოურიგდა მათ.

სასტუმროს დიასახლისი ლეთისმოსავი ქალი იყო, მისი ქმარი, ასეთივე მორწმუნე, „შინაური კაცი“<sup>51</sup> იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დრუიდების ჯაშუში გახლდათ. მან საჩქაროდ შეატყობინა ქურუმებს, რომ მის სახლში ჯადოქარი ქალი იყო, და ორმა პალესტინელმა რაღაც მოლაპარაკება აწარმოვა ფრინველის სახით გამოცხადებულ ეშმაკთანო, როცა ქურუმებმა გაიგეს, მოგზაურს ბევრი აღმასი აქვსო, დაასკვნეს, რომ აუცილებლად ჯადოქარი იქნებოა. მაგრამ რადგანაც ყველა „მძებნელი“ მშიშარაა, მათ დაღამებას დაუტადეს და მაშინ ჩაჰკეტეს ორასი მხედარი და მარტორქები, რომლებიც უზარმაზარ საჯინიბოვში იყვნენ მოთავსებულნი. გაამაგრეს ყოველი გასასვლელი და დააპატიმრეს პრინცესა და ირლა, ხოლო ფენიქსის დავერა ვერ მოახერხეს, რადგან იგი სწრაფად გაფრინდა. იმედი ჰქონდა, გალეთიდან სევილიაში მიმავალ გზაზე ამაზანს მოსძებნიდა.

მართლაც, ბეტციის გზაზე შეხვდა ამაზანს და უამბო ის გასაქირი, რაც პრინცესას გადახდა. ამაზანმა ხმა ვერ ამოიღო, ისე იყო თავზარდაცემული და გაბრაზებული. მაშინვე ჩაიკვა ფოლადის აბჯარი, შეიარაღდა შუბით, სათხედით და მკრელი მახვილით, რომელსაც „ელვისებრს“ უწოდებდა: ერთი დარტყმით შეეძლო გაეჩეხა ხე, კლდე და დრუიდები. თავის ლამაზ თავზე დაიხურა ოქროს მუზარადი, რომელიც სირაქლემისა და ყანჩის ბუმბულით იყო მორთული. მაგოგის ეს ძველებური შეიარაღება მისმა დამ აღლევამ აჩუქა სკვითიაში ყოფნის დროს.

ამაზანს მარტორქებზე შემსხდარი მცირე ამაღა მიჰყვებოდა.

ამაზანი გადაეხვია ფენიქსს და ეს სევილიანი სიტყვები უთხრა:

— ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, თუ მე უსაქმურების ქალაქში „საქმის“ ქალთან არ დაქვოლილიყავი, პრინცესა ეხლა ამ მდგომარეობაში არ იქნებოდა. მაგრამ გავეშუროთ ანტროპოკაებისკენ.

მალე მათ მიაღწიეს სევილიას. ათასხუთასი ალგვაზილი დარაჯობდა შენობას, სადაც ორასი განგარიღელი და მარტორკები იყვნენ ჩამწყვდეულნი. ყველაფერი მზად იყო პრინცესის, ირლას და ორი მდიდარი პალესტინელის მსხვერპლად შესაწირად.

უხუცესი ანტროპოკაი, ორი უმცროსი ქურუმის თანხლებით, უკვე იჯდა წმინდა სანსჯაეროში. სევილიის მცხოვრებლები, ქამარზე კრიალოსანით, უსიტყვოდ იდგნენ, გულხელდაკრეფილნი. მოიყვანეს პრინცესა, ირლა და ორი პალესტინელი.

ამასობაში ფენიქსი პატარა ფანჯრიდან შეიპარა განგარიღელების საპყრობილ ში, მათ მაშინვე კარების მტვრევა დაიწყეს შიგნიდან. ამაზანმა გარედან შეაპტურია, და მარტორკაზე შემსხდარი შეიარაღებული პატიმრები ელვის სისწრაფით გამოცვიდნენ. ამაზანი სათავეში ჩაუდგა მათ. დრუიდების, ალგვაზილებისა და ჯაშუშების განადგურება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა: თითო მარტორკა თორმეტ ქურუმს ჰკლავდა ერთი შეტევით. ამაზანის ელვისებრივი მახვილი ორად აპობდა მტრებს. შავ მანტიებიანი, ქუქყიან საყელოებიანი ხალხი გაიფანტა, მაგრამ ხელიდან კი არ უშვებდა კრიალოსნებს. ამაზანმა ხელი ჩასკიდა უხუცეს „მძებნელს“ და ორმოც ნაბიჯზე გამზადებულ კოცონში ჩააგდო. მას მიაყოლა დანაოჩენებიც. როცა ამ საქმეს მორჩა, ფორმოზანტას ფერხთ ჩაუყარდა.

— რა კეთილი ხართ! — უთხრა ქალმა: — როგორ გავაღმერთებდით. თუ „საქმის“ ქალთან არ გოლატათ ჩემთვის. იმ დროს, როცა განგარიღელები კოცონში აგდებდნენ ანტროპოკაების გვამებს, და კოცონის ალი ღრუბლებს სწვდებოდა, ამაზანმა. რომელიც საქმეს არიგებდა პრინცესასთან, დანახა შორიდან მომავალი ჯარი.

რვა ჯორ შემულ ეტლში იჯდა მოხუცი მეფე გვირგვინით თავზე.<sup>52</sup> ასი სხვა ეტლი უკან მოსდევდა. გერდით შავ მანტიაგადაცმული, ნაოქიან საყელოებიანი, მშვენიერ ცხენებზე შემჯდარი მხედრები მოჰყვებოდნენ. ბოლოს ჩუმი, მაგრამ თმებგადაგლესილი ქვეითი ხალხის ბრბო მოდიოდა.

ამაზანმა შუბი დაიჭირა, განგარიღელების ლაშქარს

ჩაუდგა სათავეში და წინ გასწია. როგორც კი მეფემ ამაზანი შეამჩნია, ეტლიდან ჩამოვიდა, მოიხადა გვირგვინი და ამაზანის უზანგს ემთხვია.—თქვენ ღვთისგან ხართ მოვლენილი,—უთხრა მან,— თქვენ ადამიანთა მოდგმის შურის მაძიებელი. ჩვენი სამშობლოს მხსნელი და ჩემი მფარველი ხართ. ამ წმინდა ურჩხულებმა, რომელთაგან ჩვენი მიწა გასწმინდეთ, მე შვიდი გორაკის მოხუცის სახელით დამიმონეს. მე იძულებული ვიყავი ამეტანა მათი დანაშაულებრივი მბრძანებლობა. ჩემი ხალხი მე მიძატოვებდა, თუ მათი საშინელი სისასტიკის შერბილება გამებედა; ამიერიდან მე თავისუფლად ვსუნთქავ, ვმეფობ და ყველაფერი ეს თქვენი წყალობით მაქვს. მე მოვალე ვარ თქვენი.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მან პატივისცემით აკოცა ხელზე ფორმოზანტას და სთხოვა პატივი დაედო და ჩამჯდარიყო ონის ეტლში ამაზანთან, ფენიქსთან და ირლასთან ერთად. სასახლის ბანკირები, ორი პალესტინელი, რომლებიც აქამდე შიშითა და მადლიერების გრძობით მიწაზე იყვნენ განრთხმული, წამოდგნენ, და მარტორქების ჯოგი ბეტიკოს მეფეს გაჰყვა სასახლეში.

რადგანაც დინჯი ხალხის მეფის ღირსება მოითხოვდა ეტლის ნელა სვლას, ამაზანსა და ფორმოზანტას საშუალება მიეცათ მეფისათვის თავიანთი თავგადასავალი ეახანათ. მეფე ესაუბრა ფენიქსსაც, ალტაცებული დარჩა ფრინველით და ასჯერ მაინც აკოცა. მეფე მიხედა, რამდენად უხეში და უმეცარნი გახდნენ დასავლეთის ერები, რომელთაც დაივიწყეს ცხოველთა ენა და შექმა დაუწყეს მათ; მისთვის ნათელი იყო, რომ მხოლოდ განგარიდელებს შეენარჩუნებიათ პირველყოფილი ადამიანის ბუნება და ღირსება. მაგრამ განსაკუთრებით დარწმუნებული იმაში იყო, რომ ყველაზე უფრო დიდი ბარბაროსები მსოფლიოში მაინც ანტრაპოკაიები იყვნენ, რომლებიც ამაზანმა ეხლახან აღგოვა მიწიდან. მეფე წამდაუწუმ ლოცავდა და მადლობას უხდოდა ამაზანს. მშვენიერ ფორმოზანტას დაევიწყებია უკვე „საქმის“ ქალის ამბავი, და ეხლა მისი სული სავსე იყო იმ ალტაციებით, რომელიც მისი მხსნელი გმირის მიმართ ჰქონდა. ამაზანმა კოცნის ნამდვილი

მიზეზიც გაიგო, ფენიქსის მკვდრებით აღდგომის ამბავიც და ღრმა სახარულს და სიყვარულს განიცდიდა.

ისადილეს სასახლეში და ისადილეს ძალიან ცუდად. ბეტიკის მზარეულები ყველაზე ცუდი მზარეულები იყვნენ ევროპაში. ამაზანმა ურჩია მეფეს გალეთიდან მოეწვიათ ისინი. სამეფო ორკესტრმა შეასრულა შესანიშნავი მოტრეები, რომელმაც უფრო გვიან „ესპანური სიგიჟე“<sup>13</sup> მიიღო სახელად. ნასადილეს საქმიანი ლაპარაკი დაიწყეს. მეფემ ჰკითხა მშვენიერ ამაზანს, პრინცესას და ფენიქსს, რის გაკეთებას აპირებდნენ.

— თუ მე მკითხავთ, — წამოიწყა ამაზანმა, — გადაწყვეტილი მაქვს დავბრუნდე ბაბილონში, რომელიც მალე ჩემს მფლობელობაში გადმოვა, და მშვენიერი ფორმოზანტას შერთვის ნებართვა ვთხოვო მეფეს, თუ ჩემი ბიძაშვილი არ ისურვებს ჩემთან ერთად განგარიდში დასახლებას.

— მე კი გადავწყვიტე, — სთქვა ფორმოზანტამ, — არ დავშორდე ჩემს საყვარელ ბიძაშვილს; მაგრამ ვფიქრობ, ჯერ მაშას უნდა ვეახლო, მით უმეტეს, რომ მან მხოლოდ ბასორაში სალოცავად წასვლის ნება მომცა, მე კი მთელი ქვეყანა შემოვიარე.

— მე ყველგან გავყვები ამ ორ ნაზსა და დიდბუნებოვან შეყვარებულებს, — დაუმატა ფენიქსმა.

— თქვენ მართალი ხართ, — სთქვა მეფემ, — მაგრამ ბაბილონში დაბრუნება არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ფიქრობთ. ჩემი ტიროსული ხომალდებისა და ბანკირი — პალესტინელების წყალობით მე ყველაფერი ვიცი, რაც იმ ქვეყანაში ხდება. ეს პალესტინელები მსოფლიოს ყველა ხალხთან აწარმოებენ მიწერ-მოწერას. ევფრატისა და ნალოსის სანაპიროზე ყველა იარაღასხმულია. სკვითის მეფე სათავეში ჩასდგომია სამასი ათას მეომარს და თავისი მეუღლის მემკვიდრეობის დაბრუნებას მოითხოვს. ეგვიპტისა და ინდოეთის მეფეები ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებს იკლებენ. თითოეულს სამასი ათასი მებრძოლი ჰყავს და შურისძიება განუზრახავს იმ შეურაცხყოფისათვის, რაც მათ ბაბილონის კარზე მიუღიათ. ეგვიპტის მეფის იქ არყოფნით ეთიოპიის მეფეს



უსარგებლნია, და სამასი ათასი ჯარი ეგვიპტეს იკლებს. ბაბილონის შეფეს თავდაცვისათვის მხოლოდ ექვსასი ათასი მეომარი ჰყავს. გამოგიტყდებით, როცა აღმოსავლეთის ამ საშინელი ჯარების აღწერა და მათი საოცარი ბრწყინვალეების ამბავი მესმის, მე უნებურად ვადარებ ყველაფერ ამას ჩვენს უბადრუკ არმიას, რომელიც ოცი—ოცდაათი ათასი ჯარისკაცისგან თუ შედგება და რომლის გამოკვება და შევსოვაც კი სჭირს; და ვფიქრობ, რომ აღმოსავლეთი გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე დასავლეთი. ჩვენ სითქმის გუშინწინ გამოვედით ქაოსიდან და მხოლოდ გუშინ გამოვეთხოვეთ ბარბაროსობას.

— მეფეო, — სთქვა ამაზანმა, — ხანდახან უმცროსები პირველობენ მათზე, ვინც ფეხი უფრო ადრე შესდგა იმავე სარბიელზე. ჩემს სამშობლოში გამეფებულია აზრი, რომ კაცობრიობა თავის დასაბამს ინდოეთიდან იწყებს, მაგრამ მე ამაში დარწმუნებული არა ვარ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — ჰკითხა მეფემ ფენიქსს.

— მე ჯერ ახალგაზრდა ვარ იმისათვის, რომ ანტიურობაზე ვიმსჯელო, — უპასუხა ჩიტმა. მე მხოლოდ ოცი ათასი წლის ვარ. მაგრამ ხუთჯერ მეტად ხნიერი მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, თავისი პაპის გადმოცემით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები ყოველთვის უფრო მეტად მრავალრიცხოვანი და მდიდრები იყვნენ, ვიდრე სხვებიო. პაპას თავისი წინაპრებისაგან გაუგია, რომ ყოველი პირუტყვი თავის დასაბამს განგესის სანაპიროდან ლებულობს. მე აოც იმდენად პატივმოყვარე ვარ, რომ ეს აზრი დავიჩემო. ვერ ვიფიქრებ, რომ ალბიონის მელიები, ალპების ზაზუნები, გალერი მგლები ჩემი ქვეყნის წარმოშობისა იყვნენ. ასევე არ ვფიქრობ, რომ თქვენი მუხები და ნაძვები ინდოეთის პალმებიდან და ქოქოსიდან წარმოშობილიყვნენ.

— მაშ საიდან ვართ წარმოშობილნი? — იკითხა მეფემ.

— ამის შესახებ მე არაფერი ვიცი, — უპასუხა ფენიქსმა, — მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, საითკენ გაემგზავრებიან მშვენიერი პრინცესა და ჩემი ამაზანი!

ამის საპასუხოდ მეფემ ექვი გამოსთქვა, შესძლებდნენ თუ

არა ისინი ორასი მარტორქით გადაელახათ გზა, რომელზედაც სამას ათასიანი ჯარები იდგნენ.

— რატომაც არა?— შეესიტყვა ამაზანი. ბეტიკის მეფე მიხვდა ამ „რატომაც არა“-ს ღრმა მნიშვნელობას, მაგრამ გაითიქრა, რომ სამი არმიის საწინააღმდეგოდ სულის სიდიადე არ კმაროდა.

— გირჩევთ,— წამოიწყო მეფემ,— შეუერთდეთ ეთიოპიის მეფეს. პალესტინელების საშუალებით მე კავშირი მაქვს ამ შავ მეფესთან. იგი ეოპება ეგვიპტის მეფეს და გაუხარდება კიდეც თქვენი სახით მოკავშირეების მიღება. მე მასთან ბარათს გაგატანთ. ჩემი არმიიდან ორი ათას ფხიზელ და მამაც მებრძოლს მოგცემთ. თუ გსურთ, თქვენ შეგიძლიათ დაიქირაოთ ამდენივე ბასკი ანუ ვასკონი—პირენეის მთებზე მცხოვრები, ან უკეთ რომ ვთქვათ, მბტუნავე ხალხი; გააგზავნეთ მათთან ერთ-ერთი თქვენი თანმსლები და ცოტაოდენი აღმასები გაატანეთ. როგორი ვასკონიც უნდა იყოს, დასტოვებს მშობლიურ კერას და თქვენს სამსახურში წამოვა. ისინი დაუღლელნი, გაბედულნი და მზიარულნი არიან. თქვენ ძალიან კმაყოფილი დარჩებით მათი. სანამ ისინი შეგროვდებოდნენ, ჩვენ ვილხინოთ და ხომალდები მოვამზადოთ. რაც უნდა გავაკეთო თქვენთვის, სამაგიეროს მაინც ვერ გადაგიხდით იმ სამსახურისთვის, რაც თქვენ მე განიწიეთ.

• ამაზანი ტკბებოდა ფორმოზანტას შეხვედრით და აღდგენილი სიყვარულით, რომელიც ახლად დაბადებულ გრძნობას არ ჩამოუვარდებოდა.

მალე ამაყი და მზიარული ვასკონების ჯგუფი დაფდაფების დაკვრით მოვიდა. მეორე ჯგუფიც, ამაყი და პირქუში ბეტიკელებისგან შემდგარი, მზად იყო. მოხუცი მეფე ნაზად გადაეხვია ახალგაზრდა ბედნიერ წყვილს. მან ბრძანა დაეტვირთათ ხომალდები იარაღით, საწოლებით, კადრაკის ფიგურებით, შავი ტანსაცმელით, ესპანური საყულოებით, ხახვით. ცხვრებით, ქათმებით, ნივრის დიდი მარაგით და უსურვა მათ ბედნიერი მგზავრობა, მტკიცე სიყვარული და წარმატება საქმეში. ფლოტი მიადგა სანაპიროს, რომელზედაც რამდენიმე საუკუნის შემდეგ პიგმალეონის დამ და ვინმე სიხეს მეულ-

ლემ — დიდონამ, ქალაქ ტიროსის დატოვების შემდეგ, ხარის ტყავის თასმებად დაქრის შემწეობით შესანიშნავი ქალაქი — კართაგენი ააშენებინა.

ასე მოგვიტობობდნენ ძველი მწერლები, რომლებიც აროდეს ზღაპრებს არ იგონებდნენ, და ამას იმეორებდნენ პატარა ბიჭებისათვის მოთხრობების დამწერი პროფესორებიც. მაგრამ ტიროსში აროდეს არ არსებობდა არც პიგმალეონი, არც დიდონა, არც სიხე; ეს სახელები წმინდა ბერძნულია. იმ ხანებში ტიროსში მეფეებიც კი არ იყვნენ. ამაზანის დროს კართაგენი არ ყოფილა ნავსადგური; რამდენიმე ნუმიდიელს თუ ნახავდით, რომელნიც მზებზე თევზებს ამოობდნენ. ფლოტმა ჩაუარა ბიზანციისა და სირტის ნაყოფიერ სანაპიროებს, სადაც შექმდე კირინეა და დიდებული ხერსონესი აღიმართა.

მგზავრებმა წმინდა მდინარის ნილოსის პირველ შესართავს მიაღწიეს. ამ ნაყოფიერი მიწის ბოლოს კანოპის ნავსადგური უკვე მაშინაუ აძლევდა თავშესაფარს ყველა ხალხის საეჭირო ხომალდს, თუქცალა არავინ იცოდა კანოპმა დააარსა ეს ნავსადგური, თუ კანოპის მცხოვრებლებმა გამოიგონეს ეს ღმერთი; არც ის იცოდნენ, ქალაქმა ვარსკვლავიდან მიიღო ეს სახელი თუ, პირიქით, ვარსკვლავმა მიიღო მისგან. იცოდნენ მხოლოდ, რომ ქალაქი და ვარსკვლავი უძველესი წარმოშობისა იყო. აი სულ, რაც შეიძლება ვიცოდეთ საერთოდ საგნების წარმოშობის შესახებ, როგორი ბუნებასაც უნდა იყვნენ ისინი.

სწორედ ამ ადგილას შეხვდა ეთიოპიის მეფე უძლეველ ამაზანსა და მშვენიერ ფორმოზანტას. ეთიოპიის მეფეს მოესწრო უკვე ეგვიპტეს აკლება. მეფემ ამაზანი ომის ღმერთად მიიღო, ხოლო ფორმოზანტა — სილამაზის ქალღმერთად. ამაზანმა გადასცა მას ესპანეთის მეფის წერილი. გმირული დროის ჩვეულების მიხედვით ეთიოპიის მეფემ დიდი ზეიმი მოაწყო; შემდეგ ითათბირეს, როგორ გაეჩადგურებინათ ეგვიპტის მეფის სამასი ათასი ჯარისკაცი, ინდოეთის იმპერატორის სამასი ათასი ჯარისკაცი, სკითიის დიდი ყაენის სამასი ათასი ჯარისკაცი, რომელთაც ალყა შემოერთყათ უზარმაზარი ამაყი და გართობის მოყვარე ქალაქ ბაბილონისათვის.


ორი ათასი ესპანელი, რომელიც ამაზანს თან ახლდა, ირწმუნებოდა, რომ მათ ბაბილონის დასახსნელად არ სჭირდებოდათ ეთიოპელები, ისიც საკმარისი იყო, რომ მათ მეფემ უბრძანა აქ ქალაქის განთავისუფლება: ამ ბრძანების შესრულებას თვითონვე შესძლებდნენ. ვასკონებმა განაცხადეს, რომ არავინ სჭირდებოდათ, თვითონ გაანადგურებდნენ ეგვიპტელებს, ინდოელებს და სკვითებს. ესპანელებთან ერთად წავიდოდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი არიერგარდში გაჰყვებოდნენ მათ.

ორასი განგარიდელი დასცინოდა ესპანელებსაც და ვასკონებსაც. ისინი ამბობდნენ: საკმარისია ასი მარტორქა მთელი ქვეყნის მეფეების უკუსაგდებლადო. მშვენიერმა ფორმოზანტამ ჭკვიანური მოსაზრებებით და მომხიბლავი სიტყვებით დაამშვიდა ყველა. ამაზანმა შავ მონარქს წარუდგინა განგარიდელები, მარტორქები, ესპანელები, ვასკონები და მშვენიერი ფენიქსი. დაამთავრეს თუ არა მზადება, არმია დაიძრა მემფისის, ჰელიოპოლისის, არსინოეს, პეტრას, არტემატეს, სორას, აბამეს გზით და დაიწყო მარადსახსოვარი ომი სამი მეფის წინააღმდეგ; ამ ომთან შედარებით სხვა მომდევნო ომები მამლების ან მწყერების ძიძგილს ჰგავდა. ყველამ იცის, რომ ეთიოპიის მიფეს შეუყვარდა მშვენიერი ფორმოზანტა და მიუსწრო საწოლში იმ დროს, როცა ტკბილი ძილი მოგრძო წამწამებს უხუჭავდა ქალს. ისიც ცნობილია, რომ ამაზანმა მათ მიუსწრო და გაიფიქრა, დღესა და ღამეს ვხედავ, ერთად დაწოლილთო. ამ შეურაცხყოფით აღშფოთებულმა ამაზანმა იშიშვლა თავისი „ელვისებრივი“ მახვილი, მოჰკვეთა თავი თავხედ ზანგს და ეთიოპელები ეგვიპტიდან განდევნა. განა ეს სასწაულები ჩაწერილი არაა ეგვიპტის მატრიანეში?

ესპანელებთან, ვასკონებთან და მარტორქებთან ერთად ამაზანის სამ მეფეზე გამარჯვების დიდებული ამბავი მთელს მსოფლიოს მოედო.

ამაზანმა ფორმოზანტა მამას დაუბრუნა და მისი ამაღლი ეგვიპტის მეფის ტყვეობიდან გაათავისუფლა. სკვითიის დიდმა ყაენმა ბაბილონის ვასალად გამოაცხადა თავისი თავი, და აღდგასთან მისი ქორწინება კახონიერად იქნა აღიარებული.

უძლეველი და დიდსულოვანი ამაზანი ბაბილონის მეფის შემკვიდრედ აღიარეს და იგი ქალაქში ტრიუმფით შევიდა ფენიქსისა და ასი მოხარკე მეფის თანხლებით. მისი საქორწინო ზეიმის ბრწყინვალეობამ გადააჭარბა ყველა ზეიმს, რომელიც კი ბელუსს გაუმართავს ოდესმე. სადილად შემწვარი აპისის ხარი მოიტანეს, ეგვიპტისა და ინდოეთის მეფეები სუფრას ემსახურებოდნენ და ღვინოს უსხამდნენ ახალ დაქორწინებულთ; ბაბილონის ხუთასმა უდიდესმა პოეტმა ამ ქორწინების სადილებლად ლექსები შესთხზა.





3360336030





## ზ ა ლ ი ბ ი

1. შერაა—იგულისხმება საფრანგეთის მეფის ლუი XV სატრფო მარკიხა პომპადური, რომელიც ერთხანს ვოლტერს მფარველობდა.

2. შევალი—მაჰმადიანების თვე, რომლითაც გაზაფხული თავდება. ჰიჯრა—მაჰმადის ლტოლვა მექიდან მედინაში, რაიცა 622 წ. მოხდა. აქედან იწყება მაჰმადიანური წელთაღრიცხვა.

3. ისკანდერი—მაკედონიის მეფის ფილიპეს ვაჟი ალექსანდრე მაკედონელი; თალესტრისი—ლეგენდარული ამორძალების დედოფალი, რომელიც გადმოცემის მიხედვით ალექსანდრე მაკედონელს ეწვია აზიაში ლაშქრობის დროს.

4. სულეიმანი—ებრაელების მეფე სოლომონ ბრძენი, რომელსაც ბიბლიური მოთხრობის თანახმად საბეეს დედოფალი ეწვია.

5. ხოროასტრი—მაზდეანური რელიგიის დამაარსებელი ძველს სპარსეთში.

6. იმაუსი—ჰიმალაის მთები.

7. ჰერმესი—ლეგენდარული ეგვიპტელი ბრძენი და მკურნალი, ავტორი რამდენიმე თეოსოფიური თხზულებისა.

8. ზენდის წიგნი ანუ ზენდავესტა — ძველი სპარსელების სამღთო წიგნი.

9. ფასკუნი ანუ გრიფონი — ზღაპრული ცხოველი, ლომის ტანით და ფრინველის თავით აღჭურვილი.

10. იებორი—იგულისხმება თეატინელი ბერი ბუაიე, საფრანგეთის მეფისწულის აღმზრდელი, შემდეგ ეპისკოპოსი. ბუაიე ვოლტერის შეურიგებელი მტერი იყო.

11. სუბსტანცია—არსება; აქციდენცია — შემთხვევითი ნიშანი; ამორი ცნების დაპირისპირება დამახასიათებელია სკოლასტიკური ფილოსოფიისათვის.

12. მოძღვრება მონადებსა და წინასწარდადგენილ ჰარმონიაზე გერმანელი ფილოსოფოსის ლეიბნიცის (1646—1716) ფილოსოფიის დედაარსს წარმოადგენს.

13. სადღერო—ე. წ. მცირე ავესტა, დიდი ხენდავესტის შემოკლებული გადმოცემა.

14. კამბალუ—იგულისხმება ჰეკინი ანუ ბეიპინი.

15. ლიჩინური სიტყვაა და ნიშნავს ბუნებრივ სინათლეს, გონებას, ხოლო ტიენ—ხეცას და აგრეთვე ღმერთს.

16. ტეიტატ—ძველი კელტების ომის ღმერთი, რომელიც მათ მუხის და ხელშეშების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი.

17. კელტების წარმოდგენით ფითრი ღვთაებრივ ძალას წარმოდგენდა და ყოველგვარ ავადმყოფობას ჰკურნავდა.

18. აქ ნაწიშნებია სოლომონ მეფის „ქებათა ქების“ ის ადგილი, სადაც სულამითის ცხვირი შედარებულია ლიბანის კოშკს, დამასკოსკენ მიმართულს.

19. ბონზი—ბუდისტების მღვდელი.

## კ ა ნ ღ ი ლ ი

1. კანდიდი ფრანგულად ალაღმართალს ნიშნავს.

2. მონსენიორი—ტიტული, რომლითაც პრინცებს, ეპისკოპოსებს და სხვა უმაღლესი მდგომარეობის პირთ მიმართავდნენ ხოლმე.

3. პანგლოსი—ბერძნულად ყოვლისმცოდნეს ნიშნავს. პანგლოსის სახით ვოლტერმა ლეიბნიცის და ვოლფის ფილოსოფიის მიმდევრები გამოიყვანა.

4. ბულგარელების სახელწოდების ქვეშ ვოლტერი პრუსიელებს გულისხმობს, ხოლო ბულგარელების მეფედ მას პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ჰყავს გამოყვანილი.

5. დიოსკორიდი—ძველი დროის ბერძენი მედიკოსი (ცხოვრობდა I ს. ქ. შ.)

6. ავარიელები და ავარიელთა ხელმწიფე ფრანგები და მეფე ლუი XV არიან.

7. იგულისხმება ე. წ. შვიდი წლის ომი (1756—1763 წ.), რომლის დროს პრუსია და ინგლისი ებრძოდნენ საფრანგეთს, რუსეთს და ავსტრიას.

8. ანაბატისტი ანუ გარდამნათვლელები — პროტესტანტიული სექტა, რომელიც განსაკუთრებით გერმანიასა და ნიდერლანდიაში გავრცელდა XVI საუკუნეში. უარყოფდნენ საეკლესიო წესებს და ქონების გაერთიანებას მოითხოვდნენ; ერთს მათს მთავარ მცნებას ფართო ქველმოქმედება წარმოადგენდა.

9. საშინელი მიწისძვრა, რომელმაც თითქმის მთლიანად დაანგრა პორტუგალიის აყვავებული სატახტო ქალაქი ლისაბონი, 1755 წლის 1 ნოემბერს მოხდა. ვოლტერმა ეს სტიქიური უბედურება კოსმური ბორბლების გამოხატულებად მიიღო, შეუთავსებლად შემოქმედის ქრისტიანულ კონცეფციასთან, და ის ლეიბნიცის რატონისტური ფილოსოფიის გასაბათილებლად და სასაცილოდ ასაგდებლად გამოიყენა.

10. მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ევროპელ ვაჭრებსა და მოგზაურებს აკრძალული ჰქონდათ იაპონიის იმპერიაში შესვლა. გამონაკლისს მხოლოდ ჰოლანდიელები წარმოადგენდნენ, რომელნიც ვაჭრობის და მოგების გულისთვის ხშირად სხვადასხვა მკრეხელობას ჩადიოდნენ, რათა იაპონელები დაერწმუნებინათ—ქრისტიანები არ ვართო.

11. აუტო-და-ფე პორტუგალიაში მართლაც მოწყობილ იქნა 1756 წლის 20 ივნისს.

12. ს ა ნ - ბ ე ნ ი ტ ო — ყვითელი ტილოს პერანგი, რომელზედაც ცეცხლიანი ეშმაკები იყო დახატული; აცმეგდნენ ინკვიზიციის მიერ მსჯავრდებულთ; მათვე ახურავდნენ ქალაქის მიტრებს.

13. წ მ ი ნ დ ა ჰ ე რ მ ა ნ დ ი დ ი — პოლიციის განსაკუთრებული რაზმი, რომელიც ავახაყებს ებრძოდა და გზებს იცავდა ესპანეთში.

14. პ ი ს ტ ო ლ ი — ძველი ოქროს ფული, რომლის ღირებულება სხვადასხვა იყო სხვადასხვა ეპოქაში.

15. კ ო რ დ ე ლ ი ე რ ე ბ ი (იგივე ფრანცისკელები) — ე. წ. ლატაკური ორდენის ბერები, რომელნიც წელზე თოკს ირტყამდნენ. ორდენი დაარსებული იქნა წმ. ფრანცისკ ასიხელის მიერ XIII საუკუნეში. ლატაკურად ცხოვრება ამ ორდენს ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანულ სათნოებად მიაჩნდა.

16. მ ა რ ა ვ ე დ ი ს ი — წვრილი ესპანური ფული.

17. ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე ლ ე ბ ი — სამონასტრო ორდენი, დაარსებული VI საუკუნეში იტალიელი ბერის წმ. ბენედიქტეს მიერ. ამ ორდენის წევრები განირჩეოდნენ სწავლა-განათლების სიყვარულით. პრიორი — მონასტრის წინამძღვენი.

18. ი ე ზ უ ი ტ ე ბ ი — მებრძოლი ბერების ორდენი, დაარსებული ესპანეთში XVI საუკუნეში ერეტიკოსების წინააღმდეგ საბრძოლველად იგნაციო ლოიოლას მიერ. გარდა სამი სამონასტრო ალტკმისა (ე. ი. სილარობისა, თავდაბლობისა და უბიწოებისა) სდებდნენ პაპის მორჩილების ალტკმას, იცავდნენ მკაცრ იერარქიას, რომელსაც სათავეში გენერალი ედგა, ვრცელდნენ ოჯახის, საერო საზოგადოების და სახელმწიფოს საქმეებში და დროგამოშვებით გაუღენას ახდენდნენ პოლიტიკაზე; მათი მორალი ყოველგვარ სიმდაბლეს ამართლებდა, თუ მათი მთავარი მიზანი, ე. ი. კათოლიციზმის და პაპის ხელისუფლების განმტკიცების საქმე მიღწეულ იქნებოდა. საფრანგეთში იეზუიტებს ებრძოდნენ პარლამენტი, პარიზის უნივერსიტეტი და იანსენისტები. აზისდამიუხედავად მათ ძლიერი გაუღენა მოიპოვეს ლუი XIV მეფობის მეორე ნახევარში. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იეზუიტთა ორდენი, უმთავრესად გამანათლებელი ფილოსოფიის წყალობით, აკრძალულ იქნა პორტუგალიასა და საფრანგეთში. შემდეგ პაპმა კლიმენტი IV ორდენი დახურა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, რესტავრაციის ეპოქაში იეზუიტთა ორდენი ხელახლა აღდგენილ იქნა. საფრანგეთიდან იეზუიტები საბოლოოდ 1901 წ. გააძევეს.

სამხრეთ ამერიკაში — პარაგვაიში იეზუიტებმა დააარსეს ახალშენი, სადაც სრულიად დაიმონეს ადგილობრივი ინდიელები და მიწის საერთო

საკუთრება შემოიღეს. ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ესპანელებმა და პორტუგალიელებმა მოსპეს იესუიტების სახელმწიფო და პარაგვაი გაიყვეს.

19. პაკი ურბან X ნაწილიად არასოდეს არ არსებულა, მაგრამ ზოგიერთ სხვა პაპს ჰყავდა „უკანონო“ შვილი.

20. O, cho sciagura d'essere senza o...! რა სამწუხაროა, რომ საკურისი ვარ!

21. დეი-ოლქის ანუ გუბერნიის უფროსი წანანდელ ალჟირში.

22. ენგიჩარები ანუ იანიჩარები—თურქი ქვეითი ჯარისკაცების რახმები, გამაჰმადიანებული ტყვე ქრისტიანი ქაბუკებისაგან შემდგარი, ცნობილი სიმამაცით და ფანატიზმით.

23. იმამი—მაჰმადიანი უპაღლესი სასულიერო პირი, რომელიც ხანდახან საერთო ხელისუფლებითაც იყო აღკურვილი.

24. რობეკი—გერმანელი მეცნიერი, რომელიც თვითმკვლელობის იდეას იცავდა; წყალში თავი დაიხრჩო 1739 წ.

25. ალყადი და ალგვახილები—სასამართლოს გამომძიებელნი და პოლიციის მოხელეები ესპანეთში.

26. ლოსკადრები—„მამები“, ამ შემთხვევაში იესუიტები.

27. ესპონტონი—პატარა შუბი, უფროსი ოფიცერის წოდების მაჩვენებელი.

28. პროვინციალი—სასულიერო ორდენის მთავარი გამგე ამა თუ იმ პროვინციაში.

29. ელდორადო—ოქროს ქვეყანა. ლეგენდა ოქროს ქვეყნის არსებობის შესახებ უძველესი ხანიდან მომდინარეობს, ის განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ამერიკის აღმოსავლეთის შემდეგ, როდესაც ესპანელმა დამპყრობლებმა მექსიკასა და პერუში მართლაც დიდძალი ოქრო იპოვნეს. ელდორადოში მიმავალი გზების ძებნამ მრავალი გეოგრაფიული აღმოჩენა გამოიწვია.

30. დიდი მოგოლი—იგულისხმება იმპერატორი მაჰმადიანურ სახელმწიფოში, ჩრდილოეთ ინდოეთში, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში დაარსდა; მისი სატახტო ქალაქი დელი ცნობილი იყო ზღაპრული სიმდიდრით; სპარსეთის შაჰმა ნადირმა დელი 1738 წ. აიღო და გაძარცვა. ნადირის ლაშქარში მონაწილეობას ღებულობდა ერეკლე II, მაშინ ახალგაზრდა უფლისწული.

31. ინკაელები ანუ ინკები—სამხრეთ ამერიკელთა ტომი, რომელიც სათავეში უდგა უზარმაზარ და მდიდარ პერუს იმპერიას; ინკების იმპერია ესპანელებმა დაიპყრეს პიზაროს პეთაურობით 1533 წელს.

32. კავალერი ვალტერი რალეი (1552—1618)—ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი, რომელმაც დააარსა ვირჯინია, პირველი ინგლისური კოლონია ჩრდილო ამერიკაში.

33. ქვემოთ, ელდორადოელი მოხუცის პირით, ვოლტერი ანვითარებს თავის შეხედულებებს ბუნებრივ რელიგიაზე, რომელიც მხოლოდ გონების

და გრძობის შთაგონებაზეა დამყარებული და არა ღვთაებრივ გამოცხადებაზე.

34. ვანდერ დენდურის სახელით ვოლტერმა გამოიყვანა ჰოლანდიელი წიგნის გამომცემელი და ვაჰარი ვან დიურენი, რომელსაც ის აბრალებდა, გამჭურდაო.

35. სოცინიელი — პროტესტანტული სექტა, იტალიელი თეოლოგის სოცინის მიმდევრები; უარყოფდნენ საეკლესიო საიდუმლოებათ და ქრისტეს ღვთაებრივ წარმოშობას.

36. მანიქეველები — რელიგიური სექტა, რომელიც სპარსეთში წარმოიშვა III საუკუნეში და ძლიერი გავლენა მოახდინა ქრისტიანობაზე. მანიქეველები ამტკიცებდნენ, რომ სამყაროს ორი თანაბარი ძალის პრინციპი უდევს საფუძვლად, სინათლის მეუფე — კეთილი ღმერთი და სიბნელის მეუფე — ბოროტი სული. მანიქეველური დუალიზმის ზეგავლენით წარმოიშვა მრავალი ქრისტიანული ლეგენდა ღმერთის და ეშმაკის შეჯიბრზე.

37. კონფუსიონელები — იანსენისტი ფანატიკოსები, რომელთა რელიგიური ექვალტაცია კრუნჩხვას (კონფუსიება) იწვევდა.

38. ვენეციელი ნობელები — ვენეციის არისტოკრატია, რომელნიც მთელ პოლიტიკურ ხელისუფლებას ფლობდნენ ვენეციის რესპუბლიკაში.

39. დიდი წიგნი — იგულისხმება ბიბლია.

40. აქ ვოლტერი გულისხმობს თავის საკუთარ პიესას „მაჰმადს“, რომლის მოქმედება არაბეთში ხდება.

41. მოძღვრება თანდაყოლილ იდეებზე. რომელნიც თითქო დამოუკიდებელი არიან გამოცდილებიდან, დეკარტის ფილოსოფიის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარჰადგენდა. ინგლისელი ფილოსოფოსი ლოკი, ემპირიზმის თვალსაზრისით, ეწინააღმდეგებოდა ამ მოძღვრებას: შემეცნების ერთადერთ წყაროდ ის გამოცდილებას სთვლიდა. ვოლტერი, როგორც ლოკის მიმდევარი, ემხრობოდა მის შეხედულებას თანდაყოლილ იდეებზე.

42. ქალბატონი მონიმას სახელით ნაგულისხმევი სახელგანთქპული მსახიობი ქალი ადრიენა ლეკუერერი, რომლის ქრისტიანული წესით დასაფლავება აკრძალა პარიზის სამღვდელთაბაძ.

43. ფრერონი (1718—1776) — ფრანგი კრიტიკოსი და ჟურნალისტი; ენციკლოპედისტების და ვოლტერის მოწინააღმდეგე. ვოლტერი მას ხშირად სასაცილოდ იგდებდა თავის ნაწერებში.

44. კლერონი — გამოჩენილი მსახიობი ქალი, რომელიც საუცხოოდ ასრულებდა როლებს ვოლტერის პიესებში.

45. გაბრიელ გოშა — უნიკო მწერალი, რომელიც ენციკლოპედისტებს ებრძოდა ქრისტიანული რელიგიის პოზიციებიდან.

46. იანსენისტები (ჰოლანდიელი იუსკოპოსის იანსენიუსის მიმდევრები) და მოლინისტები (ესპანელი იეზუიტის მოლინოსის მიმდევრები) საფრანგეთში XV II და XVIII საუკუნეში ერთმანეთს ებრძოდნენ ნების-

19. ვოლტერი.

ყოფის თავისუფლების და ლეთაებრივი მადლის საკითხის გაგებაში. მოლი-  
ნისტები პაპის შეუზღუდველი ხელისუფლების დამცველები იყვნენ, ხოლო  
იანსენისტები უფრო ახლო იდგნენ პროტესტანტებთან და საფრანგეთის  
ეროვნული ეკლესიის თავისუფლებას იცავდნენ. 1713 წელს იანსენიზმი, რო-  
გორც ერთიკილი მოძღვრება, შერისხულ იქნა პაპის საგანგებო ბულით.

47. 1797 წელს რობერტ ფრანსუა დამიენმა, რომელიც არტუას (ლათი-  
ურად ალ რეზახისი) პროვინციიდან წარჩოსდგებოდა, პატარა ჯიბის და-  
ნით გაეაწრა მფეე ლუი XV. თუმცა, როგორც გამოირკვა, დამიენი სულით  
აუღმყოფი იყო, ის მაინც საშიხლად აწამეს და სიკვდილით დასაჯეს.  
ამას მოჰყვა ჩრავალი პირის დაპატიმრება. ამის გამო ვოლტერი იგონებს  
ორ თავდასხმას საფრანგეთის მეფე ჰანრი მეოთხეზე, ერთს 1594 წ. მომ-  
ხდარს, რომელიც უშედეგოდ დასრულდა, ხოლო მეორეს 1610 წ. მომხ-  
დარს, რომელმაც ჰანრი IV იმსხვერპლა. ყველა ამ თავდასხმას ვოლტერი  
რელიგიური ფანატიზმით გამოყვეჩებული ადამიანების აქტებად სთვლის.

48. აქ იგულისხმება ინგლისელი ადმირალი ბინგი, რომელიც კუნძულ  
მინორკას მახლობლად ფრანგმა ადმირალმა ლა-გალისონიერმა დაამარცხა  
1756 წ. ბინგს ინგლისის საზოგადოებამ უსამართლოდ ლალატი დასწამა  
და ის დახვრტილ იქნა სამხედრო გემზე.

49. თ ე ა ტ ი ნ ე ლ ე ბ ი — ლატაკური სასულიერო ორდენი, დაარსებული  
XVI საუკუნეში. ქრისტიანობის საქადაგებლად შორეულ ქვეყნებში მიდი-  
ოდნენ, სხვათა ზორის, საქართველოშიც დააარსეს მისია.

50. პოკოკურანტე იტალიურად უზრუნველ ადამიანს ნიშნავს.

51. დომინიკელთა ორდენის ბერებს, რომელნიც განსაკუთრებით გულ-  
მოდგინედ სდევნიდნენ ერეტიკოსებს, საფრანგეთში აგრეთვე იაკობინელებს  
უწოდებდნენ, ვინაიდან პარიზში მათ წმ. იაკობის მონასტერი ეკუთვნოდათ  
სენტ-ონორეს ქუჩაზე. საფრანგეთის რევოლუციის დროს ამ მონასტერს  
დაეპატრონენ უკიდურესი რევოლუციონერები და იქ კლუბი გამართეს;  
აქედან წარმოსდგა მემარცხენე ფრანგი რევოლუციონერების სახელწო-  
დება—იაკობინელები.

52. აჰმედ III სახელწოდებით ვოლტერი არ გულისხმობს გარკვეულ  
ისტორიულ პიროვნებას, მაგრამ აქ აღი. გიური ბედი რამდენიმე მფლო-  
ბელს განუცდია თურქეთში და სხვა მაჰმადიანურ სახელმწიფოებში.

53. იგულისხმება რუსეთის უფლისწული ივან ანტონოვიჩი, რომელიც  
ჯერ კიდევ ბავუვი იყო, როდესაც 1740 წელს ტახტზე დასვეს, მაგრამ  
ჩქარა გადააყენეს და შლისელბურგის ციხეში ჩასვეს, სადაც ის მოკლულ  
იქნა 1762 წ.

54. იგულისხმება სტუარტთა დინასტიის წარმომადგენელი კარლ მღუ-  
არდი, ინგლისის ტახტის მადიებელი.

55. იგულისხმება პოლონეთის მეფე ავგუსტ II, რომელიც თავისი სამე-  
ფოდან გაძეებულ იქა 1756 წელს.

56. იგულისხმება სტანისლავ ლეშჩინსკი, რომელიც ორჯერ იქნა არ-  
ჩეული პოლონეთის მეფედ, პირველად ხუთი წელი იმეფა (1704—1709 წ.),

ხოლო მეორედ ერთი (1733 წ.) და, რუსეთის და ავსტრიის წინააღმდეგობის გამო, იძულებული გახდა საბოლოოდ უარი ეთქვა პოლონეთის ტახტზე. დასახლდა საფრანგეთში. თავისი ქალი მარია ლუი XV მიათხოვა და სამფლობელოდ ლოტარინგიის საჰერცოგო მიიღო. ვოლტერი მისი ხშირი სტუმარი იყო.

57. გერმანელი ავანტიურისტი ბარონ ტეოდორ ფონ ნეიჰოფი 1736 წელს მეფედ აირჩიეს კორსიკელებმა, რომელთაც აჯანყება მოაწყვეს გენუელების წინააღმდეგ, მაგრამ ტახტზე ვერ განმტკიცდა და ინგლისში გადასახლდა.

58. იგულისხმება ფრანცისკ II, ტრანსილვანიის მფლობელთა დინასტიის რაგოცების წარმომადგენელი, რომელიც მეთაურობდა ჰუნგრელთა აჯანყებას ავსტრიის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და ოსმალეთში დასახლდა.

59. მამა გენერალი—იგულისხმება მეთაური იეზუიტების ორდენისა, რომელიც სამხედრო ორგანიზაციის პრინციპზე იყო აგებული.

60. იჩოლლანი—სულთანის პაეი.

61. გოტფრიდ—ვილჰელმ ლეიბნიცი (1646—1716)—სახელგანთავსებული გერმანელი ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი მეცნიერი, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის აღმომჩენი, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი. მისი შეხედულებით სამყაროს საფუძველს მარტივი და განუყოფელი არსებანი, მონადები წარმოადგენენ; მონადებს არ ძალუძთ ერთმანეთზე გაუღენა იქონიონ, ვინაიდან ისინი მოკლებული არიან სარკმელებს, საიდანაც შეიძლება რაიმე შიგ შევიდეს ან იქიდან რაიმე გამოვიდეს. მაგრამ პირველადმა მონადამ—ღმერთმა მათ შორის წინასწარ დაადგინა ჰარმონია, რის გამოც სხეულსა და სულს შორის ისეთივე თანხმობა არსებობს, როგორც დახელოვნებული ოსტატის მიერ გაკეთებულ საათებს შორის, რომელნიც ურთიერთი გავლენის გარეშე, ერთსა და იმავე დროს აჩვენებენ. ვოლტერმა „კანდიდი“ სასაცილოდ აიგდო ლეიბნიცის ოპტიმიზმი, გამოთქმული ამ უკანასკნელის სიტყვებში: „ყოველივე საუკეთესოდ მიმდინარეობს ამ საუკეთესო სამყაროში ყველა შესაძლებელ სამყაროთა შორის“.

62. Ut operatur eum—რათა ის დაამუშავოს.

## ბაბილონის პრინცესა

1. ფარასანგი—სპარსული სახომი მანძილისა, დაახლოებით 4 კილომეტრი.

2. სემირამიდა—ბაბილონის ლეგენდური დედოფალი, რომელსაც ხალხური გადმოცემანი მრავალ მნიშვნელოვან ძეგლს აწერენ წინა აზიაში.

3. ნემბროდი—ბაბილონის მითიური დამაარსებელი, მოხსენებული აგრეთვე ბიბლიაში, სახელგანთქმული მემორი და მონადირე.

4. აპისი და იხიდა ძველი ეგვიპტური ღმერთები, პირველი მამრობითი, ხოლო მეორე მდედრობითი სქესისა. აპისი ხარის სახით იყო წარმოდგენილი.—სისტრი—მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც ლითონის ვიწრო ფირფიტისა და ზედ მიმაგრებული ლითონისვე ჯოხებისგან შედგებოდა.

5. ჰერმესი—იხ. ზადიგის მე-7 შენიშვნა.

6. ქსაკა—იაპონელების მიერ შეცვლილი სახელი ბუდისტური რელიგიის დამაარსებელის საკია მუნისა.—ვეიდამი ანუ ვედები—ძველი ინდოელების საღმრთო წერილი, რომელიც სასულიერო ჰიმნების და საღვდელმსახურა წესების კრებულს წარმოადგენს.

7. ადონისი—მითიური ლამაზი ვაჟი, აფროდიტეს სატრფო.

8. დიქტამი—სამკურნალო მცენარე.

9. იუნონა—ძველი რომის ღმერთქალი, იუპიტერის მეუღლე, რომელსაც ხშირად ფარშავანგებ შებმულ ეტლში მჯდომარეს სახავდნენ.

10. ორომაზდი ანუ ორმუზდი (ქართულად არმაზი)—სინათლის და სიკეთის ღვთაება ძველ სპარსეთში.

11. ლოკმანი—ძველი არაბი მწერალი, ფართოდ გავრცელებული არაქების კრებულის ავტორი.

12. ლამსაკში იყო სიყვარულის ღმერთის პრიაპის ტაძარი, სადაც კულტის შესრულების დროს ვნებიანი წესები სრულდებოდა.

13. ფენიქსი—არაბული ზღაპრების ლეგენდური ფრინველი, რომელიც მუდამ ხელახლა ცოცხლდებოდა ცეცხლში დაწვის შემდეგ.

14. კამბულა—თათრული სახელწოდება პეკინისა ანუ ახლანდელი ბეიპინისა.

15. უცხოელი ბონები რაზმი—იგულისხმება ევროპელი იეზუიტები.

16. სკვითია—ამ შემთხვევაში იგულისხმება ციმბირი.

17. კიმერიელებს—ავტორი რუსებს უწოდებს.

18. იგულისხმება ეკატერინე II.

19. ეს სიტყვები ამოღებულია წერილიდან, რომელიც ეკატერინე მეორემ ვოლტერს გაუგზავნა (1767 წლის 29 მაისს).

20. იგულისხმება ივან ივანიჩ შუვალოვი—იმპერატრიცა ელიზავეტა პეტროვნას ფავორიტი, მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი; შუვალოვმა ვოლტერს მასალები მიაწოდა, როცა ის პეტრე დიდის ისტორიას სწერდა.

21. იგულისხმება პეტრე I.

22. იგულისხმება ეკატერინე II ჩარევა პოლონეთის შინაურ საქმეებში იმ საბაბით, რომ იქ მართლმადიდებელნი და პროტესტანტები (ე. წ. დისიდენტები) უფლებრივად გათანასწორებული ყოფილიყვნენ კათოლიკებთან; ამ ჩარევას მოჰყვა პოლონეთის გაყოფა რუსეთსა, ავსტრიასა და პრუსიას შორის.



23. იგულისხმება შვეციის მემკვიდრე პრინცი, შემდეგ მეფე გუსტავ III, რომელმაც ტახტზე ასვლის შემდეგ (1771 წ.) რამდენიმე პროგრესული ხასიათის ღონისძიება განახორციელა.

24. იგულისხმება ქრისტიან VIII, რომელიც 1767 წ. დანიის ტახტზე დაჯდა.

25. ს ა რ მ ა ტ ე ბ ი ს ქ ე ე ყ ა ნ ა—პოლონეთი; ფილოსოფოსი ტახტზე—სტანისლავ პონიატოვსკი (1832—1898), პოლონეთის უკანასკნელი მეფე, რომლის დროს პოლონეთმა დამოუკიდებლობა დაჰკარგა.

26. ცოცხლად საპყრობილეში დამარხვა, ე. ი. ბერად ან მონაზვნად აღკვეთა.

27. ბ ა ტ ა ვ ი ე ლ ე ბ ი—ჰოლანდიელები.

28. მ ა რ კ - მ ი შ ე ლ რ ე ი —ჰოლანდიელი გამომცემელი, რომელიც, სხვათა შორის, ვოლტერის ნაწერებსაც აქვეყნებდა.

29. ა ე ზ ო ნ ი ე ლ ე ბ ი დ ა გ ე ლ შ ე ბ ი—იტალიელები და ფრანგები.

30. დასახლებული სამი რომანი იმ დროს დიდად პოპულარული იყო; სამივე აღსავსეა თამაში ეროტიკული სცენებით.

31. პ ი თ ა გ ო რ ი—გამოჩენილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი (VI ს. ქრ. წ.); პორფირი—ბერძენი ფილოსოფოსი ნეოპლატონიკოსი (232—305), იამბლიხი—მისი მოწაფე. ორივენი ებრძოდნენ ქრისტიანობას.

32. ვ ი ტ ე ნ ა გ ე მ ო ტ ა ნ უ უ ფ რ ო ს წ ო რ ა დ ვ ი ტ ე ნ ე - გ ე მ ე ტ ნიშნავს „ბრძენთა კრებულს“; ეს სახელი ეწოდება ძველი დროის ანგლო-საქსონელების გვართა უხუცესების საბჭოს, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი ინგლისის პარლამენტის წინამორბედად სთვლის.

33. სატურნის ძველი ქვეყანა—კლასიკური ეპოქის რომი.

34. ინგლისის მეფემ იოანე უმეცურესმა (1199—1216) თავისი სახელმწიფო რომის პაპის ხელდებულად გამოაცხადა, ე. ი. მისი უზენაესი საერო ხელისუფლება სცნო.

35. შვიდი გორაკის მოხუცი—რომის პაპი.

36. იგულისხმებიან პურიტანელები, რომელნიც შავ წამოსასხამს ატარებდნენ, და ანგლიკანელი მღვდლები, რომელთაც თეთრი სამოსელი ეცვათ; პურიტანელების ბრძოლას ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ბრიტანეთის ისტორიაში და მან ორი რევოლუცია გამოიწვია (1648 წ. და 1688 წ.).

37. იგულისხმება მიწათმფლობელობის პარტია—ტორიები და სავაქრო და სამრეწველო კაპიტალის პარტია—ვიგები.

38. მეთვრამეტე საუკუნეში ვენეციაში წესად იყო შემოღებული, რომ ქუჩებში ნიღაბ აფარებული დადიოდნენ.

39. იგულისხმება წმ. პეტრეს ტაძარი რომში.

40. რომელიც კარდინალები მეწამული ფერის მანტიას ატარებენ, ხოლო ეპისკოპოსები—იისფერს.

41. წმ. მარტინ, რა ლამაზი ბიჭია. წმ. პანკრათი, რა ლამაზი კაბუჯია

42. იგულისხმება პაპის ბულა *Unigenitus*, რომელიც იანსენიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული და ასერთი პარაგრაფისგან შედგებოდა. ის საფრანგეთში მოწონებულ და მიღებულ იქნა იმისდამიუხედავად, რომ საფრანგეთის სამღვდელთების ერთი ნაწილი მისი წინააღმდეგი იყო.

43. კარგი საჩუქარი.

44. პარიზის ანტიკური სახელი ლუტეცია წარმოსდგება ლუტუმისაგან, რაიცა ლათინურად ტალახს ნიშნავს.

45. დ რ უ ი დ ე ბ ი—ძველი კელტების ქურუმები. აქ იგულისხმებიან საფრანგეთის კათოლიკური სამღვდელთების წარმომადგენლები.

46. შავტანისამოსიანი დრუიდების სახელწოდებით იგულისხმებიან იეზუიტი ბერები, რომელთა ორდენი საფრანგეთში გაუქმებული იქნა 1768 წ. ნაცრისფერ ტანისამოსიანი ბერები—ორატორიანელები, რომელთაც იეზუიტების სასწავლებლები გადაეცათ.

47. იგულისხმება მადამ ეოფრენი, რომლის სალონში იმდროინდელი მწერლები და ფილოსოფოსები იყრიდნენ თავს.

48. ბ ე ტ ი კ ა—ესპანეთი, ბეტისი—მდინარე გვადალკვივირი.

49. „მ ძ ე ბ ნ ე ლ ე ბ ს“ ა ნ ა ნ ტ რ ო პ ო კ ა ი ე ბ ს ვოლტერი ინკვიზიტორებს უწოდებს.

50. ღვთის სიყვარულისთვის.

51. ინკვიზიციის ერისკაც თანამშრომლებს *familiaris*, ე. ი. შინაურები, თავისიანები ეწოდებოდა.

52. იგულისხმება ესპანიის მეფე კარლოს III, რომელმაც იეზუიტები განდევნა ესპანიიდან და შეეცადა ინკვიზიციის ხელისუფლებაც შეეზღუდა. მაგრამ ამ მხრივ მარცხი განიცადა.

53. „ე ს პ ა ნ უ რ ი ს ი გ ი ე ე“—ესპანური პოპულარული საცეკვო ჰანგი.

## მ ო ლ ტ ე რ ი

ფრანსუა მარი არუე, რომელმაც შემდეგ მთელს მსოფლიოში ვოლტერის ფსევდონიმით გაითქვა სახელი, 1694 წლის 21 ნოემბერს დაიბადა პარიზში. მამამისი კარგა ხანს ნოტარიუსის თანამდებობას ასრულებდა, შემდეგ ხაზინის მოხელე გახდა. დედამისი გააზნაურებული მოქალაქეების წრიდან წარმოსდგებოდა; ის ადრე გარდაიცვალა. ვოლტერის მამას მისვლამოსელა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა როგორც არისტოკრატიულ ოჯახებთან, ისე შეჭლებულ მოქალაქეებთან და გამოჩენილ მწერლებთან. ის ხშირად დადიოდა თეატრში, პირადად იცნობდა კორნელსა და ბუალოს.

ვოლტერი ათი წლისა იყო, როდესაც ის იეზუიტთა კოლეჯში შეიყვანეს. თუმცა ვოლტერი სჩივის, კოლეჯში ვერაფერი მასწავლეს გარდა ლათინურისა და სხვადასხვა აბდაუბდისაო, მაგრამ ნამდვილად ამ სასწავლებელში ყოფნას მისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია: მან იქ შეისწავლა რომაელი და ფრანგი კლასიკოსები, მან იქ მოწაფეებს შორის, შეიძინა რამდენიმე მეგობარი, რომლებთანაც კავშიარი არ გაუწყვეტია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე.

ლექსების წერის ნიქი ვოლტერმა ჯერ კიდევ სასწავლებელში გამოიჩინა. მასწავლებლებმა და მეგობრებმა ის წააქეზეს. კოლეჯში ყოფნის დროს ის გააცნეს ნინონ დე ლანკლოს, ქალს ცნობილს სილამაზით, ჰკუით და მწერლობის სიყვარულით; მან ქაბუკ ვოლტერს სიკვდილის წინ ორი ათასი ეკიუ უანდერძა წიგნების შესაძენად.

სასწავლებლის დასრულების შემდეგ ვოლტერი დაუახლოვდა თავისუფალი მოაზრების წრეს, ეგრეთწოდებული ტამპლის საზოგადოებას, რომელიც რელიგიისადმი სკეპტი-

კურად, მთავრობისადმი ოპოზიციურად იყო განწყობილი და ეპიკურის მორალს აღიარებდა. ამ წრეში შეითვისა ახალგაზრდა ვოლტერმა სიყვარული მსუბუქი, გონებამახვილი საუბრისა და ეპიგრამული პოეზიისადმი, რომლის უბადლო ოსტატად ის შემდეგ გადაიქცა.

ვოლტერის მამას არ მოსწონდა არც თავისი ვაჟის საზოგადოებრივი გარემოცვა, არც მისი პოეტური გატაცება, ამიტომ მან ის ჰოლანდიაში გააყოლა ერთს თავის მეგობარს, რომელიც იქ დიპლომატიურ წარმომადგენლად დაინიშნა. წყნარ ჰაავში ცხოვრება მშფოთარე პარიზის შემდეგ ცხრამეტი წლის ვოლტერისათვის მეტის მეტად მოსაწყენი იქნებოდა, თუ მას იქ რომანტიკული კავშირი არ გაება ერთი გიჟმაჟ ფრანგ ქალიშვილთან, რომელიც ათასგვარ გონებამახვილ ოინს იგონებდა, რათა თავის მიჯნურს შეხვედროდა. მაგრამ ამ რომანმა შეშფოთება გამოიწვია შეყვარებული ქალიშვილის დედაში: მან საელჩოში უჩიელა ვოლტერს, რომელიც დაუყოვნებლივ პარიზში დააბრუნეს, სანამ ის დიპლომატიის და ტრაფიალის სარბიელზე რაიმე სერიოზულ წარმატებას მიადწევდა.

მიუხედავად თავისი მამის მუქარისა, ვოლტერმა არც თავისი მეგობრების წრეს დაანება თავი და არც თავის მოწოდებას უღალატა. ის ტრიალებდა ლიტერატურულ სალონებში, კომედიის და ოპერის ლოეებში, მსახიობი ქალების საპირფარეშოებში. ის დაუმეგობრდა ახალგაზრდა მსახიობ ქალს ადრიენა ლეჟუერს, სახელგანთქმულს თავისი სილამაზით და ტრაგაკული როლების შესრულებით.

ვოლტერის ლიტერატურული დებიუტი ნაკლებ ბედნიერი აღმოჩნდა: მან პრემია ვერ მიიღო პოეტური ნაწარმოებისათვის, რომელიც საფრანგეთის აკადემიის მიერ გამოცხადებულ თემაზე იყო დაწერილი; სამაგიეროდ ერთი ანონიმური სატირიკული ლექსისთვის, სადაც საფრანგეთის იმდროინდელი რეგენტი დუჟა ფილიპე ორლეანელი იყო გამასხარავებული, ის ბასტილიის ციხეში ჩასვეს.

თერთმეტი თვე, ბასტილიის ციხეში გატარებული, ვოლტერმა სერიოზული ლიტერატურული მუშაობისთვის გამოიყენა. აქ

მან დაასრულა თავისი ტრაგედია „ოიდიპოსი“, რომელიც 1718 წლის შემოდგომაზე დაიდგა პარიზის სცენაზე და დიდი მოწონება დაიმსახურა.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ვოლტერი მიღებულ იქნა ახლადგამეფებული ლუი XV სასახლეში, განებივრებულ იქნა ჯერ დედოფლისა და კარისკაცებისა, შემდეგ მეფის და მინისტრების სატრფოების მიერ. ამავე დროს თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა ვოლტერმა მოხერხებულად გამოიყენა, რათა თავისი ქონება გაედიდებია ფინანსიური სპეკულაციების შემწეობით. ის იმ აზრის იყო, რომ მწერალი მატერიალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა თავისუფლად შესძლოს თავის აზრის გამოთქმა.

1725 წლის დასასრულს ვოლტერს შეტაკება მოუხდა ერთ დიდკაცთან, კავალერ როჰანთან, რომელმაც ის ქუჩაში თავის ლაქიებს გაალახვინა. ვოლტერმა თავისი შეურაცხყოფელი დუელში გამოიწვია, რაზედაც მან უარი მიიღო, ვინაიდან დიდმა არისტოკრატმა თავის ღირსებისათვის შეუფერებლად ჩასთვალა დუელში გაჰყოლოდა მდაბიო წარმოშობის პირს. ამაო აღმოჩნდა ვოლტერის მიმართვა აგრეთვე სასამართლოსა და პოლიციისადმი. მისი მუქარა, რომ ის პირადად გაუსწორდებოდა კავალერ როჰანს, ამ უკანასკნელმა თავხედობად მიიღო და მან ბასტილიაში ჩაასმევინა ვოლტერი. ამ შემთხვევაში პოეტმა იქ მხოლოდ ორი კვირა დაჰყო; მან ნებართვა ითხოვა ინგლისში გამგზავრებულყო. მთავრობამ მით უფრო მეტი სიამოვნებით მისცა ეს ნებართვა, რომ ვოლტერი მას უკვე აფრთხობდა თავისი დეისტური აზრებით, ბიბლიის და სახარების გაკრიტიკებით, კათოლიკური ეკლესიის წმინდანების შეურაცხყოფით.

ინგლისში გატარებული ორწელიწად-ნახევარი (1726—1729) გარდატეხის პერიოდად ითვლება ვოლტერის გონებრივ განვითარებაში. მისმა მეგობარმა ფილოსოფოსმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ლორდმა ბოლინგბროკმა, რომელსაც ის ჯერ კიდევ საფრანგეთში იცნობდა, ის ინგლისის მაღალი საზოგადოების და ინტელიგენციის წრეში შეიყვანა. ვოლტერი გაეცნო და დაუახლოვდა გამოჩენილ ინგლისელ მწერლებს და

მოაზროვნეებს, ბერკლის, პოპს, სვიფტს და სხვებს, მან შე-  
ისწავლა შექსპირის და მილტონის ნაწერები. ბეკონის, ლოკის,  
ნიუტონის ფილოსოფიურ თხზულებათა გაცნობამ გააღრმავა  
მისი მსოფლმხედველობა, მის დეისტურ შეხედულებებს უფრო  
მტკიცე საფუძველი მისცა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდი-  
ლება იმდროინდელმა ინგლისმა ვოლტერზე თავისი პარლა-  
მენტური წესწყობილებით, თავისი რელიგიური და პოლიტი-  
კური თავისუფლებით მოახდინა, აგრეთვე იმ გარემოებით,  
რომ იქ არაჩვეულებრივი პატივისცემით ეპყრობოდნენ მწერ-  
ლებსა და ფილოსოფოსებს. ის თვით დაესწრო ნიუტონის  
მეფურ დასაფლავებას ვესტმინსტერის სააბატოში; ის ხშირად  
აღნიშნავდა, რომ ბეკონს, ლოკს, ადისონს ინგლისში უმაღ-  
ლესი სახელმწიფო თანამდებობანი ეჭირათ, რომ პოპი მდი-  
დარი კაცი გახდა ჰომეროსის გადათარგმნისთვის.

ლონდონში ვოლტერმა დაბეჭდა თავისი ისტორიული პოემა  
„ჰანრიადა“, რომლის გმირად გამოიყვანა ფრანგი მეფე ჰანრი  
IV, ცნობილი თავისი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით და  
რელიგიური შექწყნარებლობით. ეს პოემა ვოლტერმა მიუძღვნა  
ინგლისის დედოფალს, რომელიც მას მფარველობდა; მისი გამო-  
ქვეყნება დიდად სასარგებლო აღმოჩნდა როგორც ავტორის  
სახელისა, ისე მისი ქისისათვის. მაგრამ თავისი მხატვრული  
ღირსებებით „ჰანრიადა“ ვერ შეედრება წინანდელ ეპოქებში  
შექმნილ ნაციონალურ ეპოსს, ჰომეროსის „ილიადას“, ვირჯი-  
ლიუსის „ენეიდას“, ტორკვატო ტასოს „განთავისუფლებულ  
იერუსალიმს“, კამოენსის „ლუზიადას“. პოემაში არის ძლიერი  
ადგილები, მაგალითად, ბართლომეს ლამის აღწერა, მაგრამ  
საერთოდ ის დაკავშირებული არაა ხალხის მითოლოგიურ  
შემოქმედებასთან და თავისი ტენდენციურობით, ისტორიულ  
მოვლენათა ფხიზლად აღწერით და ალეგორიების ქარბად  
გამოყენებით მშრალ შთაბეჭდილებას ახდენს. არსებითად ეს  
არის გალექსილი ქადაგება კაცთმოყვარეობისა და შემწყნა-  
რებლობისა ფანატიზმის და მილიტარიზმის წინააღმდეგ.

პარიზში დაბრუნების შემდეგ ვოლტერის ცხოვრება ერთ-  
ხანს ბედნიერად და შეუშფოთებლად მიმდინარეობდა. ის  
ტრიალებდა თავისი მეგობრებისა და მაღალი მფარველების

წრეში, სპეკულაციას ეწეოდა, ფულს აბანდებდა მომგებიან საქმეებში. მან მძიმედ განიცადა თავისი მეგობრის აღრიენა ლეკუვრერის სიკვდილი; განსაკუთრებით ააშფოთა იმ გარემოებამ, რომ ეს გამოჩენილი ტრაგიკოსი მსახიობი ქალი სამღვდლოებამ სანაგვეში გადააგდებინა როგორც ურწმუნო და უზიარებელი.

ამავე დროს ვოლტერი ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. მან გამოაქვეყნა „კარლოს XII ისტორია“, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ იქნა როგორც ისტორიული მოთხრობის შედეგრი, და რამდენიმე ტრაგედია, რომელთა შორის „ზაირამ“, დაწერილმა შექსპირის „ოტელოს“ ზეგავლენით, უდიდესი აღტაცება გამოიწვია. შექსპირის ზეგავლენა ეტყობა აგრეთვე „კეისრის სიკვდილს“, „ბრუტოსს“, „სემირამიდას“ და სხვ. როგორც დრამატურგი, ვოლტერი კლასიკური ფრანგული ტრაგედიის შემქმნელების—კორნელის და რასინის ღირსეულ მემკვიდრედ იქნა ცნობილი. მართლაც, ვოლტერი თავის პიესებში იცავს დრამატიული ხელოვნების იმ წესებს, რომელნიც კორნელმა და რასინმა დაადგინეს. ის მათსავეთ წარსული ეპოქების, შორეული ქვეყნების, მაღალი რანგის და დიდბუნოვანი ადამიანების ასახვას ცდილობს. ის ცდილობს შეურყვნელი კლასიკური გემოვნების კარნახი დაიცვას. მისი დამოკიდებულება შექსპირისადმი გაორებულია: მას არ მოსწონს მისი გემოვნება, მაგრამ მოხიბლულია მისი ხილვის გრანდიოზულობით. ის ამბობს, შექსპირი ბარბაროსია, რომელსაც ხანდახან შეეძლო სოფოკლი ყოფილიყო და ქუჩყიანი ლოთების გვერდით სიდიადით აღბეჭდილი გმირი შეექმნაო.

ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნებული ნაწერებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ფილოსოფიურ წერილებს“ ანუ „წერილებს ინგლისელებზე“. ეს ნაწარმოები ლონდონში გამოქვეყნდა ჯერ ინგლისურად, ხოლო შემდეგ ფრანგულად. საფრანგეთის უზენაესმა სამსჯავრომ (პარლამენტმა) ის დაუყოვნებლივ აღკრძალა და ბრძანება გამოსცა მისი კოცონზე დაწვის და ავტორის დატუსაღების შესახებ. საფრანგეთის მმართველ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ვოლტერი აღტაცებით ლაპარაკობდა

კობდა ინგლისის პარლამენტურ წესწყობილებასა, რელიგიურ შემწყნარებლობასა და პოლიტიკურ თავისუფლებაზე და მას ნართულად საფრანგეთის აბსოლუტიზმს, ფანატოზმს და ჩამორჩენილ ფეოდალურ წესწყობილებას უპირისპირებდა.

„ფილოსოფიური წერილებიდან“ საზოგადოებრივ, რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებს მხოლოდ პირველი ათი წერილი შეეხება. აქაა საუბარი პარლამენტსა და კანონმდებლობასა, ეკლესიასა და სექტებსა, თეატრსა და აღებმიცემობაზე, ბოლოს, ყვავილის აცრაზე. ამ ნაწარმოების მეორე ნაწილი, უმთავრესად, ფილოსოფიისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი. ვოლტერი ჯონ ლოკის ემპირიზმს ემხრობა რენე დეკარტის რაციონალიზმის წინააღმდეგ. ის გონებამახვილად იცავს და ანვითარებს ლოკის შეხედულებას, რომ ადამიანის გონებას არ აქვს თანდაყოლილი იდეები, რომ შემეცნების ერთადერთ წყაროს გამოცდილება წარმოადგენს. ის იცავს აგრეთვე ლოკის დებულებას, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს შეეძლო მატერიისთვის აზროვნების უნარი მიეცა. გარდა ლოკისა ვოლტერი განსაკუთრებით დიდხანს ჩერდება ნიუტონის ფილოსოფიური და ასტრონომიულ-ფიზიკური იდეების გადმოცემაზე: ის ფართო საზოგადოებას აცნობს უნივერსალური მიმზიდველობის კანონს, რომელიც პირველად ნიუტონმა აღმოაჩინა.

„ფილოსოფიურმა წერილებმა“ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ინგლისელები მათ საერთოდ თანაგრძნობით შეხედნენ. სამაგიეროდ საფრანგეთში ბევრმა ისინი ამბოხების მოწოდებად გამოაცხადა, მეფისა და სარწმუნოებისადმი მტრულად განწყობილ წიგნად. „ვინ არის ფილოსოფოსი, — კითხულობდა ვოლტერის ერთი მოწინააღმდეგე: — ესაა ერთგვარი არააკაცი, რომელიც არაფრით დაკავშირებული არაა არც ზნეჩვეულებასა და წესიერებასა, არც პოლიტიკასა და რელიგიასთან: ყველაფერს უნდა ელოდეს ამ ვაჟბატონებისაგან“. თითქო ამ სიტყვების საპასუხოდ ვოლტერი ერთს თავის ძეგობარს სწერდა: „საჭიროა, რომ ფილოსოფოსებს ორი ან სამი ბუნავი ჰქონდეთ მიწის ქვეშ, რათა თავი დაიცვან ძალებისაგან, რომელნიც მათ უკან მისდევენ ყეფით“.



ვოლტერმა საიმედო თავშესაფარი იპოვა სირეში, საფრანგეთის და ლორენის საზღვარზე, თავისი მეგობარი ქალის ემილია დიუ შატლეს მამულში. თუმცა ემილია დიუ შატლე გათხოვილი იყო და ქმართან ერთად ცხოვრობდა, მასა და ვოლტერს შორის დამყარდა არა მარტო გონებრივი თანამშრომლობის, არამედ აგრეთვე ტრფიალის კავშირიც. მაღამ დიუ შატლე ტემპერამენტიანი, კეკლუცი ქალი იყო, თამამი და გონებამახვილი, ფილოსოფიის და სამკაულის მოყვარული ერთსა და იმავე დროს. ის იმდენად გამსჭვალული ყოფილა არისტოკრატიული გულზვიადობით, რომ არ ერიდებოდა ტანი დაებანა თავისი ლაქიის თვალწინ, ვინაიდან მას, როგორც მდაბიოს, სრულყოფილ მამაკაცად არ სთვლიდა. მან კარგად იცოდა ლათინური, იტალიური და ინგლისური ენა, დიდად დაინტერესებული იყო მათემატიკით, ფიზიკით, მეტაფიზიკით. სხვათა შორის მან ფრანგულად გადათარგმნა და კომენტარიებით აღჭურვა ნიუტონის „მათემატიკური ელემენტები“ და დასწერა რამდენიმე შრომა ფიზიკის და ფილოსოფიის საკითხებზე.

ათიორდე წელიწადი, რომელიც ვოლტერმა სირეში გაატარა, დიდად კეთილისმყოფელი აღმოჩნდა მისი გონებრივი განვითარებისათვის. მან იქ სასახლის ჩარდახში შინაური თეატრი მოაწყო, ხოლო გალერიაში—ფიზიკური ლაბორატორია. აქ ის შეეჩვია ჩუმ, სისტემატურ მუშაობას, რომელსაც დროგამოშვებით მხოლოდ მოგზაურობა ან მეგობრების სტუმრობა სწყვეტდა; აქ მან გააღრმავა თავისი ცოდნა ფილოსოფიის, ფიზიკის და ბუნებისმეტყველების დარგებში. სირეში დაწერილი შრომებიდან ვოლტერის გონებრივი ევოლუციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მისი „ტრაქტატი მეტაფიზიკაზე“, სადაც ის ამტკიცებს, რომ ღმერთი სამყაროს პირველი ძრავია, მაგრამ არ ერევა ბუნებრივი მოვლენების მსვლელობაში, რომ ის არასოდეს არ შექმნიდა არც წამებულთ, არც ჯალათებსო. რაც შეეხება სულის უკვდავების რწმენას, მას ვოლტერი უფრო სკეპტიკურად უცქერის. „მე არ ვამტკიცებ, რომ საბუთები მაქვს სულის უკვდავების წინააღმდეგ, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ის მოკვდავი

უნდა იყოს“, ამბობს ვოლტერი: „სულის უკვდავება რაციონალურად გაუგებარი, სოციალურად უსარგებლო ჰიპოთეზა“.

სირეში დაიწერა, სხვათა შორის, ვოლტერის ტრაგედია „მაჰმადი“, სადაც მუსლიმანური რელიგიის დამაარსებელი მოხერხებულ და ანგარიშიან თვალთმაქცად, ერთგვარ მაჰმადიან ტარტიუფად არის გამოყვანილი; იქვე დაიწერა სატირიკული პოემა „ორღეანელი ქალწული“, სადაც ავტორს უნდოდა სასაცილოდ აეგდო კათოლიკური ეკლესიის წარმოდგენა ჟანა დარკზე, როგორც წმინდანსა და სასწაულმოქმედზე, და მან ის გონებაშეზღუდულ გლეხის ქალად გამოიყვანა. ორივე ეს ნაწარმოები რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ ამ შემთხვევაში ვოლტერის გესლიანი ისარი თითქო მიზანს ასცდა. მან ვერ დააფასა რელიგიის და ხალხის მითოლოგიური შემოქმედების ისტორიული როლი, მან ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ წარსულ ისტორიულ ეპოქებში, როდესაც მეცნიერული აზროვნება სუსტი იყო, ახალი რელიგიის დამაარსებელს, როგორც მაჰმადი იყო, ან კიდევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის გმირს, როგორც ჟანა დარკი იყო, მართლაც ზეადამიანური მოქმედების ჩადენა შეეძლო ხალხის ენტუზიზმთან კავშირის წყალობით. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ არც მაჰმადისა, არც ჟანა დარკისთვის შთაგონება ანგარიშისა და თვალთმაქცობის შედეგი არ იყო.

სირეში ვოლტერმა დასწერა აგრეთვე დიდაქტიკური ლექსი „დარბაისული“, სადაც ის, თითქო ჟან-ჟაკ რუსოს ეკამათებოდეს, ქებას უძღვნის კულტურას, ხელოვნებას და კომფორტს და ამტკიცებს, რომ ისინი გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენენ ზნეჩვეულებაზეო. ადამსა და ევას გრძელი და ქუქყიანი ფრჩხილები ჰქონდათ, გაუკრეკავი თმა, გარუჯული კანი, უვარგისი საქმელ-სასმელი და საწოლი, მათი ცხოვრება არაფერს შეიცავს სახარბიელოსო.

არ შეიძლება ითქვას, რომ სირეში ვოლტერი შეუშფოთებლად ბედნიერი ყოფილიყო. მას არ აკმაყოფილებდა კარჩაეტილი ცხოვრება, მას ქენჯნიდა ბრძოლების გამართვის და სახელის მოხვეჭის წყურვილი, მის პატივმოყვარეობას

აღვივებდა ის გარემოება, რომ მრავალი წარჩინებული პირი მის გაცნობას და დაახლოებას ნატრობდა. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრე იყო, როცა ვოლტერთან მიწერ-მოწერა გამართა. ტახტზე ასვლის შემდეგ ის მას დაეინებით ბერლინში ეპატიყებოდა. თუმცა ვოლტერი ამბობს, როცა იძულებული გაეხდა არჩევანი მომეხდინა ორ ფილოსოფოსს შორის, ფილოსოფოს მეფეს ფილოსოფოსი ქალი ვამჯობინეო, მაგრამ ჯერ კიდევ თავისი სატრფოს სიცოცხლეში მან ცთუნებას ვერ გაუძლო და ორჯერ შეხვდა ფრიდრიხ მეფეს, — პირველად ჰოლანდიის საზღვარზე, ხელმეორედ ბერლინში. თავის წერილებსა და სახუმარო ლექსებში ვოლტერი სჩივის, რომ ჩემი „ღვთაებრივი ემილია“ თვითნება ქალია, რომ მისი მიაღერსება შეუძლებელია მეტაფიზიკის დაუხმარებლად, რომ მისი ფართო გონება ერთნაირად აფასებს თაყვანისმცემლებსა და წიგნებს, ოპტიკასა და ალმასებს, ალგებრასა და ბანქოს თამაშს, ფიზიკას და კოტილიონებსო. თუ ვოლტერი მეთვრამეტე საუკუნის შვილი არ ყოფილიყო და ამავე დროს ფილოსოფოსი, ის შეურაცხყოფილი დარჩებოდა, როდესაც ერთს მშვენიერ დღეს მას მისმა სატრფომ გულახდილად განუცხადა, ფეხმძიმედ ვარ და ჩემი მომავალი ბავშვის მამა არც უნ ხარ და არც ჩემი ქმარია, არამედ ახალგაზრდა პოეტი და ოფიცერი სენ ლამბერიაო. ვოლტერმა, როგორც ეტყობა, საკმაოდ თავდაპირილად მიიღო ეს განცხადება. მან უფრო ტრაგიკულად განიცადა ის, რომ მაღამ დიუ შატლეს მუცელს გადაჰყვა. ეს ქალი ყველაზე ძლიერი გატაცების საგანი იყო ვოლტერის ცხოვრებაში.

\* \* \*

ჯერ კიდევ მაღამ დიუ შატლეს სიცოცხლეში ვოლტერი ნაწილობრივ თავისი სატრფოს, ხოლო ნაწილობრივ თავისი წარჩინებული მეგობრების შემწეობით საფრანგეთის მეფის კარს დაუახლოვდა. ერთხანს მას მეფე ლუი მეთხუთმეტის სატრფო მაღამ დე პომპადურიც კი მფარველობდა. წარმატების მისაღწევად ვოლტერი არ დაერიდა მიფერებოდა კარდინალებს, იეზუიტთა ორდენის მეთაურს, რომის პაპს,

რომელსაც მან თავისი ტრაგედია „მაჰმადი ანუ ფანატიზმი“ მიუძღვნა, მსუბუქი ხასიათის კომედია—ბალეტი დაეწერა ტახტის მემკვიდრის ქორწილისათვის, ბოლოს თვით ლუი მეფე იმპერატორი ტრაიანის სახით გამოეყვანა თავის ოპერაში „დიდების ტაძარი“. მისი გულმოდგინება სათანადოდ დაფასებულ იქნა და ის კამერაჰერად დაინიშნა ორი ათასი ლივრის პენსიით და არჩეულ იქნა საფრანგეთის აკადემიის წევრად. თავის მემუარებში ის ამბობს: „მე ღირსად მცნეს აკადემიის ორმოც უსარგებლო წევრებს შორის ჩავრიცხულიყავი, მე საფრანგეთის ისტორიოგრაფად დამნიშნეს, ხოლო მეფემ სასახლის აზნაურის წოდება მომანიჭა. აქედან დავსკვენი, რომ პატარა კარიერის გასაკეთებლად ბევრად უფრო მიზანშეწონილია ოთხიოდე სიტყვა უთხრა მეფის სატრფოს, ვიდრე ასი ტომი დასწერო“.

საბოლოოდ ვოლტერმა მაინც ფეხი ვერ მოიკიდა ვერსალის სასახლეში. ქალების მოყვარულ ლუი მეფეს ნაკლებ აინტერესებდა მხატვრული ლიტერატურა, ხოლო ფილოსოფიისა და მეცნიერებისა სრულიად არაფერი გაეგებოდა. კარისკაცებს საეჭვოდ მიაჩნდათ ეს გესლიანი ენის ადამიანი, რომელიც გონებით მათზე მაღლა იდგა, ხოლო წარმოშობით მათზე დაბლა. ერთხელ, როდესაც მაღამ დიუ შატლემ დედოფლის მიერ გამართული ბანქოს თამაშის დროს ოთხმოცი ათასი ლივრი წააგო, ვოლტერმა მას ინგლისურად წასჩურჩულა, თქვენ გაიძვერებთ და ოინბაზებს ეთამაშებითო. ეს სიტყვები არ გამოეპარათ ყურებდაცქვეტილ კარისკაცებს, მათი შინაარსი მეფე-დედოფალს აცნობეს. ამის შედეგ ვოლტერისთვის სახიფათო აღმოჩნდა საფრანგეთის მეფის კარზე დარჩენა. ის ღამით გაიპარა და რამდენიმე თვე პროვინციაში გაატარა, ერთი თავისი მფარველის, მაღალი წოდების ქალის სასახლეში. აქ დარაბებდახურულ ოთახში მან დასწერა თავისი პირველი ფილოსოფიური მოთხრობები, სხვათა შორის, სახელგანთქმული „ზადიგი“.

მაღამ დიუ შატლეს გარდაცვალებამ ვოლტერს გაუადვილა ფრიდრიხ II წინადადება მიეღო და პოტსდამში გადასახლებულიყო. პრუსიის მეფის კარზე ვოლტერმა თითქმის სამი

წელიწადი გაატარა, 1750 წლის ზაფხულიდან 1753 წლის გაზაფხულამდე. თავისი ცხოვრების ეს პერიოდი მან გონება-მახვილად ასწერა თავის მემუარებში.

თავდაპირველად ვოლტერი აღტაცებული იყო თავისი მეგობრით, რომელსაც, სოლომონ ბრძენისა და მარკ ავრელიუსის ნსგავსად, გვირგვინი ხელს არ უშლიდა ფილოსოფოსი ყოფილიყო. თავდაპირველად ვოლტერს ყველაფერი მოსწონდა, პრუსიელი გრენადერებიც, ბერლინის ოპერაც, სალამოს ბანკეტებიც პოტსდამის სასახლეში, სადაც თავს იყრიდა მცირერიცხოვანი, რჩეული საზოგადოება, სხვათა შორის პრუსიის აკადემიის თავმჯდომარე ფრანგი მათემატიკოსი მოპერტუი და ფრანგი მატერიალისტი ფილოსოფოსი ლამეტრი—„მეფის ათეისტის თანამდებობის ამსრულლებელი“. ვოლტერის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოტსდამის ბანკეტებზე ღრძაზბროვნად ირჩეოდა სულის უკვდავების, ნებისყოფის თავისუფლების და პლატონის ანდროგინების საკითხები. მას მოსწონდა სტოიციზმის და ეპიკურეიზმის მორალის თავისებური შეთავსება, რომელიც პოტსდამის სასახლეში იყო განხორციელებული. ვოლტერის ვალდებულება იმაში მდგომარეობდა, რომ მას სტილისტურად უნდა ესწორებინა ლიტერატურის მოყვარული ფრიდრიხ მეფის ფრანგული ნაწერები. ფრიდრიხი კი, თუმცა ხასიათით და მსოფლმხედველობით ნამდვილი პრუსიელი იყო, ლიტერატურის და მეცნიერების ენად მხოლოდ ფრანგულს სცნობდა. ვოლტერს დაენიშნა დიდი პენსია და ეპოძა ორდენი და კამერჰერის გასაღები. მისი პიესები სამეფო თეატრის სცენაზე იდგმებოდა, როლებს სამეფო ოჯახის წევრები ისრულებდნენ; თვით ვოლტერიც გამოდგოდა იულიოს კეისრის და ციცერონის როლში. „მე არ შემეძლო მას არ შევთვისებოდი,—ამბობს ვოლტერი ფრიდრიხზე,—ვინაიდან ის გონებამახვილი და თავაზიანი იყო და ამავე დროს მეფეც; ეს ყოველთვის დიდი მისაზიდავი საშუალებაა ჩვენი ადამიანური სისუსტის გამო“.

თუმცა ფრიდრიხ მეფე თავის მხრივ ყოველთვის დიდად აფასებდა ვოლტერს და მისი ნაწერები სამხედრო ბანაკშიც კი დაჰქონდა საკითხავად, მათი მეგობრობა ჩქარა საფუძვლი-

20. ვოლტერი.

ანად შეირყა მათი ხასიათის სხვადასხვაობის გამო. თავისი ფართო ფილოსოფიური ინტერესისა, მხატვრული გემოვნების და აზროვნების თავისუფლების მიუხედავად, ფრიდრიხ მეორე ძნელად შესაგუებელი იყო პატივმოყვარე და ექვიანი ვოლტერისთვის. ის ვერ იტანდა მეფის დესპოტურ, ტლანქ ხასიათს, მის უგულველყოფას ადამიანის ღირსებისადმი. მიეთმოეთობამ გააუარესა მათი ურთიერთობა. მეფეს მოახსენეს, ვოლტერმა შენს ნაწერებს ქუპციანი საცვალი უწოდაო. ვოლტერს უთხრეს, მეფემ გამოწურულ ფორთოხალს შეგადარაო. ფრიდრიხ მეფემ განსაკუთრებით საწყენად მიიჩნია, რომ ვოლტერი ერთ ბერლინელ ებრაელთან ერთად მეტად საჩოთირო ფინანსიურ სპეკულაციაში აღმოჩნდა ჩაბმული.

- ფრიდრიხის მოთმინების ფიალა აავესო იმ გარემოებამ, რომ ვოლტერმა ერთ თავის პამფლეტში გონებამახვილად გაანადგურა პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოპერტუის ფანტასტიკური, ფსევდომეცნიერული პროექტები. ზოპერტუი წინადადებას იძლეოდა, დაარსებულიყო ქალაქი, სადაც სალაპარაკო ენა მხოლოდ ლათინური იქნებოდა, ბუმბერაზ პათაგონიელებისათვის თავის ქალა აეხადათ მათი ტვინის და სულიერი ცხოვრების გამოსარკვევად, დაეწყოთ ხერელის გათხრა დედამიწის შუაგულისკენ და სხვ. პრუსიის მეფემ ვოლტერის პამფლეტი პირად შეურაცხყოფად მიიღო და ის საჯაროდ დააწვევინა. ფილოსოფოსმა იგრძნო, რომ მისი მდგომარეობა სახიფათო გახდა „თავისუფლად მოაზროვნე“ დესპოტის სამფლობელოში, მას თავისი „ევენები“, ე. ი. თავისი საკამერპერო გასაღები, პენსია და ორდენი დაუბრუნა და პოტსდამიდან გაემგზავრა ვითომდა წყლებზე სამკურნალოდ.

- ფრიდრიხ მეფეს ეშინოდა, რომ ვოლტერს არ გამოეჭეყნებინა მისი სატირიკული ლექსები, რომლებშიც ევროპის გვირგვინოსანი პირები იყვნენ გამასხარებულნი, და მას თავისი რეზიდენტი დაადევნა. ვოლტერი დაკავებულ იქნა ფრანკფურტში, სადაც ხუთი კვირა დაჰყო, სანამ თავისი ბაგაფი არ მიიღო და მეფის რწმუნებულს საჩოთირო პოეზიის კრებული არ ჩააბარა. ვოლტერი ამბობს: „როდესაც ეს საქმე, ღირსი ვანდალებისა და ოსტგოთებისა, დასრულდა, მე პლომ-

ბიერის სამკურნალო წყლებზე გავემგზავრე, მაგრამ უმეტესად ლეტის წყალს ვსვამდი, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი უბედურებანი, როგორც უნდა იყვნენ ისინი, მხოლოდ იმისთვის გამოდგებიან, რომ დაეიწყებას მიეცნენ“.

ამ დროს ვოლტერს უკვე დიდი შეძლება ჰქონდა. მან სახლები შეიძინა შვეიცარიაში, ლოზანაში და ენევაში. „აღამიანი ხელმოშობილნი უნდა იყო ახალგაზრდობაში,—ამბობს ის თავის მემუარებში,—მაშინ სიბერეში იმდენი თანხები გექნება, რომ თვითონ გაგიკვირდება. ამ ასაკში სიმდიდრე ყველაზე მეტადაა საჭირო და მე ახლა მით ვტკბები. მას შემდეგ, რაც მეფეების სტუმარი ვიყავი, მე თვით მეფე გავხდი ჩემს საკუთარ სახლში“.

1760 წელს ვოლტერმა საფრანგეთის და შვეიცარიის საზღვარზე დიდი მამული შეიძინა—ფერნე, სადაც მან სასახლე ააგო, ბაღი გააშენა და საბოლოოდ დასახლდა თავის ძმისწულთან ერთად, რომელიც დიასახლისის როლს ასრულებდა მის ოჯახში. ფერნეს პერიოდი, რომელიც თვრამეტი წელიწადი გაგრძელდა, ყველაზე ბრწყინვალე და ნაყოფიერი პერიოდია ვოლტერის ცხოვრებაში. თანამედროვეებმა ვოლტერს ფერნეს პატრიარქი უწოდეს, და განსაკუთრებით ამ სახელწოდებით წარსდგა ის მომდევნო თაობების წინაშე. ფერნეში გადაიქცა ვოლტერი მხატვრული გემოვნების კანონმდებლად, საზოგადოებრივი აზრის ხელმძღვანელად, ჩაგრულთა დამცველად, საშიშ მოწინააღმდეგედ ფანატიზმის, ცრუმორწმუნეობის, ძალმომრეობის დამცველთათვის. „მან მთელი ევროპა შეაერთა კავშირით, რომლის სული და გული თვითონ იყო, ხოლო ლოზუნგი—შენწყნარებლობა“, ამბობს კონდორსე ვოლტერის ბიოგრაფიაში.

ვოლტერის ლიტერატურული მუშაობა ფერნეში განსაკუთრებით ინტენსიური გახდა. აქ დაასრულა მან თავისი ფილოსოფიური მოთხრობების დიდი ნაწილი, „კანდიდი“, „მიამიტი“ („ჟუმანკო“), „ბაბილონის პრინცესა“, „თეთრი მოზვერი“ და სხვ.; ამას გარდა მან თანამშრომლობა დაიწყო დიდროს და დალამბერის ენციკლოპედიაში და დასწერა რამდენიმე დრამატული პიესა. განსაკუთრებით ფერნეს პერიოდში გაშალა მან

თავისი პირველხარისხოვანი პუბლიცისტური ნიჭი. მან მთელი ევროპის საზოგადოებრივი აზრი ააშოქრავა შვირე ზომის იაფფასიანი წიგნაკებით.— თუ სახარება 1200 სესტერცი ღირებულებით, ის რევოლუციას ვერ გამოიწვევდა რელიგიის სფეროში, ამბობდა ვოლტერი.

თითქმის ყველა იმდროინდელი მეფე, გარდა საფრანგეთის მეფისა და თურქეთის სულთანისა, თავისთვის სასახელოდ სთვლიდა წერილი მიეღო ვოლტერისგან და პასუხი გაეცა მისთვის. ყველა წრეს ადამიანები, ფილოსოფოსებისა და მსწავლულებიდან დაწყებული მოდის მიმდევარ ქალებამდე, მისი ხშირი სტუმრები იყვნენ. ფერნე ერშვგარ საპატივგამო აღგილად გადაიქცა თავისუფალი მოაზროვნეებისთვის. ვოლტერის მიწერ-მოწერამ გაუგონარ ზომას მიაღწია; ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს მანამდე ან შემდეგ ამდენი კორესპონდენტი ჰყოლოდეს და ამდენი წერილი დაეწეროს. ვოლტერის კერძო მიწერ-მოწერას, როგორც შინაარსის, ისე რაოდენობის მხრით უდიდესი ადგილი უჭირავს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომელიც საერთოდ სამოცდაათ—ოთხმოც ტომამდე აღწევს.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან ლიტერატურული საკითხი, რომელსაც ვოლტერი არ შეხებოდეს ფერნეში ცხოვრების დროს. ეკატერინე დედოფალთან მიწერილ წერილებში ის, სხვათა შორის, საქართველოს საქმეებსაც ეხება. როდესაც 1768 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი ატყდა და ქართლ-კახეთი და იმერეთი რუსეთის მხარეზე გამოვიდნენ, ეკატერინე მეორემ საჭიროდ სცნო ვოლტერის სათვის დაწერილებით ეცნობებინა საქართველო-თურქეთის ფრონტის ამბები: რუსის ჯარის შემოსვლა საქართველოში ტოტლებენის მეთაურობით, ქუთაისის, შორაპნის და ბაღდადის ციხეების აღება, ერეკლეს მიერ თურქების დამარცხება და სხვ. ვოლტერის საპასუხო წერილებს ნახევრად ირონიული ტონი აქვს; მაგრამ მთელი მისი სიმპატია რუსეთის მხარეზეა. თურქეთის დამარცხება და მოსპობა, მის ადგილას ძველი ქრისტიანული სახელმწიფოების აღდგენა მას აუცი-



ლებლად მიაჩნია კაცობრიობის პროგრესის თვალსაზრისით. „ეს ბარბაროსი თურქები სამუდამოდ გაძეივებულ უნდა იქნენ ქსენოფონტის, სოკრატის, პლატონის, სოფოკლის და ევრიპიდის ქვეყნიდან. საჭიროა, რომ ჯვაროსნული ომი დავიწყოთ მათ წინააღმდეგ“, სწევს ვოლტერი.

როგორც ეტყობა, ვოლტერის ანტითურქული ტენდენცია მთელი იმპროინდელი მოწინავე საზოგადოების სულიერ განწყობილებას ეთანხმებოდა. ვოლტერის ბიოგრაფიაში კონდორსე ამბობს: „ფერნეს პატრიარქი მალა იდგა იმ პოლიტიკურ მედუქნებზე, რომელნიც რამდენიმე ნაცნობი ეპარქის მოგებას მალა აყენებენ, ვიდრე კაცობრიობის ინტერესებს; ის უფრახოდა ევროპის წონასწორობის იდეის დარღვევას, ის ოცნებობდა, რომ მშვენიერი ზეცის მქონე ქვეყნები, სადაც პირველად გამოქვლავნდა ადამიანის გენია და სადაც მეცნიერება და ხელოვნება წარმოიშვა, ხელახლა დაბრუნებოდა თავის მკვიდრთ“.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფერნეში ყოფნის დროს ვოლტერმა განსაკუთრებით იმით გაითქვა სახელი, რომ რამდენჯერმე თამამად და უანგაროდ რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ გაილაჩქრა, რათა მისი უდანაშაულო მსხვერპლები დაეცვა.

ვოლტერი ებრძოდა ათეიზმს. საყოველთაოდ ცნობილია მისი სიტყვები პრუსიას პრინც ჰენრიხისადმი მიწერილი: „თუ ღმერთი არ არსებულებოდა, საჭირო იყო მისი გამოგონება, მაგრამ მთელი ბუნება იძახის, ის არსებობს“. ვოლტერის შეხედულებით ღმერთი წარმოადგენს შემოქმედ გონებას, დაუშაბამოს, ვინაიდან თუ მას დასაბამი ჰქონოდა, უნდა წარმოგვედგინა, რომ ის არარაობისგან შეიქმნა. სამყარო გონიერადაა მოწყობილი, მაშასადამე, ის გონიერი არსების მიერაა შექმნილი. მნათობთა მოძრაობა და დედამიწის ტრიალი მზის ჯარშემო ხდება უმკაცრესი მათემატიკური კანონების საფუძველზე, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ან თვით მნათობები დიდი გეომეტრები არიან, ან მათ „მუდმივ გეომეტრი“ ამოძრავებს, როგორც პლატონმა ღმერთს უწოდა მოსწრებიულად. „ადამიანმა სრულიად უნდა დაჰკარგოს საღი გო-

ნება, რათა წარმოიდგინოს, რომ მარტოოდენ მატერიის მოძრაობა საკმაოა მგრძნობიარე და მოაზროვნე არსებათა შესაქნელად. მაგრამ ვინც ამ უზენაესი არსების გაცნობას მოინდომებს, დაემსგავსება უგუნურს, რომელიც გაიფიქრებს, რადგან ვიცი, რომ სახლი არქიტექტორის მიერ არის აგებული, თვით არქიტექტორსაც ვიცნობ პირადადო“.

გასაკვირველი არაა, რომ ფერენში დასახლებისთანავე ვოლტერმა ტაძარი აუგო უზენაეს არსებას წარწერითურთ: „Deo erexit Vultaire“ (დმერთს აუგო ვოლტერმა). მაგრამ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ათეიზმი, ვოლტერს ყოველი ვიწრო ეკლესიური სული, ყოველი ფანატიზმი სძაგდა. და ამ „ქვეწარმავალის თავის გაქეჟა“ მან თავისი მოღვაწეობის მთავარ მიზნად აქცია, განსაკუთრებით ფერენს პერიოდში.

ჯერ კიდევ სირეში ცხოვრების დროს ვოლტერმა თავის მეგობარ ქალთან ერთად ხელი მიჰყო ბიბლიის გაკრიტიკებას. ამ წმინდა თეორიულ-ლიტერატურულმა მუშაობამ ის იმ დასკვნამდე იიყვანა, რომ სამღვთო წერილი, განსაკუთრებით ძველი აღთქმის წიგნები აღსაყვება წინააღმდეგობებით, უზნეო ამბების აღწერით, რომ იქ კაცისმკვლელობა, სისხლის აღრევა, ღალატი, მოტყუება სრულიად ბუნებრივ მოვლენად ითვლება. შემდეგ, რაციონალური ფილოსოფიის თვალსაზრისით, ვოლტერი შეებრძოლა ქრისტიანულ მოძღვრებას სასწაულმოქმედებაზე და მკაცრად გააკრიტიკა ქრისტიანული დოგმატები. ამ წმინდა ფილოსოფიურ და ლიტერატურულ ბრძოლაში ის გვერდით ედგა ენციკლოპედიისტებს, დიდროს და დალამბერს, რომელთაც ის იმიზრათავდა: „ჩუ დაყოვნებთ, მამაცო დიდრო და უშიშარო დალამბერ, თავს დაესხით ფანატიკოსებს და ვიგინდარებს; გააბათილეთ მათი უგუნური ლაყბობა, მათი საზიზღარი სოფიზმები, ისტორიული ტყუილი; წინააღმდეგობანი, დაუსრულებელი უაზრობანი; წინააღმდეგით იმას, რომ საღად მოაზროვნე ადამიანები იმათი მონები გახდნენ, ვისაც არავითარი გონება არ აქვთ“.

ამავე დროს ვოლტერი მკაცრად ებრძვის ფრანგული ლიტერატურის დაქვეითებას მხატვრული ოსტატობისა და მორალური შინაარსის მხრით. „დღევანდელი ლიტერატურა“

ერთგვარ შეკობრეობას წარმოადგენს. თუ საფრანგეთში კიდევ მოიპოვებოდა გენიოსი ადამიანები, მათ სდევნიან. სხვები ყვაეები არიან, რომელნიც ერთმანეთს ართმევენ წარსული საუკუნის გედების ფრთებს, რომელნიც მათ მოუპარავთ, და თავიანთ შავ ბოლოებზე იკეთებენ შეძლებისდაგვარად“.

სხვა ფილოსოფოსებისა, მონტესკიესა, რუსოსა, დიდროსა, დალამბერისაგან განსხვავებით ვოლტერი არ კმაყოფილდებოდა წმინდა ლიტერატურული ხასიათის ბრძოლებით. ფერნეს პერიოდში მან ბრძოლა პრაქტიკულ ასპარეზზე გადართანა და შეეცადა ფანატიზმისა და ძალმომრეობისთვის ბრძკვალეებიდან რამდენიმე უდანაშაულო მსხვერპლი გამოეტაცა.— მე ცოტაოდენი სიკეთე ჩავიდინე, ესაა ჩემი საუკეთესო ხზულებაო, ამბობდა ის თავისი მოღვაწეობის მღწევების უკანასკნელი შეჯამების დროს. მართლაც, ვოლტერს კალასის, სირენის, ლაბარის დაცვამ არა ნაკლები სახელი და პატივისცემა მოუხვეჭა, ვიდრე მისმა ფილოსოფიურმა და მხატვრულმა შედეგებმა; და სიკვდილის წინ მას პარიზში აპოთეოზი გაუმართეს არა მარტო როგორც დიდს მოაზროვნეს და პოეტს, არამედ აგრეთვე როგორც კაცობრიობის კეთილისმყოფელს.

1761 წლის შემოდგომაზე ქალაქ ტულუზაში მეფართლე ვაქრის ჟან კალასის ოჯახში თავი ჩამოიხრჩო მისმა უფროსმა ვაჟმა, რომელიც შავი მელანქოლიით იყო დაავადებული. რადგან კალასი პროტესტანტი იყო, ფანატიკოსმა კათოლიკებმა ეს თვითმკვლელობა კონფესიური მიზნებისათვის გამოიყენეს და მოხუც მეფართლეს დააბრალეს, შენი ვაჟი თვითონ შენ ჩამოახრჩე, ვინაიდან ის აპირებდა კათოლიკურ ეკლესიას დაბრუნებოდაო. თვითმკვლელის გვამი კათოლიკებმა ტაძარში გამოათინეს, ის წამებულად გამოაცხადეს. ეს საქმე ტულუზის სასამართლომ (პარლამენტმა) გამოიძია და გაარჩია და, ბრალდების უსაფუძვლოებისა და უაზრობის მიუხედავად, უმწეო მოხუცს ჟან კალასს სიკვდილი მიუსაჯა, ეგრეთწოდებული დაბორცლის წესით, ხოლო მისი ოჯახის სხვა წევრებს უფრო მსუბუქი სასჯელი დაუწესა. როგორც

პროცესისა, ისე სიკვდილის წინ ჟან კალასი ირწმუნებოდა უდანაშაულო ვარო.

ვოლტერი თავდაპირველად შეეცადა ოფიციალური გზით მოეხდინა კალასის ოჯახის რეაბილიტაცია. მთავრობის წევრები, მეფის კარი, სასამართლო მის მიერ დაწესებულ საქმეს მტრულად ან გულგრილად შეხედნენ. მაშინ ვოლტერმა თავისი გასაოცარი ენერჯიის წემწეობით შესძლო მთელი ევროპის საზოგადოებრივი აზრი აემოძრავებინა. ბოლოს, სამი წლის უმაგალითო ბრძოლის შემდეგ, რომლის დროს მას, მისი ძქვის თანახმად, ერთხელაც არ გაუღიმნია, მან თავის მიზანს იძალწია, და საკასაციო სასამართლომ ერთხმად გაამართლა კალასები.

ანალოგიური ხასიათის იყო სირვენების საქმე. იმავე ტულუზის მახლობლად ქალაქ მაზამეში იმავე 1761 წლის დეკემბერში ქაში თავი დაიხრჩო ერთმა გონებაშერყეულმა ქალიშვილმა, პროტესტანტი მიწისმზომელის სირვენის ქალმა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ შიშინევე ბრძანება გასცა და ეტუსალებინათ სირვენებს ოჯახი; ქალის დედმამას ბრალი დასდეს, ის თქვენვე დაახრჩეთ, ვინაიდან მას სურდა კათოლიკურ ეკლესიას დაბრუნებოდაო. მაზამეს სასამართლომ თვით სირვენს დაწვა გადაუწყვიტა, მის ცოლს — ჩამოხრჩობა, ხოლო მათ ორ ქალს — სამზობლოდან გაძევება. მაგრამ სირვენებმა ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე უშველეს თავს, საფრანგეთიდან გაიქცნენ და დიდის გაპირვებით ლოზანას მიიღწიეს. ვოლტერს ათი წლის ბრძოლა დასჭირდა, სანამ ტულუზის პარლამენტი მაზამეს სასამართლოს გადაწყვეტილებას გააბათილებდა და სირვენებს გაამართლებდა.

მაგრამ ვოლტერმა ვერაფერი უშველა ახალგაზრდა თავისუფალ მოაზროვნე აზნაურ ლაბარს, რომელსაც ბრალად ედებოდა, შეურაცხოფა მიაყენა ჯვარცმას, ღმერთის მგმობელ ლექსებს მღეროდა და ვოლტერის წიგნებს კითხულობდაო. ლაბარს თავი მოჰკვეთეს. ხოლო შემდეგ მისი გვამი კოკონზე დასწვეს ვოლტერის „ფილოსოფიურ ლექსიკონთან“ ერთად.

ვოლტერი არ კმაყოფილდებოდა მარტო უსამართლოდ

დენილთა და დასჯილთა დაცვით და რეაბილიტაციით. ის ცდილობდა ფეოდალური ბეგარა შეემსუბუქებინა გლეხკაცობისათვის; ფერნეში მან მიიზიდა სხედასხვა დარგის ხელოსნები, განსაკუთრებით მესაათეები და ფეიქრები, და ყოველნაირად ხელი შეუწყო, რომ მისი სასახლის მახლობლად, სადაც მანამდე ასიოდე ქოხმახი იდგა, პატარა კეთილმოწყობილი ქალაქი გაშენებულყო. ვოლტერი სესხად ფულს აღევდა ახალ შენთ, ეხმარებოდა მათ, რათა თავიანთი წარმოების ტექნიკა გაეუმჯობესებინათ და თავიანთი ნაწარმი გაესაღებინათ. მან იქ ყველა სექტის აღმსარებელთ ერთი საყდარი აუშენა, რათა მათ ერთად ელოცნათ და ერთმანეთის შეწყყნარებას შეჩვეოდნენ.

ლუი XV სიკვდილის შემდეგ (1774 წ.) ვოლტერისთვის შესაძლებელი გახდა პარიზში მისვლა, სადაც მას მანამდე ცხოვრება აკრძალული ჰქონდა. იქ ის მივიდა 1778 წლის თებერვალში. მისმა პარიზში გამოჩენამ ნამდვილი სახალხო დღესასწაული გამოიწვია. ქუჩაში მას ოვაციებს უმართავდნენ და თავზე ყვავილებს აყრიდნენ. საფრანგეთის აკადემიამ ის თავის ღირექტორად აირჩია. ახალგაზრდა დედოფალი, მინისტრები, უცხოეთის ელჩები, გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები მის სანახავად მიისწრაფოდნენ. ამერიკის ეროვნული თავისუფლების დიდმა მებრძოლმა ბენჯამენ ფრანკლინმა მას თავისი შვილიშვილი წარუდგინა, ვოლტერმა კაბუკი დალოცა „ღმერთის და თავისუფლების სახელით“. ბოლოს, ვოლტერი ფრანგული კომედიის თეატრში წავიდა, რათა თავისი პიესის „ირინეს“ წარმოდგენას დასწრებოდა. მთელი სახოვადოება მას აღფრთოვანებით შეხვდა, როგორც საფრანგეთის პირველ მწერალს და პირველ მოქალაქეს. ანტრაქტის დროს მისი ბიუსტი სცენაზე მსახიობმა დაფნის გვირგვინით შეამკო.

ამ მღელვარების მიუხედავად, ვოლტერი ბევრს ეშუაობდა. მან აკადემიას მიაღებინა ლექსიკონის ახალი გეგმა, ხოლო ორი ასოს დამუშავება თვითონ იკისრა. მაგრამ ის გაცივდა და ლოგინში ჩაწვა. ის ოკდახუთ ფინჯან ყავას სვაჰდა დღე-ღალამეში, ბანგს ხპარობდა დასაძინებლად, სწუხდა, რომ

ლექსიკონის სამუშაოს ვერ ასრულებდა. როცა მისი მდგომარეობა უნუგემო გახდა, კათოლიკური სამღვდელთა შეეცადა თავისი მიზნებისათვის განოყენებინა ის გარემოება, რომ ვოლტერს ეზინოდა ჩემი გვამი სანაგვეში არ გადაადონო, და მას მღვდელი მიუგზავნა აღსარების სათქმელად და საზიარებლად. ვოლტერმა ხელი მოაწერა წერილობითს სარწმუნოების აღსარებას და შეცოდებათა მონანიებას. მაგრამ სამღვდელთაგან ეს არადამაკმაყოფილებლად სცნო. როდესაც მას მოძღვარმა მეორე განცხადება მიუტანა ხელის მოსაწერად, ვოლტერმა სთქვა: „ღვთის გულისათვის ნუ გელაპარაკებით იმ ადამიანზე (ე. ი. ქრისტეზე), ნება მომეცით მშვიდობიანად მოვკვდე“. თავისი ნამდვილი აღსარება მან თავის პირად მდივანს გადასცა ხელში: „მე გკვდები ისე, რომ თაყვანს ვცემ ღმერთს, მიყვარს ჩემი მეგობრები და არ მძულს ჩემი მტრები, ხოლო მეზიზღება ძალმომრეობა“. 1778 წლის 30 მაისს ვოლტერი გარდაიცვალა.

პარიზის არქივისკოპოსმა და სამღვდელთაგან ნება არ დართეს, რომ ვოლტერი ქრისტიანული წესით დაესაფლავებინათ. არც სამინისტრო, არც პარლამენტი არ ჩაერია საქმეში. ნათესავები ფარულად შეუთანხმდნენ ერთ პროვინციელ მღვდელს. ეტლში ჩასვეს ტანთხაცმული და ქუდდახურული ვოლტერის გვამი და შამპანში წაიღეს იგი, რათა ერთ მონასტერში დაესაფლავებინათ. შემდეგ ადგილობრივმა ეპისკოპოსმა ამ მონასტრის წინამძღვარი გადააყენა დასაფლავების ნებართვის მიცემისათვის. მთავრობამ აკრძალა როგორც ვოლტერის პიესების დადგმა, ისე სიტყვის დაძრა მისი სიკვდილის შესახებ.

საფრანგეთის რევოლუციამ ვოლტერის სახელი და პატივი აღადგინა. ნაციონალური კრების დადგენილების თანახმად 1791 წელს ვოლტერის ნეშტი დიდი ზეიმით გადმოტანილ იქნა პარიზში, სადაც იგი პანთეონში დაასაფლავეს მისი დიდი თანამებრძოლის და მოწინააღმდეგის ჟან-ჟაკ რუსოს გვერდით.

ვოლტერი ორიგინალურ მოაზროვნედ არ ჩაითვლება არც რელიგიის ფილოსოფიის, არც შემეცნების თეორიის, არც ეთიკის დარგში. ამ დარგებში მან მხოლოდ განავეითარა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ის შეხედულებანი, რომელნიც მასზე ადრე. ხანდახან უფრო ღრმად, მაგრამ უფრო ნაკლებ გასაგებად და ნაკლებ ბრწყინვალედ, სხვებმა გამოსთქვეს. სამაგიეროდ ვოლტერმა დიდად ორიგინალური როლი შეასრულა როგორც ისტორიკოსმა. შეიძლება ითქვას, რომ ვოლტერმა პირველმა მოგვცა კაცობრიობის კულტურის ისტორიის ცდა ფართო გაგებით და, როგორც კულტურის ისტორიკოსმა, მან გავლენა მოახდინა მთელ შემდეგდროინდელ ევროპულ ისტორიოგრაფიაზე.

ვოლტერის ისტორიული შრომებიდან განსაკუთრებით ცნობილია „კარლ XII ისტორია“, „რუსეთის იმპერიის ისტორია პეტრე დიდის დროს“, „ლუი XIV საუკუნე“, და „ცდა ეროვნებათა ზნე-ჩვეულებებსა და სულზე“.

ვოლტერმა ხმარებაში შემოიტანა ისტორიის ფილოსოფიის ცნება. მან ისტორიიდან განდევნა ღვთაებრივი განგება; მისი აზრით ისტორია უნივერსალური კანონების აუცილებელი პროდუქტია. ის უჩიოდა, რომ წინანდელი ისტორიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მეფეების და მაღალი საზოგადოების ცხოვრების აღწერას, რომ ისინი მხოლოდ ომებსა და სამოქალაქო ამბოხებებზე ლაპარაკობდნენ, ხოლო ზნე-ჩვეულების, ხელოვნების, მეცნიერების, კანონმდებლობის და მმართველობის ისტორიას უყურადღებოდ სტოვებდნენ.

„რა საჭიროა იმის ცოდნა, თუ რომელ წელს გამეფდა ესა თუ ის უგუნური მეფე, რომელიც იმის ღირსიც კი არ არის, რომ მისი სახელი დაეხსოვოთ? რა საჭიროა ყველა დინასტიის თანმრმდევრობის ცოდნა? უმჯობესია ტიტ ლივიუსს წავხაძოთ, რომელიც დიდ ამბებს მოგვითხრობს, ვიდრე სვეტონიუსს, რომელიც კერძო ცხოვრებას ასწერს... მე აქ საზოგადოდ ვეტს ყურადღებას ვაქცევ ადამიანების ბედს, ვიდრე ტახტების შერყევას. ისტორიკოსი ადამიანებით უნდა დაინ-

ტერესდეს, ისტორიკოსმა უნდა სთქვას, ჩიმი sum (ადამიანი ვარ); უმრავლეს შემთხვევაში კი ისტორიკოსები ბრძოლებს ასწერენ“ („ცდა ეროვნებათა ზნე-ჩვეულებებსა და სულზე“).

რას წარმოადგენს ისტორიული პროგრესი? ესაა თანდათანობითი გადასვლა ბარბაროსობიდან გონების სინათლისკენ, სიღუბჭირიდან—ბედნიერებისკენ. და ისტორიკოსმა, უწინარეს ყოვლისა, იმ დიდი ადამიანების სურათი უნდა დაგვიხატოს და იმ მოვლენების აღწერა მოგვცეს, რომელთაც ხელი შეუწუებს კაცობრიობის წინსვლას კეთილდღეობისა და ჯანათლებისაკენ. „არათფერი რჩება იმათი სახელიდან, ვინც ბატალიონებსა და ესკადრონებს მეთაურობდნენ; ადამიანთა მოდკმას არავითარი სარგებლობა არ აქვს ასი წარმოებული ომისაგან, იმ დიდმა პირებმა კი, რომელთა შესახებ მე ვლაპარაკობ, უზადო და ხანგრძლივი სიამოვნებანი მოუზნადეს ადამიანებს, რომელნიც ჯერ კიდევ არ დაბადებულან. არიი, რომელიც ორ ზღვას აერთებს, დიდი მხატვრის სურათი, მშვენიერი ტრაგედია, კემშარიტების აღმოჩენა ათასჯერ უფრო ძვირფასი საგნებია, ვიდრე ყველა სამეფო სასახლის მატინეები და ყველა ომის რელაციები. ჩემი შეხედულებით პირველ ადგილზე დიდი ადამიანები დგანან, ხოლო უკანასკნელზე—გმირები. მე დიდ ადამიანებს იმათ ვუწოდებ, ვინც თავი ისახელა სასარგებლო და სასიამოვნო საქმეებში, პროვინციათა აღმგველები კი მხოლოდ გმირები არიან“.

ვოლტერი კაცობრიობის ისტორიულ წარსულში განსაკუთრებით ოთხ ბრწყინვალე ეპოქას აღნიშნავდა, რომელნიც ხელოვნებათა განვითარებით და გონების სინათლით სანიმუშოდ ჩაიკლებიან ნომევალი თაობებისთვის: პერიკლეს ეპოქას ათინაში, იულიოს კეისრისას და ავგუსტისას—რომში, მედიჩებისას—ფლორენციაში და ლუი XIV—საფრანგეთში. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის სიძულვილი და ანტიკლერიკალური მსოფლმხედველობა ვოლტერს ხელს უშლიდა სათანადოდ დაეთასებინა საშუალო საუკუნეების როლი ევროპელი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. როგორც ვოლტერი, ისე სხვა გამანათლებლები საშუალო საუკუნეებს



სიბნელის და ბარბაროსობის ეპოქად სთვლიდნენ. ისინი ხედავდნენ, რომ საეკლესიო ხელისუფლების გაძლიერებამ, რელიგიურმა ფანატიზმმა, თეოლოგიური და სქოლასტიკური აზროვნების გაბატონებამ, მუშტის უფლების დამყარებამ, ინკვიზიციამ შეაფერხეს ევროპის გონებრივი განვითარება, რომ როგორც ფილოსოფიის, მეცნიერების და ხელოვნების დარგში, ისე ტექნიკის და სამეურნეო ცხოვრების მრავალ დარგში საშუალო საუკუნეები უკანდახევას წარმოადგენდა კლასიკურ საბერძნეთთან და რომთან შედარებით. მაგრამ ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ საშუალო საუკუნეებში ახალი, ცხოვრების უნარის მქონე ერები წარმოიშვნენ, რომ ბატონყმობის პრინციპზე დამყარებული ეკონომიური ცხოვრება წინსვლას წარმოადგენდა მონობის პრინციპზე დამყარებულ ანტიკურ საზოგადოებასთან შედარებით, რომ ქრისტიანობამ ბევრი რამ აითვისა, რაც კი საღი იყო კლასიკური ფილოსოფიური სკოლების ეთიკაში და ხელი შეუწყო ზნეობრივი შემეცნების განახლებას. ფრანგი გამანათლებლები სათანადოდ ვერ აფასებდნენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საშუალო საუკუნეებში, საერთო თვითნებობის და ძალმომრეობის ატმოსფეროში, ქრისტიანული ეკლესია ხშირად ჩაგრულთა მფარველად გამოდიოდა, რომ სამონასტრო სკოლები განაგრძობდნენ ძველი კლასიკური სასწავლებლების ტრადიციებს, ხოლო სამონასტრო წიგნთსაცავებმა კაცობრიობას კლასიკური მწერლობის და ხელოვნების ძეგლები შეუნარჩუნეს.

ვოლტერს სწამდა, რომ როგორც მისი საკუთარი, ისე მისი თანამებრძოლი ფილოსოფოსების მოღვაწეობა ხელს შეუწყობდა კაცობრიობის განთავისუფლებას უმეცრების და ცრუმორწმუნეობის ბატონობისაგან და დაიწყებოდა გონების მეუფების ეპოქა. ცხოვრების გარდაქმნა უნდა მომხდარიყო ფილოსოფოსების და მმართველობის კავშირის წყალობით; უნდა შექმნილიყო ერთგვარი სულიერი არისტოკრატია, რომელიც სისხლის არისტოკრატის და საეკლესიო იერარქიის ადგილს დაიკვრდა, მაგრამ არავითარი პრივილეგიით არ აღიჭურვებოდა, გარდა გონების უპირატესობისა. «კურთხეულ იყოს დიდი გარდატეხა, რომელიც ადამიანთა გონებაში უკა-

ნასკნელი 15—20 წლის განმავლობაში ზოხდა, მან გადა-  
აქარბა ჩემს მოლოდინს“, სწერდა ვოლტერი დალანბერს:  
„ქეშმარიტად გონების მეუფება დაიწყო. საუკუნო მადლობა  
შენ, ჰოი ბუნებაე... ჩვენ გახარებული უნდა ვიყოთ, რომ ყვე-  
ლა რიგიანი ადამიანი ევროპაში თანდათან თავისუფლდება  
ცრუმორწმუნეობისაგან.. ჩვენ მხოლოდ ეს გვსურდა, მხო-  
ლოდ ეს იყო საჭირო. ჩვენ არასოდეს პრეტენზია არ გვქონია,  
რომ მეწაღეები და მოახლეები გაგვენათლებინა“.

როგორი უნდა ყოფილიყო კონკრეტულად ეს მომავალი სა-  
ზოგადოება, აგებული რაციონალურ პრინციპებზე? იქ მოს-  
პობილი არ იქნებოდა არც კერძო საკუთრება, არც ქონებ-  
რივი უთანასწორობა, მხოლოდ შრომა ყველასათვის სასი-  
ამოვნო ვალდებულებად გარდაიქცეოდა. ადამიანს უნდა შე-  
ეძლოს თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმა, უამისოდ არ  
შეიძლება ის ბედნიერი იყოს. „ადამიანი თავისუფალი უნდა  
იყოს და თავის თანასწორობა შორის ცხოვრობდეს—ი ად-  
მიანის ნამდვილი, ბუნებრივი ცხოვრება; ყოველგვარი სხვა-  
ნაირი არსებობა უღირსი გაყალბებაა, უგემური ფარსი, რო-  
მელშიც ერთი ბატონის როლს ასრულებს, მეორე—მონიასს,  
მესამე—მლიქვნელისას, მეოთხე—შუამავლისას... არსებობენ  
მთელი ერები, ორთავ თვალდათხრილნი იმ ბებერ ჯაგლავ  
ცხენებივით, რომელნიც წისკვილის დოლაბებს ატრიალებენ.  
მე მინდა ადამიანებს ორივე თვალი შევუნარჩუნო“ („ფილო-  
სოფიური ლექსიკონი“).

მომავალ საზოგადოებაში უნდა მოსპობილიყო ადამიანის  
სიკვდილით დასჯა, ვინაიდან დამნაშავემ უნდა ანაზღაუროს  
ის ზიანი, რომელიც მან საზოგადოებას მიიყენა, სიკვდილი კი  
ვერათერს ვერ აანაზღაურებს. მომავალ საზოგადოებაში უნდა  
შემცირდეს ან შეეძლებისამებრ სრულიად მოიხსოს ომები.  
„სახელგანთქმულმა მონტესკიემ, რომელიც ჰუმანისტ ადამი-  
ანად ითვლებოდა, ის შეხედულება გამოსთქვა, რომ უსამარ-  
თლო არ იქნებოდა, ცეცხლით და მახვილით გაგველაშქრნა  
მეზობლების წინააღმდეგ, თუ შეიქმნებოდა საფრთხე. რომ  
მათი საქმეები კარგად მიდის, თუ ამაში მდგომარეობს „კა-

ნონთა გულისხმისყოფა“, აშკარაა აქ ლაპარაკია ბორჯიას და მაკიაველის კანონებზე“ („ფილოსოფიური ლექსიკონი“).

ბოლოს, მომავალ საზოგადოებაში უნდა დამყარებულიყო სრული რელიგიური შემწყნარებლობა. „გამოუკლებლივ ყველა ხალხის რელიგია ერთსა და იმავე ქეშმარიტებას გვიმხელს. აზიელი ერების რელიგიური ცერემონიები მეტისმეტად ახირეცულია, რწმენა უაზრო, მაგრამ მათი მორალის წესები სამართლიანია. დერვიში, ფაკირი, ბონზა, სიამელი ქურუმი ყველგან ერთსა და იმავეს ამბობს.—იყავით სამართლიანი და სიკეთე ჰქენით. ყველა ეკლესიის, ყველა იერარქიის განადგურება და გონების რელიგიის დამყარება—აი მომავალი კოცობრიობის ბედნიერების საწინდარი“.

\* \* \*

ვოლტერი ამბობდა: ისეთი დიდი ბაგაჟით, როგორც მე მაქვს, ძნელია მეშვედრეების სადგურამდე მიღწევაო. მართლაც, იმ უზარმაზარი ლიტერატურული მეშვედრობიდან, რომელიც ვოლტერმა დასტოვა, მრავალ მის ნაწარმოებს დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

თავის პანფლეტებს, პოლემიკურ და პუბლიცისტურ წერილებს თვით ის დროებითს მნიშვნელობას აძლევდა. მისი დრამები და პოემები, რომლებიც მის თანაზღვროვეებში ალტაცებას იწვევდა, დღევანდელ მკითხველს ხელოვნური და პათეტური ეჩვენება; სამაგიეროდ დღესაც სიამოვნებით იკითხება ვოლტერის ლირიკული შედევრები, განსაკუთრებით მისი გესლიანი ეპიგრამები, სადაც ის სასაცილოდ იგდებს სამღვდლოებას, კარისკაცებს და თავის პირად მტრებს; სიამოვნებით იკითხება აგრეთვე მისი ანაკრეონტული ხასიათის ლექსები, სადაც ის უმღერის ცხოვრების სწრაფწარმავალ სიამოვნებათ.

ვოლტერის ზოგიერთი ისტორიოგრაფიული ნაწარმოები დღესაც ფრანგული კლასიკური პროზის ნიმუშად ითვლება; მაგრამ ყველაზე მეტი გამძლეობა ვოლტერის ლიტერატურ-

რული შემკვიდრეობიდან ჰაინც მისმა ფილოსოფიურმა მოთხრობებმა და დიალოგებმა გაძოიჩინეს. თუ ვოლტერის თანაბნეუროვეები მას, უწინარეს ყოვლისა, როგორც „ჰანრიადის“, „ორღენელი ქალწულის“, „მაჰმადის“, „ალზირას“, „ფილოსოფიური ლექსიკონის“ ავტორს აფასებდნენ, დღევანდელი მკითხველი მასში განსაკუთრებით „კანდიდის“, „ზადიგის“, „ბაბილონის პრინცესის“, „მიკრომეგასის“ დაძწერს ხედავს.

ლიტერატურის ისტორიკოსები ამტკიცებენ, ვოლტერზე, როგორც რომანისტზე, მრავალმა წინამორბედმა მოახდინა ზეგავლენა: ლესაჟმა და მონტესქიემ, ბოკაჩიომ და არიოსტომ, სვიფტმა და სირანო დე ბერჟერაკმა, „ეთასერთმა ლამემ“ და ხალხურმა ზღაპრებმაო. ამ გავლენათა მიუხედავად, ვოლტერის მოთხრობები მეტად ორიგინალური აზროვნების და ფორმის შეგრძნობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, და მათი გავლენა შემდგომ თაობებზე არა ნაკლებ ძლიერი იყო, ვიდრე მათს ავტორს შეეძლო წინამორბედებისაგან მიეღო. გონება-მახვილობა, თანამედროვე საზოგადოების ნაკლთა და ბიწიერებათა თამამი ასახვა, ბრწყინვალე ფორმა ამ მოთხრობებს წარუვალ მხატვრულ ღირებულებას ანიჭებენ.

ვოლტერის მოთხრობებისთვის დამახასიათებელია, რომ მათი გმირების თავგადასავალი დაკავშირებულია მოგზაურობასთან. მკითხველის თვალწინ მთელი დედამიწა იშლება. ზოგიერთ ლანდშაფტს ზღაპრული ხასიათი აქვს. სცენაზე ხშირად ფანტასტიკური ცხოველები, ფერები, ჯადოქრები გამოდიან. „მიკრომეგასის“ მოქმედი პირები ნნათობიდან მნათობებზეც კი გადადიან. ძალიან ფართოა აგრეთვე ამ მოთხრობების ისტორიული დიაპაზონი: ის მოიცავს კაცობრიობის ისტორიული წარსულის მიმოხილვას, ანტიკური ეგვიპტიდან და ბაბილონიდან დაწყებული მეთვრამეტე საუკუნემდე.

მაგრამ ვოლტერი თავის მოთხრობებში არ იძლევა ეკსოტიკური ქვეყნების და წარსული ისტორიული ეპოქების რეალისტურ ასახვას. მისი მოთხრობების მიზანია რომელიმე ძირითადი ფილოსოფიური თეზისის დამტკიცება; ბელეტრისტული ფორმა მხოლოდ მოხერხებული საშუალებაა ამ მიზნის

მისაღწევად. შოქმედი პირები არ წარმოადგენენ კონკრეტულ ადამიანებს. განსაზღვრული ეროვნული და ინდივიდუალური თვისებებით აღჭურვილთ: ისინი გამოდიან როგორც ამათუიწ ფილოსოფიური იდეის განმახორციელებელი აბსტრაქციული არსებანი.

თავის პირველ დიდ ფილოსოფიურ მოთხრობაში „ზადიგში“ ვოლტერი განათლებული აბსოლუტიზმის იდეას იცავს. მოთხრობას გადაეყვართ ძველ ბაბილონში, სადაც ტახტზე მეფე მოაბდარი ზის; ნამდვილად კი ავტორი XVIII საუკუნის საფრანგეთს გულისხმობს. პირამტიქმელი, სამართლიანი, გონებამახვილი ზადიგი თვით ვოლტერის ორეულად შეიძლება ჩაითვალოს; ყოველ შემთხვევაში ის ავტორის ზრახვებს გამოსტქვამს. ვოლტერის მსგავსად ზადიგი მრავალ სიღუბქირეს განიცდის, სანამ მისი ნიქის და გონების ძალას სცნობდნენ. ვოლტერის მსგავსად ის ებრძვის ძალმომრეობას, უსამართლობას, რელიგიურ ფანატიზმს. ზადიგი ბოლოს ბაბილონის მეფის მინისტრი გახდება. მისი მმართველობის დრო საუკეთესო ეპოქა იყო დედამიწის ზურგზე: „დაიწყო სამართლიანობის და სიყვარულის მეუფება; ყველანი ზადიგს ლოცავდნენ, ხოლო ზადიგი ზეცას ლოცავდა“.

ჯერ „ზადიგში“ და შემდეგ „პოემაში ლისაბონის კატასტროფაზე“ ვოლტერმა, სხვათა შორის, დასვა პრობლემა, რომელიც, როგორც ეტყობა, მას მუდამ აწუხებდა. თუ სამყარო უზენაესი გონების მიერ არის შექმნილი, საიდან წარმოსდგება უნივერსალური ბოროტება და რით შეიძლება იქის გამართლება, რომ, მაგალითად, სტიქიური უბედურების, მიწისძვრის, წყალდიდობის, ხანძრის დროს სრულიად უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან ათასობით და ათიათასობით? განა 30 000 კაცი, რომელიც ლისაბონის მიწისძვრის დროს დაიღუპა 1755 წელს, უფრო ცოდვილი იყო, ვიდრე პარიზის მცხოვრებლები, რომელნიც ამ დროს მხიარულობდნენ და ცეკვავდნენ? რატომ ხდება, რომ ამ ქვეყნად სათნო ადამიანები ხშირად ისჯებიან, ხოლო არამზადები ბედნიერები არიან? ის პასუხი, როპელსაც ვოლტერი „ზადიგში“ იძლევა, არსებითად განსხვავდება იმ პასუხისაგან, რომელსაც ძველი 21. ვოლტერი

რელიგიური სისტემები იძლეოდნენ. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით ღმერთი კეთილია, ის კაცობრიობას უბედურებას უგზავნის, რათა ის დასაჯოს შეცოდებისათვის, ან რათა ის უფრო დიდი მომავალი უბედურებისაგან დაიცვას. ზორასტრის რელიგიის მიხედვით საყპარო კეთილი და ბოროტი პრინციპის, ორმუხდის და არიმანის ბრძოლას წარმოადგენს. ვოლტერი ამტკიცებს, რომ მოკვდავ ადამიანს არ ძალუძს ღვთაებრივი ნებისყოფის გამოცნობა. მაშასადამე, მას არ შეუძლია ბოროტების მეტაფიზიკური არსების შეცნობა. რაც შეეხება ფიზიკური და სოციალური ხასიათის ბოროტებას, ის მიღებულ უნდა იქნას როგორც ემპირიული ფაქტი, მხოლოდ უნდა ვიბრძოლოთ, რათა ადამიანი, აღზრდის შემწეობით, უფრო სამართლიანი და კეთილგონიერი, ხოლო საზოგადოება, ბრძნული კანონმდებლობის შემწეობით, უფრო ჰარმონიული გახდეს.

თავის მეორე სახელგანთქმულ მოთხრობაში „კანდიდში“ ვოლტერმა ცალმხრივი ოპტიმიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. ინგლისელი პოეტი და დეისტი ფილოსოფოსი ალექსანდრე პოპი ამტკიცებდა, რომ ყოველივე, რაც არსებობს, გონიერიაო. პოპზე ადრე გერმანელი ფილოსოფოსი ლეიბნიცი შეეცადა ოპტიმიზმისთვის მეტაფიზიკური დასაბუთება მიეცა. ბრძოლა, ტანჯვა, კონფლიქტები, უბედურება, სიმახინჯე შემთხვევითი მოვლენებია: თუ ადამიანი თავისი ვიწრო პირადი თვალსაზრისიდან განთავისუფლდება, ის შეიგნებს, რომ სამყარო წინასწარ დადგენილ ჰარმონიაზეა დამყარებული და ჩვენი ქვეყანა საუკეთესოა ყველა შესაძლებელ ქვეყანას შორისო, ამტკიცებდა ლეიბნიცი.

ვოლტერს მიუღებლად მიაჩნდა როგორც ლეიბნიცის და ინგლისელი დეისტების ოპტიმიზმი, ისე პასკალის პესიმიზმი, რომლის მიხედვით ამქვეყნიური ცხოვრება ბნელ სატუსაღოს წარმოადგენს, სადაც ხელებშებორკილი არსებანი სიკვდილის სასჯელს ელიან. ცხოვრება, ვოლტერის შეხედულებით, არც მეტისმეტად ცუდია, არც მეტისმეტად კარგი, ის საერთოდ ასატანია და ადამიანის მიერ შეძლებისამებრ გამოყენებულ უნდა იქნეს. სასაცილოა კანდიდის მეგობრის, ყოვლისმცოდნე

ოპტიმისტი პანგლოსის შტკიცება, რომ ამქვეყნად ყოველივე საუკეთესოდ მიმდინარეობსო, მაგრამ მიუღებელია პესიმისტი მარტენის აზრიც, რომ ადამიანი მხოლოდ იმისთვის იბადება, რომ თავისი ცხოვრება მოუსვენრობის კრუნჩხვასა და მოწყენილობას ლეტარგიაში გაატაროსო.

„კანდიდი“ თავისი მორალური ტენდენციით „ზადიგის“ ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. თუ ზადიგის სახით შექმნილია ბრძენი კანონმდებელი და სოციალური რეფორმატორი, კანდიდის სახით გამოყვანილია ზნეობრივად შეურყენელი ადამიანი, რომელიც სტოიკურად იტანს ყოველგვარ გაჭირვებას, რათა თავისი პიოადი ცხოვრება მოაწყოს საყვარელ ქლთან ერთად. ის თავის გარშემო მეგობრების პატარა საზოგადოებას იკრებს, რათა მათთან ერთად ბაღი დაამუშაოს და შეუშფოთებლად იცხოვროს ფორთოხლის ხის ჩრდილში. შრომა ერთადერთი წამალია სამი ბოროტების—ბიწიერების, მოწყენილობის და სიღარიბის წინააღმდეგ; ასეთია „კანდიდის“ დასკვნა. მაგრამ, ცხადია, „კანდიდის“ მორალი ეგოცენტრისტული არ არის, და მოხუცი თურქის სიტყვები, რომ ადამიანები, რომელნიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერევიან, ხანდახან უბადრუკად იღუპებიან და ამის ღირსი არიანო, არ გამოჰხატავს ვოლტერის შეხედულებას. „ადამიანს აფუჭებს არა საზოგადოებაში ცხოვრების მოთხოვნილება, არაჲდ საზოგადოების უქონლობა. ადამიანი, რომელიც სრულიად მარტო იცხოვრებდა, ჩქარა დაჰკარგავდა აზროვნების და გამოთქმის ნიქს, აუტანელი გახდებოდა თავის თავისთვის და ცხოველად გადაიქცეოდა“ („ფილოსოფიური ლექსიკონი“).

უტოპიური ქვეყანა ელდორადო, რომლის აღწერა „კანდიდში“ ჩართულია საუკეთესოდ გამოხატავს ვოლტერის სოციალურ იდეალს. ელდორადოში უხვად მოიპოვება ოქრო და თვალმარგალიტი, მაგრამ მათ არავინ აფასებს, ვინაიდან ელდორადოს მოსახლეობა ზრუნავს არა კომფორტზე, არამედ ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ელდორადოში დიდად პატივცემულია მწარმოებელი შრომა და მეცნიერული კვლევა-ძიება; სამაგიეროდ, იქ არც ტაძრები

და მონასტრებია და არც სასამართლოები და სატუსალოები, ვინაიდან არაეინ დანაშაულს არ ჩადის; მთელი მღვდელმსახურება კი იქ იმაში გამოიხატება, რომ მეფე და ოჯახის მეთაურები ყოველ დილით სამადლობელ ჰიმნს მიუძღვნიან უზენაეს არსებას. ელდორადოს ქვეშევრდომნი თავიანთ მეფეს სალამს აძლევენ არა მიწაზე დამხობით ან მუცელზე ხოხვით, არამედ ლოყებზე კოცნით. საუკეთესო შენობას მეცნიერების სასახლე წარმოადგენს. რომლის უზარმაზარი გალერია ფიზიკური და მათემატიკური ხელსაწყოებითაა სავსე. მეფის ბრძანების თანახმად სამი ათასმა ფიზიკოსმა და ინჟინერმა ხელი მიჰყო მანქანის გაკეთებას, რომელსაც კანდიდი და მისი თანამგზავრები უმაღლეს მთებზე უნდა გადაეტარებინა და სამშობლოსკენ გაესტუმრებინა.

\* \* \*

ვოლტერმა განუზომელი გავლენა მოახდინა არა მარტო თავის თანამედროვეებზე, არამედ მომდევნო თაობებზე. საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეები, როგორც ჟირონდელები ისე იაკობინელები. ვოლტერს თავიანთ წინამძღვრად სთვლიდნენ. იდეური გავლენის მხრით საფრანგეთის რევოლუციის დროს ვოლტერს მხოლოდ ჟანჟაკ რუსო შეედრებოდა. ნაპოლეონის ბატონობის და რესტავრაციის წლებში დაიწყო ვოლტერის მკაცრი გაკრიტიკება ჯერ რეაქციონერი პოლიტიკური მოაზროვნეების (ერზეფ დე მესტრის და სხვ.), ხოლო შემდეგ როპანტიკოსების მიერ. მაგრამ ივლისის რევოლუციის შემდეგ ვოლტერის და ფრანგ გამანათლებლების გავლენა ხელახლა აღსდგა, ის რაზდენიუელ კადეც გაღრმავდა სოციალისტური აზროვნების გაძლიერების გამო. ფრიდრიხ ენგელსმა თავისი „ანტი-დიუჩინგის“ შესავალში მართებულად აღნიშნა, რომ „თავისმედროვე სოციალიზმი თავისი თეორიული ფორმის მიხედვით თავდაპირველად გვევლინება როგორც XVIII საუკუნის დიდი ფრანგი გამანათლებლების მიერ წამოყენებული რინცეპების შემდგომი, ერთი უსხედვით თანმიმდევარი განითარება“.



ვოლტერის სახელმა საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში. განსაკუთრებით ძლიერი იყო ვოლტერის პოპულარობა რუსეთში, სადაც ეკატერინე II ხელს უწყობდა მისი ნაწერების თარგმნას და გამოცემას. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსი არისტოკრატია ზერელედ გაგებულნი იყვნენ ვოლტერიანიზმის სულით იყო გაჟღენთილი; მრავლად ითარგმნებოდა ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობები და პოემები, სცენაზე ხშირად იდგმებოდა მისი დრამები და კომედიები. გარდა დედოფლისა, მრავალ რუს არისტოკრატს პირადი მიწერ-მოწერა ჰქონდა ფერნეს პატრიარქთან, ზოგიერთი მათგანი მისი სტუმარი იყო. ეკატერინე მეორემ რუსულად გადაათარგმნინა ვოლტერის მიმდევრის მარმონტელის ფილოსოფიური მოთხრობა „ველაზარი“, რომელშიც ავტორი რელიგიური შემწყნარებლობის სულს იცავს. ეს ნაწარმოები რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნა თელავის ფილოსოფიური სემინარიის ყოფილმა რექტორმა არქიეპისკოპოსმა გაიოზმა.

საფრანგეთის რევოლუციამ დააფრთხო ეკატერინე II და რუსეთის თავად-აზნაურობა. რუსეთის დედოფალმა აღკრძალა ვოლტერის ნაწერების გამოცემა და მისი პიესების დადგმა. რუსი რესპუბლიკელი ა. რადიშჩევი, ავტორი „შოგზაურობისა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“, დასჯილ იქნა ფრანგი გამანათლებლების და მატერიალისტების იდეების პროპაგანდისათვის.

როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთშიც ვოლტერის მსოფლმხედველობამ აღორძინება განიცადა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში; მისი დაახლოებით ცოდნა ეტყობა ჯერ გრიბოეფს და პუშკინს, ხოლო შემდეგ გერცენს, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, პისარევს და სხვ.

საქართველოში ვოლტერის იდეების გაცნობა მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წლებში ხდება, ნაწილობრივ პირდაპირი გზით, ხოლო განსაკუთრებით რუსეთის მეშვეობით.<sup>1</sup> როგორც

<sup>1</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბილისი, 1933.

ცნობილია, გიორგი XII უფროსი ვაჟი დავით ბატონიშვილი ვოლტერის წინდევრად ითვლებოდა. მარცხადაც, მისი პატარა როძანი „ახალი შიხი“ ვოლტერის დეისტური რელიგიის, „ბუნების სჯულის“ ფარულ პროპაგანდას შეიცავს. ფრანგი გამანათლებლების და ენციკლოპედისტების ცოცხალი ეტყობა აგრეთვე იოანე ბატონიშვილსაც, რომელიც თავის „კალმასობაში“ პროგრესის და განათლების იდეებს იცავს და ნამდვილი ვოლტერისებური გონებამახვილობით ანხელს ქართველი ფეოდალების და სამღვდლოების უმეცრებას, ძალმომრეობას და გაუმაძღრობას.

დამახასიათებელია აგრეთვე, რომ იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“ გამოყვანილი ჰყავს ვოლტერის მოწაფე, ზედურეთის მცხოვრები ციციშვილი, თელავის სემინარიაში აღზრდილი დავით რექტორის შიერ.

ვოლტერის ნაწერების პირველი მთარგმნელი საქართველოში ალ. ქავჭავაძე იყო. მან უშუალოდ ფრანგულიდან გადმოთარგმნა ვოლტერის ორი საუკეთესო ტრაგედია „ზაირა“ და „ალზირა“. „ზაირაში“ ვოლტერმა გადმოსცა ადანიანების ინტიმური გრძნობები; აქ მან თავისი გმირები ჩვეულებრივი სასაუბრო ენით აწმეტყველა და მგრძნობელობის ანალიზი თეატრის ძირითად პრობლემად აქცია. შეიძლება ითქვას, რომ „ზაირაში“ ვოლტერმა რადიკალური ნაბიჯი გადადგა კორნელის და რასინის პათეტიკური სტილით დაწერილი გმირული ტრაგედიებიდან და ნიადაგი შეუმზადა XIX საუკუნის ბუფუზაზიულ დრამას. რაც შეეხება „ალზირას ანუ ამერიკელს“, ამ ტრაგედიაში ვოლტერი განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებს ეროვნული მძულვარების და რელიგიური შეუტიგებლობის პოლიტიკის წინააღმდეგ და განსაკუთრებით ბრყინვალედ იცავს ჰუმანიზმის მორალს. „ალზირას“ ძირითადი ტენდენცია ავტორმა მკაფიოდ გამოსთქვა მის წინასიტყვაობაში: „უსარგებლო რიტუალების ასრულება და ადამიანის ვალდებულებათა ღალატი, ლოცვების წარმოთქმა და ბიწიერების შენარჩუნება, მარხულობა და მახლობლის სიძულვილი, ვერაგობა, ძალმომრეობა—აი უმეცარი ქრისტიანის სარწმუნოება. ნამდვილი ქრისტიანის რელიგია კი იმაში

მდგომარეობს, რომ მან ყოველი ადამიანი თავის ძმად ჩასთვალოს, მას სიკეთე უყოს და ბოროტება აპატიოს“.

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში მღვდელს იე'ე გარსევანიშვილს რუსულიდან უთარგმნია ვოლტერის ისტორიული შრომა „ლუდოვიკო XV და ლუდოვიკო XV ისტორია“. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულად გადმოითარგმნა აგრეთვე ვოლტერის რამდენიმე პროზაული ნაწარმოები, მათ შორის „ზადიგი“ (თარგმანი ა. ახნაზაროვისა) და „უნანკო“ (თარგმანი თ. სახოკიასი), რომელიც ცალკე წიგნებად გამოიცა.

გერონტი ქიქოძე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ზადიგი, თარგმანი რ. დოდაშვილისა და ნ. ქადეიშვილისა . . . . .	7
კანდიდი, თარგმანი რ. დოდაშვილისა . . . . .	93
ბაბილონის ძრინცესა, თარგმანი ნ. ქადეიშვილისა . . . . .	205
შენიშვნები გ. ქიქოძისა . . . . .	285
გ. ქიქოძე, ვოლტერი . . . . .	295

რედაქტორი გ. ქიქოძე  
მხატვარი გ. გორდელაძე

---

ზელმოწერილია დასაბეჭდად 28/1-49 წ. უე 01255. შეკვეთის № 456.  
ანაწეობის ზომა 5,5×9. ქალაღდის ზომა 54×84. ნაბეჭდ ფორმათა  
რაოდენობა 20,5. სააქტორო ფორმათა რაოდენობა 15,6.  
ტირაჟი 5.000.

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და  
გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი  
თბილისი, მარჯანიშვილია ქ. № 5.

---

Комбинат печати Управления по делам Полиграфии и Издательства  
при Совете Министров Грузинской ССР  
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.